

# გრიგოლ აბაშიძე

## ცოტნე დადიანი

### წინასიტყვა

ცოტნე დადიანისა და კოხტისთავის შეთქმულთა თავგადასავალი იმდენად მოკლედაა ნაამბობი «ქართლის ცხოვრების» ქრონიკაში, რომ, ცდუნებას ვერ ვძლიე და, მთელი ეს ეპიზოდი ეპიგრაფად წავუძღვარე წინამდებარე წიგნს.

გმირობისა და ზნეობის ამ იშვიათი წყაროს შეხსენება მკითხველისათვის ჩვენ არაერთხელ მოგვიხდება და ამიტომაც ვცანით საჭიროდ, თავფურცლად დართვოდა იგი ამ წიგნს.

მონგოლთა უნაპირო იმპერიისაგან ქართველთა განდგომის გაბედულ ცდას იმ დროს დიდი გამოძახილი ჰქონია და, ამის მოწმობა შემოგვინახა ყარაყორუმის კარზე მყოფმა იტალიელმა მისიონერმა, წმინდა ფრანჩესკო ასიზელის სიყრმის მეგობარმა პლანო კარპინიმ.

უცხო წყაროთაგან კოხტისთავის შეთქმულების კიდევ ერთი ბუნდოვანი ანარეკლი გვაქვს სომხურ მატიანეში.

ეს არის და ეს! ქართველი ხალხის ცხოვრების წიგნის ამ ულამაზეს ფურცელს მეტი არც დამმოწმებელი ჰყავს, არც უარმყოფელი.

«ქართლის ცხოვრების» ამ მომხიბლავი მოთხრობის კითხვისას, ალბათ, ბევრს აღძვრია სურვილი მოეთხრო იგი ვრცლად და დაწვრილებით, ყველა სახისა და დეტალის სრულად გადმოცემით.

ამ სურვილით მეც დიდხანს ვიყავი შეპყრობილი, მაგრამ, როცა ცოტნეს თავგადასავლის ვრცლად და ჩემებურად მოთხრობისათვის თავი მზად ვიგრძენი, ჩემს წინაშე დადგა ამოცანა – მეჩვენებინა გმირი მისი ადამიანობის ყველაზე დიდი გამოცდის ჟამს.

ამ გადაწყვეტილებამ მიკარნახა ჩემს მოთხრობაში მთავარი ადგილი დამეთმო ცოტნეს ბავშვობისა და ყრმობისათვის, იმ სოციალური გარემოსათვის, რამაც მისი ხასიათი ჩამოაყალიბა და მომავალი გმირი თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაბიჯის გადასადგმელად მოამზადა.

დანარჩენი მასალიდან ყველაფერი, რაც ამ ამოცანის ამოხსნისას სამსახურს ვერ გამიწევდა, ჩემს მიერ უგულვებელყოფილი აღმოჩნდა. ფაქტებისადმი ამგვარი მიდგომა იმანაც განაპირობა, რომ დავაჟკაცებული ცოტნე იმ დროში და იმ ადამიანებთან ერთად ცხოვრობდა, რომლებზედაც ვრცლად მოგვითხრობს «ლაშარელა» და «დიდი ღამე».

«ცოტნე» «ლაშარელასა» და «დიდი ღამის» გაგრძელებაა, ტრილოგიის მესამე წიგნია და, ამიტომ იყო, რომ გმირის სიჭაბუკისა და სიმწიფის ხანაში მომხდარი ამბების მოკლედ და ისიც რეტროსპექტულად გადმოცემა ვიკმარე.

ცოტნეს ბედსა და თავგადასავალზე დაფიქრებამ, ბუნებრივია, კობტისთავის შეთქმულების მარცხის მიზეზების კვლევა და მოლაღატის მიებაც ჩამაგონა.

საქმეს ის ართულებს, რომ მემატიანის მიერ ჩამოთვლილი ყველა შეთქმული კობტისთავის ეპიზოდის შემდეგაც აგრძელებს მატიანის ფურცლებზე ცხოვრებას და არც ერთის მიმართ ჟამთააღმწერელი, გადაკრული ნათქვამითაც კი, არ ცდილობს ჩვენი ეჭვის აღძვრას. მაინც მათი ცხოვრება და მოღვაწეობა რომ უფრო ღრმა და საგანგებო დაკვირვების საგნად მექცია, მათგან უფრო ღირსეულნი ცალკე გამოვყავი და თითოეულს ცალ-ცალკე ნოველა თუ ისტორიულ-მხატვრული ესსე მივუძღვენი.

ამ წიგნს იმის პრეტენზია არა აქვს, შეავსოს ჟამთააღმწერლის მიერ კონსპექტურად გადმოცემული ცოტნეს თავგადასავლის ყველა ხარვეზი, სრულად აღადგინოს და აჩვენოს, «თუ როგორ მოხდა სინამდვილეში ყველაფერი».

ჩემი ამოცანა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, განსაზღვრული იყო და, თუ ეს წიგნი ამ ამოცანას პასუხობს, ჩემს შრომას გამართლებად ესეც ეყოფა.

«...ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კობტას თავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპრი შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, ქართველნი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგუელი, მესხნი და ტაოელნი. და ყოველნი იტყოდეს: «რა ვყოთ? აღარა არს ნათესავი ქართველთა მეფეთა, რათა წინამძღუარ გუექმნას და ვბრძოდით თათართა, და ჩუენ ერთი-ერთისაგან განდგომილ ვართ, ვერ წინააღვუდგებით თათართა. და იგინი ბოროტად გუაჭირვებენ ესეოდენ, რომელ ყოველთა წელთა აღმუთს წარვალთ ჭირთა და ყოველთა ღუაწლთა შემთხუევად. არა არს ღონე, დაღათუ უმეფო ვართ, არამედ შევკრბეთ ყოველნი, და ვბრძოდით თათართა». დაამტკიცეს ომი და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა, და განიყარნეს. უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი ცოტნე და ბედიანი, კაცი კეთილი და სრული საღრმითოთა და საკაცობოთა, და რაჭის ერისთავი, \_ ესენი ყოველნი წარვიდეს კაზმად. ვითარ ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთა, წარმოვიდეს ბიჩუ და ანგურგ და მივიდეს კობტას თავსა, დახუდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი, ლაშქარი გაყრილ იყო, და ვერღარა წინააღვუდგეს, და წარასხეს ქუეყანასა ანისისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების შირაკავანი. ხოლო ვითარ მიიწივნეს ჩარმაღან ნოინს წინაშე, რქუა: «რა არს შეკრება თქუენი, უკეთუ არა იქმთ განდგომილებასა?» ხოლო მთავარნი მიუგებდეს: «არა განდგომად შევკრბით, რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკი განვიჩინოთ», რომელსა \_ იგი უწოდეს ხარაჯად. ესე რა ესმა, არა სრულიად ირწმუნა, და ბრძანა განძრცვა ყოველთა. მხართა შეკრვა ყოველთა, სიცხესა შინა შიშველთა მოედანთა ზედა დასხდომა,

და ყოველთა დღეთა, ჰკითხავდის მიზეზსა შეკრებისასა, და უკეთუ არა აღიარონ ჭეშმარიტი, სიკუდილსა მისცენ ყოველნი ესე ზემოხსენებულნი მთავარნი. ხოლო იგინი დაამტკიცებდეს, «რათა განვაჩინოთ ხარაჯა» და ამას ჰყოფდეს მრავალ დღე, რამეთუ არ არწმუნებდეს.

და ვითარ მოეახლა პაემანი, მოვიდა დადიანიცა ცოტნე ლაშქრითა, მათდა ადგილსა, რომელ არს რკინის-ჯუარი, შორის სამცხისა და ლაღოსა, და ვითარ აუწყეს წარსხმა ყოველთა მთავართა საქართველოსათა ანისად, და შეკრებულთა ყოფა სატანჯველთა შინა ბოროტთა ვითარ ესმა, მწუხარე იქმნა უზომოდ, და თვისად სიკუდილად და სირცხვილად შერაცხა საქმე იგი. და წარავლინა ლაშქარი თვისი, და ორითა კაცითა წარვიდა ანისად, დამდები სულისა თვისისა და აღმსარებელი მცნებისა უფლისასა, რომელსა იტყვის: «უფროს ამისსა სიყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყუასისა თვისისათვის», რომელ ყო პატიოსანმაცა ამან კაცმან ცოტნე სათნოება მაღალი და განსათქმელი, საქმე საკვირველი და ყოვლისა ქებისა ღირსი. განვლო სამცხე და ჯავახეთი და მივიდა ანისსა.

რამეთუ ქალაქად შესრულ იყვნენ ნოინნი, და ესე წარჩინებულნი მოედანსა შინა დაკრულნი მხრითა, შიშველნი მსხდომარე იყვნეს. ვითარ იხილნა ცოტნე წარჩინებულნი, ესრეთ უპატიოდ მსხდომარენი და სიკუდილად განწირულნი, გარდახდა ჰუნისაგან და დააბნია სამოსელი თვისი, განშიშულდა და შეიკრნა მხარნი და დაჯდა წარჩინებულთა თანა და ვითარ იხილეს თათართა, განკვირდეს და მსწრაფლ აუწყეს ნოინთა, ვითარმედ: «ცოტნე დადიანი მოვიდა ორითა კაცითა, და განიმარცუა სამოსელი თვისი და შეკრული დაჯდა ქართველთა თანა». რამეთუ კეთილად მეცნიერნი იყვნეს ცოტნესი, რომლისათვის განკვირდეს თათარნი და წინაშე მათსა მოუწოდეს და ჰკითხვიდეს მიზეზსა მუნ მისვლისა მისისასა.

ხოლო იგი ეტყოდა, ვითარმედ: «ჩუენ ყოველნი ამაღ შევიკრიბებით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანება თქუენი აღვასრულოთ, – ესე იყო შეკრება ჩუენი. აწ თქუენ ძვირის-მოქმედთა თანა შეგვრაცხენით და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქუენსა, რათა გამოიკითხოთ და უკეთუ ღირსი რამე სიკუდილისა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოვკუდე; რამეთუ თვინიერ ჩემსა არარა უქმნიეს, უკეთუ ცხოვნდენ, მათ თანა ვიყო». და ვითარ ესმა ესე ცოტნესგან ნოინთა, განკვირდეს სათნოებისათვის მისისა და თქუეს: «ვინათგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადვას სული თვისი მოყუარეთათვის და არა განცრუვუნეს, ესრეთ განწირა თავი თვისი სიკუდილად, – არა არს სიცრუე მათ შინა და ამის ძლით უბრალოდ ეპოვებთ. ამისთვის განუტეოთ ყოველნი».

მდინარის პირას, მინდორზე ყმაწვილი ციციანათელას მისდევდა.

დაქანცული ციციანათელა ოდნავლა ბჟუტავდა, აღმადაღმა მიქანაობდა და, სადაც იყო, ახლადგათიბულ ბალახში ჩავარდებოდა.

ყმაწვილს მუხლი დაღლოდა და სული ყელში მობჯენოდა.

ციცინათელა ბუჩქთან დაეშვა. ბიჭუნა ზედ გადაეფარა, ფრთხილად აიყვანა, ქუდში ჩააგდო და გაიქცა.

თივის ბულულზე ძიძა მიწოლილიყო, კალთაში გოგონა უჯდა და უნანავებდა.

ბიჭუნამ ბულულთან ჩაიჩოქა, ქუდში ხელი ჩაჰყო, ციცინათელები ბლუჯად ამოიყვანა და გოგონას თმაზე დააყარა.

– როგორ გაგაბრწყინა, თამარ! ვარსკვლავებით მოჭედულ ცასავით განათდი!

– გაიხარა გადიამ, ბიჭუნას ხელი მოჰხვია და მიეალერსა:

– მოდი, ბატონიშვილო, მოდი, თოლიგე!

ბატონიშვილი გამდელს მიეკრა, თავით მის მკერდს მიეყრდნო და ძილმოპარული თვალთ ცას ახედა.

– როგორი მოჭედილი ცაა! რამდენი ვარსკვლავია! – აღმოხდა ბატონიშვილს.

– აბა, თულა გახსოვს, ცოტნე, გაიმეორე:

ბჟა დია ჩქიმი,  
თუთა მუმა ჩქიმი,  
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი  
და დო ჯიმა ჩქიმი...

ყმაწვილმა ლექსი სხაპასხუპით გაიმეორა.

– მე რომელი მურიცხი ვარ, უდუ-გადია? – იკითხა ყრმამ და ცას მიაშტერდა.

– შენა? შენ, აი, ის ვარსკვლავი ხარ, შენს სწორა რომ ანათებს.

– ჩემი დაი, ჩემი დაიკო რომელილაა?

– თამარი? შენს გვერდით რომ ბრწყინავს, შენთან რომ სულ ახლოს არის!

სადღაც მყვარი აყიყინდა. უმაღვე ბაყაყების მთელი გუნდი აჰყვა და მყუდრო ღამე უცებ ახმაურდა.

ნიავი ახლად გათიბულ თივის სურნელს ჰფანტავდა, საამოსა და მომთენთავს.

თამარის თმებში ციცინათელები ბჟუტავდნენ და ძილმოპარულ გოგონას თვალი ეხუჭებოდა.

ბჟა დია ჩქიმი,  
თუთა მუმა ჩქიმი,  
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი  
და დო ჯიმა ჩქიმი\*...

ჩურჩულებდა ცოტნე და მოჭედილ ცას თვალს არ აშორებდა.

მინდორზე თხუთმეტოდე წლის ბიჭი გამოჩნდა.

– გუგუტა! მომეხმარე! – ხმადაბლა მიმართა უდუმ. ბიჭი დაიხარა, მიძინებული თამარი აიტაცა და მკერდზე მიიხუტა.

გადიამ ცოტნეს ჩაჰკიდა ხელი და ოთხივენი სინათლით გაჩახჩახებულ სასახლისკენ წავიდნენ.

კავკასიონის მაღალ კლდეზე მიჯაჭვული ცოტნე თავჩაქინდრული თვლებს. თვალმიხუჭულს ტუჩზე ღიმილი დასთამაშებს. ძვალსა და ლბილში კარგა ხნის ჩასული ჯაჭვი სხეულის ნაწილად ქცეულა, შეჩვევია და აღარ აწუხებს. რკინა ადრინდებურად ცივი აღარ არის, ისიც სხეულივით გამთბარა, ეს სითბო თავით ფეხებამდე უვლის კლდეზე დაბმულს და სიამით თენთავს.

გალეულა, დამდნარა ცოტნეს სხეულს შეხორცებული, ძვლებამდე დასული ჯაჭვი. დაუსრულებელი ტანჯვა, ბოლოს, ნეტარებად ქცეულა და კავკასიონის მაღალ კლდეზე მიჯაჭვული გმირი ახლა იმას ფიქრობს, სულ გაილევა თუ არა ეს ჯაჭვი, მართლა დაიმსხვრევა და მოსცილდება თუ არა უხსოვარი დროიდან შესისხლხორცებული რკინა. მაგრამ ჯერ გაწყვეტამდე კიდევ ბევრი უკლია ჯაჭვს. ამასობაში დიდი ხუთმაბათიც დადგება, მჭედლები გრდემლებზე უროს დასცხებენ და ჯაჭვი ისევ გაივსება, გამსხვილდება და გამთელდება.

მანამდე კი მისი არსებობის განუყრელ ნაწილად ქცეული, ტანზე სუროსავით შემოხვეული ჯაჭვი ათბობს და სიამის ჟრუანტელით ავსებს კლდეზე დაბმულს.

უცებ ცამ გრიალი მოიღო.

ცოტნემ თვალი გაახილა.

თენდება. მზის პირველი სხივები კავკასიონის თოვლიან მწვერვალებს გაეთამაშა და დაბლა, მიწაზე უზარმაზარი ჩრდილი დაეცა.

ის ჩრდილი ნელა წამოვიდა რწევითა და ტორტმანით და კლდეზე მიჯაჭვული მიხვდა, არწივი მოფრინავდა მისი ღვიძლის საკორტნად.

ერთ დროს იმ არწივის მოლანდებაც კი შიშის ზარსა სცემდა, მაგრამ იმის შემდეგ უთვალავმა საუკუნემ ჩაიარა და არწივის მიერ გულ-ღვიძლის მიძგნა ჯერ ჩვეულებად, ხოლო შემდგომ და შემდგომ მოთხოვნილებად ექცა.

ცოტნე მის მოახლოებაზე ძრწოლვის მაგივრად სიხარულს გრძნობს და ღვიძლის გლეჯის სიამის განცდით წინასწარ ტკბება.

მიჯაჭვულმა თვალები დახუჭა.

არწივი მხარზე დააჯდა, გუშინდელი ნაკორტნი მოძებნა, ნაჭრილობევი ბრჭყალებით გახსნა და სისხლს დაეწაფა.

სვამს და სვამს სისხლს არწივი. ცოტნე გრძნობს, როგორ მიდის სისხლი მისი სხეულიდან და ამ სისხლთან ერთად ძალ-ღონეც როგორ მიიპარება, როგორ ერევა ნეტარების მომგვრელი სისუსტე და როგორ თანდათან ეკარგება აღქმის უნარი.

მაგრამ გასაოცარი ის არის, რომ ტკივილის ნაცვლად რაღაც საამო თრობა თუ გაბრუება ეუფლება. ეს განცდა ჯერ კიდევ ასაკში შეუსვლელ, სიცოცხლის

სიამეთა განუცდელ ყრმა ცოტნეს არსებაში ერთადერთი უმაღლესი ნეტარების გახსენებას იწვევს და სიზმარში უცებ ყველაფერი იცვლება. აქამდე რომ კლდეზე მიჯაჭვულ ამირანად ხედავდა თავის თავს ცოტნე, ახლა ჩვილ ბაღდად ქცეულა და დედის ძუძუს ჩაკვრია. დედის რძე საამო სითბოთი უვსებს სხეულს ძუძუსჩაკრულ ბიჭუნას. მას ამ ქვეყნისა სხვა აღარაფერი ესმის, თავადაც იმ ძუძუს ნაწილად ქცეულა და ნეტარებით დამატრობელი სითხე გამაბრუებლად გადადის ერთი სხეულიდან მეორეში.

უცებ დედა შეინძრა.

მარტო დედა კი არა, დედამიწა იძრაო, ისე მოეჩვენა პატარა ცოტნეს, ძუძუს მოსწყდა და ნეტარ სიზმრებში წასულ ყრმას გაელვიდა:

თენდებოდა.

ლოგინიდან ჩიტოვით წამოფრინდა ყმაწვილი. ტანსაცმელი სწრაფად ჩაიცვა და ოთახიდან გავარდა.

გარეთ, კარის ეკლესიის ეზოში მოძღვარი ეგულებოდა.

ივლიანე მოძღვარი მამლის ყვივლზე დგებოდა და ყოველ დილას ხედავდა, როგორ ფრთების ტყლაშუნით მიფრინავდა არწივი კავკასიონის შორეულ მწვერვალებისაკენ კლდეზე მიჯაჭვული ამირანის გულ-ღვიძლის საჯიჯგნად.

აგერ, რამდენი წელიწადია ივლიანე მოძღვარი გატაცებით უყვება თავის მოწაფეს ცოტნე ბატონიშვილს კლდეზე მიჯაჭვული გმირის კეთილშობილებისა და კაცთმოყვარეობის, მისი დაუსრულებელი ტანჯვის სიამედ ქცევის ამბავს.

– უდიდესი ბედნიერება ის ბედნიერებაა, როცა ადამიანისათვის ტანჯვის სიმწარე სიამედ იქცევა. წამება კი მაშინ იქცევა სიამედ, როცა უკიდურესობამდე მისულ გამაბრუებელ ტკივილს ადამიანი ეჩვევა და ღრმად იმსჭვალება იმის შეგნებით, რომ კაცობრიობის სიკეთისათვის, სამშობლოსა და კაცთა მოდგმის ბედნიერებისათვის იტანჯება.

ამირანს მხოლოდ იმიტომ მიუსაჯეს სატანჯველი ღმერთებმა, რომ მან ადამიანებს ცეცხლი მოუტანა და ამით უკვდავი ღმერთების ქმნილებანი – კინალამ იმავე ღმერთების სწორი გახადა.

ყველა ადამიანს უნდა ჰყავდეს გულ-ღვიძლის მკორტნელი არწივი. ეს არწივი სამშობლოსა და ხალხისათვის ზრუნვა, ადამიანის უკეთესი მომავლისათვის გამუდმებული ფიქრია და ვისაც ეს ფიქრი არ აწუხებს, იგი კაცის სახელის ღირსიც არ არის, – არაერთხელ უთქვამს ფიქრში წასულ ივლიანეს ცოტნესათვის, მაგრამ მოძღვარს უმაღვე მოწაფის ასაკი ახსენებოდა, ღრმააზროვან მსჯელობას სწყვეტდა და ცოტნესაც და თავის თავსაც ბოდიშს უხდიდა.

– შენ ჯერ ვერ გაიგებ ამას, ყრმა ხარ, უასაკო, ოღონდ ეს იცოდე, ქრისტეცა და ამირანიც ჩვენი სიკეთისათვის ეწამენ და შენც მათ უნდა მიბამო, ჩვენი ქვეყნისა და ადამიანების სიკეთისათვის უნდა დასდო თავი, თუ უფალი ამის ღირსად გცნობს. როცა ამას შესძლებ, ის არწივი შენთანაც მოფრინდება, რომ შენი გულ-ღვიძლი ჰკორტნოს და სხვათათვის მიუწვდომელი სიამე

განგაცდევინოს. მე ეს ვერ შევძელი, ბატონიშვილო, მაგრამ შენ უნდა შესძლო, შენ ვალდებული ხარ სამშობლოსა და სარწმუნოების წინაშე!

ამირანის ამბავს ნაირნაირად მოუთხრობდა მოძღვარი ოდიშის მთავრის მემკვიდრეს.

– აი, იმ ორთავიან მწვერვალს ხედავ? – იტყოდა ივლიანე და, თვალზე ცალხელმოჩრდილებული, მეორე ხელს კავკასიონის მწვერვალისაკენ გაიწვდიდა.

– ვხედავ, მოძღვარო, – თავის ქნევით უდასტურებდა ცოტნე და შუაზე გაპოხილ თოვლიან მწვერვალს თვალმოუშორებლად გაჰყურებდა.

– ამბობენ, მაგ მწვერვალზე მიაჯაჭვეს ამირანი ღმერთებმაო. იმასაც იტყვიან, ჯერ რკინის პალოზე დააბეს, მერე ზემოდან მთა დაჰხურესო. არც ეგ ადგილია აქედან შორს, აბრსკილის გამოქვაბულს ეძახიან. ახლაც ირწმუნებიან, რომ სწორედ იმ გამოქვაბულშია რკინის პალოზე დაბმული ამირანი.

უცხო-უცხო ფერადოვნებით გამუდმებულად მონათხრობდა ამირანის ამბავმა, მოუწყინარმა შეგონებამ, რომ ყველა ჭემმარიტი ვაჟკაცი ხალხისა და სამშობლოსათვის უნდა ეწამოს, უკვე გონებაში ჩავარდნილ ყმაწვილს ოცნებად უქცია კავკასიონის ორთავიანი მწვერვალისა და აბრსკილის ქვაბების ნახვა.

ფიქრითა და ოცნებით ძილგატეხილი ცოტნე თვალს გვიან ხუჭავდა და გვიან იღვიძებდა. თავზე რომ მზე დაადგებოდა, თვალს მაშინ ახელდა და მამლის ყვილზე წამომდგარ ივლიანე მოძღვრისაკენ გარბოდა, რომ ერთხელ მაინც დაენახა ამირანის გულ-ღვიძლის საძიძვნად კავკასიონისკენ მიმქროლავი არწივი.

მაგრამ მშვიერი არწივი ოდიშზე მზის ამოსვლამდე გადაიფრენდა ხოლმე და გვიან ამდგარი ცოტნე ამაოდ ელოდა მის გამოჩენას.

ახლა ნეტარი სიზმარი, ძუძუს მოწყვეტამ რომ დაუფრთხო და გაეღვიძა, პირველად დაასწრო მზის ამოსვლას, ფეხზე წამოხტა და კარის ეკლესიისკენ გავარდა.

ივლიანე მოძღვარს ცისკრის ლოცვა დაესრულებინა, ეკლესიის ეზოში გამოსულიყო და ხელპირდაბანილი შეჭალარავებულ შავ წვერს ივარცხნიდა.

ცოტნეს ძიძიშვილ გუგუტას მოძღვრისათვის წყლის დასხმა მოეთავებინა, ცალ ხელში თუნგი ეჭირა, მხარზე პირსახოცგადაკიდებული შორიახლო იდგა, მოძღვარს რაღაცას უამბობდა და ორივე გულიანად იცინოდა.

ივლიანემ ფეხის ხმაზე პირი ცოტნესკენ იბრუნა.

– ბატონიშვილს ვახლავარ! დღეს კი ხარ ვაჟკაცი, ადრე ადგომა გინებებია! – ივლიანე მთავრის მემკვიდრეს მიეგება, პირჯვარი გადასახა და ეამბორა.

– არწივი! ამირანის არწივი! – აღმოხდა უცებ გუგუტას.

სამივემ თავი ცისკენ მოიღერა.

უზარმაზარი ფრთების ქნევით ხომალდივით სწრაფად მიცურავდა ცაში არწივი.

\_ სწორედ ის არის! \_ დაადასტურა გუგუტას ნათქვამი ივლიანე მოძღვარმა, \_ იქით მიფრინავს.

თვალს არ აშორებდნენ ისარივით სწორად და სწრაფად მიმქროლავ ფრთოსანს.

\_ მშვიერია, ჩქარობს. ახლა ნამდვილად ჰგავს ფრინველთა მეფეს და ლამაზიც არის. უკან როცა ბრუნდება ხოლმე, გამაძღარია და კმაყოფილი, დამძიმებული ზანტად მოიზღაზნება, თითქოს ფრენა მოსწყინდა და ცხოვრება ეზარებაო, \_ თქვა ივლიანემ და თვალი თავზეგადაქროლებულ არწივს გააყოლა.

გაბუტულივით ტუჩგაბუსხულ გოგონას სარკმლიდან მომდგარი მზის სხივები დაეცა.

გრძელი წამწამები შეერხა. პატარა ფუნჩულა ხელი მომუშტა და თვალები მოისრისა.

მერე მოპირდაპირე კედელს გახედა. ანგრეულ საწოლზე არავინ იწვა.

თამარი დაჩვეული იყო, როგორც თვალს გაახელდა, იმ ლოგინიდან მისი ტყუპის ცალი ცოტნე ღიმილით წამოწევდა ხოლმე თავს, თვალებზე აფარებული ხელის თითებშუა გამოხედავდა და დაუძახებდა:

\_ ჭიტაა!

რაკი ძმა ხმას არ სცემდა და არც არსად ჩანდა, თამარს სახე მოედრუბლა და თვალზე ცრემლი მოადგა.

\_ გაადიიაა! \_ გასძახა გულაჩუყებულმა.

ხმა არავინ გასცა.

ნაწყენი ლოგინზე წამოჯდა და ატირდა.

ოთახში უდღე შემოვიდა. სანდომიან გამდელს ყველაფერი უცინოდა, ჭადარაცა და თაფლისფერი თვალებიც, ფართო შუბლიც და ფეროვანი ლოყებიც.

\_ გაიღვიძე, გადია გენაცვალოს? \_ მიეყვავილა მტირალ ბავშვს, \_ შენს თვალებზე ცრემლს რა უნდა, თოლიგე! მოგიკვდეს ჩემი თავი!.. \_ მოეხვია და გულამომჯდარი გოგონა გულში ჩაიკრა.

\_ ცოტნე სად არი? \_ იკითხა თამარმა.

\_ ბატონიშვილი დღეს ადრე ადგა.

\_ უჩემოდ ადგა და გაიპარა, არა?

\_ არა, თოლიგე, სად უნდა გაპარულიყო?

\_ თბილისს ვაპირებდით გაპარვას, იქ დიდ თამარს უნდა ვხლებოდით; ცოტნე და გუგუტა თამარის ლაშქარს შეუერთდებოდნენ და საქართველოს მტრებს შეესეოდნენ, \_ თამარმა ხმას დაუწია, \_ რა ხანია, საიდუმლოდ ვემზადებოდით გასაპარად. ყოველდამ, შენ რომ გგონია, ბავშვებს უკვე სძინავთო, თვალდახუჭული, თავმომძინარებული ვუცდით ხოლმე შენს გასვლას. როგორც კი ჩაგვკოცნი და ფეხაკრეფით გახვალ, ცოტნე თვალს დაჭყიტავს, ჩემ



ლოგინთან მოდის, სასთუმალთან ჩამომიჯდება და სულ იმას ვოცნებობთ, როგორ გავიპაროთ.

– შენ სადღა უნდა გაიპარო, ჩემო ანგელოსო, შენც ომში უნდა წახვიდე?

– არა, მე თამარის კარზე დავრჩები, დედოფლის ამაღლაში.

– ოო, ეს ცუდად როდი განგიზრახავთ, მაგრამ მე რას მიპირებთ? მე არ წამიყვანთ?

– შენა? შენზე არ გვიფიქრია... ვეტყვი და შენც წაგიყვანთ. აბა, უშენოდ როგორ წავალთ... ცოდვა ხარ.

– მარტო როგორ გავძლებ უთქვენოდ... აბა, ახტი, გენაცვალე, ჩავიცვათ და ცოტნე მოვძებნოთ.

– თუ გაპარულია?

– დავეწიოთ და დავაბრუნოთ.

– ოღონდ, დედას არ გავაგებინოთ.

– არა, ნუ გავაგებინებთ, \_ იცინოდა ბავშვის ტიტინით გახარებული გადია, გოგონას თავს დასტრიალებდა, ტანთ აცმევდა და კოცნიდა.

ჩაიცვა თუ არა, თამარი ოთახიდან შურდულივით გავარდა. ჩვეულება დაარღვია, დიდი ქალბატონის საწოლში დილა-მშვიდობის სათქმელად და საამბორებლად არ შევიდა, ეზოსკენ დაეშვა და გაიქცა.

გადია მისდევდა, მაგრამ ვერ ეწეოდა.

თამარი თვალების ცეცებით გარბოდა.

შინაყმები გზას უთმობდნენ, თავს დაბლა უხრიდნენ და უღიმოდნენ.

ცოტნე ეზოში არ ჩანდა. უნდოდა შეჰკითხოდა ვისმე, ხომ არ გინახავთო, მაგრამ საიდუმლოს გამჟღავნებისა ეშინოდა, ხმის გაუცემლად მსახურებს წინ გაურბენდა და აწყვეტილი თიკანივით მიხტოდა.

– თამარ! მომიცადე, დავიღალე... \_ მისმახოდა გადია, მაგრამ თამარი სირბილს უფრო უმატებდა.

ბოლოს, ეზო რომ თითქმის გაირბინა და თვითონაც დაიქანცა, საგონებელში ჩავარდნილი შეჩერდა.

– ქაჯი ხარ, გოგო კი არა, \_ საყვედურით მიუახლოვდა გამდელი, \_ გული ამომივარდა ამდენი სირბილით...

აქოშინებული გადია სულს ძლივს ითქვამდა. გაფითრებული თამარის გვერდით დაეშვა და კუნძზე ჩამოჯდა.

– უი, რატომ არ გამახსენდა, თეთრონით აპირებდა წასვლას. თუ თეთრონი საჯინიბოში არ არის, წასულა!

– აგერ, ცოტნეს თეთრონი! \_ ხელი გაიშვირა გამდელმა.

მეჯინიბეს თეთრი ულაცი მოჰყავდა. ნესტოებდაბერილი კვიცი თვალების ფეთებით, თამაშ-თამაშით მოდიოდა. იტყოდი, მიწას ფეხს არ აკარებსო.

– ცოტნე ბატონიშვილი არ გინახავს, ოტია? \_ გასმახა გადიამ.

– არა, ბატონო, არ მინახავს, \_ უპასუხა მეჯინიბემ, თავი დახარა და წელში მოლუნული მიესალმა:

– დილა მშვიდობისა!

– მე ვიცი, სადაც იქნება! – წამოიძახა უცებ ფიქრში წასულმა თამარმა, – მოძღვართან იქნება, მამა ივლიანესთან.

თამარმა გადიას ხელი ჩაჰკიდა, გამდელი წამოდგა და მიჰყვა.

– რაც ეგ მოძღვარი გამოჩნდა, აღარავინ ვახსოვართ, გული სულ მისკენ მიუწევს.

– ოო, ეგ კარგია, თოლიგე! ყრმას რომ მწვრთნელი უყვარს, ბედნიერებაა. საღვთო სჯულს ისწავლის, ქვეყნის ავ-კარგს გაიგებს. მემკვიდრე ბატონიშვილი განათლებული და მცოდნე უნდა იყოს, რომ მეფის კარზე გამოჩნდეს და სახელმწიფოს საქმეები განაგოს.

– საღვთო სჯულს სულ არ ასწავლის მამა ივლიანე. ბერძენთა და ლათინთა ზღაპრებს, მეფეებისა და ომების ამბებს უყვება და მერე იმის მონაყოლს მე მიაშობს ხოლმე... შუალამემდე არ მაძინებს.

– ეგეც საჭიროა ბატონიშვილისათვის, რომ დავაჟკაცდება, მეფეებთან და მთავრებთან უნდა იტრიალოს, ომიც ბევრი უნდა გადაიხადოს და განსაცდელიც მრავალი უნდა ნახოს.

აღმართი აათავეს და მამაკაცის როხროხი მოესმათ.

– მაგას რას ბრძანებთ, გუგუტა ბატონო! რაც დედამიწის ზურგზე ხალხია, ყველა ქართულად როგორ ილაპარაკებს! – სიცილით ამბობდა სამფეხა სკამზე ჩამომჯდარი ივლიანე.

მოძღვარს ხელში ჯოხი ეჭირა და მიწაზე რაღაცას ხაზავდა.

კარის ეკლესიის გვერდით, ჩრდილში ისხდნენ ივლიანე მოძღვარი, გუგუტა და ბატონიშვილი. მოძღვარს ანაფორის კალთები მუხლებზე აეკეცა, ჯოხს მიწაზე დაატარებდა და ომახიანად მეტყველებდა:

– დედამიწაზე, როგორც ბუნებაა ნაირნაირი, ისე ხალხები და ენებიც ნაირნაირია. ყველა ხალხს თავისი ენა აქვს ერთმანეთისაგან განსხვავებული.

– მერე ერთიმეორეს როგორ აგებინებენ? – იკითხა გუგუტამ.

– ერთმანეთის ენას სწავლობენ. ვინც მეტი ენა იცის, მას მეტ პატივსაც სცემენ. აი, ცოტნე ბატონიშვილმა ბერძნული ხომ იცის! სპარსულსა და არაბულსაც შევასწავლი და დიდი თამარის კარზე რომ მოხვდება, სირცხვილს არ სჭამს. განათლებულ მეფეებს იმას არ ათქმევინებს, ოდიშის მთავარს უწვრთნელი შვილი ჰყოლიაო.

– სულ რამდენი ენა არის ქვეყანაზე? – იკითხა სმენად ქცეულმა ბატონიშვილმა.

– ბევრი. რამდენი ერიც არის, იმდენი ენაა.

– ერი? ერი რამდენილა არი?

– მაგას ვინ მოსთვლის, ბატონიშვილო! ზოგი ერი მრავალრიცხოვანია, დედამიწის დიდი ნაწილი უპყრია და მის ენაზე ურიცხვი ადამიანი ლაპარაკობს. მაგრამ სულ მცირე ერებიც არიან. მე თვითონ მინახავს: კავკასიონის მთებში, ზოგიერთ პატარა სოფელში იმისთანა ხალხი ცხოვრობს, რომლის ენაც იმ სოფლის იქით, მთელ დედამიწის ზურგზე არავის ესმის.

ყმაწვილები მიწაზე ჯოხით გამოყვანილ ნახაზს დაჰყურებდნენ: ოსტატს ქვიშაზე ორი ზღვა მოეხაზა, შუაში მათ თავზე სქელი დაკლაკნილი ხაზი გაეწვლო.

– ზღვა რამდენილა არის ქვეყანაზე, ოსტატო? ზღვაც ბევრია?

– ბევრი?.. არც ისე ბევრია, თითებზე ჩამოითვლება. იმ ზღვათაგან ორი საქართველოს სამეფოს ეკვრის, – მოძღვარმა ჯოხით ორი ზღვის შუა წრე მოხაზა, – დასაბამიდან ჩვენი მოდგმა დასავლეთით შავ ზღვას იყო მიბჯენილი. ჩვენი წინაპრები სულ იმას ცდილობდნენ, აღმოსავლეთით კასპიის, ანუ გურგენის ზღვას მისწვდომოდნენ და ორ ზღვას შუა გაეშალათ მხრები. ქართველთა ეს საუკუნო ნატვრა ახლა ისხამს ხორცს, ჩვენს თვალწინ. მას შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა საქართველოს ძლიერი სახელმწიფო შექმნა, ღონემოცემული ქართველობა ერთნაირი დაჟინებით მიიწევეს აღმოსავლეთითა და სამხრეთით. ჩრდილოეთით ჩვენი ბუნებრივი საზღვარი კავკასიონის ქედია, – ივლიანემ სქლად დაკლაკნილ ხაზს გააყოლა ჯოხი, – თუ აღმოსავლეთითაც ასეთივე ბუნებრივ საზღვრად კასპიის ზღვა დავიდევით, ამის შემდეგ გამრავლებულსა და გაძლიერებულ ქართველთა მოდგმას შორს გაწევისა და მიწა-წყლის გაფართოებისათვის სამხრეთილა რჩება.

– შავი ზღვა მარტო ჩვენია, ქართველების? – იკითხა ისევ გუგუტამ.

– არა, შავი ზღვა ბერძნებისა და მრავალთა სხვათა კუთვნილებაც არის.

– სხვათა კუთვნილება რად უნდა იყოს, ზღვა ხომ ჩვენს ნაპირთან არის?

– ეგრე და უმეტესად სხვათა ნაპირთანაც არის შავი ზღვა, ადრე ჩვენი ნაპირი უფრო მცირე იყო, მაგრამ იმის შემდგომად, რაც ღვთივგვირგვინოსანმა თამარმა თავისი სამეფო განავრცო და გააძლიერა, საქართველოს წილმა ნაპირმა იმატა და ახლა ტრაპეზუნდამდე და სინოპამდე აღწევეს ჩვენი ზღვა.

– ეგ შორს არი?

– შორს არი, ძალიან შორს, აი თითქმის აქამდე. – მოძღვარმა ჯოხით საქართველოს სამხრეთით შავი ზღვის სანაპიროს მოზრდილი ნაწილი შემოხაზა.

– ეს მიწა-წყალი სულ ლაზებით არის დასახლებული. ლაზებს ენაც ჩვენი აქვთ და ზნე-ჩვეულებაც, მაგრამ მათი სამკვიდრო ანგარ ბერძნებს ჰქონდათ მიტაცებული. მეფეთ მეფე თამარმა წაართვა ბერძნებს ჩვენი სანაპირო და ახლა ბაგრატიონთა ნათესავი კომნიანოსი ზის ტრაპიზონის ტახტზე კეისრად.

– ეს მეორე ზღვა? – ახლა ცოტნემ იკითხა და აბრეშუმის ჭიის მსგავსად მოხაზულ მიწის მონაკვეთს დააცქერდა.

– ეგ ზღვა უმთავრესად სპარსელებისაა, თუმცა ერთი ნაწილი საქართველოს ტახტის ერთგულ შირვანშაჰებს უპყრიათ. დადგება დრო და ეგ ზღვაც მთლიანად ჩვენი იქნება. სპარსეთი დასუსტებულია და ქართველთა წინააღდგომის ღონე აღარა აქვს. ამიტომ დალაშქრეს ეგრე ძლევაძმოსილად ყაზვინი და რომგური მხარგრძელებმა და შენმა დიდებულმა მამამ. დახე, რა გზა გაიარეს!

ივლიანემ ქართველთა ლაშქრის მიერ განვლილი გზა ქვიშაზე გრძელი ხაზით გამოსახა.

– ეს ქალაქებიც ძალიან შორს არის! აგერ, რა ხანია, გამარჯვების მხარობელი მოვიდა ხორასნიდან. თვეზე მეტია ველით ღვთივბედნიერად შემოქცეულთ და თბილისს მხოლოდ ამ ერთი კვირის წინ მოსულან.

მიწას ჩაშტერებულმა გუგუტამ თავი ასწია და თვალთ ცოტნეს რაღაც ანიშნა.

ცოტნე მიწაზე გახობდა. ბალახის ღერზე ასული ჭიამაია ფრთხილად აიყვანა, ხელისგულზე დაისვა და დააცქერდა.

მოდღვარმა ბატონიშვილის უყურადღებობა შენიშნა, შუბლი შეიკრა და დადუმდა.

– ფრინდი-ფრინდი, მათა, ხვალ თუ კარგი დარია! – ხმადაბლა იმეორებდა ლექსს ცოტნე და ხელისგულზე მიმლოდავ ლამაზ მწერს სახეგაბრწყინებული დაჰყურებდა.

– ფრინდი-ფრინდი, მათა! – ბუტბუტებდა ცოტნე, მაგრამ ჭიამაია ფრთების გამლას არ ჩქარობდა.

– აი, სად ყოფილან! – გაისმა გადიას ხმა და ცოტნე შეკრთა. თამარისა და გამდელის დანახვაზე ბატონიშვილს თვალეზი გაუნათდა, მინდვრის ყვავილების კონას დასწვდა და მათკენ წავიდა.

– რა ხანია გეძებთ! სად დაგვეკარგე, არც პირი დაგიბანია, არც საუბზე მიგირთმევიან.. – საყვედურით მიმართა გადიამ.

ცოტნე გამდელს ყურს არ უგდებდა, განზე გამდგარი თამარისკენ ფრთხილი ნაბიჯით მიდიოდა, წინგაშვერილ ხელისგულზე ჭიამაია დაესვა, მეორე ხელში ყვავილები ეჭირა და იმ ხელს ჭიამაიას ზემოდან აფარებდა, რომ უცებ არ გაფრენოდა.

თამარი მისკენ არ იხედებოდა.

ცოტნე მივიდა, ლოყაზე აკოცა და ორივე ხელი გაუშვირა.

– დახედე!

გაბუტული გოგონა ჯიუტობდა, მისკენ თავის მობრუნებას არ აპირებდა.

– შენია! ეს ყვავილებიც შენთვის დავკრიფე!

– რატომ მეც არ გამაღვიძე? – წყენით თქვა თამარმა და ძმაზე გულმობრუნებულმა თავიც მიიბრუნა.

უცებ ცხენის ფეხის ხმა მისწვდათ.

– მოდიან... მოდიან... – გაისმა ძახილი.

ცხენოსანმა გაქაფული ლაფშა ჭიშკართან მოაგდო, დაიქვეითა და ეზოში შემოსულმა ხმამალლა დაიძახა:

– დიდი მთავარი მობრძანდება!

ეზო-კარში ერთი გნისასი ატყდა.

სამზადიდან და მარნიდან, თორნიდან და საჯინიბოდან მსახურნი და შინაურნი დაფეთებულნი გამოცვივდნენ. იქაურობა აჩოჩქოლდა და

აფორიაქდა. შეიქნა ერთი ძახილი და მოხმოზა, წინ და უკან სირბილი, გაქცევა და გამოქცევა.

მთავრის მეუღლე ნათელა თავდაუბურავი გამობრძანდა აივანზე, მაცნედ დაწინაურებული მთავრის მხლებლისაგან ქმრის მოახლოების ამბავი მოისმინა, მახარობელი საჩუქრებით აავსო და სწრაფადვე შინ შებრუნდა.

მთავრის მეუღლე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი იყო. სანატრელი შერგილის დაბრუნებას ასე უეცრად არ ელოდა და ახლა მისი შეხვედრის მოლოდინით აღელვებულს გული საგულეში აღარ უდგებოდა.

ფარეშები თავს დასტრიალებდნენ, ჩქარობდნენ, ჩაცმასა და დავარცხნას შველოდნენ. მაგრამ ნათელა ვერ ისვენებდა, თვალი და ყური ჭიშკრისკენ ჰქონდა, ეშინოდა, ამდენი ხნის უნახავ ქმარს კოხტად ჩაუცმელ-დაუხურავისთვის არ მოესწრო.

ქალბატონი წარბ-წამწამს ისწორებდა, სარკეში იცქირებოდა და თან განკარგულებებს იძლეოდა, ბავშვებისთვის ტანთ რა ჩაეცმიათ, მთავარს წინ ვინ შეგებებოდა, სუფრა სად გაეშალათ, ნამგზავრთათვის სამწყურვალოდ რა მიერთმიათ და სტუმრად ვინ მოეპატიჟნათ.

ნათელამ ერთხელ კიდევ შეავლო თვალი სარკეში თავისთავს და საკუთარი მშვენიერებით კმაყოფილი საწოლიდან გამოვიდა.

გამდელმა კოხტად დავარცხნილი, სადღესასწაულოდ გამოწყობილი ბავშვები წარუდგინა.

დედამ ტყუპებს მიუალერსა, ჩაცმულობა მზრუნველად გაუსინჯა, ჩაჰკოცნა, შუაში ჩაუდგა და მათთან ერთად კიბეზე დაეშვა.

ცხენების თქარათქურის ხმა მოახლოვდა.

ფართოდ გაღებულ ჭიშკარში ცხენდაცხენ შემობრძანდა მთავარი. მსახურები აღვირსა და უზანგს ეცნენ. შერგილი უნაგირიდან გადმოეშვა, დაიქვეითა, წინ მიგებებულ კარის მოძღვარს თავდახრილი მიუახლოვდა და ლოცვა-კურთხევა მიიღო.

ის იყო მოძღვრის ხელის სამთხვევად დაიხარა, რომ კალთაზე ბაღლები აეკვრნენ.

– მამა! მამილო!

– ამიყვანე, მამიკო!

ხელს ხვევდნენ და ფეხებში ებლანდებოდნენ ბავშვები.

შერგილი დაიხარა, ცალ-ცალი ხელით ძლივს აიყვანა ქალ-ვაჟი და გულში ჩაიხუტა.

ბავშვები ეკვროდნენ, კოცნიდნენ. გულაჩუყებულ ბუმბერაზს თითქოს ეშინოდა, ხელიდან არ გამივარდესო, ბაღლები მკლავებში ჰყავდა მოქცეული. ხელებს ვერ ითავისუფლებდა, ტყუპებს თავითა და პირისახით ელამუნებოდა, კოცნიდა და საალერსო სიტყვებს ებუტბუტებოდა.

გულზე ბაღლებახუტებული მიეახლა მეუღლეს, ბავშვები ძირს ჩამოსვა და თუმცა ცოლის მოხვევა გულით უნდოდა, ხალხში თავშეკავებულად მიესალმა, მხოლოდ მხარზე ეამბორა.

სახლობა თბილისიდან ჩამოყოლილ სტუმრებს წარუდგინა და ცოლ-შვილით წინ დაიძრა.

ახლობლებსა და შინაურებს დანატრებული, ყველას გულითადად ესალმებოდა, ხელს ართმევდა, ზოგს ეხვეოდა და ჰკოცნიდა, მარჯვნივ და მარცხნივ თავს უკრავდა და ღიმილს აფრქევდა.

იმ დღეს ღარიბთა და ქვრივ-ობოლთათვის უამრავი საბოძვარი გასცეს მთავარმა და მისმა თანამეცხედრემ.

საკლავი უანგარიშო დაიკლა და სეფაში გრძელი სუფრა გაიშალა. მთავარი თავს ძალას ატანდა, იცინოდა და ენაწყლიანობდა, რომ თავისიანებს მხიარული ჩვენებოდა. ისე კი, თავის ტკივილი აწუხებდა, თვალი უბრჭყვიალებდა და ტანში უჩვეულო სიმხურვალეს გრძნობდა. მოყვარული ცოლის თვალს რა დაემალებოდა და, ნათელას პირველი შეხვედრისთანავე არ ექაშნიკა ქმრის წამოწითლებული სახე და ამღვრეული თვალები.

მერე და მერე, სუფრაზე გვერდით მჯდარ ქმარს რომ რამდენჯერმე ნებსით თუ უნებლიეთ შეეხო, მისი სხეულის უჩვეულო სიმხურვალემ შეაკრთო.

ძილადმიდრეკილივით თავს ძლივს იკავებდა მთავარი, ცდილობდა, სუფრაზე გამართულად მჯდარიყო, მაგრამ ვერ ისვენებდა, ბორგავდა და ხვნეშოდა.

ნათელა შეშფოთებული შეჰყურებდა, ჩვეულებრივ, ლხინის სულსა და გულს, დარდიმანდობით ცნობილი შერგილის უცნაურ ქცევას: სახეშეცვლილი იჯდა მთავარი, იცინოდა, მაგრამ უფრო მოწყენილსა ჰგავდა, ხუმრობდა და არ გამოუდიოდა.

– შეუძლოდ ხომ არ ბრძანდები, ბატონო? – წასჩურჩულა ნათელამ სადღეგრძელოს სათქმელად ფეხზე წამომდგარ მთავარს.

– უღონოდ ვარ, ალბათ, გრძელი გზის ბრალია, – ნაძალადევად გაუღიმა შეწუხებულ მეუღლეს შერგილმა.

მთავარმა სადღეგრძელო ენის ბორძიკით თქვა მოკლედ და სასმისი დაცალა.

დაჯდა თუ არა, თავბრუს ხვევამ უმატა.

ერთხანს არ იმჩნევდა, ლხინის გაუგემურება არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს თავის ტკივილი მიეძალა და გულის რევა ვეღარ შეიკავა. ბოდიშით წამოდგა, ახლავე მოვალო, წაიდუდუნა და გავიდა.

შეშინებული ნათელა უკან მიჰყვა ქმარს.

გულის რევამ დედის რძე აღარ შეარჩინა შერგილს.

შუბლზე ჭირის ოფლი გადასდიოდა ფერდაკარგულსა და ღონეგამოცლილ მთავარს.

ავადმყოფი ლოგინში დააწვინეს და ექიმები იხმეს.

ჯერ საჭმელს დააბრალეს, ნამდვილად რაღაცამ აწყინაო.

ორ დღეს ნაწყენს მკურნალობდნენ, მაგრამ წამლებმა ვერა არგეს რა.

გულს ისევ აზიდებდა, ძვლებში ამტვრევდა და სიცხე უმატებდა, ვიღაცამ თქვა, გათვალულიაო.

მაშინვე გამომლოცველები მოუყვანეს.

ჩოქვით უარეს ყელზე ღვლეჭმობმულებმა, სლოკინითა და მთქნარებით ულოცეს, მაგრამ ვერც ამან უშველა.

მეოთხე დღეს მთელ სხეულზე შავად გამოფინა მთავარს.

– ნამდვილად ბატონებია, ან სხვა რამ გადამდები სენი, ბავშვები მოარიდეთ, თქვენც ნუ მიეკარებით, – დაარიგეს ექიმებმა მოუცილებლად სნეულის თავთან მოფუსფუსე ნათელა.

იმ დღესვე ორივე ბავშვი გამდელითურთ ქუთაისს გახიზნეს ნათელას მშობლებთან და სატახტოში კაცი აფრინეს.

დიდად შეაწუხა თურმე ცოტნეს ნათლია – გულმოწყალე თამარი რომგურის გმირისა და მისი ტახტის ერთგული მთავრის ავადმყოფობის შეტყობამ, მაშინვე სამეფო კარის მკურნალი გაგზავნა ოდიშს. ნათელა ძვირფასი საჩუქრებით მოიკითხა და ნუგეშის წერილიც მოაყოლა.

მეფის მკურნალს სხეულის დანახვისთანავე ეცვალა ფერი.

– სწორედ ის არის, რისიც მეშინოდა, – განაცხადა საგონებელს ჩავარდნილმა. – ირანიდან მობრუნებულ რამდენიმე მხედარს ქართლსა და კახეთშიაც გამოაჩნდა ეს სნეულება. უცნობი სენია და წამალი არა უდგება რა.

შეშფოთებულ მთავრის მეუღლეს მკურნალმა ცალკე გაანდო, – სნეულება გადამდებია, მომვლელის მეტი არავინ მიეკაროსო. ნათელა ქმრის მოვლას არავის უთმობდა. ძალით გამოიყვანეს ავადმყოფის ოთახიდან, მაგრამ იქაურობას მაინც არ გაშორდა. დღენიადაგ კართან იდგა მოყურადებული და ღამეებს თეთრად ათევდა.

სნეულს თავის ტკივილი არ ეხსნებოდა. მერე ის იყო, თვალები აეწვა საშინლად, სინათლეს ვეღარ იტანდა და შუქს თვალს ვეღარ უსწორებდა.

ერთთავად თვალდახუჭული არც არაფერს ნატრობდა, არც ვისმეს ნახვის სურვილს აცხადებდა.

იწვა სიცხისაგან მივარდნილი და სნეულებასთან ბრძოლის ხალისს აღარ ამჟღავნებდა.

ერთ დილას თვალი გაახილა და ვერაფერი დაინახა.

– როდის გათენდება, ექიმო, ეს ღამე რა გაუთავებლად გაგრძელდა! – ხმადაბლა თქვა შერგილმა.

– დიდი ხანია გათენებულია, მთავარო!

– მერე რატომ ვერაფერს ვხედავ? – მთავარს ხმაში შეშფოთება შეეტყო.

მკურნალი წამოდგა, ავადმყოფთან დაიხარა და დააკვირდა.

– თვალი თითქოს გახელილი მაქვს...

– გახელილი გაქვთ, მთავარო, ორთავ თვალი.

– მერე რატომ ვერაფერს ვხედავ?

– მე ვერ მხედავთ?

ღია კარში შეშინებული ნათელა იდგა.

– ვერც თქვენს მეუღლე ქალბატონს ხედავთ?

– ვერა, ვერც შენ გხედავ, ვერც მეუღლეს... ვერც ვერაფერს... ნუთუ... ნუთუ დავბრმავდი?! – აუკანკალდა ხმა მთავარს და ბაგეები სატირლად აუთამაშდა.

– მაგას რას ბრძანებთ, მთავარო! ცოტა ხნით, ალბათ, ბინდი გადაგეფარათ და გაგივლით, – ანუგეშებდა ექიმი, მაგრამ თავის ნათქვამისა თვითონ არ სჯეროდა და შეშინებული დაჰყურებდა ბინდგადაკრულ, უაზროდ მზირალ თვალებს.

მთავარმა ერთი ყრუდ დაიგმინა, საბანი თავზე წაიხურა და ოთახში დაგუბული ქვითინი გაისმა.

ორი კვირის თავზე ავადმყოფს სიცხემ უკლო, ნელ-ნელა მოხედვა დაეტყო და ექიმებს იმედი მიეცათ.

გახარებულ მკურნალებს ის ადარდებდათ, სწეულს რომ თვალში ნათელი არ უბრუნდებოდა, მაგრამ ავადმყოფს ძველებურად ამხნეებდნენ, დრო გავა, თვალი დაგიბრუნდებაო. შერგილსაც სჯეროდა და სამზეოსა და ცოლ-შვილის დანახვას მონატრებული, გაორკეცებული ძალით ებრძოდა სწეულებას.

თითქოს ყველაფერი უკეთესობისაკენ იწყებდა შემობრუნებას დადიანების ოჯახში.

მაგრამ ერთ დღეს ნათელამაც ვეღარ აიტანა სხეული ლოგინიდან. გულის რევა და თავის ტკივილი ცუდად ენიშნათ ექიმებს. ეჭვი მალე დადასტურდა, მთავრის მეუღლეს ქმრის სენი აღმოაჩნდა.

დედულში გახიზნულ ბატონიშვილებს გუგუტაც თან ახლდა.

ნათელას ძმის მამულები გელათის ახლო იყო. ბალ-ვენახებით დაფარული ფერდობები, მწვანე მინდვრები და ქოჩორა ტყეებიანი გორაკები ბავშვებს სულ თავისკენ იზიდავდნენ და შინ გული არ უდგებოდათ. ცოტნესა და თამარის ძიძიშვილი უკვე ჭკუაში ჩავარდნილი ყმაწვილი იყო. მთავრის შვილების გულისათვის წყალში ჩადგებოდა გუგუტა. მასავით ერთგული ბატონიშვილებს სხვა არავინ ჰყავდათ და ამიტომ, როცა ბავშვები მასთან ერთად ეგულებოდათ, უფროსები არხეინად იყვნენ.

ეზოში რომ ბავშვებს თვალს ვერ მოჰკრავდნენ, ჯერ გუგუტას მოიკითხავდნენ, ბატონიშვილებთან ერთად არისო, შეიტყობდნენ და დამშვიდებულნი ძებნას ეხსენებოდნენ.

გუგუტას დედა რომ დადიანების სახლში მოიყვანეს, გუგუტა სამიოდე წლისა იქნებოდა. უდუს მაშინ ძუძუთა ბავშვი ჰყავდა. მთავრის ტყუპებს დედის რძე არ ჰყოფნიდათ და გუგუტას მომდევნო დის ძუძუს მოზიარეები გახდნენ. გუგუტა ჯერ იმოდენა არ იყო, რომ შინ უდედოდ დაეტოვებინათ. ამიტომ ისიც თან მოჰყვა დედას და მთავრის სახლში ბატონიშვილებთან ერთად ცხოვრობდა. საკუთარ ქალ-ვაჟსა და ძიძიშვილებს ერთმანეთში არ არჩევდნენ შერგილი და ნათელა. ბავშვები აკვნიდანვე შეეჩვივნენ და შეეთვისნენ ძიძიშვილს. პატარა თამარი უიმისოდ ფეხს არსად დგამდა და გუგუტასაც საკუთარ თავზე მეტად უყვარდა მთავრის ასული. ძიძიშვილი



ყველაფერი იყო თამარისათვის, ძმაცა და მზრუნველიც, მსახურიცა და მფარველიც. გუგუტა ბატონიშვილებზე სამიოდე წლით უფროსობას იფერებდა და მათთან თავი მოზრდილივით ეჭირა.

უკვე ცამეტი წლის გუგუტას თავის სიჭაბუკის აღიარებად მიაჩნდა ბატონიშვილების ხლება, მთავრის ოჯახისაგან ესოდენ დიდი ნდობის გამოცხადება. თავისი ასაკისა და ამ ნდობის შეგნებამ პასუხისმგებლობა გაუორკვეცა, ბატონიშვილებს აჩრდილივით თან დასდევდა, მათ სიმშვიდეს დარაჯობდა და მათი სურვილის ასრულებას ვერავინ ასწრებდა.

სოფლის ლაღმა შვილმა მარტო გამოქვაბულები და ჩიტის ბუდეები კი არ იცოდა, ზღაპრების გუდა მუდამ სავსე ჰქონდა და, ყველა შესაფერის შემთხვევაში, რუსთაველის სტრიქონებს იმოწმებდა.

– გუგუტა, ზღაპარი გვიამბე! – შეეხვეწებოდა ძილის წინ თამარი და ცოტნეც მხარს აუბამდა.

– გუგუტა, აი ის გვიამბე მარგალიტის ცრემლებისა.

გუგუტა ბევრს არ ახვეწინებდა. – იყო და არა იყო რა, იყო შაშვი მაგალობელი... მოჰყვებოდა გატაცებული და მსმენელებსაც იტაცებდა იმ ზღაპრული ქვეყნებისაკენ, სადაც უძლეველი გმირები ცხრათავიან დევებს ამარცხებდნენ, ნაცარქექიები ქვას წვენს ადენდნენ და მზეთუნახავი ასულები ხალიჩებით ცაში დაფრინავდნენ.

ფერიცვალება დღეს მარუშიანთა ოჯახი გელათისაკენ დაიძრა.

პატარა თამარი დილიდანვე ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ იმის შიშით, წირვაზე არ წამიყვანენ და გელათს ვერ ვნახავო, თავის ტკივილი არავის გაუმხილა.

წირვა დიდხანს გაგრძელდა. გოგონა ისედაც ფეხზე ჩამოსწყდა, თავბრუსხვევამ და ტანში მტვრევამ უმატა. გუმბათიდან მოწყალედ მზირალ ღვთისმშობელს ამღვრეული თვალებით მისჩერებოდა თამარი. სოფიის კენჭებით დახატული წმინდა ქალწული უცნაურად ქანაობდა, ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა და მაღლა მიშტერებული ბავშვის სიცხიანი თვალები მოუსვენრად მოძრაობდნენ. ბოლოს გულის ზიდება დააწყებინა და შუბლზე ცივი ოფლი დაასხა. აქ გული არ ამერიოსო, გაიფიქრა და ბარბაცით კარისკენ წავიდა.

უფროსებს საყდრიდან თამარის გასვლა არ შეუმჩნევიათ. მხოლოდ თვალმოუცილებლად მისკენ მზირალმა გუგუტამ დაინახა, როგორ გაჭირვებით მიიკვლევდა გზას თამარი მლოცველებში. თვითონაც უკან მიჰყვდა და ტაძრის კართან ჩაკეცილ თამარს რომ წამოეწია, ბევრი არ უფიქრია, ბატონიშვილი ხელში აიტაცა და შინისკენ გააქანა.

მარუშიანთა სახლი ფეხზე დადგა.

თამარი სიცხისაგან გათანგული იწვა; გულისრევისაგან მისუსტებული თვალებს უაზროდ ატრიალებდა და ნარბენივით ქოშინებდა. აფორიაქებული ბიძა და ბიცოლა ავადმყოფის ლოგინს არ ტოვებდნენ, ერთმანეთს შეშფოთებულნი მისჩერებოდნენ და უსიტყვოდ გამოხატავდნენ უზომო შიშს რაღაც დიდი უბედურების წინაშე.

შერგილისა და ნათელას ავადმყოფობის ამბავს ყოველ დღე იგებდნენ. თამარის სწეულების ნიშნები ზედმიწევნით ჰგავდა ყოველივე იმას, რაც ოდიშის მთავრისა და მისი მეუღლის სწეულებისა იცოდნენ და, აბა, როგორ არ შეშინებულ იყვნენ!

თამარს მაშინვე მოაშორეს ცოტნე და თავიანთი შვილები. ექიმები მოიყვანეს და, ჯერ კიდევ იმედიანები, ლოცვითა და ლიტანიით ავედრებდნენ უფალს უცოდველი ბავშვის განკურნებას.

მეოთხე დღეს თამარმა მოიხედა, გამოცოცხლდა და გახალისდა. მარუშიანების სახლში ისევ შუქი ჩადგა.

მეხუთე დღეს ავადმყოფს სიცხე დაუფარდა.

ექიმებმა შვევით ამოისუნთქეს, საშიში აღარაფერიაო დაასკვნეს, და ახლობლებს თამარის ოთახში შესვლის ნება დართეს.

როგორც კი ზღურბლს გადასცდა ცოტნე, თამარმა ხელები გაასავსა:

– ახლოს არ მოხვიდე, არ მომეკარო, თორემ ვიტირებ.

ბატონიშვილი შეცბა. დაბნეული შედგა.

თამარი მიხვდა, რომ ნათქვამი ცუდად გამოუვიდა.

– ძალიან მომენატრე, ცოტნე, მაგრამ ახლოს მაინც ნუ მოხვალ, ჯერ სულ მორჩენილი არ ვარ და არ გადაგედოს.

ცოტნეს გაეცინა.

– შენ არაფერი გჭირს და მე რა გადამედება, – მშვიდად თქვა ცოტნემ და შორიახლო სკამზე ჩამოჯდა, – მალე ფეხზე დადგები და ისევ ერთად ვირბენთ.

– ექიმებიც აგრე მპირდებიან... რომ მოვრჩები, გელათში წამიყვან?

– წაგიყვან, თოლიგე, შენ ოღონდ მორჩი.

– რა ლამაზი ყოფილა გელათი! იმ დღეს კარგად ვერ მოვასწარი დათვალიერება.

– რამდენი ხალხი იყო! შენ ადრე წამოუყვანიხარ გუგუტას და, ალბათ, არ გინახავს – მოჰქონდათ და მოჰქონდათ საკურთხი, ეზო აივოს პურ-ღვინითა და ხილით.

– ყურძენიც იყო?

– კი, ყურძენიც იყო. ფერიცვალება დღეს პირველად აკურთხებენ თურმე ყურძენს და მერე შეიძლება ჭამა. რომ იცოდე, რა ტკბილი ყურძენი იყო!

– ნეტავი, მეც გამესინჯა!

– ძალიან გინდა ყურძენი? გენატრება?

– ძალიან მენატრება!

– გინდა, მოგიტანო?

თამარმა ტუჩებზე თითი მიიღო. ანიშნა, არავინ გაგვიგონოსო.

– გუგუტას ვთხოვე და შემპირდა.

იმ ღამესვე თამარს კუჭი აეშალა და გულის რევაც ხელახლა დაეწყო.

ექიმმა სასთუმალთან დამალული ყურძნის რამდენიმე კუფხალი იპოვა და ყველაფერი იმას დაბრალდა.

შეიქნა გამოძიება.

თამარმა დამნაშავე არ გათქვა.

სამი დღე უყურეს ავადმყოფს. გამომჯობინების მაგივრად საქმე უარესობისაკენ მიდიოდა. ბოლოს ბიძამ და ბიცოლამ სხვა ვედარა იღონეს რა და, ოდიშის მთავარს შეატყობინეს. ჯერ კიდევ ნათელას დასწრელებით გამოწვეულ ელდას არ გაეგლო, რომ ქუთაისიდან თამარის ამბავი მოვიდა. როგორც ნათელას ძმის წერილიდან და ამბის მომტანის მონაცოლიდან ჩანდა, თამარიც იმავე სენით დაავადებული უნდა ყოფილიყო, რომელმაც შერგილი და მისი მეუღლე ჩააგდო ლოგინად.

თავზარდაცემულმა სიცხიანმა ნათელამ სხვა ვედარაფერი მოიფიქრა, ქმრიან-ასულიანად ვიღუპები, მემკვიდრე ბატონიშვილს მაინც გადავარჩენო. შეუთვალა: თამარი უკანვე მომგვარეთ, ხოლო ცოტნე ახლავე სვანეთს გახიზნეთ მამიდამისთანო.

უბედურ დედას ეგონა, რაც უფრო შორს და მიუვალ ადგილს გადამალავდა შვილს, მით უფრო მიუწვდომელი და მიუგნებელი იქნებოდა ცოტნე გადამდები სენისათვის.

თამარს ურემზე დაუგეს ლოგინი და ოდიშისკენ გამოისტუმრეს, ხოლო ცოტნე ცხენზე შესვეს და სვანეთის მთებისაკენ გააქანეს.

სწეულების გადადების შიშით, და-ძმა ერთმანეთს გამოსამშვიდობებლად არ მიაკარეს, ცოტნე თამართან არ მიუშვეს და ტყუპები შორიდან ცრემლითა და ხელის ქნევით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

გუგუტა შორიახლო მოსდევდა თამარის ურემს.

– თამარს რომ რამე მოუვიდეს, ან თავს მოვიკლავ, ან აქედან გადავიკარგები, – უთხრა ჩურჩულით დამშვიდობებისას ცოტნეს.

დაბრმავებული შერგილ დადიანი სიკვდილს გადარჩა. სიკვდილმა მისი თანამეცხედრეც დაინდო. სამი სწეულისაგან მხოლოდ ცოტნესათვის ყველაზე საყვარელი და განუყოფლად ახლობელი დაიღუპა – მთავრის მემკვიდრის ტყუპის ცალი, მისი სულისა და სხეულის ულამაზესი ნახევარი. ტყუპებს, საერთოდ, გამორჩევით უყვართ ერთმანეთი და, მით უმეტეს ძლიერი იყო ეს საყვარული ყრმობის ასაკში, როცა ცოტნესა და თამარს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გამოცდილი დამოუკიდებელი ცხოვრების გემო, მოპირდაპირე სქესისაკენ სწრაფვა და საყვარულის სიამენი.

თამარის გარდაცვალება სვანეთში გახიზნულ ცოტნესათვის არ შეუტყობინებიათ. სენის გადადების საფრთხე ჯერ კიდევ გავლილი არ იყო და მთავრის პატარა ასული ძმის დაუტირებლად დამარხეს.

ბედკრული ნათელა ჯერ კიდევ ლოგინად იყო და, დედისა და ძმის მაგივრად, თამარი უბედურმა მამამ დაიტირა. გული ეწვოდათ შერგილის საცოდაობით, ებრალებოდათ დასაკლავი ხარვით აბლავლებული ვაჟკაცი და უფლის ერთადერთ წყალობად ის მიაჩნდათ, რომ უიღბლო მთავარი ბრმა იყო და თავისი თვალთ ვერ ხედავდა კუბოში მწოლარე პატარა ანგელოსს.

სახლის ამბის უცოდინარ ცოტნეს სიმშვიდე დაკარგული ჰქონდა. დედ-მამას კი დარდობდა, მაგრამ დის ჯავრი მოსვენებას არ აძლევდა. სნეულებისაგან მისუსტებული დის სახე გამუდმებით წინ ედგა და ღმერთს სულ იმას ევედრებოდა, თამარი სიკვდილისაგან ეხსნა.

მარტო ფიქრი კი არ აწუხებდა, ხორციც სტკიოდა და სხეული თითქოს შორეულად ეხმაურებოდა თავისი განაყოფი ნახევრის ტკვილს, მწარედ, მაგრამ გაუცნობიერებლად გრძნობდა რაღაც მეტად ახლობლის სამუდამოდ გაყრასა და ამ ქვეყნიდან წასვლას.

სვანეთში გახიზვნიდან ორი კვირაც არ იქნებოდა გასული, მაცნე მოვიდა ოდიშიდან. ამბის მცნობელი ცოტნეს მაშინვე განარიდეს, ბატონიშვილთან სალაპარაკოდ არ მიუშვეს. მამიდა და ბიძა ცალკე ჩაიკეტნენ და თუმცა ცოტნე იქაურობას მოაცილეს, მის ყურს შორეულად მაინც მისწვდა მამიდის მოთქმა. იმ დღეს მთავრის მემკვიდრეს განსაკუთრებული მზრუნველობითა და ალერსით დასტრიალებდნენ თავს. ეფერებოდნენ და უცინოდნენ, თუმცა, ეტყობოდათ, რომ უფრო ეტირებოდათ და მის შეხედვაზე სიბრაღის ცრემლი ეძალეებოდათ.

მეორე დღეს მამიდა და ბიძა შავებში გამოეწყვნენ და ცოტნეს გამოუცხადეს – ლეჩუმს მივდივართ უეცრად გარდაცვლილი ნათესავის დასატირებლად.

სატირალიდან დაბრუნებულ მამიდას პირისახე დახოკილი ჰქონდა და მოთქმით ტირილისაგან ხმაჩახლეჩილი ძლივსლა ლაპარაკობდა.

დრო გადიოდა. ცოტნეს მამის სახლში არ იბარებდნენ, უკან არ მიჰყავდათ. გული უგრძნობდა ყრმას, რომ შინ რაღაც უბედურება ტრიალებდა. თავად იმ სიმორიდან წასვლა არ შეეძლო, ხოლო მისი დაჟინებული თხოვნის შესრულებას ათასგვარი მიზეზით აჭიანურებდნენ და, ბატონიშვილი ისევ მარტოდმარტო რჩებოდა თავის სადარდელთან სვანეთის მიუვალ მთებში.

იქიდან სხვა რა შველა შეეძლო და დღედაღამ ლოცვად იყო დაცემული. ლენჯერისა და ივარის ხატებს, ძლევამოსილ კვირიკეს ერთადერთი ხვეწნითა და ვედრებით მიმართავდა: ის წაეყვანა სიკვდილს ყველას მაგივრად, მის სიცოცხლეს დასჯერებოდნენ მსხვერპლად, დედ-მამა და თამარი ბედნიერად დარჩენილიყვნენ და თვითონაც ბედნიერი გაშორებოდა ქვეყანას, რომლისა არც სიტკბო წაჰყვებოდა გრძელ საგზლად და არც სიმწარე.

ორი თვის შემდეგ მოაკითხეს ბატონიშვილს სვანეთში მამის ბიძაშვილებმა.

თამარის სიკვდილი არ გაუმხილეს, მაგრამ ცოტნე მათი დანახვისთანავე მიხვდა, შინ რაღაც უბედურება იყო მომხდარი.

გრძელი გზა ისე გამოიარეს, რომ ერთი არ გაუცინიათ. სხვა დროს ენაწყლიანობით ცნობილი ბიძა დამუნჯებული მიუძღოდათ. ბიძაშვილები ამოდენა გზას კი არა, სოფლის შარას არ გაივლიდნენ, გულში ჩამწვდომი მეგრული სიმღერა რომ არ ეთქვათ და ცოტნეც არ აეყოლებინათ. ახლა არც ერთს დანა პირს არ უხსნიდა და, სიმღერა კი არა, ბატონიშვილისთვის ხმის გაცემა უჭირდათ.

შერგილი და მისი მეუღლე ცხენდაცხენ მცირე ამალით შეეგებნენ მემკვიდრეს.

ბრმა შერგილი ცხენზე მოშვებულად იჯდა. წინ ოტია მეჯინიბე მოუძღოდა, ჯილაგში მაგრად ჩაეველო ხელი და ცხენს გზას ურჩევდა.

დედ-მამაცა და მათი ცხენებიც მთლად ერთიანად თალხით იყვნენ დაბურულნი.

გაოცებული შეჰყურებდა შაოსან მხედრებს ცოტნე. უნდოდა ეკითხა, რას ნიშნავდა ცხენებისა და ცხენოსნების ძაძით შემოსვა, მაგრამ შეშინებული ხმას ვერ იღებდა და, სუნთქვაშეკრული უახლოვდებოდა იდუმალებით მოცულ მთავრის ამაღას.

შორიახლო დაიქვეითეს.

მოთქმითა და პირისხოვკით წამოვიდა დედა, გულში ჩაიკრა და დიდხანს ჰკოცნა. მოთქმაში თამარის ხშირმა ხსენებამ დააეჭვა ცოტნე. ბატონიშვილი სმენად იქცა, ყურადღება დაძაბა, რომ იმ მოთქმიდან ამბის თავი და ბოლო გამოეტანა.

სახედაპოტნილი, ფერდაკარგული, ნაავადმყოფარი დედა შორეულადღა ჰგავდა სილამაზით განთქმულ იმ უმშვენიერეს ქალს, რომელიც ამ ორი თვის წინ დასტოვა ცოტნემ სნეულის ლოგინში. დედამ ტირილით გული იჯერა და შვილი მამას დაუთმო.

შერგილმა ხელი დიდხანს უფათურა, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ნამდვილად შვილს ეხვეოდა. მერე ერთი გულისშემძვრელად იღრიალა და ცოტნე უშველებელ მკლავებში მოიქცია.

\_ რატომ მე არ მოგიკვდით, შვილებო, თქვენი უბედურებისა და სიკვდილის მომტანი. რატომ დავბრუნდი ცოცხალი და, რატომ მე არ მომყარეთ მიწა. ღმერთს რომ სამართალი ჰქონდეს, ჩემი თამარი მიწაში როგორ უნდა იწვეს, ან მე როგორ უნდა დავდიოდე ამ მიწაზე?! \_ ბლაოდა შერგილი და თავში ხელს იცემდა.

მოსმენილით შემფოთებულმა ცოტნემ წამით თავი დაიხსნა გოლიათი შერგილის მკლავებისაგან, გვერდზე გაიწია და მამას დააკვირდა: წარბ-წამწამ აღფხვრილი უსინათლო თვალების უაზრო ცქერამ შეადრწუნა ბატონიშვილი, მაგრამ უფრო დიდმა ელდამ იმწამსვე დაავიწყა ეს პირველი შემფოთება.

– ან თვალი რაღად მინდა, ან თავი! რაღამ უნდა გამახაროს ჩემი თამარის დამკარგავი და დამმარხავი. მე მოვეკალი იმ განუკითხავ უფალს, ოღონდ შენი დაიკო არ წაერთმია შენთვის და უბედური დედაშენისთვის.

– თამარი სად არი? რა მოუვიდა? – ძლივს ამოიღვა ენა ამდენ ხანს დამუნჯებულმა ცოტნემ.

მამის დაშრეტილ თვალებში რომ პასუხი ვერ ამოიკითხა, დედას მიეჭრა.

– თამარი სად არი, დედა?

– თამარი სადღაა, შვილო, ანგელოსებმა წაიყვანეს შენი ლამაზი დაიკო! – თავში ხელის ცემით ამოიტირა დედამ და ისევ მოთქმა გააბა.

ცოტნე ხვდებოდა, რაღაც საშინელება იყო დატეხილი მისა და მთელი ოჯახის თავს. მაგრამ რას ნიშნავდა თამარის აღარ ყოფნა და ანგელოსების მიერ მისი წაყვანა, არ ესმოდა და ვერ გარკვეულიყო. მაგრამ ტიროდა, ტიროდა იმიტომ, რომ დედა და მამა ტიროდნენ და იმიტომაც, რომ სულში რაღაც მწარედ ეწვოდა და არაადამიანურად ტიროდა. ეს ტკივილი ყელში აწვებოდა, სუნთქვას უკრავდა და ნამდვილად დაახრჩობდა, ცრემლები რომ არ ეღვარა, ხმამაღლა რომ არ ეტირა.

ისევ ამხედრდნენ.

ოდიშის მთავართა სამკვალესა და საგვარეულო ეკლესიისკენ გადაუხვიეს.

ცხენები გარეთ დატოვეს. გალავანში გოდებით შევიდნენ და ეკლესიის გვერდით ამობურცულ პატარა საფლავს რომ მიუახლოვდნენ, ნათელა და შერგილი მუხლებზე დაეცნენ, იმ საფლავს ზედ დაემხნენ და გულმდუღარედ ატირდნენ.

ცოტნე პირმოკუმული დასჩერებოდა პატარა საფლავის ბორცვს, საფლავის მიწა ჯერ კიდევ კარგად არ გამხმარიყო, თავთან ხის პატარა ჯვარი აღემართათ.

დაჰყურებდა ცრემლგამშრალი ცოტნე საფლავს და არ ჯეროდა, რომ იქ თამარი ემარხა. რაკი მიცვალებული თავისი თვალთ კუბოში არ უნახავს და მისთვის მიწის მიყრას არ დასწრებია. თამარის სიკვდილი, მისი არყოფნა დაუჯერებლად ეჩვენებოდა.

მშობლების ტირილი მის გონებას აფორიაქებდა, მაგრამ გულს ვერ სწვდებოდა: სადღაც ვიღაცაზე მოთქვამდნენ. მაგრამ ის ვიღაც არ შეიძლებოდა თამარი ყოფილიყო. თამარი, ალბათ, შინ ელის ცოტნეს, მთავრის სასახლეში, მხიარული და ნებიერი, უსაზღვროდ ძმის მოყვარული და ერთგული.

მთავრის სასახლე აკლდამასავით ცივი და ჩუმი დახვდა. მხიარული ხმაური, სიცილი და სიმღერა მარტო სასახლიდან კი არა, საფარეშოებიდან და ეზოდანაც აბარებულყო.

ცოტნეს დანახვაზე მსახურები ცრემლს ვერ მალავდნენ. მთავრის მემკვიდრეს გაკრძალულნი ესალმებოდნენ. ნაძალადევად უღიმოდნენ და გულაჩუყებულნი უაღერსებდნენ.

ცოტნე ხვდებოდა, მისი ყოველი გამოჩენა მნახველებს დაკარგულ ტყუპის ცალს ახსენებდა; ებრალებოდათ ცალად დარჩენილი ბატონიშვილი, და კიდევ უფრო მეტად, ამქვეყნიდან უდროოდ წასული მისი განუყრელი და.

სასახლე ის აღარ იყო, რაც ორი თვის წინ დატოვა ბატონიშვილმა. იქ დასადგურებულ მგლოვიარობას მარტო ადამიანები როდი შეეცვალა. სასახლეც, ეზო-გარემოც გამოცვლილიყო და ყველაფერს მწუხრი გადაფარებოდა.

ნელა ეჩვეოდა ცოტნე ამ ცვლილებას; თავადაც მწუხარებაში იძირებოდა და რაკი ირგვლივ გასახარელს ვედარაფერს ხედავდა, ეგონა, სულ ასე დაუსრულებლად გაგრძელდებოდა გლოვა და ტირილი.

მხოლოდ ერთს ვერ შეეგუა ბატონიშვილი: მისი საწოლის პირდაპირ თამარის საწოლი აღარ იდგა. დილით, დაცარიელებულ ოთახს რომ თვალს მოავლებდა, ან ღამით სიზმარი გააღვიძებდა, თავი სხვაგან ეგონა, უცხო სახლში.

რაკი თამარის ტიტინი აღარც დაძინების წინ ესმოდა, აღარც გაღვიძებისას, ოთახში მარტო დარჩენისა ეშინოდა და გამდლებს შეეხვეწა, თამარის საწოლი თავის ადგილას დაებრუნებინათ.

თამარის ლოგინსა და ტახტში სახადი იყო დაბუდებული, ცეცხლში დავწვითო, მოახსენეს ბატონიშვილს და იმ დღიდან ცოტნეს სულ აბრიალებული ცეცხლი ელანდებოდა და მარტო ვედარ იძინებდა.

სვანეთიდან დაბრუნებულ ცოტნეს სასახლის ყველაზე დიდ უცნაურობად უდუ გადიისა და გუგუტას გაქრობა ეჩვენა.

– უდუს აქ რაღა გააჩერებდა, ქმრის სახლში დაბრუნდა, ბატონიშვილო! – უთხრეს მსახურებმა.

პასუხი ბუნებრივად ეჩვენა ცოტნეს, თამარის სიკვდილის შემდეგ მთავრის ასულზე გადაგებულ უდუს სასახლეში ყოფნა დაუმძიმდებოდა და თავისი ქმარ-შვილისთვის რომ მიემურებინა, ამაში გასაკვირი რა იყო!

– გუგუტა? გუგუტაც დედას გაჰყვა? – იკითხა ცოტნემ.

– თამარის სიკვდილი და გუგუტას გაქრობა ერთი იყო. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ შეიტყო. კვალწმინდად დაიკარგა საღსალამათი ბიჭი, ვერც მკვდარი იპოვეს და ვედარც ცოცხალი.

ცოტნეს გაახსენდა: სვანეთში გამგზავრებისას რომ გამოემშვიდობა, გუგუტამ გადაჭრით უთხრა – თამარს თუ რამე მოუვა, ან თავს მოვიკლავ, ან აქედან გადავიკარგებო.

– იქნებ სადმე წავიდა? – იკითხა შემფოთებულმა ბატონიშვილმა.

– ვინ იცის! ასავალ-დასავლის მცოდნე ამდენ ხანს არავინ გამოჩნდა და მშობლებმა მკვდარივით გამოიტირეს. ხომ გაგიგონია, გინდ მკვდარი, გინდ შინმოუსვლელიო.

– ესეც თქვეს, გუგუტას თამარისთვის ყურძნის მიტანა დაბრალებია, გაცეცხლებულ მამას ისე უცემია, სასიკვდილოდ გაუმეტებია. მერე ნაცემი შინიდან გასულა და იმ დღიდან აღარც მკვდარი ჩანს და აღარც ცოცხალი.

ცრემლმომდგარი ცოტნე ამბის მთხრობელებს გაშორდა, თავის ოთახში განმარტოვდა, ბალიშზე დაემხო და აქვითინდა.

როგორ ტყუილად დაღუპულა გუგუტა! ხომ შეეძლო ცოტნეს მისი და თამარის გადარჩენა, რატომ ვერ მოიფიქრა, უფროსებისათვის თამარის სურვილის გამხელა.

დიდხანს ფიქრობდა, თავის თავს ჰყვედრიდა და ტიროდა.

ასეთ შფოთსა და მღელვარებაში გაიარა დღემ. სამხრობამდის რომ საწოლიდან არ გამოვიდა, ნათელამ მსახურთუხუცესის შვილი შეგზავნა ბატონიშვილთან.

ვატა ფეხაკრეფით შევიდა, ზღურბლთან შედგა და ოდნავ გასაგონად ჩაახველა.

ცოტნემ თვალი გაახილა. უცნობ ყმაწვილს გაკვირვებული მიაჩერდა.

– გღვიძავს, ბატონიშვილო? – გაუღიმა შემოსულმა და ცოტნესკენ წავიდა.

ცოტნემ არაფერი უპასუხა.

ბიჭმა საწოლის წინ ფარდაგზე მოირთხა, ჭრელად მოქარგულ ქისას პირი მოხსნა და დააპირქვავა. ფარდაგზე ფერად-ფერადი კენჭები და უცხო-უცხო ნიჟარები გაიბნა.

ცოტნე თვალს ვერ აშორებდა ლამაზ კენჭებსა და უცხო ფრინველების ბოლოებივით გაშლილ ნიჟარებს.

– რა კარგია! – აღმოხდა ცოტნეს.

– სულ შენი იყოს, თუ მოგწონს!

– ჩემი? – გაოცებული შეაცქერდა ცოტნე.

– ჰო, შენი იყოს, – დაუდასტურა გახარებულმა ყმაწვილმა.

– დიდხანს აგროვებდი? – ნიჟარებისაგან თვალმოუცილებლად ჰკითხა ცოტნემ.

– დიდხანს? არა... ანაკლიაში ერთ თვეს ვიყავი, ვიდრე მამა აქ გადმოვიდოდა მთავრის სამსახურში. რომ მცოდნოდა, მოგეწონებოდა, უფრო მეტს მოგიტანდი, მაგრამ კიდევ წამიყვანს მამა ანაკლიას და კიდევ ჩამოგიტანს.

ცოტნეს არც ეს გაეგებოდა, თუ ანაკლია სად იყო, არც ამ ყმაწვილისა და მისი მამის ვინაობა იცოდა.

ყმაწვილმა დაბნეულობა შეატყო.

– მამაჩემი შერგილ ბატონმა მსახურთუხუცესად მოიყვანა და, მეც აქ გადმოვედი. აქვე ვცხოვრობთ, მთავრის ეზოს გადაღმა, ჩვენსას წავიდეთ, მე ბევრი სათამაშო მაქვს.

ცოტნემ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, წამოხტა და ფეხი მაშეებში წაჰყო.

– მე ვატა მქვია, – ლაპარაკობდა მსახურთუხუცესის შვილი, – სულ ვიცი ჩიტის ბუდეები სად არი.

– მართლა?

– სანადიროდაც დავდივარ, მამას დავყვები. ადრე ბიძაჩემ კოჩობას დავყავდი...

– კოჩობა შენი ბიძა იყო?

– მამაჩემის ბიძა იყო, მამის ძმა.



\_ ახლა სად არის ბიძია კოჩობა?  
 \_ არ იცი? თუმცა შენ აქ არ იყავი და საიდან გეცოდინება: კოჩობა მსახურთუხუცესი მოკვდა და მთავარმა მის ადგილას მამაჩემი დაადგინა. ერთხანს ორივე სდუმდა ნათქვამის შთაბეჭდილებით.  
 \_ ჭადრაკს თამაშობ, ბატონიშვილო?  
 \_ ჰო, ვთამაშობ, ისე...  
 \_ გინდა, გეთამაშები?  
 ცოტნემ თავი დაუქნია.  
 მიდიოდნენ ყმაწვილები... მთავრის ეზო არ თავდებოდა და არც ვატას ელეოდა სალაპარაკო.  
 გორაკს გადაადგნენ და თვალწინ ფართო ხეობა გადაეშალათ.  
 მდინარის პირას ხალხი შეკრებილიყო; შეკრებილებისაკენ ყოველი მხრიდან გარბოდა ქალი და კაცი, დიდი და პატარა.  
 მუსიკის უცხო ჰანგი სერზე შემდგარ ყმაწვილებს მისწვდა.  
 ვატამ თვალთ ანიშნა და ბიჭები სერზე დაემშენ.  
 წრედ შეკრული სეირის მაყურებლები ერთიმეორეს აწვებოდნენ, წინ წაწევას ცდილობდნენ და ფეხის წვერებზე დგებოდნენ, რომ სანახაობა უკეთ დაენახათ. ვატა თამამად შეიჭრა წრეში.  
 \_ ბატონიშვილი მობრძანდება. გზა მიეცით! \_ დაიძახა და ხალხს მიაწვა.  
 სეირის მაყურებლებმა მოიხედეს, მთავრის მემკვიდრე იცნეს, ქუდმოხდილნი მიესალმნენ და გზა დაუთმეს.  
 ცოტნეს არ უნდოდა ხალხის შეწუხება და ყურადღების მიქცევა, ფეხს ითრევდა და უკან რჩებოდა, მაგრამ ვატა ჩავლებულ ხელს არ უშვებდა და წინ ეწეოდა. როგორც იქნა, წინა რიგში მოექცნენ და წრეში ფეხმორთხმულ ფაკირს მიაშტერდნენ.  
 ფაკირმა წვირიანი სახელოთი ჟანგისფერ შუბლზე ოფლი მოიწმინდა, იქ მყოფთ თვალი მოავლო, საკრავზე ტუჩები დააწყო და ჩაბერა. მუსიკის ხმაზე ფაკირის წინ მდგარ კალათში რაღაც შეინძრა. კალათიდან კობრამ ამოჰყო თავი, წამით გაქვავებულივით შეჩერდა, მერე ისევ შეინძრა, ნელ-ნელა გაიწელა და მალლა-მალლა წამოიმართა, იშლებოდა გველის დახვეული ტანის გორგალი, ყელყელაობით ამოდიოდა კალათიდან უზარმაზარი უნასი და მუსიკის ჰანგით მოჯადოებული, სმენად ქცეული შემდებოდა ჰაერში.  
 მონუსხულმა ცოტნემ ვიღაცის დაჟინებული მოშტერება იგრძნო. თავი ასწია და პირდაპირ, კარვის კართან მდგარ გოგონას თვალებს წააწყდა. გულზე ხელდაჭდობილი თორმეტ-ცამეტი წლის გოგონა მხარით ხეს მიყრდნობოდა, დაკაწრული მაღალი კანკები შიშველი ჰქონდა და მზემოკიდებული შავად უბზინავდა. ქერა, სქელი კულულები მხრებზე ეყარა და ცისფერი თვალები ეშმაკურად უჭყუჭუნებდა.  
 ცოტნეს სახეზე ალმური მოედო, ცისფერი თვალების მზერას ვერ გაუძლო და დარცხვენილმა თავი დახარა. ყმაწვილი გრძნობდა, რომ ის ეშმაკურად მოჟუჟუნე თვალები ისევ დაჟინებით უცქერდნენ, თავის აწევა და გოგონასაკენ

ერთი გახედვა ყველაფერს ერჩივნა, მაგრამ აუხსნელი დარცხვენა ნებას არ აძლევდა, თავს კიდევ უფრო ხრიდა და მიწას ჩაჩერებოდა.

რაც მანამდე უცნობი გრძნობა დაუფლებოდა ცოტნეს, საამო ჟრჟოლა უვლიდა და ფერფური ეცვლებოდა.

ფაკირმა დაკვრა შეწყვიტა. კობრა ჰაერში შექანდა, გორგალივით უკანვე ჩაეშვა ტანის კეცვითა და რხევით.

მოხუცმა ფაკირმა ძირს დაგდებული ქუდი აიღო, მაყურებლისკენ გაიშვირა და ძირსვე დადო.

ვიღაცამ სპილენძის ფული ისროლა ქუდში და თითქოს ნიშანს ელოდნენო, ყოველმხრიდან წამოვიდა ვერცხლისა და სპილენძის პაწაწინა ფულების წვიმა.

ცოტნემ ჯიბეები მოიხხრიკა. ფული ვერ აღმოაჩინა და ხელები უხერხულად დაუშვა.

კანჭმაღალი გოგონა ხეს მოშორდა, ერთხელ კიდევ გაუყარა თვალი თვალში დარცხვენისაგან წამოწითლებულ ცოტნეს და კარვისკენ შებრუნდა.

ცოტა ხნის შემდეგ კარვიდან პატარა მაიმუნი გამოიჭრა და ის გოგონაც უკან მოჰყვა. გოგონას ცალ ხელში შიმპანზეს ყელზე გამობმული თოკი ეჭირა, მეორეში – დაირა. მაიმუნი ცეკვა-თამაშით მიხტოდა, დაირის ჟღრიალზე სასაცილოდ იმანჭებოდა, მაყურებლებისკენ თამამად მიიწევდა, ზოგს ჩამოსართმევად უწვდიდა სანთელივით ყვითელ ხელებს, ზოგს წვერ-ულვაშში სწვდებოდა. ხარხარებდნენ, სიცილით იჭაჭებოდნენ მაყურებლები, უკან იხევდნენ და ზიზღით იწმენდდნენ იმ ადგილებს, სადაც შიმპანზე შეეხოთ.

გოგონა მალლა შემართულ დაირას აჟღრიალებდა. მაიმუნი ასკინკილას ხტოდა და ყირაზე გადადიოდა. ბოლოს, როცა ყველა ილეთი მოათავა და დაიქანცა, მალლა შეხტა, გოგონას დაირა გამოსტაცა და მაყურებლებს მათხოვარვით ჩამოუარა. დაირაზე წვრილი ფული აწვრიალდა. ვისაც ფული არ ჰქონდა, ზოგი ვაშლს დებდა გამოწვდილ დაირაზე, ზოგი ტკბილეულს.

მაიმუნი ცოტნეს წინ შედგა და დაირა მკერდზე მიაბჯინა.

გოგონას სიახლოვით გონწართმეული ცოტნე კიდევ უფრო წითლდებოდა და თავს ვერ იღებდა. ცარიელი ჯიბეები ერთხელ კიდევ მოიხხრიკა და კვლავაც რომ ვერაფერი იპოვა, ხელი ოქროს ძეწკვზე იტაცა, გულსაკიდი ჯვარი მოიხსნა და დაირაზე დააგდო.

იქ მყოფები პირდაღებულნი მიაშტერდნენ დაირაზე დავარდნილ ოქროს ძეწკვსა და ჯვარს.

– რას სჩადი! ეგოდენ ძვირფას საჩუქარს როგორ იმეტებ! – წასჩურჩულა ვატამ და ხელი ოქროს ჯვრისკენ წაიღო.

ცოტნემ ხელი დაუჭირა და უცებ კინალამ თვალთ დაუბნელდა: გოგონა მისკენ მოიწია და ლოყაზე აკოცა.

სულ ცეცხლი მოეკიდა, ისედაც აღმურმოდებულ სახეზე ცოტნეს. ლოყაზე ხელი მოისვა და კინალამ მუხლებმა უმტყუნეს.

გოგონა და შიმპანზე ყმაწვილებს გასცდნენ, წრე შემოიარეს და დაირის ჟღრიალით კარავში შევარდნენ.

მაყურებლები ერთხანს იცინოდნენ და ერთმანეთს შთაბეჭდილებას უზიარებდნენ. მერე ნელ-ნელა დაშლა იწყეს და თავთავიანთ გზას გაუდგნენ.

ცოტნე და ვატა შერჩნენ ყველაზე გვიანამდე იქაურობას.

ვატა გულზე სკდებოდა ბატონიშვილის გაუმართლებელი ხელგაშლილობის გამო.

ცოტნე ჯერ კიდევ გაბრუებული იყო და გონს ვერ მოსულიყო.

– წავიდეთ! – უთხრა ვატამ და მკლავში ხელი მოჰკიდა.

ცოტნე უსიტყვოდ მიჰყვა.

წყლის პირი უხმოდ გაიარეს.

აღმართს რომ შეუდგნენ, ცოტნე წამით შემობრუნდა.

ის გოგონა, წელან რომ აკოცა და მერე კარავში დაიმალა, ახლა გარეთ გამოსულიყო, ყმაწვილებისკენ მორბოდა და ხელს იქნევდა.

– ჩვენ გვიხმობს!

– ნეტავი, რა უნდა?

ცოტნემ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა გოგონას შესახვედრად.

ნარბენი გოგონა ქოშინით მიუახლოვდა.

– რა გქვია, რატომ არ მითხარი?

– მე? ცოტნე მქვია.

– მე კიდევ ასპასია. მოგწონვარ?

ცოტნეს შერცხვა და ისევ წამოწითლდა. ასპასიამ გადაიკისკისა.

– შენ მართლა მთავრის შვილი ხარ?

– ჰო, მთავრის შვილი ვარ.

– რა ბედნიერი ყოფილხარ! – ამოიოხრა ასპასიამ.

– შენ იმის შვილი ხარ? – ხელი კარვისკენ გაიშვირა ცოტნემ.

– არა! მაგან მონების ბაზარზე მიყიდა. ხუთი წლისა გავუტაცნივარ ვიღაც ყაჩაღს. ჩემი მშობლები, ალბათ, ბერძნები იყვნენ, რაკი სახელი ბერძნული დაურქმევიათ. მოგწონვარ, ცოტნე? – ისევ თამამი სიცილით ჰკითხა ასპასიამ. – თუ მოგწონვარ, წამიყვანე.

ცოტნე კიდევ უფრო გაწითლდა და თავი ჩალუნა, რომ მისკენ თამამი სიცილით მზირალი ასპასიასათვის თვალი მოერიდებინა.

– სხვანაირად კი არ გეუბნები, მოსამსახურედ, მოახლედ წამიყვანე.

– სად უნდა წაგიყვანო? – ხელი გაასავსავა ცოტნემ.

– მამაშენის სახლში წამიყვანე, დედაშენის მოახლე ვიქნები... ყველაფერს შევუსრულებ დედაშენს, ოღონდ ამ ფაკირისაგან დამიხსენი... – ასპასიას თამამი სიცილი სადღაც გაქრა, დიდრონ ცისფერ თვალებზე კურცხლები მოეძალა.

– როგორ უნდა დაგიხსნა? – შეწუხდა ცოტნე.

– მიყიდოს მამაშენმა...

– როგორ გიყიდოს? – გაიოცა ცოტნემ.

– მიყიდოს, როგორც ამ ფაკირმა მიყიდა ერთხელ.

– დედას და მამას უნდა ვთხოვო.

- \_ წამიყვანე.. მეც ვთხოვ... ჩემს გაჭირვებას ვუამბობ, შევებრალები.
- \_ არა, თან ვერ წაგიყვან, \_ შეცბა ცოტნე, \_ შენ მანდ დაიცადე... დედას მე შევეხვეწები...
- \_ არავის არ ვეცოდები... არავის არ ვუნდივარ, \_ აუვარდა ქვითინი ასპასიას, იქვე ჩაჯდა და გულამოსკვნილი ატირდა.
- \_ ნუ სტირი, ასპასია... დაწყნარდი, \_ სცადა დაბნეულმა ცოტნემ გოგონას დამშვიდება...
- \_ გამეცალე! გულქვებო, არაადამიანებო, \_ შეჰყვირა გაავებულმა ასპასიამ, ფეხზე წამოვარდა და კარვისკენ ზღუქუნით დაეშვა.
- ცოტნე სახტად დარჩა.
- \_ ხედავ? შინ წაყვანაც მოგთხოვა! \_ ნიშნისმოგებით თქვა ვატამ და გაბრუნებულ ასპასიას თვალი ზიზღით გააყოლა.
- \_ წავიდეთ, \_ ბრძანების კილოთი შეუძახა ბატონიშვილს გაბრაზებულმა ვატამ და ცოტნე მორჩილად მიჰყვა.

სადამოს ნათელა შემოვიდა ცოტნეს საწოლში. მთავრის მეუღლეს ჩვეულებად ჰქონდა, შვილისთვის ლოგინში უნდა დაეხედა, ძილი ნებისა ესურვებინა, დაელოცა და ჩაეკოცნა. ახლაც, საკოცნელად რომ დაიხარა, ცოტნე როგორღაც შემკრთალი ეჩვენა, მაგრამ არ შეიმჩნია და საგულდაგულოდ შეკრული პერანგის ღილები გაუხსნა.

- \_ შეგაწუხებს შვილო, საკინძგახსნილი ძილი გირჩევნია, \_ დაყვავებით უთხრა, თავზე ხელი გადაუსვა და უცებ გაახსენდა.
- \_ ჯვარი რა უყავი, მისი მადლი შეგეწიოს, ბატონიშვილო?
- \_ ჯვარი?.. \_ დაიბნა ცოტნე, \_ არ ვიცი, მგონი, სადღაც დაგვარგე.. ალბათ, ძეწკვი შემაწყდა.
- დედას ფერი ეცვალა, მაგრამ აღარაფერი უთხრა, შვილი ჩაკოცნა და საწოლიდან გავიდა.

დილას ივლიანე მოძღვარმა ჰყონდიდს წაიყვანა ცოტნე. იმ დღეს წირვაზე იყვნენ, ეზიარნენ და ღამეც იქვე დარჩნენ. მეორე დღეს ტამარი დაათვალიერეს და ნაშუადღევს შინ დაბრუნდნენ.

- სამხრობისას ვატამ გამოუარა.
- \_ ნეტავი შენც წამოსულიყავი, \_ აღტაცებით უთხრა ცოტნემ, \_ რა დიდებული ტამარი ყოფილა!
- \_ მე რას წამოვიდოდი, მამაჩემი ორ დღეს გაქცეულებს დასდევდა.
- \_ ვინ გაქცეულებს?
- \_ არ იცი, არა? ქალბატონის მოახლე ცაბო გაიპარა სასახლიდან.
- \_ ცაბო? დედაჩემის შიმუნვარი?
- \_ ჰო, დიდი ქალბატონის პირისფარეში... მაგრამ ეგ არაფერი! მისი გაპარვა და დიდი ქალბატონის სამკაულების გაქრობა ერთი ყოფილა.
- \_ ნუთუ, ცაბო მოიპარავდა? ეგ შეუძლებელია!

– შეუძლებელი როგორღა არი, მის მეტი იმ დღეს სასახლეში უცხო არავინ შესულა. ოთახები ცაბოს დაულაგებია, კარი გამოუკეტავს და თვითონაც და ის სამკაულებიც კვალწმინდად გამქრალან.

– სად წავიდოდა! ცაბო ობოლი გოგოა, არც მშობლები ჰყავს, არც ნათესავი და თავისიანი.

– საქმეც ეგ არის... ვიღაც მეჯინიბეს გაჰყოლია.

– ოტია?

– ჰო, ოტია მეჯინიბეს. ის მეჯინიბე ახლა აქ არი, – ვატამ ხმას დაუწია, – გუშინ შეიპყრო მამაჩემმა და დილეგში ჰყავს გამომწყვდეული. დღეს პატიმრების დაკითხვა აქვს მამაჩემს. გინდა, შევიდეთ და ჩუმად ვუყუროთ?

ცოტნემ თავი დაუქნია.

მსახურთუხუცესის სახლისკენ გაუძღვა ვატა. სახლის კიბეს დაჰყვნენ, დაბლა სართული ჩაიარეს და სარდაფში მოხვდნენ.

გრილოდა ნახევრად ბნელ სარდაფში.

პატარა დერეფანში გაუხვიეს და მრგვალ, წრისებურ დარბაზს დაადგნენ თავს.

სანთლებით განათებულ მიწისქვეშეთში საკარცხულზე ახალუხმოდელილი შუახნის კაცი იჯდა.

– მამაჩემია, – გადაუჩურჩულა ვატამ ცოტნეს.

ცოტნე დააცქერდა: ფართო მხარბეჭიან ვაჟკაცს სახე ბრაზით წამონთებოდა, ტანით სანახევროდ წინ გადახრილიყო და უღვაშს აღელვებული იგრებდა.

– ოტია ზერაგიამ რა ჰქნა, არ აღიარა? – იკითხა მსახურთუხუცესმა.

– უარზეა... არ ტყდება! – უპასუხა ხელდაკაპიწებულმა მსახურმა.

– ყველა ღონე იხმარე?

– ყველა ღონე, მკლავებიც ვუგრიხე, მარწუხიც დავადე... მაინც ერთხელ ნათქვამზე დგას და არ ტყდება.

– შემოიყვანეთ, – ბრძანა მსახურთუხუცესმა.

შუბოსნებმა ოტია მეჯინიბე შემოიყვანეს. შუაში დააყენეს და იქით-აქით ამოუდგნენ.

– გატყდი, გირჩევნია! თავს ტყუილად იწვალე და ჩვენც ტყუილად გვაცდენ. ჩვენ უშენოდაც ვიცით, მაგრამ თუ შენ თვითონ გვეტყვი, სად გადამალე ნაქურდალი, მთავარი და მისი მეუღლე შეგიბრალებენ და სასჯელს შეგიმსუბუქებენ.

– არც ერთი ვიცი და არც მეორე.

– ცაბო ხომ შენ გააპარე სასახლიდან?

– მე წავიყვანე.

– ჯვარიც ხომ დაიწერეთ.

– ვერა, ვერ მოვასწართ.

– სტყუი...

– არ ვსტყუი, იცის ღმერთმა.

\_ მაშ, ცაბომ შენი ცოლობა ვერ მოასწრო? \_ შუბლი გაეხსნა და უღვაში აუთამაშდა მსახურთუხუცესს.

ოტიას სახეზე მიწისფერმა გადაჰკრა.

მსახურთუხუცესმა კმაყოფილების ღიმილი უმაღვე მოიშორა და ისევ მკაცრად მიმართა:

\_ იტყვი, თუ არა, სად წაიღეთ ოქროს ჯვარი?!

\_ არც მე და არც ცაბოს იმ ჯვრისთვის ხელი არ გვიხლია, არც მისი მპარავი ვიცი და არც ცივად ხელის მომკიდებელი.

\_ ცაბომ რომ წაიღო, ეს დამტკიცებულია, \_ მოჭრით თქვა მსახურთუხუცესმა, \_ შენც რომ მონაწილე ხარ, ესეც აშკარაა..

\_ უბრალო ვართ მაგ საქმეში მეცა და ცაბოც, მაღლა ღმერთია მოწმე! \_ ხელაპყრობით შეჰლაღადა ოტიამ.

\_ თვალს რომ დაგთხრიან და ხელ-ფეხს მოგკვეთენ, მაშინ იტყვი სიმართლეს, მაგრამ გვიან იქნება, \_ მუშტის ქნევით დაემუქრა მსახურთუხუცესი.

\_ მაშინაც ამას ვიტყვი, რომ ცაბო ცამდის მართალია.

\_ თუ მართალია, ოქროს ჯვარი სად არი?!

ცოტნეს რაღაც ენიშნა და გული შეუქანდა.

\_ არ ვიცი... ეს კი ნამდვილია, რომ არც ცაბოს და არც მე იმ ჯვრისათვის ხელი არ გვიხლია.

\_ ხატზე დაიფიცებ?

\_ ხატზეც დავიფიცებ... ცეცხლზეც...

\_ შანთსა და მდუღარესაც გამოცდი?

\_ გამოცდი... რითაც გინდათ, გამომცადეთ.

\_ შანთი! \_ დაიძახა მსახურთუხუცესმა.

ხელდაკაპიწებულმა მსახურმა საიდანღაც გავარვარებული შანთი მოარბენინა.

გრძელი რკინა წინგაშვერილი მოჰქონდა. ამ რკინას ერთ ბოლოზე ხის ნაჭერი ჰქონდა, რომ ხელი არ დასწვოდა, მეორე ბოლო ნალვერდალივით წითელი იყო და თვალისმომჭრელად ანათებდა.

ჯალათმა შანთი ახლოს მიუტანა ოტიას.

ოტიამ მარცხენა ხელი გაშალა, შანთისთვის არც შეუხედავს, ისე გაიშვირა.

ცხელი რკინის შეხებაზე ერთი შეტოკდა და სახე დაეღმიჭა; ხელისგულზე დადებულ შანთს თითები შემოუჭირა, დაიძახა და თვალეზიდან სიმწრის ნაპერწკლები წამოცვივდა.

ეს იყო და ეს. ოტიას არც გმინი აღმოხდომია, არც კვნესა დასცდენია.

\_ რა უყავი ბატონიშვილის ოქროს ჯვარი! \_ ყრუდ ჩაესმა ცოტნეს.

მოთუთქული ხორცი აშიშინდა გავარვარებულ შანთზე და ჰაერში შემწვრის სუნი დატრიალდა.

ცოტნეს თვალთ დაუბნელდა, თავბრუ დაესხა და გულწასული დაეცა.

ხმაურზე მსახურთუხუცესი წამოხტა.

\_ მიშველეთ! \_ დაიყვირა შეშინებულმა ვატამ და ბატონიშვილთან ჩაიჩოქა. ვიდრე გულშემოყრილ ცოტნეს მოაბრუნებდნენ, სასახლე ერთიანად აფორიაქდა.

შერგილი და ნათელა მსახურთუხუცესისას მიიჭრნენ. ცოტნეს გამო შეშინებულებს ამის თავი სადღა ჰქონდათ, მაგრამ ბატონიშვილის სასახლეში გადაყვანამდე ყველაფერი წვრილად შეიტყვეს.

ცაბოსა და ოტიას შეპყრობის ამბავი არც ერთს არ სცოდნოდა და, ორივენი განრისხდნენ.

\_ წამება და შანთით გამოცდა როგორ გაბედა, როგორ არ იცოდა, რომ თამარ მეფის ბრძანებით ასოთა მოკვეთა და დასახიჩრება მთელ საქართველოში აღკვეთილია და კანონით ისჯება.

\_ ჩემს შეუტყობლად ჩემი მოახლის შეპყრობა და დილეგში ჩაგდება როგორ გაბედა! \_ ბრაზობდა დიდი ქალბატონი.

\_ არ უნდა მეთქვა, მაგრამ დამალვაც დანაშაულია, \_ გაუტყდა მთავარსა და მის მეუღლეს კარის მოძღვარი, \_ მაგ გოგოზე მსახურთუხუცესს აქ მოსვლის დღიდან სჭერია თვალი, თურმე საშველს არ აძლევდა. აღსარების დროს გამომიტყდა ცაბო, ქალბატონს ვერ ვუმხელ, არადა, აღარ მეხსნება, ნამდვილად დამლუპავს და თავს მომაკვლევინებსო. მინდოდა, თქვენთვის გამენდო, დიდო ქალბატონო, მაგრამ აღსარების საიდუმლო ვერ გავტეხე და თქვენი გაფრთხილება ვერ მოვასწარი. მაგ ბიჭსა და გოგოს ერთმანეთი ჰყვარებიათ. იმ ღამეს აქედან რომ გაიპარნენ, მე მომადგნენ და ჯვარის დაწერა მთხოვეს. მე შორს დავიჭირე, ბატონების უცნობლად გვირგვინს ვერ გიკურთხებთ, რა საჩქაროა, გათენდეს, მთავარს ნება გამოვთხოვოთ და კანონიერად იქორწინეთ-მეთქი. მეორე დღეს მსახურთუხუცესისთვის ბატონიშვილის ჯვრის დაკარგვის ამბავი რომ გაგინდვიათ, გაუზვიადებია, ქალბატონის სამკაულები გაიტაცესო, მდევრები დაუდევნებია, შეპყრობილები თქვენი დასტურის მიუღებლად დილეგში ჩაუყრია და, ბოლოს, საშინლადაც უწამებია. ნეტავ, ბატონიშვილს არ ენახა, კრავივით უმანკო ყრმა როგორ გაუძლებდა შანთით დაწვის ცქერას!

მთავრისა და მისი მეუღლის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. უნდოდათ, მაშინვე სასტიკად დაესაჯათ თავნება მსახურთუხუცესი, მაგრამ ბატონიშვილის ავადმყოფობით მოუცლელიობამ და ამ ამბის გახმაურების შიშმა მსახურთუხუცესის ბედის გადაწყვეტის გადადება ჩააგონათ.

ცოტნე გონს მოეგო, მაგრამ ძილად მივარდა. ძილში გახშირებული სუნთქვა დაეწყო და სიცხემ გათანგა.

ნათელას ელდა ეცა, პირველადვე ის გაიფიქრა, ვაითუ, სახლში კიდევ ბუდობს ჩემი ოჯახის ამომგდები სენი, რომელსაც ამდენ ხანს ვარიდებდი მემკვიდრესო. შეშინებულმა ბატონიშვილს ექიმები დაახვია.

ექიმებმა გულდასმით გასინჯეს. ცოტნეს არც თავი სტკიოდა, არც გული ერეოდა. ავადმყოფობა სხვა ნიშნებითაც არ ჰგავდა იმ დაწყევლილ სნეულებას და დამფრთხალ მშობლებს ცოტა გულზე მოეშვათ.

შერგილი ჭკუაზე აღარ იყო. აქედან ცოცხალს ვერ გამიყვანთო, გამოაცხადა ცოტნეს საწოლში შესულმა.

– შორიახლო ჩემთვის კუთხეში დავჯდები, მაინც არ მეძინება, მომვლელსა და მკურნალს მოვუხმობ ხოლმე, – გადაწყვეტილად თქვა და წინააღმდეგობა ვეღარავინ შეჰბედა.

ამ ფორიაქსა და ორომტრიალში ვატას ბატონიშვილის ჯვრის ამბავი დასცდა. ქალბატონი დიდად შეწუხდა, რომ მის მიერ მსახურთუხუცესისთვის განდობილმა ეჭვმა ამდენი უსიამოვნება მოიტანა. მთავარს ყველაფერი უამბო და როცა ექიმების დასკვნით ცოტა გამხნეება იგრძნეს, საქმის მშვიდობიანად გარიგება არჩიეს: მეჯინიბე და მოახლე აქორწინეს, ცაბოს დიდი მზითევი მისცეს და გულზე ხელდაკიდებულ ოტიასთან ერთად მრავალი წყალობით გაისტუმრეს.

– ნუ დამწვავთ, ყველაფერს ვიტყვი! შანთი არ გინდათ... თვითონ ვიტყვი... – აყვირდა მძინარე ცოტნე. საბანი გადაიგდო, ხელები ამოჰყარა და შეწუხებული მოჰყვა გაუგებარ ბოდვას.

– ცოტნე, შვილო! ცოტნე, გაიღვიძე, მამა გენაცვალოს! – დაადგა თავს შერგილი.

ბატონიშვილმა თვალი გაახილა და უაზროდ მიმოატარა. შუბლზე სიმწრის ოფლი დასხმოდა, წარბენივით ქლომინებდა და აჩქარებული სუნთქვისაგან მკერდი გაგლეჯაზე ჰქონდა.

სიზმარში ღვთის სამსჯავროზე იყო.

თავს სულთამხუთავი ადგა და ცხელი შანთით გამოცდით ემუქრებოდა, თუ ცაბოსა და ოტიას დალუპვაში თავს დამნაშავედ არ სცნობდა.

შერგილის დანახვამ დაწყნარების მაგივრად კიდევ უფრო შეაშფოთა გაღვიძებული ცოტნე.

– გესმოდა, მამა-ბატონო, რას ვბოდავდი?

– ჰო, რაღაც წამოიყვირე ძილში. ალბათ, გულში ოტია მეჯინიბის წამება ჩაგყვა.

– ჰო, ეგ მესიზმრა.. რა ეშველება ოტიას?

– ოტიას უკვე ეშველა, საპყრობილიდან გამოვიყვანე, ცაბო შევრთე, საცხოვრებელი ვუბოძე და გახარებული გავისტუმრე.

– მართლა, მამა?! რა კეთილი ხარ შენც, დედაც... მაგრამ ოტიას მარჯვენას რა ეშველება? მართლა გაუხმება?..

– მარჯვენას აღარაფერი ეშველება, გაუხმება! მაგრამ მე ზრუნვას არ მოვაკლებ, დავასახლებ და ხელს გავუმართავ... თუმცა ცალხელა კაცის სიცოცხლე რაღა სიცოცხლეა? მისი ცოდვა იმის კისერზე იყოს, ვინც დალუპა...

ცოტნეს გულ-ღვიძლი დასწვა ბოლო სიტყვებმა, თვალი დახუჭა და სიმწრის ოფლმა დაასხა.



– შანთით გამოცდას გაუძლებდი, მამა? – გაუბედავად ჰკითხა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ცოტნემ.

– გავუძლებდი, ალბათ, თუ ჩემს სიმართლეში დარწმუნებული ვიქნებოდი, ან იმის შიში თუ მექნებოდა, რომ ჩემი გამოტყდომით ჩემს თანაგანმზრახს ან საყვარელ ადამიანს დავღუპავდი.

– მართალი იყო და იმიტომ გაუძლო ოტია მეჯინებემ წამებას, არა? სატანჯველის შიშით რომ თავი დამნაშავედ ეცნო, საყვარელ ადამიანსაც დაღუპავდა და თავსაც წააგებდა.

– ნამდვილად აგრე იქნებოდა.

– მე კი, ალბათ, ვერ გავუძლებდი...

– შენც გაუძლებდი, თუ მართალი იქნებოდი და იმის რწმენა გექნებოდა, რომ შენი გაძლებით სხვებსაც გადაარჩენდი.

– გული რომ შემიღონდა?

– რა ვუყოთ, შვილო, ჯერ ყრმა ხარ, უღონო და ცხოვრებაში გამოუცდელი. როცა დავაჟაკდები და განსაცდელს თვალსა და გულს შეაჩვევ, გული გაგიმაგრდება, გაჭირვებისა აღარ შეგეშინდება და სატანჯველით გამოცდასაც თამამად შეხვდები... ცხოვრება განსაცდელითაა სავსე და ვაჟკაცი ამქვეყნად იმიტომ ჩნდება, განსაცდელს გაუძლოს. განსაცდელის გაძლება კი მხოლოდ მაშინ შეუძლია ვაჟკაცს, როცა მართალია და სამშობლოსათვის ან სარწმუნოებისათვის ღებულობს სატანჯველს.

– ტყუილისათვის, სიცრუისათვის თუ შეიძლება წამების ატანა?

– ტყუილისათვის შეიძლება, თუ ის ტყუილი სამშობლოს ან მოყვასის გადასარჩენად არის მოგონილი. მაგრამ როცა ტყუილსა და სიცრუეს სხვისთვის ზიანი და ვნება მოაქვს, ასეთი ტყუილი ღვთისაგანაც და კაცთაგანაც დაწყევლილია და შერჩენებული. მისი მომგონი ამქვეყნადაც ისჯება და საიქიოსაც ჯოჯოხეთს ვერ ასცდება. – შერგილი დადუმდა და ცოტნე ფიქრმა წაიღო.

ტყუილს, თურმე, ქვეყნისა და მოყვასის გადასარჩენად ნათქვამს, შეიწყნარებს უფალი. თავის გადასარჩენად ნათქვამი ტყუილი კი კაცის დამღუპველი ცოდვა ყოფილა. დაუფიქრებლად ცოტნეს მიერ ნათქვამმა ტყუილმა კინაღამ ორი ადამიანი იმსხვერპლა! ოტია და ცაბო გადარჩნენ, მაგრამ შერგილის თქმისა არ იყოს, ცალხელა კაცის ცხოვრება რაღა ცხოვრებაა!

უნებურად აკიდებული მათი ცოდვა, ალბათ, სიკვდილამდე უნდა ზიდოს ცოტნემ და რა ეშველება, რა თვალთ უნდა შეხედოს ან დედ-მამას, ან ცაბოსა და ოტიას!

რა დაავიწყებს ცხელ შანთზე აშიშინებულ დამწვარ ხორცს, ალალმართალ ოტიას თვალთაგან დაკვესებულ სიმწრის ცეცხლს!

ცოტნე უჩუმრად წამოდგა, მუხლზე დავარდა და ჯვარცმის წინაშე ხელაპყრობილმა უხმოდ დაიწყო ლოცვა:

– ღმერთო დიდებულო, ღმერთო დიდებულო! ოღონდ ოტიას ულხინე, ოღონდ ჩემს მშობლებს ნუ დასჯი უდანაშაულო კაცის წამებისათვის და მე

მომივლინე შენი რისხვა, შენი სასჯელი ჩემი სიცრუისათვის, სხვათა დამღუპველი ტყუილისათვის. ჩემი დედ-მამის სიცოცხლეს ვფიცავ, ჩემი დაიკოს სულს ვფიცავ, აღარასოდეს ჩემს სიცოცხლეში ტყუილი აღარ ვთქვა, არავის ვეცრუო.

ბაგეგაუხსნელად, ხმისამოუღებლად ევედრებოდა ცოტნე ჯვარცმულ მაცხოვარს, თავს იატაკამდე ხრიდა და თვალთაგან პირველი ცოდვის შეგნებით მოძალეებული ცრემლი სცვიოდა.

ვედრება მოათავა და ჩუმადვე ლოგინში ჩაწვა. ლოცვამ სულის სიმშვიდე დაუბრუნა, თვალი მოხუჭა და ისევ ძილს მიეცა.

ერთხანს წყნარად ეძინა, მერე ისევ აფორიაქდა. სმენადქცეული შერგილი შეშფოთდა.

– არ გძინავს, ბატონიშვილო? – ხმადაბლა ეკითხებოდა დროდადრო ავადმყოფის წრიალით შეშფოთებული შერგილი, მაგრამ ცოტნე ხმას არ სცემდა.

მთავარმა ექიმს დაუძახა. მკურნალმა სწეულთან მოირბინა, ბატონიშვილს საექვო და ახალი ვერაფერი შეამჩნია.

– სიცხე აწუხებს, მთავარო! წამალი გასჭრის და დამშვიდდება, – ანუგემა მკურნალმა, მთავრის გვერდით საკარცხულზე დაჯდა და მოძალეულ ძილს ერთხანს კიდევ შეებრძოლა.

შერგილ დადიანი ფიცხი და თავმოყვარე, ქედუხრელი, ძნელად დამთმობი კაცი იყო. წყენას იოლად არავის დაუვიწყებდა და აუგად მოპყრობისათვის სამაგიეროს მიზღვა ერთიორად იცოდა. ბავშვობიდან ღვთის მოშიშად აღზრდილი ლოცვას არ გააცდენდა და მარხვას არ გასტეხდა. მაგრამ ერთი გულწრფელი გაბრაზება საკმარისი იყო, რომ წონასწორობა დაეკარგა, ღმერთიც დავიწყებოდა და ხატიც.

ასეთი აფეთქება კი არცთუ იშვიათად იცოდა ოდიშის მთავარმა.

როცა თავს დამნაშავედ ან შემცოდედ თვლიდა, შერგილი უდრტვინველად ურიგდებოდა ღვთის განაჩენით მოვლენილ სასჯელს, ვაჟკაცურად იტანდა და ლოცვა-ვედრებით ცდილობდა უფლის წინაშე დანაშაულის შემსუბუქებას. მაგრამ თუ თავის უდანაშაულობა სჯეროდა და მის თავზე მოვლენილ სასჯელს დაუმსახურებელ უსამართლობად მიიჩნევდა, მაშინ მის აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა ხოლმე. ასეთი უსამართლობის დროს თავის შეკავებას ვეღარ ახერხებდა, ზომიერების ყოველგვარ გრძნობას ჰკარგავდა და ზოგჯერ ღვთის აშკარა გამოხამდე, მკრეხელობამდე მიდიოდა.

შორეული ლაშქრობიდან მობრუნებული შერგილი უკურნებელი სენით დაავადებასა და დაბრმავებას კიდევ შეურიგდებოდა. ცხარე ომში მეგრძოლს იმისათვის არ სცალია, მრუდი და მართალი გაარჩიოს, ომის ქარცეცხლში მბრუნავი ვაჟკაცის ხმალი ხშირად მართალსა და უდანაშაულოსაც ასევე სასტიკად უსწორდება, როგორც იმ ომის სულისჩამდგმელ მოსისხლეს. მაგრამ

ომი კაცის კვლა არის და თუ თვითონ არ მოჰკლავ, შენ მოგკლავენ. ასეთი განუკითხაობის ჟამს გულმოწყალების, ან ზომიერების გამოჩენას მეომარს ვერავინ მოსთხოვს და შერგილსაც, ალბათ, ბევრი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი.

ამიტომ საკუთრად მის თავზე დამტყდარ ღვთის რისხვას ერთგვარი გამართლება მოეძებნებოდა და ამასთან შერიგება შესაძლებელი იქნებოდა, უფალს რომ მეორე უფრო დიდი სასჯელი არ დაეტეხა მთავრის თავზე. ჯერ უცოდველი, კრავივით უმანკო ასულის, პატარა თამარის სიკვდილი იმდენად უსამართლო, გაუგებარ სასჯელად ეჩვენებოდა ოდიშის მთავარს, რომ მისი გონივრული განსჯაც შეუძლებლად მიაჩნდა.

უფლისაგან უსინათლობით ზომაზე მეტად დასჯილ ვაჟკაცს უცოდველი შვილის დაღუპვა ისეთ არაადამიანურ, აუხსნელ სისასტიკედ ესახებოდა, რომლის უფლება თვითონ ყოვლისშემძლე უფალსაც არ უნდა ჰქონოდა.

ღმერთი უღმობელი იყო და უსამართლო.

ამიტომ დასჯილის აღმფოთებასაც არ ჰქონდა საზღვარი. უფლის წინააღმდეგ ამბოხებულმა მონამ ხატები დაღწა, ზედ ფეხით შედგა და ღმერთი საქვეყნოდ ჰგმო.

გაფითრებული ნათელა შიშისაგან აკანკალებული შეჰყურებდა, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა და გამალებით უაზროდ პირჯვარს იწერდა.

იქ მყოფთ ეგონათ, მთავარი გაგიჟდაო. შეგონებით რომ ვერას გახდნენ, ძალა იხმარეს და ხელები შეუკრეს.

მაგრამ ოდიშის მთავარი სულაც არ შეშლილა, თუმცა შეშლილობა და ჭკუის დაკარგვა მისთვის ეგებ ერთადერთი საშველი იქნებოდა იმ მძიმე სულიერი შერყევის ჟამს.

ხატების დამსხვრევა და სალოცავის შეგინება ვერ ამშვიდებდა ღვთის უკანონობის წინააღმდეგ აჯანყებულ მთავარს; წარმოდგენებთან და სიმბოლოებთან კამათს, მათ გამობას შერგილის აღმფოთების დაცხრომა არ შეეძლო.

ღონემოჭარბებულ ვაჟკაცს იმ უსამართლო ღმერთთან პირისპირ შებრძოლება, ხელდახელ შებმა უნდოდა, რომ ან ზედ შეკვდომოდა, ან დაემხო, რათა ძირს დაცემულისთვის მის მიერ ჩადენილი დანაშაულის უაზრო საშინელება დაენახვებინა და იმ ბოროტების შესაფერისად დაესაჯა.

მაგრამ უფალი ან მხდალი იყო და შერგილის შესაჭიდებლად პირისპირ გამოსვლას ვერ ბედავდა, ან იმდენად დიდი იყო და ძლიერი, რომ მის წინააღმდეგ ამხედრებული პაწაწინა მდილის გამოწვევას არაფრად აგდებდა, უსასრულო სამყაროს წესრიგის მართვით გატაცებულს მისთვის არ ეცალა და იმ წესრიგიდან გამოვარდნილ უმნიშვნელო არსების აღმფოთებას ანგარიშს არ უწევდა.

უწყალო უფლის წინააღმდეგ ამბოხებულს თავისი დაუოკებელი შფოთის დასაწყნარებლად, არაადამიანური სულიერი ტკივილის ჩასახშობად ერთადერთი გზა კიდევ რჩებოდა – თავის მოკვლა, თავის მოკვლით იმ ტკივილის მიმართ სხეულისა და სულის უგრძობლად ქცევა.

თავის მოკვლა გამჩენი ღმერთის წინააღმდეგ სულიერი ამბოხის უმაღლესი გამოხატვა, უფლის სისასტიკის მხილება იქნებოდა იმ არსებისაგან, რომელიც მაცხოვრის მიერ ბოძებულ ცნებებს განუხრელად იცავდა და, რომელიც გულის სიღრმემდე შესძრა ღვთის უაზრო უსამართლობამ, ადამიანების ზედის მიმართ გაუგებარმა გულგრილობამ და უგრძნობელობამ.

ოდიშის მთავარს ცხელ გულზე თავის მოკვლაც არ დაანებეს და უსამართლო ღმერთთან ანგარიშის გასწორების ეს ერთადერთი გზაც მოუჭრეს.

ბრმას მარტო არ ტოვებდნენ და ფხიზლად დარაჯობდნენ, უბედური თავისთვის რომ არაფერი აეტეხა.

ადამიანი ყველაზე უფრო სულიერი აფეთქების დროსაც ადამიანად რჩება. სულიერ აფეთქებასაც თავისი გარკვეული დრო აქვს და როცა იგი უმაღლეს წერტილს აღწევს, შემდეგ ბუნებრივად იწყება ცეცხლის განელეება, უკიდურესი დაძაბულობის თანდათან შესუსტება და მოშვება. დრო ყველაფრის მკურნალია. ის, რაც ქარიშხლისაგან მსხვერველს გადარჩება ხოლმე, თავის ბუნებრივ მდგომარეობას ნელ-ნელა უბრუნდება და ისევ ცხოვრების იმ წესს ეგუება, რომელსაც ადრე იყო შეჩვეული და, რომლიდანაც დროებით ამოგდო უჩვეულოდ მძლავრმა ბიძგმა თუ შერყევამ. დრომ თავისი ჰქნა. ამბოხებული ადამიანის რისხვისთვის მიუწვდომელმა ღმერთმა გაიმარჯვა – შერგილმა თავი ვერ მოიკლა და უბედური სიცოცხლე გრძელდებოდა.

უფლის უღლისაგან თავის დახსნა ადამიანის ნება-სურვილზე დამოკიდებული სრულიადაც არ ყოფილა. იმ უღლის დასამსხვერველად ამხედრებულ მონას ისღა რჩება, უსამართლო განგების ახსნა-გამართლება ეძიოს და ნელ-ნელა ძნელს, მაგრამ ერთადერთ გზას – ღმერთთან შერიგების გზას დაადგეს.

წყვდიადი, რომელშიაც მძლავრმა სულიერმა შემფოთებამ ჩააგდო მთავარი, გაცილებით ძნელი გასარკვევი იყო, ვიდრე თვალის ჩინის დაკარგვით შერგილის ირგვლივ გამეფებული სიბნელე.

ამ წყვდიადშიც აღმოჩნდა მეგზური.

ეს მეგზური კარის მოძღვარი ივლიანე იყო.

ერთგულმა გზის გამკვლევმა თავის მოწოდებად ჩათვალა მთავრისათვის დაებრუნებინა ის შინაგანი ხედვა უფლისა, რომელიც ყოველ ადამიანს თანდაყოლილი აქვს და, რომლის საბოლოო დაკარგვა სიცოცხლის აზრის გაქრობას, არსებობის სურვილის გაქრობას ნიშნავს.

ფაფის შეშინებულნი დოს სულს უბერავდნენო, ისე მოუვიდათ ცოტნეს მშობლებსა და მკურნალებს, უბრალო ციებ-ცხელება, რომელიც ოდიშის დაბლობში თითქმის ყველგან ბუდობდა, იმ დამღუპველი სენის ახალ აფეთქებად წარმოიდგინეს, რამაც თამარის სიცოცხლე წაიღო და შერგილს თვალის ჩინი წაართვა.

ერთადერთი მემკვიდრე-ბატონიშვილის შემყურე მშობლებს ზედმეტი შიში და სიფრთხილე არც გაემტყუნებოდათ. მით უფრო მეტი საფუძველი ჰქონდათ ექიმებს სნეულის განცალკევებისა და ყველა გამაფრთხილებელი ზომის მისაღებად.

სამ დღე-ღამეს ბურთივით ახტუნა ცოტნე ციებ-ცხელებამ ლოგინში, ოფლის ღვარად გაწურა და მიასუსტა. მეოთხე დღეს შვება იგრძნო ავადმყოფმა, სიცხემ უკლო და ცოტა მოიხედა.

მკურნალები მიხვდნენ, რომ საქმე ჩვეულებრივ ციებ-ცხელებასთან ჰქონდათ. ავადმყოფს სასმელ-საჭმელი მიაძალეს და ახლობლებს მის საწოლში შესვლის ნება დართეს.

შერგილი იშვიათად ტოვებდა სნეულს.

ცხელებისაგან გათანგული შვილის ბოდვას ყურგამახვილებული უსმენდა. ბავშვი გაუგებრად და თავგზააბნეულად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა ადიდებულ მდინარეზე და მის ნაპირას გამორიყულ გვამზე, ეშმაკებისაგან შელოცვილ ყურძნის მტევანზე და ხორცის დამწველ ცეცხლის ალზე.

მთავარი ერთმანეთთან დაუკავშირებლად ამონასროლ ცალკე სიტყვებს შორის კავშირის დამყარებასა და აზრის გამოტანას ვერ ახერხებდა და ამიტომ სიცხიანისათვის ჩვეულებრივ უაზრო ბოდვად ღებულობდა ცოტნეს წამოძახილებს.

ბოლო დღეებში, როცა სნეულების გადადების საშიშროება გაქრა, შერგილს მარტო აღარ ტოვებდა ივლიანე კარის მოძღვარი.

ისხდნენ კუთხეში მიყუჟულები და, ავადმყოფისთვის ძილი და მოსვენება რომ არ დაერღვიათ, ხმადაბლა საუბრობდნენ.

– უფლის მიმართ სიყვარული ძნელი სიყვარულია, მთავარო. – ჩაესმა მოსატყუარად თვალმოხუჭულ ცოტნეს. თავმომდინარებულმა ყმაწვილმა ყური ცქციტა, გაინაზა და სმენად იქცა.

– უფლის ჭემმარიტი სიყვარული ისაა, როცა ადამიანს თავისი თავი აღარ ახსოვს, საკუთარი არსებობა დავიწყებული აქვს და ღვთის მიერ მოვლენილ ბოროტსა და კეთილს ერთნაირი მადლიერებით ღებულობს, როგორც გარდუვალსა და აუცილებელს. ჩვენ უფლის მიმართ მაშინ ვართ მადლობელნი, როცა იგი წყალობის თვალით გვიყურებს, სენსა და სიკვდილს გვარიდებს და ბედნიერებით გვავესებს. მაგრამ ბედნიერება არ არსებობს ისე, თუ უბედურებაც თან არ ახლავს. ბედისაგან განებივრებული, იღბლიანი ადამიანები იმას არ ფიქრობენ, რომ მათი სიხარული დროებითია და წარმავალი. ისინი მხოლოდ მაშინ იწყებენ გამოფხიზლებასა და გონს მოსვლას, როცა საშინელი უბედურება ატყდებათ თავს. ზოგჯერ ბედის ეს განაჩენი უზომოდ სასტიკია და უღმობელი. ადამიანი ვერ ურიგდება უასაკო, ჯერ უცოდველი ბავშვის მოულოდნელ დაღუპვას. მიუწვდომელია აზრი და სიღრმე განგების ამ განაჩენისა. ჩვენ გვაშფოთებს ტანჯვა და სიკვდილი

უმანკო ბავშვისა და იმას კი არ ვუფიქრდებით, თუ რა ღრმა აზრი შეიძლება ჰქონდეს უფლის ამ განუკითხაობას. ჩვენ ხომ არ ვიცით, რომ სამაგიეროდ იმ ტანჯვისა, რომელსაც უცოდველი ბავშვი განიცდის სიკვდილის წინ, უფალი ათმაგად მიაგებს იმ ქვეყნად, როცა მას სამოთხეში შეიყვანს და სამარადისო ნეტარებას მიანიჭებს. ჩვენ ვერ ვწვდებით ღვთაების უღმობლობის ჭეშმარიტ აზრს, ვერ ვხედავთ მისი სისასტიკის მეორე მხარეს – მარადიულ სიკეთეს და ჩვენ თვითონ ვგავართ სულსწრაფ ბავშვებს: უზენაესის სიბრძნის ჩაკვირებისა და ამოხსნის ნაცვლად, ჩვენ ვჩქარობთ, ვივიწყებთ ღვთის მიერ ბოძებულ ყველა სიკეთეს, სასოწარკვეთას ვეძლევიტ და უფალს ვგმობთ. რაკი უფლის სიყვარული საკუთარი თავის დავიწყება და მთელი არსებით ღვთაებასთან შეერთება არის, ადამიანი მხოლოდ ამისკენ უნდა ისწრაფოდეს. ღვთაებასთან შეერთებას კი მხოლოდ გამუდმებული ლოცვითა და მარხვით, მოთმინებითა და მორჩილებით აღწევს ადამიანი. ადამიანის ამქვეყნიური მოვალეობაა უდრტვინველად, განუსჯელად მიიღოს ღვთის განაჩენი, დაემორჩილოს მას და სამყაროს მართვის ღვთაებრივ წესრიგში ჩარევის, შესწორების შეტანის უფლება არ მისცეს თავის თავს. წინააღდგომა განგებისა, გმობა იმისა, რაც არ გესმის, რაც უაღრესად რთულია და გონებისთვის მიუწვდომელი, ადამიანს არასოდეს მოუტანს სიმშვიდესა და კმაყოფილებას. სამაგიეროდ, უფლის განაჩენის წინაშე ქედის მოხრა, მისი უდრტვინველი დამორჩილება და ამ განაჩენის სიღრმეში ჩვენთვის მიუწვდომელი სამართლიანობისა და სიკეთის ძიება ადამიანს უბრუნებს წონასწორობასა და სულიერ სიმშვიდეს, განაცდევინებს მას ღვთაების სიყვარულის ნეტარებას და უზენაესთან ერთიანობას. უფლის ამგვარად შეყვარება მხოლოდ სულით ძლიერ, მტკიცე ხასიათის ადამიანებს შეუძლიათ, იმ ადამიანებს, რომელთაც რწმენა უფლისა ცხოვრების ერთადერთ აზრად აქვთ ქცეული. ასეთი იყო იობი. ალბათ, ახსოვს მთავარს ძველი აღთქმის წიგნიდან.

– მახსოვს და აღარც მახსოვს.

– ცხოვრობდა უბიწო და მართალი კაცი იობი. ბედნიერი კაცი იყო, ათი შვილი ჰყავდა, სიმდიდრე დიდი ჰქონდა და ქონება აურაცხელი. ძლიერსა და ბედნიერ იობს ღრმად სწამდა და უყვარდა უფალი, არასოდეს ივიწყებდა უზენაესს და მისი ცნებისაგან არასოდეს გადადიოდა. ერთხელ, როცა იობის შვილები ღვთისა და განცხრომაში იყვნენ, ხოლო იობი მსხვერპლსა და ზვარაკს სწირავდა და ლოცვას აღავლენდა ცოდვათა მისატევებლად, უფლის წინაშე შეგროვდნენ ანგელოსები.

– შენ საიდანღა მოხვედიო, – ჰკითხა უფალმა ეშმაკს.

– მე ქვეყანა მოვიარე და გეახელიო, – მიუგო ეშმაკმა,

– ქვეყანა თუ მოიარე, ალბათ, მორწმუნე იობსაც ნახავდი, რომელსაც უბიწობითა და ღვთის მსახურებით ვერავინ შეედრებაო.

– ღვთის მსახურება ადვილია, როცა ღმერთი გწყალობს, ოჯახი ბედნიერი გყავს და ქონება აურაცხელი გაქვს. მაგრამ, აბა, წაართვი ყოველივე, რაც მისთვის მიგიცია და ნახავ, რა მორწმუნეც იქნებაო, – ჩაიქირქილა ეშმაკმა.

უფალმა ნება მისცა ეშმაკს, გამოეცადა იობი... ეშმაკმა ზედიზედ მოუვლინა საშინელი უბედურებანი; იობმა დაჰკარგა მთელი ქონება, დაეღუპა შვილები. გამწარებულმა ტანსაცმელი შემოიხია, თავზე მიწა დაიყარა, მუხლებზე დავარდა და ღმერთს შეჰლაღადა: «შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველივე მივიქცევი უკან. უფალმა მომცა და უფალმა წაიღო, კურთხეულ იყოს სახელი მისი!» ღმერთი გახარებული იყო, რომ იობმა გაუმართლა და ამ საშინელი გამოცდის შემდეგაც არ შეერყა რწმენა. მაგრამ ეშმაკი თავისას განაგრძობდა: «შეახე ხელი მის სხეულს და ნახავ, თუ კიდევ შერჩება რწმენა ღვთისა». უფალმა ამის ნებაც დართო. ეშმაკმა საშინელი საღმობით დაასწულა იობი, თავით ფეხამდე დააწყლულა და მატლები დაახვია. გაწამებული იობი თავბედს იწყევლიდა, მაგრამ უფლის აუგი ერთხელაც არ დასცდენია, რადგან წამითაც არ დაუკარგავს იმის შეგნება, რომ ღვთის განაჩენი ბრძნული და მისთვის მიუწვდომელი იყო. უფალი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იობის ერთგულება და რწმენა ურყევი იყო. იგი ქარიშხალში მოველინა ღრუბლებიდან იობს და აუხსნა მას, რომ ამაოდ ეძებდა თავისთავში ტანჯვის მიზეზს, – ღვთის განზრახვა მოკვდავთათვის შეუცნობელი და გაუგებარია და სიბრძნე უფლისა მიუწვდომელია ადამიანის გონებისათვისო. ღმერთმა შეიწყნარა იობის სინანული, წყალობის თვალთ მოხედა ერთგულ მონას, აუღორძინა ოჯახი, შვილები გაუჩინა და აურაცხელი ქონებაც მისცა. ასე მოექცა უფალი მოთმინებისა და რწმენის შეურყევლობისათვის იობს. ასევე გმართებს შენც, მთავარო, მოთმენა ზეცით მოვლენილი რისხვისა და სასჯელისა. უფალმა მოგცა ასული შენი და უფალმავე წაგართვა. არც ის ვიცით, რატომ მოგცა და, ვერც იმას მივხვდებით, რატომ წაგართვა. ლოცვითა და მარხვით, ეკლესიების შენებითა და მონასტრებისათვის ქონების შეწირვით უნდა მოაღბო განრისხებული გული უფლისა, უნდა ევედრო ღმერთს, რომ ღირსგყოს შენს ასულთან სასუფეველში დამკვიდრებისა.

– უფალმა მოგცა და უფალმა წაგართვაო, ამბობ, მოძღვარო. არა სჯობდა, სულ არ მოეცა, ან რაკი მომცა, უსამართლოდ აღარ წაერთმია, არ გავეწამებინე და განგების მგმობელი არ გავეხადე.

– ჩვენ ვერ გავიგებთ უფლის სიბრძნეს. წართმევა მხოლოდ მას შეუძლია, ვინც მოგვცა და იმის პასუხიც, თუ რატომ მოგვცა ან რატომ წაგვართვა, მხოლოდ მას ერთადერთს აქვს საიდუმლოდ, ჩვენთვის მიუწვდომლად დაცული. უფალი ბრძენია და სამართლიანი. კეთილი და უბიწო მას უფრო მეტად უყვარს, ვიდრე ჩვენ, რადგან სიყვარული უფლისა დიდად აღემატება ადამიანის სიყვარულს, უსაზღვროა და დაუსრულებელი ნეტარება მისი. ასული შენი ბედნიერია – ანგელოსი იყო და ანგელოსებთან დაემკვიდრა. ევედრე უფალს, რათა შეგინდოს ცოდვები და დაგიბრუნოს ასული შენი, როგორც იობს დაუბრუნა ძენი და ასულნი.

– განა შესაძლებელია გარდაცვლილის გაცოცხლება და იმ ქვეყნიდან მობრუნება?

– უფლისათვის ყველაფერი შესაძლებელია და არაფერი შეუძლებელი არ არის. სიკეთის თესვით, ბოროტისაგან განშორებით, სიწმინდითა და ღვთისმოსავობით დააჩქარებ შენი შვილის დაბრუნებას და შენთვის ხომ სულ ერთია, ამქვეყნად დაბრუნდება თუ იმ ქვეყნად იგი.

– თავის მოკვლა მინდოდა და არ დამანებეს; მეგონა, თავს თუ მოვიკლავდი, ჩემი თამარის გზას გავუდგებოდი. მაგრამ თურმე ესეც არ ყოფილა ადამიანის ხელთ, საკუთარი თავის მოსპობა.

– თავის მოკვლით კიდევ უფრო დაიმძიმებდი შენს ცოდვებს, მთავარო. შენს ერთგულ ცოლსა და მემკვიდრე ბატონიშვილს განსაცდელში ჩააგდებდი, ამ ქვეყნის ცხოვრებასაც მოაკლდებოდი და იმ ქვეყნადაც სასუფეველს ვერ ეღირსებოდი. წმინდა ცხოვრებით, ცოდვათა მონანიებითა და დაუცადებელი ლოცვით უნდა დაიმსახურო წყალობა უფლისა, მთავარო.

– ბერად მინდა შევდგე, მოძღვარო, სადმე მიყრუებულ მონასტერში აღვიკვეცები, სადაც ამ ქვეყნის ბოროტება და ბიწი ვერ მომწვდება. გამუდმებული მარხვითა და ხორცის გვემით მოვინანიებ ცოდვებს და იქნებ შემინდოს უფალმა.

– ბერად აღკვეცა კარგად გიფიქრია, მთავარო, მაგრამ...

– ვიცი, მეტყვი, ადრეაო, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარო.

– არა, მთავარო. ღვთის სამსახური და სიწმინდის გზაზე შედგომა რაც უფრო ადრე იწყება, მით უკეთესია. სულაც ყრმა და უცოდველი, შენი ძის ტოლიც რომ შემდგარიყავი მონასტერში, უფლისათვის ეგ უფრო სათნო იქნებოდა, რადგან ღმერთი უმანკოთა ლოცვას უფრო მეტად უგდებს ყურს, ვიდრე ბოროტის მოქმედთა და ცოდვის ჩამდენთა ვედრებას.

სმენადქცეული, გულისხმას ჩავარდნილი ცოტნე ბინდბუნდად გრძნობდა, რომ სადღაც ახლოს იყო ის, რასაც ეძებდა, ჩნდებოდა გზა, რომელზე დადგომაც შვებასა და მოსვენებას მოუტანდა.

ამდენი ხნის განმავლობაში განაბულს, უნებურად ერთი ღრმა ამოსუნთქვა წასცდა და თვითონვე შეეშინდა, ვაითუ, თავი გავეციო.

– მგონი, ოხრავს ბატონიშვილი, \_ თქვა სმენადქცეულმა შერგილმა.

– ალბათ, სიზმარს ხედავს, მთავარო. ბავშვის სიზმარიც ისევე უბიწოა და წმინდა, როგორც ცხადი, \_ ხმადაბლა განმარტა ივლიანემ, \_ ზოგიერთ მოწამეს ღმერთი სიზმარში ეცხადება და სიწმინდის გზაზე შედგომას ჩააგონებს. ეს ბედნიერება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. ღმერთი ყველას როდი ირჩევს წმინდანად. ღვთივჩაგონებულები სიყრმიდანვე ირჩევენ სიწმინდის გზას, სასახლეებს ტოვებენ და ამქვეყნიურ უზრუნველ ცხოვრებას ზურგს აქცევენ ხოლმე, რათა იმ ქვეყნად საუკუნო ნეტარება დაიმკვიდრონ და თავიანთი სიწმინდით ჩვენც შეგვიმსუბუქონ ცოდვები. ბედნიერები არიან ასეთი ყრმები. სასახლიდან უდაბნოში წასვლით გამოწვეული გლოვა მათი მშობლებისა მალე შეიცვლება სიხარულის ცრემლით, რადგანაც ისინი მალე გაიგებენ მათი შვილის მაღალ მოწოდებას, მოწოდებას ყრმისა, რომელიც საკუთარ ბედნიერებაზე ამბობს უარს, რათა სხვებს მოუპოვოს ბედნიერება, სხვების



სულებისათვის იღვაწოს, დაათხიოს თავისი უმანკო სისხლი და წამების ჯვარზე ასულმა დაიმკვიდროს საუკუნო ადგილი უფლის გვერდით.

იმას ვამბობდი, სიწმინდის გზაზე შედგომა ადრე არასოდეს არ არის. ხოლო შენს ხნოვანებაში ბევრი ერის კაცი, საქვეყნოდ გამოჩენილი ბევრი მოღვაწე შემდგარა ბერად, მაგრამ შენ სხვა ვალი გადევს ჯერ კიდევ კისრად, მთავარო. სამთავროს მემკვიდრე და მომავალი პატრონი ცოტნე ბატონიშვილი ჯერ კიდევ ნორჩია და უასაკო, მას ჯერ კიდევ სჭირდება მზრუნველი მამა და აღმზრდელი, ვინც სამშობლოსა და ტახტის საკეთილდღეოდ მიმართავს მის ნიჭსა და უნარს. ეს ვალი აღასრულე, მთავარო, დიდი თამარის ტახტსა და ქრისტეს სარწმუნოებას ღირსეული დამცველი აღუზარდე. შემდეგ კი, როცა ცოტნე შეძლებს სამთავროს პატრონობასა და ტახტის სამსახურს, უფლება გექნება ამ ქვეყანას გაშორდე და იმ ქვეყნისათვის ზრუნვას შესწირო შენი დღე და წუთისოფელი.

მოდღვარი გაჩუმდა.

ერთხანს ორივე სდუმდა თავთავის ფიქრში წასული.

მერე ივლიანემ სარკმელს გახედა.

– შუალამე გადასულა, – მთქნარებით თქვა და წამოდგა, – დაგღალე, მთავარო, და ძილი გაგიტეხე ყბედობით.

– სასარგებლო იყო ფრიად, მოძღვარო, შენი საუბარი. ვეცდები, გულს დავიმარხო შენი რჩევა-დარიგება, დავიცვა ღვთის მცნება და აღვასრულო ვალი ჩემი ორივე სოფლის წინაშე, – თქვა შერგილმა.

ივლიანემ ჯვარი გადასახა მთავარს, შერგილი ხელზე ეამბორა და მოძღვარი წავიდა.

მთავარი მუხლზე დავარდა და ძილის წინ გულმხურვალედ შეუდგა ლოცვას.

თავმომძინარებული ცოტნე ყურადღებით ისმენდა მოძღვრისა და მამის საუბარს. იმ საუბარში მისთვის ბევრი რამ გაუგებარი იყო, მაგრამ ის, რაც გაიგო, ბატონიშვილის აფორიაქებული სულისათვის შვების მომტანი აღმოჩნდა.

ოდიშის მთავარი ცოდვათაგან განწმენდაზე, საუკუნო ცხოვრებაზე ფიქრობდა. იგი თავის პატარა ასულთან შეხვედრას ესწრაფოდა. ცოდვათა მონანიებით, მარხვითა და ლოცვით უნდა მიეღწია შერგილ დადიანს ამ საოცნებო მიზნისათვის. ოცნების ასრულების დაჩქარება, როგორც ცოტნემ გაიგო, ბერად შედგომით, უდაბნოში დაყუდებით იყო შესაძლებელი, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმას მემკვიდრის აღზრდაზე ზრუნვა აბრკოლებდა – ცოტნე რომ არ ყოფილიყო, მთავარი ხვალვე წავიდოდა მონასტერში, ამ სოფლის ყველა ამაოებაზე ხელს აიღებდა და იმ ქვეყნის საუკუნო ცხოვრებისაკენ გაიკვლევდა გზას.

უფალს თურმე ის სიამოვნებს, რაც უფრო ადრე შეუდგებიან მორწმუნენი წმინდა ცხოვრებას. ივლიანე მოძღვარმა თურმე უამრავი მაგალითი იცის იმისა, თუ როგორ სტოვებენ ღვთის ჩაგონებით სიმდიდრესა და ფუფუნებას

უფლისწულები, როგორ მიაქვთ სარწმუნოების ზვარაკად თავიანთი ახალგაზრდობა, ამქვეყნიური გატაცება და ცხოვრების სიამე. ამას უცოდველი ბატონიშვილები სჩადიან, ისინი, ვისაც ამ სოფლად არავითარი ცოდვა არ მიუძღვით, მით უფრო მეტი მსხვერპლის გაღება მართებს ოდიშის მთავრის მემკვიდრეს, რომელიც თავის უნებურად დაცდენილმა ტყუილმა სხვისი უბედურების მიზეზი გახადა.

უფალი თურმე ბავშვობიდანვე ირჩევს წმინდა ცხოვრებისათვის თავგადადებულებს. რატომ ცოტნეს არ შეუძლია გახდეს ერთი მათგანი, ლოცვითა და მარხვით მოინანიოს უნებლიედ ჩადენილი ცოდვა, თავი დასდოს ქრისტეს სჯულისათვის და, თუ უფალი ინებებს, ეწამოს კიდევაც ჭემმარიტი სარწმუნოებისათვის?! უფალი მოწყალეა და დიდსულოვანი. თუ ცოტნე გულწრფელად მოინანიებს დანაშაულს, ლოცვითა და მარხვით გაიწმინდება ამქვეყნიური ბიწისაგან, მაცხოვარი არ დატოვებს შეცთომილ კრავს უმწყემსოდ, შეუნდობს და არ დაუხშობს გზას წმინდანობისაკენ.

ცოტნემ დროზე უნდა გადადგას ნაბიჯი.

მონასტერში ბერად აღკვეცა და ცოდვათა მონანიება ყოფილა ერთადერთი სწორი გზა, რომელიც ამქვეყნიურ სიმშვიდეს მოუტანს და იმქვეყნიურ სასუფეველს დაუმკვიდრებს, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს შეუმსუბუქებს და საბოლოოდ გაათავისუფლებს სინდისის ქენჯნისაგან. ბატონიშვილის ეს ნაბიჯი მთავარსაც გზას გაუხსნის წმინდა ცხოვრების დასაწყებად, რაკი მემკვიდრის აღზრდაზე ზრუნვისაგან განთავისუფლდება შერგილი.

ჯან-ლონით სუსტი ცოტნეს გონება შთამბეჭდავი და განცდისაკენ ავადმყოფურად მიდრეკილი იყო.

აზრი სასახლის დატოვებისა და მონასტერში ბერად შედგომისა განუყრელად თან სდევდა, რაკი ერთხელვე ჩაიბეჭდა გულში. ცოდვათა მოსანანიებლად უდაბნოში წასვლის გამუდმებული ფიქრი ბატონიშვილს ბოლოს მტკიცე გადაწყვეტილებად ექცა. იგი მამასთან და ივლიანესთან საუბარში სულ იმას კითხულობდა, თუ სად რომელი უდაბნო და მონასტერი იყო, რა მანძილი აშორებდა იმ მონასტრებს მთავრის სასახლიდან, რომელი წმინდანი მოღვაწეობდა იქ და რა სასწაულებით ჰქონდა განთქმული სახელი ამ უდაბნოებსა და სავანეებს.

შერგილ დადიანს დაბრმავებამდე საიმისოდ არ ეცალა, რომ მიუდგომელ მთებში ჩაკარგული მონასტრები მოეგლო, ბერებთან სასწაულებზე ესაუბრა და მათ მიერ დაწერილი წიგნები ეკითხა. თუ ომი არ იყო, ლხინსა და ნადირობას მიჰქონდა სამთავროს საქმეებზე ზრუნვისაგან დარჩენილი დრო და ოდიშის მთავარი ნადირის დევნისას შემოღამებული თუ მიადგებოდა რომელიმე მონასტრის კარს. ბერებს მასპინძლობისა და ღამის გათევისათვის მადლობას გადაუხდოდა, შესაწირავს უხვად შესწირავდა და, კარგად მოსვენებული, ღონითა და ხალისით სავსე, დილას ისევ ცხენზე ამხედრებული ჯიხვებსა და

არჩევს გამოუდგებოდა. ბუკის ცემისა და მწევარ-მეძებრების წკაფწკავის ხმა უფრო იტაცებდა მთავრის გულს და მაღალ კლდეზე გადმომდგარი ხარჯიხვის თვალმოუწყვეტლად ცქერა ერჩია მიხრწნილი წინამძღვრების ჩიფჩიფსა და ფლასში გახვეული განდევილების ყურებას.

მთავარმა მას შემდეგ მიაპყრო განსაკუთრებული გულისყური ეკლესიებისა და მონასტრებისაკენ, რაც თვალის ჩინი დაკარგა და ქალიშვილი დაეღუპა. იმ დღიდან, რაც განგების ძალას დაემორჩილა და სულიერი სიმშვიდე ლოცვა-ვედრებაში ჰპოვა, შერგილმა გლახაკთა წყალობასა და ეკლესიამონასტრებისათვის ქონების შეწირვას უმატა და ბოლოს თავისი ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს საზრუნავად ეს გაიხადა.

ოდიშის სამთავროში უამრავი ტაძარი და ეკლესია, მონასტერი და უდაბნო იყო, მათი უმრავლესობა მიუვალ მთებსა და ხეობებში იყო გაბნეული. ყველა მონასტრის არც გზა იცოდა შერგილმა, არც იქ მოღვაწე ბერებისა და წინამძღვრების ხატებისა და სალოცავების სასწაულები სმენოდა. ამიტომ უჭირდა მთავარს შვილის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება და, როგორც კი ცოტნე რომელიმე მონასტრის წარსულზე ან სასწაულთმოქმედებაზე შეეკითხებოდა, მთავარი მაშინვე ივლიანე მოძღვარს მოიხმობდა, ცოტნეს მიერ დასმული კითხვით მას მიმართავდა და შვილთან ერთად ისიც ყურადღებით ისმენდა იმ ეკლესიებისა და ტაძრების წმინდა ცხოვრების ამბებს, სადაც ლოცვაში საქართველოს მეფის შემდეგ თვითონ ოდიშის მთავარი მოიხსენიებოდა და უფალს მისი ოჯახის ბედნიერებას ავედრებდნენ.

ივლიანე მოძღვარი ზედმიწევნით აღწერდა თითოეული მონასტრის ადგილმდებარეობას. მან არა მარტო ის იცოდა, რომელი ხატის სასწაულით ან ბერის წმინდანობით იყო განთქმული ესა თუ ის მონასტერი, არამედ იმასაც დაწვრილებით ყვებოდა, თუ ქრისტეს რჯულის მიღებამდე წარმართთა რომელი სალოცავი იყო იმ ტაძრების ადგილას და ბუნების რა ძალას სცემდნენ თავყვანს ადრინდელი ოდიშარები.

უზარმაზარი კაკლის ხის ჩრდილში ისხდნენ მთავარი, მისი მემკვიდრე და მოძღვარი ივლიანე.

ივლიანე სწუხდა, რომ იერუსალიმსა და ათონში, კონსტანტინოპოლსა და ანტიოქიაში ფილოსოფიის სწავლასა და სამეფო კარის დავალებათა შესრულებას ბევრი დრო მოანდომა, საერო საქმეთაგან ვერ მოიცალა და ამაო ფუსფუსში დაკარგა ის დრო, რომელიც შეეძლო განდგომილად ცხოვრებით ბერად დაყუდებულს სულისათვის ზრუნვაში, ლოცვა-ვედრებაში გაეტარებინა.

– ჯერ კიდევ მაქვს იმედი, ჩემს დღესა და წუთისოფელს სულ ასე არ გავლევ, – ამოიოხრა ივლიანემ – ბატონიშვილს დავაჟკაცებამდე მივყვები, მის წვრთნასა და სწავლას მოვრჩები და, მთავრის ნებართვით, სასახლეს დავტოვებ, შორეულ მყუდრო სავანეს მოვძებნი და განმარტოებულ სენაკში

საუკუნოზე ფიქრითა და ზრუნვით დავასრულებ ამქვეყნიურ ცხოვრებას. უმჯობესი იყო, სიყრმიდანვე შევდგომოდი ამ გზას, მაგრამ ხანდაზმულთაგანაც მიითვლის წრფელ ვედრებას და ცოდვათა შენდობისათვის ლოცვას უფალი. არც ინდოეთის მეფის ძე იოდასაფი იყო მცირე ყრმა, ტახტი და გვირგვინი, აურაცხელი სიმდიდრე და ქონება რომ დასთმო ქრისტეს რჯულისათვის.

– ეგ როგორ იყო, მოძღვარო, – გამოცოცხლდა ცოტნე.

– მოგვითხრე, მოძღვარო! ეგ ამბავი ღირსია გულისხმასაყოფლად შენი მოწაფისა და უფლისგან დასჯილი მთავრისათვის.

– იყო ვინმე მეფე ქვეყანასა ჰინდოეთისასა, ადგილსა, რომელსა ჰქვიან ბოლატ და სახელი მისი აბენეს, – დაიწყო ივლიანემ.

მამა-შვილი სულგანაბული უსმენდა.

მოძღვარს სახეზე ნათელი გადასდიოდა, თვალები უხილავი ცეცხლით უბრწყინავდა და ისე ჰყვებოდა ინდოეთის წარმართი მეფის აბენესის ერთადერთი ძის თავგადასავალს.

ძლიერსა და დიდებულ მეფე აბენესს ერთადერთი სადარდელი ის ჰქონდა, რომ მემკვიდრე არ ჰყავდა. ბოლოს ღმერთმა ისმინა მისი ვედრება და მისცა ძე – მემკვიდრე ტახტისა. მეფემ უფლისწულს იოდასაფი უწოდა. მეფის ძის ბრწყინვალე მომავლის მაუწყებელთა შორის გამოჩნდა ერთი ბრძენი, რომელმაც იოდასაფს უწინასწარმეტყველა, რომ იგი უმაღლეს დიდებას მიაღწევდა, მაგრამ ეს დიდება იქნებოდა არა ამქვეყნიური და რომ მეფის ძე გახდებოდა სამეფოს მკვიდრთა წინამძღვარი ქრისტეს ჭემმარიტი სარწმუნოების გზაზე.

შეშინებულმა მეფემ გადაწყვიტა, წინაღობოდა წინასწარმეტყველების აღსრულებას. ტახტის მემკვიდრეს ცალკე სასახლე აუშენა და იგი რომ ქრისტიანებთან ურთიერთობისაგან დაეცვა, მსახურებს უბრძანა, უფლისწულის ახლო უცხო არავინ მიეშვათ.

იოდასაფი წამოიზარდა და გონება გაეხსნა. იგი ვერ ურიგდებოდა ქვეყნისაგან მოწყვეტას და სასახლეში ჩაკეტილ ცხოვრებას. მამისაგან ქალაქში წასვლის ნებართვა აიღო და იქ პირველად შეხვდა სიკვდილს. იოდასაფი ფრიად შეაწუხა იმის გაგებამ, რომ ყველა ადამიანის ბოლო სიკვდილია და არარაობად ქცევა. დადარდიანებულმა უფლისწულმა მოისურვა ღვთის იმ მსახურთა ნახვა, რომლებიც სიკვდილის შემდეგ საუკუნო ცხოვრებას აღუთქვამდნენ მორწმუნეებს.

ეს ამბავი შეიტყო უდაბნოში განდევნილად მცხოვრებმა, ქრისტეს რჯულის აღსარების გამო სასახლიდან გაძევებულმა, ერთ დროს მეფის უახლოესმა დიდებულმა ბალავარმა. მან მოახერხა სასახლეში შესვლა, უფლისწულს ქრისტეს მოძღვრება უქადაგა და ჭემმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია.

იოდასაფმა გადაწყვიტა სასახლის დატოვება, ერისკაცობაზე ხელის აღება და ბერად დაყუდება.

შვილის დარდით სასოწარკვეთილი მეფე დღე და ღამ იმის ფიქრში იყო, რით მოებრუნებინა მემკვიდრე უფლისწულის გული ამქვეყნიური ცხოვრების სიამისკენ. ერთი ბერძენის რჩევით, ხელმწიფემ იოდასაფს უმშვენიერესი ქალები მიუგზავნა. როგორ არ ეცადნენ ღამაში ქალები ჭაბუკი უფლისწულის ცთუნებას, მაგრამ იოდასაფმა ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა, მაცთუნებელი დიაცები განიშორა და მამას აცნობა, რომ სასახლეს სტოვებს და ბერად მიდის.

მეფემ სხვა ველარაფერი იღონა, მემკვიდრეს სამეფოს ნახევარი მისცა და ნება დართო, როგორც სურდა, ისე ემართა.

იოდასაფი თავის წილ ქვეყანას ბრძნულად გაუძღვა. ხალხი ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოაქცია, სამეფო გამდიდრდა და გაძლიერდა. ბოლოს და ბოლოს, თვითონ მეფე აბენესმაც იწამა ჯვარცმული და ქვეყანა მთლიანად გაქრისტიანდა.

როცა აბენესი გარდაიცვალა, იოდასაფმა თავისი დიდი ხნის ოცნების განხორციელება გადაწყვიტა, სასახლე დასტოვა, უდაბნოში თავის მოძღვარ ბალავართან ერთად განმარტოვდა და წმინდა ცხოვრებას შეუდგა.

მრავალი წლის შემდეგ იოდასაფი წმინდანად აღესრულა და საუკუნო სასუფეველი ჰპოვა ჩვენს მაცხოვარ უფალთან ერთად.

ივლიანე მოძღვარი გატაცებით ჰყვებოდა წმინდანის თავგადასავალს, უფლისწულის საცდუნებლად გაგზავნილი ქალების ეშმაკეულობის აღწერისას ხმას იდაბლებდა და სახეზე ზიზღი ეხატებოდა; საღვთო იგავების მოთხრობისას თავადაც სიამოვნებას განიცდიდა, ღიმილი ეფინებოდა და თითქოს ბალავარის რწმენის ძალა მასზე გადმოსულიყოს, აღზნებული ქადაგებდა, ამალღებულები და თავდაჯერებულები; წმინდანთა აღსასრულის გადმოცემა გაუძნელდა, ხმა გაეზარა და თვალი მოუწყლიანდა.

– ცოდვა რამ თუ ჰქონდა ჩადენილი მემკვიდრე უფლისწულს? – იკითხა მცირე დუმილის შემდეგ ფიქრში წასულმა ცოტნემ.

– უცოდველი იყო და უმანკო, ვითარცა კრავი, რადგანაც ამ ქვეყნის ბიწიერებას მოშორებული იზრდებოდა განცალკევებულ პალატებში. ამიტომ არ იცოდა არც დროის სათვალავი, არც სიბერის უძლურება, არც სიკვდილის არსებობა და გარდუვალობა.

– ცოდვა რომ ჰქონოდა ჩადენილი, შეიწყნარებდა უფალი იოდასაფს? დაუმკვიდრებდა საუკუნო სასუფეველს?

– უფალი გულმოწყალეა და დიდსულოვანი. ქრისტე იტყვის: «ვითარ ჰგონებ, თქვენ? კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხოვარი და შესცთეს ერთი მათგანი, არამედ დაუტევნესა ოთხმეოცდაათცხრამეტნი იგი მათათა ზედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი? და რაჟამს ჰპოვოს იგი, ამინ გეტყვი თქვენ, უფროის უხაროდეს მის ზედა, ვიდრე ოთხმეოცდაათცხრამეტთა მათ, რომელნი არა შეცთომილ იყვნეს». ცოდვილისაგან მონანიება და ჭეშმარიტ გზაზე მოქცევა უფრო ახარებს თურმე უფალს. მრავალნი ყოფილან წარმართნი, რომელთაც უმეცრებით დაუთხევიათ ქრისტიანთა უმანკო სისხლი, ხოლო

შემდგომ თვალი ახელიათ, წრფელი გულით შეუნანებიათ დანაშაული და წმინდანობით დაუმკვიდრებიათ საუკუნო ცხოვრება.

უფლის გულმოწყალების ამ უკანასკნელმა დასაბუთებამ ცოტნეს ფრთა შეასხა.

თუკი უფალი ქრისტიანთა სისხლის დამღვრელ წარმართთა ლოცვასაც კი იღებს ყურად და უმეცრებით ჩადენილ ბოროტებას შეუნდობს, მით უფრო ადვილად უნდა მიუტევოს შეუგნებელ ყრმას უნებლიე ცოდვა.

მშობლები თითქმის ყოველდღე დადიოდნენ მთავარ საგვარეულო ტაძარში და ცოტნეც თან დაჰყავდათ.

ყოველთვის, როცა ცოტნე თამარის საფლავზე დამხობილ უღუ გადიას დაინახავდა, გული შეუქანდებოდა, სახე აელეწებოდა და მაშინვე პირს მოიბრუნებდა.

რაკი დის სიკვდილი თავიდანვე არ დაიჯერა ცოტნეს გულმა და გონებამ, ბატონიშვილი ბოლომდე უგრძნობელი რჩებოდა იმ პატარა ბორცვის მიმართ, რომელსაც თამარის საფლავი ერქვა. ცოტნეს გონებაში თამარი ისევ ცქრიალა გოგონად დარჩა, იგი ანგელოსებს სადღაც გაჰყვა, სადაცაა დაბრუნდება და ძველებურად ისევ ცოტნესთან ერთად ირბენს და ითამაშებს.

გუგუტა კი... გუგუტას გახსენება სხვა იყო. მისი დედის დანახვა მივიწყებულ ტკივილს აუშლიდა ხოლმე, დანაშაულში თავის მონაწილეობას ახსენებდა და სინდისი ქენჯნიდა.

იმ დღესაც, ტაძრის ეზოში შეაბიჯა თუ არა, თვალი პირველად უღუ გადიას წააწყდა.

ნამტირალევი, სახედაკაწრული უღუ თამარის საფლავთან იჯდა. ცრემლგამშრალი თვალით ერთხანს სადღაც უაზრო დაჟინებით იცქირებოდა. მერე ის უაზროდ მზირალი თვალები ცოტნეს წააწყდნენ და უცებ გამოცოცხლდნენ.

– ბატონიშვილო! მოდი, თოლიგე, შენთან ძმადშეზრდილი, შენზე და შენს დაიკოზე გადაგებული გუგუტა იტირე! – შეჰკვივლა უღუმ და ხელები ისე გაშალა, თითქოს გულში უნდა ჩაეკრა ტაძრის გალავანში შემოსული, მოულოდნელი შეხვედრით შემცბარი ცოტნე.

ბატონიშვილს ფეხი დაებორკა, კარგად ხედავდა, რომ ძიძის მკლავები მის მოსახვევად იყვნენ გაშლილნი, მაგრამ ნაბიჯი ვერ წადგა, შემკრთალმა თავი ჩალუნა და თვითონაც ვერ გაიგო, ვინ მიიღო მის მაგივრად ეს გადაწყვეტილება: უცებ ადგილიდან მოსწყდა და ეკლესიაში შევარდა.

ეგებ გაგონილი ჰქონდა სოფლის წესი და კანონი: თუ დამნაშავემ ეკლესიაში შეასწრო, მდევრებს უფლება არა აქვთ მისი ხელყოფისა. იმ წამს, როცა ტაძრისკენ გაიქცა, ეს წესი არ გახსენებია: ყოველ შემთხვევაში, მისი გაქცევა გაუაზრებელი და გაუცნობიერებელი იყო და გონების კარნახით არ მომხდარა.

გულამოვარდნილმა სული ძლივს მოიბრუნა და თვალი ფეთებით მოავლო იქაურობას.

ცარიელ ტაძარში იდუმალებით სავსე სიჩუმე იდგა. საცოდავად მბჟუტავი ორიოდ სანთლის შუქი ფანჯრებიდან უხვად შემოსულ ნათელში იკარგებოდა.

ტაძარში დასადგურებულმა სიცივემ და სიჩუმემ დამშვიდების მაგივრად კიდევ უფრო შეაკრთო ცოტნე.

იდგა საყდრის კედელს აკრული და არ იცოდა რა ექნა.

– ეჰე-ჰეე... – გაისმა უცებ ზემოდან ომახიანი ძახილი.

ცოტნე კინაღამ შეხტა.

თვალი მაღლა ადაპყრო: გუმბათქვეშ, ხარაჩოებზე მხატვარი იწვა გულადმა. ხელთ ფუნჯი ეპყრა და კონქზე გამოხატული მაცხოვრის კაბას საღებავს ადებდა.

– მანდ რომელი ხარ? – იკითხა მაღლიდან მხატვარმა და ხარაჩოზე წამოიწია.

– მე ვარ, ძია მახარებელ, ცოტნე ბატონიშვილი, – შესძახა დაბლიდან ცოტნემ, თავი გუმბათისკენ მოიღერა და ტაძრის შუაგულისკენ დაიძრა.

– ბატონიშვილს გაუმარჯოს! – მიესალმა სახეგაბადრული მხატვარი. იგი ახლა უკვე ხარაჩოზე იჯდა, საღებავით გათხუპნული ხელები მუხლებზე ეწყო და ქვევით კეთილად გაღიმებული იყურებოდა.

ცოტნე თვალმოუცილებლად შეჰყურებდა გუმბათზე მოხატულ ქრისტეს. მაცხოვარს ცალი ხელი ჯვრის გადმოსასახავად ჰქონდა აღმართული, მეორეში გაშლილი წიგნი ეპყრა და მშვიდობიანი, გრძელი, დიდრონი თვალებით ყოვლის შემნდობად იცქირებოდა ღრუბლებიდან.

ყმაწვილის ალგუნებული მზერა აღტაცებასა და გაოცებას გამოხატავდა.

– მოგწონს, ბატონიშვილო? – გამოეხმაურა მხატვარი.

ცოტნემ არაფერი უპასუხა, წამით მაცხოვარს თვალი მოაშორა და მზერა ოსტატზე გადაიტანა.

– ამობრძანდი, ბატონიშვილო... არ გინდა მაღლა ამოსვლა?

ცოტნე გამოცოცხლდა და უმაღვე დაავიწყდა არა მარტო სულის წელანდელი შემფოთება, რომელმაც აქ შემოაგდო, მისთვის ერთ წამში გაჰქრა გარესამყარო და მაღლიდან მზირალი მხატვრისა და უფლის შემოქმედი ძალის გამონაკრთომით მოჯადოებული ხარაჩოებისაკენ დაიძრა.

– ფრთხილად ამოდი, მანდ არაფერი მოიწიო!

– მოვდივარ, ძია მაკარიოს.

– რამდენჯერ უნდა გითხრა, მაკარიოსი კი არა, მახარებელი ვარ, – საყვედურით თქვა მხატვარმა, უკვე ზემოთ ასულ ცოტნეს ხელი გაუწოდა და იმ ხარაჩოზე გადაიყვანა, სადაც თვითონ იდგა.

– ერთხელაც გითხარი, მაკარიოსი ბერძნებმა დამარქვეს, მახარებელის გამოთქმა გაუჭირდათ და სახელი თავიანთებურად გადამიკეთეს. დაჯექი, აგერ სუფთა ლეიბია, – ოსტატი გაიწია და ლეიბზე ადგილი დაუთმო.

ცოტნე ხარაჩოზე ასვლისთანავე კონქში გამოხატული მაცხოვრის ქვეშ მოექცა. დაბლიდან ამოდენა როდი ჩანდა მაცხოვარი. მისი ცისფერი სამოსი

ახლო უფრო ლურჯი ეჩვენა ცოტნეს. ცალი ხელი მეორესთან შედარებით, ცოტა არ იყოს, წაგრძელებული ჰქონდა, ჯერ კიდევ შეუშრალი საღებავები სიმძაფრით თვალს სჭრიდნენ. თვალები, წელან რომ სიმშვიდისა და სათნოების ფრქვევით იზიდავდნენ, უჩვეულოდ დიდი ზომისა აღმოჩნდნენ. საღებავები ისე სქლად ედო ნახატს, სიშორისა და ჰაეროვნების წედანდელი შთაბეჭდილებისაგან თითქმის აღარაფერი რჩებოდა.

– ძია მაკარიოს...

– მახარებელი, რამდენჯერ უნდა გთხოვო!

– ძია მახარებელ! მაცხოვარს ცალი ხელი მეორეზე დიდი აქვს?

– აჰა, შეამჩნიე, არა? ეგ წინასწარ აგრეა მოფიქრებული, შორიდან საცქერლად არის გამოანგარიშებული, ბატონიშვილო, ერთი და იგივე საგანი ახლო სხვაგვარად ჩანს, შორიდან სულ სხვაგვარად, ამის ხელოვნება ვენეციაში ვისწავლე იქაური ოსტატებისაგან. განა დაბლიდანაც მეტ-ნაკლები გეჩვენებოდა ხელები?

– არა, არ შემიმჩნევია.

– ვერც შეამჩნევდი. ამ ხელის მოძრაობას ეგ ზედმეტი სიგრძე სჭირდება დაბლიდან საცქერლად, მანძილი და ხედვის კუთხე მაგ ზედმეტობას ამცირებს და ჩვეულებრივ ზომად აქცევს. ფერებიც აგრეა, ერთი და იგივე საღებავი ახლოდან სხვაგვარად ჩანს, შორიდან კი სულ სხვაგვარად, მანძილი ადიდებს, ან ამცირებს ფერების სიმძაფრეს.

– რამოდენა თვალები ჰქონია ქრისტეს! წელან ისე მიყურებდა, მეგონა თავისკენ მემახდა და აქ მისი თვალების მიზიდულობით ამოვედი. ახლა კი ზედაც აღარ მიყურებს, თითქოს ვეღარც მხედავს.

– ეგეც ეგრე უნდა იყოს. მაცხოვრის მზერაც მანძილზე და სიმაღლეზეა ნაანგარიშევი. ტაძარში მლოცველთა თვალი გუმბათისკენ არის მიპყრობილი. იქ გამოხატული უფალი ყველას უნდა უცქერდეს, ყველას უნდა უნაწილებდეს ნუგეშსა და წყალობას. ჩემი მაცხოვარიც ეგეთია, ტაძრის რომელ კუთხეშიაც უნდა დადგე, თვალს არ მოგაცილებს. ადრე, შენოდენა რომ ვიყავი, მეც ეგრე მიკვირდა, ყველა მხარეს ერთგვარად როგორ უცქერის-მეთქი. მერე, როცა კონსტანტინოპოლსა და ანტიოქიაში, იერუსალიმსა და ვენეციაში დავაკვირდი იქაური დიდოსტატების ხელოვნებას, მათ გვერდით ვიმუშავე და მათ რჩევა-დარიგებას ყური მივუპყარი, მეც თვითონ ჩავწვდი ხატვის ბევრ საიდუმლოს.

– იქაც მაცხოვარს ხატავდი, ძია მახარებელ?

– მაცხოვარსაც და ღვთისმშობელსაც, ანგელოსებსაც და ეშმაკებსაც.

– ეშმაკებსაც? – გაიოცა ცოტნემ.

– ეშმაკებსაც! უემშაკოდ არც მხატვრობა შეიძლება და არც ცხოვრება, საერთოდ. ადამიანი სიკეთისა და ბოროტებისაკენ ერთგვარად არის მიდრეკილი. სიკეთისაკენ ანგელოსები მიმართავენ ადამიანებს, ხოლო ბოროტებისათვის ეშმაკები აღძრავენ ხოლმე. ეშმაკმა აცდუნა ევა და იმ დღიდან ადამის შთამომავლობა ყოველგვარ ცოდვას იმავე ეშმაკის ჩაგონებით სჩადის. სადაც ანგელოსი არ არის, იქ ეშმაკს რჩება ბურთი და მოედანი.



– გინახავს ეშმაკი, ძია მახარებელ?

– არა. ცოცხალი ეშმაკი, კუდიანი და რქებიანი, აი, ისეთი, როგორსაც ხატავენ, ცხოვრებაში არ მინახავს, მაგრამ ჩემს გრძელ გზაზე ბევრ ეშმაკს გადავყრივარ და ბევრსაც ვუცდუნებივარ. გამოფხიზლებული ეშმაკს ვემიჯნებოდი, ცოდვას ვინანიებდი და ჭეშმარიტების გზაზე დამდგარი, ისევ უკან ვიხედებოდი, რადგან ჩემი ცხოვრების ყველაზე ტკბილად მოსაგონარი დღეები ეშმაკის ცდუნებას აყოლილს მქონდა გატარებული. ქვეყნად რომ ეშმაკი და ცთუნება არ ყოფილიყო, კაცის ცხოვრებას ეშხი და სიამე მოაკლდებოდა, სიცოცხლე ერთფეროვანი და მოსაწყენი იქნებოდა. სამყაროს შემქმნელმა ღმერთმა ეს კარგად იცოდა საკუთარი გამოცდილებით. და ის, რაც თვითონ აკლდა, თავის ქმნილებებს მიანიჭა. თავად ღმერთი შორსა დგას და თავისუფალია ყოველგვარი ამქვეყნიური სიამისა და ცთუნებისაგან, თავისი ბუნების ამ ნაკლის შესავსებად უფალმა ეშმაკები გააჩინა და ადამიანებს მიუჩინა შესაცდენად. მას შემდეგ, რაც ეშმაკმა ადამი და ევა აცთუნა, მათმა მოდგმამ, ეშმაკის ჩაგონებით, არაერთხელ იგემა სიმწარე. ადამიანი მიხვდა, ეშმაკის ცთუნებას არ უნდა აჰყოლოდა და წინ უნდა აღდგომოდა, მაგრამ იგი უძლური აღმოჩნდა, რადგან ეშმაკის წინააღმდეგ ბრძოლა, თვითონ უფლის წინააღმდეგ ბრძოლაა. უფალმა ეშმაკი რომ გააჩინა, მის ცთუნებებს თან უდიდესი სიამე დააყოლა და ისე მოაწყო, რომ, ვინც ერთხელ ამ ცთუნებას დაჰყვებოდა, მის სიტკბოს ველარასოდეს დაივიწყებდა, ახალს და ახალს მოინდომებდა. მწარე ბოლოა ეშმაკისა, ცთუნების შედეგი და ნაყოფი, თორემ იმ ცთუნების დასაწყისი და განცდა გემრიელია და უაღრესად მიმზიდველი. ღმერთი არა მარტო ითმენს ეშმაკის საქმიანობას, არამედ სამყაროსათვის, ცხოვრებისათვის აუცილებლად მიაჩნია მისი არსებობა და მოქმედება და ამიტომაც, ანგელოსების მსგავსად, ეშმაკსაც უკვდავება, სამარადისო სიცოცხლე მიანიჭა.

ეშმაკი ღმერთს ემორჩილება, მაგრამ რის ეშმაკი იქნება, თავის ბედს შეურიგდეს. რაკი უფლის მიმართ სხვა ვნება ვერ მოიგონა, ადამიანებს ღვთის მიბაძვა ჩააგონა, ღვთისგან თანდაყოლილი ნიჭი გაულვიდა და უფალს გააჯიბრა. ნიჭგადვილებული ადამიანი დაავადებულია, სჯერა, რომ ის ღმერთით შემოქმედია, მას თვითონ შეუძლია თავისი სამყაროს შექმნა და ამიტომ თვითონაც უკვდავია. ადამიანს თუ ეს რწმენა ძვალსა და რბილში გაუჯდა, მერე მისი საშველი აღარ არის: ან ქვას ებრძვის და უფლის მიბაძვით უსახო ლოდისაგან ღვთის ქმნილებების მსგავსი სახეები გამოჰყავს, ან ხაზებისა და ფერების შერწყმით, სიტყვათა მწყობრი დალაგებით, თუ ხმათა და ჰანგთა შეერთებით ქმნის იმის მსგავსს, რაც ღმერთმა შექმნა, რასაც ვხედავთ და რაც გვესმის. ეშმაკს ჰგონია, ამით უფალზე შურს იძიებს, მაგრამ ყოვლის შემოქმედ ღმერთს ადამიანთა ეს გაჯიბრება ყმაწვილთა თამაშად და მღერად მიაჩნია, მათი ამო წვალებით ერთობა და მათ უძლურებაზე ეცინება, რადგან შემოქმედის ნიჭით დაავადებულ ადამიანებს თან ერთი ავადმყოფობაც აქვთ – ისინი თავიანთ შთაგონებაში სრულყოფისაკენ ისწრაფვიან, სრულყოფა კი

უფლის თვისებაა და ადამიანისათვის მიუღწეველია. ნიჭიერთაგან უნიჭიერებს ამ ადამიანური უძლურების შეგრძნება, საკუთარი ძალისა და შესაძლებლობისადმი ეჭვი მუდამ თან სდევთ, გულს უღრღნით. აუვსებელი საწყაულივით მუდმივი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დაუცხრომლად წინ მიერეკებათ, მიუწვდომლის დევნასა და მოუპოვებლის დაუსრულებელ ძებნაში ხარჯავენ სიცოცხლის საუკეთესო წლებს და ბოლოს, თვალის სამუდამოდ დახუჭვის წინ ხვდებიან, რომ ღმერთთან გატოლება მხოლოდ თავის მოტყუება იყო და, რომ ქვეყნად ერთადერთი უკვდავება არსებობს – უზენაესის, თავად ქვეყნის შემქმნელის უკვდავება. ეს სიმართლე მწარე სიმართლეა და ვაი იმ უბედურს, ვინც ჩემსავით ადრე მისწვდება და გაიგებს მას.

ცოტნე ყურს უგდებდა, მაგრამ მხატვრის ნათქვამისაგან ძალიან ცოტა წვდებოდა მის ცნობიერებას და გაგების უნარს. თავისი მუშაობითა და ენაწყლიანობით გართული ოსტატი თითქოს მის მიერვე დახატული ღმერთებისა და ეშმაკების გასაგონად ყბედობსო, სულაც არ დაგიდევდა ბატონიშვილის ყურადღებას.

ცოტნე ხარაჩოზე ჩამოჯდა და ჩაახველა. მხოლოდ მაშინ გაახსენდა მახარებელს თავისი მსმენელი.

– ლეიბზე დაჯექი, ბატონიშვილო, სუფთაა, – თქვა წამით თავშემობრუნებულმა ოსტატმა, ისევ კედლისკენ შეტრიალდა, ხატვა განაგრძო და საღერღელაშლილმა გაწყვეტილი მსჯელობა გააგრძელა:

– აგერ, იმ კედელზე მყავს გამოხატული ქვეყნის შემქმნელი უფალი, – თქვა და ლაპარაკის ეშხში შესულმა ხელი მოპირდაპირე კედლისაკენ გაიშვირა.

ცოტნე იმ კედელს მიაჩერდა: შიშველი ფეხებით ღრუბლებზე მიმავალი მამაღმერთი ცალი თვალით ცოდვილი მიწისაკენ იხედებოდა. უდაბნოში დაყუდებულ ბერს ეშმაკი ულამაზესი ქალის სახით მოვლენოდა და აცდუნებდა.

– ხედავ, როგორ ტკბება უფალი ღმერთი ადამიანის ცთუნებით? კაცის გული და გონება, სხეული და სული ერთიმეორეს ებრძვის. ღმერთს სულ არ ადარდებს, რომელი გაიმარჯვებს, სული დამღევს, თუ ხორცი; იგი ადამიანის ამ საამო ტანჯვით ტკბება, რადგან თვითონ მოკლებულია ტანჯვის განცდას, ამიტომ უცქერის, ვითომცდა ცალი თვალით, ამ ამაღლებულ სურათს, სახეზე თავათაც მაცთური ღიმილი უთამაშებს და სხვის ტანჯვას ატანს გემოს. ერთი ხელით რომ ანგელოსს ქმნიდა, მეორეთი ეშმაკს ძერწავდა. მას უფლება არ ჰქონდა დაესაჯა ადამი და ევა, ან დაეგმო კაენის ცოდვა, რადგან ერთიცა და მეორეც მისგანვე შექმნილი ეშმაკის ცთუნებითა და ჩაგონებით იყო ჩადენილი და, როცა ღმერთი ეშმაკს აჩენდა, ამ ცოდვათა გარდუვალობას მაშინვე გულისხმობდა. რაკი ადამიანის თმის ერთი ბეწვის ჩამოვარდნაც კი უფლის ნება-სურვილზეა დამოკიდებული, ადამიანის მიერ ჩადენილი ყველა ცოდვაც განგებისაგან წინასწარ განსაზღვრულია და ღმერთს იმის გმობის უფლება არ უნდა ჰქონდეს, რაც თვითონვე დაუწესებია, ამიტომ არ მიყვარს მამაღმერთი.

ღმერთი და უფალი იესო ქრისტეა, მართალი და გულმოწყალე, იგი თავისივე მსგავსი ადამიანების სახსნელად ეწამა, ბოროტი და ბიწი ჰგმო და უსამართლობას შეებრძოლა. იესო მაცხოვარმა შემცოდენი ამხილა და მონანიების გზა აჩვენა; ფარისევლებს ომი გამოუცხადა, ჩვენი ცოდვები იტვირთა და უფლის წინაშე თავდებად დაგვიდგა. ქრისტეზე კეთილშობილი და წმინდა, ადამიანური და ამაღლებული ქვეყნად არც ერთი სარწმუნოების შემქმნელი არ ყოფილა. ამიტომ მიყვარს ტანჯული იესო და ამიტომ ვოცნებობდი სიყრმიდან ჯვარცმულის შექმნაზე. მამა ხუცესი მყავდა და დედა უსწავლელი, მაგრამ ღრმად მორწმუნე. პატარაობიდან ქრისტეს სიყვარულს მინერგავდნენ და შენს ტოლობამდე გულწრფელად მწამდა, რომ ერთადერთი ჭეშმარიტი სარწმუნოება ქრისტეს სარწმუნოება იყო. ბავშვობა ბედნიერი მქონდა და თითქმის უზრუნველი. ღვთისმოსავი მშობლები სულ იმას ჩამაგონებდნენ, ქრისტესავით კეთილი და შემბრალე, ღარიბთა და ობოლთა გამკითხველი, უძლურთა და მიუსაფართა მფარველი ვყოფილიყავი. სახარება ზეპირად ვიცოდი და, ცხადში ქრისტეს სჯულისათვის თავგანწირვის მეოცნებე, სიზმრად ჩემ თავს ჯვარზე გაკრულს ვხედავდი. ბავშვობასთან ერთად, რატომღაც, ის ნეტარი სიზმრებიც დამთავრდა. შემდეგ სიჭაბუკეში და ვაჟკაცობაში შესულს აღარასოდეს მომბრუნებია სიყრმის ის ზმანებები. ვცდილობდი, წარმოსახვით, ოცნებით აღმედგინა და გამეცოცხლებინა ბავშვობის ის სიზმრები, მაგრამ ამაოდ... შენ თუ დაგსიზმრებია ქრისტე, ბატონიშვილო, ან მაცხოვრის ადგილას თუ წარმოგიდგენია შენი თავი ჯვარცმულად? \_ მოულოდნელად მიმართა კითხვით მხატვარმა ცოტნეს.

\_ ქრისტე?.. არა... მე ამირანი მესიზმრება ხოლმე.

\_ ოო, ამირანი დიდი გმირი იყო, მაგრამ ქრისტეს მსგავსი გმირობა ჯერ არავის ჩაუდენია ამქვეყნად. არა სხვისი მოკვლა და სხვათა ძლევა არის ქრისტეს გმირობა, არამედ სხვათა გადასარჩენად, სხვათა დასახსნელად თავგანწირვა და ჯვარზე ასვლა.

ქვეყნის შემქმნელი ღმერთი ცივია და ადამიანის ბედისადმი გულგრილი. მან მხოლოდ დასჯა იცის მის მიერვე გაჩენილი ცოდვებისათვის. იგი სხვათა ცოდვას არასოდეს იტვირთებს და შემცოდეთა გადასარჩენად ქრისტესავით თავს არ გამოიდებს. ჩვენი ქომაგი და მფარველი ქრისტეა, ამიტომ უნდა შეიყვარო იესო მაცხოვარი... ხომ გიყვარს ქრისტე-ღმერთი, ბატონიშვილო?

\_ მწამს და მიყვარს, ოსტატო!

\_ ჰოდა, ეცადე, მას მიბამო და მასავით სხვისთვის ეწამო, სხვათა გადასარჩენად ჯვარცმისა არ შეგეშინდეს. ეცადე, ეგ რწმენა არასოდეს დაკარგო და მოიშალო. რწმენის დაკარგვა ადამიანისათვის ყველაზე დიდი უბედურებაა. ამქვეყნად რამე უნდა გწამდეს მტკიცედ და ექვიმიუტანლად. დიდი საქმის გაკეთება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც მთელი არსებით სწამს რაიმე. ადამიანს უნდა უყვარდეს, მთელი არსებით უნდა უყვარდეს და იმას როდი აქვს მნიშვნელობა, სხვა როგორი თვალით შეხედავს მის სატრფოს, ლამაზად მოეჩვენებათ იგი თუ მახინჯად, სხვადასხვა რწმენისა და მიზნის

ადამიანებთან ურთიერთობამ, თუ ბედმა, ჩემი ცხოვრების გზა ისე წარმართა, რომ გულწრფელობა და კაცთა მინდობა ადრე დავკარგე, სხვების სარწმუნოება ბოლომდე ვერ ვიწამე და ამასობაში ჩემიც დავთმე. სხვის რწმენაზე და საქმეზე ქირქილი ადვილი ყოფილა. ძნელი რწმენის განმტკიცება და რაიმეს შექმნაა თურმე. რაც რწმენა შემერყა, სულიერად დავცარიელდი, გავფუქსავატდი და დიდი შემართების სურვილიც ნელ-ნელა დავკარგე. ადრე სულ იმას ვოცნებობდი – ქრისტეს ჯვარცმა დამეხატა ისე, რომ მისი ტკივილის სიმწვავე და ტანჯვის სიამე მეც განმეცადა, მნახველისთვისაც განმეცდევიინებინა. მაგრამ ვერ იქნა და ვერ შევბედე. ყრმობის სიზმრებმა დამტოვეს და ქრისტეც აღარ მეცხადებოდა. მაცხოვარი ისევ მიყვარდა, მაგრამ მხოლოდ გონების ძალით და არა პირვანდელი უშუალოებით. თუ გონების ძალას პირველხილვის გულწრფელობის მაღლი არ ახლავს, ისე შემოქმედი დიდსა და მნიშვნელოვანს ვერაფერს შექმნის. ერთხელვე სულიერად გათაღლითებული, ჩემი ოცნების განხორციელებას გავურბოდი, ქრისტეს ვხატავდი, მაგრამ არა ჯვარზე გაკრულს, არა ისეთს, როგორსაც ჩემი ბავშვობის სიზმრებში ვხედავდი. სამაგიეროდ, თვითონ უფალი ღმერთის სრულყოფილებაში დავიწყე ძებნა ნაკლისა და დაუმთავრებლობისა და ბევრი წინააღმდეგობაც აღმოვაჩინე. უფალი ღმერთი თავისსავე თავს ეწინააღმდეგება ხშირად, იმის მაგივრად, რომ დაიცვას თავისი ქმნილება – ადამიანი, იგი ეშმაკს მიუჩენს ხოლმე იმავე ადამიანის შესაცდენად, იმის ნაცვლად, რომ ეშმაკის ცთუნების მსხვერპლი შეიწყნაროს და ცოდვისაგან განწმინდოს, უფალი სასტიკად სჯის მას და უფრო მეტად იშორებს თავისგან. ამიტომ მეჩვენება მამაღმერთი ორპირად და ამიტომ დავამსგავსე იგი მაგ ნახატში ერთ ჩვენს...

თითქოს წამით გამოერკვაო, მახარებელმა უცებ დააჭირა ენას კბილი და სმენადქცეულ ბატონიშვილს შეშინებულმა მოხედა.

ცოტნე პირდაღებული უსმენდა. ეტყობოდა, მხატვრის ნათქვამიდან ბევრს ვერ გებულობდა, მაგრამ რაღაც თამამსა და დამაფიქრებელს რომ ამბობდა, ამას კი ხვდებოდა.

– სისულელეებს ვლაცობ, თავს გაბეზრებ, – თქვა და ხელი ჩაიქნია მახარებელმა, – შენ ჯერ კიდევ უწვრთნელი ყმა ხარ და ამას ვერ გაიგებ, ბატონიშვილო, არ გინდა და ნურც ნურასოდეს ეცდები, რომ ღმერთებისა და ადამიანების ურთიერთობაში გაერკვე, სიკეთეს არაფერს მოგიტანს, ტყუილად სულის სიმშვიდესა და მოსვენებას დაკარგავ. იწამე ღმერთი, როგორც შენი მოძღვარი გასწავლის და უფლის ავ-კარგის გამოძიებას ნურასოდეს ეცდები.

– ვის დავამსგავსეო, როგორ თქვი, მია მახარე? – იკითხა მოულოდნელად ცოტნემ და მხატვარი შეცბა. იგი მიხვდა, რომ ბატონიშვილს მისი უკანასკნელი სიტყვებისთვის ყური არ უგდია და აქამდე წელან დაცდენილ ნათქვამზე ფიქრობდა.

მახარებელმა შეშინებული თვალები იქაურობას მოავლო და სახეზე ნაძალადევი ღიმილი გამოისახა.

– არავის... არც არავის... ღმერთს ვის დავამსგავსებდი! მე ეგ არ მითქვამს... – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა მახარებელი და არხეინი გამომეტყველებით ცდილობდა, შინაგანი შემფოთების დაფარვას.

ცოტნე დაფიქრებული უსმენდა, ატყობდა, მხატვარი რალაცის დამალვასა და მიფუჩეჩებას ცდილობდა. მაგრამ წამოცდენილ სიტყვას ძირამდე ვეღარ ჩაემია.

– სხვა ტაძარი თუ გაქვს მოხატული ჩვენში, ძია მახარებელ? – იკითხა ცოტნემ და მხატვარს გულზე მოემვა.

– სხვა ტაძარი? როგორ არა. სამშობლოში დაბრუნებისთანავე მოვხატე ერთი ტაძარი, ვიდრე ამ ტაძრის აშენება დამთავრდებოდა, უსაქმოდ ხომ არ ვიქნებოდი? მთავარმა მთაში წამიყვანა და მიუვალ ხეობაში ჩაკარგული ერთი მონასტერი მომახატვინა. დრო ბევრი მქონდა და კარგა ხნის დასვენებული, მუშაობას მონატრებული ვიყავი, მთაგონებული ვხატავდი და კარგიც გამომივიდა, მაგრამ სანანებლად ესა მაქვს, ის მონასტერი ისეთ მივარდნილ ადგილასაა, წელიწადში ერთი კაციც არ მიაკითხავს. ვისთვის ვქმნიდი ჩემს იმ საუკეთესო ნამუშევარს, მე თვითონ არ ვიცი, მნახველი მას არ ეყოლება და დამფასებელი. მონასტრის წინამძღვარმა, მთავარყოფილმა და მეფის ნავაზირალმა ვარდანმა კი იცის მხატვრობის ფასი, მაგრამ...

– ეგ რომელი ვარდანია, ბიძაჩემი ხომ არა?

მახარებელმა ისევ იკბინა ენაზე, მაგრამ გვიანლა იყო ნათქვამის გადათქმა.

– დიახ, ბიძაშენი, მეფის ვაზირი და ოდიშის მთავარი. ოდიშართავან სხვას ესოდენ დიდი პატივი არავის რეგებია და არც მისებრ ვინმე აღზევებულა. მეფეთმეფე თამარს თავის დროზე ერთგული სამსახურისათვის დიდად გაუძლიერებია ვარდან დადიანი, იმ ზომამდე, რომ სომხეთში მამულები და სიმაგრით განთქმული კაიწონის ციხე-სიმაგრეც კი უბოძებია. შემდეგ, როცა მთავარი მეფეს ორგზის გაორგულებია და გიორგი რუსს მიმხრობია, თამარის ერთგულ ვაზირებს ბრძოლაში დამარცხებული დიდებულის სასტიკი დასჯა მოუთხოვიათ. ბრძენსა და გულმოწყალე თამარს ნავაზირალი საექსორიოდ და სასიკვდილოდ ვერ გაუმეტებია, ვარდანი ბერად შედგომის ნებართვას შემოხვეწია და მეფეს მისი აჯა შეუწყნარებია. მიუდგომელ ხეობაში გადაკარგულ მონასტერში დაყუდების დასტური მიუცია და მთავრობა ვარდანისავე უმცროსი ძმისთვის, მამაშენისთვის დაუმტკიცებია.

– შორს არის აქედან ბიძაჩემ ვარდანის მონასტერი?

– აქედან არც ისე შორს არის, ოღონდ ცუდი გზებია, საცალფეხო ბილიკებით უნდა იარო და ისიც სულ ტყე-ტყე და კლდე-ღრეებში გამავალი გზაწვრილებით, ძნელი მისასვლელია, მაგრამ თუ მიხვალ, იტყვი, ნამდვილად სამოთხეში მოვედიო. იმის ულამაზესი ადგილი დედამიწის ზურგზე არსად იქნება. ბზისა და უთხოვარის ტყეებით დაბურულ ხეობაში პატარა ხერთვისი ადგილია. ორი მდინარის შესართავთან მდებარე პატარა კუნძული წალკოტსა ჰგავს. იმ წალკოტის შუაგულში უზარმაზარი კლდეებია ამართული. კლდეებში მონასტრის ქვაბებია ნაკვეთი და მერე როგორი ხელოვნებით!

საყდრები და სამლოცველოები, დარბაზები და სენაკები, ბელლები და ჭურ-მარნები იმდენია, დაიკარგები. იმ ბნელი კლდის გულში კამკამა წყაროს აუზებია. მარტომყოფთა სენაკები, წესისამებრ, ცივია და უმზეო, მაგრამ მთავარ საყდარსა და დარბაზებში სინათლევ უხვად არის და მზის მხურვალეზაც საგრძნობია. მე თვითონ განცვიფრებული შეეყურებდი კლდის მაღალ თაღებს და ამაოდ ვეძებდი იმ თვალითუხილავ ხვრელებს, საიდანაც მონასტრის მშენებლებს ასე ოსტატურად შემოეყვანათ დღის სინათლე. ეს ქვაბები ხომ საკვირველებაა, მაგრამ მონასტრის ყველაზე დიდი საოცრება თავად წინამძღვარია. ეს დროული კაცი, მეფის კარის პირველ დიდებულად ნამყოფი ნავაზირალი, ახლა წმინდა ცხოვრების გზაზე შემდგარი ბერი, ყოვლისმცოდნეა და ყოვლისმნახველი; მას არც ამქვეყნიური დიდება აკვირვებს ვისმესი, არც დამცრობა და დამხოზა. ყველაფერს გულგრილად უყურებს და ყოველივე ამაოებათა ამაოებად მიაჩნია. ამიტომ ავსა და კარგს ერთნაირად დამცინავი ღიმილით უცქერის ჩემს მიერ აქ დახატული მამაღმერთივით.

მახარებელმა ხელი ისევ მოპირდაპირე კედლისკენ გაიშვირა და მაშინვე გონს მოეგო. ენას კბილი დააჭირა. მღელვარების დასაფარავად, სხვა რომ ვეღარაფერი იღონა, ფუნჯი საღებავში ჩააწო და გულაღმა დაწვა. საღებავი სქლად დაადო ორგან თუ სამგან, სული მოითქვა და ზურგზე გაწოლილმა განაგრძო:

– სისულელეებს ვროშავ, შენ ყველაფერს ნუ კი გამიგონებ, ნურც ყველაფერს მიითვლი სიმართლედ, ზოგჯერ ხუმრობას გამოვურევ ხოლმე და შენ ნაღდ ნათქვამად არ გაიგო. რა ვქნა, ხანში შევედი და ზოგჯერ ხუმრობით ვიმსუბუქებ სიბერის ტვირთს.

ცოტნეს დაღლილობა და ძილი ერთად მოეძალა. მხატვრის გაუთავებელმა სანახევროდ გაუგებარმა მსჯელობამ ყმაწვილი მოქანცა და გააბრუა. ხარაჩოზე დაგებულ ლეიბზე დაჯდა, მერე მახარებელს ძილად მიდრეკილი თვალით გახედა და მთქნარებით იკითხა:

– შეიძლება, წამოვწვე?

– თუკი ინებებ, ბატონიშვილო, რა საკითხავია! ოღონდ ლოგინის სიღარიბისთვის ნუ დამძრახავ, ვიცი, თქვენი საკადრისი არაა, მაგრამ...

ცოტნეს უკვე მისი აღარ ესმოდა. პასუხის მიღებამდე თავი პატარა ყურბალიშზე მისდო და მაშინვე მიემძინა.

– ჩემისთანა მოხეტიალე მხატვრები ლბილ ლოგინზე დიდად არ ზრუნავენ. ეს ლეიბები იმიტომ მაქვს, ხატვის დროს ხმელ ფიცარზე გულაღმა წოლა მიჭირს...

მახარებელმა ბატონიშვილისკენ გამოიხედა და უმაღვე დადუმდა, მერე ფრთხილად წამოდგა, ლურსმანზე დაკიდებული ნაბადი ჩამოიღო და ყმაწვილს დაახურა.

სიზმარი ნახა ცოტნემ: მეფის ტახტზე იჯდა და თავს ოქროს გვირგვინი ედგა. დარბაზში მუსიკის საამო ჰანგები იფრქვეოდა და ნახევრად შიშველი ლამაზი ასულები ცეკვავდნენ. მსახურებს ნაირნაირი კერძები და სასმელები მოჰქონდათ, პირველად ცოტნეს წინაშე იყრიდნენ მუხლს და სთავაზობდნენ. ცოტნე გულგრილად დახედავდა მირთმეულს, ტკბილეულს ცოტას მოციცქნიდა, შარბათს ოდნავ მოსვამდა და უმადოდ, უგულოდ შეექცეოდა. ჭაღებით გაბრწყინებულ სასახლეში ბული იდგა. ჰაერი თანდათან უფრო ხურდებოდა, სიცხე მატულობდა და სუნთქვა ძნელდებოდა. ოქროთი და პათიოსანი თვლებით გაწყობილი მეფის ტანსაცმელი კიდევ უფრო მძიმდებოდა, წელში ღუნავდა და გრძნობდა, როგორ წვავდა სხეულს. ოქროს გვირგვინი თანდათან გავარვარდა და უსაშველოდ დამძიმდა. თითქოს თავში უთვალავი ურო დასცხესო, საფეთქლები აჩქარებით სცემდნენ და თავის ქალა ავარდნას ლამობდა. ცოტნემ გვირგვინის მოხდა დააპირა, მაგრამ გავარვარებულ ოქროს ხელი ვერ მიაკარა. ახლობლებს თვალთ შველა შესთხოვა. ყველას მისი ბედნიერება შურდა და ვინ იფიქრებდა, რომ რაიმე უჭირდა. იქ მყოფნი აღტაცებულნი შეჰყურებდნენ, მათი მზერა სიბრაღულსა და თანაგრძნობას სრულიად არ გამოხატავდა. პირიქით, რაც უფრო წითლდებოდა სიმხურვალისაგან გვირგვინი, რაც უფრო სულის შემხუთავი ხდებოდა ცხელი ჰაერი, მათ სიამაყე და სიხარული ემატებოდათ და ისეთი შურით შესცქეროდნენ ტახტზე მჯდარ გვირგვინოსანს, თითქოს იმ ცეცხლსა და სიმხურვალეს ცოტნესათვის ტანჯვა კი არა, შვება და არნახული დიდება მოჰქონდა.

უცებ მუსიკის მძლავრმა ხმამ ჭერი შეაზანზარა. დიდი და პატარა თავბრუდამხვევ ფერხულში ჩაება, დარბაზი დატრიალდა და უგონო როკვას აჰყვა. მაჭრის სუნით გაჟღენთილი მთვრალი ჰაერი თანდათან შესქელდა და შედედდა. ყველაფერი ერთმანეთში აირია.

– ცოტნე... ცოტნე...

ჩასძახის ვიღაც ყურში, ცოტნემ მოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა.

– ცოტნე, დააგდე მეფის ტახტი და სასახლე, გამომყე უკან და გათავისუფლდები ოქროს ბორკილებისაგან.

ცოტნე წამოდგა. რაღაც უხილავი ხელზე შეეხო, წინ შარიშურით წავიდა და ცოტნეც უკან მიჰყვა. დარბაზები ჩუმად გაიარეს, სასახლიდან გავიდნენ და გალავანს გასცდნენ. ცოტა კიდევ იარეს და ტრიალ მინდორზე გასულმა ცოტნემ იგრძნო, რომ უცებ მარტო დარჩა – აღარც წინ მიმავალი უხილავი ლანდის შარიშური ისმოდა, აღარც უჩინარის შეხებას გრძნობდა. ერთხანს უაზროდ წრიალებდა. სხვა რა ექნა, ადგა და მარტო გაუდგა გზას.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, უზარმაზარ კლდეს მიადგა. კლდიდან ცივი წყარო მოსჩქეფდა. ის იყო, წყლის დასალევად დაიხარა, რომ ვიღაცამ კალთაში დასწია. მოიხედა და რას ხედავს – ტანფეხშემოხეული მათხოვრების გუნდი მოდგომია. გათოშილ შიშველ სხეულს ხელით იფარავდნენ, სიცივისაგან კანკალებდნენ, რაღაცას გაუგებარ ენაზე ყაყანებდნენ და ცოტნეს

ტანსაცმლისკენ მიიწევდნენ. გაოგნებული შეჰყურებდა ცოტნე მათხოვრებს. მათ დაწყულულულულ შიშველ სხეულს ბალდამი სდიოდა, მაგრამ ცოტნე სულაც არ გრძნობდა მათდამი ზიზღს, მცირეოდენი სურვილიც არ ჰქონდა მათგან გაცლისა და თავის გარიდების. კანდამსკდარი ხელებით სწვდნენ მათხოვრები, ძვირფასი ტანსაცმელი შემოაცალეს, მაგრამ თვითონ როდი ჩაიცვეს, დაახვიეს, მაგრად შეჰკრეს და დაბლა უფსკრულში ისროლეს. მერე ოქროს გვირგვინს სწვდნენ, მოხადეს, საბურჭალო ბორბალივით დაღმართზე დააგორეს და ასკინკილას ხტომით, ცეკვითა და ჟრიაშულით უკან დაედევნენ.

ცოტნემ შვებით ამოისუნთქა. სულის შემხუთველი სიმძიმე მოშორდა. თავის ტკივილი და კანის დამწველი სიმხურვალე სადღაც გაჰქრა და ისეთი სიმსუბუქე იგრძნო, მკლავები რომ გაეშალა, გაფრინდებოდა.

წყაროს წყალს დაეწაფა.

თავი აიღო. პირდაპირ მდგარ უშველებელ კლდეს შეხედა. კლდეში კიბეები იყო გამოკვეთილი. იმ კიბეებზე ასვლა და გამოქვაბულების ნახვა მოუნდა, მაგრამ დაღლილს მუხლში ძალა აღარ ჰქონდა, იქვე ჩაიკეცა და სიპ ქვაზე თავი დადო. ის ქვა ლბილად ეჩვენა და რომ დახედა, გაცდა: სიპი ლოდი ლბილი ხავსით შემოსილიყო და ირგვლივ მწვანე მოლი ბიბინებდა. თვალის დახუჭვა და დაძინება ერთი იყო. დაეძინა თუ არა, ქრისტე ღმერთი გამოეცხადა, იმ მაღალი კლდის თავზე აღმართულ უზარმაზარ ჯვარზე გაკრული ქრისტე. სათნოებით მშვიდი თვალებით დაჰყურებდა მძინარ ცოტნეს ჯვარცმული. უცებ თვალიდან ცრემლი მოსწყდა მაცხოვარს და მძინარეს დაეცა. ცოტნე შეტოკდა, თვალი გაახილა და ქრისტეს შეხედა.

– აღსდექ და შეუდექ ჩემს გზას! – ეძახდა მაღლიდან ჯვარცმული, – ილოცე და იმარხვე. განემზადე ჩემსავით ჯვარცმად, რათა განიცადო სიამე წამებისა, რამეთუ მოყვასისათვის ტანჯვა არის ნეტარება და სიამე უდიდესი ამა ქვეყნისა, სასუფეველი და სამარადისო ცხოვრება იმ ქვეყნისა.

– რით შევძლო, მე უღირსმა ეგ? – შეჰბედა ცოტნემ კითხვა.

– შეიყვარე მოყვასი შენი და სამშობლო შენი და ჯვარს ეცვი მათთვის. აღსდექ და შეუდექ გზასა ჩემსა, – ახლა მეორე თვალიდან მოსწყდა ჯვარცმულს ცრემლი და ლოყაზე დაეცა ცოტნეს.

მძინარ ცოტნეს ფუნჯიდან ჩამოღვენთილი საღებავის წვეთი დაეცა ლოყაზე და გაელვიდა. თავს მახარებელ ქობალია ადგა.

– კარგია, რომ გაიღვიძე, ბატონიშვილო. ძილში ძალიან შფოთავდი. ადექი, მთავარი გემებს და გიხმობს.

ცოტნემ თვალი მოიფშვნიტა; ბედნიერი სიზმრით ფრთაშესხმული წამოფრინდა. უჩვეულო სილაღესა და სიმჩატეს გრძნობდა, მთელი ქვეყნის მოხვევნა და დაკოცნა უნდოდა და სხვა ვერაფერი მოახერხა, მხატვარს გადაეხვია და ცრემლმომდგარმა ამოიჩურჩულა: – გმადლობ, ოსტატო... დიდი მადლობა.



\_ მე რის მაღლობას მიხდი, ბატონიშვილო?! \_ გაოცდა მხატვარი და მხრების ჩეჩვით გააყოლა თვალი ხარაჩოებზე ჩამავალ მთავრის მემკვიდრეს.

რაკი საყვარელი დაი კუბოში ვერ დაიტირა და მის დასაფლავებას ვერ დაესწრო, ვერ იქნა და ცოტნე თამარის არყოფნას ვერ შეურიგდა. თამარი მის წარმოდგენაში ისევ ცოცხალი იყო და დღედღეზე ელოდა მის გამოჩენას.

მაგრამ დრო გადიოდა, თამარი არ მოდიოდა და არც თავისკენ ემახდა.

სამაგიეროდ, სიზმრად სულ თამართან იყო. რაც ცხადში ხორცმუუსხმელ ოცნებად რჩებოდა, სიზმარში ერთიორად ნაზღაურდებოდა. როგორც კი ბალიშზე თავს წადებდა და ძილი მოერეოდა, ბატონიშვილს სიზმარი წაიღებდა, თამარი გამოეცხადებოდა და ძილში გრძელდებოდა ის განუყოფელი ერთად ცხოვრება, რომელიც ცხადში შეწყვიტეს ანგელოსებმა.

სიკვდილი უძლური იყო სიზმრის, ანუ ცოტნეს მეორე ცხოვრების მიმართ. იქ მას ხელი არ მიუწვდებოდა. რადგან სიკვდილს მხოლოდ იმის მოსპობა შეეძლო, რაც ხელშესახები იყო, რასაც სხეული ჰქონდა და რისი წაქცევაც შეიძლებოდა. ვინც არსებობს, ვინც ცოცხალია, მის ფიქრსა და ნატვრას, სიზმარსა და ოცნებას სიკვდილი ვერ ხელჰყოფს, ვერ აღკვეთს და ვერ აკრძალავს.

თამარის მეორე სიცოცხლე, სიზმარეული და ოცნებისეული სიცოცხლე, თვითონ ცოტნეს სიცოცხლესთან იყო დაკავშირებული, იგი ცოტნეს სულისა და სხეულის მეორე სიცოცხლე იყო, სიკვდილისათვის მიუწვდომელი და ხელშეუხებელი.

ტყუპისცალის ყოველი უჯრედი ჩანასახიდანვე თამართან ერთად არსებობას გულისხმობდა, მასთან ერთად ცხოვრებისათვის იყო ქვეყნად გაჩენილი და იმდენად იყო შეჩვეული ერთი ადამიანის ორ არსებად ცხოვრებას, რომ მარტო დარჩენილ ცოტნეს სხვაგვარად სიცოცხლის წარმოდგენა, თავისი სულისა და სხეულის სხვანაირად აწყობა აღარ შეეძლო. ამიტომ სიზმარი ექცა ერთადერთ თავშესაფრად ცოტნეს. იქ, ზმანებაში ივსებდა ცხადის დანაკლისს ბედის უსამართლობით დაღდასმული ყრმა.

და ეს სიზმარეული ცხოვრება იმდენად ხანგრძლივი და ყოველდღიური გახდა, რომ ცოტნემ აღარ იცოდა, რომელი უფრო სინამდვილე იყო, ძნელად შესაგუებელი, მწუხარებითა და ცრემლით სავსე ცხადი ცხოვრება უთამაროდ, თუ სიხარულითა და იმედით გაბრწყინებული ზმანება, სიზმარში თამარის გვერდით ცხოვრება, რომელიც მარტოდ დარჩენილი ტყუპისცალისათვის ესოდენ ჩვეულებრივი და ბუნებრივი იყო. იმდენად შეეჩვია ძილში, სიზმარში თამართან ყოფნასა და საუბარს, რომ ბოლოს ცხადშიაც მოლანდებად ექცა იგი. მარტო დარჩენილ ცოტნეს თვალწინ დაუდგებოდა თამარი და ჩუმად, ხმისამოუღებლად ესაუბრებოდა. სადამოობით პირჯვრის წერასა და ლოცვას რომ მორჩებოდა, დასაძინებლად გამზადებული ბატონიშვილი თავის

წარმოდგენაში თამარს მოუხმობდა და მთელი დღის აკვარგს წვრილად მოუთხრობდა ხოლმე.

– სულ არ გყვარებივარ, თორემ მარტო არ დამტოვებდი. ხომ მეუბნებოდი, უშენოდ არსად წავალო, რატომ წაჰყევი ანგელოსებს, მე და დედა თუ არ შეგეცოდეთ, უსინათლო მამა მაინც რატომ არ შეგებრალა?! რომ იცოდე, რა უბედურია! შენი წასვლის მიზეზად თავის თავს თვლის და სიცოცხლე მოძულეებული აქვს. სულ იმას ვშიშობ, თავს არაფერი აუტეხოს, მარტო არსად ვუშვებ და არ ვმორდები. ერთხელ იმ დროს მივუსწარი, თოკში რომ აპირებდა თავის გაყოფას. ერთხელაც დედამ ვიღაცისაგან ჩუმი ნაყიდი საწამლავი უპოვა. ხომ ასე თავმოძულეებულია მამა, მაგრამ მე მაინც თან მყვება, ჩემს მეტი საზრუნავი ამქვეყნად არაფერი აქვს. ასე მგონია, ეს ბრმა კაცი მარტო მე მხედავს ამ სამხეოში. ისრის ტყორცნა და ხმლის მოქნევა ისე მასწავლა, გამოცდილ მეომარსაც ტოლს არ დავუდებ. ახლა რა ამბებს მიყვება! თამარის ლაშქრის ყველა სახელოვანი ომი ზეპირად ვიცი, სად და როდის დაჭრეს მამა, რომელ ომში რა გმირობა გამოიჩინა, ისეთი გატაცებით მიაბნობს, თითქოს ზღაპრული მხეჩაბუკის თავგადასავალს ჰყვებოდეს. ენანება უსინათლობით დაბნელებული თავისი ვაჟკაცობა და მე სულ იმას ჩამაგონებს, დროზე მოვესწრო, რომ თამარს ვეახლო და მამის ადგილი დავიჭირო მის უძლეველ ლაშქარში. დედა მებრალება, მამას რომ ვერ ვცილდები, დედის მისახედად აღარ მცალია. დედა ცალკე უშენობას მოთქვამს და ცალკე მამის უბედურებას, მაგრამ ხომ იცი, რა გულმაგარი ქალია დედა! ცრემლს იშვიათად გვიჩვენებს და სულ აქეთ გვამხნევენს. რაც მამა დაბრმავდა, ოჯახისა და სამთავროს საზრუნავი დედას დააწვა კისრად. შინ და გარეთ ყველგან დედა არის მტრისა და მოყვარის პასუხის გამცემი. უჭირს, მაგრამ რა ჰქნას?! შენ რომ ჰყავდე, შენ მაინც შეეშველებოდი, მიუალერსებდი და ტვირთს შეუმსუბუქებდი.

ჩვენი ტაძრის მოხატვის ამბავი ამას წინათ მოგიტხრე, ისიც გითხარი, ხარაჩოზე მიძინებულს ქრისტე როგორ გამომეცხადა და თავის გზაზე შედგომად მომიწოდა.

მხატვრის თავგადასავალი არ ვიცოდი. დღეს თავად მიაბნო და უნდა შენც მოგიყვე.

მახარებელ ქობალია წალენჯიხელი ყოფილა. სიყრმიდანვე დაობლებული პაპაჩვენს აღუზრდია და სასწავლებლად ათონს გაუგზავნია. იქ ბერძენ მხატვრებს დამოწაფებია, კონსტანტინოპოლს გაჰყოლია და ქართული სახელი მახარებელი მაკარიოსად გადაუკეთებია. მერე მფარველი მასწავლებელი მოკვდომია და მარტო მისი ხელობის გამგრძელებლად კი არა, ოსტატის ერთადერთ მემკვიდრედ ეგ დარჩენილა. ქობალიას ჯერ კიდევ მასწავლებლის სიცოცხლეში ჰქონია ნიჭიერი მხატვრის სახელი, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იწვევდნენ თურმე ტაძრებისა და სასახლეების მოსახატავად. მახარებელს მოგზაურობა და ხეტიალი ჰყვარებია; იერუსალიმი, ანტიოქია და ალექსანდრია მოუვლია, ყველგან თავისი ფუნჯის ნაკვალევი დაუტოვებია, თავს ბევრი ფათერაკი გადახდომია. ხელგაშლილ ცხოვრებაში თავისი

ნაშოვნიცა და ოსტატის დანატოვარიც მალე შემოფლანგვია. ცხოვრებისაგან დაღლილს, ბოლოს წანწალიც მობეზრებია და თვალი ისევ დიდხანს მიტოვებული სამშობლოსაკენ მიუპყრია. მამაჩვენი – შერგილ-ბატონი ტაძრის მომხატველის ძებნაში ყოფილა, მაკარიოსის წერილი რომ მოსვლია. მამას მცოდნეთათვის გამოუკითხავს და რაკი წალენჯიხელი მხატვრის ქება ყველას ერთპირად უთქვამს, ბევრი აღარ უფიქრია, საგანგებო კაცი გაუგზავნია და მახარებელი ჩამოუყვანია. ქობალიას ჩამოსვლისთანავე თავისი ნასახლარი მოუნახულებია, ცრემლი უფრქვევია და დაქცეული კერის აღდგენის სურვილი გამოუთქვამს. მერე სახელი მაკარიოსი ისევ მახარებლად შეუცვლია და მამა-პაპის ნაფუძვარზე პატარა ოდის აშენება დაუწყია. მაშინ ჩვენი ახალი ტაძარი ჯერ გადახურულიც არ ყოფილა და მამას მაკარიოსი ბიძაჩვენის ვარდანის მონასტერში გაუგზავნია. იქ მახარებელს ქვაბები და სავანეები მოუხატავს. ამასობაში ჩვენი ტაძარიც გადაუხურავთ და ქობალია შერგილ-ბატონს ხლებია, მისი დავალებით, გუმბათსა და თაღებზე ძველი და ახალი აღთქმის მოთხრობის ხატვას შედგომია და ახლა დარჩენილ კედლებზე ჩვენს სურათებს ხატავს.

საათობით იჯდა ქობალია, მთავრის, დედაჩვენისა და ჩემი სურათების მონახაზებს აკეთებდა. მამა-ბატონს ერთ ადგილას გაუნძრევლად ჯდომა საათობით შეეძლო და მისი დახატვა არ გამწელებია. სამაგიეროდ, მე და ოჯახის საქმეებით მოუცლელი დედა მხატვარს დიდხანს ვერ ვუჩერდებოდით, წარამარა ვტოვებდით და მუშაობას ვაწყვეტინებდით. უნდა გამოგიტყდე, საათობით უქმად დგომა მოსაწყენი და დამღალავია. არც სწავლა, არც ბურთაობა და ნადირობა ეგრე არ მღლის, როგორც ტაძარში ტყუილად დგომა. ვდგავარ სადღესასწაულოდ გამოწყობილი და ოდნავ ზეპყრობილი, განზე გამწვერილი ხელები ჩამოვარდნაზე მაქვს. არც დაჯდომა, არც ადგილიდან ფეხის დაძვრა! ერთი სული მაქვს, როდის გავიქცე, მაგრამ მახარებელი მეცოდება. «ცოტა კიდევ, ბატონიშვილო! ცოტა კიდევ და მალე გაგიშვებ». – მეხვეწება და მემუდარება. მეც მრცხვენია, მერიდება ასეთი ხელოვანის გაწბილება და დაუმორჩილებლობა. ვნებდები და ვდგავარ დასჯილივით გაქვავებული. თვითონ ოსტატსაც ვებრალები, დიდხანს რომ ვყავარ ასე დაბმული. როცა ხატვით გატაცებული და თავის ფიქრებში ჩაღრმავებული არ არის, მეხუმრება, სასაცილო, თავშესაქცევ ამბებს მიყვება, არც ღმერთს ზოგავს და არც კაცს, თავად დიდი მორწმუნე არ უნდა იყოს, ღვთის რიდი არა აქვს და ზოგჯერ ისე აგდებულად ახსენებს უფალს, ისეთებს გადაჰკრავს ხოლმე, უცებ თვითონვე შეეშინდება, ხომ არავინ გაიგონაო.

შენი დახატვა გაუჭირდა, აქ არ ხარ და ვერ გხედავს. არც სურათი დაგვრჩა შენი, რომ იქიდან გადაგხატოს, მამამ და დედამ ასე მოიგონეს: რაკი ტყუპის ცალები წყლის წვეთებივით ჰგავდნენ ერთმანეთს და ერთიმეორისაგან ჩაცმულობით ძლივს ვარჩევდით, ცოტნე დახატე თამარის მაგივრად, ოღონდ გოგონას კაბა ჩააცვი და დაწნული დაღალ-კავიც მიუმატეო. დედამ მოთქმა-გოდებით შენი კაბა გამოიტანა, მაგრამ შენს მერე მე საკმაოდ გაზრდილი ვარ

და ვერ ჩავეტყვი. მახარებელი მაინც ჩემს სახეს ხატავს და როცა მოათავებს, ბიჭური ტანსაცმლის მაგივრად გოგოს კაზას ჩააცმევს ნახატს. ეს, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა, მაგრამ ქობალია ისეთი ოსტატია, შეუძლებელს შეძლებს; მხოლოდ მე ვარ გასაჭირში, ჩემი სურათისთვის დგომა ძლივს მოვითავებ და ახლა შენს მაგივრადაც მე უნდა ვიდგე მახარებლის წინაშე გაუნძრევლად. მამა ამასაც არ ჯერდება, მოპირდაპირე კედელზე იმის დახატვა უბრძანა, შენ რომ ანგელოსებმა წაგიყვანეს.

ჩვენ სულ შენზე ვფიქრობთ; მაგრამ დაგღალე ამდენი ლაპარაკით. ჰო, კინალამ დამავიწყდა, მამა ბერად შედგომას აპირებს. შენს დავაჟკაცებას დავუცდი, მერე ამ სოფელზე ხელს ავიღებ და რომელიმე მივარდნილ მონასტერში დავეყუდები, სადაც ამ ქვეყნის ხმა არ მომწვდებაო. ეს გადაწყვეტილება როცა გამანდო, სიტყვა ჩამომართვა, დედას არ გაუმხილოო. მამამ ის არ იცის, რომ მონასტერში მე გავასწრებ და ამით მისი ბერად აღკვეცაც დაჩქარდება.

ჩემი ეს გადაწყვეტილება შენ იცი მხოლოდ. ახლა შესაფერის დროსა და შემთხვევას ვეძებ, რომ ჩემი აღთქმა შევასრულო, უფლის მოწოდებას მივყვე და მამასაც ღვთის სამსახურისთვის გზა გავუხსნა.

თავის ბედსა და მომავალ ცხოვრებაზე ნაადრევად დაფიქრებული ცოტნე განმარტოვდა და გულჩათხრობილი გახდა. ტოლებთან თამაშს აღარ ეტანებოდა, მეტწილად მოძღვარ ივლიანესთან იჯდა, ისტორიასა და საღვთო წერილს, ასტრონომიასა და მათემატიკას სწავლობდა.

მეცადინეობას რომ მორჩებოდა, ბრმა მამასთან მივბოდი. სიცოცხლემობეზრებულ შერგილს დაკარგული თვალის ჩინის მაგივრობას პატარა ბატონიშვილი უწევდა. უსინათლოს ბალსა და ვენახებში ცოტნე დაატარებდა და სოფლის გზებზე მიუძღოდა.

ჯერ კიდევ ვაჟკაცი იყო შერგილი. ღონე ისევ ძველებურად მოსდევდა, ხმლის ერთი მოქნევით უშობელს თავს აგდებინებდა და ცხენის ნალს თითებით ღუნავდა. მაგრამ იმის შემდეგ, რაც მხედველობა დაკარგა, ცხოვრების ხალისიც დაეკარგა და საკუთარ თავში ჩაიკეტა. სიკვდილის მნატვრელი მთავარი იმ დღის მოლოდინითლა ცხოვრობდა, როცა სულთამხდელი მოვიდოდა და თავის პატარა თამართან წაიყვანდა.

შერგილისათვის ეს სოფელი ბნელ, გაუთენებელ ღამედ იქცა, იმ ღამეში უძწეოდ დაბორიალობდა და იმ იმედით დადიოდა, ეგებ სადმე რამეს გადავაწყდე, შუბლი შევახეთქო ან უფსკრულში დავინთქაო.

ბრმის ირგვლივ გამეფებულ წყვილიადში ნათლის ერთადერთი სვეტი ცოტნე იყო. იმისი არსებობლა უბრუნებდა სულს და სიცოცხლის აზრს იმაშილა ხედავდა, მემკვიდრე ბატონიშვილის აღზრდაში ჩაექსოვა ის დაუხარჯავი ძალ-ღონე, რომლის მოზღვავებასაც ძალიან ხშირად გრძნობდა და რომელსაც უსინათლობამ ასე შემოუზღლუდა ასპარეზი.

დაბრმავებამდე ბავშვების მიმართ ცოტა მოუხეშავიც იყო შერგილი. ერთთავად გარეთ, მეფის კარსა და ლაშქარში მყოფი მთავარი შინ რომ მობრუნდებოდა, სამთავროს საქმეების გარიგებას უნდებოდა. ნადირობა და ბურთაობა უყვარდა, ლხინსა და შექცევას ვერ თმობდა და შვილები მის ყურადღებას დანატრულნი იზრდებოდნენ, დედისა და აღმზრდელების თუ მასწავლებლების ზრუნვას მინდობილნი. შინ როცა იყო, გული უფრო თამარისკენ მიუწევდა. პატარა გოგონა თილისმა იყო, ენაგაკრეფილი მამას ფეხქვეშ ეგებოდა. როგორც მოცლილს დაიგულებდა, მუხლზე ახტებოდა, ეფერებოდა და საყვარლად ეტიტინებოდა. ბუნებით პირქუში, ომებსა და ლაშქრობაში, ცოტა არ იყოს, გაუხეშებული შერგილი პატარა თამარის ალერსით დნებოდა, თავგზას კარგავდა და მოთვინიერებული ნადირივით მისი ყველა სურვილის ამსრულებელი ხდებოდა.

ცოტნე ბიჭი იყო, უფრო მორიდებული. მას არც თამარივით გაუთავებელი ტიტინი შეეძლო, არც სულში ჩაძრომა და ალერსით გაბრუება. ამიტომ ქალიშვილის ალერსით გონდაკარგულ მამას ზოგჯერ შეუმჩნეველიც რჩებოდა მემკვიდრე ბატონიშვილის სიახლოვე. მაგრამ მას შემდეგ, რაც ქალიშვილი დაელუბა და თვალის ჩინიც დაკარგა, შერგილი ერთბაშად გამოიცივალა. ამ ქვეყანაზე გულაყრილმა თავისი არსებობის ერთადერთ გამართლებად ცოტნეს აღზრდა დასახა. თუ მანამდე ცოტნე მამისათვის გვარის გამგრძელებელი მემკვიდრე იყო, რომლის წინაშეც თავს მოვალედ თვლიდა, რათა მისთვის ძლიერი და მდიდარი სამთავრო დაეტოვებინა, ახლა, ქალიშვილის სიკვდილის შემდეგ, სულ სხვა გახდა. გულმხეცი, ომსა და კვეთებაში სასტიკი ვაჟკაცი ცოტნეს მიმართაც ისეთივე გულჩვილი და უღონო შეიქნა, როგორც თამარის მიმართ იყო. ამიერიდან ხეივანი მთავარი მემკვიდრისათვის სამამაცო ზნის ჩანერგვას, საგმირო საქმეებისათვის მის მომზადებას თავის ერთადერთ მოწოდებად თვლიდა.

შერგილი თავს ადგა მემკვიდრეს ცურვასა და ხტომაში, ხმალსა და შვილდოსნობაში, ცხენოსნობასა და ბურთაობაში წვრთნისას. თავად ვერ ხედავდა, მაგრამ სმენით და გამოცდილი რაინდის გუმანით ხვდებოდა, სად უჭირდათ შეგირდსა და მის ოსტატებს, ხმალსა და ბურთს ართმევდა და ჰაერში მოხაზული დახვეწილი მოძრაობით უჩვენებდა, როგორ უნდა მოექნია ცოტნეს ჩოგანი, ან როგორ უნდა აეცდინა მოპირდაპირის ხმალი. მგრძნობიარე ბიჭუნა ხედავდა, რომ სიცოცხლემოდულებული მამა მის წვრთნაში ივიწყებდა საკუთარ უბედურებას, ერთობოდა და ხალისდებოდა. ამიტომ ბატონიშვილი თვითონ ეძალეობდა, თვითონ იწვევდა უსინათლობით დასჯილ მამას გულის გადასაყოლებელ წვრთნასა და ვარჯიშში.

საერთოდ სიტყვაძვირი მთავარი ბოლო დროს ცოტნესთან ენამჭევრი ხდებოდა. როგორც კი სადმე ერთად ჩამოსხდებოდნენ და შეისვენებდნენ, საკუთარი თვალით ნახულსა და თავგადანახადს გატაცებით უამბობდა.

საამბობელი კი ბევრი ჰქონდა ოდიშის მთავარს: საბერძნეთში შეჭრისა და ტრაპიზონის აღების, რომგურისა და ყაზვინის, არდაველისა და ხლათის

ომების უბრალო თვითმხილველი კი არ იყო შერგილ დადიანი, ამ მნიშვნელოვან ომებში ისიც ღონივრად იქნევდა ხმალს და გამარჯვებით უკანშემოქცეული დიდი თამარის მადლობასა და ჯილდოს არაერთხელ გაუმხნევებია ტახტისა და სამშობლოს შემდგომი ერთგული სამსახურისათვის.

– თავრეჟის გამარჯვების შემდეგ მიანისაკენ წავედით, – ჰყვებოდა შერგილი, – მიანა მცირე ქალაქია. იგი ვერც ზღუდის სიმაგრით შეედრება თავრეჟს, ვერც მოსახლეობის სიმრავლით. მიანას მელიქს ქართველების გამკლავება არც უფიქრია, თავრეჟელთა მსგავსად, მანაც მშვიდობა და ხარკის გაღება ითხოვა. ჩვენ თანხმობა შევუთვალეთ და მელიქი თავისი ფეხით გვეახლა. მელიქი ახალგაზრდა იყო, თვალტანადი და ტკბილად მოუბარი. დიდძალი ქონება, ოქრო და თვალ-მარგალიტი მოიღო, ნადიმი გაგვიმართა და ჩვენთან ერთად მოილხინა. ეტყობოდა, ბუნებით მხდალი იყო. ჩვენ სარდლებს შორის, შუაში იჯდა. ყოველი ჩვენგანის წამოდგომაზე, ან ხელის აწევაზე კრთებოდა, დამფრთხალი შემოგვყურებდა და წყალობის მთხოვნელი თვალით შემოგვცინებდა. ქვეგამხედვარობა მაშინვე შევატყვე, ჩვენს იარაღს აკვირდებოდა, საუბარში იმისთანა დროს ისეთ რამეს იკითხავდა, კაცი ადვილად ექვს ვერ აიღებდა: შორს ვაპირებდით თუ არა ლაშქრობის გაგრძელებას, რამდენი ცხენი გყავდა, ან რამდენი ურემი მოგვსდევდა, ვითომ სხვათა შორის იკითხა, იმ საბაბით, საგზალი უნდა გაგიმზადოთ და ვარაუდი უნდა მქონდესო.

მელიქის კითხვები არ მომეწონა და ჩემი ექვი მაშინვე ქართულად გავანდე მხარგრძელს. რაც მაგან ჩვენგან გაიგოს, ისპაჰანს დაიკვებოსო, მომიგო ზაქარიამ და ჩვენი ლაშქრისა და ურემის რიცხვი ერთი ორად გაუზვიადა. ესოდენი თავგამოდება მეორე დღეს სინანულად დაურჩა ჭაბუკ მელიქს. იმდენ საგზალს პატარა ქალაქი სად გაგვიმზადებდა! რაც ჰქონდათ, იმას დავეჯერდით და წასვლის თადარიგს შევუდექით, ქალაქის მცველად მცირე რაზმი უნდა დაგვეტოვებინა. მხარგრძელმა რაზმი გამოჰყო და მეთაურობა მე დამაკისრა. რა დასამალია და, მეწყინა. წინ დიდი ბრძოლებით და ფათერაკებით სავსე ლაშქრობა მოგველოდა. ბევრი უცხო სანახავი უნდა გვენახა და რა გასაკვირია, გული მეც ლაშქართან ერთად მიმიწევდა. ლაშქრად სარდლობის დაუმორჩილებლობა ან უკმაყოფილებისა და წყენის გამოხატვა აზრად არასოდეს მომსვლია, მაგრამ იმ წუთს თურმე სახე შემეცვალა. მხარგრძელმა, ალბათ, გუნების გაფუჭება შემატყო, მეორე დღეს განთიადზე მიხმო და ღიმილით მითხრა:

– გატყობ, მიანაში ქალაქის მცველად დარჩენას ჩვენთან ერთად ლაშქრობის გაგრძელება გირჩევნია. როცა სხვები ცხარე ბრძოლაში ცდიან მკლავსა და ღონეს, შენისთანა ჭაბუკისათვის მყუდრო ქალაქის მწყემსად დარჩენა გულდასაწყვეტი იქნება. მიანის მელიქის გულწრფელობაში რომ ექვი შეიტანე, მცველად შენი დატოვება იმან მაფიქრებინა. მაგრამ შენისთანა ვაჟკაცების უსაქმოდ მოცდენა ცოდოა მაშინ, როცა წინ ძნელი ბრძოლები გველოდება და ყოველი გამოცდილი მეომრის გვერდით ყოლა სანატრელი გვექნება. ამიტომ

ჩემს განკარგულებას ვცვლი: შენ ჩვენთან ერთად წამოხვალ, ხოლო აქ, ქალაქის მცველად შენი ნათესავი გიორგი სვანთა ერისთავი დარჩება.

მე ისევ უსიტყვოდ დავემორჩილე. გიორგი ჩემი ბიძა იყო, სანახევროდ მის სახელსა და მამულში ვიყავი გაზრდილი. უკვე ხანში შესულ ერისთავს ჯანი ძველებურად აღარ მოსდევდა და გრძელი გზით დაღლილს ქალაქის მცველად დატოვება სასიამოვნოდაც ეჩვენა.

– შენ იქ გირჩევნია, შერგილ, და მე – აქ. შენი ხნის ვაჟკაცს ძნელი გზა და ფათერაკი იტაცებს. ჩემს ასაკში ქალაქში განსვენება და მელიქთან პურობა უფრო მიმზიდველია. მშვიდობითა და გამარჯვებით იარე, ოღონდ, თავს გაუფრთხილდი, მთავარო, ხიფათს არაფერს გადაეყარო, თორემ შენთვის ადგილის გაცვლა მთელ სიცოცხლეში სანანურად მექნება, – მითხრა გიორგიმ, გადამეხვია და გამომემშვიდობა.

რას ვიფიქრებდი, თუ ბიძასთან ადგილების გაცვლა მე გამიხდებოდა სანანებლად. ვინ იწინასწარმეტყველებდა, რომ ცხარე ბრძოლებიდან მე უვნებელი დავბრუნდებოდი, ხოლო მშვიდობიან ქალაქში დარჩენილი გიორგი მტრის ხელით დაიღუპებოდა.

ცხენს მოვახტი და წამით თვალი მოვაველე ქალაქს. ამომავალი მზის სხივები ფერად-ფერად მინარეთებზე თამაშობდა და თვალისმომჭრელად ირეკლებოდა.

მომეწონა მიანა: ამდენი მინარეთი ბევრ დიდ ქალაქშიაც არ იქნებოდა.

– კარგ ქალაქში მტოვებ, არა?! – შემომღიმა ერისთავმა.

– მშვიდობით იყავი... ღმერთმა მოგახმაროს! – გადმოვმახე და ცხენი წინ დაძრული ლაშქრისაკენ გავაქანე.

გზა სამხრეთით განვაგრძეთ და ქალაქ ზანგანს მივუახლოვდით. ქალაქი პატარა იყო, მაგრამ ომი დიდი გადაგვხდა.

ირანის სიღრმეში წინააღმდეგობა თანდათან მატულობდა. ის, რაც მანამდე გამოვიარეთ, ყაზვინისა და გურგანის ბრძოლებთან შედარებით, თავშესაქცევ გასეირნებად გვეჩვენებოდა. კასპიის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირას მდებარე ქალაქი გურგანი იერიშით ავიღეთ და დავლექეთ.

იმ სიშორეზე, ხორასნის გულში, არათუ ქართველთა ლაშქარს, ჩვენს ნათესავსაც იშვიათად დაუდგამს ფეხი. ნადავლი უანგარიშო იყო. ალაფი დაგვიმძიმდა და გზის გაგრძელება შეუძლებლად გვეჩვენა. გამარჯვებულნი და ძლევამოსილნი უკან შემოვიქეციით. ჩვენ თვითონ გვიკვირდა, რომ ამოდენა ქვეყანა დავლაშქრეთ, ბევრი აუღებელი ქალაქი ავიღეთ და ვერსად გადამწყვეტ წინააღმდეგობას ვერ შევხვდით. ირანელებს ჯარიც ბევრი ჰყავდათ, ქალაქებიც მაგარი ზღუდეებით ჰქონდათ გამაგრებული, მაგრამ ჩვენს წინსვლას ვერაფერი აჩერებდა, ციხეები ეცემოდნენ, სულთნები და მელიქები თავს გვიხრიდნენ და ქონებას არ იშურებდნენ, ოღონდ მშვიდობით გავცლოდით.

გურგანი მიანიდან ძალიან შორს არის და ვიდრე ჩვენ მოვბრუნდებოდით, ხმა დარხეულა, ქართველთა ლაშქარი იძლია და ერთიანად გაჟლიტესო.

რაკი ჩვენი ლაშქრის ამბავი არ იცოდნენ, მიანელებს ჭორი ადვილად ურწმუნებიათ. მიანის მელიქი ქალაქის მცველად დატოვებულ ქართველებს ღამით თავს დასხმია და გაუჟღეჭია. სიკვდილს ერთადერთი ქართველი გადარჩენია. დევნილს დამალვა მოუსწრია და საკუთარი თვალით უნახავს, როგორ ხდიდნენ ტყავს შეპყრობილ ქართველებს, როგორ კიდედნენ ძელებზე. რაზმის უფროსად დარჩენილი სვანთა ერისთავი იმ მინარეთზე ჩამოეკიდათ, რომლის სილამაზის ცქერითაც ერთად ვტკბებოდით გამომშვიდობებისას.

მელიქი ლხინსა და განცხრომაში იყო თურმე, მაცნემ რომ ჩვენი ლაშქრის მიახლოება შეატყობინა. რა გუნებაზე დადგებოდა ვერაგი და მუხანათი მელიქი, ჩვენი ლაშქრის დაბრუნებას რომ გაიგებდა! გაქცევა იმას აღარ შეეძლო და დამალვა. ერისთავი მაშინვე მინარეთიდან ჩამოუხსნია, დახოცილები დაუმარხავს და ჩვენს შესახვედრად მომზადებულა.

ქალაქის გარეთ გამოგვეგება ძღვენითა და საჩუქრებით ორპირი მელიქი. სანატრელი სტუმრებივით მოგვიკითხა, გამარჯვებით დაბრუნება მოგვილოცა, მოგვასვენა და სუფრები გრძლად გააშლევინა. ქართველ მცველთაგან რომ არავინ შეგვხვდა, ავად გვენიშნა, მთავარსარდალმა მელიქს ქალაქის მცველები მოჰკითხა.

– თავრეჟს წავიდნენ იქ დატოვებულ ქართველთა წვევითო, – მიუგო მელიქმა, და, ის იყო, ნათქვამი უნდა გვერწმუნებინა, რომ ცოცხლად გადარჩენილი ის ერთადერთი ქართველი გამოჩნდა. პირში წაუდგა მიანის მელიქს, ქართველთა ამოწყვეტასა და ძელებზე დაკიდებაში ამხილა.

თავზარდაცემული მელიქი ენაჩავარდნილი იდგა, ცახცახით ელოდა შურისმგებელთა რისხვას.

გაცოფებულმა მხარგრძელმა დამნაშავეთა სასტიკი დასჯა და მელიქის მინარეთზე დაკიდება ბრძანა. ბრაზითა და შურისძიების წყურვილით ანთებულებმა ქართველთა გამჟღეჭები მოვრეკეთ, ამოვწყვიტეთ და მთავარი დამნაშავეები მინარეთებზე დავკიდეთ.

მერე ქალაქი დავანგრით და საქართველოს გზას დავადექით.

– ახი ყოფილა იმ ვერაგებზე! – ნიშნის მოგებით თქვა ცოტნემ.

– ახი იყო! ვერაგი და პირისგამტეხი შებრალების ღირსი არ არის. მათი ჯავრი კი ვიყარეთ, მაგრამ მას შემდეგ სულ ეს მაქვს სანანურად, რატომ მე არ დავრჩი მიანაში მცველი რაზმის უფროსად. მელიქის ცბიერებაში დაეჭვებული, ბიძაჩემზე ფრთხილად ვიქნებოდი და ეგებ ასე ადვილად არ ამოვეხოცეთ. თუმცა, ალბათ, ის აჯობებდა, რომ ამოვეხოცეთ. მე სამშობლოში ველარ დავბრუნდებოდი და იმ წყეულ სენს შინ არ მოვიტანდი.

სასახლეში ყველა ატყობდა, ნაადრევად, ასაკისათვის შეუფერებლად დადინჯებულ ცოტნეს რალაც დარდი რომ აწუხებდა. ყმაწვილი ერთთავად



მოწყენილი იყო, დაუსრულებლად რაღაცას ფიქრობდა და სულ განმარტოებას ესწრაფოდა.

დედის დაკვირვებულ თვალსაც არ გამოპარვია შვილის დაღონება და გაუთავებელ საგონებელში ჩავარდნა. ცოტნეს გასართობად ახლო მცხოვრებ ერთგულ აზნაურთა შვილები მოიხმო, ტოლები დაარიგა და მემკვიდრე მათთან ერთად სათევზაოდ და საბურთაოდ გაუშვა.

ბატონიშვილი ტოლებთან თავშექცევის შემდეგ კარგ გუნებაზე ბრუნდებოდა, მაგრამ ნათელას შვილის ბედზე ღელვა დღითი დღე ემატებოდა და შიში უორკვედებოდა.

ერთხელ ფეხშიშველა დაბრუნდა ტოლებთან წასული ცოტნე, ვიდრე დედა ჰკითხავდა, შვილმა დაასწრო:

– გზაზე მათხოვარი შემომეყარა. ჩემს ტოლ ბიჭს წანწალისაგან შიშველი ფეხები დახეთქილი ჰქონდა, შემებრალა და ჩემი მაშეები მივეცი.

ნათელამ წარბი შეიკრა, მაგრამ იმ ერთხელ წაუყრუა შვილს და აუგი არ აკადრა.

მეორედ ცოტნე შარვლისა და პერანგისამარა გამოეცხადა:

– მდინარეზე ვთევზაობდით. გლეხის ბიჭს წყალმა კაბა წაართვა, უბედურს მეტი ტანსაცმელი არ ჰქონია, დაჯდა და ცხარე ცრემლით იტირა, შინ ვეღარ მივალ, დედა ცემით მომკლავსო. შემეცოდა, ჩემი კაბა გავიმძრე და ჩავაცვი. მე სხვაც ბევრი მაქვს და ვიცი, დედა არ გამიჯავრდება, – ცოტნე მოეხვია და თავი დედის მკერდში ჩარგო.

ნათელამ კინალამ იფეთქა, მაგრამ ბრაზი დაიოკა. შვილს თავზე ხელი კი გადაუსვა, მაგრამ საყვედურიც არ დააკლო:

– შენ მალე ერთადერთ პერანგსაც გაიხდი და ტიტველი ივლი, კაცმა რომ მიგიშვას! ყველა ღარიბს რომ შენ ჩააცვა და აჭამო, მამაშენის სამთავრო კი არა, თამარ მეფის საჭურჭლე ვერ აუვა, შვილო. დაეხსენი მაგ ბიჭებთან სოფელ-სოფელ სირბილს, წიგნს ჩაუჯექი და ბრმა მამას მიხედე.

– ჩემი ბრალი არ არის, დედა, შენ თვითონ მითხარი, ტოლებს აპყევი და გაერთეო.

– ეგ კი გითხარი, მაგრამ ის როდი მითქვამს, ტან-ფეხი გაიხადე და შენ ტიტველი იარე-თქო.

– განა შენცა და ივლიანე მოძღვარიც სულ იმას არ მიქადაგებთ, ქრისტესავით კეთილი და გულმოწყალე უნდა იყოო, ღარიბ-ღატაკს უნდა შეეწიო და ერთი ლუკმაც რომ გქონდეს, ისიც მშივრებს უნდა გაუნაწილოო!

ნათელა დაიბნა. ცოტნე სიმართლეს ეუბნებოდა. მოცალებობის ჟამს შვილს რომ სახარებას უკითხავდა ხოლმე, სულ იმას ჩააგონებდა, ქრისტესათვის მიებაძა, მასავით ღარიბთა და ქვრივ-ობოლთა შემწე და გამკითხველი ყოფილიყო.

– ჯერ შენ ყრმა ხარ და შეუგნებელი, – უკვე დაყვავებით დაუწყო ნათელამ, – გაცემა მაშინ გმართებს, როცა მშოვნელი იქნები. მამაშენის მონაგარის განიავება კი მემკვიდრე ბატონიშვილს არ გეკადრება. ჯერ იმას უნდა

ფიქრობდე, რა შესძინო შენს სახლსა და სამკვიდროს. მამის ქონება კი არ უნდა გაფლანგო და დაამცრო, ახალი მამულები და ყმები უნდა შემატო, მამა-პაპის დანატოვარი შენი გარჯითა და ზრუნვით უნდა ამრავლო და, როცა საჭურჭლე სავსე გექნება, მაშინ წყალობაც უხვად უნდა გასცე, ღარიბებსა და ქვრივობლებს უნდა დაეხმარო, გაჭირვებულებს ხელი უნდა გაუმართო.

ცოტნეს გული ატკინა დედის გაწყრომამ და შეგონებამ. თავის სამართლებლად საღვთო წიგნებიდან მაგალითების მოშველიება უნდოდა, მაგრამ დედა ისე გაბრაზებული ჩანდა, სულ ერთი იყო, მის ნათქვამს არ შეიწყნარებდა და შვილის ქველმოქმედებას არ მოიწონებდა.

ცრემლმომდგარი ცოტნე უსიტყვოდ გაშორდა დედას. თავის ოთახში ხატის წინ დაიჩოქა და უფალს შეევედრა, გაბრაზების წამს დედის ბაგეთაგან დაუფიქრებლად დაცდენილი სიტყვისათვის ყური არ მიეპყრო, ბედისაგან დაჩაგრული ნათელასთვის შეენდო და მიეტევებინა.

– ნამდვილად გველუპება შვილი, შერგილ ბატონო. – გაანდო თავისი შეშფოთება ნათელამ მეუღლეს, – ივლიანე მოძღვარი გლახკად გახდომასა და გამათხოვრებას უქადაგებს, ბატონიშვილი ტან-ფეხს იხდის და ღარიბ-ღატაკთ ურიგებს. ასე თუ განაგრძო, მალე მთელ შენს ქონებას გასცემს და სარჩოსაბადებელს აღარ დაიტოვებს.

– ვითომ ივლიანეს ჩაგონებით სჩადის? – იკითხა საგონებელში ჩავარდნილმა შერგილმა.

– აბა, სხვა ვინ ჰყავს ჩამგონებელი და მასწავლებელი?!

– თუ ეგრეა, მოძღვარს მე მოველაპარაკები. შენ ნურაფერს ეტყვი, ნურც ოსტატსა და ნურც შეგირდს. გულკეთილობა თავისთავად ღვთის სათნო საქმეა და ამის გამო რომ მემკვიდრე ბატონიშვილს გავუჯავრდეთ, არც ღმერთი მოგვიწონებს და არც კაცი.

ნათელამ ქმრისთვის ენის შებრუნება ვერ გაბედა. შერგილსაც და უფალსაც ცალ-ცალკე სთხოვა პატიება თავისი უმეცრებისათვის, წყენა გულში ჩაიკლა და შვილის ბედზე ზრუნვა მამას დაუთმო.

ივლიანე მოძღვარი ერთი იმ ღვთის მსახურთაგანი იყო, რომელთაც სულის ცხოვნების აუცილებელ პირობად სრულებითაც არ მიაჩნიათ ცხოვრების ყველა სიამეზე ხელის აღება. ამქვეყნიურ სიტკბოთაგან ივლიანემ ბევრი რამ მოიკლო, მაგრამ პირის გემოზე უარი ვერ თქვა, სმა-ჭამას ცხოვრების ერთ-ერთ უდიდეს სიკეთედ თვლიდა და ამ აზრის გასამართლებლად ფსალმუნის მოშველიება უყვარდა: «ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო».

თავის დროზე, ახალგაზრდობაში, ივლიანე თურმე პირველი მობურთალი და მონადირეც ყოფილა და ახლაც ხატის წინ სასოებით მლოცველს რომ მონადირეთა ბუკის ხმა და ნადირის კვალზე დამდგარი მემებრების წკავწკავი

მისწვდებოდა, პირჯვრის წერასა და უფლისადმი ღაღადს შეწყვეტდა და გარეთ გამოვარდებოდა, რომ შორიდან მაინც იმ ხმებითა და თავისი დავიწყებული სიჭაბუკის გახსენებით დამტკბარიყო.

განათლებული მოძღვარი ომსა და კაცის კვლასაც ფილოსოფიურად ამართლებდა. შორ გზაზე მიმავალი კაბის ქვეშ ერისაგანივით ჯაჭვის პერანგს იცვამდა და ფარულად მახვილს ატარებდა.

ოდიშის მთავარს შავი ზღვის პირას თურქთა და ბერძენთა წინააღმდეგ გამართულ ომებში არაერთხელ ხლებია და თუმცა ეკლესიის მსახურს მხოლოდ ის ევალეობდა \_ უფალს ოდიშის პატრონისათვის ძღვევის მოცემას შევედრებოდა, მოახლოებული, შენივთებული ბრძოლის დროს თავი ვეღარ შეუკავებია, დამალული მახვილი ქვეყნის დასანახად უხდია და მოძალებულ მტერს ისიც სხვებთან ერთად კვეთებია.

მსგავსი შემთხვევა არც ისე ხშირი იყო, მაგრამ შერგილი კვირაში ერთხელ მაინც მიდიოდა სანადიროდ და თან ზოგჯერ ივლიანეც მიჰყავდა.

მას შემდეგ, რაც მთავარმა თვალის ჩინი დაჰკარგა, ივლიანე მოძღვრის ცხოვრებაც მოსაწყენი და ერთფეროვანი გახდა. წირვა-ლოცვას და ბატონიშვილის წვრთნას მორჩენილი მოძღვარი ერთთავად წიგნს ჩაჰყურებდა, ან საყდრის ჩრდილში გრძელ სკამზე იჯდა და კრიალოსანს მარცვლავდა.

სალამოს ჩამავალი მზისკენ სახემიპყრობილ ივლიანეს თვალი მთვლემარესავით მიჰხუჭვოდა. მკერდზე დაფენილი გათეთრებული წვერი და ოდნავ გაპოხილი ბაგეები მზის შუქითა თუ ღიმილით გაბრწყინებოდა. კარგა ხნის გალეულ ქარვას მარცვლავდა. კრიალოსნის მარცვლას შეჩვეული თითები თავისთავად მოძრაობდნენ, ფიქრში წასული თუ მთვლემარე ივლიანეს გონების ჩაურევლად, ქარვები ერთმანეთს გამოზომილად მისდევდნენ და წყლის წვეთებივით მიყოლებით ეცემოდნენ ერთმანეთს.

ჯოხის კაკუნი ჩაესმა. თვალი გაახილა და მიაყურადა. ჯოხის ხმაზე იცნო, უსინათლო მთავარი მოიკვლევდა გზას. სახე მისკენ იბრუნა და შესახვედრად მოემზადა. ბრმამ გუმანით იგრძნო კაცის სიახლოვე. ჯოხი შეაჩერა და თავადე-ბულმა ჰკითხა:

\_ მანდ რომელი ხარ?

\_ მე გახლავარ, მთავარო, მონა ღვთისა ივლიანე, \_ მიუგო მოძღვარმა, ფეხზე წამოდგა, შერგილს მიეახლა, მკლავში ხელი მოჰკიდა და წინ გაძლოდა დააპირა.

\_ მგონი აქ იჯექი და ისვენებდი, მოძღვარო?

\_ დიახ, აქ ვიჯექი, ლოცვასა და კითხვას მოვრჩი და აგერ გრძელ სკამზე ვისვენებდი.

\_ ჩამოვჯდეთ, მეც შევისვენებ, \_ თქვა მთავარმა და ჯოხით სკამის ძებნა დაიწყო.

\_ აგერ, აქეთ მობრძანდით, მთავარო, \_ მარცხნივ მისწია ივლიანემ.

შერგილი გრძელ სკამს წაადგა, მუხლებით შეეხო.

– დაბრძანდით, ბატონო! – კრძალვით უთხრა მოძღვარმა, თვითონაც დაიხარა და მთავარს დაჯდომაში შეეშველა.

– აქ ხშირად ზიხარ, მოძღვარო?

– ვზივარ და ვუცდი, მთავარო.

– რასა, რას უცდი?

– სიკვდილს ვუცდი...

შერგილს შეაჟრჟოლა.

– რას ამბობ, მოძღვარო, სასიკვდილო რა გჭირს?

– დაბადების დღიდან, ქვეყნად მოსვლისა და გაჩენის დღიდან, სიკვდილი ყველა სულდგმულს სჭირს, მთავარო, ზოგი თვითონ მიექანება იმ სიკვდილისაკენ, ისე რომ, არც იცის, ზოგი კი ჩემსავით ზის და ელოდება მის მოსვლას.

– ჰოო, ეს მართალია, მოძღვარო! ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, მაგრამ მაგაზე ფიქრით დარჩენილი ორი დღის წუთისოფელი არ უნდა გაიმწარო.

– არც ვიმწარებ, მთავარო. ვზივარ და ვუცდი, კრიალოსანს ვმარცვლავ და იმაზე სულაც არ ვფიქრობ, რომ ყოველი ქარვის გადამარცვლაზე, სიცოცხლის რაღაც ნაწილი მაკლდება. ვზივარ და ველოდები ჩუმად და უდრტვინველად და ამ მუდმივი მოლოდინით რაღაც თავისებურ სიამეს განვიცდი. ადამიანი სხვადასხვა ვარსკვლავზე იბადება, ზოგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ელის ბედს, ზოგი თვითონ მიისწრაფვის მისკენ, მე იმ თაბუნიდანა ვარ, რომელიც მშვიდადა ზის და ელის.

– ეგეც მართალი უნდა იყოს, ეტყობა, ადამიანები სხვადასხვა ვარსკვლავზე ჩნდებიან, ზოგჯერ ისინი ერთადაც იბადებიან, ერთმანეთსაც გასაოცრად ჰგვანან, ერთნაირ პირობებშიც იზრდებიან და მაინც სხვადასხვა ბედისა არიან. ჩემი შვილების მაგალითზე უკეთესი რა გინდა! ტყუპად დაიბადნენ, ერთად იზრდებოდნენ, ზრუნვა და მოვლაც ერთნაირი ჰქონდათ. გოგო თავიდანვე ჯანმრთელი იყო და ხალისიანი, ვერცხლის წყალივით მოძრავი და უდარდელი. ბიჭი იმთავითვე სუსტი და ავადმყოფობისკენ მიდრეკილი დაიბადა. სადაც ჩამომრევი სენი ან ბატონები გაჩნდებოდა, პირველი იმას დაეტაკებოდა; იქნებ ამიტომაც, ზედმეტად მგრძნობიარე და ნაზი გახდა, დაფიქრება ნაადრევად დასჩემდა და ცხოვრების ხალისიც ნაკლები დაჰყვა.

– ბატონიშვილი გონიერია და ღრმად განმცდელი. ეგ ზედმეტი გრძნობიერებაც შორს წვდომასა და გაგებაში ეხმარება. სწავლაში ბეჯითია და ნიჭიერი. თუ ასე განაგრძო, სწავლულობით ზეადმატებული იქნება და მეცნიერებით ქვეყანას გააკვირვებს.

– ეგ კარგია, მამაო, მაგრამ ისიც არ დაგავიწყდეს, ცოტნე სამთავროს ერთადერთი მემკვიდრეა და მარტო მე კი არა, მთელი ოდიში მისი შემყურე და მოიმედია.

– ვიცი, მთავარო, და მეც სწორედ ეგ მახარებს, რომ ღირსეული მემკვიდრე გეზრდებათ.

– საღვთო სჯულისა და სხვა მეცნიერებათა სწავლა ფრიად სასარგებლოა ბატონიშვილისათვის, მაგრამ თუ მომავალ მთავარს სამამაცო ზნე და ნიჭიც არ ექნება, ომისა და ნადირობის წესი, მობურთალობა და ცხენოსნობა არ ეცოდინება, სამთავროს პატრონად და მეფის კარის დიდებულად ვერ გამოდგება.

– ჭეშმარიტებას ბრძანებ, მთავარო, – დაუმოწმა ივლიანემ.

– ჰოდა, ეს რომ ასეა, ზოგჯერ იმას ვფიქრობ, მეტისმეტი ხომ არ მოსდის-მეთქი ბატონიშვილს. ცალ მხარეს ხომ არ მივმართეთ მისი ნიჭი და ღონე.

– ეგ როგორ, მთავარო?

– როგორ და, სულისათვის ნაადრევი ზედმეტი ზრუნვით, იმქვეყნიურზე მუდმივი ფიქრით, ამქვეყნიური ვალდებულების შეგნება ხომ არ დაუზღუნვით ბატონიშვილს?

– რა ბრძანებაა, მთავარო! მე უზომო ყველაფერი მძულს და ბატონიშვილის წვრთნისას ზომიერებას არ ვღალატობ.

– ეგ, ალბათ, ეგრეა, მაგრამ, ვფიქრობ, მეტი ზრუნვა გვმართებს იმისათვის, რათა ცოტნემ სამამაცო ზნე უკეთ შეითვისოს. ბატონიშვილი სიჭაბუკეში იწყებს შესვლას. ახლა უნდა თავს დგომა და წვრთნა, სანადიროდ წაყვანა, ისრის ტყორცნასა და ცხენოსნობაში გაწაფვა. რაც ეს ღვთის რისხვა დამატყდა თავს, მე სამაგისოდ აღარ ვვარგივარ, მაგრამ ისეთი ახლობელიც არავინ მყავს, მემკვიდრე ვანდო და ჩავაბარო. ამიტომ მაქვს სათხოვარი შენთან: რაკი მე თვითონ აღარ შემძლია, ამაშიც შენ უწინამძღვრე ბატონიშვილს, ვიცი, სამამაცო ზნეთა მეცნიერიც ხარ და თუ დაგჭირდა, ვაჟკაცობაშიც ტოლს არავის დაუდებ. ცურვა და ნაოსნობა ასწავლე, სანადიროდ წაუძეხი, კვირაში ერთხელ მაინც, ქვეყანა აჩვენე და გააცანი. ისრის ტყორცნასა და ბადის სროლასაც შეაჩვიე და თან საღმრთო და საერო წიგნთაგან თხრობაც არ მოაკლო, გარემოების შესაფერისად. ვფიქრობ, ჩემგან ეს დიდი ნდობაა, მოძღვარო, და იმედი მაქვს დამიფასებ და გამიმართლებ.

– ვეცდები, მთავარო... ვეცდები, ერთგული სამსახურით გავამართლო შენი ესოდენ ნდობა. მადლობელი ვარ ამ დიდი და სათნო დავალებისათვის.

ივლიანემ ანაკლიას წაიყვანა ბატონიშვილი. თან რამდენიმე მენავე და ცურვით განთქმული ვაჟკაცებიც გაიყოლა.

წყლის ხამი ეგონა ბატონიშვილი და მუხლამდე რომ შევიდა, მხლებლებს ანიშნა, ხელი მოჰკიდეთო. ცოტნემ იუკადრისა, გაქანდა და, წყალი რომ წელს ზევით მისწვდა, ისარივით წავიდა, დაჰყვინთა და გაუჩინარდა.

სახტად დარჩენილი ივლიანე დაიბნა.

– უშველეთ, მანდ რას უდგახართ! – შეუძახა მოცურავეებს.

ბიჭები არხეინად იდგნენ და იცინოდნენ.

– ჩვენი შველა არ უნდა ბატონიშვილს, ჩვენზე ნაკლებად როდი ცურავს, – დაამშვიდა ერთმა.

– შენს უჩუმრად რამდენჯერ გამოპარულა ჩვენთან საცურაოდ, მოძღვარო. არ უთქვამს, განა?

სადღაც შორს ცოტნემ წყლიდან ამოყო თავი, ჰაერში თევზივით შეხტა, მხარული მოუსვა და აღმზრდელს გამოსძახა:

– წყალში შემოდი, ოსტატო, გამეჯიბრე!

– არ უთქვამს, აბა! – თავი გადააქნია იმ ბიჭების დაგვიანებულ პასუხად ივლიანემ და თვალი აღტაცებით გაადევნა შორს გასულ ბატონიშვილს.

ზღვაში ნებაზე მიშვებული ცოტნე იხვივით ლაღობდა და წყლიდან ამოსვლა ავიწყდებოდა. ათასგვარ ოინს იგონებდა, რომ თვალსაწიერიდან გამქრალიყო და ნაპირას დარჩენილი მოძღვარი წყალში შეეტყუებინა.

ივლიანე წყალს ერიდებოდა.

რალა დროს ჩემისთანა დროული კაცის ცურვააო, ხელჩაქნეული იტყოდა და ნაპირიდან ცქერასა და ლელვას ჯერდებოდა.

ზოგჯერ ნავზე დასაჯდომად აიტყუებდა ცოტნე, მაგრამ ვაი, იმ დაჯდომას! ნიჩბის ღონივრად მოსმით ნავს შუა ზღვაში შეაგდებდა ბატონიშვილი, მერე ისკუპებდა და წყალში გადამხტარი თვალთაგან ქრებოდა ყვინთვით. დიდხანს რომ აღარ გამოჩნდებოდა, ოსტატი შეფიქრებულად აწრიალდებოდა, ფეხზე წამოდგებოდა, წყალში გაუჩინარებულს უხმობდა და თან ნაპირისკენ იხედებოდა, ეგებ მშველელი ვინმე დავინახოო.

ამ ყოფაში ჩავარდნილს, უცებ ნავის შეტორტმანება შეუქანებდა გულს და ფერდაკარგული ჩაიკეცებოდა.

წყლიდან თავამოყოფილი ცოტნე ნავს მუშტს ურტყამდა და ანჯღრევდა.

– ნელა, შე ყაჩაღო, ნავს დაეხსენ, მეკობრევ, არ გადამიბრუნო. – თან უწყრებოდა და თან ეხვეწებოდა ივლიანე, მაგრამ სანამ თავად არ მოწყინდებოდა ანცობა ცოტნეს, მოძღვარს საშველს არ მისცემდა. მერე თავადაც ნავში ჩახტებოდა, ნიჩბს მოუსვამდა და... ზღვაზე საამო სიმღერა დაირხეოდა: მოძღვარი და შეგირდი ხმაშეწყობილი გალობით შორს, უკან იტოვებდნენ ხმელეთს და მთელი არსებით ეძლეოდნენ ზღვის უნაპირობის საამო განცდას.

მოშვივებულები თავიანთივე ნანადირევით ნაყრდებოდნენ: თევზი ბლომად ჰქონდათ, ნაპირზე დანთებულ ცეცხლზე ხარშავდნენ და მადიანად შეექცეოდნენ.

ხანი გამოხდა. ივლიანე მოძღვარს ზღვა მოსწყინდა და ტყე-ტყე და მთა-მთა ხეტიალი მოუნდა.

კარის ეკლესიიდან მწევარ-მეძებრებთან და ქორ-მიმინოებთან გადაბარგდა და სულის სასარგებლო მოღვაწეობა თითქმის დაივიწყა. ოდიშის საუკეთესო მონადირეებს ყოველდღე თავს უყრიდა და დილიდან საღამომდის იმის რჩევასა და ბჭობაში იყო, თუ სად, რომელ ნადირზე და ფრინველზე ენადირათ, რა გზით, როდის წასულიყვნენ, საგზლად რა წაეღოთ და ღამე სად ეთიათ.

ყველა სამზადისსა და თადარიგს რომ მორჩა, ეს ანაფორიანი დეკვაცი ცხენზე შეჯდა, გვერდით თეთრონზე ამხედრებული ბატონიშვილი ამოიყენა და მონადირეთა მთელ გუნდს ომახიანი ძახილითა და პირჯვრის წერით წაუძღვა. რაკი ერთხელ გაგარეგნდნენ, შინ გული აღარ უდგებოდათ. ღამეს ხან სად ათევდნენ და, ხან სად. მილის წინ ან შესვენების დროს, კარავში თუ ხის ჩრდილში წამოწოლილი ივლიანე ბატონიშვილს გვერდით მოისვამდა ხოლმე და, ვითომ სხვათა შორის, სახალისოდ ამეცადინებდა.

მონადირეების დაუსრულებელი ყაყანი, მწვეარ-მემებრების წკავ-წკავი და წამსვლელ-გამცილებელთა გნიასი აყრუებდა მთავრის ეზო-გარემოს.

გახალისებული ცოტნე უჩვეულოდ აღზნებული ჩანდა, სანადიროდ ფრთაშესხმულივით მიჰქროდა და წასვლის წინ ღამე არ ეძინა.

მშობლებს ბატონიშვილის გამოცოცხლება, გუნების შეცვლა ახარებდათ, უკან მობრუნებული მემკვიდრის ამბავს შერგილი გამოწვლილვით კითხულობდა. მის ნანადირევს ცალკე მიითვლიდა, ისრის აუცდენლად ტყორცნას უქებდა და ახალი შემართებისათვის ამხნევებდა.

მთავარი და მისი მეუღლე სასოებით შეჰყურებდნენ ცოტნეს გამხიარულებას, ცხენოსნობითა და ნადირობით გატაცებას. მაგრამ ამ გატაცების ნამდვილ მიზეზს ვერ ხედავდნენ და არ იცოდნენ, მემკვიდრის გულში რა ხდებოდა.

ცოტნე კი...

ყოველ დილას იმ გადაწყვეტილებით დგებოდა, მთაში ნადირობისას შორს წასულიყო, დანარჩენ მონადირეებს ჩამოცილებოდა, სადმე მივარდნილ მონასტერს წასწყდომოდა და იქ სამუდამოდ ეპოვნა ბინა. ნადირობის ეშხში შესული თავის ამ უმთავრეს საწადელს არ ივიწყებდა და, ნადირს დადევნებული, სულ იმას ცდილობდა, სხვებს მოწყვეტოდა და განმარტოებულიყო. მაგრამ დრო გადიოდა და ცოტნეს გადაწყვეტილების ასრულებას საშველი არ ადგებოდა: ივლიანე მოძღვარი წამით არ შორდებოდა, როგორც ოდნავ განაპირებულს დაინახავდა, მაშინვე მასთან ჩნდებოდა და ბატონიშვილს თოკით გამობმულივით თან დასდევდა.

საქმე რომ მხოლოდ ამათზე ყოფილიყო, თავის დამარტოხელებას როგორმე მოახერხებდა ცოტნე. მაგრამ თითქოს განგებ ისე ეწყობოდა, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთხელ ვერსად გადააწყდა მიყრუებულ ხეობასა თუ მთაში მივარდნილ მონასტერს.

ცოტნე განზრახ ირჩევდა სანადიროდ ოდიშის შორეულ კუთხეებს, ივლიანე მოძღვარს სულ იმას ეუბნებოდა, რაც შეიძლება შორს წასულიყვნენ, მიუვალ მთებსა და ხეობებში. მოძღვარიც ხალისით თანხმდებოდა, მაგრამ, თითქოს ცოტნეს ჯიბრზე, მიწის პირისაგან აღგვილიყოს, ბატონიშვილის საოცნებო უდაბნოები და გამოქვაბულები არსად ჩნდებოდა.

დილაადრიან სანადიროდ წასვლა შეუგვიანდა ივლიანეს. თბილისიდან სტუმრები ეწვივნენ ოდიშის მთავარს და ივლიანე აღარ აპირებდა სასახლიდან გასვლას. ისევ სტუმრებმა დააძალეს, ჩვენ აქ მთავართან შევიქცევთ თავს და, თუკი ბატონიშვილი ნანადირევით გაგვახარებს, ამაზე კარგს რას ვინატრებთო.

ცოტნემ მშობლებს ადრე დაბრუნება აღუთქვა, ცხენს მოახტნენ და გაჰკურცხლეს.

თითო შველსა და ირემს დასჯერდნენ, ხობხები და გნოლ-კაკებიც ინადირეს და უკან დროით გამობრუნდნენ.

ტყიდან გამოსულები შუადღის მზემ შეაწუხა. წყალი მოსწყურდათ და სოფელში შეუხვიეს. სათიბებს გასცდნენ. გზა ხეხილის ბაღებში გადიოდა. ფერდობზე სკები იყო ჩამწკრივებული და ფუტკრის ზუზუნი ესმოდათ.

უცებ ივლიანემ ცხენი შეაჩერა. ბატონიშვილს რაღაც უჩურჩულა. ცოტნემ ცხენს აღვირი მოსწია და წამით ყველანი შედგნენ.

საფუტკრის წინ ახალ გათიბულ მინდორზე კაცი იწვა. ცალი მხარი ხალათიდან გამოედრო და შიშველი მკლავი მზეზე გაეშვირა. შიშველ მკლავსა და ხელზე უთვალავი ფუტკარი მისეოდა. სახე მზისაგან გოგრის დიდი ფოთლით ჰქონდა დაფარული. ეტყობოდა, ცალკე მზე აწუხებდა და ცალკე ფუტკრის კბენა. ნიკაპი უმაგდაგებდა და შიშველი მხარ-მკლავი უტოკავდა.

– თაფლი აქვს შიშველ მხარ-მკლავზე წასმული, – გადაუჩურჩულა ბატონიშვილს მოძღვარმა, – იმიტომ ახვევია ფუტკარი.

– მერე არ კბენენ? – იკითხა ჩუმიადვე ცოტნემ.

– კბენენ, ვერ ხედავ, როგორ ტოკავს და იგრიხება?.. კბენენ და უძლებს, ითმენს.

– ნეტავ, რა აიძულებს? – გაიკვირვა ცოტნემ.

– ვინ იცის, – თქვა მხრების აჩეჩვით ივლიანემ და ცხენი დაძრა.

ფუტკარდახვეულმა ცხენების ფეხის ხმაზე თავი ასწია და გოგრის ფოთოლი მოიშორა. წინწასულმა ცოტნემ ერთხელ კიდევ მოიხედა და ის კაცი ეცნაურა.

– ოტია მეჯინიბეა, მოძღვარო, ჩვენი ოტია, – გასძახა ბატონიშვილმა ივლიანეს.

ივლიანემაც პირი სკებისაკენ იბრუნა, მაგრამ ოტიას სახე აღარ უჩანდა, ისევ ძველებურად გაწოლილიყო, თავ-პირს გოგრის ფოთოლი უფარავდა და შიშველ მხარ-მკლავზე ფუტკრის გუნდი ეხვია.

სოფლის გულში, ეზოში ქალი ჭიდან წყალს იღებდა.

– ჭის წყალზე უარს არ იტყვი, ალბათ, ბატონიშვილო, – გადაულაპარაკა მოძღვარმა ცოტნეს და დასტურის მიღებას აღარ დაუცადა.

– მასპინძელო! – გასძახა და ცხენი ღობესთან შეაყენა. ქალმა თავი ასწია, თავსაფარი გაისწორა და უცხო სტუმრებს დააკვირდა.

– ამას რას მოვესწარი, ცოტნე ბატონიშვილი მობრძანებულა! – აღტაცებით ამოიძახა და ჭიშკრისაკენ გაიქცა.



– მობრძანდით, ბატონიშვილო! მობრძანდით! – იძახდა და ჭიშკარს ფართოდ ალებდა.

– ცაბო! დიდი ქალბატონის ფარეში! – იცნო ყველამ.

– ცაბოს ვახლავარ! – მიესალმა ივლიანე მოძღვარი, – წყურვილით ვიხრჩობით, შენს ქალობას, ცივი წყალი დაგვალევინე.

– წყალი კი არა, ღვინოც მიირთვით, – გამოვარდა შარაზე ცაბო, – ახლავე სუფრას გავაწყობ, შემობრძანდით!

– არა, შემოსასვლელად არ გვცალია. წყალს კი დავლევთ.

ცაბო წყლის მოსატანად გაიქცა. ჭიქები და სურით წყალი მოარბენინა, დაასხა. ყინულივით ცივმა წყალმა თხელი ჭიქები დაორთქლა.

– წყალი უმცროსისაა, – თქვა ივლიანემ და პირველი ჭიქა ცოტნეს გაუწოდა.

– ასე უპატივცემულოდ როგორ გაგიშვათ, კაცი რას მეტყვის! ცოტა ხანს მაინც შემოსულიყავით, – ფუსფუსებდა შეწუხებული ცაბო.

– ასე სჯობს, აგაშენოს ღმერთმა! – ივლიანემ ჭიქა დაცალა და ცოტნეს შესთავაზა, – კიდევ ხომ არ ინებებ?

– არა, გამდლობთ! – თქვა ცოტნემ და მასპინძელს შეეკითხა – ოტია სად არი?

– ოტია სად იქნება? ეს ერთი ხანია, ვიღაცამ ასწავლა, ფუტკარს დააკბენინე წამხდარი ხელი და გიშველისო. ყოველდღე მეფუტკრესთან დადის, გახეიბრებულ ხელ-მკლავზე თაფლს იცხებს და ზედ ფუტკარს იხვევს.

– მერე, არ ტკივა, როგორ უძლებს? – იკითხა ცოტნემ.

– მე თვითონ მიკვირს, როგორ უძლებს! დაკბენილი, გასივებული მხარ-მკლავი ღამე არ აძინებს, მაგრამ მეორე დღეს ისევ ხელახლა ფუტკარს იხვევს, ეგებ გახეიბებული ხელი ცოტა მაინც ამიმომრავდესო. ვერც ვამტყუნებთ უბედურს, ხომ იცით, ცალხელა კაცი, ნახევარი კაცია, მოვკვდი მაგის საცოდაობით!

ცოტნეს ტანზე ეკლებს აყრიდა და გული ბაგა-ბუგით უცემდა, მისი სიცრუით დაღუპული ვაჟკაცის უბედურება რომ ესმოდა.

– ვინ იცის, იქნებ არგოს, ყველა ღონე უნდა სცადოს, – გაამხნევა ივლიანემ ცაბო.

– ღმერთმა ჰქნას, მაგრამ ვაი, რომ ჯერ საიმედოს ვერაფერს ვატყობ... – წაიტირა ცაბომ.

– აბა, კარგად იყავით, ოტია მოგვიკითხე, წყლისთვის დიდი მადლობა! – გადმოსძახა ივლიანემ და ცხენს სადავე მიუშვა.

– იცოცხლე, ბატონო, ღმერთი იყოს თქვენი მოწყალე, მაგრამ ჩემს კაცს რა ვუთხრა, რომ ასე გიშვებთ! – მისძახოდა ცაბო.

ცოტნე წამით შეეყოვნდა, ფულით სავსე ქისა მოიძია და ჩუმად ჩაუდო ხელში ცაბოს.

ცაბომ იუარა.

– უი, რატომ სწუხდებით! თქვენი ოჯახისაგან წყალობა და საბოძვარი არ გვაკლია. ღმერთმა ნუ მოგაკლოთ თავისი მადლი და წყალობა.

ცოტნემ ცხენი ადგილს მოსწყვიტა და თანამგზავრებისაკენ გააქანა.

მიდიოდა ცოტნე და თვალიდან არ შორდებოდა თაფლწასმული ოტიას მხარ-მკლავი. ტკივილისაგან მტოკავი ნიკაპი და წამოსიებულ შიშველ ხორცზე მისეული ფუტკარი.

წამით გავარვარებული შანთი და საშინელი ტკივილისაგან შეშლილი ოტიას სახე მოელანდა და კინაღამ ისევ გული შეუღონდა. ხელი უნაგირის ტახტას წაავლო, წონასწორობა აღიდგინა და გუნებაში მამის ნათქვამი გაიმეორა: შენც გაუძლებდი! ცხოვრება განსაცდელითაა სავსე და ვაჟკაცი ამ ქვეყნად მისთვის ჩნდება, რომ ჭირსა და განსაცდელს გაუძლოს!

– მუციუს სცევოლა! მუციუს სცევოლა! – მოესმა ცოტნეს და ფიქრებიდან გამოერკვა. ივლიანე მოძღვარი რაღაცას იგონებდა და აღტაცებული ბუტბუტებდა.

– რა ბრძანე, მოძღვარო?

– არაფერი, მუციუს სცევოლა გამახსენდა, რომაელი ვაჟკაცი.

– რამ გაგახსენა, ან ვინ იყო ეგ სცევოლა?

– ოტია მეჯინიბის ამტანობამ გამახსენა, ფუტკრის კბენას რომ უძლებდა ვაჟკაცურად... ეს ამბავი ძველად, ძალიან ძველად მოხდა, ბატონიშვილო. რომის რესპუბლიკას ეტრუსკებთან ჰქონდა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. ეტრუსკთა მეფე პორსენა სასტიკად უტევდა ალყაშემორტყმულ რომს და დღედღეზე ელოდა მის დაცემას.

მაშინ ერთმა რომაელმა ჭაბუკმა, მუციუსმა გადაწყვიტა რომისათვის თავი გაეწირა, მტრის ბანაკში შეპარულიყო და მათი მეფე მოეკლა. მუციუსმა მოახერხა ეტრუსკელთა ბანაკში შესვლა, მაგრამ შეცდომით რომაელმა ჭაბუკმა პორსენას ნაცვლად მისი ერთ-ერთი დიდებული მოკლა. მკვლელი შეიპყრეს და მეფეს წარუდგინეს.

– მე რომის მოქალაქე ვარ, – ამაყად განუცხადა ჭაბუკმა ეტრუსკთა ხელმწიფეს, – ჩემი სახელია გაიუს მუციუსი. მე აქ მოვედი ჩემი სამშობლოს მოსისხლე მტრის მოსაკლავად. მზადა ვარ, ამისთვის პასუხი ვაგო და მოვკვდე. მამაცური მოქმედება და მამაცური სიკვდილი ერთნაირად გვახასიათებს რომაელებს. მე მარტო როდი ვარ, ჩემსავით აქ სხვა რომაელებიც მოვლენ შენს მოსაკლავად. ფხიზლად იყავი, მეფევ, მტრის მახვილი არაერთხელ აღიმართება შენს გასაგმირად.

მეფეს უნდოდა შეეტყო, ვინ და როგორ მოიყვანა მტრის ჯარისკაცი მის სამყოფელში, როცა ჭაბუკი არ გატყდა, პორსენამ სამსხვერპლო ცეცხლი ალაგზნებინა და მუციუსს წამებით დაემუქრა.

– მიცქირე, მტარვალო! – შესძახა ჭაბუკმა, – მიცქირე და ნახე, რა იოლია სიკვდილი მისთვის, ვისაც თვალწინ თავისი უკვდავება უდგას.

ამ სიტყვებით, მუციუსმა მარჯვენა მიუპყრო ალგზნებულ ცეცხლს და ისე გაუძლო ხელის დაწვას, წარბიც არ შეუხრია. სანახაობით შეძრწუნებულმა მეფემ უბრძანა, ჭაბუკი ცეცხლისაგან მოეშორებინათ. რომაელი ვაჟკაცის

გმირობით მოხიბლულმა ეტრუსკთა ხელმწიფემ მუციუსს სიცოცხლე და თავისუფლება აჩუქა.

– რა ვაჟკაცი ყოფილა! – აღმოხდა ცოტნეს.

– ვინა, მუციუს სცევოლა? – ყველა დროისა და ყველა ხალხის გმირებში გამოსარჩევად და სამაგალითოდ არის აღიარებული.

– გაძლება არ უნდოდა ხელის დანახშირებას?!

– დიდი რწმენა და სიყვარული გააძლებინებდა, ბატონიშვილო, სამშობლოს დიდი სიყვარული და ღალატისადმი ზიზღი.

– ნუთუ აგრე ყოვლისშემძლეა, მოძღვარო, ეგ გრძნობა?

– სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების გრძნობა? უძლეველი და უმაღლესია! ბედნიერი ის არის, ვისაც მაგ გრძნობის გამოცდის შემთხვევა ეძლევა, რადგან მაგ გრძნობით შეპყრობილი ადამიანი მთვრალსა ჰგავს, სიკვდილის შიში არ იცის და ნებისყოფაგანმტკიცებული მზად არის, ბრმად შეეწიროს თავის გადაწყვეტილებას.

იმ ღამეს სიზმრად რომელი გმირის დანახშირებულ მარჯვენას ხედავდა ცოტნე.

– ხვალ გაგარსა და უღალადგვლებში ვიქნებით, ბატონიშვილო, ამაღამ კარგად გამოიძინე, რომ დღისით მალე არ დაიქანცო. სვანეთის მთებამდე და უფრო შორსაც ვივლით, შველი და ირემი უნდა ვინადიროთ, – უთხრა ნავახშმევს ცოტნეს ივლიანე მოძღვარმა. ერთხელ კიდევ ჩამოუარა ცხენებს და მწევარ-მეძებრებს, მონადირეების თადარიგი შეამოწმა და დასაძინებლად წავიდა.

ცოტნეს ჩვეულებად ჰქონდა, სწორედ მაშინ გაუტყდებოდა ძილი, როცა ადრე ასადგომი იყო. ათასი ფიქრი და მოგონება მოესეოდა, ლოგინში შამფურივით ტრიალებდა, თავის ტკივილითა და უძილობით გასავათებულს ძილი როდის-როდის, განთიადის წინ წამოეპარებოდა.

ამჯერადაც ვერ მოერია ამ უხიაგსა და უამურ ჩვეულებას. მოჯარულ ათასგვარ ფიქრს თავი ვერ გაართვა; რაც უფრო მეტად ატანდა თავს ძალას, ძილი მით უფრო შორს გაურბოდა და ნამალადევი დახუჭულ თვალს ახლო არ ეკარებოდა. ბოლოს, როცა მთელი სხეული გაუბრუნდა და მოეთენთა, ძილი თავისთავად მოვიდა. ერთხანს დაულაგებელ სიზმრებში იბორიალა, იმ სიზმრებიდან ვერაფერი გამოიტანა. მერე აშლილი ფუტკრის სკასავით აგუგუნებული თავი, როგორც იქნა, დაწყნარდა და ცოტნეს გულის ძილით დაეძინა.

მძინარე ბატონიშვილთან ისევ ის მოვიდა. ფეხშიშველა, გრძელკაბიანი ღრუბლებზე მოაბიჯებდა. წამით მძინარეს გადმოხედა, დაიხარა და ხელი მსუბუქად შეახო.

– შეუდექ ჩემს გზას! აღსდექ და ეძიე კვალი ჩემი...

ჩაესმა მძინარეს ნიავის ჩურჩულივით ჩუმი, მაგრამ საამო ხმა და ბატონიშვილმა იგრძნო, მხრებზე ფრთები ამოსდიოდა, სხეული სიმძიმეს ჰკარგავდა და სადაც იყო, გაფრინდებოდა.

– აბრძანდი, ბატონიშვილო, – ჩაესმა ცოტნეს ნაცნობი ხმა და თვალი გაახილა.

თავს ივლიანე მოძღვარი ადგა, კარგად გამოძინებულს დაჟღაჟა ლოყები და ნაკვერცხლებივით ანთებული თვალები უცინოდა.

– გეყოფა ძილი, ბატონიშვილო. დროა, გზას გავუდგეთ, – ხმადაბლა თქვა ივლიანემ და სარკმლისაკენ ხელი გაიშვირა, – თენდება!

ცოტნემ სარკმელს გახედა; ცა მტრედისფრად შემღვრეულიყო. ცხენების ჭიხვინი და ფრუტუნის, ძაღლების ყეფა და მამლების ყვირილი ძილის ბურანში გახვეულ არემარეს აფორიაქებდა და მოსვენებას უფრთხოებდა.

ცოტნემ საბანი გადაიძრო და წამოხტა. გამოუძინებლობით აყოლილ დაღლასა და მოთენთილობას სულაც არ გრძნობდა, პირიქით, მუხლსა და მკლავში საიდანდაც სულისა და სხეულის განმაახლებელი ღონე უხილავად ეღვრებოდა და თითქოს სიზმარი გრძელდებო, უჩვეულო სიმსუბუქე გასაფრენად ეწეოდა.

გეგონებოდა, სამუდამოდ ტოვებს გასაცილებლად გამოსულ დედ-მამასო, დიდხანს ეხვეოდა და ჰკოცნიდა. თავადაც არ ესმოდა თვალზე ცრემლი რატომ მოადგა, რატომ შეებრაღა ჩვეულებრივზე მეტად მისკენ ოდნავ შესამჩნევი შემფოთებით მზირალი დედა.

ეზოსა და ორღობეს გასცდა თუ არა, თეთრონს მათრახი უჭირა და ახლა კი მართლა ფრთაშესხმულივით გაფრინდა იქით, საითაც ბავშვური გადაწყვეტილებით შეპყრობილს, ასე დიდხანს და დაჟინებით ეძახდა ფიქრი და ოცნება, ერთიმეორისაგან განუყოფელი სიზმარი და ცხადი.

ერთხანს ასე მიჰქროდნენ.

მერე, ვაკე რომ გათავდა და აღმართს შეუდგნენ, ცოტნემ ცხენი ნაბიჯზე გადაიყვანა.

მოშიებულები მუხების ჩრდილში ჩამოსხდნენ, მწვანეზე სუფრა გაშალეს და საუზმეს შეექცნენ.

ბატონიშვილი საჭმელს არ ეტანებოდა, თვალი სადღაც შორს გაურბოდა, გზის გაგრძელებას ეშურებოდა.

ივლიანე მოძღვარი ყანწით დაილოცა, ხელმწიფის სადღეგრძელო თქვა. დაცლილი სასმისი ღვინით აავსო და საალავერდოდ გაიწოდა, ყანწის ჩამომრთმევის არჩევა ვერ მოასწრო, რომ გვერდით მჯდარმა ბატონიშვილმა ხელი შეაგება და მოულოდნელობისაგან დაბნეულ მოძღვარს სასმისი ჩამოართვა.

ცოტნე სმაში უცადი იყო, ღვინო არასოდეს დაელია, ივლიანე შეშინდა, არ აწყინოსო, მაგრამ პირდაპირ დაშლაც ვერ შეჰბედა და ოდნავ გასაგონად შესთხოვა:

– სულ ნუ დაცლი, ბატონიშვილო, უჩვევი ხარ!

ცოტნეს ვითომც არ გაეგონოს მოძღვრის გაფრთხილება, ყანწი მოიყუდა და სულმოუთქმელად დაცალა.

ბატონიშვილის ლოყებს მაშინვე ფეროვნება მოემატა და ისედაც აღზნებულ თვალებში ცეცხლი ჩაუდგა.

ვაითუ, კიდეც დალიოსო, შეეშინდა ივლიანეს, მეორე სადღეგრძელო პატარა ჭინჭილით შესვა და რადგანაც ყველას თავთავისი კულა და ჭინჭილა წინ ედგა, ალავერდს არავისთან გადავიდა.

წასვლის მოსწრაფე ცოტნეს შეეზარა ჭინჭილის ავსება და ვიწრო ყელიდან წუწკად მომდინარე ღვინის ნელი წრუპვა.

ივლიანემაც არ ინდომა სერობის გახანგრძლივება, წასვლისა დაილოცეს, კალთები დაიბერტყეს, სუფრა აალაგეს და ცხენებზე ამხედრდნენ.

ფართო გზიდან ბუჩქებსა და ეკალ-ბარდებში მიმალულ ბილიკებზე გადავიდნენ, აღმა-დაღმა, კლდე-კლდე დიდხანს იარეს და, როგორც იყო, ტყით დაბურულ ხეობაში გავიდნენ. მყუდრო ხეობა შეკავებული ხმაურით აივსო.

ჭალაში დაცემულ მუხნარს შემოუარეს, ალყა მოარტყეს, ბუკსა ჰკრეს და ძაღლები აუშვეს.

ტყე თითქოს უეცრად მოვარდნილმა ქარიშხალმა შესძრაო, ფრინველები დაფრთხნენ, ხობხები ცაში მაშხალებივით ავარდნენ. მერე იმ მაშხალებისაგან ბევრი ქვასავით მძიმედ წამოვიდა ძირს და ისრის მტყორცნელები გახარებულნი მისცვივდნენ პირველ ნადავლს.

ძაღლებმა ყეფა ასტეხეს. ყეფა გაბმულ წკავ-წკავად გაგრძელდა და ტყეში დამფრთხალი ნადირი დაიძრა.

ასწლოვან მუხას აკრული ბატონიშვილი დაქვეითებული ელოდა ნადირის გამოჩენას.

ცოტნესაგან ოციოდე ნაბიჯით დაშორებული ივლიანეც მშვილდისარმომარჯვებული გულისფანცქალით უცდიდა ნადირის წამოხტომას.

ძაღლების ყეფა და გნიასი მოახლოვდა.

ივლიანემ თავის მობრუნებაც ვერ მოასწრო, გვერდით რაღაცამ გაიშლიგინა და ზურგზე რქებგადაგდებულ, დაოთხილ ირემს რომ თვალი ჰკიდა, ნადირი უკვე შორს იყო.

ისარი სტყორცნა და თავადაც იქით გავარდა, საითაც აწრიალებული ძაღლები ყეფითა და წკმუტუნით გარბოდნენ. ეტყობოდა, ირმის ჯოგი მოქცეულიყო ძაღლებისა და მონადირეების რკალში.

ყველამ იქით მიაშურა.

დაბნეული ცოტნე წამით შეყოვნდა. თვალი მოავლო იქაურობას: სრულიად მარტო დარჩენილიყო.

ღვინის ხამ ყმაწვილს თავი უბრუოდა და რაღაც უცნობ სიამეს თუ აღტაცებას განიცდიდა.

იდგა აღზნებული და დაბნეული და ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა, სხვებსავით ირმის ჯოგს გამოდევენებოდა თუ...

უცებ შველი გამოჩნდა.

დაფეთებული პირდაპირ ცოტნესკენ გამოიჭრა.

ცოტნე გაოგნებული მიაჩერდა მისკენ მიმქროლავ შველს. შვილდისარი გამართული ჰქონდა, მაგრამ მონუსხულივით გაუნძრევლად იდგა და ტყორცნა ვერ მოეფიქრებინა. შველმა თითქოს საფრთხე იგრძნო, მხარი იცვალა, გვერდით გასხლტა და ისევ ტყეს მისცა თავი.

ახლა კი გამოფხიზლდა ცოტნე. ისარი დაადევნა გაფრენილ ნადირს და თავადაც სირბილით მიჰყვა უკან.

მეორე ისარმა სადღაც უწია კამარ-კამარ მიმქროლავ შველს. ერთი ჩაიკეცა, მაგრამ ისევ მალე წამოდგა და გაფრინდა.

სისხლის წვეთების წვრილი ძაფი გაჰყვა შვლის ნაკვალევს და ბატონიშვილი მიხვდა, რომ მეორე ისარი მიზანს მოხვედრილი იყო.

ოდნავ ღვინომოკიდებული, უჩვეულოდ აღზნებული ცოტნე უცებ ნადირთან რბოლაში გაჯიბრების ჟინმა აიტანა – შვლის ცოცხლად შეპყრობა მოუნდა და ისარი აღარ ესროლა.

თვალმოუსწრებლად მირბის შველი და მუხლჩაუხრელად მისდევს ცოტნე, დაჭრილის ნაკვალევზე სისხლის ძაფი თანდათან მსხვილდება და ბატონიშვილი ხვდება, რომ შველი დიდხანს ვეღარ ირბენს, ღონეგამოლეული მალე ჩაიკეცება და ცოცხლად ჩაბარდება.

შველმა ისევ უგანა, ხშირი ტყიდან გავარდა და კლდე-კლდე ხტომით ბუჩქნარს მიჰყვა.

ცოტნეს აღარ ესმოდა, რა ხდებოდა. ზოგჯერ ისე ახლო იყო დაჭრილ შველთან, ხელის წატანება შეეძლო, მაგრამ ღვინისგან თუ უჩვეულო აღზნებისაგან დევნის მიზანი დავიწყებული ჰქონდა და, მხოლოდ ასე დაუსრულებლად ქროლვა, დაკოდილ ნადირთან სირბილში გაჯიბრება, თუ სხვა რაღაც აუხსნელი ეშხი აკავებდა მსხვერპლის შეპყრობისაგან.

დიდხანს გაგრძელდა ორი სულდგმულის სულმოუთქმელი რბენა.

აღმა-დაღმა ხტომამ, ეკალ-ბარდებში გზის კვლევამ მონადირეც მოქანცა და მუხლი მოუსუსტა.

ღვინომაც გასჭრა და თავბრუსხვევამ უმატა.

ბუჩქნარი თანდათან შეთხელდა. დიდრონი ლოდები თვალშეუდგამმა ქარაფებმა შეცვალა და ცამდე აყუდებულ კლდეთა ხვეულებში, ქვასა და ღორღზე სისხლის კვალის მიყოლა გამძნელდა.

ოფლი წურწურით სდის ცოტნეს, მაგრამ ისარს მაინც არ ისვრის. ცოტა კიდევ და, დაეცემა ჯიუტი ნადირი.

ფერდხეთქებით მირბის შველი, კლდეთა ნაცნობ ხვეულებში მდევარზე უკეთ იკვლევს გზას, მაგრამ მდევარი უკვე ახლოა და, ცოტნეს ყურს სწვდება, როგორ ქელავს ღონეგამოლეული ცხოველი.

აგერ, სვეტად ამართულ უშველებელი კლდის ნაპირთან მოჰკრა თვალი შვლის ჟღალ ფერდსა და პაწაწინა შავ კუდს.

ცოტნეც უმაღვე გაჩნდა იმ კლდესთან, მაგრამ...

კლდეზე გადამდგარი ბატონიშვილი იმ კლდესავით გაქვავებულა. წუთის წინ აქ გაიქროლა დაჭრილმა შველმა. კლდის იქით აღარც გაქცეული შველი ჩანს, აღარც მისი სისხლის კვალი, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, დაკოდილი ნადირი აღარსად არის.

მონადირემ დაბლა გადაიხედა: ტაფობში ბალ-ვენახებს შაოსნები შესევინან, ზოგი ხილს ჰკრეფს, ზოგი ვაზს მორჩავს, ფერდობებზე ფუტკრის უთვალავი სკა ჩარიგებულა და ის სკები სოკოებივით ჩამწკრივებული ჩანს მწვანითა და ფერად-ფერადი მთის ყვავილებით დაფენილ გორაკებზე.

უამრავი ფუტკარი აღმა-დაღმა დაბზუის და ცოტნეს ეჩვენება, რომ ეს ზუზუნის ფუტკარს კი არა, თვითონ მზის გახურებულ ჰაერს გააქვს.

თვალი გორაკებს ზემოთ ააყოლა ცოტნემ. უზარმაზარი პიტალო კლდე ცამდის აზიდულა, იმ ბალ-ვენახების გასწვრივ წაგრძელებულა და თავ-ბოლო არ უჩანს.

კლდეში გამოკვეთილი უთვალავი კართა და სარკმლით თვალდათხრილივით იცქირებიან მღვიმეები. კარ-სარკმლებს კლდისგანვე ნაკვეთი ჩუქურთმების გრეხილი ავლია. ალაგ-ალაგ მსხმოიარე ვაზის რტო და ბროწეულებია კლდეზე ამობურცვით გამოყვანილი.

ლომები და ვეფხვები, ქორბუდა ირმები და რქაგრეხილი ხარები, თუ ვერძები, თითქოს მაღალ კლდეზე იმისთვის შეურეკიათ, რომ შემდეგ იქ გაექვავებინათ და სამუდამოდ შეეხორცებინათ ნაცრისფერი ქვის მღუმარებისათვის.

ახლა მარჯვნივ მოიბრუნა თავი ცოტნემ.

კლდეშივე ნაკვეთი გრძელსაფეხურებიანი კიბე შედიოდა გამოქვაბულში. ცოტნეს წინაშე მონასტრის ქვაბები აღმართულიყო. თავი ისევ ძილში ეგონა. ნელ-ნელა იწყებდა გამოფხიზლებას და ხვდებოდა, რომ სიზმარი ახდა, ბედისწერა ასრულდა.

კიდევ ცოტა მარჯვნივ გაიხედა: აღმართზე ფართო გზა მიიკლაკნებოდა, რკინის ჭიშკართან თავდებოდა და იმ ჭიშკრის იქით ამართულ კლდეში ნაკვეთ კიბეს ებჯინებოდა.

ცოტნე კლდე-კლდე ხტომით იმ გზისკენ წავიდა.

გზა კლდის ჩრდილში მიდიოდა. აღმართს აჰყვა, მაგრამ ღონე აღარ ჰყოფნიდა. ატყობდა, თუ სადმე არ შეისვენებდა, მუხლები თავისთავად ჩაეკეცებოდა.

წყლის ჩხრიალი მოესმა.

გვერდზე გაიხედა: კლდის ნიშში მაჯის სიმსხო წყარო გადმოსჩქეფდა. პატარა აუზიდან წყაროს წყალი ღელედ მოედინებოდა და გზის ქვეშ ბალ-ვენახებისაკენ მიჩუხჩუხებდა.

პირგამშრალი წყაროს მიეტანა. ჩაჩოქილი სულმოუთქმელად დაეწაფა და გაძლომამდე სვა.

როგორც იყო, წყალს ტუჩი მოაშორა. იქვე მწვანეზე მიწვა და თვითონაც ვერ გაიგო, როგორ წაართვა ძილმა თავი.

შენჯღრევამ გამოაღვიძა.

ზურგზე გოდორაკიდებული შაოსანი ბერი ადგა თავს.

– რახანია გაღვიძებ \_ ქვაზე ძილი საშიშია, სნეულება რამ არ აგყვეს, \_ უთხრა ბერმა.

ცოტნე ჯერ უცნობს მიაჩერდა, მერე იქაურობას თვალი მოავლო და ყველაფერი გაიხსენა.

მზე კარგა ხნის ჩასული იყო.

– როგორ მკვდარივით მძინებია! \_ თავისთვის ჩაილაპარაკა ცოტნემ.

– აქ საიდან გაჩნდი? ვისთან მოხვედი? \_ ჰკითხა ბერმა, ხილით სავსე გოდორი ზურგიდან ჩამოიღო, ქვაზე ჩამოჯდა და ერთი ბროწა ვაშლი ყმაწვილს გაუწოდა, \_ პირი გაისველე...

ცოტნეს დილისაქეთ პირში ლუკმა არ ჩასვლოდა. მთელი დღის ნამგზავრსა და ნარბენს მგელივით შიოდა და ბევრი თავპატიჟი არ გაუდევს, გამოწვდილი ვაშლი ჩამოართვა, მადლობა გადაუხადა და მადიანად ჩაკბიჩა.

– აქ ვისთანა ხარ? \_ იკითხა ისევ ბერმა და შუბლზე ოფლი მოიწმინდა.

– შენ აქაური ხარ? \_ კითხვაზე კითხვითვე მიუგო ცოტნემ.

– ჰო, მე ამ მონასტრის უღირსი ბერი ვარ.

– ამ მღვიმეებში მონასტერია?

– არ იცოდი?... მონასტერია... განთქმული მონასტერი.

– მონასტრის უფროსი ვინ არი?

– მონასტერს უფროსი არ ჰყავს. ჩვენი წინამძღვარი, ანუ იღუმენი ერისკაცობაში სახელგანთქმული ოდიშის მთავარი, ერისთავთერისთავი და დიდი თამარის ვაზირყოფილი \_ ვარდან დადიანია.

– ვარდან დადიანი? ოდიშის მთავარყოფილი? \_ იკითხა ცოტნემ და ხმაში შეშფოთება შეეტყო.

– დიახ, ვარდან ყოფილი, აწ კირიონად წოდებული, სიწმიდით და მოღვაწეობით განთქმული ჩვენი წინამძღვარი.

ცოტნე საგონებელში ჩავარდა.

წელან რომ ეგონა, საწადელს მიაღწია და ამდენი ხნის ოცნების ასრულებას ეწია, თავის მოტყუება ყოფილა. გზის უცოდინარი ყრმა თავად განგებამ მოიყვანა ამ მონასტრის კართან, სწორედ იმ მონასტრის კართან, რომელზედაც მახარებელ ქობალია უამბობდა. ცოტნე საკუთარი ბიძის სავანეში მოსულა და ახლა იგი მახეში გაბმულ ჩიტს ჰგავდა. დღეს თუ არა, ხვალ შერგილი მოვა, ან თავის კაცებს გამოგზავნის, მისი უფროსი ძმა, ვარდან ყოფილი \_ იღუმენი, თავისი ხელით გამოიყვანს ამ უღონო ჩიტს მახიდან და ოდიშის მთავარს დაუბრუნებს, რათა ღვთის სამსახურის გზა საბოლოოდ შეუკრან და სამთავროს მემკვიდრე მეფის ერთგულ ერისკაცად აღზარდონ.



\_ მაინც არ იტყვი, საიდან ხარ და ვისთან მოხვედი? \_ იკითხა ისევ ბერმა.  
ცოტნე ფიქრისაგან გამოერკვა. შეკითხვა ისევ უპასუხოდ დატოვა და ისევ იქით შეეკითხა:

\_ დიდი ხანია, რაც ამ მონასტერში ბერად მოღვაწეობ?

\_ კი... კარგა ხანია. თითქმის შენოდენა ვიყავი, ბერად რომ აღვიკვეცე, ადრე დავობლდი და უპატრონო ბაღლი აქ მომიყვანეს.

\_ ვინ მოგიყვანა?

\_ ჩემსავით ღარიბმა და უქონელმა ნათესავებმა.

\_ უფალს არ მოუწოდებია?

\_ უფალს? არა, უფალს არ მოვუწოდებოვარ.

\_ მე კი სულ უფალი მეცხადება. სიზმრად ამ მონასტერს ვხედავ, უფალი ღრუბლებიდან ჩამოდის, ხელით მეხება და მძინარს ჩამძახის: «აღსდექ და შეუდექ ჩემს გზასო».

\_ მართალს ამბობ? \_ გაცემისაგან პირი დაალო ბერმა.

\_ სიმართლეს, იმ უფლის მადლს ვფიცავ.

\_ ამ მონასტრისკენ გეძახის?

\_ ამ მონასტრისკენ.. სიზმრად სწორედ ამ ქვაბებს ვხედავ, ამ წყაროსაც, ამ კიბეებსაც...

\_ რას ამბობ?!

\_ კარგა ხანია სიზმრად ვხედავ და ცხადადაც მეღანდება. გზა არ ვიცოდი, თორემ აქამდე მოვიდოდი.

\_ მერე ახლა როგორ მოაგენი?

\_ ზღაპარს ჰგავს, არ დაიჯერებ... სანადიროდ წამოსულს, შველი წამომიხტა, ისარი ვტყორცნე, დავჭერი და დავედევნე. ცოცხლად დაჭერა მინდოდა და ფეხდაფეხ ვსდიე. დაჭრილი აქეთ მორბოდა. ტყიდან გამოვიდა, კლდე-კლდე ირბინა და ამ ქარაფებში შემომიყვანა. აი, ამ სვეტად ამართული კლდის ნაპირთან მოვიდა, \_ ცოტნემ კლდისკენ ხელი გაიშვირა \_ და გაქრა! მიწამ ჩაყლაპა, თუ ცამ აიტაცა, ვერ გავიგე. კვალწმინდად დაიკარგა და ვეღარსად ვიპოვე.

\_ ვერ იპოვიდი, თუ წმინდა სვეტს შეეფარა... საღვთო ყოფილა.

\_ როგორ?

\_ როგორ და ეგ კლდის სვეტი ამ მონასტრის დამაარსებლისა და ამშენებლის გრიგოლის სახელითაა ცნობილი. გრიგოლ მესვეტე წმინდანი ყოფილა, მაგ კლდის სვეტზე დაყუდებული ცხოვრობდა და სასწაულებს ახდენდა თურმე. ეგეც წმინდანის სასწაულია \_ დაჭრილი შველის უკვალოდ გაქრობა.

\_ ნამდვილად სასწაულია, თორემ ასე თვალსა და ხელს შუა რად უნდა დამკარგვოდა?!

\_ უფრო მეტი სასწაული ის არის, რომ დაჭრილი შველი მონასტრისკენ წამოგიძღვა, ღვთის გზაზე დაგაყენა და უფლის მოწოდება აგასრულებინა.

უცნობი ყრმის ამბით მოჯადოებული ბერი კრძალვით შეჰყურებდა უფლის მიერ მოწოდებულ ყმაწვილს. თვალეში შეჰფოფინებდა სასწაულით მოსულს და მის შეგნებაში უკვე წმინდანად შერაცხულ ყრმას.

– შებრძანდი მონასტერში, რაკი უფლის ნებაა, – თქვა ბერმა და წამოდგა, – იღუმენი ახლა მწუხრის ლოცვად იქნება დამდგარი. ვიდრე წინამძღვარი ლოცვას დაასრულებს და შენი მობრძანება მოხსენდება, ჩემს უბირ სენაკში დაისვენე.

ბერმა გოდორი აიკიდა.

– წამობრძანდი... – ბერი პატივისცემის ნიშნად წელში მოიხარა და უფლის ჩაგონებით მოსულ წმინდა ყრმას წინ წაუძღვა.

განგების ნებითა და ჩაგონებით მოსული ყმაწვილის ამბავი ელვისებური სისწრაფით გავრცელდა მონასტერში. ბერები სენაკს მოაწყდნენ «წმინდა ყრმის» სანახავად. სენაკში შესვლასა და წმინდანთან გამოლაპარაკებას ვერ ბედავდნენ, შორით უცქერდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ ათჯერ მოსმენილსა და გაგონილს, გაზვიადებულად და გადაკეთებულად უყვებოდნენ ერთიმეორეს ჩურჩულითა და კრძალვით უფლის მიერ მოწოდების სასწაულს.

წინამძღვარს გვიან მოხსენდა.

ნავაზირალმა მონასტრის მიმართ უფლის დიდ წყალობად ჩათვალა წმინდა ყრმის გამოცხადება.

სანთლები აანთებინა და განაპირა სენაკისკენ გალობით წაუძღვა ბერების გუნდს.

სენაკის ზღურბლთან მუხლებზე დაეცა წინამძღვარი და ღაღადჰყო.

მეტისმეტი ყურადღებით შეფიქრიანებული ცოტნე სენაკის კუნჭულში მიყუჟულიყო. სანთლების შუქზე სახეგაბრწყინებული იღუმენის საზეიმო ღაღადმა, ცოტა არ იყოს, შეაკრთო ყმაწვილი. მძიმე ნაბიჯით მიმავალ წინამძღვარს ბებერი ლომივით დაფენოდა ფაფარი მხრებზე. ეს ფაფარი და წვერ-ულვაშიც ოდესღაც წაბლისფერი უნდა ყოფილიყო და აქა-იქ კიდევ ანათებდა ჟღალად შემორჩენილი თმის თუ წვერის თითო-ოროლა ღერი.

კირიონმა ხელი ცისკენ აღაპყრო და თავი ასწია. ცოტნე შეხედვისთანავე მოხიბლა მოხუცის დიდებულმა გარეგნობამ.

წინამძღვარმა უფლის სამადლობელი ლოცვა მოათავა და ყმაწვილისკენ წავიდა.

ცოტნე სანთლების შუქს თვალს ვერ უსწორებდა.

კუთხეში მიმწყვედელი ნადირივით ცახცახებდა, დაფეთებული თვალს აცეცებდა და იმასღა ნატრობდა, როგორმე ბიძას მისი ვინაობა არ გაეგო და მონასტრიდან შინ არ გაებრუნებინა. ერთადერთ იმედად ისღა რჩებოდა, დიდი ხნის უნახავი ბიძა ვერ მიცნობსო. გადაწყვეტილი ჰქონდა, რაც უნდა

მომხდარიყო, დადიანების გვარისა და მთავრის ოჯახის არაფერი დასცდენოდა.

წინამძღვარმა ბერები გაისტუმრა და ყმაწვილთან მარტო დარჩა. დინჯად გამოკითხა, წვლილად აამბობინა უფლის გამოცხადების, ნადირის დევნისა და კლდის სვეტთან შვლის კვალწმინდად გაქრობის ამბავი.

– ეგ სასწაული წმინდა სვეტის ყველაზე დიდი სასწაულია, ამიტომ ყველამ უნდა გაიგოს და იცოდეს. ხვალ, დილაადრიან, ოდიშის მთავარსა და მის მეუღლეს შევატყობინებ, შევუთვლი, სხვა დიდებულებიც წამოიყვანონ, თავისი თვალით გნახონ და მოგისმინონ.

ოდიშის მთავრის ხსენებაზე ცოტნე გაფითრდა და თავი უმაღლვე ჩაღუნა, რომ მის თვალეში დაჟინებით მზირალ იღუმენს შეშფოთება არ ამოეკითხა.

– საიდან ხარ, შვილო, რა გვარისა ხარ? – იკითხა ნავაზირალმა.

ცოტნემ თავი უფრო ჩაღუნა, მოიკუნტა და დაპატარავდა.

– ვინმე დიდებულის შვილი უნდა იყო, ჩაცმულობაზე გეტყობა, – თქვა წინამძღვარმა და ყმაწვილს თავით ფეხებამდე ააყოლ-ჩააყოლა თვალი.

ვარდანყოფილი ერთხანს პასუხს დაელოდა.

ყმაწვილი ხმას არ იღებდა.

– მშობლებმა თუ იციან, უფალმა რომ მოგიწოდა? – იკითხა წინამძღვარმა.

ცოტნე თითქოს მიწაში ჩაძრომას აპირებსო, უფრო მოიღუნა და ქვის მაგიდას დაეკრა.

ყრმის დამუნჯებამ, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა იღუმენი.

– შენს დედ-მამას უნდა შევატყობინო, თუ არ იციან. მონასტერში მოვიხმობ.

– არა, ნუ ინებებ, მოძღვარო, – შესტირა ცრემლმომდგარმა ყმაწვილმა, სკამიდან ჩაცურდა, დაიჩოქა და მუხლზე მოეხვია წინამძღვარს.

იღუმენს უფლის მიერ მოწოდებული ყმაწვილის ფეხქვეშ ჩავარდნა ეუხერხულა. მხრებზე ხელი მოხვია, მუხლების წართმევა სცადა.

– რა გაწუხებს, შვილო, რად შფოთავ? მშობლებისა გეშინია? ნებას არ დაგრთავენ?

– ჰო, წინამძღვარო, ნებას არ დამრთავენ, – ამოიტირა ცოტნემ.

– უფლის მოწოდებას და განგების განაჩენს მოკვდავთაგან წინ ვერავინ აღუდგება. მითხარი, ვინ არიან შენი მშობლები და ხატზე შემოგფიცავ, რომ არ მიგცემ უკან წასაყვანად.

– მართლა, მოძღვარო? მართლა არ მიმცემ შინ გასაბრუნებლად? – ცოტნემ თავი ასწია და მავედრებელი თვალი თვალში გაუყარა ბიძას.

– ქრისტეს რჯულს ვფიცავ, შენ თავს მშობლებს არ დავანებებ და ღვთის განგებას არ დავაშლევინებ... დამშვიდდი და უფალს ვევედროთ, ჩააგონოს შენს მშობლებს სიკეთე და სიწრფოება შენი გადაწყვეტილებისა და მოიღოს შენზე ლოცვა-კურთხევა მათი.

დაჩოქილი ცოტნე წელში გაიმართა.

– ვინ არიან შენი მშობლები? – დაყვავებით იკითხა ვარდანყოფილმა.

– ოდიშის მთავარი შერგილ დადიანი და მეუღლე მისი ნათელა...

წინამძღვარი გველნაკბენივით შეხტა, სკამის სახელურებს ხელები მაგრად ჩასჭიდა და თვალები კინალამ გადმოუცვივდა.

მერე სანთლების შუქზე მისი სახეც იმ სანთლებივით გაფითრდა, ბერიკაცი ერთბაშად მოეშვა და ჩაქრა.

ცოტნეს შეეშინდა, ხომ არ კვდებაო, ფეხზე წამოიჭრა, იქაურობას თვალი მოავლო, ვიწრო სარკმელთან სურა დაინახა, პეშვზე წყალი დაისხა და მოხუცს აპკურა. პირველივე შხეფის დაცემაზე შეირხა ილუმენი.

ცოტნეს ხელი დაუჭირა.

– არ მინდა... საჭირო არ არის...

ღრმად ამოისუნთქა, სკამის ზურგზე გადაწვა და ოდნავ გასაგონად აღმოსთქვა:

– ასეც ვეჭვობდი... გუმანი თავიდანვე მაფრთხილებდა და აკი გამართლდა!..

ცოტა ხანს თვალგაშტერებული, გახევებული იჯდა წინამძღვარი. მერე მძიმედ წამოდგა, წელი ძლივს აითრია და კარისკენ წალასლასდა.

ცოტნემ ხელის შეშველება და მხარში შედგომა დააპირა. მოხუცი შეჩერდა, ყმაწვილის ხელი მოიშორა და ხმადაბლა თქვა:

– ახლა გვიან არის. ხვალისა ხვალემ იზრუნოს. შენ აქ მოისვენე ხვალამდის, – ჯვარი გადასახა, შიშჩამდგარი თვალებით ერთხელ კიდევ შეხედა ყრმას, უკან-უკან წავიდა და სენაკის კარი მიიხურა.

გარეთ საშინელი ქარიშხალი იყო, ცაზე ელვა იკლავებოდა, ჭექა-ქუხილი დედამიწას აზანზარებდა.

მერე კოკისპირულად დაუშვა და ღამე კიდევ უფრო ჩამობნელდა.

თავის სენაკში ძლივს შეაღწია წინამძღვარმა. ჯვარცმის წინაშე დაემხო და მაცხოვარს შეჰლაღადა:

– შემინდე უკანასკნელი ცოდვა, ჩემთა ცოდვათაგან უმძიმესი და უსაშინელესი. რამეთუ არ განმკურნე მონა შენი ამ ქვეყნის დიდებაზე ფიქრისა და სამეფოს საქმეებზე ზრუნვისაგან. შემინდე და განუტევე სული ჩემი, უფალო...

მოხუცი მიყრუებული ხმით ლოცულობდა, ქვის იატაკზე შუბლს ურტყამდა და პირჯვარს იწერდა.

დიდხანს გულმხურვალედ ილოცა.

როგორც იყო დაასრულა.

გაკერპებული, ძალმოცემული წამოდგა. მაგიდასთან მივიდა და წერილი დაწერა.

მერე ერთი ბერთაგანი იხმო.

– წვიმამ გადაიღო?

– გადაიღო, მამაო.

– ახლავე ჯორი შეკაზმე და ოდიშის მთავრის სასახლისკენ გაეშურე. მთავრის მეუღლე პირისპირ ინახულე და ეს წერილი მიეცი. არამც და არამც სხვას არ აჩვენო.

ბერმა თავი დაუკრა, კალთაზე ემთხვია და წინამძღვარმა გზა დაულოცა. ის იყო, ბერი გამოსვლას აპირებდა, რომ საშინელმა ხმაურმა ილუმენის სავანემდე მიაღწია.

ვიღაც მონასტრის ჭიშკარზე არახუნებდა, კარის გამღებს უხმობდა.

მიაყურადეს. ხმაური მისწყდა. სანამ ბერი და წინამძღვარი გაერკვეოდნენ, მოახლოებული ნაბიჯის ხმა გაისმა.

კარზე დააკაკუნეს.

– ვინა ხარ? – გაეხმაურა ილუმენი.

– მე ვარ, მამაო, ბატონიშვილ ცოტნეს მოძღვარი, მონა ღვთისა ივლიანე.

– დიდება შენს სახელს, უფალო! – პირჯვარი გადაიწერა წინამძღვარმა, – მომეცი! – გაიწოდა აკანკალებული ხელი და ბერმა ბარათი დაუბრუნა.

– ღვთის ნებაც ის ყოფილა, რაც მე ჩამაგონა ლოცვა-ვედრებამ! გმადლობ, უფალო, რომ მიხსენ და განმარიდე ყოველთა ცოდვათაგან უმძიმეს ცოდვას!

ცოტნეს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ყურის წამლები ჭექა-ქუხილი მის თავზე მოვლენილ ღვთის რისხვად ესახებოდა, პირჯვარს იწერდა და კანკალებდა.

მერე, წვიმამ რომ გადაიღო, მონასტრის ჭიშკარზე რახუნი მოესმა.

ცოტა ხანი კიდევ გამოხდა და მონასტერში რაღაც უჩვეულო ხმაური ატყდა. დერეფნებში ჩქარი ნაბიჯით გადი-გამოდიოდნენ, გარბოდნენ.

სენაკის კარზე დააკაკუნეს. დამკაკუნებელი პასუხს არ დაელოდა, კარი შემოაღო და სენაკში შემოვიდა.

– წინამძღვარი გიხმობს, – მიმართა ბერმა ცოტნეს და თვალზე მომდგარი ცრემლი სახელოთი მოიწმინდა.

ცოტნე წამოდგა.

– მთელი მონასტერი ფეხზე დგას, ნუთუ არ შეგიტყვია?

– რაო, რა მოხდა?

– ილუმენი, – ბერს გული აუჩუყდა და აფშლუკუნდა.

– ცუდად ხომ არ არის? – იკითხა შეშფოთებულმა ცოტნემ.

– ცუდად... ძალიან ცუდად... წმინდა ზიარება მიიღო და ანდერძი ბრძანა.

– რას ამბობ? – ცოტნე აჩქარდა.

ბერი წინ წაუძღვა, აღელვებული ბატონიშვილი წინ უსწრებდა მეგზურს.

– შენი მოსვლით გახარებულს, თურმე მთელი ღამე არ უძინია, განთიადისას უღონობა უგრძვნია. ჩვენს ბერებში მკურნალები და წამლის შემძნადებლებიც არიან. ზედ გადაეგენ, რა არ იღონეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ბოლოს, თვითონვე გამოგვიცხადა, უფალმა მომიწოდაო. ანდერძი დაიბარა, წმინდა ზიარება მიიღო და შენ გიხმო.

ცოტნე მიხვდა, რა «სიხარულმაც» გაუტეხა ძილი წინამძღვარს. ალბათ, ძმისშვილის მოსვლამ, მისი ვინაობის გამჟღავნებისას ნაცემმა ელდამ წააქცია მოხუცი და, ცოტნე რომ აქ არ გამოჩენილიყო, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იცოცხლებდა ბერიკაცი!

ბერმა კარი გაულო და აფორიაქებულმა ცოტნემ ფრთხილად შედგა ფეხი წინამძღვრის სენაკში.

ლოგინზე თვალმილულული მოხუცი იწვა. ხელები უღონოდ ეწყო საბანზე და აჩქარებულად სუნთქავდა. სენაკის კუთხეში ივლიანე მოძღვარი იჯდა თავჩალუნული და გულხელდაჭდობილი.

მის დანახვაზე ცოტნეს მუხლები მოეკვეთა და ნაბიჯის გადადგმა ვედარ შეძლო.

მოხუცმა თვალი ოდნავ გაახილა, შემოსულს გაუღიმა.

– მოხვედი? მოდი, შვილო, აქ დაჯექ, – ხელის ოდნავ შენძრევით ანიშნა. მერე ცალი თვალთ ივლიანეს გახედა. ცოტნეს აღმზრდელი მიხვდა, ბიძა-ძმისწული მარტო უნდა დაეტოვებინა. წამოდგა და კარისკენ წავიდა. ცოტნეს რომ გაუსწორდა, წამით შეყოვნდა და თვალცრემლიანმა შეჰლაღადა:

– რას მერჩოდი, რომ ეგრე გამწირე? რა პირით უნდა ვჩვენებოდი შენს უბედურ დედ-მამას!

– ბატონიშვილი ღვთის ნებითა და ჩაგონებით მოვიდა მონასტერში, მოძღვარო, მე ეს წვლილად მოგიტხრე. ცოტნეს არც შენგან, არც მშობლებისაგან საყვედური არ ეთქმის, – მკაცრად თქვა ილუმენმა და ხელით ისევ ძმისწულს ანიშნა, დამჯდარიყო.

– შემინდე, მამაო! – აღმოხდა წამოწითლებულ ივლიანეს, შებრუნდა და სენაკიდან გავიდა.

ცოტნე საწოლთან მივიდა.

– დაჯექი, – ისევ შეანძრია ხელი ბერიკაცმა.

ცოტნე სკამზე ჩამოჯდა.

– მომიწოდა, უფალმა, შვილო! მომიწოდა, მაგრამ საით, ეს არავინ იცის და მე ცოდვილს საიდან მეცოდინება?! მე ვკვდები... შენ ხარ ერთადერთი მემკვიდრე ოდიშის მთავრების, ერისთავთერისთავ დადიანების. ჩემი უკანასკნელი სიტყვა მაინც შენსკენ იქნებოდა მომართული და აი, განგებამ ამ სიტყვის მოსასმენად აქ მოგიყვანა. დიდი იყო ცოდვა ჩემი უფლისა და ღვთივგვირგვინოსანი ხელმწიფის წინაშე. იცის ღმერთმა, ქვეყნის ღალატი გულს არ მდებია, მაგრამ უზომო განდიდების წყურვილმა და უზენაესობისაკენ სწრაფვამ ტახტისაგან განმაყენა და სამშობლოსა და მეფის ორგულების მეთაური გამხადა. სიხარბემ და უბედურებამ დამაბრმავა, საქართველოს მეფეთამეფის ურიცხვი წყალობა დამავიწყა და ხმალი იმის წინააღმდეგ ამაღებინა, რის განმტკიცებასა და გაძლიერებასაც მანამდე მთელი ჩემი ძალა და ღონე გადავაგე. მაშინ ღალატად და უკეთურობად კი არ მიმაჩნდა ჩემი ბრძოლა. მეგონა, თუ საქართველოს ტახტზე რუს უფლისწულს დაევსავდი, ქვეყნისათვის, ჩვენი სამშობლოსათვის ეს უმჯობესი იქნებოდა, რადგან შინაგანად მჯეროდა, რომ რუსის ზურგს უკან ამოფარებული ქვეყნის მმართველი თუ ვიქნებოდი, უკეთ წარვმართავდი ჩვენი სამეფოს საქმეს, თავგასულ დიდებულებს ავლაგმავდი, თავნებობის მადას დავუკარგავდი,

ძლიერ ლაშქარს საქართველოს საზღვრებს იქით გავუძღვებოდი და ახალ მიწა-წყალს შევმატებდი ჩვენს ქვეყანას.

საკუთარი სინდისის წინაშე მართალი ვიყავი და არა ვტყუოდი; მაგრამ ვერ ვხვდებოდი, რომ თამარის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს ერთობისა და ძლიერების წინააღმდეგ ბრძოლა იყო; ვერ გამეგო, რომ ტახტისა და ხელმწიფის ორგულობა, ღვთისა და ქვეყნის ორგულობაც იყო. კაცი თურმე ერთხელვე არ უნდა გაიბზაროს, თავის პირვანდელ რწმენას არ უნდა განუდგეს და ერთი ხელის მოსმით არ უნდა წაშალოს ის, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ემსახურებოდა. გული თუ ერთხელ გაიორგულე, მერე მისი გამთელება აღარ ხერხდება; ერთ ხატს რომ დაამხო, კრძალვა და პატივისცემა მეორის მიმართაც გაკლდება და გეკარგება.

მოხუცი ხელის ფათურით წყლიან ჭიქას მისწვდა, ცხელი ტუჩები გაისველა და მისუსტებული ხმით განაგრძო: \_ ჩემი უბედურება ის იყო, ღმერთი ღრმად, ბავშვობიდანვე არ მწამდა და ბაგრატიონების გვარი არ მიყვარდა. სამაგიეროდ, ჩუმი, ჩემს გულში ძალაუფლების კერპს ვეთაყვანებოდი და ჩემი ქვეყანაც უსაზღვროდ მიყვარდა. ამ სიყვარულში დავმარცხდი, კერპები დამემსხვრა და უღონოქმნილი იმას შევეფარე, რისი იმედიც არასოდეს არ მქონდა. ქრისტეს სარწმუნოებაში მაშინ დავიწყე თავშესაფრისა და სულის სიმშვიდის ძებნა, როცა სხვა ამქვეყნიური ყოველი სასოება შემომეცალა და აღარაფერი შემრჩა. რაკი თავიდან არ ვიყავი მტკიცე მორწმუნე და თითქმის ყველაფერს ეჭვით ვუყურებდი, ვქირდავდი და გულს არ ვუდებდი, მონასტრის მყუდროებაშიც ვერ შევძელი უფალთან მიახლოება. მარტო მარხულობა და დღედაღამ ლოცვა არ კმარა თურმე. მთავარი სული ყოფილა. მე კი ეჭვის ჭიით ერთხელვე შექმული სული ვერ იქნა და ვერ განვწმინდე, ამ ქვეყნის ცთუნებისაგან ფიქრი ვერ მოვიკვეთე. ხელისუფლების გემოს გასინჯვა უბედურება ყოფილა. ვინც ერთხელ გამოცდის იმის გემოს, მერე სიმშვიდეს ვეღარ დაიბრუნებს; ყელამდე რომ ოქროში ჩასვა, მაინც ბედის უმადური იქნება და ვერ მოისვენებს, ქვეყნის სადავეების ხელახლა ხელში აღების სურვილს ვერასოდეს გულიდან ვეღარ ამოიგდებს! მეც ამ სენით ვიყავი შეპყრობილი და, თუმცა ბევრი ვეცადე, ვერ განვიკურნე. ლოცვისა და ხორცის გვემის ჟამსაც, მინდოდა თუ არა, სულ იმას ვფიქრობდი, ვის უნდა გაეგრძელებინა ჩვენი გვარიდან ტახტისა და გვირგვინისათვის ბრძოლა. ჩემი უმცროსი ძმა შერგილი კარგი ვაჟკაცი და მეომარია, მაგრამ ოდიშის ახლანდელ მთავარს სიზმრადაც არ მოუვა საქართველოს გვირგვინოსნობაზე ფიქრი. მას ჩემი შემართება და პატივმოყვარეობა არა აქვს და ამიტომ დიდი წინააღმდეგობის გაუწევლად უგდეს ხელთ ჩემმა მტრებმა ერისთავთერისთავობა.

შენლა მრჩებოდი გვარის ერთადერთ იმედად. ჯერ კიდევ სულ პატარა იყავი, მონასტერში სალოცავად და ჩვენს მოსანახულებლად ამოსულ ჩემს რძალსა და დედაშენს, შერგილის მეუღლეს საიდუმლოდ ვესაუბრებოდი ხოლმე. სულ იმას ვარიგებდი, ტახტის მემკვიდრის მსგავსად აღეზარდე, დიდი ცოდნა მოეცა შენთვის და თან ის ჩაეგონებინა, რომ ბაგრატიონებს ღვთისაგან

საუკუნოდ როდი აქვთ ჩაბარებული ტახტი და გვირგვინი; აღმზრდელებს შენტვის ის რწმენა უნდა ჩაენერგათ, რომ ბაგრატიონებზე ნაკლები არაფრით იყავი და თუ კარგად გაიწვრთნებოდი, შენც ისეთივე უფლება გექნებოდა საქართველოს ტახტზე თვალი გჭეროდა, როგორც თამარის შთამომავლებს აქვთ; რადგანაც არც ისე დიდი ხნის წინათ ბაგრატიონებიც ჩვენსავით ერის მთავრები იყვნენ და მხოლოდ მუდმივი მცდელობისა და მოხერხების, დაჟინებული სწრაფვისა და ძალ-ღონის დაუშურვებლობის შედეგად შეძლეს სრულიად საქართველოს ტახტისა და გვირგვინის მისაკუთრება. სათნო და გონიერი დედაშენი ჩემს შეგონებას ყურადღებით ისმენდა და თავის მხრივ ცდილობდა შენტვის საქართველოს ტახტზე ოცნება ჩაენერგა. ამიტომ გიხმობდა დედა უფლისწულობით და სხვებსაც ჩუმიად იმას ეუბნებოდა, შენტვის უფლისწული ეწოდებინათ. ეგრე არ იყო?

– ეგრე იყო, წინამძღვარო.

– ჰოდა, აგრე ნაზარდი ყრმისაგან ბერად შედგომის ფიქრს სულ არ მოველოდი. ამიტომ მეცა ელდა, შენი ვინაობა და მონასტერში დაყუდების გადაწყვეტილება რომ გავიგე. ალბათ, ივლიანე მოძღვარმა ჩაგაგონა ეგ სათნო განზრახვა.

– ივლიანე მოძღვარი უბრალოა ჩემს წინაშე, – ამოიოხრა ცოტნემ.

– შენი მოსვლით აფორიაქებული, წუხელ მთელი ღამე ლოცვად ვიყავი დაცემული. ბოლოს, უფალმა ის ჩამაგონა, შერგილისათვის მისი მემკვიდრის გადაწყვეტილება შემეტყობინებინა და შენი მშობლები მონასტერში მეხმო. წერილი რომ დავწერე და ვგზავნიდი, იმის შეგნება მზარავდა, რომ უფლის საწინააღმდეგოდ ვმოქმედებდი, ღვთის გზაზე შემდგარ ყრმასაც ვლუპავდი და ჩემს სულსაც სამუდამო ჯოჯოხეთს ვუმზადებდი. ამ განსაცდელში ჩავარდნილს შენი მძებნელი ივლიანე მომადგა კარს და შვებით ამოვისუნთქე. მივხვდი, უფლისათვის სათნო შენი მონასტრიდან გაბრუნება იყო და არა აქ დარჩენა. შენი აღმზრდელის მოსვლით განგება უდიდესი ცოდვისაგან მათავისუფლებდა.

ცოტნეს წამწამს კურცხალი მოსწყდა და ლოყაზე ჩამოუგორდა.

– ნუ სტირი, ბატონიშვილო... ბოლომდე მათქმევინე. ყველაზე დიდი სამსახური უფლის მიმართ სამშობლოს სამსახურია. საქართველოს მეფეს ახლა ქვეყნის შიგნით და გარეთ მესიის მახვილს უწოდებენ, ამიტომ მისი სამსახური მარტო საქართველოს სამსახური კი არა, უფლის სამსახურიცაა, რადგან ქართველები ხმალს მარტო სახელმწიფოს საზღვრების გაფართოებისათვის როდი იქნევენ. საქართველოს საზღვრების გაფართოება დღეს ქრისტეს სარწმუნოების გავრცელებასაც გულისხმობს. ვინც ამისთვის სისხლსა ღვრის, ის ქრისტეს რჯულისთვისაც ღვრის სისხლს და მხოლოდ ამქვეყნიურ ბედნიერებას კი არა, საუკუნო ცხოვრებასაც იმკვიდრებს.

წმინდა ბალავარისა და იოდასაფის თავგადასავალი, ალბათ, მოეხსენება ბატონიშვილს...

– ვიცი, წინამძღვარო.



– იოდასაფის დროს ქრისტეს რჯულს მხოლოდ რჩეულნი აღიარებდნენ და ისინიც ფარულად, რადგან ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებლები ხელისუფალთაგან იდევენობდნენ. იმ დროს საჭირო იყო მეფეთა და უფლისწულთაგან მაგალითის ჩვენება, ამქვეყნიური დიდების უარყოფა, ტახტზე და უზრუნველ ცხოვრებაზე ხელის აღება. იოდასაფისა და მის მსგავსთა მაგალითმა ქრისტეს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე ურიცხვი წარმართი და ურჯულო მოაქცია. ახლა, როცა მთელი საქართველო ქრისტეს რჯულის მსახურია, ვის უნდა მისცე მაგალითი სასახლიდან გაქცევითა და მონასტერში დაყუდებით?! ანდა კიდევ რომ აპყვენენ შენს მაგალითს და ყველამ მონასტერს მიაშუროს, ვინლა დარჩება ქრისტეს სარწმუნოების დამცველად? საქართველო დაუძღვრდება და როგორც კი დასუსტებულს ნახავენ, ცეცხლითა და მახვილით შემოესევიან ქრისტეს სარწმუნოების მტრები ჩვენს ქვეყანას. ქართველობას მარტო სოფლებსა და ქალაქებში კი არა, მონასტრებშიაც გაჟლეტენ და ვინც ცოცხალი გადარჩება, ძალით უწმინდური მაჰმადის სარწმუნოებაზე მოაქცევენ.

წინამძღვარი დაიღალა, ცოტა შეისვენა, წყლით პირი გაისველა და განაგრძო:

– შენ ჯერ კიდევ ყმაწვილი ხარ, შვილო. დაფიქრებული განსჯა და ქვეყნისათვის უკეთესის გამორჩევა ჯერ არ შეგიძლია. ამიტომ სხვებს, შენზე უფრო გონიერებსა და შენთვის კეთილისმდომლებს უნდა მიუპყრო ყური. ნაბიჯი კარგად აწონ-დაწონე და ისე გადადგი. წრფელი გულით უფლის სამსახური მონასტრის გარეთაც შეიძლება. შენ დიდგვარიანი აზნაური ხარ. თუ შენს ღონესა და გავლენას გონივრულად გამოიყენებ, მეფის კარზე სამსახურით გაცილებით მეტ სარგებელს მოუტან ქრისტიანობას, ვიდრე მონასტრის ბნელ საკანში ჩაკეტვითა და ერისაგან განდგომით. იცოდე, საქართველოს ახლა შენი ხმალი და სახელმწიფო ნიჭი მარტომყოფის ვედრებაზე მეტად სჭირია, რადგან ჩვენი სამშობლო კუნძულივით არის გარშემორტყემული საისლამოს ზღვითა და მხოლოდ ქართველი ვაჟკაცების სიმტკიცის გალავანი აკავებს იმ ზღვის მოწოლას. როგორც კი ეს სიმტკიცე შესუსტდება და შეირყევა, სამაჰმადიანოს ზღვა ისევ აბობოქრდება, კუნძულზე გადმოივლის და საქრისტიანოს მიუდგომელ ბურჯს საქართველოს მთლიანად წალეკავს თავის სასახლეებიან-მონასტრებიანად.

წინამძღვარმა ხელის ცახცახით აიღო ჭიქა და წყალი მოსვა.

– კარგად დაუფიქრდი ჩემ ნათქვამს, შვილო, რადგან სიკვდილის წინ გულწრფელობისა და ჩემი ხალხის სიყვარულის მეტი არა მალაპარაკებს რა, ცოტა დაფიქრდი და დაიცადე, ჭკუაში რომ ჩავარდები, მაშინ, ეგებ, სხვაგვარად გადასჭრა. აჩქარება ყოველთვის მავნეა და ზიანის მომტანი. მე თვითონ ჩემი მწარე გამოცდილებით ვიცი ეს. ცხოვრებაში დგება ხოლმე გადამწყვეტი, საბედისწერო წამი. იმ წამს მიღებულ გადაწყვეტილებაზე ხშირად არა მარტო ერთი კაცის ბედია დამოკიდებული, არამედ მთელი ერის ღირსება და მომავალიც. დიდბუნებოვან ადამიანებს იმ საბედისწერო წამს

შინაგანი ხმა თუ ზეგარდმო შთაგონება ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას მიაღებინებს ხოლმე და მათი ეს ნაბიჯი შემდგომ თაობებს საამაყოდ და თავის მოსაწონებლად რჩება. პიროვნებისა და მთელი ერისათვის ამგვარი საბედისწერო წამი მხოლოდ რჩეულთა ცხოვრებაში დგება. ყველაფრით გეტყობა, ღვთისაგან რჩეული ხარ, შვილო ჩემო, ამიტომ კარგად დაიხსომე, იმ წამისათვის ერთადერთი სწორი პასუხის გაცემა, მეტწილად, პირად მსხვერპლს, თავგანწირვას მოითხოვს. ჩემ ცხოვრებაშიც იყო ასეთი წამები. მაგრამ დიდებამ და პატივმოყვარეობამ თავი ვერ გამამეტებინა და სამშობლოსათვის მსხვერპლად სიცოცხლე ვერ მივიტანე. მსხვერპლის გაუღებლად კი საშვილიშვილო საქმე არასოდეს გაკეთებულა და უკვდავის სახელი არავის დაუმკვიდრებია, – მოხუცმა ღრმად ამოიოხრა, – ღმერთმა ჰქნას, რაც მე ვერ შევძელი, შენ შეგაძლებინოს, ერის ცხოვრების საბედისწერო წამს სწორი გადაწყვეტილება მიგაღებინოს უფალმა და შენს მიერ გადადგმული ნაბიჯი ღვთისა და ერისათვის მოსაწონი და საქებური ყოფილიყოს.

კირიონ წინამძღვარი დიდი პატივით დაასაფლავეს.

საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ ვაზირყოფილის დასატირებლად. თბილისიდან თვითონ მეფეთმეფე თამარმა სამძიმრის წერილი გამოუგზავნა ოდიშის მთავარს, ტახტისა და სამშობლოს წინაშე ვარდანის ძველ დამსახურებას მადლობით მოიხსენიებდა გვირგვინოსანი და, თავის მხრივ, უფალს შესთხოვდა, შეენდო გარდაცვლილისათვის ცთუნებანი და შეეცოდებანი.

ცოტნეს დედ-მამის ხვეწნა აღარ დასჭირვებია, ისე უსიტყვოდ გაჰყვა მშობლებს. წინამძღვრის გულახდილმა საუბარმა ღრმად დააფიქრა ყმაწვილი. მართლაც, რა აზრი უნდა ჰქონოდა მთავრის ერთადერთი მემკვიდრის ბერად შედგომას, როცა საქართველოს მეომარი უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ქრისტეს სარწმუნოების მქადაგებელი. თუ საქართველო ისლამის ურიცხვ აღმსარებელთა წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში დამარცხდებოდა, მაშინ მისი ეკლესია-მონასტრებიც ცეცხლითა და მახვილით შეიმუსრებოდა და ძალით თუ ნებით ქართველი ხალხიც ბილწი მაჰმადის რჯულზე მოიქცეოდა. ჭეშმარიტი სარწმუნოება იმდენად განმტკიცებული იყო საქართველოში, რომ, მისი პირველი გამავრცელებლების მსგავსად, საკუთარი მაგალითით, ძალაუფლებასა და სიმდიდრეზე ხელის აღებით ქრისტეს რჯულს ახალ მიმდევრებს ვეღარ შესძენდა. ქრისტესათვის სათნო თურმე ის იქნებოდა, თუ ცოტნე მის მხედრობას შეუერთდებოდა და ხმლის ძალით საქართველოსა და საქრისტიანოს საზღვრების შორს წაწევისათვის იბრძოლებდა. ქრისტეს საფლავის გამოხსნისათვის თავდადებულ ჯვაროსნებს დასავლეთის ეკლესია ცოდვათაგან ათავისუფლებდა თურმე და მათგან ყველაზე გამოჩენილები წმინდანებადაც კი შეურაცხია პეტრეს საყდარს. როგორც წმინდანობის გზაზე

დამდგარმა ბიძამ დაარწმუნა, ქრისტეს სამსახურის უმთავრესი ასპარეზი ახლა წარმართთა და მაჰმადის აღმსარებელთა წინააღმდეგ ბრძოლა ყოფილა და ამ ასპარეზიდან გაქცევა მარტო სამშობლოს დალატი კი არა, ქრისტეს რჯულისაგან განდგომის სწორი იქნებოდა.

თუკი ხმლით შეიძლება ჭეშმარიტი სარწმუნოების სამსახური და საკუთარი ცოდვების შემსუბუქება, ჭაბუკობაში ფეხშედგმულ მთავრის მემკვიდრეს რატომ სხვებსავით ხმლისკენ არ უნდა მიუწევდეს გული?!

ცოტნეს უბედური მშობლებიც ხომ თავიანთი სიცოცხლის ერთადერთ გამართლებად სამთავროსა და ერის მეთაურად ბატონიშვილის აღზრდას სახავენ.

უფლისათვის სათნო ის ყოფილა, რაც შეიძლება მალე ჩადგეს ცოტნე თამარის უძლეველ ლაშქარში და იქ, უდროოდ გამოკლებული მამის ადგილი ღირსეულად დაიჭიროს.

სპეტაკი, უბიწო ცხოვრებით ქრისტეს ჯვრისა და სამშობლოს ერთგული სამსახურით, იქნებ, უკეთესი მაგალითიც უჩვენოს ცოტნემ თანამემამულეებს, იქნებ, სწორედ ხმლისა და გონების ძალით უფრო ადრე გამოსთხოვოს უფალს უნებურ ცოდვათათვის შენდობა. ხოლო თუ ღვთის ნება და სურვილი ცოტნეს მონასტერში დაყუდება იქნება, უფალი კვლავაც მოუწოდებს იმ ცივი სენაკებისაკენ, სადაც ამჯერად მისი დარჩენა არ ინდომა. ბერად შედგომას, მონასტერში ჩაკეტვას, კირიონ წინამძღვრის თქმისა არ იყოს, ყოველთვის მოასწრებს ცოტნე, მანამ კი ჯვაროსნობა უნდა მიიღოს და ქრისტეს საფლავის გამოხსნისათვის იბრძოლოს.

ამ გადაწყვეტილებას მარტო საკუთარი ფიქრი კი არ ჩააგონებდა; ივლიანე მოძღვარი მსოფლიო ისტორიის უამრავი მაგალითით უნერგავდა იმის რწმენას, რომ საუკუნო სასუფეველი სხვადასხვა ქვეყნის მეფეებსა და მთავრებს სწორედ ბრძოლის ველზე წარმართებთან და ურჯულოებთან ომში დაუმკვიდრებიათ.

ივლიანე აღტაცებით ჰყვებოდა თამარის დიდი პაპის და მისი მემკვიდრეების ჯვაროსნობის ამბავს:

– ის, რაც დასავლეთის ჯვაროსნებმა ვერ შეძლეს, ქართველებმა უნდა ადასრულონ. ზურგიდან უნდა დავარტყათ ფრანგებთან პირისპირ ომით გართულ მუსლიმანებს, იერუსალიმში სხვაზე ადრე ქართველთა ლაშქარი უნდა შეიჭრას და ურჯულოთაგან სამუდამოდ გავათავისუფლოთ წმინდა მიწა-წყალი, მეფეთმეფე თამარი დიდი ხანია ფიქრობს ამ შორეულ და სახელოვან ლაშქრობაზე. მას შემდეგ, რაც ბიზანტიის ძლიერება დაემხო, აღმოსავლეთში საქართველოს მეტი სხვა ძალა აღარ არის. საქართველოს ლაშქარმა უნდა გამოიხსნას ქრისტეს საფლავი და იერუსალიმი ჩვენს სამეფოს შემოუერთოს. ეს არის უდიდესი ვალი უფლისა ჩვენის ქრისტეს წინაშე. ამ ვალის აღსრულებაში ყველა ქართველმა უნდა დაიდოს წილი და ამით დაიმკვიდროს ორივე ქვეყნის დიდება და საუკუნო ცხოვრება.

ივლიანეს ქადაგებას აღფრთოვანებული უსმენდა ბატონიშვილი. იგი მოუთმენლად ელოდა თამარის ჯვაროსნების გალაშქრებას იერუსალიმისკენ. ეკითხებოდა მოძღვარს, რა გზით და როგორ უნდა დაძრულიყო ქართველობა, ზღვით სად უნდა ეცურათ და ხმელეთზე სად უნდა გაევიდნენ, რომელი სულტნის ჯარი უნდა გაენადგურებინათ და რა მიწა-წყალი უნდა შემოემატებინათ საქართველოს სამეფოსათვის.

დასავლეთიდან ჩამოსულმა მისიონერებმა ახალი ფრთები შეასხეს ივლიანე მოძღვრის შეგონებას:

– ახალი, არნახული ჯვაროსნობა იწყება, ბატონიშვილო. დასავლელ ქრისტეს მხედრებს იმიტომ არ მისცა თურმე ძლევა ამდენ ხანს უფალმა, რომ თავად ჯვაროსნები იყვნენ ღვთის წინაშე შემცოდენი. ახლა შენი ტოლი ყრმები ირაზმებიან თურმე ურჯულოებთან საომრად. უცოდველ ყრმებს თავად გაუძღვება მაცხოვარი სარკინოზთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მათი სიწმინდითა და უმანკოებით დაამხოვს მაჰმადის მხედრობის მძლავრობას: საფრანგეთში თორმეტი წლის ყმაწვილი გამოჩენილა – მწყემსი ვინმე, ეტიენად წოდებული. იმ მწყემსს ძილში გამოცხადებია უფალი, ქრისტეს საფლავის გამოხსნის ჭეშმარიტი გზა უჩვენებია და თავისი ხელით დაწერილი წიგნი მიუცია. ახლა თურმე ის ყრმა სოფელ-სოფელ დადის, ქრისტეს წერილს აკითხებს დიდსა და პატარას, სასწაულებს ახდენს და თავის ტოლ ყმაწვილებს ჯვაროსნული ლაშქრობისათვის იწვევს.

– მერე ბევრი შედგომია წმინდა მწყემსის გზას? – იკითხა სმენად ქვეულმა ცოტნემ.

– ბევრი... ძალიან ბევრი... ქვეყნის ყველა მხრიდან დაძრულან დროშებითა და ჯვრებით შენი ტოლი ყრმები ნორჩი წინასწარმეტყველის ლაშქარში შესასვლელად. ახლა ეტიენს თურმე შენსავით უმანკო ყრმების დიდძალი მხედრობა ჰყავს, ხმალსა და მშვილდოსნობაში წვრთნის და სულ მალე შორეული პალესტინისკენ წაუძღვება.

– ხმელეთით წამოიყვანს წმინდა ეტიენი თავის ლაშქარს თუ ზღვა-ზღვა ცურვით წამოუძღვება?

– საფრანგეთიდან ზღვით უფრო ახლოა პალესტინა. თვითონ ქრისტეს აღუთქვამს წმინდა ეტიენისათვის, რომ მისი მხედრობის წინაშე ზღვა გაიპოვება და გზას მისცემს ნორჩი ჯვაროსნების ლაშქარს ისე, როგორც მოსეს წინაშე გაიპო ზღვა და ხმელეთი უჩინა ეგვიპტიდან გამოსულ ისრაელობას.

– ჩვენ არ წაგვიყვანს ქართველ ყრმებს ფრანგი წმინდანი იერუსალიმის გამოსახსნელად?

– არა, ვერ წაგიყვანთ. აქედან საფრანგეთი შორს არის, თქვენ იქ ვერ ჩახვალთ და მათ ვერ შეუერთდებით, მაგრამ თუ მეფე თამარს უფალი კვლავაც ხელს მოუმართავს და ქართველთა ლაშქარი მზად იქნება სარკინოზებთან საომრად, აღმოსავლეთიდან, ერავის გავლით, შევძლებთ მტრის ზურგში მოულოდნელ გამოჩენას და, ღვთის შეწევნით, პირველნი შევალთ ქრისტეს სატახტოში. წმინდა ადგილებს რომ ურჯულოთაგან გავათავისუფლებთ,

ქალაქის კარს ფართოდ გავაღებთ და გორგასლიან-დავითიანი დროშებით შევეგებებით მაცხოვრის გამოსახსნელად დასავლეთიდან მოსულ წმინდა ეტიენის მხედრობას.

– ნეტავ, მართლა ეგრე იქნებოდეს! – ოხვრა აღმოხდა ცოტნეს.

– იქნება, უსათუოდ იქნება! – ირწმუნებოდა ოცნებით ფრთაშესხმული ივლიანე, – ოღონდ თქვენც არ უნდა იჯდეთ გულხელდაკრეფილები – საქართველოს ახალგაზრდები, უფლისწულები და მთავართა შვილები. თქვენც უნდა დაიდოთ წილი ამ საღვთო ომში.

– ჩვენ როგორ, თუკი ეტიენტან შეერთება შეუძლებელია?

– ერთიმეორე უნდა განაზრახოთ, თქვენი მამები ჯვაროსნობისათვის აღძრათ, უფლისწულები – ლაშა და რუსუდანი უნდა მიიმხროთ და ხელმწიფეს იერუსალიმზე ლაშქრობის დაჩქარება გადააწყვეტინოთ.

– თამარი შორს არის და მიუწვდომელია... უფლისწულებიც შორს არიან, – სინანულით თქვა ცოტნემ.

– მალე ახლოს იქნებიან... მთავრის სურვილია, მეფის კარზე წარგზავნოს, ბატონიშვილო, ამას წინათ მითხრა, დიდმა თამარმა მოუწოდა ჩემს ძეს, თბილისს იბარებს სამეფო კარზე თავის ნათლულსო.

– ნუთუ მართალია? ჩემთვის არაფერი უბრძანებია.

– მართალია, მალე თვითონ მთავარი გეტყვის... თამარის კარზე დიდ პატივში იქნები და შენ იცი, როგორ გამოგვაჩენ შენს მშობლებსა და აღმზრდელებს...

ივლიანე მოძღვრის საუბრებმა ცოტნეს ოცნებად უქცია თბილისს მალე წასვლა, ახალგაზრდა ქართველ ჯვაროსანთა შეკრებაში წილის დადება და ტახტის მემკვიდრის – ლაშა გიორგის მეთაურობით პალესტინაზე გალაშქრება.

ცოტნეს სიზმრად ეჩვენებოდა ერაყის უდაბნოებზე მიმავალ ქართველ ყრმათა ლაშქარი, ბაღდადისა და იერუსალიმის აღება და ქართული დროშებით ფრანგი ეტიენის მხედრობის შეგებება ქრისტეს ქალაქის კართან. იგი ხშირად ცხადად წარმოიდგენდა ხოლმე ფრანგთა გაკვირვებას იმის გამო, რომ მათთვის აღთქმული გამოხსნა ქრისტეს საფლავისა, მათზე ადრე უფალმა ქართველებს არგუნა. ეტიენი, ალბათ, ცხენიდან ჩამოხტება, დაიქვეითებს და ქართველ ყრმათა წინაშე მუხლს მოიყრის, რადგან იერუსალიმის გამოხსნა მხოლოდ უფლის შეწევნით არის შესაძლებელი და თავის საფლავის განმათავისუფლებლებსაც თავად ქრისტე ირჩევს.

ცოტნე მადლობელი იყო განგებისა, მონასტრიდან გამობრუნებულ ოდიშის მთავრის მემკვიდრეს იმაზე მეტი რა სამსახური უნდა გაეწია უფლისათვის, ვიდრე მაცხოვრის საფლავის გამოხსნაში მონაწილეობა იქნება და რაკი ღვთის ნებამ ცოტნე ამ გზაზე დააყენა, იგი მოუთმენლად ელოდა საქრისტიანოს უმაღლესი ოცნების განხორციელებას, წმინდა მიწა-წყლის გათავისუფლებას და საღვთო ომში სხვა ქართველ ტოლებთან ერთად თავის გამოჩენას.

დიდხანს ამზადებდნენ ცოტნეს თბილისს გასამგზავრებლად, რამდენიმე ხელი უფლისწულის საკადრისი ტანსაცმელი შეუკერეს, სატახტოსაკენ გამყოლი ამაღაც საგანგებოდ შემოსეს და გამოაწყვეს, ცხენებსაც აღკაზმულობა განუახლეს.

ოდიშის მთავარს სჯეროდა, მისი მემკვიდრე ბუნებრივი სათნოებითა და სწავლა-გაწვრთნილობით კარისა და მეფის ყურადღებას მიიპყრობდა. ცოტნე თვალტანადი, მომხიბლავი ყმაწვილი იყო და, თუ იგი მეფის კარზე შესაფერისი ბრწყინვალეობით გამოცხადდებოდა, ხელმწიფესა და უფლისწულებს თავს მოაწონებდა.

ამ სამზადისში რომ იყვნენ, მთავარი საგვარეულო ტაძრის მშენებლობა, მორთვა და მოწყობაც დამთავრდა.

ტაძრის საკურთხებლად მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდელი უნდა ჩამოსულიყო და მთელი ოდიში ფეხზე იდგა.

ტაძრის ეზოსა და მისასვლელ გზებს სწმენდდნენ და ალამაზებდნენ, ტაძრის კურთხევის, ნადიმის თადარიგს იჭერდნენ, საკლავსა და ფრინველს არჩევდნენ.

ყველაფერი ნავარაუდები იყო, ნაანგარიშები და აწონილ-დაწონილი. მხოლოდ მახარებელ ქობალიას ვერ დაესრულებინა ტაძრის ერთი კუთხის მოხატვა. აჩქარებდნენ და თავადაც ჩქარობდა. ღამეც ტაძარში რჩებოდა, მუშაობას დილაადრიან იწყებდა და ზოგჯერ ბინდი რომ მოუსწრებდა, ხატვას სანთლების შუქზე აგრძელებდა.

სწყინდა, დროს რომ უკვეცავდნენ. ერთი პირობა, მთავარს წინააღმდეგობაც შეჰბედა, მაგრამ რას გახდებოდა! ჭყონდიდელი აფხაზეთს ემურებოდა იქაური საქმეების გასარიგებლად და რაკი თავად ინება ოდიშის ახალი ტაძრის საკურთხებლად შეჩერება, გადადებდა ვინ შეჰკადრებდა. ესოდენ საპატიო სტუმრის საამებლად, რომ დასჭირებოდა, მთავარი ახალი ტაძრის აგებასაც კი დაიწყებდა, თორემ სამეფოს პირველი ვაზირისაგან ამენებულისა და დამთავრებულის კურთხევას როგორ დააყოვნებდა.

მუშაობით დაღლილი ქობალია სასმელს ეძალებოდა, შეზარხომებული ღიღინებდა და ხატვას რომ სწყვეტდა, ზოგჯერ ხარაჩოდან ბარბაცით ჩამოდიოდა.

წერისაგან ატანილს ჰგავდა იმ დღეებში მახარებელი. ჯვარცმულის კუბოში ჩასვენებას ხატავდა და ყველას იმას ეუბნებოდა, ჩემი წამების დასასრულსა და საფლავში ჩასვლას ვხატავო.

ღვინით გამხიარულებული ოსტატის გადაჟღაჟებულ სახეს რომ ხედავდნენ და წამების კვალს ვერ ატყობდნენ, მხატვრის წინასწარმეტყველებისა არავის სჯეროდა... მაგრამ წინასწარმეტყველება ასრულდა.

მთავრის ოჯახი და ამაღაც ტაძარს უახლოვდებოდა. ცოტნემ შორიდანვე შენიშნა: საყდრის ეზოსკენ ხალხი გარბოდა, დიდი და პატარა ტაძრის კარს აწყდებოდა.

– რაღაც ამბავია, შერგილ ბატონო, ეკლესიას უამრავი ხალხი მოდგომია, – თქვა შეფიქრიანებულმა ნათელამ და ცხენი წამით შეაყოვნა.

– ალბათ, მახარებელი მორჩებოდა მუშაობას, კარს გააღებდნენ და მნახველები თუ იჩქარიან ტაძრის დასათვალიერებლად, – მშვიდად განმარტა უსინათლო მთავარმა.

ხალხი კი ისევ გარბოდა ტაძრისკენ.

– მოკვდა? – კითხულობდა ვიღაც მარაქას ჩამორჩენილი და სულმოუთქმელად მისდევდა წინ გასწრებულებს.

– არა, არ მომკვდარა, მაგრამ აღარც სასიცოცხლო პირი აქვს, – პასუხობდა ვიღაც ეკლესიის ეზოდან.

ერთნი ტაძარში შერბოდნენ, მეორენი უკან გამოდიოდნენ, ვიღაცას უხმობდნენ, ვიღაცას ეძებდნენ და იყო ერთი წრიალი და გნიასი.

ბატონებმა დაიქვეითეს.

– რა ამბავია? – ჰკითხა ნათელამ შემოგებებულთ.

– მხატვარი გადმოვარდნილა ხარაჩოდან, – მოახსენეს შეწუხებულებმა.

– რას ამბობ! ღმერთო კი მომკალი, – შეიცხადა ნათელამ და ტაძრისაკენ გაქანდა.

– როგორ არის? ხომ არაფერი დაშავებია? – იკითხა შემფოთებულმა შერგილმა და ისიც ტაძრისკენ გაეშურა.

– სულს ღაფავს, ბატონო, – სლუკუნით ამოთქვა ადევნებულმა მსახურმა.

– ხუცესს თუ დაუძახეთ, ეზიარა? – იკითხა დაწინაურებულმა ნათელამ.

– ხუცესი აქ იყო, მაშინვე თავს დაადგა, მაგრამ არც აღსარება თქვა და არც ზიარება მიიღო.

გზა მისცეს და ბატონები ტაძარში შევიდნენ.

კედელთან მისვენებული მახარებელ-მაკარიოსი იმ ლეიბზე იყო გართხმული, რომელზედაც გულაღმა იწვა ხოლმე, როცა ტაძრის ჭერსა და გუმბათს ხატავდა.

მთავრისა და მისი სახლობისაკენ დამნაშავესავით გამოიხედა.

– სრულ ვყავ, მთავარო, შენი ვალი არ მიმყვება, – ამოიკვნესა მხატვარმა.

– რა დროს ვალზე ლაპარაკია, ოსტატო! როგორ ხარ?

– ასე თქვენი მტერი იყოს! – ამოიოხრა მახარებელმა, ხელის ჩაქნევა უნდოდა, ღონე არ ეყო და თითები ძლივსღა შეარხია.

– არ შეშინდე, კარგად გახდები, – გაამხნევა შერგილმა, – მკურნალს თუ უხმეთ? – მიუბრუნდა იქ მყოფთ.

– აქა ვარ, მთავარო, – გამოეხმაურა წვეროსანი მოხუცი და ბატონებთან თავდახრით წარსდგა.

ბატონების რიდით გარეშენი ტაძრიდან გაიკრიფნენ.

მკურნალი მთავარს ჩურჩულით რაღაცას ეუბნებოდა. იმ ჩურჩულიდან კანტიკუნტად ესმოდა ცოტნეს: «წამალს რაღა შეუძლია... შიგანი ჩაქცეული აქვს»...

შეძრწუნებულმა ცოტნემ ნაბიჯი წინ წადგა, წრე გაარღვია და სულთმობრძავის პირისპირ დადგა.

– აფსუს, რა ხელოვანი იყო! სმამ დაღუპა უბედური!

– ბოლოს მაინც ძალიან მიეძალა.

– ამ სიმალიდან მთვრალი კი არა, ფხიზელი ვერ ჩამოვა კაცი და გადმოვარდებოდა, აბა, რა იქნებოდა!

მახარებელმა თვალი გაახილა.

ცოტნეს დანახვაზე ჩამქრალი სახე გაუნათდა:

– შენც მობრძანდი, ბატონიშვილო, ჩემი სიკვდილის სანახავად? ძნელი ყოფილა სიკვდილი, როცა ღმერთი არ გწამს, – ეტყობოდა, მხატვარი უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრეფდა, ცდილობდა, სათქმელის თქმა როგორმე მოესწრო, – ასე მგონია, სადღაც ბნელი უფსკრულისაკენ უნდა გავქანდე, საშინელი სისწრაფით მივქრი და უკან არაფერი მრჩება. ცხოვრების საუკეთესო წლები უცხოობაში, სხვათა სამსახურში გავატარე. სამშობლოში მაშინ მოვბრუნდი, როცა სხვას უკვე დიდად აღარად ვუღირდი. სხვათა ზღვას ჩემს მიერ შემატებული წვეთი არ დაეტყო, ჩემს ქვეყანასაც დიდი ველარაფერი შევძინე და ამიტომ სახელიც არ მრჩება. სხვა ხალხს თან რომ გადაჰყვე, მაინც თავისი ურჩევნია შენსას და, ისევე მალე დაგივიწყებს, როგორც მალე მიგიკედლა და გამოგიყენა. რაც მე სირიასა და საბერძნეთში ტაძრები და სასახლეები მოვხატე, ვინ მოსთვლის! ფულს ბლომად მიხდიდნენ და პატივსაც მცემდნენ, მაგრამ სახელი ვერსად დავიმკვიდრე და სიყვარულითაც ვერსად შემეყვარეს, რადგან მათი სისხლხორცი არ ვიყავი. კაცმა თუ თავისი სიცოცხლე და შემოქმედება სამშობლოს არ ანაცვალა და მოახმარა, სხვაგან მსხვერპლი არსად დაუფასდება. მე უბედურმა გვიან გავიგე ცხოვრების ეს კანონი, სამშობლოს გვიან დავუბრუნდი და აქ უკვე ველარავის გამოვადექი. რაც უცხოობაში მიშრომია და მიოცნებია, ჩემთვისაც დაკარგულია და ჩემი ქვეყნისთვისაც. აქ რომ ერთი სანთლის ანთება მაინც მომესწრო, ჩემი ხალხი იმასაც არ დამიკარგავდა და ჩემს სახელს შთამომავლობას შეუნახავდა.

მაგრამ ახლა სინანული გვიანლა არის!

ადამიანის უკვდავება სამშობლოს სიყვარულში, მისთვის თავდადებაშია თურმე. დანარჩენი სხვა ამაოებათა ამაოება ყოფილა მხოლოდ.

მახარებელმა თვალი მოხუჭა, ნელ-ნელა დაცხრა, ხმა მიუსუსტდა და აღზუნებაც გაუნელდა. ეტყობოდა, ტკივილმა უმატა, სახე ეღმიჭებოდა და სუნთქვა გაუხშირდა.

ისევე მალე გაახილა თვალი. თითქოს ცოტნეს რაღაცას ანიშნებსო, ხელის უღონო მოძრაობით თითი კედლისკენ გაიშვირა.

ცოტნე მიხვდა, იმ კედელზე უთითებდა, სადაც ეშმაკურად მზირალი ქვეყნის შემოქმედი უფალი ჰყავდა გამოხატული.

– მორჩა ჩემს წამებას... ხომ ხედავ, რა არხეინად იღიმება, თითქო თვითონ არაფერ შუაში იყოს! უსამართლოა და მეც უსამართლოდ მომექცა, მის მიერვე ჩაგონებული ცოდვები არ მაპატია, სულის სიმშვიდე არ მაღირსა!



ცოტნეს გარდა, იქ მყოფებმა ნათქვამის აზრი ვერ გაიგეს, ერთიმეორეს გაკვირვებულემა გადახედეს.

– ღმერთი ის არის, მართალი და მოწყალე, ყოვლის შემნდობი და მომტევებელი, იმას მიბაძე, ბატონიშვილო, და მისი სათნოება გაიხადე სამაგალითოდ.... – ამოილულლულა ქობალიამ და თითი გუმბათისკენ ოდნავ შემართა.

ცოტნემ მალლა აიხედა, მაცხოვარი კეთილი, სათნო თვალებით უყურებდა იქ მყოფთ და თითოეულ მათგანს გამოურჩევლად უგზავნიდა სულის სიმშვიდეს, ნუგეშსა და შენდობას.

– ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო! – ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოიჩურჩულა მხატვარმა, სახე მწარე ტკივილისაგან დაედრიჯა, ერთი გაიზმორა და სული დალია.

რაც მახსოვრობა ჰქონდა ცოტნეს, თავისი დიდი ნათლის სახელი ესმოდა. მთავრის სასახლეში, ყველგან, საქართველოს ხელმწიფის სურათებს უცქეროდა – კედელზე დაწერილს თუ ქსოვილზე ამოქარგულს, თიხაზე მოხატულს თუ ლითონზე ამოტვიფრულს. თვითონ ცოტნეს დედის ბეჭდის თვალზე დედოფლის ულამაზესი თავი იყო გამოკვეთილი, ხოლო მამის ქამარ-ხანჯალზე ზარნიშით თამარის ქება ეწერა. მხვნელ-მთესველნი, ცხენოსანნი, თუ მენავენი თამარის დიდებას მღეროდნენ, მეჩანგენი და მეებნენი უმშვენიერესი თამარის შესამკობელს გალობდნენ.

ერთი სიტყვით, ცოტნე თვალის ახელისა და ყურის განხმის დღიდან თამარის სახეს ხედავდა, მისი ხოტბა ესმოდა; ამიტომ მის წარმოდგენაში თამარი ყოველივე უმშვენიერესისა და უსათნოესის, უბრძენისა და უკეთილშობილესის განსახიერება იყო.

და მაინც, როცა ფეხი სამეფო დარბაზის ზღურბლზე გადადგა და ტახტზე მჯდომარე გვირგვინოსანი დედოფალი დაინახა, თვალთ დაუბნელდა. ესოდენ უნაკლო სილამაზე და უჩრდილო ბრწყინვალეობა რაღაც არაამქვენიურად, ზეადამიანურად ეჩვენა.

მთავრის მეუღლეს ხელჩაკიდებული მიჰყავდა შვილი.

ცოტნეს ფეხი ეშლებოდა. ეგონა, ყველა მას მიჩერებოდა, აქეთ-იქით გახედვას ვერ ბედავდა და თავჩალუნული მიაბიჯებდა. ტახტს რომ მიუახლოვდნენ, ნათელა მუხლზე დავარდა, ცოტნე დასწია და თავის გვერდით ჩააჩოქა. ჩოქვითა და ფარდაგზე შუბლის ცემით წავიდა შერგილ დადიანის მეუღლე მეფეთმეფისკენ.

ცოტნეც ჩოქვით მიჰყვა თავდახრილი.

მას არაფერი ესმოდა და არც არაფერს ფიქრობდა.

ხელის შეხებამ გამოარკვია, თავი აიღო: მის წინ დედოფალთდედოფალი იდგა.

თამარს დედა-შვილისთვის მხრებზე ხელი მოეხვია და ზეზე წამოსაყენებლად მოუწოდებდა.

ნათელა დედოფლის კალთას ემთხვია, მერე კრძალვით წამოდგა და მემკვიდრეც წამოაყენა.

– მშვიდობა თქვენს მოსვლას, – ბრძანა დედოფალმა, მთავრის მეუღლეს მოეხვია და ლოყა საკოცნელად მიუპყრო. მერე ყრმას მიუალერსა, შუბლზე აკოცა, თავი აუწია, შეხედა და ნასიამოვნებმა თქვა:

– სახიერი ყოფილა, დაო, ჩემი ხელით განათლული, ოდიშის მთავრის ძე.

ნათელას ერთიმეორეზე მეტად ეამე მეფისაგან დად ხსენება და ბატონიშვილის ქება, გულს ნათელი მოეფინა და დედოფალს მაღლი გადაუხადა.

ცოტნეს თითქოს ცეცხლი ეკიდა. არ იცოდა, აღმოდებული სახე სად დაემალა. დედოფლის შეხედვას ველარ ბედავდა.

თამარმა ორივე ტახტისკენ წაიყვანა.

ლაშა და რუსუდანი მოეგებნენ ცოტნეს. ტახტს უკან შუაში ჩაიყენეს, მოეფერნენ და მოეალერსნენ.

ცოტნე ცდილობდა, უფლისწულებთან ღირსეულად სჭეროდა თავი, ზრდილად და თავმდაბლად პასუხობდა მათ კითხვებზე. მაგრამ მისი ფიქრი მაინც თამარის ირგვლივ, არნახული და გაუგონარი მშვენიერების ირგვლივ ტრიალებდა. უფლისწულები გაჩუმდნენ. დიდი თამარი ოდიშის მთავრის მეუღლეს შვილისა და მაზლის სამძიმარს ეუბნებოდა:

– არც ერთის დაკრძალვას არ უნდა გამოვკლებოდი, მაგრამ უცალო ვიყავ საქვეყნო საქმეთაგან. სიონში ვაწირვინე კათალიკოსს და გულმხურვალედ შევავედრე მათი სულელები მხსნელსა და მაცხოვარს.

ზეციური ჰანგივით ჩაესმოდა ცოტნეს ნარნარად ნათქვამი სიტყვები დედოფლისა. სმენადდამტკბარი დარბაზში მყოფ დიდებულებს აკვირდებოდა. პატივისა და ღირსების მიხედვით ისხდნენ და იდგნენ ვაზირები და ერისთავთერისთავები, ვინ მეფის ახლოს, ვინ – მოშორებით.

დარბაზის კედლები და თალები უცხოდ იყო მოხატული. ოქროთი დაფარული ჭერი, სვეტები და კამარები ჭაღებით იყო გაბრწყინებული.

ცოტნეს გაახსენდა ივლიანე მოძღვრის ნაამბობი. ბერძენთა იმპერატორისა და ვენეციელი დოჟების სასახლეს ისე აღწერდა ხოლმე, თვალნათლივ წარმოუდგენდა მათ სიმდიდრესა და სიტურფეს. მაშინ ცოტნეს ეგონა, იმ სასახლეების ბადალი ქვეყნად სხვა აღარაფერი იქნებაო. მაგრამ ახლა, როცა თამარის სასახლეს ათვალიერებდა, რწმუნდებოდა, რომ ამის უმდიდრესა და უმშვენიერესს დედამიწის ზურგზე კაცი სხვას ვეღარაფერს მოიგონებდა და შექმნიდა.

იქნებ ასეც არ იყო, მაგრამ სხვა სასახლეში თამარი ხომ არ იქნებოდა და სასახლეს, სადაც თამარი არ არის, რა შნო და შუქი უნდა ჰქონოდა!

ივლიანე მოძღვრის გახსენებაზე ცოტნეს თავის აღმზრდელთან განმარტოება, მისთვის შთაბეჭდილების გაზიარება მოუხდა.

მოდღვარი წელან მეფის დარბაზის კარამდე მოჰყვა. მერე, როცა ცოტნემ წონასწორობა დაკარგა და გზააბნეულივით წავიდა ტახტისკენ, ყველაფერი დაავიწყდა, აღარც თავი ახსოვდა, აღარც აღმზრდელი და ახლობლები.

ცოტნემ ნელა მოავლო თვალი დარბაზს და სადღაც ივლიანე მოძღვრის ფაფარს რომ მოჰკრა თვალი, გაუხარდა. მხარბეჭიანი ბუმბერაზი მთელი თავით მაღალი იყო მის ირგვლივ მყოფებზე. ივლიანე ბატონიშვილისკენ გაღიმებული იცქირებოდა, თავს ოდნავ უხრიდა, რაღაცას უწონებდა და ამხნეებდა.

ცოტნესაც ღიმილმა გადაჰკრა, ცოტა გული გაუმაგრდა და სიმშვიდე დაუბრუნდა.

ოდისის მთავრის ცოლ-შვილს თამარმა თავის სასახლეში მიუჩინა პალატები.

პირველი ღამე თითქმის თეთრად გაათენა ცოტნემ. დღის შთაბეჭდილებით გაოგნებულს ძილი არ ეკარებოდა. თვალწინ სულ თამარი ედგა სახიერი და სხივოსანი. მისი ღიმილი სულში ნათელივით ეღვრებოდა, მისი გამოხედვა სითბოთი და სინაზით ავსებდა.

დაქანცულსა და დათენთილს კარგა ნაშუადამევს ძლივს დაეძინა. გულისძილში წასვლაც ვერ მოასწრო, რომ სიზმარში თვალწინ ისევ თამარი დაუდგა:

დავაჟკაცებული ცოტნე მეფის ტახტისკენ მიაბიჯებს. უკან დიდებულთა მთელი გუნდი მიჰყვება ოდისის მთავრის მემკვიდრეს. ცოტნესა და დიდებულებს გულზე და ზურგზე დიდი ჯვარი ახატიათ იმის ნიშნად, რომ დიდებულთა ეს გუნდი ცოტნეს მეთაურობით პალესტინისკენ მიემგზავრება ლაშქრად ურჯულოთაგან წმინდა მიწა-წყლის გამოსახსნელად.

თამარი წამოდგა.

თვალისმომჭრელად ბრწყინავს დედოფლის თავზე პატიოსანი თვლებით შემკული გვირგვინი. მაგრამ კიდევ უფრო დამაბრმაველად დედოფლის თვალები ბრწყინავენ და ცოტნე გრძნობს, რომ მუხლებში ძალა ელევა, თავით ფეხამდე ჟრუანტელი უვლის და ცოტაც რომ გაგრძელდეს, დაეცემა.

თამარმა სეფე დროშა მოიღო. ცოტნეს გადასცა, იერუსალიმის გზა დაულოცა და შუბლზე ეამბორა ჯვაროსანთა მეთაურს.

ცოტნეს ისევ თვალთ დაუბნელდა, შეტორტმანდა, მაგრამ დროშის ტარს მიეყრდნო და წონასწორობა შეინარჩუნა. თვალი ისევ გაუნათდა და გაოცდა: დიდი თამარის ადგილას ცოტნეს წინ მისივე ტყუპის ცალი – თამარი იდგა. საოცრად გაზრდილი და დამშვენებული ეჩვენა ადრე დაკარგული დაი. თავს ოქროს გვირგვინი ედგა ტანაყრილსა და დაქალებულს. ახლა ცოტნემ თვითონ მიიწია საკოცნელად დისკენ, ხელი მოჰხვია და ჩაეკონა.

მერე წამით თავი ასწია, შეხედა და ისევ გამოიცვალა ყველაფერი: ცოტნეს დაი სასწაულებრივად გაჰქრა თვალსა და ხელს შუა; ჯვაროსანთა წინაშე ისევ მეფეთმეფე თამარი იდგა ლოცვად ხელაწვდილი და ცისკენ თვალაპყრობილი.

ცოტნემ მუხლი მოიყარა, დროშას ემთხვია და დედოფლის კაბის კალთას სამგზის ეამბორა.

დედოფალმა წამოაყენა, ცოტნემ გაბედა და გვირგვინოსანის სახეს შეაცქერდა, თვალეში ჩახედა და იქ რომ მოულოდნელად თავისი თავი დაინახა, საოცრად გაუხარდა.

– სად იყავი აქამდე, შენ ხომ ჩემი ტყუპის ცალი ხარ, ჩემი სულისა და სხეულის ნაწილი და განაყოფი?!

– არ ვიცოდი, დედოფალო! – თავი იმართლა ცოტნემ.

– ჰოდა, ამიერიდან მაინც აღარ დამტოვო. სულ ერთად ვიყოთ, როგორც დედის მუცელში ვიყავით ერთად და განუყრელად, – თქვა დედოფალმა, ცოტნეს მოეხვია და...

იმ ღამეს დასრულდა ცოტნეს ყრმობა.

მეორე დილას ოდიშის მთავრის მემკვიდრე უკვე ჭაბუკი იყო, საქართველოს მეფეთმეფეზე და უმშვენიერეს დედოფალზე უგონოდ გამიჯნურებული ჭაბუკი.

ნელ-ნელა მოშინაურდა თამარის სასახლეში ცოტნე. მეფის კარზე მყოფი დიდებულთა შვილები მოწყენისა და დანაღვლიანებისათვის დროს არ უტოვებდნენ. საბურთაოდ და ჭადრაკის სამღერლად იწვევდნენ, ქალაქგარეთ სანადიროდ და სასეირნოდ იტაცებდნენ.

ერთხანს, ვიდრე მთავრის მეუღლე თბილისს იყო, დედაშვილი თითქმის ყოველდღე ხედავდა დიდ თამარს. მეფე ხან სერობაზე ემახდა შერგილის ცოლ-შვილს, ხან დარბაზობაზე. ის დღეები ცოტნეს ცხოვრების უბედნიერესი დღეები იყო. თავდაღუნული ჭაბუკი შეფარვით გააპარებდა ხოლმე თვალს უმშვენიერესი დედოფლისაკენ და ეს კმაროდა, სახეზე მაშინვე ალი ეცემოდა, ტანში ჟრჟოლა დაუვლიდა და მუხლებში კანკალი შეუვიდოდა.

მეფეთმეფე იმ ხანად მოღლილსა და მოწყენილს ჰგავდა. ჩვეულებრივზე მეტად გამხდარი ჩანდა და სახე ოდნავ გაფერმკრთალებული ჰქონდა.

მჭკრეტელებს თამარის სიტურფე, მიმზიდველობა და ჰაეროვნება კიდევ უფრო მომატებული ეჩვენებოდათ და მარტო მეხოტბეებსა და მგოსნებს კი არა, უბრალო, ენაბრგვილ ადამიანებსაც კი მისი ეს განუმეორებელი სილამაზე ლექსისა და სიმღერის გამოთქმას ჩააგონებდა.

– საკვირველია, – თქვა ერთხელ დარბაზობიდან დაბრუნებულმა ნათელამ, – დედოფალი ასე მშვენიერი არასოდეს ყოფილა, ოღონდ ეს მაფიქრებს, თვალეში სევდა მოძალეზია და სახის ფეროვნება გამკრთალეზია.

ცოტნეს აღმური მოედო.

ნათელას თითქოს შვილის იქ ყოფნა აღარც ახსოვსო, ღვთისმშობლის ხატთან მივიდა, მუხლზე დაეშვა და შეევედრა:

– ღვთისმშობელო, მარიამ ქალწულო! გაფანტე ჩემი ეჭვი... ჯანის სიმრთელე და დღეგრძელობა მიეცი დიდ თამარს, ნუ შეარყევ ქართველთა ძლიერებასა და იმედის სიმტკიცეს.

უცებ დედის გვერდით შვილმაც ჩაიჩოქა და ნათელას გაახსენდა, რომ მარტო არ იყო, ხმას დაუწია და ჩურჩულით განაგრძო ღვთისმშობლის სავედრებელი.

ცოტნე ვერ მიხვდა რა ეჭვების გაფანტვას შესთხოვდა უფალს მისი კეთილი დედა, მაგრამ ეს კი შეატყო, რომ მთავრის მეუღლეს რაღაც აფიქრებდა და აშფოთებდა. ის გაურკვეველი შეშფოთება ცოტნესაც გადაედო და გულმხურვალე ლოცვას მთელი არსებით მიეცა.

მგრძნობიარე ჭაბუკის გაუმხელებელ სიყვარულს ასპარეზი ღამის სიმარტოვეში, ერთიმეორეზე გადაბმულ სიზმრებში ეძლეოდა.

სიზმარში სრულდებოდა ყველა ნატვრა და ოცნება, მაგრამ ყველაზე თამამ ზმანებაშიაც კი უსაზღვრო კრძალვისა და კრთომის საზღვრებს ვერასოდეს გადადიოდა კეთილშობილი ჭაბუკი. მისი ბედნიერებისათვის ისიც კმაროდა, თუ სიზმრად გმირობას ჩაიდენდა და თამარის ღიმილს ან ყურადღებას დაიმსახურებდა, მის ახლო, სადმე ჩრდილში იდგებოდა და იქიდან ჭვრეტის შესაძლებლობა ექნებოდა.

ნათელა კმაყოფილი იყო: ბატონიშვილი მეფის სასახლის გარემოს შეეჩვია, უფლისწულებს დაუახლოვდა და დიდებულთა შვილებს დაუმეგობრდა.

ცოტნეს ახალი ცხოვრება სწორედ ისე ეწყობოდა, როგორც მთავარი და მისი მეუღლე ოცნებობდნენ. ოდიშის მთავრის მემკვიდრე არც წირვასა და ლოცვას აკლდებოდა, არც ბურთსა და ნადირობაში რჩებოდა ვისმე უკან, არც სწავლასა და წვრთნას ცდებოდა. მხოლოდ ეს იყო, ცოტნე ხშირად ნაღვლიანდებოდა, სევდამოწოლილი განმარტოებას ეძებდა.

შვილის მოწყენას მარტივად ხსნიდა დედა: ყმაწვილი, ალბათ, თავის მშობლიურ კუთხეს, ტოლ-მეგობრებს ნატრობს, მეფის კარს უკეთ შეეჩვევა და დარდიც გაუვლისო.

ბატონიშვილს საულვაშე ნელ-ნელა უშავდებოდა და დედას მარტო ის კი არ ახარებდა, შვილის დავაჟკაცებას რომ მოესწრებოდა, ისიც იცოდა, სიჭაბუკის ასაკი მის მემკვიდრეს ახალ გატაცებებს მოუტანდა და ბერად შედგომის ფიქრზე სამუდამოდ ხელს ააღებინებდა.

შვილის მომავლისა იმდენად აღარ ეფიქრებოდა, მაგრამ ქმრისა და ოჯახის დარდი თავიდანვე არ ასვენებდა ნათელას, უმისობა უსინათლო მთავარსაც გაუჭირდებოდა, ხალხსა და ჯალაბსაც შეეტყობოდა.

სასახლეში საკმაო ხანი დაჰყო მთავრის მეუღლემ. დრო იყო, მეფისათვის შინ წასვლის ნება გამოეთხოვა და შვილის ბედ-იღბალი ჩაებარებინა.

თამარმა სტუმრის თხოვნა მოისმინა და შეიწყნარა:

– რაკი ოჯახი მოგენატრა, წასვლას როგორ დაგიშლი, ჩემო ნათელა. შერგილის უსინათლობა ჩვენ გვაწუხებს და შენ როგორ არ გექნება ქმრისა და სამთავროს დარდი. წაბრძანდი, ღმერთი იყოს თქვენი სახლისა და ნათესავის შემწე და მფარველი. ჩემს ნათლულ ბატონიშვილზე ნუ იდარდებ, უფლისწულების სწორად მეყოლება, ზრუნვას არ მოვაკლებ და პატივს.

ოდონდ, ერთი სათხოვარი მექნება, ჩემი ხელით განათლულთან \_ ჩემს რუსუდანს გაუწიოს ძმობა და რაინდობა. ცოტნე და რუსუდანი თითქმის ტოლები არიან, ვატყობ, ერთმანეთს კარგად ეთვისებიან და მინდა მათი დაძმური სიახლოვე კიდევ უფრო განმტკიცდეს. ლაშას თავისი ცოლ-შვილი ეყოლება, სამეფო საქმისაგანაც მოცალეობა არ ექნება და ერთი ვინმე ხომ უნდა ჰყავდეს მეფის ასულს ძმასავით ერთგული და მისანდო.

ნათელამ მუხლი მოიყარა და ცოტნემაც მაშინვე ჩაიჩოქა.

\_ თუ ამ პატივის ღირსად სცნობ ჩვენს შვილსა და სახლს, ამაზე დიდი ჯილდო რა იქნება, დედოფალო! \_ ამოსთქვა სიხარულით გულაჩუყებულმა ნათელამ და კალთის საამბორებლად მიიწია.

\_ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ, \_ განაგრძობდა თამარი, \_ მხოლოდ უფალი ღმერთია უკვდავი და ჩვენ მის განგებას ვართ მინდობილნი. სხვისთვის არ გამიმხელია და შენ გიტყდები პირველად: ბოლო დროს სიკვდილზე ფიქრი შემომეჩვია და უგუნებობაც დამჩემდა: ჩემი გიორგი უკვე ვაჟკაცია და მჯერა, რომ სამეფოს ბედი საიმედო ხელთ იქნება. რუსუდანი მეზრალეობა, სათუთია და ნებიერი. ცხოვრებას ბევრი განსაცდელი სდევს და, ვაითუ, გაუძნელდეს სუსტსა და უზრუნველობას ჩვეულს. ამიტომ მინდა მხარში მეორე ძმასავით ედგეს თქვენი ძე და ჩემი ნათლული, რომ უდემდამობამ და ობლობამ არ დამიჩაგროს საყვარელი ასული.

\_ ღმერთმა ნუ შეასწროს საქართველო და საქრისტიანო უშენობასა და შენგან დაობლებას! ეს როგორ ბრძანე, დედოფალო! \_ შეჰღაღადა ელდანაცემმა ნათელამ.

\_ განგებას ვერავინ შესცვლის და არავინ ვართ მეცნიერი იმისა, თუ ხვალინდელი დღე რას მოგვიტანს! ჩემი ნათლული სათნოა და კეთილი, სიმხნე არ აკლია და სიქველე. ამიტომ ავირჩიე ჩემი ასულის მფარველ რაინდად და იმედი მაქვს, ჩვენს ამ სურვილს შეიწყნარებს ბატონიშვილი.

\_ სიკვდილამდე ერთგული იქნება შენი და შენი ასულის, \_ დაასწრო ნათელამ, \_ შეჰფიცე, შვილო, შეჰფიცე დიდ მეფესა და მოწყალე დედოფალს საუკუნო ერთგულება ტახტისა და მისი მემკვიდრეებისა!

\_ ვფიცავ, დედოფალო, \_ ძლივს ამოიდგა ენა ცოტნემ, თვალზე მოძალებული ცრემლის დასამალავად თავი დახარა და დედოფლის ფეხებთან ფარდაგს ემთხვია.

რუსუდანის სიახლოვემ გაახალისა ცოტნე. თუმცა მეფის ასული ცოტნეზე სამიოდე წლით იყო უფროსი, ოდიშის მთავრის მემკვიდრესა და დედის ნათლულს ტოლივით ეპყრობოდა. დარბაზობისა და სეირნობის, გართობისა და თავშესაქცევის დროს გვერდიდან არ იშორებდა, სასახლიდან უმისოდ ფეხს არ დგამდა. მოსწონდა რუსუდანს ძმასავით ახლობელი ცოტნე, ზრდილი და თვალტანადი, ალაღმართალი და უემშაკო ჭაბუკი.

თავის მხრივ, ცოტნეც იმთავითვე მოხიბლა რუსუდანის ლაღმა და მხიარულმა ბუნებამ, გულკეთილობამ და უშუალობამ, პირდაპირობამ და კეთილშობილმა უბრალოებამ.

ოდინარი ბატონიშვილი თვალ-წარბში შეჩერებოდა თავის ახალგაზრდა ქალბატონს და მზად იყო, ყოველ წამს მისი გულისთვის თავი გაეწირა. ამას რომ წარმოიდგენდა, ორმაგ ბედნიერებას განიცდიდა: ერთი – რუსუდანისთვის თავდადება იქნებოდა, მეორე ის, რომ თამარი გაიგებდა, თუ როგორ გასწირა თავი უფლისწულის რაინდად მის მიერ არჩეულმა ცოტნემ, როგორ ადასრულა მეფისათვის მიცემული ერთგულების ფიცი და როგორ იხსნა განსაცდელისაგან თავისი სათაყვანებელი მეფის ასული.

რუსუდანი უკვე გასათხოვრად მოწიფული ქალიშვილი იყო. უცხო-უცხო ქვეყნების მეფეებისა და იმპერატორებისაგან, სულტნებისა და მელიქებისაგან ცხრა მთას იქიდან მოდიოდნენ ელჩები და დესპანები ძლიერი საქართველოს მეფის ასულის რძლად სათხოვრად.

თამარი არ ჩქარობდა, გამორჩევით უყვარდა თავისი ნებიერი ასული და შორს გადასაკარგავად ვერ იმეტებდა.

ჯერ არც უგვიანდებოდა რუსუდანს, სინორჩე სულ ახლახან გათავებული ჰქონდა და ნამდვილ გაფურჩქვნას ახლა იწყებდა, ყოველდღე მშვენება და მიმზიდველობა ემატებოდა.

მშვენება კი მართლაც საარაკო ჰქონდა მეფის ასულს.

თეთრ-ყირმიზა რუსუდანი დედას ჰგავდა, მაგრამ მამისაც ზოგი რამ გამოჰყოლოდა. ტანის სისავსე და ნაკვთების სილბო, გამომწვევი გამოხედვა და სიცოცხლის დაუამებელი წყურვილი – აშკარად ასხვავებდა ჰაეროვანი და ნატიფი დედისაგან, რომელიც მარტო დიდებულებით კი არა, თავის ირგვლივ დაფრქვეული დიდი შინაგანი მშვენიერების ძალითაც ხიბლავდა მნახველს.

დასავლეთიდან ჯვაროსნების ამბები გამუდმებით მოჰქონდათ ფრანგ და იტალიელ მისიონერებს.

საქრისტიანო ევროპა ახალი, უჩვეულო აღგზნებით ემზადებოდა და მთელი იმედი წმინდა ადგილების გამოხსნისა და უცოდველი ყრმების ლაშქრობაზე იყო დამყარებული.

წმინდა ეტიენის ლაშქარს ყოველი კუთხიდან ემატებოდა ახალ-ახალი რაზმი, დაუსრულებელი წირვა და ლიტანიობა უფალს მათ გამარჯვებას გამოსთხოვდა და ყველა მორწმუნეს წმინდა ყრმათა ლაშქრის დასახმარებლად მოუწოდებდა.

ივლიანე მოძღვარს ყური ფხიზლად ჰქონდა და გამუდმებით უყვებოდა თავის მოწაფეს რომის პაპისა და ეტიენის ლაშქრის ყოველ ნაბიჯზე.

ცოტნეს მასწავლებლის წაქეზება არ უნდოდა, თვითონ სულ პალესტინისაკენ გალაშქრებას ოცნებობდა და ყოველთვის, როცა საამისო საშუალება იყო, რუსუდანს ევედრებოდა დედისა და ძმისათვის იერუსალიმზე ლაშქრობის დაჩქარება ეთხოვა.

და აი, ერთხელ, უფლისწულების თანდასწრებით, თამარმა ბრძანა:

– ოდიშის მთავრის მემკვიდრე, ჩემი საყვარელი ნათლული ურჯულოთაგან იერუსალიმის გამოსახსნელად გალაშქრებას იხვეწება რუსუდანის პირით, ჩემი ვაზირები და დიდებულებიც ამასვე მევედრებიან, მაგრამ მე უკვე უძლური ვარ ეგოდენ დიდი ტვირთის ზიდვად. ალბათ, შენ მოგიწევს, საქართველოს ახალ ხელმწიფეს, შვილო ჩემო ლაშა, ქართველთა ამ ოცნების ხორცის შესხმა. შენ უნდა წარუძღვე ქართველ ჯვაროსნებს იერუსალიმისკენ, შენ უნდა გამოიხსნა მაცხოვრის საფლავი. მხოლოდ ერთს გევედრები და ეს იყოს ჩემი უპირველესი ანდერძი: ჩემი ცოდვილი ნემტი წაიღე და წმინდა მიწას მიაბარე ჯვრის ქართულ მონასტერში.

– მაგას რად ბრძანებ, დედაბატონო! ღმერთმა ეგ დღე ნუ ჰქნას! – შეიცხადა ლაშამ და დედას მოეხვია.

– ეგ რა თქვი, დედა, არ გეცოდები?! – მოიქუფრა რუსუდანი და ცრემლმორეული დედას ყელზე შემოეჭდო.

თამარმა თვალს მომდგარი ცრემლი მოიწმინდა, ნაძალადევად გაიღიმა და შვილებს შეუძახა:

– რა გატირებთ, თქვე ჯაზნებო! ადექით, გარეთ გამოიხედეთ, სიცოცხლეს რა სჯობს! – წამოჰყარა ფეხზე შვილები.

სამივე კარამდის მიაცილა.

კარის ზღურბლზე ლაშა შეაჩერა წამით.

– იცოდე, შვილო, როცა უფალი მომიწოდებს, ჩემი ეს ანდერძი არ დაგავიწყდეს...

ლაშა გაფითრდა, თამარს ისევ კურცხალი წასკდა, ერთი მძიმედ ამოიოხრა და შეშფოთებისაგან დაბნეულ შვილს კარი მიუხურა.

ნაჭარმაგევს მყოფი თამარი სამეფო საქმეებით იყო მოუცლელი. ვაზირები და დიდებულები, ეკლესიის მეთაურები და ორთავ აკადემიის მოძღვართმოდვრები ერთთავად სულ ნაჭარმაგევის პალატებში ტრიალებდნენ.

მეფე და მისი თანამოსაყდრე ლაშა-გიორგი დილით სხდებოდნენ საქვეყნო საზრუნავის გასაბჭობად და გარიგებად. დიდი და ძლიერი სამეფოს მოვლა-პატრონობას დრო და ღონეც დიდი მიჰქონდა, ვაზირებთან და ერისთავებთან თათბირი და გამორჩევა, ელჩების მიღება, დესპანების გაგზავნა, არხებისა და გზების გაყვანა, ციხეების შენებისა და ლაშქრის მზაობის ღონისძიება, ყველაფერი მეფის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით წყდებოდა. საქვეყნო საქმის ყოველი წვრილმანი ხელმწიფის ყურამდე აღწევდა, ცოტად თუ ბევრად ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხი თამარის რჩევითა და დასტურით წყდებოდა.

დანარჩენ დროს მეფე წირვის მოსმენასა და ლოცვას, წიგნის კითხვასა და ხელსაქმეს ანდომებდა.

ბოლო ხანს სისუსტეს გრძნობდა თამარი, უმადობა დასჩემდა და გახდომა შეეცყო. თავის ტკივილი და უღონობა ისეთ დროს მოერეოდა, საქმის



მიტოვება რომ არ შეეძლო. ჯიუტობდა, უძლებდა, ეგონა, უღონობა გაუვლიდა. შვილთა და ახლობელთაგან სატკივარს მალავდა, არავის უმხელდა.

ჯაფისაგან ისე არ იღლებოდა, როგორც უძილობისაგან. შუალამემდე ვერ იძინებდა, ქსოვასა და ქარგვაში, ან წიგნის კითხვაში შემოათენდებოდა ხოლმე და მეორე დღეს თავისთავს თვითონ ვეღარ სცნობდა: ყველაფერი უმძიმდა, ტახტზე ჯდომაცა და ფეხზე დგომაც, კითხვაცა და წერაც.

შემოდგომის მშვიდი დღე იდგა.

ტყეებს სიმწვანე წასვლოდა, ალაგ ყვითელი, ალაგ ალისფერი დასდებოდათ. ვენახებსა და მარნებში ხმაური მიმწყდარიყო, მაჭარი დადუღებულიყო და სოფელ-სოფელ მოზარბაცე მთვრალ დიონისეს უკვე ჟინდამცხრალს ეძინა.

გვიან შემოდგომის ის დრო იყო, ახლა რომ ჩვენში «თათრის ზაფხულს» ეძახიან. ნაზად მქროლავ ნიავს ჯერ კიდევ არ მოჰქონდა მთებიდან სუსხი. დედამიწაც მისუსტებული, მაგრამ საამო სითბოთი სუნთქავდა; მზეს მცხუნვარება დაჰკარგოდა, სილბო და ალერსიანობა, თაფლი და მიმზიდველობა მომატებოდა.

შუადღიდან დარბაზში ბჭობა ჰქონდა მეფეთმეფეს.

რჩევამ და ბჭობამ დიდხანს გასტანა.

დედოფალი თავს დილიდანვე ცუდად გრძნობდა. ახლა სული ეხუთებოდა, თავს ძალას ატანდა, საქვეყნო საქმის გადადებას უჩვევი ფეხზე ვერ დგებოდა და ბჭობიდან ვერ მიდიოდა.

ბოლოს, როგორც იყო, დარბაზი გაიყარა.

ფერმკრთალმა დედოფალმა ჰაერზე გავლა მოისურვა. შეკაზმული ცხენი მოჰგვარეს.

უფლისწულებისა და უახლოესი ვაზირების თანხლებით ტყისპირს მიაშურეს.

ცხენდაცხენ რუსუდანს ადევენებული ცოტნე დედოფალს თვალს არ აცილებდა.

მეფე, ადრე რომ საუკეთესო ვაჟკაცებს ცხენოსნობაში ტოლს არ უდებდა, ახლა როგორღაც მოშვებულად იჯდა თვინიერ თეთრ რაშზე, ცხენისათვის სადავე მიეშვა, ხელები ძირს ჩამოჰყროდა.

ცოტნე თვალს არ უჯერებდა, ეგონა, მეჩვენებაო: თამარი ქანაობდა, ეტყობოდა, უნაგირზე ვეღარ მაგრდებოდა.

შეშფოთებული ცოტნე რუსუდანს გაუსწორდა:

– მეფის ასულო, ხელმწიფეს ხომ არაფერი უჭირს?

სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, თამარი ცხენიდან გადმოეშვა და ის იყო, ძირს უნდა დაცემულიყო, რომ ლაშამ თვალი შეასწრო და ხელი შეაშველა.

მეფის ჰკვიანი ცხენი მაშინვე გაჩერდა.

ამალამ წამსვე დაიქვეითა და დედოფალს შემოეხვია.

– დედა! მიშველეთ! – შეჰკვივლა რუსუდანმა გულწასული მშობლის დანახვაზე.

ლაშას მკლავებზე დაესვენებინა გონდაკარგული, სანთელივით გაფითრებული დედა.

– წყალი! – შესძახა ივანე ათაბაგმა, მოსასხამი მოიძრო, მინდორზე დააფინა. ვიდრე მეფეს დააწვენდნენ, ვიღაცამ უნაგირს ბალიში ააგლიჯა, რამდენიმე ნაბადი ერთიმეორეზე დააგეს და თამარი ლბილად დაასვენეს.

– მკურნალს უხმეთ! – დაიძახა მსახურთუხუცესმა. ორი ცხენოსანი ადგილს მოსწყდა და სასახლისკენ გაჰქანდა. დაჩოქილი ლაშა და რუსუდანი ამოდ ჩასძახოდნენ გულშემოყრილ დედას. თამარი კრიჭაშეკრული, თვალდახუჭული იწვა და არ ინძრეოდა.

მსახურმა ქალმა საფეთქლები და ყურები დაუსრისა, წყალი აპკურა. წყლის წვეთის დაცემაზე შეტოკდა მეფე.

– დედაა... ვაი, დედაა... – მოთქვამდა რუსუდანი, შეშინებული თავში ხელს იცემდა და ლოყებს იხოკდა.

ცოტნეს ყელში ბურთი აწვებოდა და ახრჩობდა. თავს ველარ ერეოდა, სადაც იყო, მასაც ტირილი წასკდებოდა.

წყლისკენ გაიხედა. მდინარე იქვე ჩამოდიოდა და ახლა იმას ფიქრობდა, სად უფრო ღრმა იქნებოდა მორევი.

იცოდა, თამარის სიკვდილის გაგონებას ვერ გაუძლებდა. იქით გახედვა არ შეეძლო, იცდიდა, როდის იტყოდნენ მეხის დამცემ სიტყვას «აღესრულაო» და ცოტნე მზად იყო – თვითონაც უმაღვე აისრულებდა იმ წამს მიღებულ გადაწყვეტილებას – მდინარისკენ გაქანდებოდა და თავს ღრმა მორევს მისცემდა.

კიდევ აპკურეს წყალი დედოფალს. თამარი ისევ შეირხა და წამწამები შესძრა.

ნელ-ნელა მოიხედა გულშემოყრილმა. შუბლზე ცივი ოფლის წვეთები დასხმოდა, გაცრეცილ ლოყებს ფეროვნება ეპარებოდა, სადღაც წასული ღონე თანდათან უბრუნდებოდა.

– დედა! დედილო! როგორ ხარ? მომხედე, დედი! – ჩასძახოდა სასოწარკვეთილი რუსუდანი.

თამარმა წამწამები გახსნა, მტირალ შვილს წამით მოხედა და თვალი ისევ დახუჭა.

რუსუდანი ხელებსა და გულმკერდს უკოცნიდა დედას. შიმუნვარები ჰაერს უნიავებდნენ, წამლებს ასუნთქებდნენ დედოფალს.

ლაშა წარბშეკრული იდგა გამშრალი და მწუხარებისაგან გახევებული. ვაზირებს გზისკენ ეჭირათ თვალი.

დედოფალმა ერთი ღრმად ამოისუნთქა და იქ მყოფთ თვალი მოავლო.

– როგორ ბრძანდები, ხელმწიფევ? – კრძალვით შეჰბედა მხარგრძელმა.

მეფეს ხმა არ გაუცია, სახედაღრუბლულ ლაშას შეხედა, ოდნავ, ალბათ, გასამხნეველად გაუღიმა, მერე ხელი წყნარად აიღო და მკერდსჩახუტებულ რუსუდანს დაადო თავზე.

ამასობაში, ცხენხეთქებით მოიჭრნენ სასახლიდან.

მკურნალმა მეფესთან ჩაიჩოქა და ხელით ფრთხილად მისწვდა თამარის მაჯას. მაჯა ხამუშ-ხამუშ სუსტად და დიდი დაყოვნებით ფეთქავდა. ექიმმა თავი უკმაყოფილოდ გადააქნია, რაღაც გულის გასამაგრებელი დააღვეინა, სასუნთქებელი მისცა და ლაშას შეხედა.

– უნდა წავიყვანოთ დედოფალი, საწოლში უნდა მოვასვენოთ.

ლაშამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა, საკაცე გაშალეს, ხელმწიფე ფრთხილად დააწვინეს და სასახლისკენ დაიძრნენ.

თბილისიდან სასწრაფოდ მოხმობილი მკურნალთუხუცესი ზარდაცემული გამოვიდა მეფის პალატიდან.

ლაშას, ჭყონდიდელსა და იქ მყოფ უახლოეს ვაზირებს გაანდო საიდუმლოდ თავისი ეჭვი. უკურნებელი სენის უბრალო ხსენებამაც კი ფერი დაუკარგა თამარის ახლობლებს, გამრნენ და ენა ჩაუვარდათ.

– ფერზეც ეტყობა. თქვენ ყოველდღე ხედავთ და შეჩვეულნი ცვლილებას ვერ ამჩნევთ. მე დიდი ხანია არ მინახავს და მაშინვე მეცა თვალში – ხელმწიფის სხეული მთლად სანთლისფრად ქცეულა. ეს არის უპირველესი ნიშანი ჩვენი ამომგდები სენის მომძლავრებისა.

– რატომ აქამომდე ვერ შევატყვეთ ჩვენი უბედურება?!

– როგორ უგულებელს ვყავით... ან ექიმებმა რატომ ვერ შენიშნეს?! – აჩურჩულდნენ მეფის უერთგულესნი.

– ეტყობა, ტანში დიდხანს ჰქონია ჩაბუდებული. ახლა უცებ უმძლავრებია და ერთბაშად მორევია, – განმარტა ექიმთუხუცესმა.

– რა ღონე ვიღონოთ, რა წამალი მოვიპოვოთ და რით ვუშველოთ?! – სასოწარკვეთით გაშალა ხელი ლაშამ და მკურნალს შეაჩერდა თვალეში.

– ვაი, რომ უძღურნი ვართ და ყოველი წამალი ურგებია. მაგრამ მაინც უფლის იმედი ვიქონიოთ და ყოველი ღონე ვიხმაროთ. ღმერთი დიდია და არ გაგვიწირავს, – პირჯვრის წერით თქვა მკურნალმა და ხელები ცისკენ აღაპყრო, – ვევედროთ ქრისტესა და ღვთისმშობელ მარიამს, რათა ჩაგვაგონოს და გვასწავლოს ძიება ღონისა ხელმწიფის განსაკურნავად.

მეფე დღითი დღე ილეოდა. ტკივილი, დაცხრომის მაგივრად, უძლიერდებოდა, ღონეს კარგავდა და სანთელივით დნებოდა.

თბილისის აგარებს ჩამოყვანამ და ჰაერის გამოცვლამ თითქოს ოდნავ არგო, მაგრამ დროებით. სენი, კლების ნაცვლად, უფრო და უფრო მძვინდებოდა.

სნეულთან ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოჰყავდათ მკურნალობის ხელოვანნი, ათასგვარ წამალს სცდიდნენ, მაგრამ ყოველივე უქმი იყო და დედოფალს საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა.

მთელი სამეფო ფეხზე იდგა.

დღისით იმედგადაწურული დიდი და პატარა იმის იმედით იძინებდა, ეგებ დილით თამარის მომჯობინების ამბავი გავიგოთო. ეკლესიაში გაუთავებელი წირვა და ლიტანიობა იყო. სანთლის ნთება და ვედრება, ღამის თევა და მსხვერპლის შეწირვა, შეთქმულთა ფეხშიშველი მოგზაურობა და ზარების გამუდმებული რეკვა მთელი სამეფოს შიშსა და ძრწოლას, საერთო-სახალხო სასოწარკვეთას გამოხატავდა.

რუსუდანს მცირე ხნობითღა უშვებდნენ სულთმობრძავთან. დანარჩენ დროს მეფის ასული დედოფლის საწოლის კართან ახლო იჯდა, ოხრავდა და თავს კედელს ურტყამდა.

ცოტნე მარტო არ ტოვებდა ნათლიისშვილს და დობილს. თავადაც ჯავრისაგან განახევრებული ჭაბუკი, რუსუდანის შეშინებულ გამოხედვას თვალს ვერ უსწორებდა, სნეულის საწოლიდან გამოსულ ექიმებსა და მომვლელებს ლანდივით მისდევდა, ეგებ რაიმე სანუგეშო გავიგონოო, მაგრამ საქართველოსთვის უფალს ნუგეში მოეკვეთა და სანუგეშოს რას გაიგებდა! ღამე თვალს რომ ოდნავ მაინც მოატყუებდა, სიზმრად სულ რაღაცას ჰკარგავდა, რაღაც ძვირფასი ხელიდან ეცლებოდა, უფსკრულში ინთქმებოდა. ან ცაში მიფრინავდა. ცოტნეს შველას სთხოვდნენ, მხსნელად უხმობდნენ, მაგრამ ბატონიშვილი უძლოური იყო, თავის თავგამოდებით რაიმე გადაერჩინა.

ზოგჯერ თვითონ სახიერიც ესიზმრებოდა, სანთელივით გალეული დედოფალი, ძველებურად სხივოსანი და ჰაეროვანი ეცხადებოდა, მაღლა ღრუბლებისკენ უხმობდა. ცოტნე იწევდა, მაგრამ ფრთები არ ჰქონდა და მიწას ვერ სცილდებოდა. თამარი ღიმილით შორდებოდა, ფრთას შლიდა და ღრუბლებში უჩინარდებოდა.

ზოგჯერ ვიღაც მოსდევდა თამარს, დედოფალი გულგახეთქილი გარბოდა, მიშველეო, უხმობდა ცოტნეს, მაგრამ რით ეშველა უიღბლო ჭაბუკს, როცა თვალით უხილავ მდევარს ვერ ხედავდა, მისი არც მოკვლა შეეძლო და არც შეპყრობა.

მსგავსი სიზმრები აფორიაქებდნენ ჭაბუკს. ზოგჯერ ერთიანად მოშლილი, ატირებული იღვიძებდა და დიდხანს ვერ მშვიდდებოდა.

დრო გადიოდა. სენი მძლავრდებოდა და უბედურება ახლოვდებოდა. მთელი ერი გარდუვალი საშინელების მოლოდინში ძრწოდა.

თბილისში სასახლის წინ მოედანი სავსე იყო დედოფლის ამბის შეტყობის მსურველებით, ღამეს აქვე ათევდნენ და აქ თუ ვერაფერს გაიგებდნენ, კოჯრის აღმართს შეუდგებოდნენ, ეგებ იქ, აგარებში მაინც რაიმე გვითხრან, რომ შინ, ოჯახს ნუგეშის მიმცემი ამბავი ჩავუტანოთო.

«ზოგადმან უღონოებამან მოიცვა ყოველნი, – წერს გულმოკლული მემატიანე, – და არა უწყოდეს თუ რამცა ყვეს, მთავარნი იცემდეს პირთა, გლახაკნი იტყებდეს თავთა და ისხმიდიან თავთა ნაცარსა და მტვერსა. ათაბაგი და ყოველნი ნაცვლად მიუპყრობდეს თავთავისთა და შვილთა თვისთა ღმერთსა და ითხოვდეს მის ზედმომავალსა სიკვდილსა, «რათა მარტო ესე დარჩეს და ჩვენ ყოველნი მოგვსრენ». ამას ხმობდნენ და მოეცვათ სასვენებელი

პალატისა, რომელსა აქვდა ცხედარი უბადრუკებისა ჩვენისა და ღონე თუმცა იყო, ეცდებოდეს, რათა არა აუფლონ სიკვდილს შემოსვლად. რა იყო, რომელი არა იხილვებოდა მუნ, ანუ სავედრებელთაგანი, გინა მწუხარებათა. გარნა მწოდებელი კართა ზედა იდგა და მბრძანებელისა წინააღდგომა შეუძლებელი იყო».

იმედგადაწყვეტილი მემატთანე ამ სიტყვებით ღვთიური განაჩენის წინაშე ადამიანის უძლურებასა და სასოწარკვეთას გამოხატავს.

რაკი ყოველი ღონე უქმი და ამაო აღმოჩნდა და ვერც ლოცვამ, ვერც ღამისთევამ, ვერც წირვამ და ვერც წამალმა ვერა არგო რა \_ მოაწია საშინელმა ჟამმა «და თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა... და აღესრულა მზე ქართლისა».

ხომ თითქოს შერიგებულნი იყვნენ სიკვდილის გარდუვალობას, ხომ ყველა იმედი გადაწურული იყო და, მაინც თამარის მიცვალების ამბავი მეხივით დაატყდა თავს დიდსა და პატარას.

რაკი არც ღვთისმოსავობასა და სიწმინდეს, არც სამართლიანობასა და პატიოსნებას, არც სათნოებასა და თავმდაბლობას ფასი არა ჰქონია, არც ერის საყოველთაო სიყვარულსა და გულმხურვალე ვედრებას შერჩენია უფლის წინაშე ძალა და გასავალი, მაშინ რაღა აზრი აქვს სიკეთისა და სიმართლისათვის ზრუნვას, სასოებასა და ჭეშმარიტი სარწმუნოების კანონების დაცვას.

თამარი ხომ ამ სარწმუნოების ერთგული დამცველი და ამამალლებელი იყო ქართველთა ხმლისა და საკუთარი გონების ძალით.

დედოფალთდედოფალი გულმოწყალე მსაჯული იყო და სიკეთისათვის იღვწოდა. მის მეფობაში აიკრძალა ასოთა მოკვეთა და სიკვდილით დასჯა; მან შეუქმნა და დაუმკვიდრა ქართველთ სახელოვანი და დიდებული ცხოვრება და განა მარტო ქართველთ? «ამისი მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და აქვდათ მტერთაგან უზრუნველობა».

სიუხვე მისი ყოველთა ქრისტიანთა სიუხვეს აღემატებოდა. ხელგამლით გასცემდა ნიჭსა და საბოძვარს და არაოდენ სამეფო საჭურჭლეთაგან. როგორც კი საქვეყნო საქმეთაგან მოიცლიდა და თავს დაიმარტოხელებდა, მაშინვე სართავსა და საქსოვს ან საკერავს აიღებდა და თავის ხელთნაქმარს ძღვნიდა და გაუყოფდა ღარიბთა და გლახაკთ.

ნუთუ ასეთი მეფე \_ სარწმუნოების ქომაგი და სიკეთის მთესავი სიკვდილისათვის უნდა დაეთმო უფალს?

ღვთის ამ უსამართლო განაჩენმა ქართველთა შორის ბევრს შეურყია ქრისტეს სჯულის რწმენა, ბევრმა ხმამალა ჰგმო ღმერთი და მისი სამართალი.

ხოლო თამარის სათნოებისა და მშვენიერების ბევრმა მადმერთებელმა, მათ ვისაც ამ ქვეყნის ყველა სიკეთე თამარის სახით წარმოედგინათ და ვისთვისაც თამართან ერთად მოკვდა სიკეთისა და სილამაზის უკვდავების რწმენა,

სიკვდილი არჩიეს უთამაროდ სიცოცხლეს, ზოგი კლდეზე გადაიჩეხა, ზოგმა მდინარეს მისცა თავი.

საქართველოს სამეფოს შიგნით და გარეთ ყველა გრძნობდა და ხედავდა, რომ თამართან ერთად დასრულდა ქართლის ცხოვრების დიდი და მნიშვნელოვანი ხანა. საქართველოს სამეფო ჰკარგავდა იმ მიმზიდველ შარავანდედს, რომლის შუქი ძალიან შორს სწვდებოდა და რომელიც ზღაპრად და საარაკოდ განფენდა ქართველთა მეფის მშვენიებისა და ძლიერების, სიბრძნისა და სათნოების სახელს.

სიჭაბუკეში შესულ ცოტნეს რაღაც დიდი და აუნაზღაურებელი მოსწყდა გულზე, თამარი მისთვის სამშობლოც იყო, სარწმუნოებაც, ცხოვრების აზრიც და მომავლის იმედიც.

მაგრამ თამარი რაღაც მეტიც იყო კიდევ.

ეს მეტი მან თამარის ხორციელი მშვენიების, მისი ამქვეყნიური მიმზიდველობის განცდით გაიგო და ეს სწორედ მაშინ მოხდა, როცა ცოტნე ყრმობას ათავებდა, ახალ, მანამდის უცნობ ცხოვრებას იწყებდა და მისთვის ჯერ გაურკვეველ, რთულსა და შფოთით სავსე ასაკში დგამდა ფეხს.

თამარი პირველი ქალი იყო ცოტნესათვის, რომელსაც გუშინდელმა ყრმამ ვაჟკაცის თვალთ შეხედა. ვაჟის გულსა და გონებაში მანამდე ცივ, უგრძობელ ხატად ჩასვენებულ თამარის სახეს დედოფლის ერთმა გამოხედვამ, წმინდა ქალურმა და ამქვეყნიურმა გამოხედვამ, უცებ შეასხა ხორცი, გაათბო და გაავსო ცხოვრების სიხარულითა და სიცოცხლის გაგრძელების შეუცნობელი სურვილით.

თამარზე ფიქრის ჟამს ზოგჯერ ისეთივე აღფრთოვანებასა და სულიერ სიმშვიდეს განიცდიდა, როგორც გულმხურვალე ლოცვისას, როცა სულიერი გზნება ხორციელზეც ვრცელდება ხოლმე და ღვთაების წვდომა, მასთან შეერთება მთელი არსებით ხდება.

სიზმრად აკვიატებული, თავის ტყუპის ცალის სახესთან განუყოფლად დაკავშირებული სახე დედოფლისა, ჭაბუკის გულსა და გონებაში თანდათან ერთ დაუამებელ ტკივილად ჩამოყალიბდა და როგორც ერთის, ისე მეორის გახსენებაზე ჭაბუკი თავისი სხეულიდან ულამაზესი ნაწილის მოკვეთის სიმწარეს გრძნობდა.

მიცვალებულისათვის ერთხელაც არ დაუხედავს ცოტნეს. მისი კუბოსკენ გახედვისა ეშინოდა და რაღაც კრთომა ფეხს უბორკავდა. რახან მიცვალებული მეფე არ უნახავს, ცოტნეს გონებაში მისმა სათაყვანო დედოფალმაც ისევე შეინარჩუნა ცოცხალი სახე, როგორც პატარა თამარმა. იგი ჭაბუკის ფიქრსა და ოცნებაში ისევე უტურფეს დედოფლად დარჩა.

ადრე დაკარგული პატარა დაიკოც ძმის წარმოსახვაში ცოცხალ, ცქრიალა გოგონად იყო დამკვიდრებული. ცოტნესათვის უახლოესი და უსაყვარლესი

ორი თამარი ერთიმეორის გვერდით, მაგრამ ერთ არსებად განაგრძობდნენ ცხოვრებას.

ორი თამარი ცოტნეს ცხოვრების ორი ფრთა იყო. სიზმარში ან ოცნებაში ეს ფრთები ზეატაცებულს მიაფრენდნენ მაღლა ღრუბლებში, მზისა და სიკეთის სამკვიდროში და ცოტნე მაშინ უსაზღვროდ ბედნიერი იყო.

მაგრამ ცხოვრების მცირე ბიძგი, ოცნებისაგან წამით გამორკვევა კმაროდა, რომ ჭაბუკს ეგრძნო იმ ფრთების მომსხვრევით მიყენებული საშინელი, არაადამიანური ტკივილი, მიწაზე დაცემის სიმძიმე და სიცოცხლის გაგრძელების უაზრობა.

დილით, ცხენოსნობიდან და ფარიკაობიდან შემოქცეული ცოტნე თავის ტოლ ჭაბუკებთან ერთად გაკვეთილზე იჯდა.

მეფის მიერ საგანგებოდ მოწვეული ათონის იბერთა მონასტრის მოღვაწე ევგრაფი ქართველ დიდებულთა შვილებს ნეტარი ავგუსტინეს ცხოვრებასა და ფილოსოფიას მოუთხრობდა:

– ყოველი ბრძენი ეძიებდა სამყოფელსა ღმრთისა უფლისა ჩვენისასა; ზოგი ცასა შინა იტყოდა საგულეებლად მას, ზოგი წყალსა და მიწასა, ზოგი – ცეცხლსა და ჰაერსა შინა.

ამისათვის იტყოდა ნეტარი ავგუსტინე:

« \_ შენ ხარ ღმერთი ჩვენი უფალი? \_ ვკითხე მე დედამიწას.

ხოლო მან მომიგო:

– არა მე ვარ უფალი ღმერთი.

– არცა ჩვენა ვართ ღმერთი, \_ მარქვა მე ყოველმან არსმან სულდგმულმან დედამიწასა ზედან, \_ არა ჩვენა ვართ ღმერთი უფალი, ეძიე იგი ზემოთ ჩვენსა, სიმაღლესა ცათა შინა.

ვკითხავდი ქარსა მქროლავსა და მომიგებდა ყოველი ჰაერი არსითა ყოვლითა მუნ მცხოვრებითა: \_ არა ჭეშმარიტ არს ანაქსიმენი, არა მე ვარ უფალი ღმერთი.

მივმართე ამა კითხვით ცასა, მზესა, მთვარესა და ყოველთა ვარსკვლავთა.

– არა ჩვენა ვართ ღმერთი იგი, რომელსა შენ ეძიებ, \_ მომიგეს მნათობთა ცისათა.

ეგრევე ვკითხავდი ნივთსა ყოველსა გარემომცველსა ჩემსა. ხოლო თქვენ მომიგებდით: \_ არა ჩვენა ვართ ღმერთი შენი უფალი!

ვევედრე მას შინა ნივთთა ყოველთა:

– მეტყოდეთ მე უფლისათვის ჩვენისა.

ხოლო ყოველი ხმითა ერთითა მომიგებდეს:

– უფალი ღმერთი არს იგი, რომელმან შეგვქმნა და დაგვბადა ჩვენ.

მოვიქეც თავისა მიმართ ჩემისა და ვკითხე:

– მარქვი, ვინა ხარ შენ?

ხოლო თავი ჩემი მომიგებდა:

– მე ვარ კაცი, რამეთუ ხორცი ჩემი და სული ჩემი მიწვივ თან მახლავს, რომელი პირველ არს გარე ჩემსა, ხოლო მეორე – შინა ჩემისა.

ორთაგან რომელთან უნდა მეძია მე ღმერთი ჩემი, ძიებული ჩემგან სხეულითა ჩემითა დედამიწისაგან ცამდე, ვიდრე მიწვდომილ იყო შუქი თვალთა ჩემთა ცნობად და შეტყობად?

ხოლო უმჯობეს არს იგი, რომელ შინა არს ჩემსა, რამეთუ შინაგანსა ჩემსა ესწრაფვის შეტყობად ცოდნისა ხორცი ჩემი გარეგანი. შინაგანი იგი მიიხმევდა და განსჯიდა ყოველსავე პასუხსა ცისა და მიწისასა და ყოველისავე არსისა, ოდეს მეტყოდნენ მე:

– არა ჩვენ ვართ ღმერთი, არამედ უფალმან ღმერთმან დაგვბადა ჩვენ! ყოველმან კაცმან შინაგანად გულისხმაჰყო, შეწევნითა გარეგანისათა დაგვბადა ჩვენ. შინაგანად შევიცან მეც იგი, ხოლო სული ცნობიერ ვყავ შეწევნითა გრძნობისათა, რომელ არს მოწოდებულ გარედან ხორცისაგან ჩემისა...»

ზარების უეცარმა აგუგუნებამ შეაკრთო მოძღვარიცა და მსმენელებიც.

პირველად სიონის დიდმა ზარმა დაიქუხა. თითქოს ნიშანს ელოდნენო, დედაქალაქის ყველა კუთხიდან აგუგუნდნენ დიდი და პატარა ზარები.

გაბმით, გულის შემღონებლად მოსთქვამდნენ და კვნესოდნენ პატარ-პატარა ზარუკები.

მოძღვარმა თხრობა შესწყვიტა და მიაყურადა. ერთხანს სულგანაბული სდუმდა ევგრაფი. ეტყობოდა, რაღაც გაახსენდა და თვალი მოუწყლიანდა. წამით შეშფოთებულ მსმენელებს მოავლო თვალი, მღელვარებას დასძლია და ხმის კანკალით იკითხა:

– ალბათ, იცით, რატომაც რეკავენ ზარები?

პასუხად ხმა არავის ამოუღია.

– თუ არ იცით, უნდა იცოდეთ: დღეს დილით აცნობეს მეფესა და კათალიკოსს საქრისტიანოს თავს დამტყდარი ახალი რისხვა – ყრმა ჯვაროსანთა ლაშქარი წმინდა ეტიენის მეთაურობით ერთიანად დაღუპულა ზღვაში.

– ეგ რომელ ზღვაში? – იკითხა გაფითრებულმა ცოტნემ.

– ხმელთაშუა ზღვაში, მარსელში ზღვის პირს რომ მისდგომიან ყრმა ჯვაროსნები, ზღვის მიქცევას და ხმელეთის გამოჩენას ელოდნენ თურმე, რადგან თვითონ ქრისტესაგან ჰქონდა აღთქმული წმინდა ეტიენს – როგორც კი ნაპირს მიადგებოთ, ზღვა პირს გახსნის და მოსე წინასწარმეტყველივით ხმელეთზე გაგატარებსო. დიდხანს ელოდნენ თურმე ეტიენი და მისი ლაშქარი დაპირებული სასწაულის აღსრულებას, მაგრამ ზღვა არ გაიპო და ხმელი არ გამოჩნდა. ყრმა ჯვაროსნებს მეტი რაღა დარჩენოდათ, ხომალდებზე დამსხდარან და ზღვა-ზღვა ცურვით დადგომიან იერუსალიმის გზას. გზად ქარიშხალს მოუსწრია, ხომალდები დაულეწია და ყრმათა მთელი ლაშქარი ზღვას დაუნთქავს.

– მართალია, მოძღვარო? სარწმუნოდ თქვეს ეგ ამბავი? – იკითხა ისევ ცოტნემ.



– მართალია, მეფემ რომის პაპის წერილი მიიღო. მთელ საქრისტიანოში ზარის რეკვა და გლოვა არი.

– ნუთუ უფალმა აღთქმა გასტეხა და თავისი დაპირება არ შეასრულა? – გაუბედავად, ოდნავ გასაგონად თქვა ცოტნემ, ნათქვამისა თვითონვე შეეშინდა, საშინელი პასუხის მოლოდინში თავი დაღუნა და გაინაზა.

– ჰმ! მოწმე ვინ არის, რომ დაჰპირდა! – ადგილიდან წამოიძახა ბექა ციხისჯვარელმა.

– მოწმეც და მხილველიც თვითონ წმინდა ეტიენი იყო. მას გამოეცხადა ქრისტე ძილში და აღთქმის წიგნიც მისცა. ეტიენს თან დაჰქონდა უფლის ის წიგნი, ყველას აკითხებდა და ქრისტეს ნაჩვენები გზით სალამქროდ მოუწოდებდა.

– რაკი უფალმა თავისი პირობა არ აღასრულა, ეტიენსა და მის ჯვაროსნებსაც უნდა აეღოთ ხელი თავიანთი აღთქმის ასრულებაზე, – წამოიძახა ადგილიდან თორღვა პანკელმა, გადიხარხარა და იქ მყოფთ ამაყად გადახედა, ვითომ, ნახეთ, რა ჭკვიანური აზრი მომივიდაო.

ხარხარს არავინ აჰყვა, თორღვა მიხვდა, უადგილოდ ვიხუმრეო და მაშინვე პირი მოჰკეტა.

– ახლა კი დროა, დავიშალოთ, რადგან ეკლესიის ზარი ლოცვისა და განმარტოებისაკენ უხმობს ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანს, – მოძღვარმა ჯვარი გარდასახა ჭაბუკებს და დარბაზიდან გავიდა.

– მე სალოცავად არ წავალ, – გადაწყვეტილად თქვა ბექამ და ამხანაგებს გამომცდელად შეაჩერდა.

– არც მე...

– არც მე...

დაუმოწმა ყველამ ცოტნეს გარდა.

ცოტნე ისევ ყოყმანობდა.

– წავიდეთ, რამ შეგაშინა, ფული მე მაქვს, – გადაულაპარაკა ბექამ და ხელი უბიძგა.

ცოტნემ ისიც ვერ იკითხა, სად მიდიოდნენ.

ტოლებმა შუაში მოიქციეს და თან გაიტაცეს.

მოედანზე ზღვა ხალხი იდგა.

შემალღებულზე შემდგარი ხუცესი ხმამალა ქადაგებდა. რაღაცაზე გაკაპასებული ხელებს გაცხარებით იქნევდა და კრუხივით იფოფრებოდა.

ჭაბუკები მსმენელებს შეერივნენ.

– კონსტანტინოპოლის ქართველთა მონასტრის წინამძღვარია, – იცნო სარგის თმოგველმა, – ფრანგებმა რომ ბიზანტიის დედაქალაქი აიღეს და იავარჰყვეს, ქართველთა მონასტერიც დაურბევიათ და გაუძარცვავთ. ჩვენი ბერები იმის იმედად ყოფილან, ბერძნები არ ვართ და ხელს არ გვახლებენო. მაგრამ ჯვაროსნები ოქრო-ვერცხლს იტაცებდნენ და განძის პატრონის ვინაობას როდი ჰკითხულობდნენ. ფრანგ ყაჩაღებს ჩვენი მონასტერიც ერთიანად გაუწმენდიათ, წასაღები წაუღიათ და ბოლოს ქართველთა

სავანისთვისაც ცეცხლი წაუკიდებიათ. წინამძღვარს ძლივს გამოუსწრია და მას აქეთ სულ ჯვაროსნების წყევლა-კრულვაშია. სად არ უჩივლა ფრანგებსა და ვენეციელებს, რომის პაპთან თავისი ფეხით მივიდა, მაგრამ რა სამართალს იპოვიდა, როცა კონსტანტინოპოლის დაპყრობა და მართლმადიდებელი ეკლესიების გამარცვა თვითონ პაპის საიდუმლო დასტურითა და წაქეზებით ყოფილა გადაწყვეტილი.

– შენც გჯერა, სარგის, მაგვარი მკრეხელობა? – იწყინა ცოტნემ.

– მკრეხელობაო? მკრეხელობა კი არა, იმისთანა ჭემმარიტებაა, საეჭვოდ აღარავის მიაჩნია. ამ ბოლოს თვითონ ფრანგი ჯვაროსნებიც თავს იმით იმართლებენ, რომ პაპის რჩევითა და ლოცვა-კურთხევით გადავდგით ეს ნაბიჯიო.

ცოტნემ უნდობლად შეხედა სარგისს და მხრები აიჩეჩა.

– რაც დღე ბერძნებს გაუთენეს, საქართველოსაც იმას უმზადებენ პეტრეს ტაძრის მოციქულები. ჯერ ნებით უნდათ ჩვენი ჩათრევა ჯვაროსნობაში, მერე ვითომ სამოყვროდ მოსულები თბილისში რომ შემოვლენ, ჩვენი სიმდიდრის ცქერას ვერ გაუძლებენ და რაც კონსტანტინოპოლს უყვეს, უარესს ჩვენ გვიზამენ – გაგვმარცვავენ და დაგვარბევენ, გადაგვბუგავენ და მონად გაგვხდიან, – ბერმა სული მოითქვა და ახალი გზნებით განაგრძო: – ახლა, რაც ქვეყნიერებაზე შფოთი და ბოროტება ხდება, ყველა რომის პაპის დათესილია. ამ ახალ უმძიმეს დანაშაულშიაც რომის პაპის ხელი ურევია. ეს მან აღძრა დასავლეთის მორწმუნე ბალები ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. უასაკო და უიარალო ყრმები იერუსალიმს როგორ აიღებდნენ, როცა სარკინოზებს თავითფხამდე რკინით შეჭედილი რაინდები ვერაფერს აკლებენ, პაპმა ინოკენტიმ კარგად იცოდა ამ ლაშქრობის დანაშაულებრივი უაზრობა, მაგრამ ანგარსა და ვერცხლის მოყვარეს ოცდაათათასი უმანკო ყმაწვილის დაღუპვაც ისევე ჩალად უღირდა, როგორც ერთმორწმუნე ბერძნებზე ქრისტიანი ფრანგების მისევა და მართლმადიდებელი ეკლესიების დანგრევა. სწორედ რომის ვერაგმა მეთაურმა აღუთქვა წმინდა ეტიენსა და მის უცოდველ ლაშქარს, რომ მათ ფეხქვეშ ზღვა პირს გახსნიდა და ხმელეთზე გაატარებდა. მერე, როცა ეს სასწაული ვერ მოახდინა, ნორჩი ჯვაროსნები მეკობრეთა ხომალდებით წაასხა და დაღუპა კიდევაც.

– ტყუის ეგ ღვთის პირისაგან შეჩვენებული, რომის პაპს არც სასწაული აღუთქვამს, არც მეკობრეებისათვის მიუცია წმინდა ყრმები – იყვირა ხალხიდან ვიღაც მოხუცმა და მუშტებშემართული დაიდრა მოქადაგე ბერისკენ.

– აცალე, თქვას.

– ნუ უშლი, ილაპარაკოს!

აგუგუნდნენ ქადაგებისგან გახელებული, აღგზნებული მსმენელები.

– არ ვაცლი ღვთის გმობასა და უწმინდესი პაპის აუგად ხსენებას, – იყვირა ისევ იმ მოხუცმა, ხალხის ჯგლეთაში გზა ძალისძალით გაიკვლია და კვარცხლბეკზე ავარდა.

– იცანი? ქართველ კათოლიკეთა პატრიარქია, პატრი ჯოვანო, – გადაულაპარაკა სარგისმა ბექას.

– ჰო, ის არი. ჩვენთან მინახავს ციხისჯვარში, – დაუქნია თავი ბექამ.

ჭაბუკებმა წინ წაიწიეს და ფეხის წვერებზე შედგნენ, რომ სეირისთვის კარგად ეყურებინათ, – აი, ეს არის უწმინდური პაპის ბინძური კუდი, – აყვირდა კონსტანტინოპოლელი წინამძღვარი და ხელი მუშტებამართული პატრისკენ გაიშვირა, – ეს ქადაგებს რომის ეკლესიასთან ქართველთა შეერთებას და საქართველოსაც ისეთსავე ბედს უმზადებს, როგორც საბერძნეთს ეწია. თქვი, იუდა, რამდენ ვერცხლად გაყიდე შენი სამშობლო და ქრისტეს სჯული!..

– თავად ხარ იუდაცა და ბელზებელიც! – შესძახა პატრმა, მოხუცს ანაფორაში სწვდა და დაითრია. უღონო წინამძღვარი წაბარბაცდა და დაეცა. მაშინვე იქ მყოფი ბერები და ხუცეები წამოეშველნენ და პატრს მიესივნენ. ცოტა რომ ეცლიათ, გაბდღვნიდნენ უბედურს, მაგრამ თავის მხრივ პატრსაც გამოუჩნდნენ ქომაგები და შეიქნა ერთი ზედახორა. სცემდნენ, თმაწვერს გლეჯდნენ, ტანსაცმელს ახევდნენ ერთმანეთს საღვთო გზნებით გონებადაბნელებული ხუცესები. ხელჩართულ ჩხუბში ნელ-ნელა სეირის მაყურებლებიც ჩაებნენ და მთელი მოედანი აჩოჩქოლდა, ზღვასავით აღელდა და შეტორტმანდა.

– წავიდეთ. აქ კარგი არაფერი მოხდება, – მკლავში ხელი წაავლო ბექამ ცოტნეს და ჭაბუკებმა შენივთებული ბრძოლიდან მხრის გასატანად გაიწიეს.

ძლივს მიიკვლევდნენ გზას.

ფუტკარივით ერთ ადგილას მისეულ მოჩხუბრებს გასცდნენ თუ არა, მოედანზე ოთხივ კუთხიდან ცხენოსნები შემოიჭრნენ.

– ხელმწიფის სახელით, გიბრძანებთ, დაიშალებით! – დაიძახა რაზმის მეთაურმა და მათრახებშემართული ცხენოსნები მოჩხუბრებს გარს შემოადგნენ. ჭაბუკები აჩქარებული ნაბიჯით მიდიოდნენ.

– ჩემსას შევიდეთ, ვივახშმოთ, – მიმართა მეგობრებს ბექამ, ციხისჯვარელების სახლს რომ მიუახლოვდნენ.

ბევრი თავპატიჟი არ დაუდვიათ. ვაზირის სახლის კარი მსახურმა გაუღო და წინ ხუთიოდე წლის გოგონა გამოეგებათ.

– ბექა მოსულა, დედი... სტუმრები მოსულან! – აყვირდა გოგონა და ბექას კისერზე ჩამოეკიდა.

– რა გაყვირებს, დედას რათ აწუხებ, დიასახლისი შენა ხარ და თვითონ დატრიალდი, – მოეხვია ბექა.

– ეს ჩემი ბიძაშვილი კრავაი გახლავთ, ჩვენი სახლისა და გვარის თვალი, – გააცნო ბექამ სტუმრებს ხელში აყვანილი ბავშვი. – ეს კიდევ კრავაის გამდლის ქმარი და მამაჩემის სახლთუხუცესია – აბიათარი.

სტუმრები აბიათარს მიესალმნენ, კრავაის მიუალერსეს და გოგონამ ცოტნესკენ გაიწია.

– ოჰო, მოეწონე, ბედი გაქვს! – გაიცინა ბექამ და კრავაი ცოტნეს გადაულოცა.

მონგოლივით თვალმიწურვილი კრავაი დიდი ხნის შეჩვეულსავით მიეკრა ცოტნეს და გაიყურსა.

– შენ ლა გქვია? – ეკითხება სავარძელში ჩასვენებულ ცოტნეს მის მუხლებზე წამოსკუპებული კრავაი.

– ამას მგელი ჰქვია და შენნაირ კრავებსა სჭამს, კრავაი, – აშინებს სარგისი და იცინის.

– შენ ბავშვს შურით ნუ მიფრთხობ, – ბრაზობს ცოტნე და კრავაის ენის ჩლეკით ეუბნება, – მე ლა მქვია? მე ცოტნე ვალ.

– მატყუებ... მატყუებ, – თავს იქნევს კრავაი, – ამოდენა ცოტნე გაგონილა? ცოტნემ გაცვებით შეხედა მეგობრებს.

– აბა ცოტნე რამოდენა უნდა?

– ცოტნე პატალა უნდა იყოს, სულ ცოტა და პაწია...

– ჰოდა, როცა მეც შენსავით სულ ცოტა ვიყავი, ეს სახელი მაშინ დამარქვეს. კრავაი იცინის და არ სჯერა.

დარბაზში შაოსანი მანდილოსანი შემოდის.

სტუმრები ფეხზე წამომდგარი ესალმებიან.

– წამოდი, შვილო, ნუ აწუხებ სტუმრებს, – ეუბნება დედა, კრავაის ძალით ამორებს ცოტნეს და გულდაწყვეტილი გოგონა ოთახიდან გაჰყავს.

უკვე შეზარხოშებული უსხედან სუფრას ჭაბუკები.

– ტყუილად ტრაბახობენ ეგ ფრანგები, მაგათ არც განათლება ჰქონიათ და არც ხელოვნების ფასი სცოდნიათ, კონსტანტინოპოლიდან ნემსი რა არი, ნემსიც არ დაუტოვებიათ წაუღებელი, მაგრამ ის, რასაც ფულად ვერ აქცევდნენ, იქვე დაუღეწიათ და მოუსპიათ. ასე დაუმსხვრევიათ ძველ ბერძენ ოსტატთა ხელთუქმნელი ქანდაკებები. ჩემი აზრით, ეს გაცილებით უფრო დიდი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე, ვიდრე ეკლესიების მარცვა და სასახლეების დარბევა, – აღშფოთებით თქვა სარგის თმოგველმა და ღვინო მოსვა.

– შენგან არ მიკვირს, სარგის? – გაიცინა ბექამ, – მარმარილოს უზარმაზარ ქანდაკებებს თან რომ ვერ წაიღებდნენ და ან რათ უნდა წაეღოთ, როცა იმ ქანდაკებების წონა ოქრო-ვერცხლის შოვნა ყველას შეეძლო, ვისაც შნო და ლაზათი ჰქონდა.

– არც სულ ეგრე უნდა ყოფილიყო, სარგის, – შენიშნა ცოტნემ, – ვენეციის დოჟს დანდოლოს ლისიპეს განთქმული ქანდაკება მოუხსნია კონსტანტინოპოლის იპოდრომიდან, ხომალდით გაუგზავნია და თავიანთ სატახტოში წმინდა მარკოზის მოედანზე აგებულ ულამაზეს სასახლეზე აღუმართვინებია.

– მე დოჟების განათლებაზე როდი ვლაპარაკობდი, ცოტნე, დოჟი და მეფე ყველგან სხვაზე განათლებულიც უნდა იყოს და მცოდნეც. მე საშოვარს დახარბებულ ფრანგთა ბრბოზე ვამბობდი, კონსტანტინოპოლს

ბარბაროსებივით რომ შეესივნენ და ყველაფერი, რის წაღებაც არ შეეძლოთ, ფერფლად ან ნამსხვრევებად აქციეს.

– განათლებით მარტო ფრანგი რაინდები კი არა, რომის ეკლესიის მსახურნიც ვერ დაიკვებინან, თურმე. აგერ რამდენი ხანია კონსტანტინოპოლი დაიპყრეს, მაგრამ ვერ იქნა და იქაური მორწმუნენი კათოლიკობაზე ვერ მოაქციეს. დღემდე საჯარო პაექრობასა და ღვთისმეტყველთა კამათში გამარჯვებულნი მუდამ ბიზანტიელები გამოდიან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი თავიანთ რომაელ «განმანათლებლებზე» უფრო განათლებულნიც არიან და საღვთო წერილის უფრო ღრმად მცოდნენიც.

– საღვთისმეტყველო პაექრობაში ბერძენ სამღვდელითა წარმატების საფუძველი მარტო მათი განათლება როდია, ბეჟა, ბერძენმა ხალხმა თავისი თვალთ დაინახა, რა ქრისტეს მცნების დამცველებიც არიან რომის ეკლესიის მსახურნი. არა იპარო და არა კაც კლაო, გვიქადაგა მაცხოვარმა. რომის ეკლესიის მსახურებმა ქრისტეს ტაძრები გაქურდეს და უამრავი მართლმორწმუნე ქრისტიანი გაჟლიტეს, სრულიად უმიზეზოდ და უდანაშაულოდ. ამის შემდეგ იმ ბოროტების ჩამდენთა ქადაგებას ბერძენ მორწმუნეთა შორის რაღა ფასი და გავლენა უნდა ჰქონდეს. ბუნებრივია, რომ ბიზანტიელთა მრევლი თავიანთი ხუცესების მხარეზე დგას და რომის კათოლიკე ეკლესიის ვერაგი მეთაურების სიწმინდისა და სიმართლისა აღარ სჯერა.

ქაბუკებმა ჭიქები ერთიმეორეს მიუჯახუნეს, უსიტყვოდ ასწიეს და დაცალეს.

– მე არც რომის პაპის ვერაგობა მაკვირვებს, არც ჯვაროსნების სიხარბე და ანგარება. ისინიც სხვებივით ადამიანები არიან და ცოდვა და ცთომილება მათაც ისევე ერევათ, როგორც ყველას. მე უფრო უფლისა მიკვირს – მაცხოვრის. ნუთუ ქრისტეს შეეძლო ეცდუნებინა უცოდველი ყრმა – წმინდა ეტიენი, ნუთუ ამაო აღთქმა მისცა და მერე თვითონვე უარჰყო იმ აღთქმის შესრულება?! ხმამაღლა იკითხა ფიქრში წასულმა ცოტნემ და თვალი ღვინოს დააშტერა.

– ადამიანის ბევრი უგნურობა ხშირად ბრალდება ღმერთს, – განმარტა სარგისმა, – და იქნებ მართალი ახსნაც არის, რადგან ღვთის უნებურად არც რამ კეთილი ხდება ამ ქვეყნად და არც რამ ბოროტი. რაკი სარწმუნოება იმას გვიქადაგებს, რომ მიზეზთა მიზეზი და დასაბამთა დასაბამი ღმერთია, ჩვენც, სასოწარკვეთილების ჟამს, ყველა უბედურებისათვის ღმერთსა ვთხოვთ პასუხს. ყოველგვარი უსამართლობა ჭეშმარიტ მორწმუნეს ჩვენს მიერვე ჩადენილ ცოდვათათვის მოვლენილ ღვთის რისხვად ესახება და ეს გონივრული განსჯა არის. მაგრამ საკმაოა ღვთის რისხვა დაუმსახურებლად დაატყდეს მართალსა და უცოდველ ადამიანს, რომ ჩვენი გონება ჩიხში მოექცეს, მიზეზისა და შედეგის კავშირი ვერ იპოვოს და წონასწორობა დაკარგულებმა ღმერთი ვგმობთ, უარვყოთ ის, რაც თვითონვე არის ნუგეში და გამართლება ყველა განსაცდელისა და უბედურების. ჩვენ ახლა ოცდაათი

ათასი უცოდველი ყრმის – ეტიენის ჯვაროსნების უსამართლო დაღუპვა გვაშფოთებს, მაგრამ განა თუნდაც ერთი უმანკო ბაღლის სიკვდილი საერთოდ სამართლიანია? აი, ახლა ჩვენ რომ აქ ვსხედვართ და ღვინოს შევექცევით, ამ წუთს, რამდენი უცოდველი ბავშვი კვდება დედამიწის ზურგზე – უსამართლოდ და მიზეზის აუხსნელად. მერე ვინ არის ამ უსამართლობისათვის პასუხისმგებელი? ან რა პასუხის მოთხოვნა შეგვიძლია ჩვენ უბრალო მოკვდავთ მისგან, ვინც თვითონ არის უკვდავი, ჩვენთვის უხილავი და გონებით მიუწვდომელი.

ცოტნეს თავისი პატარა დაიკო გაახსენდა. აღარ ეგონა, თუ ისევ დაისმებოდა მისთვის ის კითხვები, რომლის პასუხი თითქოს ერთხელ უკვე იპოვა, როცა ავადმყოფმა შერგილისა და ივლიანე მოძღვრის საუბარი მოისმინა უფლის მიერ წმინდა იობის გამოცდაზე.

წამწამზე ცრემლი დაეკიდა ცოტნეს და ის იყო, კინაღამ ქვითინი წასკდა, რომ თორღვა პანკელმა სიმღერა წამოიწყო:

– ცხოვრება ჩალად არა ღირს.

ერთ ლამაზ ქალად არა ღირს...

– აი, ღმერთმა მაგის მთქმელი გაახაროს! დავეხსნათ სხვაგან სიბრძნის ძებნას, ბიჭებო, რადგან ბრძენი მხოლოდ ის არის, ვინც ღვინისა და ქალის ფასი იცის, ვინც ეს სიმღერა მოიგონა და ვინცა თქვა, ჭეშმარიტება ღვინოშიაო. ჩვენი გამარჯვებისა იყოს! – ასწია ბექამ თავი და დანარჩენებიც უსიტყვოდ დაეწაფნენ სასმელს.

დილას გვიან გაელვია ცოტნეს.

კარგა შემადლებული მზე სარკმელს მოდგომოდა.

თავი უხურდა ნაღვინევს.

თვალის გახელამდე ერთი დაამთქნარა და ნებივრად გაიზმორა. მოქნეული ხელი ვიდაცის შიშველ სხეულზე დაეცა და ცოტნემ და მის გვერდით მძინარმა ქალმა ერთდროულად გაახილეს თვალი.

ცოტნე გაკვირვებული მიაჩერდა ბედნიერი ღიმილით სახეგანათებულ ქალს. წუხანდელი ღამე უამური სიზმარივით გაიხსენა, ზოგი რამ კიდევ ახსოვდა ბუნდოვნად, მაგრამ ვერ იქნა და ის ვერ მოიგონა, აქ როგორ მოვიდა, ან ეს ქალი როგორ გაჩნდა მის საწოლში.

ჯერ კიდევ ძილის ბურანიდან გამოუსვლელმა ქალმა საბანი გადაიგდო და შიშველი მკლავები გაშალა.

სავსე მკერდზე, ძუძუებს შორის დაცემულ პატარა ჩრდილში ოქროს გრძელ ძეწკვზე დაკიდებული ჯვარი ესვენა.

ცოტნემ დანახვისთანავე იცნო ჯვარი.

– ასპასია?

– ჰო, გენაცვალე, ასპასია ვარ, – უპასუხა ქალმა, მკლავები შემოაჭდო და ზედ მიეკრა.

– აქ საიდან გაჩნდი, ან სადა ვართ, თუ იცი? – იკითხა საგონებელში ჩავარდნილმა ცოტნემ.

ქალმა პასუხი არ გასცა, კიდევ უფრო მიეხუტა და ყელყური დაუკოცნა.

ცოტნემ წამით ქალის პერანგს დაადგა თვალი. პერანგი ჭუჭყიანი იყო.

უსიამოდ გააჟრჟოლა და თვალი უნებურად მოავლო იქაურობას: უსუფთაო ოთახი უგემოვნოდ იყო გაწყობილი. ქალის კაბა, წინდები, ფეხსაცმელები, ცოტნეს ტანისამოსი უწესრიგოდ ეყარა სკამებზე და იატაკზე.

შეეხარა თავისი თავი ცოტნეს. რაღაც დაენანა და გული დაწყდა.

შემოჭდობილი ქალის ხელი ფრთხილად მოიცილა, წამოდგა და ჩაცმა დაიწყო.

– ჯერ ნუ წახვალ, ცოტნე, ჯერ ადრეა, ცოტა ხანს კიდევ დარჩი! – ეხვეწებოდა ასპასია და ვაჟისკენ იწევდა.

– მაშ, შენ ახლა ამით ცხოვრობ?

– ამით ვცხოვრობ, ცოტნე ბატონო... გებრალეები?

– მებრალეები. – ძლივს გამოსცრა ცოტნემ.

– ჰოდა, თუ გებრალეები, ნუ მიმატოვებ... ახლა მაინც მიპატრონე, თან წამიყვანე, მოახლედ დამიყენე, შენი ხმალი მაწმენდინე... – ასპასია წელზე მოეხვია ცოტნეს.

ვაჟმა ქალის ხელები ისევ მოიშორა.

– ამ ჯვარს ხომ იცნობ, შენს ნაჩუქარ ჯვარს, იმ დღეს ოდიშში რომ გეხვეწე და არ წამიყვანე, როგორც კი მამაშენის მამულებს გავცდით, ფაკირმა წამართვა. არც ხვეწნამ გასჭრა, არც ტირილმა და მუქარამ. მაინც ვერ შევურიგდი ჯვრის წართმევას, დრო ვიხელთე, მოვიპარე და გავიქეცი. რა გაჭირვება არ გამოვიარე, რა განსაცდელი არ გამოვცადე, მაგრამ ამ ჯვარს ვერ შეველიე.

– ჯვარის კი არა, სულის გაყიდვა სჯობდა ასე დაცემას და შერცხვენას.

– მართალია, ცოტნე, მაგრამ უღონო ვიყავი და უპატრონო. ვისაც მივეკედლე, ყველა თავის ჟინს იკლავდა და ზურგს მაქცევდა. გზის წარმმართველი არავინ მყავდა და ჩემმა ჭკუამ უკეთ ვერ გასჭრა. ერთი იმედი სულ მქონდა, რატომღაც მჯეროდა, რომ შენ მოხვიდოდი და დაცემულს აღმადგენდი, ამ ჭუჭყიდან და ლაფიდან ამომიყვანდი და სწორ გზაზე დამაყენებდი.

ასპასია ქვითინით, სლუკუნ-სლუკუნით ყვებოდა თავის უბედურებას. ცოტნე მოაღბო უპატრონო, გზააზნეული ქალის გულწრფელმა აღსარებამ. შეებრალა ცხოვრების უკუღმართობისაგან გაქელილი, ცოდვისაგან დაღდასმული, მაგრამ ჯერ კიდევ უზომოდ ლამაზი ასპასია.

– შენ რომ მაშინ ჩემი თავი გამოგესყიდა და შინ მსახურად წაგეყვანე, ბედნიერი ქალი ვიქნებოდი...

ცოტნეს თავადაც ბევრჯერ უფიქრია ამაზე, რამდენჯერ ასპასია გაახსენდებოდა, თავისთავს საყვედურით ავსებდა, რატომ არ ვუშველე უბედურ გოგოსო.

ახლა, როცა ასპასიამ ხმამაღლა, თავის მხრივ გაუმეორა ეს საყვედური, ღვთისნიერმა ჭაბუკმა საკუთარი წილიც დაინახა ასპასიას დაცემაში.

დანაშაულის გამოსყიდვა, სიკეთით ცოდვის მონანიება მოუნდა და რომ არაფერი შეეძლო, ამის გაფიქრებამ შეაწუხა. თვალი უნუგეშოდ მოავლო აქაურობას და ის იყო მხრები უღონოდ უნდა ჩამოეყარა, რომ რაღაც გაახსენდა.

გამოცოცხლებულმა ჯიბეში ჩაიყო ხელი.

ფულის სავსე ქისა იქვე დახვდა. გაიხარა.

ამოიღო და ასპასიას სასთუმალთან დაუდო.

– იმდენია, შენს სიცოცხლეში გეყოფა, მოიხმარე, ოღონდ აქ ნულარ დარჩები და პატიოსნების გზა მონახე, – თავაულებლად ამბობდა ცოტნე და ქალისკენ პირს არ იბრუნებდა, რომ მაცდუნებლად სავსე ასპასიას შიშველი მკერდისკენ თვალი არ გაქცეოდა.

ქალმა ქისა გახსნა.

უამრავი ოქროს დანახვაზე თვალი კინაღამ დაუბნელდა.

ქისას მაშინვე თავი მოუკრა და აღტაცებულმა გულში ჩაიკრა, მერე ისევ ცოტნეს მოხედა დაეჭვებულმა.

– სულ ჩემია?

– სულ შენი იყოს, ოღონდ აქაურობას გაეცალე! – ზიზღით თქვა ცოტნემ და ქამარ-ხანჯალი შემოირტყა.

ასპასიამ ქისა ლეიბქვემ ამოსდო, ლოგინიდან წამოხტა და უკვე კარისკენ წასულ ცოტნეს წამოეწია, ფეხებზე მოეხვია და მუხლები დაუკოცნა.

ცოტნეს გული კინაღამ აუჩუყდა, მაგრამ თავს დასძლია, ასპასია მოიშორა და კარში შურდულივით გავარდა.

კი არ მიდიოდა, უკანმოუხედავად მირბოდა ოდიშის მთავრის მემკვიდრე.

კიბესთან ხნიერმა დედაკაცმა შეაჩერა.

ცოტნემ ჯიბეზე ხელი გაიკრა, რამდენიმე ოქრო კიდეც იპოვა, დაუთვლელად მიუგდო და კიბეზე კისრისტეხით დაეშვა.

მეორე დღეც ქეიფში დაალამა და გაათენა. თითქოს საგანგებოდ მიეწყო მიზეზი მიზეზს, თავშეყრისა და დროსტარების საბაზი არ ილეოდა და ცოტნე, რომ იტყვიან, ლამის ხელს გადაჰყვა.

გაბმით სმასა და ლხინში ერთმა კვირამ ერთი წამივით გაირბინა. ნასვამ ცოტნეს ხან სად ეღვიძებოდა და ხან სად. დილით ლამის თავგადანახადს რომ იხსენებდა, თავისთავი ეზარებოდა, გულში აღთქმას სდებდა, მემთვრალეობა და სმა მოეშალა, ტოლ-სწორებს აღარ შეხვედროდა და საქეიფოდ აღარ წასულიყო. მაგრამ ტოლები თვითონ აკითხავდნენ აქეთ, ძალდაუტანებლად, თითქოს თავისთავად, საუბარიცა და გართობაც ბუნებრივი დაბოლოებით – სუფრითა და ნადიმით თავდებოდა და ცოტნე ვერასოდეს ვერ გრძნობდა იმ წუთის დადგომას, როცა წინააღმდეგობა უნდა გაეწია – დაღევაზე და სუფრად დაჯდომაზე უარი უნდა ეთქვა.

ასე ყოველდღე შეხვედრასა და დროსტარებაში დაახლოებულ თანამოასაკეთა წრე ფართოვდებოდა, მეგობრობა მტკიცდებოდა და ზოგჯერ



დილით გაღვიძებულ ცოტნეს ნაშუადამევს გაყრილი ძმაკაცები მთელი წლის უნახავებზე მოენატრებოდა ხოლმე.

ვინ იცის, ასე როდემდე გაგრძელდებოდა, რომ ერთ დღეს სარგის თმოგველს არ გამოეცხადებინა:

– გასრულდა ჩემი ბაირამი. ხვალ ანტიოქიას მივემგზავრები.

– დიდი ხნით, სარგის?

– ერთი წლით მაინც. იქ ჩემი მასწავლებელი ფილოსოფოსი მოღვაწეობს, რამდენჯერ ვთხოვე ჩასვლის ნებართვა, მაგრამ დასტური არ შემომითვალა, ხმელთაშუა ზღვაზე არეულობა იყო, მუსულმანები და ჯვაროსნები ერთიმეორეს ასწრებდნენ მგზავრებზე თავდასხმასა და მათ გამარცხას. თავად ანტიოქიაც ხელიდან ხელში გადადიოდა და იქ წასვლა საშიში იყო. ახლა, როგორც იქნა, დაწყნარდა იქაურობა და მოძღვარმა სწავლად მომიწოდა.

– წადი, სარგის, ჩვენი აყოლა არას გარგებს! – ხელჩაქნევით თქვა ბექამ, – მეც საქმეს უნდა ვეწიო... ომი მაინც დაეწყო სადმე მეფეს, მამაჩემს გავეყვებოდი და საბრძოლო ნათლობას მივიღებდი.

– ომს, ალბათ, ერთხანს ვერ დაიწყებს ხელმწიფე, ჯერ გვირგვინოსანი დედის გლოვა არ დაუსრულებია.

– მართალია, სარგის, ჯერ წლისთავი არ გადაუხდია ლაშას და თუმცა გული, ალბათ, საომრად მიუწევს, თავისი სახელით ჯერ ომი არ გამოუცხადებია. მე ბალღობიდან ხმალი და ცხენი შევიყვარე და სიკვდილამდე ამ არჩევანს ვეღარ გავექცევი. მხედრის სიხარული ომი და მტრის რბევაც, მშვიდობიანი ცხოვრებით მარტო ხმალს კი არ ეკიდება ჟანგი, რაინდის გულსაც ჯავრი და მოწყენა სჭამს. ამ მხრივ შენ ბედნიერი ხარ, სარგის, კარგ წიგნსა და განათლებულ მოსაუბრეს სადაც იპოვი, ყველგან მოილხენ. ახლაც, აგერ ანტიოქიას მიემურები, იქ ფილოსოფოსებს გარდა, ალბათ, არაბ და ფრანგ მგოსნებსაც გაიცნობ.

– მაგის იმედი მაქვს, ბექა, ჯვაროსან მეფეებს თავიანთი მგოსნებიც თან ახლავთ თურმე...

– ჰოდა, აშენებულხარ კაცი. შენს იქ ყოფნაში ჩვენც სულ უქმად არ ვისხდებით და, ალბათ, რამდენიმე ომს გადავიხდით, თუმცა შენთან ვერც ომით დაიტრაბახებს კაცი, როცა გჭირდება, ხმალსაც არ ხმარობ სხვაზე ნაკლებად.

– რას იზამ, ბექა, მოსვენებული ცხოვრება ახლა აღარავისა აქვს. მონასტრის სენაკშიც რომ ჩაიკეტო, ქვეყანა როცა არეულია, მტერი იქაც მოგძებნის და შენ თუ არ დაასწარი, ის დაგასწრებს და მოგკლავს. ასე არ არის, ცოტნე?

– აგრეა, სამწუხაროდ.

– სწორედ რომ აგრეა და ეს შენ ჩვენზე კარგად უნდა იცოდე. შენ, მგონი, სამონასტრო ცხოვრებისათვის ემზადებოდი, ცოტნე?

– ჰო, ადრე ეგრე ვფიქრობდი.

– ახლა ბერად აღარ ივარგებ, ცოტნე ჩემო, რაც ჩვენ გადაგვეყარე...

ცოტნე წამოწითლდა.

– მამის დაბრმავებამ გზაკვალი ამირია. მამულს პატრონობა უნდა, სამთავროს მართვა და ხეიბარ მშობელს მიხედვა, – თავი იმართლა დარცხვენილმა ცოტნემ.

– სწორია, ცოტნე, შენც ჩემსავით მამის გზას უნდა შეუდგე, მამულს მოვუაროთ, მეფეს ვემსახუროთ და საქართველოს მტრებს დედა ვუტიროთ. ახლა, ხომ ხედავ, რომის პაპი რომ რომის პაპია, ისიც მტრის ჟღერას ქადაგებს და კანონისგან დევნილ კაცის მკვლელებსაც კი ცოდვებისგან ათავისუფლებს, ოღონდ ჯვაროსნობა მიიღონ და იერუსალიმზე ილაშქრონ. წინასწარმეტყველთა მცნება აღარც ქრისტიანს ახსოვს და აღარც მუსულმანს. ყველა თავის ქვეყნისა და პირადი სარგებლობისათვის ეფარება რჯულსა და სარწმუნოებას და ჩვენ რატომ არ უნდა ვიფიქროთ ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო გაძლიერებაზე.

– აკი ვფიქრობთ, ბექა! სწავლას არ ვიკლებთ და გარჯას, რომ სამშობლოს სამსახურისთვის უკეთ მოვემზადოთ.

– სამშობლოსა და ტახტის უკეთ სამსახურისათვის ჩვენს ფიქრსა და ზრუნვას გაუმარჯოს! – ასწია ბექამ სასმისი.

მეგობრებმა იმ დღეს არაერთხელ შეჰფიცეს ერთმანეთს ერთგულება, სარგის თმოგველს შორი გზა დაულოცეს და გარიჟრაჟზე გაიყარნენ.

იმ დღესაც გვიან ადგა ცოტნე.

აბანოში იბანა და მექისეს ტანი დააზელინა. სიმთვრალისაგან გამოყოლილმა თავის ტკივილმა და უგუნებობამ ერთბაშად გაუარა. სხეულში საოცარი სიმსუბუქე იგრძნო და ხელახლა დაუბრუნდა გამოუძინებლობითა და ნასვამობით დაკარგული ხალისი.

ის იყო შინიდან გასვლა დააპირა, რომ მეფის შიკრიკი მოუვიდა.

ხელმწიფე სასახლეში იბარებდა.

ცოტნე სადარბაზოდ გამოეწყო. როგორც მგლოვიარე ნათლულს შეეფერებოდა, შავი კაბა ჩაიცვა, გიშრით შავად გაწყობილი ქამარ-ხანჯალი აისხა და მეფეს ეახლა.

მეფე დამწუხრებული შეხვდა. ნათესავურად მოიკითხა, მსახურთ მცირე ტაბლა მოაღებინა და ცოტნე გვერდით დაისვა.

– ამ დღეებში ჩვენი უნეტარესი დედისა და მეფეთამეფის წლისთავი გვექნება. იმედია, ჩვენთან ერთად იგლოვებ და ხელსაც გაუხსნი შენს დიდ ნათლიას.

– აქ რომ არ ვყოფილიყავი, საგანგებოდ უნდა ჩამოვსულიყავი ჩემი გვირგვინოსანი ნათლიის წლისთავზე, მეფევ ბატონო! ჩემს თვალზე ხომ ცრემლი არ შრება, მაგრამ კვირა ისე არ გავა, დედისაგან წიგნი არ მომივიდეს, ის წიგნებიც ცრემლით არის დალტობილი და მარტო ჩვენი სახლი კი არა, მთელი ოდიში და სრულიად ლიხთ-იმერეთი უნუგემო მწუხარებაშია ჩავარდნილი.

– ვიცი, ცოტნე! ვიცი, როგორი წრფელი გულით უყვარდა ნეტარი დედაჩვენი თქვენს ოჯახს. ისიც ვიცი, რომ მისმა სიკვდილმა მარტო საქართველოს კი არა, მთელს საქრისტიანოს წარუწირა იმედი ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრებისა. მაგრამ სულ ცრემლის ფრქვევა და სიმძიმე არც ჩვენს ქვეყანას არგებს და ღვთივგვირგვინოსანი დედაჩვენის ანდერძის საწინააღმდეგოც იქნება. შენ, ალბათ, იცი დედოფალთდედოფლისა და მესიის მახვილის უკანასკნელი სურვილი – იერუსალიმს წავასვენოთ მისი ნეშტი და ქართველთა ჯვრის მონასტერში მივაბაროთ წმინდა მიწას.

– მსმენია, ხელმწიფე, ჯერ თვით გვირგვინოსნისგან და მერე მეფის დისა და ვაზირებისაგან.

– დედაჩვენის სურვილი მარტო ჩვენთვის კი არა, სრულიად საქართველოს შვიდთავ სამეფოს ყოველი მკვიდრისათვის სავალდებულო კანონია და ჩვენი ვალია, ვიზრუნოთ მისი აღსრულებისათვის. მძიმე ტვირთი მარგუნა განგებამ, დავიცვა და განვაგრძო დიდი თამარისაგან გაძლიერებული საქართველოს სამეფოს სიმდიდრე და ხელუხლებლობა. ვერ შემძლებელ ვიქნები ამ მაღალი ვალის შესრულებად, თუ ხელს არ გამიმართავს თანადგომა შვიდთავ სამეფოს ერისთავთერისთავთა და მთავართა, ერთნებაობა ნეტარი დედაჩვენის სასურველ ვაზირთა და თანაგამზრახთა, – მეფე ერთხანს შეეყოვნდა, ეტყობა, ფიქრმა წაიღო. მერე უცებ გამოცოცხლდა და ცოტნეს მისთვის მოულოდნელი კითხვით მიმართა, – ზღვა თუ გიყვარს, ბატონიშვილო?

უადგილო კითხვამ კინაღამ დააბნია ცოტნე, მაგრამ ზღვის ხსენებამ თავისი საყვარელი ოდიში დაუყენა თვალწინ და გახალისდა ჭაბუკი.

– ზღვა თავზე მეტად, სიცოცხლეზე მეტად მიყვარს, ხელმწიფე.

– ცურვა?

– თევზსაც არ ეყვარება ჩემსავით ცურვა და წყალში ყოფნა.

– ნაოსნობა? ნაოსნობა თუ იცი? – გახალისდა მეფეც.

– მთელი დღე რომ ნიჩაბი ვუსვა, არ დავიღლები და არც მომწყინდება. რომ გამიშვა, კონსტანტინოპოლში ჩავალ ნავით, – აღფრთოვანდა მეფის აყოლით წათამამებული ცოტნე.

– დიდი გემით თუ გივლია, ან საომარი ხომალდები თუ გინახავს?

– მივლია, ხელმწიფე. საომარ ხომალდზეც ვყოფილვარ, მაგრამ ყრმა ვიყავი და საჭეს არ მანდობდნენ მართვის უმეცარს.

– ზღვაზე ომი გინახავს?

– არა, მეფე, სად ვნახავდი! ჩვენს ზღვაში უცხო ხომალდები საომრად არასოდეს შემოსულან და ან კი ვისთან უნდა ეომათ? ჩვენს მეფეს სამხედრო ხომალდები არ გააჩნდა და ჩვენს ზღვაზე ბერძენთა და ვენეციელთა გალერები ბატონობდნენ.

– მართალია, ცოტნე. ჩვენს სამეფოს დღემდე საომარი ხომალდები არ გააჩნდა და არც იყო ამის საჭიროება, – მეფე ისევ ჩაფიქრდა, რაღაცის თქმა დააპირა, მერე გადაიფიქრა და ადრინდელ ნათქვამს დაუბრუნდა, – შენ ის თუ

იცი, ცოტნე, რომ ბერძენთა საუკეთესო ზღვაოსნები თქვენი მკვიდრნი, ოდიშართა ღვიძლი ლაზები იყვნენ.

– გამიგონია, მეფევ, მამაჩემისაგან.

– სანამ ლაზები ერთგულად ემსახურებოდნენ ბერძენთა იმპერატორებს, დარდანელსა და ბოსფორში სხვათა გემები ცხვირს ვერ ჰყოფდნენ კონსტანტინოპოლის უნებართვოდ. მაგრამ მას შემდეგ, რაც თავგასულმა ბერძენთა მეფეებმა ლაზები და თავიანთ იმპერიაში შემავალი ყველა სხვა ხალხები მოიძულეს და შეავიწროვეს და რაც მეფეთამეფე თამარმა ტრაპიზონის სამეფო შექმნა, ლაზებმა კონსტანტინოპოლს ზურგი აქციეს. ამის შედეგად შენც იცი, რაც მოხდა. ვენეციელებმა ბერძნები ზღვაში იოლად დაამარცხეს, მოშლილი ხომალდები გაუნადგურეს და ბოსფორში თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად შემოცურდნენ... – მეფემ საუბარს ისევ გეზი უცვალა, – ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლში თუ ყოფილხარ?

– არა, მეფევ, როდის ვიქნებოდი.

– არც მე ვყოფილვარ... ნეტარი დედაჩვენი სულ ფიქრობდა ჩემს გამგზავრებას რომსა და ვენეციას, რომის პაპთან და ვენეციის დოჟთან საიდუმლო კავშირის დასამყარებლად. იქიდან იერუსალიმს უნდა ჩავსულიყავი, უხვი შესაწირავი უნდა ჩამეტანა და წმინდა ადგილები უნდა მომელოცნა. ვიდრე ყრმა ვიყავი და იერუსალიმის გზაზე დაუმცხრალი შფოთი იყო, დედამ ჩემი გაშვება ვერ გაბედა, როცა დავჭაბუკდი, თვითონ გამომეცალა ხელიდან. ახლა, როცა მეფე ვარ გვირგვინოსანი, ჩემს სურვილზე და ნებაზე სადღა წავალ. ვენეციასა და რომს წასვლა კი ისევ აუცილებელი იქნება და, ალბათ, უჩემოდ წავლენ ჩემი დესპანები. ამიერიდან მე მხოლოდ მაშინ თუ აღმოვჩნდები იერუსალიმს, როცა ძლევამოსილ ქართველთა ლაშქარს შევუძღვები ქრისტეს ქალაქში და ჩემი ღვთისმოსავი დედის ძვლებს მივაბარებ ქართველთაგან გამომხსნილ წმინდა მიწას.

ოცნებაში წასული მეფე მაღლა იყურებოდა და აღზნებული ლაპარაკობდა, მერე უცებ ცოტნეს მოხედა, ზედმეტი ხომ არა ვთქვი-რამო, გაიფიქრა და მაშინვე დადუმდა.

მცირე დუმილის შემდეგ ლაშამ ოდიშის მთავრის შვილს დაყვავებით გაუღიმა და დამნაშავესავით სცადა ჩამოვარდნილი უხერხულობის გაფანტვა.

– ოცნებამ შორს გამიტაცა და მთავარი სათქმელი უთქმელი დამრჩა. დიდი თამარის წლისთავის შემდეგ ოდიშს უნდა ვესტუმრო, რახანია, მამაშენის, შერგილის ნახვა მინდა და ვერ იქნა, ვერ მოვიცალე.

– ნუთუ ამ ბედნიერების ღირსს გაგვხდი, ხელმწიფევ! – გაიხარა ცოტნემ.

– დამნაშავე ვარ ოდიშის მთავართან, რომ ამდენ ხანს ვერ ვინახულე ჩვენი ტახტის ერთგულად ნამსახური, თვალისჩინდაკარგული შერგილი. თან ცოტა საქმეც მაქვს ლიხთიმერეთს.

– მარტო ინებებს ხელმწიფე ოდიშს წაბრძანებას თუ მეფის დაცვაზედნიერებს სადადიანოს?

– არა, ახლა მარტო წამოვალ. შეიძლება ორიოდ ვაზირი ვიახლო მხოლოდ.

– მე, ალბათ, ნებას დამრთავს ხელმწიფე, წინასწარ ჩავიდე ოდიშს, მშობლები გავაფრთხილო და მოვამზადო ესოდენ სანატრელი სტუმრის გასამასპინძლებლად.

– არა, სწორედ ეგ არ არი საჭირო. მე ჯერ მგლოვიარე ვარ და საქეიფოდ სიარული არ შემიფერის. ამასაც გავალებ, ნურც ჩვენი დღევანდელი საუბრის თაობაზე დასძრავ სადმე სიტყვას, ნურც ოდიშში ჩვენი სტუმრობის განზრახვას გაანდობ ვისმე.

– ხელმწიფის სიტყვა და სურვილი მისი ერთგული ყმისათვის კანონია, მეფევე. ჩემი ახალგაზრდობის გამო ნუ ეფიქრება მბრძანებელს, მეფის სიტყვას ისე დავიმარხავ გულში, როგორც წმინდა საიდუმლოს.

ლაშა ასადგომად წამოიმართა. ცოტნეც მაშინვე წამოხტა.

– დედოფალთდედოფლის წლისთავზე გნახავ და გამგზავრების დღეს იქ დავთქვამთ.

ხელმწიფემ ხელი გაუწოდა. ცოტნე მეფის ხელს ეამბორა, მუხლზე დაეცა და ეთაყვანა.

ჯერ კიდევ მამალს არ ეყივლა.

დიღმის საზაფხულო სამყოფლიდან ხუთიოდე მსახურის თანხლებით გავიდნენ მეფე, მისი ვაზირები – მხარგრძელი და ახალციხელი და ოდიშის მთავრის ძე.

მეფე წინ მიდიოდა.

ცოტა მოშორებით მეფეს ვაზირები მიჰყვებოდნენ. მხარგრძელსა და ახალციხელს შუაში ჯიშთან ლაფშაზე ამხედრებული ჩია კაცი ჩაეყენებინათ და ხმადაბლა ესაუბრებოდნენ. რაზე ლაპარაკობდნენ, ვერ მიმხვდარიყო მათგან შორიახლო მიმავალი ცოტნე, მხოლოდ კანტიკუნტად გაგონილი სიტყვებით ხვდებოდა, რომ ბერძნულად ბაასობდნენ.

საიდუმლოებით მოცული ეს გამგზავრება ყველაფრით აკვირვებდა ცოტნეს. ჯერ იყო და, ხმა გავრცელდა, მეფე კახეთს მიდის ალავერდობაზეო. ამ ნათქვამის დასაჯერებლად სასახლიდან კახეთისკენ დატვირთული აქლემები და ურმები დაიდრნენ წინასწარ. წინა ღამით სხვადასხვა დროს მოვიდნენ დიღმის სამყოფელში ცოტნე და მეფის ვაზირები და ახლა, ჯერ კიდევ ნანათლები რომ არ იყო, ისე გაუდგნენ გზას.

ეამაყებოდა, სიამეს ჰგვრიდა ოდიშის მთავრის მემკვიდრეს მეფესა და მის სახელოვან ვაზირებთან – მხარგრძელთან და ახალციხელთან მგზავრობა. ხედვად და სმენად იყო ქცეული ჭაბუკი ბატონიშვილი, ცდილობდა კარგად დაჰკვირვებოდა მეფისა და მისი დიდებულების ქცევას. მაგრამ ყველაზე მეტად თავიდანვე მისი ყურადღება იმ ჩია კაცმა მიიპყრო, ახლა, ვაზირებს შორის ჩამდგარი, ბერძნულად რომ ჰყვებოდა რაღაც სასაცილო ამბავს, სხვების გაცინებას არ უცდიდა და, თვითონვე კვდებოდა სიცილით. შავტაიჭოსანი ჩია კაცი გარეგნობით ოდიშარს ჰგავდა, კისკასად იჯდა ცხენზე, სხარტი მიხრამოხრა ჰქონდა და ცოცხალი წვრილი თვალები ეშმაკურად უციმციმებდა.

ვაზირები თავიდანვე ტოლსავით შეხვდნენ ცოტნეს, თავიანთი მეგობარი და თანამებრძოლი – შერგილმთავარი სიყვარულით მოიკითხეს, ზოგი თვითონ უამბეს, ზოგი მას აამბობინეს და უცებ გაიშინაურეს, დაიახლოვეს.

ცოტა რომ გაიარეს, შალვა ახალციხელმა მოხედა, ცხენი გვერდზე გასწია და შუაში ადგილი დაუთმო.

– რატომ ჩამოგვრჩი, დადიანო, დაგვეწიე, ჩვენს სტუმარს თავის ენაზე დაელაპარაკე.

– სი ლაზი რე? – იკითხა ცხენზე სანახევროდ შემობრუნებულმა ჩია ცხენოსანმა და სახე სიხარულით გაუბრწყინდა.

– არა, მე ოდიშარი გახლავარ, სამეგრელოს მთავრის ძე.

– მერე ჩვენი ენა საიდან იცი, ტრაპიზონში ხომ არ გისწავლია?

– არა, ბატონო, მე ჩვენ ენაზე გელაპარაკებით, ლაზური და მეგრული ერთი ენააო, მამაჩემისაგან გამიგონია.

– ქო... ქო... მეც გამიგონია... ერთხელ სანდალებით ვიყავით ხოფაში და სულ ჩვენებურად ლაპარაკობდნენ, – დაუმოწმა ხვიჩამ მეგრულად და მაშინვე, მეფის ვაზირების გასაგონად, ნათქვამი ბერძნულადაც გაიმეორა.

– ხოფა რა არი, შენ ხოფას აღმა ზღვის სანაპირო უნდა ნახო! ფაზისში რომ იქნები, თავი შენს საკუთარ სოფელში, შუაგულ ლაზიკაში გეგონება და მგონი, აღარც იფიქრო იქიდან წასვლა, – სიცილით უთხრა მხარგრძელმა.

– წინ წასული მეფე წამით შეჩერდა, ცხენზე შემობრუნდა და იკითხა:

– ოდიშის მთავრის ძე რა იქნა?

– აქ გახლავარ, ხელმწიფევ! – ყური ცქვიტა ცოტნემ, ცხენს ქუსლი ჰკრა, ვაზირებს გადაასწრო და მეფის შორიახლო შეჩერდა.

– ჩემს მხარდამხარ იარე, სალაპარაკო მაქვს, – ბრძანა მეფემ და ცხენი ადგილიდან დამრა.

ცოტნემ მეფისათვის მხარის გასწორება ვერ გაბედა, წამოეწია, მაგრამ ისე მიჰყვა, რომ მცირე მანძილით მაინც ჩამორჩენოდა.

მაშინ მეფემ შეაყოვნა თავისი ლურჯა, თავათ გაუსწორა მხარი და ხმადაბლა დაიწყო:

– ყური დამიგდე, ცოტნე! რაც იმ დღეს ვერ გითხარი, ახლა უნდა გიამბო. ოდიშში ერთი დიდი საქმე გვაქვს. აგერ ორი წელია ფაზისზე, ზღვის შესართავთან საიდუმლო გემსაშენი გავმართეთ. იმ გემსაშენის არსებობა, თვითონ მშენებლების გარდა, გარეშეთაგან, არც ოდიშში იცის ვინმემ და არც თბილისში. შერგილს არაფერი უთქვამს?

– ყრმა იყავი, უასაკო და არ გეტყოდა. ახლა დრო დადგა და არა მარტო უნდა იცოდე, უნდა ჩაება კიდევ ამ საქმეში, თავს უნდა დაადგე პალიასტომზე გამართულ მშენებლობას, თვითონაც უნდა შეისწავლო ხომალდების მშენებლის ხელობა და სამხედრო გემებზე უნდა ივარჯიშო, საზღვაო ომის მართვაში უნდა დახელოვნდე. გემის მშენებელი ოსტატები ტრაპიზონიდან და კონსტანტინოპოლიდან გვყავს საიდუმლოდ ჩამოყვანილი. ახლა ეს ლაზი რომ მოდის ჩვენთან, ნამდვილი ზღვის მგელია, ბერძნების სანაოსნოში საზღვაო

ომის პირველი ხელოვანი იყო თავის დროზე. მერე ბერძნებმა არ იგუეს, იმ ამპარტავნებს გაეცალა და ალექსი კომნენის სამსახურში შევიდა თავის სამშობლოში. კომნენმა ჩვენ დაგვითმო და ახლა იმისთვის მოდის ფაზისში, რომ იქ ჩვენი მეზღვაურები გაწვრთნას. შენც მაგას უნდა დაემოწაფო და შენ იცი, როგორ ნიჭს გამოიჩენ. მე ასე ვფიქრობ, ცოტნე: თუ შენ კარგად დაეუფლები ზღვის ომის ხელოვნებას, საქართველოს საზღვაოსნოს მეთაური – ამირბარი შენ იქნები. შენ თვითონ ნახავ, რამდენ ხომალდს ვაშენებთ და რამოდენა ჯარს ვწვრთნით. ჩვენ ამ საქმეზე მომავლის დიდ გეგმებსა და დიდ იმედებს ვამყარებთ. საქართველოს ძლიერებისა და დიდების ბურჯი სწორედ ფაზისზე აშენებული ხომალდები და იქ მომზადებული ჯარი უნდა გახდეს. დიდი ლაშქრობისთვის, შესაძლოა, პალიასტომზე აშენებული გემები არ გვეყოს. შენ თვითონ გაგზავნით ვენეციას და იქ ჩვენთან კეთილად განწყობილი დოჟისაგან დამატებით შეიძენ უახლეს საომარ ხომალდებს. ამ საქმისთვის არც ოქროს დავიშურებთ და არც ძალ-ღონეს, იმის ნუ შეგეშინდება, ახალგაზრდა რომ ხარ. ორ-სამ წელიწადს ფაზისზე გაატარებ, ამასობაში კიდევ დავაჟაკადები. დიდი საქმე მუდამ ახალგაზრდობაში კეთდება, გმირობა და შემართებაც ახალგაზრდობას ხელეწიფება მუდამ, რადგანაც გმირობას გაბედულება და თავზე ხელის აღება უნდა. შენ იცი, მეც თვითონ ახალგაზრდა ვარ და, ვიდრე გული მერჩის, მინდა საქართველოს საზღვრები შორს გავწიო. საამისოდ კი ასე ხელსაყრელი დრო ჩვენს ქვეყანას არასოდეს დადგომია: ერანი დაქუცმაცებული და საღათას ძილს მიცემულია, ბიზანტიის ამპარტავნება დამხოზილია, თურქები და ბერძენთა მცირე სამეფოები ერთიმეორეს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან. ჩვენ დროზე უნდა ვისარგებლოთ ამ სანატრელი პირობებით. ჯვაროსნები რომ პირისპირ შეუტევენ იერუსალიმს, ჩვენ ზურგიდან უნდა დავარტყათ მუსლიმანებს, ბაღდადი უნდა ავიღოთ და იერუსალიმში შესვლა ფრანგებს უნდა დავასწროთ. დროებით ტრაპიზონის იმპერია უნდა გავაძლიეროთ. ისეთი პირი უჩანს, ჯვაროსნები ერთმანეთს დაერევიან და კონსტანტინოპოლში დიდხანს აღარ გაჩერდებიან. როგორც კი ფრანგები ბოსფორს დასტოვებენ, კონსტანტინოპოლის ტახტზე ბერძენთა კანონიერ იმპერატორს ალექსი კომნენს ავიყვანთ. შავი ზღვის აქეთა სანაპიროზე ბერძნებს არაფერი ესაქმებათ და როცა კომნენი ბოსფორს გაღმა ტახტზე დაჯდება, ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს საქართველოს ლაშქარი დაიჭერს, რადგან ეს სანაპირო დასაბამიდან ჩვენს მონათესავე ტომებს ეკუთვნოდა და ახლაც ქართველთა ღვიძლ ლაზებს უჭირავთ. როგორ მოგწონს, დადიანო, ჩვენი განზრახულობა?

– დიდებულია, მეფევ, თქვენი და ბაგრატოვნების ძლევამოსილების შესაფერისად მოფიქრებული!

– ზოგი რამ მიუღწევლად და დაუჯერებლად მოეჩვენება საქმეში ჩაუკვირვებელ კაცს ერთი შეხედვით. მაგრამ ამოდენა საქმე ერთ დღეს როდი კეთდება. დიდი შრომა და გარჯა გვმართებს ამ განზრახვის

ხორცშესასხმელად. ალბათ, მიხვდებოდით, რა დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს სანაოსნოს, ამ თამამ და რთულ გეგმას ხორცი რომ შეესხას.

– ვხვდები, მეფევ, ვხვდები და მზად ვარ, თავი დავდო საქართველოს ძლიერების ამ დიდებული გეგმის აღსრულებისათვის!

კარგა დადამებული იყო, ოდიშის მთავრის სასახლეს რომ მიუახლოვდნენ. შორიდანვე შენიშნეს მალლობზე გადმომდგარი ერთადერთი სახლი, საიდანაც სინათლე გამოდიოდა. იმ უზარმაზარ სასახლეშიაც ერთადერთი სარკმელი იყო განათებული. ცოტნეს არ გაჰკვირვებია, მთავრის პალატები ძველებურად გაჩახჩახებული რომ არ ჩანდა. ოდიშის პატრონები გვირგვინოსანი დედოფლის დაკარგვას გლოვობდნენ და, ესეც რომ არ ყოფილიყო, უბედურ შერგილს დაბრმავებისა და ქალიშვილის დაკარგვის შემდეგ დღის სინათლეს აღარაფრად უღირდა, თორემ დამე სასახლეს ვის გაუბრდღვიალებდა!

– ხელმწიფე თუ ნებას დამრთავს, დავწინაურდები, მთავარს მეფისა და მისი ვაზირების მობრძანებას ვახარებ, – შესთხოვა ცოტნემ ლაშას.

– დაწინაურდი, ოღონდ ხმაური არ ატეხოთ, შინაურებს გარდა არავის აცნობოთ და სოფელი არ შეჰყაროთ.

– ვიცი, მეფევ, ყოველივე თქვენს სურვილზე იქნება, – თავი დაუკრა ცოტნემ, ცხენს მათრახი დაჰკრა და ჭენებით მოსწყდა მეფის ამაღას.

ჯერ ჭიშკართან დაბმული ძაღლები აყეფდნენ. ნაცნობი ხმის გაგონებისთანავე ღობეზე გადმოსახტომად ატოტებული მყეფარები კმაყოფილ წკმუტუნს მოჰყვნენ, ეზოში ჟინჯილები აინთო და, როგორც კი მთავრის მემკვიდრემ თავისი სახელი გასძახა, ალაყაფის რკინის კარი მაშინვე მძიმედ დაიძრა და ბოლომდე გაიღო.

ჭიშკართანვე დაიქვეითა ბატონიშვილმა, კარგა ხნის უნახავ მსახურებს სათითაოდ გადაეხვია, რომელიღაცას სადავე ხელთ უდვა და სასახლისკენ სირბილით გაექანა.

– მანდ ვინ არი? – იკითხა ლოცვად მდგარმა შერგილმა და ეზოში ატეხილ ხმაურს ყური მიუპყრო.

– მე ვარ, მამავ ბატონო, ცოტნე ვარ! – შესძახა კარის ზღურბლზე შემომდგარმა ცოტნემ, მიიჭრა და მოეხვია.

– ამ დროს რამ მოგიყვანა, შვილო, ან ასე უცნობლად რად ინებე მოსვლა, ცუდი რამ ხომ არ მომხდარა კიდევ?

– ცუდი კი არა, მამავ, მახარობელი ვარ, მეფე გვესტუმრა თავისი დიდებული ვაზირებით – მხარგრძელითა და ახალციხელით, – შესძახა ცოტნემ, მამის მკლავებიდან თავი დაიხსნა და დიდი ქალბატონის ოთახისკენ გაქანდა.

შერგილმა ხელმწიფეს შემოსვლისთანავე მიუტირა: – მუსიკობითა და გალობით უნდა შევხვედროდი, მეფევ, შენს მობრძანებას, მაგრამ უფალმა თვალის დაბნელება არ მაკმარა და სრულიად საქრისტიანოს მზის დაბნელებას, დიდი თამარის დაკარგვას შემასწრო. ვაი და უი ბედისაგან



მოძულეებულ შერგილს! სამართალი ის იქნებოდა, ჩემს სატირლად მობრძანებულიყავი, მეფევ, და წმინდათა სწორი შენი დედა ცოცხალი ყოფილიყო.

ალალმართლად იტირა შერგილმა და ხელმწიფეც ატირა. როდის-როდის გული მოიოხეს, ერთიმეორეც მოიკითხეს და ქვეყნის ავკარგს მოჰყვენენ. ამასობაში სუფრაც გაიშალა.

– ბოდიშს მოვიხდი, არ გელოდით და ხელმწიფის ღირსად ვერ დაგხვდით, ვერც ვერავინ სტუმრად ვაწვიეთ აქაურ თავად-აზნაურთაგან, რადგან ჩვენმა მემკვიდრემ მეფის სურვილი გვამცნო, გარემეთაგან არავინ შესწრებოდა ხელმწიფის სტუმრობას.

– მართალი მოუხსენებია, მთავარო. ჩვენი ახლანდელი სტუმრობა საიდუმლოა და სხვათათვის უცნობლად უნდა დარჩეს. ალბათ, მიხვდებოდა შერგილი. ფაზისს მივდივარ პალიასტომის ტბაზე გამართული გემსაშენის მოსახილველად და ეს ჩვენს მეტმა არავინ უნდა იცოდეს. შენი მონახულების გარდა, ამ საქმეებზეც მინდოდა, მთავარო, თქვენთან მოლაპარაკება.

– რაკი საქმე საიდუმლოა, ხომ არ სჯობს შინაურების დაუსწრებლობა, – იკითხა შერგილმა და სახე ერთადერთ შინაურთაგანს მიაპყრო.

– არა, მთავარო, ბატონიშვილი უნდა დაგვესწროს, მან უკვე ფაზისის ყველა საიდუმლო იცის ჩვენგან და, ესეც რომ არ იყოს, მის ბედსა და მომავალს უიმისოდ ხომ ვერ გადავწყვეტთ, – მეფემ ცოტნეს გაუღიმა.

– ნება თქვენია, ხელმწიფევ! – წაიდუღუნა შერგილმა და სმენად იქცა.

– მეც და ჩემს ვაზირებსაც უკვე გვექონდა მთავართან საუბარი მის მამულებში გამართული ესოდენ დიდმნიშვნელოვანი მშენებლობის თაობაზე. შერგილი მაშინ აღფრთოვანებით შეხვდა ჩვენს განზრახულებას. ხალხიც მოგვცა და ფას-წარსაგებელიც გაიღო. ოდიშის მთავარს რომ სამეფოსა და ტახტის სამსახურში ეს უბედურება არ შემთხვეოდა, გემსაშენსაც თვითონ დაადგებოდა თავს და ჩვენი მომავალი სანაოსნოს ამირბარიც თავად იქნებოდა, რადგან ქართველთა შორის ზღვისა და ზღვაოსნობის უკეთესი მცოდნე არავინ გვეგულება. მაგრამ რაკი შერგილს ღირსეული მემკვიდრე მისცა ღმერთმა, მისი საპატრონო ქვეყანაში წამოწყებულ საშვილიშვილო საქმეს სხვამ ვინ უნდა უწინამძღვროს, თუ არა ცოტნე ბატონიშვილმა?

– ჯერ ნორჩია ასაკით მცირე ბატონიშვილი ესოდენ დიდი პატივის მისაგებად, მეფევ, ვაითუ, უმეცრებითა და ახალგაზრდობით ვერ შემძლებელ იყოს საამირბაროს გამდლოლად.

– ჩვენ ყოველი ავწონ-დავწონეთ, წინასწარ განვსაჯეთ და ასე გადავწყვიტეთ: არცთუ მცირე ყრმა არის ოდიშის მთავრის ძე, ორ-სამ წელიწადს ფაზისში, თავის მამულებში იქნება, ხომალდების აგებისა და მართვის წესსა და რიგს შეისწავლის და ნაოსნობაში გაიწაფება. ამასობაში დავაჟკაცდება კიდევაც, ვენეციასა და გენუას წავა იქაური ზღვაოსნობის გასაცნობად, რასაც ახალსა და სასარგებლოს იქ ნახავს და გაიგებს, ჩვენში გადმოიღებს და გადმოიტანს.

– საქართველოს სამხედრო სანაოსნოს შექმნა დიდი საქმეა, შერგილ ბატონო, – დასძინა მეფის ნათქვამს მხარგრძელმა, – ამ საქმეს ერთი და ორი წელი არ ეყოფა თავის მოსაბმელად და გასასრულებლად. მემკვიდრე ბატონიშვილი ზღვაოსნობის ტრაპიზონელი და ბერძენი ოსტატებისაგან ხომალდების შენებასა და მართვის ხელოვნებას შეისწავლის და როცა უკვე საამირბარო სრულქმნილი იქნება, ამირბარიც გაწვრთნილი და დავაჟკაცებული გვეყოლება. ოდიშის მთავრის ძე საამისოდ ყველა ნიჭითა და ღირსებით შემკულია და ვიმედოვნებთ, ზღვაზეც ისევე ასახელებს ქართულ ხმალს, როგორც მის წინაპრებს ხმელეთზე უსახელებიათ.

– მეფემ უკვე გააცნო თავისი განზრახვა ოდიშის მთავრის ძეს და ბატონიშვილი მოხარულია მეფისაგან ესოდენ დიდი ნდობისა და პატივის, მაგრამ სჯობს, თვითონ გვითხრას თავისი სათქმელი. შენი ბედი და მომავალი წყდება, ცოტნე, რას გაჩუმებულხარ? – მიმართა შალვა ახალციხელმა მორცხვობისაგან გაწითლებულ თავდახრით მჯდარ ჭაბუკს.

ცოტნე კიდეც უფრო გაწითლდა, უხერხულად შეიშმუშნა და გაუბედავად თქვა:

– ვეცდები, მეფისაგან ესოდენ დიდი პატივის მოგება გავამართლო და მადლობა ტახტისა და სამშობლოს ერთგული სამსახურით გადავიხადო. რაკი მეფეს ასე განუზრახავს, თუ ოდიშის მთავარიც თანახმა არი, მზად ვარ მივიღო ესოდენ დიდი დავალება. სიტყვას ვაძლევ ხელმწიფესა და მის ვაზირებს, თავი დავდო ამ საქმისათვის და არა ვარცხვინო მეფის სამსახურში დამაშვრალი მამაჩემის – ოდიშის მთავრის სახელი.

– დამილოცნიხარ, შვილო, მეფის სამსახურში, – ხმის კანკალით თქვა გულაჩუყებულმა შერგილმა და ხელით ანიშნა ცოტნეს – მიახლოებოდა. ცოტნე წამოდგა, მუხლზე ჩაიჩოქა, მამას მოწიწებით ემთხვია. მთავარი შუბლზე ეამბორა, თვალს მომდგარი ცრემლი მოიწმინდა, მსახური მოიხმო და რაღაც უჩურჩულა.

მსახური მეზობელ ოთახში გავიდა და იმ წამსვე ოქროჭედილი ხმალი მოურბენინა.

შერგილმა ხმალი ჩამოართვა.

– ეს ხმალი ხელმწიფის დიდი მამის – დავით სოსლანის საყვარელი ხმალი იყო. უკანასკნელად შამქორის ომში იხმარა სახელოვნად. იმ ომში მეც გამოვიჩინე თავი და მამაცობისათვის მეფემ სწორედ თავისი საყვარელი ხმლით დამაჯილდოვა. ალბათ, ახსოვთ შამქორის ძღვევამოსილი ომის გმირებს – ივანესა და შალვას.

– გვახსოვს!..

– როგორ არ გვახსოვს.

დაუმოწმეს მეფის ვაზირებმა.

– ამ ხმლით ვიბრძოდი ყაზვინსა და გურგანში, მაგრამ თვალისჩინის დაკარგვამ ომიც მომაშლევინა და ხმალიც უქმად დამაგდებინა. მადლობა უფალს, ძე მომცა ღირსეული და მინდა ეს ხმალიც ახლა მას დავულოცო.

შვილო ცოტნე! ღვთის შეწევნით, სახელიანად გეტარებინოს, ხელმწიფის სამსახურში მარჯვენა არ დაგლოდეს და ხმაღს არ მოგშივებოდეს! – შერგილმა მემკვიდრეს ხმალი გაუწოდა. ცოტნემ კრძალვით ჩამოართვა, ტუჩთან მიიტანა და ემთხვია.

პალიასტომამდე ერთი საათის სავალზე დახვდა მეფეს შესაგებებლად გამოსული გემსაშენისა და ნავსადგურის გამგებელი – უჩა ანთია.

ანთიამ ბოდიში მოიხადა, ტანისამოსის გამოცვლა ვერ მოვასწარი და სამუშაოდ გამოწყობილი გხვდებითო.

– ჩვენთვის ასე უფრო სასიამოვნოა შენი დახვედრა, რადგანაც სწორედ შენი მუშაობის სანახავად ვართ მოსული. როგორ გაქვთ საქმე, კეთდება რამე? – ღიმილით იკითხა მეფემ.

– კეთდება, ბევრი რამ კეთდება, ხელმწიფევ, პირველად ძალიან გაგვიჭირდა. ირანიდან წამოყვანილი მონები ბუზებივით დაგვიხოცა ციებ-ცხელებამ.

– შარშან რომ ვიყავი, თვალი არ გამახელინეს, ისე დამესივნენ წყეული კოლოები. ახლა ნაკლებად არიან, თუ კბენას გადაეჩვივნენ? – იხუმრა ივანე მხარგრძელმა და ხელი გააქნია ხსენებაზე საკბენად გამოქანებული მწერის მოსაგერიებლად.

– ნაკლებადაც არიან და დასუსტდნენ კიდევაც, ათაბაგო. რაც ჭაობების დაშრობა დავიწყეთ და აქაურობა არხებით დავქსელეთ, ძველებურად აღარ გვაწუხებენ.

– სინოპიდან ჩამოტანილმა ხეებმა თუ იხარა?

– იხარა, ხელმწიფევ, გზების პირას ჩავარიგეთ და პირდაპირ სასწაულია, ისეთ სუნს აყენებს, კოლო ისრის სატყორცნ მანძილზე აღარ ეკარება.

– ჰო, ეგ ძალიან კარგი მცენარეა, მაგრამ კარგი ფულიც აიღო მაგის ნერგებში ჩვენმა ნათესავმა ტრაპიზონის იმპერატორმა.

ღორღმოყრილი, გამაგრებული გზით მიდიოდნენ. გზის ორივე მხარეს ჯერ კიდევ ბლომად იყო მწვანე ლამოდებული და ლელშემორტყმული გუბეები. ალაგ-ალაგ ის გუბეები ქატომოყრილს ან ბრკემოდებულს ჰგავდა.

– კირსაც ხმარობთ, არა? – იკითხა ახალციხელმა.

– ვხმარობთ, თავადო. კირის გარდა სხვა საშუალებებსაც ვხმარობთ და ნელ-ნელა ვერეკებით კოლოს აქედან.

– მგონია, მტრის ჯართან შებმა გირჩევნია, ანთია, კოლოების ლაშქართან ბრძოლას! – გაეხუმრა მეფე.

– ჭემმარიტებას ბრძანებ, მეფევ. მტერს ან მოჰკლავ ან ზედ შეაკვდები. კოლო ისე მოგეპარება, ვერც თვალთ დაინახავ, ვერც ხმას გაიგონებ. გიკბენს და მორჩა! კაცს კი არა, ლომსა და სპილოს ერევა.

– ეს ერთი ხანია, რაც ახალი ტყვეები გამოგზავნეთ, ცოტა წელში გავიმართეთ, ათაბაგო, თორემ ციებ-ცხელებამ იმდენი ზარალი მოგვცა,

გაგვინახევრდა მუშა-ხელი. ცოტა გვაკლდა, ოდიშისა და აფხაზეთის მთავრებს კინალამ მივმართეთ გლეხების ბეგარაზე გამოსაყვანად.

– აჰ, ეგ არ ქნათ, არაფრის გულისათვის, – შეუწყრა მხარგრძელი, – ბეგარაზე გამოყვანილი გლეხები ხომ ისევ უკან უნდა დააბრუნო თავთავის სახლში და რაღა საიდუმლოს შეგინახავენ! მთელ ქვეყანას მოსდებენ ფაზისის ნავსადგურის ამბავს.

– სწორედ მაგის შიშით შევიკავეთ თავი, ათაბაგო, და სულზე მოგვისწრო მონების ახალმა სიმრავლემ.

გზა ტყეში შევიდა. რაც უფრო შორს მიდიოდნენ, ის ტყე თანდათან თხელდებოდა.

ბოლოს ტყე დაილია და თავს კრიალა პალიასტომს დაადგნენ.

ტბის ნაპირის გაყოლებით უზარმაზარ საყრდენებზე აღმართათ გემსაშენები.

რამდენიმე ხომალდის აგება უკვე დაწყებული იყო. დურგლები და მჭედლები თავაუღებლად სცემდნენ ცულსა და უროს. ვეებერთელა მორები გორებად ეყარა. ყოველ ნაბიჯზე სახერხები იყო გამართული და ბირდაბირებს ყურის წამლებად გაჰქონდათ ხმაური.

– ულპოველი ხე როგორი გამოდგა? – იკითხა მეფემ და ცხენიდან გადმოხდა.

– დიდებულია, მეფევ. საუკეთესოა.

– ბერძნებს ეგონათ, თუ მათგან არ ვიყიდდით ხე-ტყეს, ნავსაც ვერ გავმართავდით. ლიბანის კედარსა და ნამვს ცეცხლის ფასი დაადეს, აქაოდა, მუსულმანებთან ომმა ვაჭრობა გააძნელაო. მადლობა ღმერთს, ოდიშისა და აფხაზეთის მთის ჯიშები არც სიმაგრით დაუფარდებიან სახომალდე მასალის განთქმულ უცხო ჯიშებს, არც გაძლებით.

– ეტყობა, საიდანღაც იყნოსეს, – ხმადაბლა თქვა ახალციხელმა, – ამასწინათ ვენეციელმა დესპანმა სწორედ აფხაზეთში ხე-ტყის მოჭრის თაობაზე ჩამომიგდო სიტყვა. გზა არ უდგება და ძვირი დაჯდება, მაგრამ კარგ ფასს გადვიხდიდითო.

– მერე თქვენ რა უთხარით? – იკითხა მეფემ.

– სულ მოვუსპე, იქ არც გზა ყოფილა თავისდღეში და არც ხე გამოუტანია ვისმეს-თქო.

– არ მომწონს ვენეციელთა ეგ შემოჩენა... უცხო ხომ არავინ გამოჩენილა ამ მხარეს? – მიუბრუნდა მეფე ანთიას.

– არავინ, ხელმწიფევ. აქაურობა ისეა მოზღუდული და დანარჩენი ქვეყნისაგან მოწყვეტილი, ჩიტიც ვერ გადმოფრინდება ჩვენს უცნობლად. აქ ხომ სანახევროდ ტყეში ვართ, პალიასტომის ტბის ის ნაპირიც, ზღვის მხრიდან რომ მოჩანს, ერთიანად ტყითაა დაფარული და რამდენიც უნდა გვითვალთვალონ ზღვიდან, აქაურს ვერაფერს შეიტყობენ.

მეფე გემსაშენზე ავიდა. მაღლიდან კარგად ჩანდა ტყით მოზღუდული ტყის ნაპირები.

– ზღვა არც აქედან ჩანს, – თქვა თვალზე ხელმოჩრდილულმა ლაშამ.

– არა ჩანს, მეფევ, და სწორედ ეს არის უმთავრესი სიკეთე, – კვერი დაუკრა მხარგრძელმა, – თუ საიდუმლოს კარგად დავიცავთ, აზრადაც არ მოუვათ საქართველოს მტრებს, რომ ზღვიდან მოშორებულ ამ ტბაზე საომარი სანაოსნო შენდება. ერთ მშვენიერ დღეს ისე ჩაცურდება შავ ზღვაში აქედან რამდენიმე ათეული ხომალდი, ციდან ჩამოვარდნილი ეგონებათ.

– დანდლოსაგან ნაყიდი ხომალდი სად არი? – მოიკითხა მეფემ.

– აგერ, ტბაზე დგას, მეფევ. ორმაგად ვიმსახურებთ მაგ ხომალს: ჩვენს მშენებელ ოსტატებს თარგად აქვთ და თან ზედ მეზღვაურებს ვწვრთნით.

– ლამაზია! დიდებული სანახავია! – აღტაცებით თქვა მეფემ და თვალი ვერ მოსწყვიტა უზარმაზარი თეთრი გედივით ყელმოღერებულ ხომალდს.

– ხვიჩა! – გაახსენდა უცებ მეფეს ტრაპიზონელი ზღვის მგელი.

– ხვიჩა უკვე მაგ ხომალდზეა! – მოახსენა ახალციხელმა, – როგორც კი თვალი მოჰკრა, მაშინვე იქით გაიქცა.

– ჩვენც იქით წავიდეთ, – ბრძანა მეფემ და დაბლა დაეშვა.

მიდიოდნენ, ჩერდებოდნენ, აკვირდებოდნენ ხარაჩოებზე ჭიანჭველებივით მოფუსფუსე მშენებლებს. ზოგი გემი უკვე სანახევროდ ყალიბში იყო, ზოგის ფსკერი იმართებოდა ჯერ მხოლოდ.

თხუთმეტამდე დათვალა ცოტნემ. ებევრა და საგონებელში ჩავარდა. ვაითუ, პატივმოყვარეობამ საკუთარი ძალისა და შესაძლებლობის გაუთვალისწინებლად აკისრებინა ამოდენა საქმის ხელმძღვანელობა! ვაითუ, თავი ვერ გაართვას ამოდენა პასუხისმგებლობას და შერცხვეს მეფისა და ქვეყნის წინაშე.

თითქოს საფიქრალს მიუხვდაო, შალვა ახალციხელმა მკლავში ხელი ჩაჰკიდა და შეუძახა:

– ხომ არ შეშინდი, დადიანო, საძნელოდ ხომ არ გეჩვენა შენი ვალდებულება.

– საძნელო ჩანს, თავადო... თხუთმეტაოდე დავითვალე.

– თხუთმეტი კიდეც სხვა იქნება, ოცდაათი ხომალდი მაინც უნდა გავმართოთ საომრად, – თქვა ხელმწიფემ.

– შენ ტყუილად შეფიქრდი, შერგილის ძევ, – დაუყვავა მხარგრძელმა, – ალბათ, კარგად ვერ გაიგე შენი მოვალეობა. ჯერ, ვიდრე კარგად არ ისწავლი ხომალდების შენებასა და მართვას, შენ აქ არც უფროსი იქნები, არც სხვათა ხელმძღვანელი. ხუროსა და მჭედლის, გემის მშენებლის ყველა ხელობას გამოცდი და ყველა საფეხურს გაივლი, ისევე, როგორც გემის მართვასა და საზღვაო ომის წესს ისწავლი ყველა უბრალო მეზღვაურის მსგავსად. როცა ერთ საქმეში დახელოვნდები და მეორეშიც, მხოლოდ მაშინ გახდები სხვების უფროსი და საზეიმოდ ჩაიბარებ ამირბარობას.

– აქ შენი მასწავლებლები ბერძნები და ლაზი ოსტატები იქნებიან, მათ ცოდნაც დიდი აქვთ და გამოცდილებაც, ეცადე, ორივე სრულად გადმოგცენ და სრულჰყავი შენი ხელოვნება მათზე უფრო აღმატებულად.

– ვეცდები, ხელმწიფევ! – ახლა უკვე უფრო თამამად თქვა ამირბარობის ნაადრევი ტვირთისაგან განთავისუფლებით გახარებულმა ცოტნემ.

ნაპირიდან მოშორებით იდგა ვენეციური ხომალდი, ცაში ატყორცნილ ორ მაღალ ანძაზე უშველებელი იალქნები იყო გაჭიმული. ნიავის დაქროლებაზე იალქნები ოდნავ იბერებოდა და გემი თითქოს ირწეოდა. ხომალდის ამაღლებულ თავსა და ბოლოში ქვის და ისრის სატყორცნები და სააღყო მანქანები იყო გამართული.

საოცრად ლამაზი ეჩვენა ცოტნეს ლურჯ ტბაზე გაწოლილი უზარმაზარი თეთრი ხომალდი გასაფრენად ღრუბლებში ავარდნილი თეთრი იალქნებით. ამოდენა გემი თავის დღეში არ ენახა ოდიშის მთავრის მემკვიდრეს. ამაზე, ალბათ, მთელი ლაშქარი დაეტევას, გაიფიქრა და ჩუმად ნიჩბების თვლას მოჰყვა. ოცდაათამდე რომ დათვალა ცალ მხარეს, მერე თვალი აერია და სათვალავი აებნა.

– როგორია, ხვიჩა? მოგწონს? – შორიდანვე გასძახა გემის ავკარგის ჩხრეკით გართულ ლაზს მეფემ.

– დიდებული ხომალდია, თუმცა ამის უახლესი და ამაზე მძლავრებიც გააჩნია ვენეციას. ძვირად მოგყიდეს, ხელმწიფევ?

– ძვირად?.. მეჭურჭლეთუხუცესს ეხსომება... რამდენი მივეცი, შალვა?

– ხუთი ხომალდის ფასი გადაგვახდევინეს, მეფევ, მაგრამ მეტიც რომ ეთხოვათ, მეტიც არ დამენანებოდა. ამის უმშვენიერესი არა მინახავს რა, ნამდვილი ზღვის გეღია!

– თქვენ ომში უნდა ნახოთ, როგორი მარჯვეა და მოძრავი. ხომ ამოდენაა, ისე უხვევს და ტრიალებს, მცირე ნავი გეგონება.

ხვიჩა სააღყო მანქანებს დააკვირდა.

– კარგი სატყორცნები აქვს, მაგრამ ცოტა მოუვლელია.

– ეგ მოუვლელობით არ არი, – იწყინა ანთიამ, – გემს, როგორც მოგახსენეთ, საწვრთნელად ვხმარობთ და ქვისა და ისრის სატყორცნებს იშვიათად ვამუშავებთ.

– ნიჩბის მომსმელებად მონები გყავთ?

– არა, ხელმწიფევ! ჩვენებს ვწვრთნით და ვამზადებთ ნიჩბის მომსმელებადაც, აფრის ამშვებადაც, ქვის მტყორცნელებადაც.

– მომსმელს რა დიდი მომზადება უნდა, დასვი მონა, ხელში ნიჩბის ტარი მიეცი და უბრძანე. დედიმისის შვილია, არ მოუსვამს!.. ძნელი გემის წყვანაა, მტრის გემების პირისპირ დაყენება, მიახლოება და გვერდის აქცევა. აქ მარტო ცოდნაც არ შველის მესაჭეს. ომში გაკვეთილი იშვიათად მეორდება, ყოველი შეტევისას ახალი ამოცანის წინაშე დგახარ და გადაწყვეტილებას მზამზარეული წესის მიხედვით კი არ ღებულობ, არამედ გარემოებისა და საკუთარი ალღოს კარნახით.

– რამდენი მეომარი ჰყავდათ ჯვაროსნებს ზღვაზე, კონსტანტინოპოლი რომ აიღეს?

– თავად ჯვაროსნებს ბევრი არ ჰყოლიათ, მეფევ. ბერძენთა სატახტო ვენეციის ხომალდებმა დასცეს. ამბობენ, რომ იმ ხომალდებზე ოცდაათი ათასი მეომარი იყო.

– ბერძნებს რამდენილა ჰყავდათ?

– ბერძნებს ხეირიანად გამართული საბრძოლო გემი საერთოდ აღარ ჰქონდათ გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ჯვაროსანთა მოახლოებისას ოცამდე ხომალდი იდგა ნავსადგურებში და ოცივე საფუძვლიან შეკეთებას მოითხოვდა. ბერძენთა მეფემ გამოსცა კიდევ ბრძანება გემების სასწრაფოდ შეკეთების თაობაზე, მაგრამ უპატრონო ქვეყანაში ბრძანების ამსრულებელი ვინდა იყო? ბერძენთა ამირბარი მიხეილ სტრინფა შეკეთების მაგივრად ოქროზე ჰყიდდა საბრძოლო ხომალდების ნაწილებს და ბიზანტიის სანაოსნო უძლური აღმოჩნდა, რაიმე მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაეწია ბოსფორში შემოსული ვენეციის ხომალდებისთვის.

– აგრეა, ხვიჩა, ქვეყანას რომ შინა აღრევა დაასუსტებს და მოშლის, მერე ვეღარც ხმელეთზე იმარჯვებს და ვეღარც ზღვაზე. ყაჩაღურად მოექცნენ ბერძნებს ერთმორწმუნე ჯვაროსნები, მაგრამ ვის დაენანა ბიზანტიის დამხობა! რაც მაგათ უსამართლობა აქვთ ჩადენილი ქართველებისა და სომხების, სერბებისა და ბურღალთა მიმართ, იმის სამაგიერო მიაგო ღმერთმა. დასანანი ის არის, რომ უსამართლოთა დამამხობელი თვითონ აღმოჩნდა უსამართლო და ანგარი. ჯვაროსნებმა, წესრიგისა და კანონიერების დამყარების მაგივრად, აღმოსავლეთში, ქრისტეს სახელით; ახალი უკანონობა და უწესრიგობა გაავრცელეს, მაგრამ ვნახოთ. ღმერთი დიდია და ბოროტებას არავის შეარჩენს, – ხელი აღაპყრო მეფემ, პირჯვარი გადაიწერა და ხომალდი დატოვა.

მე მოვკალ ჩაღატა!

ომში დამარცხებასა და მტრისგან დაპყრობას ერის სულიერი დაცემა და გახრწნა უშუალოდ მაშინვე როდი მოსდევს ხოლმე.

თავისუფალი ცხოვრების გრძელ გზაზე გამომუშავებული ხასიათის მაღალი თვისებები, თაობიდან რომ თაობებს გადაეცემოდა, არათუ ქრება ერის ძლიერების დამხობისთანავე, არამედ, პირიქით, სწორედ მტრისაგან დაპყრობის პირველ ხანებში ვლინდება უფრო მძაფრად და მკაფიოდ და ერთგვარად აყოვნებს ხალხის საყოველთაო დაცემასა და გათახსირებას.

ცოტნე დადიანის მაგალითი, როგორც ჩანს, გამონაკლისი არ უნდა ყოფილიყო იმ დროისათვის, როცა საქართველოს მონგოლთა უღელი დაედგა და ერის საუკეთესო ადამიანების მაღალი ზნეობა მკაცრი გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. ამის დადასტურებაა კოხტისთავის შეთქმულების ერთ-ერთი მთავარი მონაწილის გრიგოლ სურამელის კეთილშობილი რაინდობის ამბავი, რომელიც აქ ჩავურთეთ მთავარი გმირის თავგადასავლის თხრობას.

გრიგოლ სურამელს ნაშუადამევს ძლივს ჩაეძინა. ფიქრმა და საზრუნავმა ძილშიაც არ მოასვენა. ცუდის მომასწავებელმა სიზმრებმა კიდევ უფრო აუფორიაქეს ისედაც შეშფოთებული სული ქართლის ერისთავს.

ძილი მალე გაუტყდა და როგორც კი გამოეღვიძა, ისევ ის ფიქრები მოეჯარნენ, შუადამემდე თვალი რომ არ მოახუჭვინეს.

ალამუთის ალყად მდგარ ქართველებს სამი დღეა ულუფა არ მიუღია. აგერ, რა ხანია, მონგოლთა ლაშქარში არიან, ალამუთის სიმაგრის ასაღებად იბრძვიან, მტრის ისრითა თუ სახადით იხოცებიან და ალყას ბოლო არ უჩანს.

«ალამუთი» არწივის ბუდეს ნიშნავს თურმე და ეს სახელი სწორედ ზედგამოჭრილია ამ ციხე-სიმაგრისათვის. ქაჯეთის ციხეს რომ იტყვიან, ნამდვილად ალამუთის ციხეა. ამ თვალმიუწვდომელ სიმაღლეზე, კაცისაგან მიუდგომელ ქარაფოვან მთაზე მხოლოდ ქაჯები თუ ააშენებდნენ ესოდენ მკვიდრ ციხე-სიმაგრეს და იმ ციხეში, ალბათ, ადამიანები კი არა, გრძნეული ქაჯები არიან გამაგრებულნი, რომ ამდენ ხანს უძლებენ მტრის ალყით ქვეყნისაგან მოწყვეტას, შიმშილსა და უწყლობას, მომხდურთა გამუდმებულ იერიშსა და უძილოდ დამეების ტეხვას.

უჭირთ მეციხოვნეებს, მაგრამ მათზე უკეთესი დღე ციხის გარემომცველებსაც არ ადგათ. ზამთარ-ზაფხულ მოუხსნელი ალყა, საშინელი სიციხისა და სიცივის ატანა, ათასგვარი ჩამომრევისა და სახადის გამღება ყველას როდი შეუძლია და ბუზებივით იხოცებიან ქართველები კუჭის აშლილობისა და სალმობიერისაგან.

აბანოს დანატრებულ მრავალრიცხოვან ლაშქარში სიბინძურე და უწმინდურება ვრცელდება და სნეულება მუსრს ავლებს მიტოვებული სახლ-კარისა და ცოლ-შვილის დარდით ისედაც შეჭირვებულ ვაჟკაცებს. ადამიანი ყველაფერს ეჩვევა და ქართველები კარგა ხნის შეჩვეულნი იყვნენ ამ განსაცდელს. მაგრამ ამდენ ჭირს რომ ბოლო დროს შიმშილიც დაერთო, ყველაზე ამტანთა და გამძლეა მოთმინების ძაფიც გაწყდა.

უკანასკნელი უამინდობის გამო სურსათის მოზიდვა შეფერხდა. ქართველებს სამი დღეა ულუფა შეუწყვიტეს და მიზეზად ის მოიღეს, საქართველოში ხარკი დროზე არ იკრიფება, შეწერილი სურსათ-სანოვავის გამოგზავნას აგვიანებენო.

ყოველ ათ კაცზე საქართველოდან ორი გამოჰყავდათ ლაშქრად. დოვლათის შემქმნელი და მოდგმის გამამრავლებელი ვაჟკაცები სამშობლოდან შორს, გაუთავებელ სამხედრო ბეგარას იხდიდნენ. შინ დარჩენილებს, ალბათ, თავისთავი ძლივს გაჰქონდათ და მოშლილ მეურნეობას ამოდენა ლაშქრისათვის შეუფერხებლად სურსათის მოწოდების ღონე სადღა ექნებოდა!

მაინც, ძალით იყო თუ ნებით, შინ დარჩენილები უკანასკნელ ლუკმას იკლებდნენ და ალამუთის ალყაში მდგარ თავისიანებს საზრდოს უგზავნიდნენ. ეს საზრდო ჯერ მონგოლებს უვარდებოდათ ხელთ, ისინი მთელ ლაშქარზე ანაწილებდნენ და როგორც კი დაპყრობილი ქვეყნებიდან



სურსათის მოწოდება შეფერხდებოდა, მაშინვე ქართველებს აკლებდნენ ულუფას.

უკანასკნელად სულაც შეუწყვიტეს ულუფის მიცემა ქართველ მოლაშქრეებს. ორ დღეს გაუძლეს შიმშილს ქართველებმა და მესამე დღესაც რომ საშველი არ დაადგათ, აჯანყდნენ, ციხის საიერიშოდ წასვლაზე უარი თქვეს და მონგოლებს განუცხადეს, ალყას დავტოვებთ, შინ წავალთო.

მონგოლთა უბრალო მხედართმთავრების შეგონებამ და მუქარამ რომ არ გასჭრა, ქართველთა ბანაკში ჩაღატა ნოინი მოვიდა. ჩაღატა ალამუთის ლაშქრობამდე საქართველოს მართავდა, ქართულ ადათ-წესებს შეჩვეული იყო, ჩვენებური ლხინი და შექცევა უყვარდა და ქართველ მთავრებს მეგობრობდა.

ამიტომ იკისრა ჩაღატამ ქართველთა დაშოშმინება. ნოინს თავისი მეგობარი მთავრების მხარდაჭერისა და მათ შორის გავლენის იმედი ჰქონდა და ერთგული ასისტავის ჰაიდუს მცირე რაზმით გაემართა ქართველთა ბანაკისაკენ.

ქართველები იმ ხანად უმეფოდ იყვნენ და ერისთავთა კრება ხან ერთ მთავარს ანდობდა მონგოლ მბრძანებლებთან მოლაპარაკებას, ხან მეორეს.

იმჟამად ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი უფროსობდა. ერისთავი ჩაღატა ნოინს გაეგება, თაყვანი სცა და თავისიანების განსაცდელი უამბო.

– ან აქვე, შენი ხელით მომკალი, მბრძანებელო, ან ჩვენ ხალხს შეღავათი მიეცით, თორემ ჩვენი ჯარისკაცების ყურება აღარ შემიძლია. დამშეულებთან ვერც ტკბილი სიტყვა გასჭრის და ვერც მათრახი.

– სიტყვაც გასჭრის და მათრახიც, მთავარო! – უცებ გაცხარდა ნოინი, – თქვენდამი ჩემი კეთილგანწყობილების იმედი ნუ გაქვთ. ლაშქარში შფოთსა და წესრიგის დარღვევას არ მოვითმენ. ხვალ დილას ან ნებით გამოხვალთ ციხის საიერიშოდ, ან თქვენი ბანაკი მიწასთან გასწორდება! – ჩაღატამ, ის იყო, მუქარის ნიშნად მუშტი აღმართა ჰაერში, რომ ვიღაცამ მაჯაში ჩაავლო ხელი და ღონივრად მოუჭირა. მოულოდნელობისაგან გაოგნებულმა ნოინმა მაჯაში ჩაფრენილ ქართველს შეხედა: შიმშილისა თუ ტკივილისაგან აგზნებული თვალები გადმოცვენაზე ჰქონდა ქართველ მეომარს.

– ცოცხალი თავით აქედან გაგვშორდი!

ჩაღატა ნოინმა ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, მის ირგვლივ უამრავი მუშტი და შუბი აღიმართა.

– რას სჩადით! თავს რად ილუპავთ!.. – შეჰყვირა ქართლის ერისთავმა და ჩაღატას ირგვლივ შეკრული რკალის გარღვევა სცადა.

მაგრამ ქართველი მეომრები უფრო მჭიდროდ ერთმოდნენ ბრაზისა და გოცებისაგან ენაჩავარდნილ ჩაღატას, მის დაფეთებულ ცხენს აწვებოდნენ და გაშიშვლებულ ხმლებს ჰაერში ატრიალებდნენ.

შორიახლო მდგარი ჰაიდუ ასისტავი სწრაფად მოეგო გონს, ხმალი იმიშვლა და ასეულს ანიშნა მომყევითო.

ჩალატა ნოინმა წამით თვალი მოავლო შემართული შუბებისა და შიშველი ხმლების ტყეს: ქართველთა მრავალრიცხოვან ბანაკში ჰაიდუს ასეული ზღვაში წვეთს ჰგავდა, ძალა ქართველთა მხარეს იყო და ჩალატამ გაცლა ამჯობინა.

ცხენს სადავე მოსწია, გვერდზე მოაბრუნა და რაკი ქართველებმა გზა მისცეს, უკან გაბრუნება იკადრა.

– დღესვე თუ ულუფა არ გამოგზავნეთ, ხვალ აქ ვეღარ გვნახავთ!

– შიმშილით სულის ამოხდას ბრძოლაში ვაჟკაცურად სიკვდილი გვიჯობს!

– შინ წავალთ, ან ზედ შეგაკვდებით! – მისძახოდნენ ქართველები და უკვე სირბილით მისდევდნენ ჩორთზე გადასულ ნოინის ლურჯას.

ვიღაცამ ქვა ესროლა. ქვა გავაზე მოხვდა ცხენს: ლურჯა შეხტა, ტლინკები აჰყარა და პატრონი კინალამ ძირს ისროლა.

ჩალატამ უნაგირზე თავი შეიმაგრა, აღვირი მოსწია და სახტად დარჩენილ გრიგოლ სურამელისკენ ერთი მგელივით გამოიხედა.

გრიგოლი მიხვდა, რასაც ნიშნავდა ის გამოხედვა და რა ფასადაც დაუსვამდა ჩალატა ნოინი ქართველებს სამხედრო შფოთსა და პირად შეურაცხყოფას.

ის დღე საშინელ მოლოდინში დააღამა ქართლის ერისთავმა. მონგოლები ულუფას არ გზავნიდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქართველები ხვალაც არ გავიდოდნენ საომრად. შიმშილისაგან გაბოროტებული ქართველები ხვალ, ალბათ, თვითნებურად ალყას მიატოვებდნენ და სამშობლოსაკენ გაუდგებოდნენ გზას. თავის მხრივ მონგოლებიც არ დათმობდნენ და ქართველთა ბანაკს გასაჟლეტად მანამ შემოესეოდნენ, სანამ დამშეულები რამეს იღონებდნენ. რა უნდა ქნან, რა გზას უნდა დაადგინენ განწირულები? სურამელი ხსნას ვერსად ხედავს და გულზე ცეცხლი ედება.

დროზე მაინც გათენდეს ეს სულის შემხუთველი ღამე! როგორ მძიმედ ჩამოწვა შავი უკუნი და როგორი საშინელების მოლოდინით ავსებს სულს იდუმალეებით მოცული სიბნელე!

უცებ კართან რაღაც გარახუნდა.

სურამელმა თავი წამოსწია და ხელი ხმაღს წაატანა.

კარვის კალთამ შრიალი გაიღო.

– ვინა ხარ? – ხმადაბლა იკითხა გრიგოლმა და ფეხზე წამოიჭრა.

– მე ვარ, მთავარო, ბადრადინი! – გაისმა სიბნელეში, სულ ახლო.

– ბადრი ხარ? ამ დროს რამ მოგიყვანა, ფათერაკი რამ ხომ არ შეგემთხვა? მოიცა, სანთელი ავანთო.

სანთლის მკრთალ შუქზე კედელს აკრული ბადრადინი გაარჩია მთავარმა. ხელთ გრძელი, გასისხლიანებული დანა ეჭირა და სულელივით იკრიჭებოდა. ერისთავი ერთნაირად გააოცა იმ სისხლიანმა დანამაც და ბადრადინის უაზრო ღრეჭამაც.

– ჩალატა მოვკალი, მთავარო! – ჩურჩულით თქვა ბადრადინმა, სისხლიანი დანა წინ გაიშვირა და სურამელისკენ წავიდა.

- ეგ რა თქვი, შე უბედურო! არავინ გაგიგონოს, – ფერი ეცვალა მთავარს.
- ჩაღატა ნოინი მოვკალი, მთავარო, – დინჯად გაიმეორა ბადრადინმა და სისხლიანი დანა სურამელის წინ მაგიდაზე დადო.
- გაგიჟდი, ბადრი? რაებს რომავ? – მხრებში ხელები ჩაავლო შეშფოთებულმა სურამელმა.
- ორი წელია, ჩაღატას ვუთვალთვალე. მე ისმაილიტი ვარ და მულიდებმა მონგოლთა ბანაკში ამ დავალებით შემომგზავნეს. შენც იცი, ბევრჯერ მქონდა ხელსაყრელი შემთხვევა ჩაღატას მოსაკლავად, მაგრამ ბრძანებას ვუცდიდი, გუშინწინ გადმომცეს ჩვენი მთავრის მოწოდება და, აი, მოვკალი კიდეც ჩაღატა ნოინი.
- მართალს ამბობ, ბადრადინ?
- მართალს მოგახსენებ, მთავარო, დღისით შევიპარე ნოინის იურტაში და ტახტქვეშ დავიმალე. საღამოს გვიან მოვიდა ჩაღატა, ნასვამი იყო. ჩორმალონ, იოსურ და ბიჩუ ნოინებიც თან მოჰყვნენ. სუფრა გაშალეს და დიდხანს სვეს. ჩაღატა ნოინი ქართველებს ემუქრებოდა, რაც მაგათ მაკადრეს, ათმაგად გადავუხდი, მთლად ერთიანად გაფუჟავო. ბიჩუ ნოინმა ეშმაკურად ჩაუწვეთა, იქნებ ყველას გაჟლეტა არ ღირდეს, მარტო მთავრები დავხოცოთ და უთავო ლაშქარი რალა წინააღმდეგობას გასწევს, სხვადასხვა ათასეულში გავაბნიოთ და მტრის საიერიშოდ გავუშვათო. ჩორმალონი ჯერ არ ეთანხმებოდა, მაგრამ ბოლოს, მგონი, ისიც დაიყოლიეს. მთავრები მოსალაპარაკებლად დავიბაროთ, შევიპყროთ და დავხოცოთო, – დაასკვნა ბიჩუმ და ეტყობოდა მისი რჩევა მიიღეს. დილაგათენებულზე მთავარ ბანაკში მიგიწვევენ მოსალაპარაკებლად და იქ გაგისწორდებიან.
- ჩვენ დახოცვას დასჯერდებიან, ლაშქარს არას ავნებენ?
- ეგ აგრე თქვეს, მაგრამ მაგათ სიტყვას ვინ ენდობა, უმეთაურო ლაშქარს უფრო ადვილად არ გაჟლეტენ?!
- არა, ლაშქრის გაჟლეტა მათ რა სარგებელს მოუტანს, ჭკუასთან ახლო ბიჩუ ნოინის რჩევა უფრო არი, ქართველ ჯარს დაშლიან და თავიანთ ურიცხვ ლაშქარში გააბნევენ.
- ეგ არ ვიცი. ეს კი ჩემი ყურით მოვისმინე, რომ ხვალ დილას ბანაკში მიგიტყუებენ და მოგკლავენ შენც, დანარჩენ მთავრებსაც... ამ გადაწყვეტილებას სანამ დაადგებოდნენ, ბევრი იყაყანეს. კარგა მთვრალეები გაიყარნენ, ჩაღატა გაუხდელი დაეგდო ტახტზე და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. როგორც კი დავრწმუნდი, რომ დაიძინა, ტახტიდან გამოვძვერი, პირზე მისივე ქუდი დავაფარე და ამ დანით ყელი ღორივით გამოვჭერი, – ბადრადინმა სისხლიანი დანა ხელში აიღო და მოწიწებით დააცქერდა.
- ჩემი ვალიც აღვასრულე, მთავარო, და თქვენც გადაგარჩინეთ მისი შურისძიებისაგან.
- გადაგვარჩინე კია? – მე მგონია, უფრო დაგვლუპე, ჩვენცა და მთელი ქართველთა ლაშქარიც. ჩაღატას სიკვდილს, როგორც ყველა სხვა უბედურებას,

მონგოლები ქართველებს დაგვაბრალებენ... მით უმეტეს, გუმინდელი უსიამოვნების შემდეგ...

– შემიპყარი და მიმიყვანე მონგოლებთან, მთავარო, იქნებ ამით მონგოლებს აამო და გული მოუღობო. მე ახლა სიკვდილისა აღარ მეშინია, პირიქით, სიხარულით მოვკვდები, რადგან ალადინის ბრძანება აღვასრულე.

– შენ რომ ჩვენთან გნახონ, ეგ სულ დაღუპავს ქართველობას... – შეფიქრიანდა გრიგოლ სურამელი.

– მაშ, განმარინე აქაურობას, ჯერ არ გათენებულა და არც ვისმეს დავუნახივარ აქეთ მომავალი.

– თავს უშველე, სანამ სიბნელეა, – აჩქარდა სურამელი, – ჩვენს ბანაკს ლელიანი ეკვრის, იქ ვერ მოგძებნიან. იმ ლელიანს გაჰყვები და შორს გაგიყვანს, სამშვიდობოს, – სურამელი ცოტა ხანს დაფიქრდა და ბადრადინს დაეჭვებულმა შეხედა, – მართლა მოჰკალი ჩაღატა?

– მართლა მოჰკალი. სადაცაა, გათენდება, კარავში მიაკითხავენ და მთელი ქვეყანა შეიტყობს.

– მერე რად ჩაიდინე ეგ საშინელება?

– საშინელება კი არა, ღვთის განაჩენი აღვასრულე. ალაჰის განაჩენს ჩვენ, მულიდები ჩვენი მთავრის – ალადინის პირით ვტყობილობთ. ის, ვინც ალადინის დავალებით ისმაილიტების მტერსა ჰკლავს, საუკუნო სასუფეველს იმკვიდრებს. ბავშვობიდან სულ იმას ჩამაგონებდნენ, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული სხვადასხვა არსების სხეულში გადადის. ეს, თუ რომელი არსების სხეულში გადასახლება მიცვალებულის სული, დამოკიდებულია იმაზე, როგორ ცხოვრებას ეწეოდა სიცოცხლეში ადამიანი. თუ მორწმუნე იყო, სათნოდ ცხოვრობდა, მისი სული სხვადასხვა ცხოველებისა და ფრინველების სხეულში ჩასახლების შემდეგ, შეიძლება ისევ ადამიანის სხეულს დაუბრუნდეს. მაგრამ თუ მიცვალებული სიცოცხლეში წინასწარმეტყველის კანონებს არ დაგიდევდა, უწესო, გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა, სიკვდილის შემდეგ მისი სული ყველაზე საძაგელი არსებების სხეულში სახლდება, ან, რაც უფრო საშინელია, სასტიკი სასჯელით ისჯება – სამუდამოდ ქვაში ემწყვდევა...

ბადრადინი აღზნებული ლაპარაკობდა და სადღაც, მიუწვდომლად შორს იხედებოდა. გრიგოლ სურამელმა გაიფიქრა, მთვრალი უნდა იყოს, ან გაგიჟებულაო.

– არ მომწონს შენი ლაპარაკი, ბადრადინ, აღზნებული ჩანხარ, მთვრალი ხომ არა ხარ?

– ჰო, ცოტა ხაშხაში მომერია. ალბათ, გახსოვს, ადრეც ვეტანებოდი. ჩვენ, ისმაილიტები, ხაშხაშით ვთვრებით და ამიტომ ხაშხაშიანებსაც გვიწოდებენ. ჩვენი სარწმუნოებისა და სამთავროს მტრებს ჩვენ ხაშხაშით აღზნებულები ვკლავთ ხოლმე და ჩვენგან დაშინებული ურწმუნოები კაცის მკვლელებს ხაშხაშიანებს ეძახიან, საერთოდ... იმას გიამბობდი, პატარობიდან სულ ჩამძახოდნენ, სათნოდ ღვთის კანონებით მეცხოვრა, რათა ჩემი სული ჩემი სიკვდილის შემდეგ საუკუნოდ ქვაში არ ჩაჭედდელიყო და ამით სამუდამოდ არ

დალუპულიყო ახალი ცხოვრებისათვის. ამის შიშით და იმის იმედით, რომ უცოდველი ცხოვრება გამიადვილებდა ჩემი სულის მოგზაურობასა და ისევე ადამიანის სხეულში მის დაბრუნებას, ცხრა საფეხური გავიარე, წვრთნის, გვემისა და თავშეკავების, რათა მოვმზადებულიყავი ამ მეათე საფეხურისათვის, რომელსაც «ფედავი» ეწოდება და რაიც «თავგანწირულს», «მსხვერპლად შეწირულს» ნიშნავს. გახსოვს, მთავარო, პირველად რომ შეგხვდი? შენ მაშინ ქართველების ლაშქრით პირველად მიემართებოდი საომრად ალამუთისკენ. მე იმ დროისათვის ფედავის ხარისხზე ამალღებული ვიყავი და მულიდებმა ოსტატურად შემომგზავნეს მონგოლთა ბანაკში ჩაღატა ნოინის მოსაკლავად. ალაღინის კაცებმა იცოდნენ, შენს ამალაში თუ მოვხვდებოდი, ჩაღატა ნოინთან შეხვედრის შემთხვევა მომეცემოდა, რადგან მულიდთა ეს დაუძინებელი მტერი ქართველთა ხშირი სტუმარი იყო და თქვენთან ლხინი უყვარდა, მაშინ ისე გავითამაშეთ, ვითომ სასიკვდილოდ მომდევდნენ ჩემიანები. ყაზვინის ახლოს, ღამით შემოვიჭერი შენს კარავში და დაფეთებულმა მტრისგან დაცვა გთხოვე. შენ დიდსულოვნად მიმიღე, დამმალე და ჩემი მდევრები ხელცარიელი გააბრუნე. რაკი «მკვლელებს» გადამარჩინე, მოგეკარი და აღარ მოგშორდი. შენც შეგებრალე და შენთან დამტოვე. მას შემდეგ, კარგა ხანს, ერთგულად გემსახურე და დღემდე, ალბათ, შენთან ვიქნებოდი, ავად რომ არ გავმხდარიყავი. ეს შარშან იყო, მთავარო, ლაშქარში საღმობიერი მძვინვარებდა და მეც დავსწეულდი. შენ რომ მე მომიარე, ისე დედა არ მოუვლიდა თავის შვილს, გადამდებ სენს არ შეუშინდი, თავზე მადექი და ღამეებს მითევდი. იმედგადაწურული ავადმყოფი, თითქმის საიქიოდან გამომაბრუნე და ჩემს თავს ფიცი მივეცი, როგორც კი შევძლებდი, გაგცლოდი, ეს უმადურობით კი არ მიქნია. ვიცოდი, როცა ალაღინის დავალებას შევასრულებდი და ჩაღატას მოვკლავდი, თუ იმ დროისათვის შენი მსახური ვიქნებოდი, მონგოლები შენზეც შურს იძიებდნენ. ამიტომ მცირე წყენა მოვიმიზეზე, შენი კარავი დავტოვე და აქვე, ალყად მდგარი იკონიის სულტნის ლაშქარს მივეკედლე. სინდისი მქენჯნიდა, რომ მადლის გადახდის მაგივრად გული გატკინე. ალაღინის ბრძანების მოლოდინში, ხაშხაშით გაბრუებული შენზე ვფიქრობდი და იმას ვნატრობდი, როგორმე საშუალება მომცემოდა შენი სიკეთისათვის სიკეთით გადამეხადა. და აი, ამ რამდენიმე დღის წინ მულიდთა მთავრის ბრძანება მივიღე და ჩაღატას კარავში შეპარულს ფრთები იმის შეტყობამაც შემასხა, რომ სასტიკი ნოინი ქართველ მთავართა დახოცვას აპირებდა ხვალისათვის. ჩაღატა ნოინის სიკვდილით ჩემს საღვთო ვალსაც ვიხდიდი და შენც გადაგარჩენდი. ამიტომ, როგორც კი მოვკალი, შენსკენ გამოვეშურე, რომ მეხარებინა. ახლა შენს ხელთა ვარ, თუ ჩემი გაცემა ქართველებს დამსახურებად ჩაგეთვლებათ და მტრის რისხვა ამით აგშორდებათ, ერთ წუთსაც ნუ დაფიქრდები, შემიპყარი და ჩემი თავი მონგოლებს ჩააბარე...

\_ სისულელეს რომავ... ვიგვიანებთ...

– ჩემთვის სიკვდილი ახლა ნეტარება იქნება, რადგან ღვთის წინაშე ვალმოხდილი ვარ, ალაღინის ბრძანება აღვასრულე და ამით საუკუნო ცხოვრება დავიმკვიდრე – ჩემი სული ქვაში არასოდეს აღარ ჩასახლდება.

– რა დროს ეგ არი, მომყე! – უბრძანა გრიგოლ სურამელმა, ნაბადი მოიხვია და ბადრაღინი კარვიდან გაიყვანა.

სიბნელე ნელ-ნელა იცრიცებოდა. ჩუმად მიდიოდნენ, უსიტყვოდ. ვიწრო ხევი გაიარეს და გაღმა ბექობზე რომ გავიდნენ, გაუვალ ლელიანს მიადგნენ.

– აქ შედი, – უჩურჩულა სურამელმა, – სიღრმეში დაიმაღე, მანდ ვერავინ მოგაგნებს. შეგიძლია ცოტა გამოიძინო და დღისით ნელ-ნელა გაიკვლიო გზა. სამხრეთისკენ იარე, ნაპირზე არ გამოხვიდე. აბა, ღმერთი იყოს შენი შემწე, – მთავარმა ხელი გაუწოდა.

ბადრაღინი მთავრის მარჯვენას ტუჩებით ზედ დააკვდა.

– ღმერთმა გადაგიხადოს, ალაჰმა გიწინამძღვროს... – ბუტბუტებდა და მთავრის ხელს გულში იხუტებდა.

როგორც იყო, მთავარმა მარჯვენა გამოგლიჯა, ნაბადი მოიხსნა, მულიდს მოახურა და ჩურჩულით უთხრა:

– გამოგადგება!.. გზა მშვიდობისა!

მულიდმა მაღლობის თქმაც ვერ მოასწრო, ქართველი მთავარი ბექობიდან დაეშვა და სიბნელეში გაუჩინარდა.

გრიგოლ სურამელს ბადრაღინის გასტუმრების შემდეგ რაღა დააძინებდა. თუ მულიდის აღსარება და ნაამბობი ხაშხაშით გაბრუებულის ბოდვა არ იყო, ხვალ სურამელსაც და სხვა ქართველ მთავრებსაც, ყველას, მონგოლთაგან სიკვდილი ელოდა. დილით ჩორმაღონის ბანაკში მიიწვევდნენ და სულერთი იყო, გამოეცხადებოდნენ თუ არა მბრძანებლებს, ორივე შემთხვევაში გარდუვალი სიკვდილი ელოდათ: თუ ეახლებოდნენ, განრისხებული ნოინები მხოლოდ მთავრებზე იყრიდნენ გულის ჯავრს და დანარჩენი ქართველობა გადარჩებოდა, ხოლო თუ მბრძანებლების სიტყვას არ დამორჩილდებოდნენ და წინააღმდეგობის გაწევას გაბედავდნენ, მონგოლთა ურიცხვ ლაშქართან ვერას გახდებოდნენ და მთავრებიდან მოყოლებული, უკანასკნელ მეომრამდე ყველანი ერთპირად გაიჟლიტებოდნენ. თუ მთავრები წინააღმდეგობის გზას აირჩევდნენ, ჯერ კიდევ დრო იყო, ქართველთა ბანაკის ფეხზე დაყენებასა და ალამუთის ალყიდან გაქცევას კიდევ მოასწრებდნენ, მაგრამ გაქცევას რა აზრი ჰქონდა, ლაშქრის უდიდესი ნაწილი ქვეითთაგან შესდგებოდა და შიმშილით დასუსტებული ჯარისკაცები დიდხანს ვერ ირბენდნენ. ქვეითნი კი არა, ცხენოსნებიც შორს ვერსად წავიდოდნენ. უჭმელობით დავარდნილი პირუტყვები ძლივსღა დადიოდნენ და კარგად ნაკვებ ცხენებზე ამხედრებულ მონგოლებს ქვეითნიცა და ცხენოსნებიც უმაღვე დავლად დარჩებოდათ.

იყო კიდევ ერთი შესაძლებლობა, გათენებამდე მტრის ბანაკში გადასვლა, მაგრამ რაინდობის ერთგული ქართველი მოყმეები არაფრის გულისთვის ამ სამარცხვინო საქციელს არ ჩაიდენდნენ და რომ ჩაედინათ კიდევაც, ბოლო

მანც დაღუპვა იყო. ალყაში მოქცეული მულიდები თავათაც შიმშილითა და უწყლობით იხოცებოდნენ, ალამუთის ციხე დღეს თუ ხვალ დაეცემოდა და ქართველებს მონგოლთა რისხვა მანც არ აცდებოდათ.

რაკი ყველა გზა მოჭრილი იყო, ასარჩევიც არაფერი რჩებოდა: ან მთელი ქართველობა უნდა გაჟლეტილიყო მთავრებთან ერთად, ან მთავრებს თავი უნდა გაეწირათ და საკუთარი მსხვერპლის ფასად მათზე მინდობილი რამდენიმე ათეული ათასი ჯარისკაცი გადაერჩინათ.

უკანასკნელი გადაწყვეტილების გარდუვალობას დიდხანს წონიდა სურამელი და როცა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სხვა გზა და არჩევანი არ იყო, ღვთისმშობლის ხატის წინ დაეცა ლოცვად. დიდხანს ავედრებდა ქართველ მფარველს საყვარელ სამშობლოსა და სანატრელ ცოლ-შვილს.

ლოცვაში დაათენდა და ფეხზე წამოდგომის წინ უფალს შეეხვეწა მხნეობა მიეცა მისთვის, რათა დანარჩენი მთავრებისათვის მონგოლთა ბანაკში ხლების აუცილებლობა ჩაეგონებინა. ქართველთაგან სურამელის მეტმა არავინ იცოდა მონგოლ-ნოინთა ვერაგული გადაწყვეტილება: თუ გრიგოლ სურამელი სისუსტეს გამოიჩინდა და ბადრადინის ნაამბობს გათქვამდა, მთავართა ერთ პირზე დაყენება გაჭირდებოდა, მონგოლთა ბრძანებას არ შეასრულებდნენ და თავიანთ თავთან ერთად ქართველთა მთელ ლაშქარს დაღუპავდნენ.

გათენდა თუ არა, გრიგოლ სურამელმა მთავრები თავის კარავში მოიხმო სათათბიროდ.

– გუშინდელი უსიამოვნება უბრალოდ არ ჩაგვივლის, ჩადატა ნოინი შურს იძიებს წყენისა და შეურაცხყოფისათვის. დღეს, ალბათ, დიდი ჯარით შემოგვიტევს, ჩვენებიც თავს გამოიდებენ და ურიცხვ მონგოლებთან რას გავაწყობთ, სულ ერთიანად ამოგვჟუჟავენ, – თქვა, ჩვეულებრივი სალამისა და მოკითხვის შემდეგ, შეწუხებულმა სურამელმა.

– გაგვჟლეტენ... ერთიანად ამოგვხოცავენ, – კვერი დაუკრა ეგარსლან ბაკურციხელმა.

– მანც ვიხოცებით და ბარემ მზად დავხვდეთ, თავს ლაჩრულად ნუ გავაწყვეტინებთ, – იფეთქა ჰერეთის ერისთავმა შოთამ და კუპრივით შავ სახეზე ალი ავარდა.

– რამდენს გავუმკლავდებით, მთავარო! მონგოლები ჩვენზე ასჯერ მეტნი მანც არიან. არა გამოგვივა რა და, ტყუილად თავს გავაჟლეტინებთ.

– მანც ხომ გაგვჟლეტენ, მანც არ დავგინდობენ.

– იქნებ უარესისაგან უკეთესი გამოვარჩიოთ, ერთპირად ყველას გაჟლეტას, ეგებ ის სჯობდეს, ჩვენ გავწიროთ თავი, მთავრებმა და, ჩვენზე მინდობილი ამდენი უდანაშაულო გადავარჩინოთ, – გაამხილა დიდი ხნის ნაფიქრალი გრიგოლ სურამელმა.

ქართლის ერისთავის ნათქვამი არავის გაჰკვირვებია.

– კეთილი და პატიოსანი, მაგრამ როგორ?

– ჩვენ სიკვდილს თუ დასჯერდებიან და ლაშქარს არ ამოხოცავენ, თავს ვინ დაიზოგავს?!

– ვეახლოთ ჩორმალონს, – განაგრძო სურამელმა, – თავი ვიმართლოთ და ეგებ შეგვიწყნაროს, გონიერი სარდალია, თუ რამ ქართველთაგან წყენა მიდგომიათ, ჩვენ ვიდოთ კისრად, ლაშქრის უბრალოება დავაჯეროთ და ჩვენ თუ მოგვსპობენ, მათი უვნებლობა მაინც გამოვთხოვოთ.

– თუ რამ ძვირფასი გვაბადია, ისიც ძღვნად ვაახლოთ, რაღა დღისთვის გვინდა, – ხელის ჩაქნევით თქვა ვარამ გაგელმა.

– თუ გული მოვუღებთ და შეგვიწყალა, ხომ კარგი, ჩვენც გადავრჩებით, თუ არადა, ლაშქრის უდანაშაულობას მაინც დავუმტკიცებთ და დანარჩენ ქართველობას სიკვდილისაგან ვიხსნით. სხვა გზას ვერ ვხედავ, – დაასკვნა სურამელმა.

– ცოტა თუ მაინც გჯერა, ერისთავო, – შეჰბედა შოთამ, – ცოტა თუ მაინც გჯერა, რომ ან ჩვენ გადავრჩებით, ან ლაშქარს დავიფარავთ?!

– მჯერა, ერისთავო. ჩორმალონის სიბრძნისა და აუჩქარებლობის იმედი მაქვს, ქართველებს იცნობს და იცის, რომ ღალატი წესად არა გვაქვს.

– სხვა გზაც რომ არა გვაქვს, მთავარო? – სასოწარკვეთით გაასავსავა ხელები სარგის თმოგველმა.

– არა გვაქვს... ეს ერთადერთი იმედია, ან ყველას ერთიანად მოგვსპობენ ყმასაც და პატრონსაც, ან ჩვენს სიკვდილს დაჯერდებიან და ამდენი უდანაშაულო გადარჩება...

– სხვა გზა არ არის! – ერთხმად დაამტკიცეს მთავრებმა.

ჩაღატა ნოინს დილით ადრე ადგომა ჰქონდა წესად. მამლის ყივილს დაასწრებდა საწოლიდან წამოხტომას და ჯერ კიდევ კარგად ნანათლებივ არ იყო ხოლმე, ცხენზე ამხედრებული ბანაკს რომ შემოუვლიდა.

რიჟრაჟს მიგებებული ფრთოსნების გალობით ტკბებოდა სუფთა ჰაერზე გამოსული ნოინი, მძინარ ბანაკს ჩუმად შემოუვლიდა, გუშაგების სიფხიზლეს შეამოწმებდა და უკანვე შემოქცეული, საუზმედ მაშინლა ჯდებოდა, მზე რომ კარგად ამოიწვერებოდა.

იმ დილას შეკაზმული ლურჯა ჩვეულებისამებრ მოჰგვარეს. კარვის კართან მდგარი მცველები დიდხანს ელოდნენ მზრძანებლის დამახილს, მაგრამ ჩაღატა არც დგებოდა და არც არავის უხმობდა.

კარვიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, არადა, უკვე კარგა გვიანი იყო. როდის-როდის, შემფოთებულმა მცველებმა კარავში შესვლა გაბედეს და შემზარავი სურათის დანახვაზე გაქვავდნენ: ყელგამოჭრილი ჩაღატა სისხლის გუბეში იწვა.

შეშინებულმა მცველებმა ყვირილი მორთეს. მთელი ბანაკი ფეხზე დადგა.

ჩაღატას კარვისკენ ჯერ თითო-ოროლა კაცი გარბოდა, მერე მონგოლთა მთელი ბანაკი იმ მხარეს მიაწყდა და მალე კარვის ირგვლივ ზღვა ხალხი აირია.



ექიმები პირველ დამახილზევე იქ გაჩნდნენ, მაგრამ ხელჩაქნეულები ისევ მალე გამოვიდნენ კარვიდან. სისხლისაგან დაცლილი, კარგა ხნის გაციებული ნოინის შველა მკურნალს კი არა, სასწაულს აღარ შეეძლო.

– ნოინები მობრძანდებიან!

– გზა... გზა...

– გზა დაუთმეთ მბრძანებლებს.

გაისმა ძახილი. წინ მომავალი მცველები შოლტისა და მათრახის ცემით, ხელისკვრითა და ლანძღვა-გინებით ერეკებოდნენ ცნობისმოყვარეობით გაოგნებულ მონგოლებს და გზას უთავისუფლებდნენ კარვისაკენ მიმავალ სახეშეშლილ ნოინებს.

სამთავ ნოინს – ჩორმალონს, იოსურს და ბიჩუს ხელი ხმალზე ჰქონდათ, ამღვრეულ, სისხლმოწოლილ თვალებს ნადირებივით აცეცებდნენ და ტუჩმოკუმულები ფერდაკარგულები მიიწევდნენ წინ.

პირველ კარავში ნოინთაგან უფროსი, ჩორმალონი შევიდა. იოსური და ბიჩუ შორიახლო მიჰყვნენ.

ქუდმოხდილები მიუახლოვდნენ თანამებრძოლის ცხედარს.

რამდენი ომი გადაუხდიათ ჩაღატას მხარდამხარ, რამდენი ციხე შეუღეწიათ და რამდენი ქვეყანა გაუთელიათ დაუჭედელი ცხენის ფლოქვებით. ისეთი მოისარი და ხმლის მქნეველი როგორც ჩაღატა იყო, ცხენზე სიკვდილის ღირსი კი უნდა გაეხადა იმ ბრმა ბედს, რომელმაც ასე უდროოდ და უსახელოდ ჩამოაცილა თავის თანამებრძოლებს. იმის მაგივრად, რომ გაჭენებულ ცხენზე მტრის ისრით განგმირულ ჩაღატას გაფრენილი ბერკუტივით დაეკეცა ფრთები და სისხლით გაჟღენთილ ბრძოლის ველზე დაეხუჭა თვალი, ჩინგიზის ეს მართვე ღორივით ყელგამოჭრილი ლოგინზე იწვა სანახევროდ ჩაბნელებულ კარავში და შავადშედედებულ საკუთარ სისხლში ცურავდა.

ნოინები უხმოდ მოშორდნენ ცხედარს.

კარვის კართან მოჯარულთ თვალი მოავლო ჩორმალონმა, წელში გაიმართა და მრისხანედ იკითხა:

– ვინ მოჰკლა ჩაღატა?

იარაღაყრილი ორი მცველი, ჩორმალონის წინ განერთხო.

– არ ვიცით, მბრძანებელო! – შეჰღაღადეს სასოწარკვეთილებმა.

– ვინ მოჰკლა ჩაღატა?

ისევ იკითხა ჩორმალონმა და შეკავებული ბრაზისაგან ცალი წარბი აუთამაშდა.

– არ ვიცით, ჩვენ უბრალონი ვართ.

ისევ შესტირეს მცველებმა.

– ვინ იყო ჩაღატასთან კარავში?

– ნოინების წასვლის შემდეგ ძეხორციელი არავინ შემოსულა...

\_ მთელი ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს. იურტაში მარტო იყო ბატონი... მარტომ დაიძინა.

\_ ჩაღატა ნოინი ან თქვენი ხელით მოკლულია, ან დაგეძინათ და მკვლელის შესვლა ვერ შეიტყვეთ. ორივე შემთხვევაში სიკვდილის ღირსნი ხართ, \_ გამოსცრა ჩორმალონმა, მიწაზე გართხმულ მცველს წიხლი ჰკრა და დაიღრიალა:

\_ გაათრიეთ!

მცველებს უმაღვე მისცვიდნენ და დაითრიეს.

\_ იოსურ! \_ მიუბრუნდა ჩორმალონი მარჯვნივ მდგარ ნოინს, \_ სიმართლე ათქმევინე და შუადღემდე მომახსენე.

იოსურ ნოინმა თავი დაუკრა და შეპყრობილ მცველებს წინ გაუძღვა.

\_ მე ვიცი, ვინ მოჰკლავდა ჩაღატა ნოინს, \_ წამოდგა წინ ასისთავი ჰაიდუ.

ჩორმალონი ასისთავს მიაშტერდა და სმენად იქცა.

\_ მე ვიცი, ვინც მოჰკლავდა... გუშინ ქართველებთან იყო... ისინი დაემუქრნენ.

\_ მერე რა, რომ ქართველებთან იყო? \_ დაიღრინა ჩორმალონმა და ბიჩუს გადახედა.

\_ შენ უკვე იცი, ქართველებს სურსათის ნაკლებობის გამო ულუფა შევუმცირეთ, უმაგისოდაც შფოთავდნენ, და ბოლოს სულ თავზე ხელი აიღეს. ალყის მოხსნას და შინ დაბრუნებას აპირებდნენ. ჩაღატამ თვითონ იკისრა ქართველების დასაშოშმინებლად წასვლა, \_ განმარტა ბიჩუმ ხმადაბლა.

\_ ყურიც არ ათხოვეს, კინალამ ზედ მიესივნენ. მე რომ ჩემი ასეულით იქ არ ვყოფილიყავი, ალბათ, ცოცხალი ვერ გამოასწრებდა.

\_ აქამდე თუ ჩუმი ჩურჩულებდნენ, ეს ერთი ხანია აშკარად იმუქრებიან, მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლიაო, \_ ისევ ხმადაბლა თქვა ბიჩუ ნოინმა.

\_ გუშინ საღამოს აქ ქართველები დაეხეტებოდნენ, მე თვითონ ვნახე. ჩაღატა ნოინი რომ მაგათი მოკლულია, ეჭვი არავის ეპარება. ასე არ არის, ხალხო? \_ მიმართა ლაშქარს ჰაიდუმ.

\_ აგრეა! ქართველების მოკლულია! \_ დაიგუგუნა ჯარმაც.

\_ ჰოდა, ამას ბევრი გამოძიება არ უნდა, ვინც სიკვდილით ემუქრებოდა, ნოინი იმათი მოკლულია. ამის პატიება არ შეიძლება, ახლავე შური უნდა ვიძიოთ. \_ იყვირა ჰაიდუმ და ქარქაშიდან ხმალი ამოსწია.

\_ სიკვდილი! სიკვდილი! \_ იხუვლა ჯარმა და ჩორმალონი შეაკრთო მათი თვალების მთვრალმა, აღგზნებულმა მზერამ!

\_ მეთაურებო! \_ დასჭექა ჩორმალონმა, \_ სიჩუმე იყოს და წესრიგი!

მეთაურები წინ გამოვიდნენ და გაიჭიმნენ.

\_ ქართველი მთავრები ამ დილით თავიანთი ნებით გვეახლნენ. გუშინდელი არეულობისთვის პატიება გვთხოვეს და სრული მორჩილება გამოგვიცხადეს.

\_ თვალთმაქცობენ ქართველები!

\_ თავს იძვრენენ!

– სიკვდილი ჩაღატას მკვლელებს!  
 ისევ აზობოქრდა გახელებული ლაშქრის ზღვა.  
 – მე ისინი მაშინვე შევიპყარი, თუმცა ჩაღატას მოკვლის ამბავი ჯერ კიდევ არ ვიცოდი.  
 – სიკვდილი ჩაღატას მკვლელებს!  
 ისევ აგუგუნდა ლაშქარი.  
 – თუ ქართველები ჩაღატას სიკვდილის მონაწილენი არიან, სიკვდილი არ აცდებათ, მაგრამ მე ქართველებს კარგად ვიცნობ, მათ ღალატითა და მიპარვით კაცის კვლა წესად არა აქვთ...  
 მრისხანება თითქოს წამით ჩაცხრაო, ჯარი სმენად იქცა.  
 – აჩქარება საქმეს ავნებს, ჯერ კარგად გამოვიძიოთ, დამნაშავენი ვამხილოთ და სასჯელი მერე მივაგოთ. მანამდე ქართველთა ჯარს შემოვერტყათ და იარაღი ავყაროთ, რომ მთავრების გადასარჩენად თავი არ გამოიღონ და სისხლი არ დაღვარონ.  
 – მიწასთან გავასწოროთ მათი ბანაკი!  
 – გავჟლიტოთ ერთიანად! – ისევ აყაყანდა ჯარი.  
 – მომყევით სრული საბრძოლო წესრიგით. ბრძანების თითოეული დამრღვევი მცირე არეულობისა და თვითნებობისათვის პასუხს სასტიკად აგებს ჩემს წინაშე, – დაიღრიალა უფროსმა ნოინმა და ცეცხლის მფრქვეველი წვრილი თვალები ლურსმნებივით ჩაასო მეთაურებს.  
 ნოინის უღმობელი სიმკაცრე არაერთხელ ჰქონდათ ნაწვნი ხელქვეითებს. მის მრისხანე მზერას ვერ გაუძლეს, თავი დახარეს და შურისძიების ცეცხლგანელებულნი შებრუნდნენ.  
 ცოტა ხანს კიდევ შფოთავდნენ. ამოდენა ჯარი ზღვასავით ღელავდა და ზიმზიმებდა.  
 მეთაურები ბრძანებას იძლეოდნენ.  
 ჰაერში შოლტები გაიკლაკნა. შენივთებული ბრბო შეტორტმანდა და ნელ-ნელა ასეულებად დაეწყო.  
 ჰაიდუ ასისტავი მბრძანებელს მიუახლოვდა და ხმის კანკალით შეჰბედა:  
 – დიდო ნოინო! ჩემი ასეული მუდამ ჩაღატას დროშის ქვეშ იბრძოდა. მის მკვლელებზე შურისძიებას ჩვენ ვერავის დავუთმობთ.  
 – ჩემს ახლოს იყავი, მალე დამჭირდები. – უბრძანა ჩორმალონმა, ცხენზე ამხედრდა და ლაშქარს წინ წაუძღვა.  
 ასეულებად დაწყობილი მონგოლები სრული წესრიგით მიჰყვნენ მთავარსარდალს.

მარტო დარჩენილი ბადრადინი ერთხანს გაჭირვებით მიიკვლევდა გზას გაუვალ ლელიანში. მერე თანდათან ხაშხაში და დაღლილობა მოერია და ძილი მოეძალა, ნაბადი დაიგო და მაშინვე დაეძინა. სიზმარი ნახა ბადრადინმა:  
 ალამუთის ციხეში შევიდა ვალმოხდილი. თავად ალადინი გამოეგება. ბადრადინმა სისხლიანი დანა გაუწოდა და კრძალვით მოახსენა:

– შენი დავალება აღვასრულე, მბრძანებელო, ჩაღატა ნოინი ამ დანით მოგვკალი და ახლა მისი სული ჯოჯოხეთში იტანჯება.

– ვიცი, ბადრადინ, ანგელოსებმა უკვე გვაუწყეს წმინდა ისმაილისადმი შენი ერთგულება და მულიდთა ძმობისათვის თავგანწირვა. შენ უკვე წმინდა ფედავი ხარ და საუკუნო სასუფეველი, სამოთხეში განცხრომა მოგელის. მობრძანდი, ბადრადინ! ალამუთის მთელი ციხე-ქალაქი ზეიმობს შენს გამარჯვებას.

ალადინი წინ გაუძღვა ბადრადინს. ოქროთი და პატიოსანი თვლებით გაწყობილ ვრცელ დარბაზში შეიყვანა.

ძვირფასი ტანსაცმლით შემოსეს ღარიბი ფედავი, ოქროს ტაბლა მოიღეს და უცხო სასმელ-საჭმელი მოართვეს. თეთრით შემოსილი ალამუთელები, დიდი და პატარა, მუხლზე დაცემული ბადრადინის ხოტბას ადავლენდა. ანგელოსთ გუნდი სადღაც მაღლა თაღებში გალობდა, ისმაილიტთა მოძღვრებისათვის თავგანწირული ბადრადინის ქებას ამბობდა.

ამოდენა ლოცვა-კურთხევით ბადრადინი უსმელ-უჭმელად გაძღა და პატიოსანი თვლების ცქერა მოწყინდა.

– აწ განმიტევე, მბრძანებელო, – შეევედრა ალადინს ჩაღატას მკვლეელი, – თუ სხვა დავალებას არ გადმომცემს ალაჰი შენი პირით, გამიშვი ამ ქვეყნიდან, მეყოფა ცოდვილ მიწაზე ხეტიალი...

– ალაჰს მეტი აღარაფერი აქვს შენთვის დასავალბელი. შენ უკვე განწმენდილი ხარ ცოდვათაგან, შენს სულს შეუძლია გაშორდეს თავის დროებით სამყოფელს და შეუდგეს დაუსრულებელ მოგზაურობას სხვადასხვა ბედნიერ არსებათა სხეულიდან სხეულში გადასახლებით.

– მაშ, გზა დამილოცე, მბრძანებელო! – შეევედრა ბადრადინი და მუხლი მოიყარა.

ალადინმა დიდხანს ლოცა წმინდა ფედავი, აკურთხა და ცრემლისფრქვევით გამოემშვიდობა.

ბადრადინმა თვალი დახუჭა. გრძნობს, რომ მყარი გამოეცალა და სადღაც მიცურავს თუ მიაფრენენ. აი, სამარეში აწვევენ ბადრადინს და ეცინება მართლმორწმუნე ისმალიტს: ნუთუ არ იციან, რომ ამ საფლავში წუთსაც არ დაჰყოფს იგი, ანგელოზები მოფრინდებიან, საფლავის კარს გაუღებენ და ნეტარებით აღსავსე მისი სული ულამაზეს სხეულიდან სხეულში დაიწყებს ბედნიერ მოგზაურობას.

უკვე ყველანი წავიდნენ. ბადრადინი მარტო წევს საფლავში და ელის ანგელოსების მოსვლას.

დაღამდა. მთელი სამყარო ძილმა და დუმილმა მოიცვა. საფლავი გაიხსნა და ორი ანგელოსი მოფრინდა. ბადრადინმა იცნო ანგელოსები – მუნკირი და ნაკირი. მათ საერთო წესი უნდა შეასრულონ. მიცვალებული უნდა დაჰკითხონ. ბადრადინს, ალბათ, დიდხანს არ დააყოვნებენ, მისი თავგანწირვის ამბავი ალადინისაგან ეცოდინებათ, გზას დაულოცავენ და წმინდა ფედავის სულს უბედნიერეს არსებათა სხეულებში ჩასასახლებლად გაისტუმრებენ.

მაგრამ ანგელოსებს სასტიკი სახეები აქვთ, ხელში ვარდ-ყვავილების ნაცვლად გახურებული შანთები უჭირავთ და ბადრადინისკენ რისხვის ფრქვევით მოდიან. სალამიც არ უთხრეს წმინდანად გარდაცვლილს. ხელი სტაცეს, წამოაქციეს და გახურებული შანთებით დაუწყეს შიშველ სხეულზე ცემა.

– მე ფედავი ვარ.. წმინდად გავიარე ყველა საფეხური და არავითარი ცოდვა არ მიმიძღვის, – იყვირა ტკივილისაგან გამწარებულმა ბადრადინმა.

– უდიდესი ცოდვა სწორედ სიკვდილის წინ გაქვს ჩადენილი! – ჩასძახა მუნკირმა და შანთი უთავაზა.

– იმის გამო, რომ შენ დაიძალე, ჩაღატა ნოინის მოკვლა ქართველებს დაბრალდა და ურიცხვი უდანაშაულო ადამიანი დაღუპე, – დასძინა ნაკირმა მუნკირის ნათქვამს და ცხელი შანთი უშხუვლა ბადრადინს.

– ამდენი ადამიანის ცოდვას ვინ გაპატიებდა, შე უბედურო. რაც წმინდად იცხოვრე, სულ წყალში ჩაგეყარა ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმით. ახლა შენ საშინელი ჯოჯობებით გელის. შენი სული უმშვენიერესი არსებების სხეულში კი არ იწყებს ჩასახლებას, უზარმაზარ ქვაში ჩაიჭედება და სამუდამოდ იქ დარჩება გამომწყვდეული.

– მე ფედავი ვარ, ისმაილის რწმენისთვის თავგანწირული, ალადინს ჰკითხეთ ჩემი სიწმინდის ამბავი.

– ალადინი კი არა, თავად ისმაილიც ვეღარ გიშველის, რადგან შენს მიერ ჩადენილი ცოდვა შენივე კეთილისმყოფელების მიმართ უმძიმესია და მიუტევებელი! ეყოფა ცემა, ქვა მოვაგოროთ და შიგ ჩავჭედოთ, – თქვა მუნკირ-ანგელოსმა, ცხელი შანთი გადააგდო და უზარმაზარი, მთისოდენა ქვა მოაგორა საფლავთან.

ქვამ ნელ-ნელა პირი გახსნა, ანგელოსებმა ბადრადინს ხელი სტაცეს და იმ ქვაში დაუწყეს მის სულს ძალით ჩაჭედვა. ბადრადინი გრძნობს, რომ სამუდამოდ იღუპება და თავდება, სადაცაა სულ ჩატენიან ამ უზარმაზარ ქვაში და მერე იქიდან მეორედ მოსვლის ჟამსაც ვეღარ გამოვა მისი სული. რა საოცარი ხუთვა და ტკივილი ყოფილა ქვაში გამომწყვდევა.

– გამიშვით... ოღონდ გამიშვით და იმ ქართველების გადარჩენას კიდევ მოვასწრებ, – იყვირა სასოწარკვეთილმა ბადრადინმა.

ანგელოსები წამით შეჩერდნენ.

– როგორ? განა არ გაუჟღეჭიათ ქართველები? – კითხულობს მუნკირი.

– არა, ჯერ კიდევ დრო აქვთ, შუადღემდე აცალა ჩორმალონმა. შუადღემდე თუ გამოჩნდა მკვლელი და სიმართლე გაიგეს, ქართველები გადარჩებიან, – ამბობს ნაკირი.

– თუ ასეა, გავუშვათ – ასკვნის მუნკირი.

– ასეა, გავუშვათ, – კვერს უკრავს ნაკირიც და ბადრადინის სულს ქვიდან ისევ უკან მიათრევენ.

– აბა, წადი და უშველე უდანაშაულოებს. იცოდე, თუ შენს კეთილისმყოფლებს არ უშველი, ამ ქვაში სამუდამოდ ჩამწყვდევას ვერ აცდება შენი სული, – უყვირა ნაკირმა და ბადრადინს მაგრად სტკიცა...

ბადრადინს გამოელვია.

ლელიანში ნაბადზე გაწოლილს მზე თავზე დადგომოდა, სიზმარი გაიხსენა, გველნაკბენივით წამოხტა. ლოცვას ჩურჩულებდა და თან საშუადღეოზე ასულ მზეს მიჩერებოდა, ხომ არ დავაგვიანეო.

სისხლშემხმარი დანა უბეში ჩაიდო და გეზი ქართველთა ბანაკისკენ აიღო. ნელა, გაჭირვებით მიიკვლევდა გზას ლელიანიდან.

ქართველთა ბანაკიდან ხმაური ისმოდა. რაც უფრო უახლოვდებოდა ბანაკს, ის ხმაური უფრო მატულობდა და ბოლოს, ერთ გაბმულ ზმუილად მოისმა.

ნაპირს მიაღწია. ლელი გადასწია და გამოიხედა.

ბანაკი ლოცვად დაცემულიყო. დაჩოქილი ჯარისკაცები თავს მიწას ურტყამდნენ, ღმერთს ლოცვას შეჰკლადებდნენ და განწირული ხმით მოთქვამდნენ. ბანაკის შუაში ხმალ-ხანჯლები და მშვილდისრები ეყარა გორად.

მონგოლთა ბანაკიდან ავისმომასწავებელი გუგუნნი მოისმოდა.

ბადრადინი ლერწმოვანიდან გამოვიდა და ბექობზე დაეშვა.

ბუჩქნარში ორი ჯარისკაცი იჯდა. ერთმა ნამტირალევი თვალები მოიწმინდა და ხელი რომ ჩამოიღო, ბადრადინმა ქართველი ერისთავის ეჯიბი ფარნაოზი იცნო.

მიუახლოვდა.

– გამარჯობათ! – ხმამალა უთხრა და მიაჩერდა.

– გამარჯობა, ბადრადინ! – იცნო ფარნაოზმაც.

– აქ რას აკეთებთ, ან თქვენ თავს რა ამბავია? – იკითხა ბადრადინმა და თვალი ბანაკს მოავლო.

– მტრისას, ჩვენთან რომ ამბავია! – ამოიოხრა ფარნაოზმა, – არაფერი იცი?

– არა, არაფერი.

– ორი დღეა მონგოლებს ავუჯანყდით, გუშინ ჩვენს დასაშომმინებლად მოსული ჩაღატა ნოინი აქედან გავაგდეთ, დღეს მთელ ბანაკს გაჟლეტა ელოდა. ჩვენმა მთავრებმა, ჩვენ რომ გადავერჩინეთ, თავი გასწირეს და ჩორმალონს ეახლნენ. ამ დილას დავემშვიდობეთ და სასიკვდილოდ გავისტუმრეთ. მთავრების რჩევით, იარაღი ავიხსენით და აგერ შუა მინდორში ყრია იმის ნიშნად, რომ წინააღმდეგობის გაწევას არ ვაპირებთ.

– დილას აქეთ არაფერი იცით თქვენი მთავრებისა?

– არაფერი... ან კი რა არის საცოდინარი. წუხელ ჩაღატა მოუკლავთ და თურმე მის მოკვლასაც ჩვენ გვაბრალევენ. ახლა კი ნამდვილად ვეღარაფერი გვიშველის, სადაცაა, მონგოლები თავს დაგვესხმიან და დაგვხოცავენ: მთელი ბანაკი დილიდან ლოცვადაა დაცემული და ღვთისმშობელს ხსნას ევედრება, ახლა ერთადერთი იმედი ქართველთა მფარველ ქალწულზეა.

– აგერ, დაიძრნენ! – წამოიძახა მეორე ჯარისკაცმა და ფეხზე წამოდგა.

სამივემ იქით გაიხედა.

მონგოლთა ბანაკი ზღვასავით მძიმედ დაიძრა.

ცაში მტვერი ავარდა, ცხენოსანი ჯარი რკალად გაიშალა და ქართველთა ბანაკის ალყის შემოსარტყმელად წამოვიდა.

ცხენების ჭიხვინი, ჯარის გუგუნნი და იარაღის ჟღარუნნი უკვე ახლო გაისმოდა.

– აქ რას აკეთებ! წადი, თორემ შენც არ დაგინდობენ, – ურჩია ბადრადინს ფარნაოზმა.

ბადრადინს მისი ნათქვამი არც გაუგონია. მონგოლთა მოახლოებულ ლაშქარს მონუსხულივით მიჩერებოდა და ადგილიდან არ იძროდა.

ფრთებიდან შემოვლილმა ცხენოსნებმა ქართველთა ბანაკის ირგვლივ წრე შეჰკრეს და ჩორმალონის წინ საოცარი სურათი გადაიშალა: იარაღაყრილი ქართველთა მთელი ლაშქარი ერთი კაცივით ჩაჩოქილიყო და ლოცულობდა. ბანაკის შუაში იარაღის გორა იდგა.

აქეთ წამოსული ჩორმალონი შფოთსა და წინააღმდეგობას ელოდა. ნახულმა სურათმა წუთით დააბნია ნოინი: თავისი ნებით იარაღაყრილი ქართველები, არათუ ბრძოლას აპირებდნენ, მთლიანად მის ხელთ აგდებდნენ თავიანთ ბედსა და სიცოცხლეს.

– მან ქუშტემ ჩაღატა! – გაისმა ძახილი და ჩორმალონი გარინდებისაგან გამოერკვა. ბეკობზე ბადრადინი იდგა, სისხლშემხმარი დანა მალლა აღემართა და გაჰყვიროდა:

– მან ქუშტემ ჩაღატა!

– რაო, რას ამბობს? – იკითხა ფარნაოზმა.

– მე მოვკალი ჩაღატაო! გესმის, რას ამბობს?

მონგოლები ჯერ სმენად იქცნენ, მერე იგრიალეს და მულიდის გასაგლეჯად რომ დაიძრნენ, ჩორმალონმა ხელი აღმართა და ჯარი ადგილზე გააქვავა.

– მან ქუშტემ ჩაღატა! ქუშტემ ჩაღატა! – გაჰყვიროდა ბადრადინი. ჰაერში სისხლიან დანას ათამაშებდა და ეშმაკივით ადგილზე ხტოდა.

ჩორმალონმა ჰაიდუს ანიშნა.

ასისთავი და მისი ნუქერები აფთრებივით მიცვივდნენ და ჩაღატას მკვლელი შეიპყრეს.

ბადრადინმა დაკითხვაზე ყველაფერი თქვა. სიზმრის მოყოლაც არ დაავიწყდა და გულწრფელად უამბო, თუ რამ აიძულა ლელიანიდან გამოსულიყო და მტერს თვითონ, თავისი ნებით ჩაბარებოდა.

ქართველმა მთავრებმა, რაკი ჩაღატას მკვლელობის ბრალდება მოეხსნათ, შფოთისა და დაუმორჩილებლობის გამოც თავი იმართლეს, ულუფა მიიღეს, მორჩილების ფიცი დასდეს და თავიანთ ბანაკში მშვიდობით დაბრუნდნენ.

მაგრამ ცოცხლად გადარჩენა სულაც არ ამცირებს გრიგოლ სურამელის გამირული თავდადების მნიშვნელობას.

მონგოლ მბრძანებლებთან თავისი ფეხით მიმავალ ქართველ მთავარს სჯეროდა, თვითონაც სასაკლაოსკენ მიდიოდა და, მეგობარი მთავრებიც დასალუპად მიჰყავდა, მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმისას იმის რწმენა ამხნევებდა, რომ დანარჩენ მრავალრიცხოვან ქართველობას სიკვდილისაგან იხსნიდა. ამიტომ, როცა ქართველი მთავრები გრიგოლ სურამელის მეთაურობით მონგოლთა ბანაკისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ, ეს უკვდავების გზაზე დადგომასაც ნიშნავდა, რადგან მოყვასისათვის თავგანწირვის მაგალითი ყოველთვის იყო კეთილშობილების უმაღლესი გამოხატულება და მარადისობის კუთვნილებად რჩებოდა მუდამ.

მონგოლებმა მულიდი ბადრადინი მოედანზე გამოიყვანეს და ხმლით შუაზე გაჰკვეთეს.

თავისი სარწმუნოებისა და კეთილისმყოფლების წინაშე ვალმოხდილმა მულიდმა მოქნეულ ხმაღს თურმე ნეტარი ღიმილი შეაგება.

პალიასტომის ნავსადგურსა და გემსაშენზე გახურებული მუშაობა იყო. წელიწადიც აღარ უნდოდა ნავსადგომის მოთავებას, რიონის შესართავთან უდიდესი ნავსადგომი აღიმართებოდა და სამხედრო ხომალდებს ფართოდ გაუღებდა კარს.

მეფე ჩქარობდა. ვენეციელ და გენუელ ელჩებთან ცალ-ცალკე საიდუმლოდ მართავდა მოლაპარაკებას, უფრო ხელსაყრელი პირობით, ხომალდების შეძენისა და საქართველოს სანაპიროზე ნავსადგურების აშენების თაობაზე. ბოლოს, არჩევანი მაინც ვენეციაზე შეაჩერა. ზღვათა მფლობელის ელჩი, დოჟის სახელით, საქართველოს ხელმწიფეს შეღავათით აღუთქვამდა საომარი ხომალდების მიყიდვასა და ნავსადგურების გამართვას.

მეფემ ელჩიონი შეადგინა ოდიშის მთავრის მეთაურობით. საქართველოს საამირბაროს გამგებელს ვენეციის დოჟთან საბოლოო მოლაპარაკება და ხელშეკრულების დადება დაევალა.

ამას გარდა, ცოტნეს თან ქართველი მეზღვაურების და გემმშენებლების ჯგუფი უნდა წაეყვანა და მათთან ერთად ვენეციის გემსაშენებში ნახევარი წლის განმავლობაში ხომალდების აგების ხელოვნებას უნდა დაუფლებოდა.

ელჩიონის გასამგზავრებლად დიდხანს ემზადებოდნენ; რამდენიმე გემი დატვირთეს საგზლითა და ვენეციის გამგებელთათვის განკუთვნილი ძვირფასი საქონლით.

– იცოდე, საქართველოს მომავალი ძლიერება ბევრად იქნება დამოკიდებული შენი ელჩობის წარმატებაზე, – ერთხელ კიდევ გაუმეორა მეფემ ცოტნეს გამომშვიდობებისას.

ოდიშის მთავარს უამისოდაც კარგად ესმოდა მისთვის დაკისრებული დიდი სახელმწიფო დავალების მნიშვნელობა. მოლაპარაკების პირობებს ბეჯითად სწავლობდა, საზღვაო საქმეს, ხომალდმშენებლობისა და ზღვაზე ომის მეცნიერებას უღრმავდებოდა და თავისი მომავალი ნაბიჯების წინასწარ აწონვასა და გათვალისწინებას აქედანვე ცდილობდა. ლაშასაგან გადადებული



აღფრთოვანება ცოტნესაც ფრთებს ასხამდა, შავ ზღვაზე გაბატონებულ საქართველოს რომ წარმოიდგენდა, სიამაყე ავსებდა და თავისი მოწოდება და ადგილი ამ საქმის განხორციელებაში დიდად საპატიოდ ესახებოდა.

გრძელი, ხიფათებითა და ფათერაკებით სავსე გზა ელოდა საქართველოს ელჩონს. შავ ზღვაში ფრანგი და ბერძენი, ვენეციელი და გენუელი მეკობრეები დაუსჯელად დაშლიდნენ, მშვიდობიან მგზავრებსა და ვაჭრებს ძარცვავდნენ და ხოცავდნენ.

მოგზაურობა საშიშარი იყო, მაგრამ მთელი საქართველოსა და თვითონ ცოტნეს მომავლისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი დავალებით გამგზავრებას დღესასწაულივით ელოდა ოდიშის მთავარი.

მხოლოდ ერთხელ ჩაწყდა გული და კინალამ თავათაც იტირა, ბრმა მამა და დაუძღურებული დედა რომ მოეხვივნენ ტირილითა და ვიშვივით.

– მე, ალბათ, შენს დაბრუნებას ვეღარ მოვესწრები, შვილო, – შესტირა შერგილმა, – ღმერთსა ვთხოვ, გამარჯვებით წარგმართოს მეფისა და ქვეყნის სამსახურში.

– ცოლსა და შვილს მაინც მიტოვებდე ნუგეშად, რამ უნდა გვაცოცხლოს უშენოდ, შვილო! – ამოუჯდა გული ნათელას და წამით წახდა ცოტნე, მუხლებში მოშვება იგრძნო და ყელში ბურთი მოაწვა.

დედის მკლავებიდან ნაზად დაიხსნა თავი, გემზე ავიდა და ცრემლიანი თვალი სიყვარულით მოავლო საქართველოს მთავორებს.

ზღვაშივე გამოეგებნენ ქართველ მთავარს. სამი სამხედრო ხომალდი მიესალმა მხედრული წესით.

მერე მეწინავე ხომალდი სულ ახლო მივიდა, გემიდან ქალაქის მოურავი ვინჩენცო გადავიდა ცოტნეს ნავზე ამაღლის თანხლებით, საქართველოს სამეფოს დიდებულ მთავარს წარუდგა, დოჟისა და ვენეციის მოქალაქეთა სახელით სალამი მიართვა და სატახტოს გზა დაულოცა.

მთავარმა მეფისა და ქართველი ხალხის საუკეთესო სურვილები გადასცა და ორივე ქვეყნის მეგობრობის განმტკიცების სარგებლიანობა აღნიშნა.

ცერემონიალი დამთავრებული არ იყო, რომ ხომალდი მთავარი არხით ქალაქში შევიდა.

ცოტნე გოცეებული უყურებდა წყალში ჩადგმულ ქვის სასახლეებს. არხებით დაქსელილ ქალაქსა და წყალში უცხო ფრინველებივით მოსრიალე გონდოლებს.

წმინდა მარკოზის მოედანთან გაჩერდნენ. მთავარი ნახულით აღტაცებას ვეღარ ფარავდა – აქ ყველაფერი მართლაც ზღაპრულად ლამაზი იყო, მაღალი კოშკებიც და უცხო სასახლეებიც, ტაძრებიცა და მარმარით დაფენილი მოედნებიც.

ქალაქის მოურავი სტუმარს დაემშვიდობა:

– დღეს დაღლილი ბრძანდებით და მოსვენება გჭირდებათ. თქვენს განკარგულებაში სასახლე იქნება მსახურებითა და მოახლეებით. ხვალ თავად

ვენეციის დოჟი გიწვევთ სასახლეში დარბაზობაზე. დანიშნულ დროს მე თვითონ მოგაკითხავთ და სადარბაზოდ წაგიძღვებით, – თავაზიანად უთხრა ვინჩენცომ. ერთიმეორეს დიდი ხნის ნაცნობებივით გამოეთხოვნენ; ცოტნეს ნავი უკანვე შებრუნდა, მერე ვიწრო არხში შეუხვია და წყალში ჩასულ ფერადი ქვის კიბესთან გაჩერდა, იმ კიბეზე აუძღვნი და სამსართულიანი შენობის სადარბაზოში შევიდნენ. უიმისოდაც ნათელი სასახლე ჭაღებით იყო გაჩახჩახებული. სტუმრებს მსახურები შეეგებნენ, ბარგი მოართვეს და დააბინავეს.

მეორე დღეს დოჟების სასახლეში იწვიეს ქართველი მთავარი. დარბაზობის მოკლე ცერემონიალი მალე დასრულდა და მხარეები მაგიდას მიუსხდნენ მოლაპარაკების დასაწყებად.

ვენეციის დოჟმა პირდაპირ დაიწყო:

– ჩვენს მეგობარს ქართველთა მეფეს კარგად უნებებია, რომ ჩვენი კეთილი ურთიერთობის განმტკიცება ახალი ხელშეკრულებით განუზრახავს. ქართველთა მთავარმა და მთელმა ქვეყანამ იცის, ვენეციის ხომალდებს გენუისა და პიზისა ვერ შეედრებიან ვერც თავიანთი საომარი თვისებებით, ვერც სისწრაფითა და გამძლეობით.

ამასთან, ვენეცია შეღავათსაც ავრცელებს თავის მეგობრებზე და თუ ჩვენ საქართველოს სანაპიროს ზოგიერთი ნავსადგურის გადმოცემაზე შევთანხმდებით, ხომალდების საფასურის გადახდასაც გადროვებთ. ჩვენი შეთანხმება რომ ორმხრივ სარგებლიანი იყოს, სჯობს ახლავე გაირკვეს თქვენი და ჩვენი საწადელი: რამდენი ხომალდის შეძენას ფიქრობს ქართველთა მეფე და რაგვარის ხომალდებით სურს მის უდიდებულესობას თავისი საზღვაოსნოს აღჭურვა. ამას მნიშვნელობა აქვს, რადგან, როგორც ჩვენ გადმოგვცეს, თქვენს სამეფოს ჯერჯერობით დიდი სამხედრო ნავსადგური არ გააჩნია და დიდი საომარი ხომალდების მისაღებად და მოსავლელად სათანადოდ მოწყობილი ნავსადგომები ჯერჯერობით არა გაქვთ.

სიტყვა «ჯერჯერობით» ორჯერ იხმარა დოჟმა და ორივეჯერ ხაზგასმულად. ცოტნეს ეჭვმა გაჰკრა, ვენეციელებმა ფაზისის მშენებლობა ხომ არსაიდან შეიტყვესო.

– დიდი ნავმისადგომები, როგორც ზღვათა მბრძანებლებს აქვთ, არც გაგვაჩნია და არც გვჭირდება. ჩვენ მხოლოდ ჩვენი სანაპიროს დაცვა და გამაგრება გვინდა. ამჟამად რამდენიმე გალერის შეძენის გარდა, თქვენი გემსაშენების გაცნობა გვაქვს მეფისაგან დავალებული. მე, პირადად, მინდა შევისწავლო გემთმშენებლობის ხელობა და ამ მიზნით კიდევ თან რამდენიმე ქართველი ჭაბუკიც მახლავს. ჩვენმა მეფემ იმის რწმუნებაც მოგვცა, ერთი დიდი გემსაშენის აგებაზე შევთანხმდეთ თქვენთან, თქვენი პირობები შევიტყოთ და, თუ ჩვენთვის ხელსაყრელად მივიჩნევთ, ასეთი გემსაშენის ერთობლივი ძალით აგებაზე დავდეთ ხელშეკრულება.

დოჟმა ქართველთა ყველა სურვილი შეიწყნარა და ქართველ მთავარს სთხოვა ყველა ეს წინადადება ჯერ დოჟისა და ელჩის მრჩევლებს დაემუშავენინათ და მოემზადებინათ.

– ხელშეკრულებათა პირობების საბოლოოდ დადგენამდე ჩვენ კიდევ შევხვდეთ და მოლაპარაკება განვაგრძოთ. ამ ხნის განმავლობაში, ქართველ მთავარსა და მის ნაოსნებს ვენეციის საუკეთესო გემსაშენების კარს ფართოდ გავუღებთ და საშუალებას მივცემთ საფუძვლიანად გაეცნონ და შეისწავლონ გემთმშენებლობის ჩვენი ხელოვნება.

მოლაპარაკების დასასრულს ფეხზე წამოდგომას რომ აპირებდნენ, დოჟმა ცოტნეს მიმართა:

– ხვალ ჩვენი უდიდესი დღესასწაული, ქრისტეს ამაღლების დღეა. ამ ორასიოდე წლის წინ, როცა დოჟმა პიეტრო ორეოლომ დაღმაცია დაიპყრო, მაშინ გადაწყდა ამაღლების დღე ყოველ წელს ზარზეიმით გვეუქმნა. რომის პაპმა მაშინ გადასცა დოჟს ოქროს ბეჭედი და უფლის სახელით ვენეცია საუკუნოდ ზღვაზე დაწინდულად გამოაცხადა. მას შემდეგ ზღვის დაწინდვის ეს ზეიმი სახალხო დღესასწაულად იქცა. საქართველოს საზღვაოსნოს ამირბარი სწორედ კარგ დროს ჩამობრძანებულა. დილას ვინჩენცო გეახლებათ ჩემი გონდოლით და, თუ ინებებთ, ზღვის დაწინდვის ზეიმს ნახავთ. ზეიმზეც და ნადიმზეც ჩვენი საპატიო სტუმრები იქნებით.

ცოტნემ მადლობა გადაუხადა და აღუთქვა, რომ სიამოვნებით ისარგებლებდა მისი თავაზიანი წვევით.

სალამოს თავის ამაღასთან ერთად სანაპიროზე გაისეირნა, სენმარკოს მოედანსა და რიალტოზეც გაიარა და შინ დაბრუნდა.

ქართველი მთავრისათვის განკუთვნილი სასახლე მდიდრულად იყო მოწყობილი. წითელი ხის ავეჯი და ხავერდი, ფარჩა-აბრეშუმის ფარდები და ქათქათა ლოგინები, მაგიდეებზე და თაროებზე ძვირფასი ბროლის ჭურჭელი, კედლებზე ვენეციელი და უცხო დიდოსტატების ფუნჯით დახატული სურათები – ყველაფერი სასახლის პატრონების შეძლებასა და გემოვნებაზე მეტყველებდა.

ვიწრო ფანჯარაში გაიხედა ცოტნემ.

ვენეციაში ღამე იყო და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა თითქო ზღვას აგრძელებდა, წყალზე გადამდგარი სახლების უამრავი სარკმლებიდან გამოსული შუქი ზღვაზე ირეკლებოდა და არხებში ფარნებანთებული გონდოლები დასრიალებდნენ.

ზღვის ჰაერი ღრმად შეისუნთქა მთავარმა, ეამა, ოდიშის ნესტივით რაღაც შეჩვეული და ახლობელი შეიგრძნო. სარკმელს მოშორდა, ტანთ გაიხადა, პირჯვარი გადაიწერა და საწოლზე დაეშვა.

დღის შთაბეჭდილებით გაბრუებულმა ცოტა ხანს ფიქრით კიდევ იბორიალა დოჟის სასახლესა და წმინდა მარკოზის ტაძარში. ერთხელ კიდევ გაიხსენა ოქროთი და პატიოსანი თვლებით მოჭედილი სვეტები და თაღები,

ნატიფი მოზაიკითა და მხატვრობით დაფარული ჭერი და კედლები. დაღლილობა ისე მოერია, თვალის დახუჭვა და დაძინება ერთი იყო.

ერთი პირი ძილი გათავებული ექნებოდა, სიმღერა რომ ჩაესმა და გაეღვიძა. ყური მიუგდო ნაცნობ ჰანგს. ერთხანს სმენას არ დაუჯერა, თავი სიზმარში ეგონა.

ვოუ ნანა, დიდავოი ნანა...

მღეროდა ვიღაც საწყლად, გულისმომკვლელად. ცოტნეს ტანს ბუბგები დააყარა. გაოგნებული ყურს უგდებდა და ვერაფერი მოეფიქრებინა. მარტო სიმღერა კი არა, ხმაც ნაცნობი იყო. სულში ნაღვლიანად ეღვრებოდა, ათბობდა და ეალერსებოდა.

სიმღერა თანდათან შორეულად მოესმოდა და თითქმის რომ მისწყდა, მხოლოდ მაშინ გამოერკვა ცოტნე. ფეხზე წამოიჭრა, სარკმელი გააღო, მორიდებისა და ყოველგვარი პირობითობის ბორკილი წამით მოეხსნა და ღამეში გასძახა:

– რომელი ხარ მანდ, მეგრულად რომ მღერი... ხმა გამეცი, მეც მეგრელი ვარ.

სადღაც შორს ფარნით განათებული გონდოლა ობლად მიირწეოდა. ეტყობოდა, ცოტნემ ხმა ვერ მიაწვდინა.

– ეჰე-ჰეეეიი... – კიდევ გასძახა მთელი ხმით ცოტნემ და რომ არავინ გამოეხმაურა, ხელი ჩაიქნია, სარკმელს მოშორდა და ცრემლმომდგარი ლოგინს დაუბრუნდა.

ვინ უნდა ყოფილიყო ასე გულშიჩამწვდომად, ასე სევდიანად რომ მღეროდა ნაცნობ სიმღერას? თითქოს ხმაც ნაცნობი იყო და სიმღერაც ასჯერ და ათასჯერ მოსმენილი. გონებას ძაბავდა ცოტნე, ფიქრით ისევ და ისევ ოდიშის ჭალებს უბრუნდებოდა, მაგრამ ამაოდ, ვერც იმას იხსენებდა, სად გაეგონა ის სიმღერა, ვერც იმას სწვდებოდა, ვისი იყო ის ნაცნობი ხმა.

დილას უგუნებოდ ადგა ოდიშის მთავარი. საუზმეზე მხლებლებს ჰკითხა:

– წუხელ დაღლილებს, ალბათ, დაბანგულებივით გეძინათ.

– მკვდრებივით გვეძინა, მთავარო. – ერთხმად მოახსენეს მხლებლებმა.

– სიმღერა რამ ხომ არ გაგიგონიათ?

– სიმღერა აქ სულ ისმის, მთავარო. მენავეები თავიანთ გონდოლებს სიმღერით მიაცურებენ ამ ვიწრო არხებში.

– იტალიელები სიმღერისთვის გაჩენილები არიან ნამდვილად, რა საქმესაც არ უნდა აკეთებდნენ და სადაც არ უნდა იყვნენ, ქუჩაში თუ მოედანზე, ფუნდუკსა თუ აბანოში, ყველგან მღერიან. მაგათი ენაც სასიმღეროდ არის მოგონილი და დიდი თუ პატარა, ყველა მღერის.

– მე მაგათი სიმღერა როდი მიკვირს. წუხელ ძილში ჩვენებური სიმღერა ჩამესმა. ვოუნანას მღეროდა ვიღაც ჩვენებური.

– ჩვენებური? – გაოცდნენ ცოტნეს მხლებლები.

– ნამდვილად ჩვენებური. ოდიშარი უნდა ყოფილიყო, ისე გულშიჩამწვდომად მღეროდა, გულღვიძლი ამომიტრიალდა, ჯერ თავი

სიზმარში მეგონა და ყურს არ დავუჯერე. გონს რომ მოვედი, დავუძახე, მაგრამ შორს წასული იყო და ხმა ვეღარ მივაწვდინე.

– ნუთუ მართლა ჩვენებური ვინმე იყო?

– აქ ვინ უნდა იყოს ჩვენებური?

– ვენეციაში მიღეთის ხალხი ცხოვრობს და რა გასაკვირია, რომ ერთი ქართველიც ერიოს. გავიკითხოთ, ეგებ ვინმემ იცოდეს და შეგვახვედროს, აქაურობის მცოდნე ქართველის პოვნა ჩვენთვის დიდი სიკეთე იქნებოდა.

– საგანგებოდ გამოვიძიებთ...

– მიწის ქვეშ რომ იყოს, იქ ვიპოვით. – ერთპირად აღუთქვეს მხლებლებმა.

– მე ამდამ, თუ მთავრის ნება იქნება, თქვენს ოთახში გავათენებ, ძილფხიზლად ვიქნები და ის ოდიშარი, თუ კიდევ სადმე გამოჩნდა, უთუოდ ვნახავ, – ხვეწნით თქვა ანთიამ.

– ღამის თევა რა საჭიროა, თუ კიდევ გამოიარა, მე თვითონ გაგაღვიძებთ, მაგრამ, ვაითუ, აღარ გამოჩნდეს! – დანანებით თქვა ცოტნემ.

კართან მსახური მოდგა და მთავარს ვინჩენცოს მოსვლა აუწყა.

საუზმედ მსხდარნი წამოიშალნენ, ვინჩენცოს შეეგებნენ და სუფრაზე მოიპატიჟეს.

ვინჩენცომ ბოდში მოიხადა, დღესასწაულზე დოჟი გვიცდის, დავიგვიანებთო. ქართული ღვინის ეშხმა მაინც წასძლია, სავსე თასი დაუჯდომლად დაცალა, ზედ ლუკმა დააყოლა და მთავარს მიმართა:

– ჩემი გონდოლა უკვე მზად არის!

– წავიდეთ! – თქვა ცოტნემ, ხმალი გადაიკიდა, სარკეში ჩაიხედა, თმა-წვერზე ხელი დაისვა და ელჩს კარისკენ ანიშნა.

მოჩარდახულ გონდოლში მოთავსდნენ რბილ სავარძლებზე. გრძელ ნავში ძვირფასი ხალიჩა ეფინა, მცირე ტაბლაზე სასმელ-საჭმელი ეწყო.

ერთხანს ნელა მისცურავდნენ. ვიწრო არხები სადღესასწაულოდ მორთული გონდოლებით იყო გაჭედილი, ქუჩებში ათასფრად მოკაზმული ვენეციელების ჟრიამული იდგა. ყველანი ხმელთაშუა ზღვის იმ ნაპირისაკენ მიიჩქაროდნენ, სადაც დოჟს ერთხელ კიდევ უნდა ესროლა რომის პაპისაგან ნაკურთხი ოქროს ბეჭედი და ერთხელ კიდევ ზარ-ზეიმით უნდა აღნიშნულიყო ზღვაზე ვენეციის დაწინდვის ცერემონიალი.

– მოწყენილი მეჩვენება ჩვენი მენავე, რატომ არ მღერის? – იკითხა ცოტნემ.

– ამ აურზაურში სიმღერას რა გემო აქვს, მთავარო, სიმღერას მყუდროება და საკუთარ დარდთან ან სიხარულთან მარტო დარჩენა უნდა. ამიტომ მღერიან ხოლმე მიმწუხრის ჟამს გონდოლიერები, როცა ქალაქის შფოთი დამცხრალია და დამფასებელს სიმღერის გაგონება შეუძლია.

– წუხელ გულისძილში წასული გამომავლია საამო სიმღერამ.

– ჩვენს სატახტოში გვიან ღამე, ფარნები რომ ქრება, მერე სიმღერა აკრძალულია და, თუ ვინმე ბედავს, სასტიკად ისჯება. – წარბშეკვრით თქვა ვინჩენცომ, – ეგებ ბინის გამოცვლას ინებებდა მთავარი, ან საძინებლის შეცვლას?

– არა, რა სათქმელია. გუშინ დადლილს ადრე დამეძინა, თორემ არც ისე გვიან იყო, სიმღერა რომ ჩამესმა, ქუჩებში ჯერ კიდევ ფარნები ენთო, – შეარბილა პირველად თქმული ცოტნემ და სიტყვა ბანზე ააგდო, – ღორს რა უნდა პიაცაზე?! – ტუჩაბზუებით თქვა და ხელი წმინდა მარკოზის მოედნისაკენ გაიშვირა.

მოედანზე პატარა ბიჭი სახრით მსუქან ღორს მიერეკებოდა. ღორი ჭირვეულობდა, გეხს იცვლიდა, უკანვე მორბოდა. გაბეზრებული ბიჭუნა ბაწრით უკან ექაჩებოდა ურჩ ტახს და თან ხმამაღლა იგინებოდა.

ვინჩენცოს გაეცინა.

– მაგ მოედნის მარმარილოზე კაციც არ უნდა ადგამდეს ფეხს, თორემ ღორი რა მანდ გასატარებელია?! – გაბრაზება ვედარ დამალა ცოტნემ.

– ღორს ვენეციელები ადამიანზე ნაკლებ პატივს როდი სცემენ და ეგ სულ იმ წმინდანის გამო, რომლის სახელსაც პიაცე ატარებს.

– ეგ როგორ მოხდა? – იკითხა ცოტნემ.

– წმინდა მარკოზი რომ ქრისტეს სარწმუნოების საქადაგებლად ეგვიპტეს გამგზავრებულა, ანგელოსი მიგებებია და უწინასწარმეტყველებია, რომ მისი სხეულის სამუდამო განსასვენებელი ვენეცია იქნებოდა. წმინდა მარკოზი ეგვიპტეში ურწმუნოებს მოუკლავთ, მის სხეულს თურმე ალექსანდრიაში საგანგებო გუშაგი დარაჯობდა, რათა ქრისტეს აღმსარებლებს არ მოეპარათ. ეს ამბავი ალექსანდრიაში ჩასულ მამაც ვენეციელ მეზღვაურებს შეუტყვიათ და მარკოზ მახარებლის სხეულის გატაცება განუზრახავთ. დიდხანს უტრიალიათ წმინდანის ნეშტის მცველისათვის და ბოლოს თავიანთი სურვილი გაუნდვიათ. ურწმუნო გუშაგს შორს დაუჭერია.

– რა გაეწყობა, დავიცდით, სანამ წმინდანი თვითონ არ გიბრძანებს ვენეციას წასვენებას და ამ საქმეზე კრინტსაც აღარავისთან დავძრავთო, – განუცხადებიათ მეზღვაურებს.

გამოხდა ხანი და ღვთის მიერ ჩაგონებულმა გუშაგმა თვითონ მიაკითხა ვენეციელთ:

– როგორ მოვახერხოთ წმინდანის წასვენება ისე, რომ უსჯულოებმა არ გაიგონ?

– ეგ ჩვენზე იყოს, – უთხრეს მეზღვაურებმა.

წმინდანის წასასვენებლად ყველაფერი მოამზადეს, მარკოზის ნეშტი კალათში გადაასვენეს, ზემოდან კომბოსტოს ფოთლები დააფარეს და ფოთლებზე ღორის ხორცი დააწყვეს. წმინდანის კუბოში სხვა მიცვალებული ჩააწვინეს, წმინდანის ტანსაცმლით შემოსეს და კუბო ისევ ისე დაბეჭდეს, როგორც იყო. შემდეგ კალათით ნეშტი გემზე გადაასვენეს და ანძაზე დაჰკიდეს, რომ არავინ მისწვდომოდა. აგარიანებმა მაინც ეჭვი აიღეს და ვენეციელთა გემზე ავიდნენ გასაჩხრეკად. ხომალდის ყველა კუნჭული რომ გაჩხრიკეს და ვერაფერი იპოვეს, ბოლოს, ანძაზე დაკიდებულ კალათსაც წაეტანენ. მაგრამ დახედეს და იცნოსეს თუ არა ღორის ხორცი, ცხვირში ხელი იტაცეს, «ხანზირ, ხანზირო», აყვირდნენ და ზიზღით იქაურობა დასტოვეს.

ამის შემდეგ ხომალდი ზღვაში გავიდა და ძვირფასი ნემტი ვენეციას ჩამოასვენა. წმინდა მარკოზის ნემტის ეს თავგადასავალი მისივე სახელობის ტაძრის ფასადზე დაწვრილებითაა აღწერილი. ვინც იმ ტაძარს მოინახულებს, წმინდა მოციქული შვიდი წლით ათავისუფლებს ცოდვათაგან, ისე რომ, თუ საამისოდ დროს იშოვის, ქართველ მთავარს ვურჩევდით, ტაძარი მოენახულებინა და ცოდვათა შენდობა მიეღო.

– წმინდა მარკოზის ტაძრის უნახავი როგორ დავდგები, ბატონო ჩემო. ოღონდ ეს მითხარი, წმინდანის ხატთან ერთად მისი ნემტის გადამრჩენელ ღორის ქანდაკსაც ხომ არ უნდა ვცე თაყვანი?

– არა! ღორს საერთოდ ვენეციაში დიდ პატივს სცემენ, მაგრამ ღორთაყვანისმცემლობამდე როდი მივსულვართ. ქრისტეს სარწმუნოების წინაშე ღორის დამსახურებაზე თვალს ვხუჭავთ, ყელში დანას ვუყრით ხოლმე და მერე მის მწვადებს არხეინად შევექცევით.

ვინჩენცოს გონდოლა უზარმაზარ ბარკასს გაუსწორდა. სადღესასწაულოდ გამოწყობილი დოჟი და მისი ამაღლა ჩასხდნენ და ბარკასი დაიძრა.

– ნიჩბის მომსმელებს ხედავ? – ხელით ანიშნა ვინჩენცომ, – სულ დიდებულთა შვილები არიან.

ცოტნე ალტაცებით შეჰყურებდა მდიდრულად მოკაზმულ რჩეულ ვაჟკაცებს.

წესრიგის დამცველთა მოწოდებით, ვინჩენცოს გონდოლა პირველი მიჰყვა ლიდოსაკენ მიმავალ ბარკასს.

ლიდოზე ეპისკოპოსი შეეგება დოჟს, სინით დარჩეული წაბლი, წითელი ღვინო და ვარდები მიაართვა. ქვეყნის მეთაურმა ღვინო და წაბლი იგემა, ვარდები დაყნოსა და ეპისკოპოსს უკვე ნაკურთხი ოქროს ბეჭედი ჩამოართვა. ეპისკოპოსმა ლოცვა აღავლინა, დოჟმა ხელი აღმართა და ვიდრე ბეჭედს ისროდა, ლათინურად წარმოთქვა: “Dესპოსამუსნ ტე, მარე, ინ შიგნუმ ვერი პერპერ-ტუიგუე დომინი შერე ნისსიმაე ლეპუბლიცაე Vენეტაე”.

რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დოჟმა მარჯვენა მოიქნია და ბეჭედი ზღვისკენ გასტყორცნა. ოქროს მცირე რგოლმა ჰაერში წამით გაიელვა და შორს, ზღვის სიღრმეში ჩაიკარგა.

– უფალო, გვედრებით, დაგვიმკვიდრო ჩვენ ზღვა და გარდამოუვლინო მშვიდობა ყველას, ვინც ზღვაზე დაცურავს!

იტალიურად აღავლინა ლოცვა დოჟმა, მერე ფსალმუნი იგალობა, ეპისკოპოსს ჯვარზე ემთხვია და თხოვნით მიმართა:

– მასხურე ნაკურთხი წყალი, ყოვლად სამღვდელოო, რათა განვიწმინდო!

ეპისკოპოსმა წყალი ასხურა დოჟსა და მის მხლებლებს და ყველანი წირვაზე შევიდნენ.

წირვა რომ დასრულდა, წმინდა მარკოზის ტაძარში მყოფთ ცოდვათა განტევება მიიღეს.

დოჟი მოედანზე გამოვიდა და მის წინაშე დღესასწაულის მისალოცად რიგრიგობით წარსდგნენ ვენეციის წარჩინებულნი, საპატიო სტუმრები და დიდვაჭრები.

ცოტნეს მამობრივად მოეხვია დოჟი, მოიკითხა და გააფრთხილა, სადამოს სადღესასწაულო ნადიმზე მეწვიეო. დოჟი და წარჩინებულნი საგანგებოდ გამართულ კვარცხლბეკზე შედგნენ და დაიწყო აღლუმი.

ჯერ სამხედრო გალერებმა გაიარეს მწყობრად. მეზღვაურები ვენეციის მფარველის სადიდებელს გალობდნენ, შემდეგ ვენეციის ხელქვეითი კუნძულების ხომალდები მიჰყვნენ თავთავიანთი დროშებით და ამით მეზღვაურთა აღლუმი დასრულდა.

მოედანზე ვენეციელი მოქალაქენი შემოვიდნენ. ხელოსნები თავთავიანთი ამქრის დროშებით მოაბიჯებდნენ აღლუმზე და ის დროშები ამქრის უხუცეს ოსტატთ მოჰქონდათ.

პირველად მჭედლები შემოვიდნენ მოედანზე, მაღლა ამართული ჩაქურებითა და ლითონისაგან გაჭედილი საკრავებით.

მჭედლებს ქურქებისა და ბეწვეულის მოხელები მოჰყვნენ, ტანთ ყარყუმი და სიასამური ეცვათ და თავზეც ძვირფასი ბეწვის ქუდები ეხურათ.

ფეიქრებს აფრიანი ხომალდების ოსტატები მოუძღოდნენ ქათქათა თეთრ სამოსში გამოწყობილნი.

მქსოველებმა და მკერავებმა სიმღერითა და ცეკვით გაიარეს და მაყურებლებს ათასგვარი ქსოვილისა და ძვირფასი ნაქარგის ხელოვნება აჩვენეს.

ოქრომკედის მქსოველებს თავს მარგალიტებით შემკული ოქროს გვირგვინები ეხურათ და წინ ძვირფასი ქსოვილებით შემოსილი ბავშვები მიუძღოდათ.

ფეხსაცმლის მკერავთა ამქარს აბრეშუმისა და ხავერდის, სანოვავისა და ყველის, ფრინველისა და თევზის ვაჭრები მოჰყვნენ, მდიდრულად მორთულ-მოკაზმულ ზარაფებს, დალაქებს და შუშის ოსტატებს ფარნებისა და სავარცხლების მოხელები მიჰყვნენ. ამ უკანასკნელთ ფარნებში თურმე უამრავი ფრთოსანი ჰყავდათ. დოჟს რომ გაუსწორდნენ, ფრინველებს კარები გაუღეს, ჰაერში ათასგვარი ჩიტი დატრიალდა ფერად-ფერადი ფრთების ფარფატი და მაყურებლებს სიხარულის შეძახილები აღმოხდათ.

ხელოსანთა მსვლელობას ოქრომჭედელთა ამქარი აგვირგვინებდა. ოქრომჭედლებს ფასდაუდებელი სიმდიდრის ტანსაცმელი ემოსათ, თავს ოქროს გვირგვინები ედგათ. ოქროს ყელსაბამები და გულქანდები ეკიდათ და სამოსიცა და სამკაულებიც თვალისმომჭრელად ჰქონდათ გაწყობილი ყოველგვარი პატიოსანი თვლებით.

ცოტნე გაოცებული იყო, არა იმდენად სამხედრო აღლუმით. ვენეციის სამხედრო ძლიერებაზე მანამდეც ბევრი სმენოდა და აღლუმზე გამოსული ხომალდების რიცხვი და აღჭურვილობაც გაგონილთან შედარებით მოკრძალებულიც ეჩვენა.



მას უფრო მეტად ვენეციელი ხელოსნების სიმდიდრე ანცვიფრებდა, ესოდენ ძვირფასი ტანსაცმლით, ოქროთი და პატიოსანი თვლებით რომ იყვნენ მორთულ-მოკაზმულნი.

ქართველმა მთავარმა თავისი აღტაცება ვერ დამალა და ვინჩენცოს გადაულაპარაკა:

– თუ ოსტატები და უბრალო ხელოსნებიც ეგზომ მდიდრები არიან, ჩანს, ვენეციაში ღარიბი აღარავინ ყოფილა.

– არც არავინ არი, მთავარო. ან კი რად უნდა იყვნენ ღარიბები, როცა მთელი ქვეყნის სიმდიდრე და ქონება უწყვეტ ნაკადად მოედინება ზღვათა მფლობელი ვენეციისაკენ, – თავმომწონედ თქვა მოურავმა და ხელით ნაპირისკენ აჩვენა, – ჩვენი ნავსადგურები ქვეყნის ყოველი კუთხიდან შემოსული გემების დაცლას ვერ აუდიან, თუ სადმე ან დიდებული სასახლეა, ან ხელოვნების რაიმე ძვირფასი ნიმუში, ჩვენს გემებს ვენეციისაკენ მოაქვთ და ოსტატები მათთვის ადგილის შერჩევას, მათ აღმართვასა და ქალაქის კუთვნილებად ქცევას ვერ ასწრებენ.

ცოტნემ ადრეც შენიშნა სანაპიროს გაყოლებით დახვავებული მარმარილოს ფერად-ფერადი სვეტები და თაღები, ბრინჯაოს ძეგლები, ხისა და ლითონის ძვირფასი ნაკეთობანი. ერთ დროს მსოფლიოს სხვადასხვა სატახტოების ტაძართა და სასახლეთა მშვენიერად ცნობილი ეს ძეგლები ახლა ვენეციელებს სამხედრო ნადავლად შემოეზიდათ და ასე უანგარიშოდ, ან ოქროთი ეყიდათ და ხელოსნებითა და ოსტატების სიმრავლით განთქმულ რესპუბლიკას დრო და ხელი აღარ ყოფნიდა შესაფერის ადგილზე ღირსი ბრწყინვალეობით მათ დასაბინავებლად.

დღესასწაული დიდი ნადიმით დასრულდა და ცოტნე რომ შინ დაბრუნდა, მზე ჩასული იყო.

წმინდა მარკოზის მოედანზე სადღესასწაულო ბაზრობა გაემართათ. სადაური და რა საქონელი უნდა გენატრათ, იქ რომ არ ყოფილიყო. ღვინო, ლუდი და არაყი ყოველ კუთხეში იყიდებოდა. იქვე სვამდნენ და ჭამდნენ, ყიდდნენ და ყიდულობდნენ და, იტალიურს გარდა, კიდევ მრავალ ენაზე ურიგდებოდნენ ერთმანეთს. ისეთი ყაყანი და ღრიანცელი იდგა, ყურთასმენა აღარ იყო.

– ეს ბაზრობა ყოველ წელიწადს იმართება სენსას დღესასწაულის შემდეგ და თითო კვირა გრძელდება. დღეისსწორამდე ვენეციელები ასე იტრიალებენ ბაზარ-ბაზარ. ამ ერთ კვირას ყიდვასა და გაყიდვას მოანდომებენ და სხვა საქმისთვის თითქმის აღარავის ეცლება.

– მთელი კვირა რა უნდა ივაჭრონ? – გაუკვირდა ცოტნეს.

– რა უნდა ივაჭრონო? – დედამიწის ზურგზე თუ რამ ნაყოფი და ნახელავია, ამ დღეებში ყველაფერი აქ იყრის თავს და, რომ იტყვიან, ჩიტის რძესაც კი იშოვი. რაც ქვეყანაზე ვაჭარი და საქონელია, ყველა აქეთ მოედინება, ერთიმეორეს ასწრებენ მუშტრის მიზიდვას და არნახული სიიაფეც არის.

ლამაზ სადღესასწაულო ტანსაცმელში გამოწყობილი ვენეციელები სასმელსა და სამორინოებს ეტანებოდნენ, უწმაწურად იგინებოდნენ და ხმამაღლა მღეროდნენ.

სანაპიროს გასცდნენ, ვიწრო-ვიწრო ქუჩები და არხები თითქოს ერთი მიმართულებით მიედინებოდნენ, რომ უცებ რიალტოზე ამოეყოთ თავი.

რიალტო ვენეციის სული და გული იყო. ერთიმეორეზე გადაბმულ ფარდულებთან ხალხი ბუზივით ირეოდა. ადგილობრივი ვაჭრები და შორით მოსული მექარავენები, დალალეები და მოგზაურები მთელი ქვეყნის ამბებს ჰყვებოდნენ, თავთავიანთ საქონელს ხმამაღლა აქებდნენ და ერთიმეორეს ხელიდან გლეჯდნენ მუშტრებს.

ლამაზად გამოწყობილი, გულმკერდმოღიავებული სიძვის დიაცები ურცხვად ეკიდებოდნენ მამაკაცებს.

მდიდრულად გამოწყობილ ცოტნეს აედევნენ, ხან მხარი გაჰკრეს, ხან წინ გადაეღობნენ.

– სასტუმროს სახლთან ყოველ საღამოს ბუზივით ირევინ. ლამის კარი შემოგვიმტვრიონ მე და ჩემს მხლებლებს.

– საღამოს, მას შემდეგ, რაც წმინდა მარკოზის მწუხრის ზარი დაჰკრავს, კახპები ვალდებულნი არიან, მათთვის საგანგებოდ მიჩენილ ულანში – კასტალეტოში მოიყარონ თავი და ქალაქში არ იხეტიალონ. მაგრამ როსკიპები კი არა, პატიოსნებიც აღარ დაგიდევენ კანონს და, აქედან თუ არ გავასწართ, ამდენ მთვრალ ხალხში რამე უსიამოვნებას გადავეყრებით, – ღიმილით თქვა ვინჩენცომ, ცოტნეს მკლავში ხელი ჩაჰკვიდა და რიალტოდან გავიდნენ.

შინ რომ დაბრუნდა, ორი უცნობი ელოდა.

– მთავარს, ალბათ, აღარ ვახსოვარ, – დაიწყო მათგან უფრო ხანშიშესულმა, – ნიკოლო ბოლონჩინი გახლავართ, ამ ორი წლის წინათ ვიყავი ქართველთა მეფის კარზე გენუის პოდესტას დესპანად.

– აა! მახსოვხართ, როგორ არა! – შუბლი გაეხსნა ცოტნეს, – დაბრძანდით... დაბრძანდით.

სტუმრები სავარძელში დასხდნენ ცოტნეს პირისპირ.

– ახლა, ვენეციაში გზად გამოვლილმა გავიგე თქვენი აქ ყოფნა და გადავწყვიტე, მომენახულებინეთ, თან მცირე ძღვენიც მოგართვით – ჩვენებური ღვინო და შალეული, აღმოსავლეთის შორეული ქვეყნებიდან ჩვენი მამაცი მეზღვაურების მიერ ჩამოტანილი სპილოს ძვლისა და ოქრო-ვერცხლის ნაკეთობანი, – ნიკოლომ ანიშნა და მეორე გენუელმა მასპინძელს ძღვენი მოართვა.

– რათ წუხდებოდით, რა საჭირო იყო! – ეუხერხულა მთავარს ესოდენ ძვირფასი ძღვენის მიღება.

– რა შეწუხებაა! შემთხვევით, გზადგამოვლილს რომ არ შემეტყო თქვენი მობრძანება და საგანგებოდ თქვენს სანახავად ჩამოვსულიყავი, ასე მცირე მოსაკითხს არ დავჯერდებოდი.

სტუმარი ენაწყლიანი აღმოჩნდა, ერთი რომ დაიწყო, აღარ გაჩერდა, ცისას და ბარისას მოჰყვა და ბოლოს ცოტნეს მთავარი სათქმელი შეაპარა:

– თუ საქართველოს ხელმწიფე ხომალდების შეძენას აპირებს, გენუაზე იაფსა და ხარისხოვანს ვერსად იპოვის. აქაური ფასი გაიგეთ, ჩვენ იმ ფასზე ერთი წილით ნაკლებად უკეთ გამართულ გემებს მოგცემთ. ჩვენ ახლა ვენეციაზე ბოროტი მტერი აღარავინ გვყავს, თუ ნავმისადგომის, ან გემსაშენის გამართვას აპირებთ, მაგას ჩვენც ვიკისრებთ სხვაზე შეღავათიანად. ესეც იცოდეს ქართველმა მთავარმა, გენუა ვერ მოითმენს, რომ შავი ზღვის ნაპირებზე, სადმე კიდევ მოიდგას ფეხი ვენეციამ. ჩვენ მათ ყირიმიდან ვერეკებით და საქართველოს ნავსადგურებში არამც და არამც არ შევუშვებთ. ისე კი არ გამიგოთ, ვითომ ვისმე ვემუქრებით. საქართველოს ხელმწიფე თვითმპყრობელია და თავის წილ ხმელეთსა და ზღვას, როგორც სურს, ისე განაგებს. მე მხოლოდ იმის თქმა მსურდა, ვენეციას ახალი ნავსადგურებში ფეხს არ ჩავადგმევინებთ და სადაც უკვე ფეხი უდგას, იქიდანაც ამოვაკვეთინებთ.

ცოტნემ პირდაპირი პასუხი არაფერზე გასცა გენუელ ელჩს, საქმეზე ლაპარაკს მოერიდა და საუბარი სანახევროდ ხუმრობით წარმართა.

ბოლონჩინიმ იმ საუბრიდან სარგებელი ვერა გამოიტანა რა, საქმეზე დაგვიანება მოიმიზეზა, მასპინძელს ძილი ნებისა უსურვა და ფეხზე წამოდგა.

– ერთხელ კიდევ მოგინახულე, მთავარო, როცა დოჟთან მოლაპარაკებას დაასრულებთ. მანამ გენუის მმართველებსაც მოვეთათბირები და, ვინ იცის, ეგებ ჩვენს რესპუბლიკასაც ეწვიოთ უკეთეს პირობებზე ხელშეკრულების დასადებად.

– ვნახოთ, ბატონო ელჩო, ჯერ კიდევ დროა და, როგორც ჩემი ხელმწიფის ბრძანება იქნება, ისე მოვიქცევი.

წასვლისას ცოტნემ სამაგიერო საჩუქრები უძღვნა გენუელ სტუმარს, მისი რესპუბლიკის მიმართ ქართველთა კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ერთხელ კიდევ დაუმოწმა და მეგობრულად დაემშვიდობა.

ის იყო, დასაწოლად ტანზე გახდას შეუდგა ცოტნე, რომ კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

– რომელი ხარ? – იკითხა ცოტნემ და ხალათს ხელი წამოავლო გადასაცემლად.

კარი გაიღო და ოთახში გაფითრებული ანთია შემოვიდა.

– მაპატიე, მთავარო, უდროო დროს რომ შემოგეჭერი, – ქლოშინით თქვა ანთიამ, სული ყელში მოებჯინა და სიტყვა გაუწყდა.

– რა ამბავია, უჩა? დაჯექი, სული მოითქვი, წყალი დალიე, – ცოტნემ ბროლის სურა მიაწოდა, ანთიამ ჩამოართვა, წყალი მოსვა...

– დაჯექი, დაჯექი... – ძალით დასვა ცოტნემ, – ახლა დამშვიდებით მიაძმე, რა მოხდა.

– წმინდა მარკოზის მოედანზე შევრჩი და უბედურებას შევესწარი.

- \_ რა უბედურებას, ვაჟო?
- \_ ვილაც დამნაშავე წელამდე გაეშიშვლებინათ, ხელფეხგაბაწრული გრძელ ნავში ჩაესვათ და გავარვარებული მარწუხებით ხორცს გლეჯდნენ.
- \_ რას ამბობ, კაცო! \_ შეწუხდა ცოტნე.
- \_ წამებული საცოდავად იგრიხებოდა, კვნესოდა, ტიროდა და მეგრულად ეძახდა მშველელს.
- \_ მეგრულად?
- \_ ჰო, ბატონო! ჩვენებურად გაჰყვიროდა; ნანა, მიშველეო, ჯიგარი დამეწვა მისი საცოდაობით.
- \_ მერე... მერე...
- \_ მერე ნაპირზე გადმოათრიეს უბედური და ხის გალიაში ჩასმა დაუპირეს. აქ ასე ცოდნით დამნაშავისათვის, თურმე ხის გალიაში სვამენ დამნაშავეს, წმინდა მარკოზის კამპანილის წვერზე ჰკიდებენ ხალხის საფურთხებლად და დასაცინად და, მხოლოდ წყალსა და პურის მცირე ნატეხს აძლევენ, რომ შიმშილით არ მოკვდეს. გალისკენ რომ მიათრევდნენ, კიდეც უფრო საბრალოდ აყვირდა, სულ მეგრულად მოთქვამდა და ღმერთსა და ნანას უხმობდა საშველად. გულზე ცეცხლი მომეკიდა, მწვალელებს მივვარდი და გამოგლეჯა მინდოდა, მაგრამ არ მიმიშვეს და, კინალამ მეც გამოთოკეს. რაკი იმათთან ვერაფერს გავხდი, წამებულის პატრონს შევევედრე, დამნაშავე ჩემთვის მოეცა და რამდენიც უღირდა, ორი იმდენად მოეყიდა. ჯერ შორს დაიჭირა, მერე თანდათან მოლბა და თავის მოძულეებულ ყმას ფასი დაადო. ახლა, შენსკენ გამოვიქეცი, მთავარო, გევედრები, უშველო ჩვენს სისხლხოცს... შენი ჭირიმე, უარს ნუ მეტყვი, წამომყევი და გამოისყიდე... \_ ანთია იატაკზე დაემხო და ცოტნეს მუხლებზე მოეხვია.
- \_ რა ვედრება გინდა, ადექი, ახლავე წავიდეთ.
- უჩამ ფეხები დაუკოცნა მთავარს, თვალცრემლიანი წამოდგა.
- ცოტნე ტანთ სწრაფად იცვამდა. ღილები შეიკრა, ქამარხანჯალს ხელი დაავლო და ისე გავარდა გარეთ.
- \_ ვიჩქართ, დროზე მივუსწროთ.
- \_ დამიცდიან, ფიცით აღვუთქვი, რომ ერთ საათში მივუტანდი დათქმულ საფასურს.
- \_ ნეტა, მართლა ჩვენებურია?
- \_ კი, ნამდვილად ჩვენებურია, გონდოლიერად ჰყოლია პატრონს.
- \_ იქნებ ის არის, წუხელ რომ მღეროდა?
- \_ შეიძლება ის იყოს... პატრონს კონსტანტინოპოლის ბაზარზე ჰყოლია ნაყიდი.
- წმინდა მარკოზის მოედანზე სირბილით მივიდნენ. მეგრელი ყმის პატრონს მუხლი მუხლზე გადაედო, ბრწყინვალედ ჩაცმულ-აღკაზმული უცხოელის დანახვით, ცოტა არ იყოს, შეკრთა, ფეხზე წამოდგა და თავის დაკვრით მიესალმა.
- \_ რამდენად მორიგდით? \_ ჰკითხა ცოტნემ.

\_ თვითონ გეტყოდა, \_ ღიმილით თქვა ვენეციელმა.

ცოტნემ ქისა ამოიღო, ოქრო გადაუთვალა.

\_ მშვიდობაში მოგახმაროს, \_ დალოცა პატრონმა, \_ ღონიერი, ამტანი ვაჟკაცია და ჯერ კიდევ დიდხანს გაგიწევს სამსახურს, ოღონდ, ერთს გირჩევ, ცოლი ან ქალიშვილი თუ გყავს, მათ ახლოს არ გააკარო.

სასჯელისაგან დახსნილი მეგრელი საკაცეზე დააწვინეს და ისე წამოიყვანეს. ცოტნემ მკურნალი ახმობინა. ექიმმა მარწუხებით ნაძიძგნი სხეული დაუზილა, მალამო დაადო და ნაწამებმა, როგორც იყო, დაიძინა.

ნაშუალამევს გაელვიდა. თვალი უნდოდ მოავლო საწოლთან ჩამომსხდარ უცნობებს.

\_ სად ვარ? \_ იკითხა იტალიურად.

\_ შენიანებთან ხარ, ნუ გეშინია, \_ მეგრულად უთხრა ცოტნემ და დაუყვავა, \_ აწი ნუღარაფრისა გეფიქრება, შენი პატრონისაგან თავდახსნილი ხარ და აუგად თითსაც ვერავინ დაგაკარებს.

\_ ნუთუ მართლა ჩვენიანებთან ვარ, ოდიშში?

\_ ნამდვილად შენიანებთან ხარ და ნუღარაფრისა გეშინია.

\_ გალია? გალიაში აღარ ჩამსვამენ? \_ წამოიწია, აღგზნებული და სიცხიანი თვალები იქ მყოფთ მიაშტერა.

\_ ველარც გალიაში ჩავსვამენ და ველარც გაწამებენ. დღეიდან შენ უკვე ქართველი მთავრის მსახური ხარ და ვაგლახად ხელს ვერავინ გახლებს.

\_ მადლობა უფალს! \_ ოხვრა აღმოხდა ნაწამებს და ლოგინზე დაეშვა.

ანთია საწოლზე დაიხარა და ჩაჰკითხა:

\_ სადაური ხარ, ან აქ რამ მოგიყვანა, ძმობილო?

\_ მე ოდიშარი ვარ, შერგილ დადიანის ყმა. \_ დაიწყო თვალმიხუჭულმა და იქ მყოფებმა ერთიმეორეს გადახედეს.

\_ დედაჩემი მთავრის შვილების ძიძა იყო და მეც მათთან ერთად ბატონის სასახლეში ვიზრდებოდი. ბატონიშვილებზე ცოტა უფროსი გახლდით, მაგრამ დღე და ღამე ერთად ვიყავით და ორივე თავზე მეტად მიყვარდა. მერე მთავრის სასახლეში უბედურება დატრიალდა, მე დარდისაგან გაოგნებულმა თავის დახრჩობა მოვინდომე და მდინარეში გადავხტი. წყალწაღებული, გზად გამოვლილ სომეხ მექარავნეებს დავუნახივარ და დახრჩობას გადავურჩენივარ. რაკი სიკვდილს გადამარჩინა, ქარავანბაშმა თავის საკუთრებად ჩამთვალა, თან წამიყვანა და ცოტა ხნის შემდეგ კონსტანტინოპოლის ბაზარზე გამყიდა. ღარიბმა ფრანგმა ჯვაროსანმა მიყიდა. თავადაც ბევრი არაფერი ჰქონდა და მეც სანახევროდ მაშიმშილებდა. მერე ის იყო, ბულგარეთში სალაშქროდ წავიდა და მეც თან წამიტანა. იქ სახადი დამემართა და სიკვდილს ძლივს გადავურჩი. საიქიოს გზიდან მობრუნებული, დასუსტებული და გაძვალტყავებული, იქვე გამყიდა ჩალის ფასად. ჩემი ახალი პატრონი \_ ვენეციელი ვაჭარი, შეძლებული, კეთილი კაცი აღმოჩნდა. მეც, რაც შემემლო თავდადებულად ვემსახურე, ჩემს ერთგულებას რომ ხედავდა, დამიახლოვდა და მომენდო, ჩემგან დაფარული და საიდუმლო აღარა ჰქონდა რა და, ალბათ, ასე შევაბერდებოდით

ერთმანეთს, რომ ჩვენს შორის მისი ცოლი არ ჩამდგარიყო. ამ ერთი წლის წინათ ჩემმა პატრონმა ახალგაზრდა ცოლი მოიყვანა, ჯვარდაუწერლად, როგორც ვენეციაში იციან. ეს უკვე მისი მესამე ცოლი იყო. ვენეციელი ქალები ბუნებით ავხორცები არიან და ეს ახალგაზრდა ცოლიც არ დაჯერდა თავის ხანშესულ ქმარს. ამ დაწყებულ ვენეციაში, ალბათ, გეცოდინებათ, საცვლები არ იციან და ღამე შიშვლებს სძინავთ. ტანს იშვიათად იბანენ, მაგრამ, როცა აბანოში მიდიან, ქალი და კაცი ერთად შიშვლდება და იბანს, ერთმანეთისა არ რცხვენიათ და, პირიქით, ერთმანეთს ჭუჭყის გაცლაში ეხმარებიან. ჰოდა, მე უბედურს ტანის ბანის დროს დამადგა თვალი ჩემი პატრონის ცოლმა, ჩემი ნდომით განიმსჭვალა, შემიჩნდა და იმ დღიდან მოსვენება აღარ მომცა. პატრონის ღალატი და თავის მოჭრა არ ვიკადრე, დედაკაცის ვნებას არ ავყევი, როგორც შემემლო ვეკრძალე, მასთან მარტო არ ვრჩებოდი და კეთროვანივით გაუვრბოდი. ბოლო დროს, სირცხვილი და მორიდება სულ დაკარგა, პირდაპირ იერიშზე გადმოვიდა და გზა აღარ მომცა. ვატყობდი, ამ საქმეს ცუდი ბოლო მოჰყვებოდა, უამისოდაც სულ იმას ვოცნებობდი, როგორმე ჩემს ქვეყანაში დავბრუნებულიყავი და განსაცდელში ჩავარდნილმა გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა საქართველოში გავეპარულიყავი. თუ რამ ნაშოვარი მქონდა, ოქროდ ვაქციე, ერთ ბერძენ ვაჭარს მოვურიგდი, ტრაპიზონს უნდა ჩავეყვანე. ფული წინასწარ გადავუხადე და დათქმულ დღეს, გასაპარავად რომ ვემზადებოდი, ჩემი პატრონის გადასაცემად წერილი დავწერე. წერილში მაღლობას ვუხდიდი ამაგისათვის, ჩემზე გაწეულ ხარჯს ფულად ვუბრუნებდი და პატიებას ვთხოვდი. ჩემს მისანდო კაცს ვეზრახე, იმ წერილს და ფულს მაშინ გადასცემდა, მე რომ ვენეციიდან მიუწვდომლად შორს ვიქნებოდი.

ყველაფერი რომ მზად მქონდა, სწორედ იმ დღეს დამიმარტოხელა ჩემმა ქალბატონმა, მე თავს ვუშველე და, დათქმულ დროზე ადრე მივაშურე ბერძენი ვაჭრის ხომალდს. გაწბილებულმა დედაკაცმა, ალბათ, იფიქრა, ქმართან დასმენა არ მომასწროსო და თვითონ დამაბეზლა, ძალით ნამუსის ახდა მომინდომაო. ჩემი უმადურობითა და გაუტანლობით აღშფოთებულ პატრონს თმა-წვერი დაუგლეჯია, მდევერები ფეხზე დაუყენებია და მაშინვე ნავსადგურში გასამგზავრებელ გემებს მისტანებიან. ალბათ, გამცემიც გამოჩნდა და ჩემს სამალავში მომაგნეს. გაჩხრეკისას პატრონისათვის დასატოვებელი წერილი მიპოვეს და იმ წერილით საბოლოოდ ირწმუნეს ჩემი ღალატი. განრისხებულ პატრონს იქვე უნდოდა მოვეკალი, მაგრამ ხელისუფლებმა ჩემი თავი არ დაანებეს და წმინდა მარკოზის მოედნისაკენ წამიყვანეს, რათა საჯაროდ მძიმე სატანჯველით დავესაჯე. დანარჩენი თქვენ უკვე იცით... მე უგონოდ ვიყავი და აღარაფერი მახსოვს.

– ახლა ვისთანა ხარ, არ იკითხავ? იცი ვინ არი შენი მხსნელი და გამომსყიდველი?

– მე საიდან მეცოდინება, ბატონო? – საწყლად მიაჩერდა ცოტნეს მისი ახალი მონა.

\_ შენ თუ მართლა ოდიშის მთავრის ოჯახში ხარ ნამყოფი, კი უნდა ცნობდე ჩვენს ბატონს.

ცოტნე და მისი ახალი ყმა დაჟინებით მიაშტერდნენ ერთმანეთს.

\_ მე პატარა წამოვედი ოდიშიდან და იქაურებს ვედარავის ვიცნობ, ალბათ... ეს ბატონი ჩვენს მთავარს კი გავს, მარა შერგილ ბატონი უსინათლო იყო და ახლა უფრო ხნიერიც იქნებოდა.

\_ გუგუტა ხომ არა ხარ, ბოში? \_ ხმის კანკალით იკითხა ცოტნემ.

\_ ჰო, ბატონო! გუგუტა ვარ, მე თვალ დასავსები, მარა შენ...

\_ მე ცოტნე ვარ, გუგუტა, ცოტნე... \_ ამოილულლულა ცრემლმოდალეხულმა მთავარმა და გულში ბავშვივით ჩაეკრა ამდენი ხნის გამოტირებულ ძიძიშვილს.

ერთ თვეს გრძელდებოდა ხოლმე ვენეციის სადღესასწაულო ბაზრობა. ქართველ მთავარს ვინჩენცოს პირით აცნობეს, იმ ერთ კვირას ვენეციის ხელისუფლებსაც, აღებმცემისა და ვაჭრობის გარდა, სხვისთვის არაფრისთვის ეცალა და დადიანსაც თავაზიანად ურჩიეს, თვითონაც ესარგებლა ვენეციის ბაზრის საზღაპრო სიუხვითა და სიიაფით.

თავის მხრივ, ცოტნეც არ ჩქარობდა დიდად, ხომალდების შესყიდვის გარდა, მას ვენეციის სახელმწიფოს საიდუმლო საგარეო გეგმების შეტყობაც ჰქონდა დავალებული. ქართველ მთავარს განსაკუთრებით იმის მიკვლევა სურდა, თუ რა ადგილი ჰქონდა იმ გეგმებში საქართველოს სახელმწიფოსთან მომავალ ურთიერთობას, ნამდვილად ქართველთა მეფის მოკავშირეობა სურდა ვენეციის დოჟს უსჯულოთა წინააღმდეგ ჯვაროსნულ ომში, თუ საქართველოს მიმართაც ისეთივე მტაცებლური ზრახვები ამოქმედებდა, როგორც ერთმორწმუნე ბერძნების დარბევისას გამოამყდავანა.

გუგუტას პოვნამ არა მარტო ვენეციის ყველა კუნჭულში შეღწევა გაუადვილა ცოტნეს, მთავრის ძიძიშვილს იტალიური მშობლიურ ენაზე მეტად ემარჯვებოდა, ზღვათამბყრობელ სატახტოშიც კარგი ნაცნობობა ჰქონდა და საქართველოს მეთაურს საჭირო ხალხთან დაახლოებას უადვილებდა.

უქმად ჯდომას უქმად სიარული არჩია ცოტნემ. მთელი დღე ვენეციის ქუჩებში დაეხეტებოდა, ახალ-ახალ უბნებს ეცნობოდა, ყველაფერს მუშტრის თვალით სინჯავდა, აკვირდებოდა და საღამოს შინ მობრუნებული დღის შთაბეჭდილებას დაწვრილებით იწერდა.

სახელოსნოები ღია ცის ქვეშ მუშაობდნენ. მაყურებლების თვალწინ ქსოვდნენ ძვირფას ფარჩასა და აბრეშუმს ვენეციელი ფეიქრები. ვერცხლითა და ოქრომკერდით ნაქსოვი ტილო და ხავერდი თვალისმომჭრელი ბრწყინვალეებით გადმოდებოდა დაზგებიდან, ხოლო საქვეყნოდ განთქმული ნაქარგი ვენეციური ქსოვილები დაუსრულებლად მოუთხრობდნენ მაყურებლებს ნადირობასა და ნადიმებზე, წმინდანების ცხოვრებასა და ქვეყნის საოცრებაზე, სიყვარულის ძალასა და სიკვდილის გარდუვალობაზე.

საქართველოში მომრავლებული ქართველი და სომეხი, სპარსელი და ბერძენი ოქრომჭედლების მშვენიერ ნახელავზე თვალგაჩვეულ ცოტნეს მაინც აოცებდა ვენეციელი ხელოსნების უცხო ოსტატობა, მათი ნამუშევრის სინატიფე, მინანქრების სინაზე და ოქრო-ვერცხლის ჭურჭლის იშვიათი ნაირნაირობა.

საათობით იდგა ცოტნე სამჭედურებთან და ლითონის სადნობ ბრძმედებთან.

მის თვალწინ ყიდულობდნენ რჩეულ იარაღსა და საომარ აბჯარს მოხეტიალე დასავლელი რაინდები და იერუსალიმს ცოდვათა მოსანანიებლად მიმავალი მორწმუნენი, თავათაც იმ იარაღთაგან საუკეთესოს არჩევდა და საქართველოში ნიმუშად წასაღებად ყიდულობდა.

ხელოსანთაგან ყველაზე გასაოცრად შუშის მკეთებლები ეჩვენებოდა. გრძელი მილის ბოლოს გავარვარებულ, გადამდნარ სითხეში ჰყოფდნენ ეს ჯადოქარი ხელოსნები, იმ ბოლოზე დაკიდებულ გამდნარ მინის ბუმტს უცნაურად აქანავებდნენ ჰაერში და მილის ბოლოზე სითხის მატებით, მაშებითა და მაკრატლებით ათასგვარი ჭურჭლისა თუ საგნის სახეს აძლევდნენ ამ პატარა ბუმტს, რომელიც ასე მორჩილად ჰყვებოდა ოსტატის ხელსა და სურვილს.

მხოლოდ ეს იყო საგულისხმო, რომ სხვა სახელოსნოთაგან განსხვავებით, შუშისა და ბროლის საწარმოებთან ახლო მისვლა არ შეიძლებოდა, მათი სამუშაო მოედანი ლითონის ღობით იყო მოზღვდული, ხოლო ქვიშის სითხედ ქცევის მთელი მსვლელობა შიგნით, კედლებს იქით ხდებოდა, რათა ვენეციელი ოსტატების ეს საქმიანობა გარეშეთაგან არავის დაენახა და მათი ნახელავის საიდუმლოება არავის გაეგო.

\* \* \*

ლასენსას კვირეულიც მიიწურა.

ორშაბათ დილას ვინჩენცომ მოაკითხა ცოტნეს, ერთად ისაუბრეს და გონდოლით გემსაშენისკენ წავიდნენ.

– დღეს არაუშავს, მთავარო, ალბათ, არ იმუშავებთ და მხოლოდ დათვალეირებას მოუწოდებთ, ხვალისთვის კი ამ ძვირფასი ტანისამოსით ნუღარ მოიკაზმებთ. რაკი სამუშაოდ გემსაშენში თქვენზე სურვილით მიდიხართ, ტანსაცმელიც სამუშაოს შესაფერისი უნდა გეცვათ... მართლა! – ხმადაბლა დაიწყო მცირე პაუზის შემდეგ ვინჩენცომ, – ამაღლება დღეს ვერაფერი სტუმარი გყოლია. საიდან მოგაგნო იმ ბებერმა მელამ?

ცოტნე გაშრა. იცოდა, რომ ვენეციელები სულ უმეთვალყუროდ არ გაუშვებდნენ, მაგრამ თუ დღედაღამ უთვალთვალეობდნენ, ეს კი არ ეგონა.

– ასე დამრწის ქალაქ-ქალაქ და ქვეყნის ამბებს იგებს. რაო, ხომალდების მოყიდვა და გემსაშენის აგება შემოგთავაზა, არა?

– მაგის ნათქვამს რა ძალა აქვს, ან ყურს ვინ უგდებს! – ცოტნემ სცადა ბოლონჩინის სტუმრობა უმნიშვნელო ამბად წარმოედგინა.



– ყველგან აგრე გვეჩრებიან. ახლა, ეს ერთი ხანია, შავ ზღვაშიც შემოჰყვეს ცხვირი და ყირიმს გვეცილებიან თავიანთი მოკლე ჭკუით. მაგრამ ვენეციის ლომს ჯერ კიდევ მაგარი კლანჭები აქვს და გენუასაც მალე დააჩოქებს, როგორც სხვა მისთანები დაუჩოქებია.

გონდოლა ნაპირზე გაჩერდა. ერთხანს ქვეითად იარეს და, როგორც იქნა, გემსაშენს მიადგნენ. ცოტნემ შორიდანვე იყნოსა ფისისა და საღებავების, ხისა და ბურბუმელის სუნნი.

ალაყაფის რკინის კართან გამოეგებნენ გემსაშენის გამგებლები. ვინჩენცომ სტუმარ-მასპინძლები ერთიმეორეს გააცნო და გემსაშენის ეზოში შევიდნენ. კიდევ სამი ჭიმკარი გაიარეს და ცოტნეს თვალწინ უზარმაზარ სივრცეზე მოჯარული გემების ანძათა ტყე აღიმართა. იმ გემთაგან ზოგი უკვე მთავრდებოდა, ზოგი ზღვაში ჩასაშვებად იყო გამზადებული და ზოგის შენებაც ახლა, მათ თვალწინ იწყებოდა. ვინჩენცომ სწორედ ახლად წამოწყებული ხომალდის ჩონჩხთან შეაჩერა სტუმარი.

– რამდენ საათს მოვუნდებით დათვალიერებას? – ჰკითხა გემსაშენის გამგებელს.

– სულ ცოტა სამი საათი, თუ გულდადებით დაათვალიერებთ.

– ქართველ მთავარს თუ სურს რაიმე ქართული ნიშნით დანიშნოს ეს ახლად დაწყებული ხომალდი, ჩვენი გამოსვლისთვის გემი, ალბათ, მზად იქნება. ხომ მოესწრება, ხომ არ შემარცხვენთ?

– არ შეგარცხვენთ, ბატონო, მოესწრება, – დაუდასტურა გამგებელმა.

ცოტნეს ფუნჯი და საღებავი მოართვეს და ქართველმა მთავარმა ხომალდის ფიცარს ქართულად წააწერა თავისი სახელი.

სამი საათის განმავლობაში ათვალიერებდნენ გემსაშენს.

ცოტნეს ხვალიდან თვითონ უნდა აეღო ხელში ცული და შალაშინი, გემის მშენებელი მუშების გვერდით უნდა დამდგარიყო და ხომალდების აგების ვენეციელთა მაღალი ხელოვნების შესწავლა უნდა დაეწყო. გემსაშენის სიდიდითა და სიახლეებით მოხიბლული მთავარი მუშტრის თვალით აკვირდებოდა ყველაფერს და როცა აღფრთოვანებას ვერ მალავდა, თავის მხლებლებს ქართულად უზიარებდა შთაბეჭდილებას.

– ხედავთ, ბიჭებო? ამისთანა ჩვენ არც დაგვსიზმრებია.

დადლილებმა დაასრულეს გემსაშენის დავლა და დათვალიერება. უკან შემობრუნებულებმა თვალს არ დაუჯერეს: მათ წინ გრძელი, ყელყელა გალერა იდგა. ოცზე მეტი მოსასმელი ნიჩბით. საღებავი აშრებოდა. ქართველი მთავრის ხელით წარწერილი საკუთარი სახელი დაღვივით შერჩენოდა ყველაზე თვალსაჩინო ადგილას. ცოტნე გაოცებასა და აღტაცებას ვერ ფარავდა.

– თუ მთავარს მოსწონს, ამ გემსაც საქართველოში გასაგზავნი ხომალდების სიაში შევიტანთ. – ხმამაღლა თქვა ვინჩენცომ და ცოტნემ თავის დახრით მისცა დასტური.

გუგუტას ვენეციაში ნაცნობები ბლომად ჰყავდა. იტალიურადაც კარგად ლაპარაკობდა და ყოველ საღამოს მოჰქონდა ცოტნესთან ამბები.

– დოგარესას უთქვამს, ქართველი მთავარი ბარბაროსი, გაუთლელი მთიელი მეგონა და თურმე როგორ ვცდებოდით. მის გვერდით ჩვენი ნაქები პატრიციები გამოჩნდნენ ბარბაროსებად. გარეგნობით ხომ მომხიბვლელია და გონების წამლები, მაგრამ ქცევაც და სიტყვა-პასუხიც გამორჩეული და საოცრად ნატიფი ჰქონიაო.

– მაგათი პატრიციები გუშინ გამდიდრებული ვაჭრები, ან ზღვის მეკობრეები არიან და მათ წინაპარს ჩემი მამა-პაპა სუფრაზეც არ დაისვამდა. იმ თქვენს დოგარესას ცოტა ისტორია და გეოგრაფია რომ სცოდნოდა, კოლხი მთავრის ბარბაროსობას ვერც წარმოიდგენდა, მაგრამ რას იზამ, გუგუტა, ძალა და სიმდიდრე ხალხს აქედმალლებს, თავიანთი თავის უპირატესობის გრძნობას უწერგავს და მაღლიდან ცქერას აჩვევს.

– მაინც რა უზომოდ მდიდრები არიან ეს ოხრები!

– მდიდრები როგორ არ იქნებიან, მთელი ქვეყნის ქონება აქ შემოუზიდავთ. მარტო, რაც კონსტანტინოპოლიდან ნაძარცვი გამოიტაცეს, ერთ სამეფოს ის ეყოფოდა გასამდიდრებლად და გასალაღებლად! დანდოლოსთანა დოჟი ვენეციას არ ყოლია და, ალბათ, არც ეყოლება, რადგან ჯერ ხმელეთზე მაგოდენა ყაჩაღი არსად დაბადებულა და ზღვაზე მაგის ტოლი მეკობრე არსად გამოჩენილა.

– მართლა, ორთავ თვალთ ბრმა იყო, მთავარო, დანდოლო, როცა კონსტანტინოპოლის იერიშზე ვენეციელ მეზღვაურებს წამლოლია და გალავანზე მიდგმული კიბით პირველი აჭრილა?

– არამარტო ბრმა, ოთხმოცდაათ წელს გადაცილებულიც ყოფილა! ალბათ, სიკვდილი არაფრად უღირდა და, იქნებ, ამანაც შეჰმატა გამბედაობა, ისრის წვიმაში რომ საიერიშო კიბეზე ასულა: იმ ისრების წვიმას თვალთ ვერ ხედავდა და სიცოცხლემოყირჭებულს სიკვდილის შიში ხომ არ ექნებოდა და არა.

– ახლანდელი დოჟი როგორილა მთავარო, ისიც ეგრე ვაჟკაცი და ბრძენი მმართველია?

– ვერ გეტყვი, გუგუტა, ერთი და ორი ნახვით ქვეყნის მეთაურის ძალას და ხასიათს მნელად გაიგებ კაცი. ეს კია, დიდი წინაპრის მემკვიდრეობა თავისთავად არის დიდი ტვირთი და ვალდებულება. დანდოლოს დიდ სახელს მნელადლა ვინმე მოიხვეჭს, რადგანაც ქვეყნად სხვა კონსტანტინოპოლი აღარ არი და დანდოლოსავით გაბედული ნაბიჯის გადადგმის შემთხვევა იშვიათად თუ ვინმეს მიეცემა!

– ალბათ, ეგრეა, მთავარო. ყველას თავისი დრო აქვს. ახლა გენუელები სდებენ თავს პირველობაზე, ვენეციის მზე ჩადის და ჩვენი მაღლდებო.

– ვინ იცის, ეგებ ეგრეც მოხდეს, მაგრამ მაგასაც დრო უნდა, დრო კი ნელა გადის, როცა გეჩქარება. საუკუნე მგონია, რაც აქ ვართ და ჯერ კი წელიწადიც არ გასულა! ძალიან მომენატრა სამშობლო, გუგუტა...

– სამშობლოს მონატრება ჩემსავით ვის განუცდია, მთავარო. შენ ექვსი თვე გაგიძნელდა უცხოობაში, მე კი აგერ, თხუთმეტ წელზე მეტია, კოლხეთის ღრუბლის დანახვა მენატრება... ნეტავ, დედა და მამა თულა არიან ცოცხლები.

– ცოცხლები არიან. რამდენჯერ უნდა გითხრა! უღუ გადია ისევ ჩვენთან გადმოვიდა სასახლეში და დედაჩემს არ შორდება.

– მამაჩემი, ალბათ, ძალიან დაბერდებოდა და მოტყდებოდა. მწარე ხელი ჰქონდა, რამდენჯერ მინატრია, ნეტავ სამშობლოდან არ გადმოვხვეწილიყავი და, თუგინდ, ყოველდღე ვეცემე-თქო!

შუალამე გადასულა.

ოდიშის მთავრის სასახლეში, დიდი ქალბატონის ოთახში სინათლე ანთია.

ბუხარში ჯირკი ნელ-ნელა იწვის და ნაკვერცხლებს ფერფლი ბრკესავით მოსდებია.

მთლადერთიანად გათეთრებული ნათელა ლოგინზე მიწოლილა და ფსალმუნს კითხულობს. კერიასთან მიმჯდარი უღუ თავჩახრილი ქსოვს.

– ნეტავ, ტანთ გაგეხადათ და მოგესვენებიათ, ქალბატონო, – თავაუღებლად ეუბნება უღუ.

– მაინც არ დამეძინება, უღუ, დიდი ღამე მოდის და, სულ ერთია, ფიქრი გამაღვიძებს.

– როდის გათავდება ეგ საფიქრალი, როდის მოვა ცოტნე-ბატონიშვილი.

უღუ დაჩვეული იყო ცოტნეს ბატონიშვილად ხსენებას.

– ცოტნე ბატონი, – გაუსწორა ნათელამ და ფსალმუნი გადადო, – მალე უნდა მოვიდეს, მთავრის ელჩობა ექვს თვეს უნდა გაგრძელებულიყო... უკვე რვა თვე იწურება და აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. ნეტავ მისი უნახავი არ მოგვკვდებოდე და შვილიშვილებს ხომ, ალბათ, ვეღარ მოვესწრები და ვეღარ, – ოხვრით თქვა ქალბატონმა და თვალები მოუწყლიანდა.

– შვილიშვილს კი არა, შვილიშვილის შვილებსაც მოგასწრებს ღმერთი, ქალბატონო! მარხვას შენ არ სტეხ და ლოცვას არ აკლებ, შენი სიწმინდის იმედით მარტო შენი სახლი კი არა, ჩვენც ვცოცხლობთ. შენ თუ არ იცოცხლებ, შენი შვილის პატრონი, აბა, სხვამ ვინ უნდა იცოცხლოს! ჩემი კაცი სულ იმას მეუბნებოდა, ღმერთმა ბედი შვილებში არ მოგვცა, მაგრამ სამაგიერო აღზრდილის სახელოვნებითა და ბედნიერებით მოგვიზღო.

– ღმერთმა გაანათლოს მისი სული, იმასაც შენსავით უზომოდ უყვარდა ჩემი ცოტნე და თამარი.

– უყვარდაო? უყვარდა კი არა, თავს ერჩია ორივე! თამარის დაღუპვა იმ ეშმაკის მოგონილ ყურძენს დაბრალდა, გაგიჟდა უბედური, გუგუტა სასიკვდილოდ გაიმეტა და ნამდვილად მოკლავდა, მეზობლებს რომ ხელიდან არ გამოეცლიათ.

– გუგუტას რას ემართლებოდა, უცოდინარობით და გულკეთილობით მოუვიდა საცოდავს.

\_ მაგას მერე თვითონაც მიხვდა და სულ იმას მოთქვამდა, რატომ ის ხელი არ გამიხმა, რომლითაც შვილი დაღუპვამდე მივიყვანეო.

ცოტა წაიტირეს და ერთხანს კიდევ იკრუსუნეს.

ნამტირალევი თვალებით ვეღარც წიგნის კითხვას მიუბრუნდნენ და ვეღარც ხელსაქმეს. მერე დიდხანს ილოცეს. ქალბატონმა საწოლზე მოისვენა, უდუ ჭილოფზე მიწვა. შუქი ჩაქრა, ჯირკი დაიფერფლა და სიჩუმეში ორი ქალის ხმაშეწყობილი ფშვინვა გაისმა.

მეზობელ ოთახში შერგილს არ ეძინა. უსინათლო თვალები ფართოდ გაეღო და გაუვალი წყვდიადისთვის მიემტერებინა. მოხუცი მთავარი თავის წარმოსახვაში ვარსკვლავებით მოჭედოდა ცას შეჰყურებდა, მემკვიდრე შვილისა და მთელი საქართველოს ბედის ამოკითხვასა და გარკვევას ცდილობდა.

### ეგარსლან ბაკურციხელი

კობისთავის შეთქმულთა ჩამოთვლას მემატთანე ეგარსლან ბაკურციხელით იწყებს: «...ამა შფოთთა შინა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კობტასთავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი»...

ეგარსლან ბაკურციხელი საქართველოს მეფის, ლაშა-გიორგის თაობის კაცი უნდა ყოფილიყო. მართალია, იგი მონღოლთა ბატონობის დამყარებამდე არ ჩანს, მაგრამ რაკი უმეფობის ხანაში სამშობლოს ბედზე მზრუნველ უწარჩინებულეს ქართველთა შორის პირველი იხსენიება, საფიქრებელია, რომ ეს პატივი ლაშასა და რუსუდანის დროინდელ ომებში ჩადენილი გმირობისა და სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოჩენილი ნიჭის გამო უნდა რგებოდა.

ეტყობა, ბაკურციხელი გვარითა და წარმოშობით თავის თანამოღვაწეებზე დაბლა უნდა მდგარიყო და სწორედ ამან დაღუპა კიდევ საბოლოოდ.

ცნობილია, რომ არისტოკრატები საერთოდ ვერ იტანენ ნიჭისა და პირადი ღირსების გამო დაწინაურებული ადამიანების გატოლებას და მით უფრო მათზე გაბატონებას. ქვეყნისათვის რაგინდ სასარგებლო საქმესაც არ უნდა აკეთებდნენ ახლად აღზევებული უგვაროები, დიდგვაროვანი წარმომავლობის ადამიანებში მხოლოდ შურსა და ზიზღს იწვევენ და მეტწილად მათი მტრობის მსხვერპლნი ხდებიან.

შურმა და მტრობამ დაამხო ეგარსლან ბაკურციხელიც.

მემატთანე პირდაპირ მიუთითებს: «მაშინ შეკრბეს დიდებულნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეგულებოდა მთავარყოფა მათზედა ეგარსლანისა, არა მათგან უგვარიანესისა კაცისა».

მემატთანე იმ ღირსებებსაც ჩამოთვლის, რომელთა წყალობითაც ეგარსლანი დაწინაურებულა და არა მარტო გასტოლებია თავისზე უგვარიანეს მთავრებს,

არამედ «კნინდა სახელიცა მეფისა» მიუთვისებია და თურმე «ვითარცა მეფესა მორჩილებდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსი».

«ეგარსლან ბაკურციხელი კაცი ღრმად მოუბარი», «ეგარსლან, კაცი საკვირველი და მხედრობისა და ცოდნითა აღსავსე» – აღტაცებით ამბობს ჟამთააღმწერელი ბაკურციხელის დახასიათებისას და თუმცა მის მიმართ განსაკუთრებულ სიმპათიას არ იჩენს, მის ღირსებებზე თვალს არ ხუჭავს და სიტყვაძუნწად, მაგრამ მიუდგომლად გადმოგვცემს ამ ძლიერი ადამიანის თავგადასავალს.

ბაკურციხელი რთული პიროვნებაა და ზოგჯერ გაორებულ მოღვაწედ გვეჩვენება: იგი ჯერ თავგამოდებით იბრძვის მონგოლთა წინააღმდეგ, სხვა მთავრებზე გვიან ურიგდება დამპყრობთ და მათი ბატონობის დასამხობად მოწყობილი შეთქმულების სული და გული ჩანს.

მაგრამ როცა ეს შეთქმულება მარცხდება და ქართველები განთავისუფლების უკანასკნელ იმედსაც კარგავენ, ეგარსლან ბაკურციხელი მონგოლებთან თანამშრომლობის გზას ადგება და ამ გზაზე მეფურ დიდებას აღწევს. მონგოლებთან შერიგებამ და მეგობრობამ, როგორც ჩანს, ბევრი სარგებელი მოუტანა პირადად ეგარსლანსაც და მის ქვეყანასაც, მაგრამ სამშობლოს მტერთან, დამპყრობელთან თანამშრომლობა საერთოდ უმადური საქმეა და რაგინდ კეთილშობილი განზრახვითაც არ უნდა იყოს იგი ნაკარნახევი, შთამომავლობისაგან მხოლოდ გმობასა და გაკიცხვას იმსახურებს.

ბაკურციხელს მისი ცხოვრების შუაგზაზე შეგვახვედრა მემატინემ, მაშინ, როცა ამ გამოჩენილ მამულიშვილს თავისუფალი და ძლიერი სამშობლოს სამსახური მოთავებული ჰქონდა და საქართველოს დამმონებლებთან თანამშრომლობით იწყებდა ახალ ცხოვრებას.

მონგოლთა ბანაკს ცხენოსანთა რაზმი უახლოვდებოდა. წინ თეთრ რაშზე ამხედრებული ტანბრგე ვაჟკაცი მიუძლოდა. მოკლედ შეკრეჭილი შავი თმა-წვერი და მოუსვენრად მოძრავი შავი თვალები გასაოცრად ცოცხალ იერს აძლევდნენ ცხენოსანს. თეთრონზე ამხედრებულ ბუმბერაზს შორიახლო ქვეითად მოსდევდა ორი ახალგაზრდა. ჭაბუკებს ჯილაგში ჩაევლოთ ხელი და ფრთხილად გზის რჩევით მოჰყავდათ ოქროსფერი კვიცი.

მწევარივით გრძელი, ტანწვრილი ულაყი კეკლუცად მოდიოდა, მაგრამ დაღლა მასაც ემჩნეოდა: ჩამოქნილ მაღალ ფეხებზე ტალახი და მტვერი მიჰკვროდა და ოფლთან ერთად შეხმობოდა. შორი გზის გამოვლა ყველას დატყობოდა, ცხენებსაც და ცხენოსნებსაც.

რაზმს დატვირთული აქლემები და ურმები მოჰყვებოდა უკან.

აქლემები და ხარები დინჯად მოიზლაზნებოდნენ, გზის დაუსრულებლობას შერიგებოდნენ და აუჩქარებლად, ზომიერი ნაბიჯით მოჰყვებოდნენ ცხენთა ფეხის მტვერს.

შორს, ტრიალ მინდორზე, რიყესავით გაბნეული თეთრი კარვები გამოჩნდა.

– მულალთა ბანაკი მოჩანს... ხედავთ? – ცხენი შეაჩერა წინ მიმავალმა ბუმბერაზმა და თვალზე ხელი მოიჩრდილა.

– ვხედავთ, ეგარსლან ბატონო! – დაუმოწმეს დანარჩენებმა, მხარი გაუსწორეს, ცხენებს აღვირი მოსწიეს და ბანაკს მიაჩერდნენ.

– მზე შუბის ტარზეა დასული, – თქვა ეგარსლანმა და უნაგირზე სანახევროდ შემობრუნებულმა დასავლეთს გახედა, – მზის ჩასვლამდე ურდოში ვიქნებით, ღმერთო, შეგვეწიე! – მთავარმა პირჯვარი გადაიწერა და ცხენი დამრა.

გატრუნულნი მიდიოდნენ და ბანაკს თვალს არ აშორებდნენ. იურტების მწკრივი, წელან რომ თეთრ რიყედ ეჩვენათ, ახლა ყოველ ნაბიჯზე დიდდებოდა და გასაფრენად გამზადებული უზარმაზარი თეთრი ფრინველების გუნდს ემსგავსებოდა.

მანძილი მოკლდებოდა. ცხენოსნების გულში ამდენ ხანს მიძინებული საფრთხის შიში იღვიძებდა და იზრდებოდა, მონგოლთა ურდოსკენ მიმავალი ბევრი უნახავთ, მაგრამ უკან დაბრუნებული – ცოტა. მართალია, ნებით დამორჩილებულ ქართველ მთავართა უმრავლესობა კეთილად შეწყნარებული და პატივით ამაღლებული გამოსიტუმრეს მონგოლთა ნოინებმა, მაგრამ მათ სისასტიკესა და ულმოზლობაზე იმდენს ყვებოდნენ, რომ იმედი ურდოდან ცოცხალი თავით დაბრუნებისა მათგანაც ცოტას ჰქონდა, ვინც მტერს თავიდანვე წინააღმდეგობის გაუწევლად დამორჩილდა.

კახელებმა მათი მთავრის ეგარსლან ბაკურციხელის მეთაურობით არათუ მოსვლისთანავე დაუკრეს თავი მონგოლებს, გზები შეუკრეს და მიუდგომელ ციხეებში გამაგრებულებმა ცხარე ბრძოლებიც გაუმართეს.

ეგარსლანმა მხოლოდ მაშინ გადაწყვიტა ქედის მოხრა, როცა ბრძოლის გაგრძელების უაზრობა საბოლოოდ დაიჯერა და ქუთაისში გახიზნული რუსუდან მეფისაგან მტრის დანებების დასტური მიიღო.

მონგოლებმა შუამავლების პირით ბაკურციხელს უვნებლობა კი აღუთქვეს, მაგრამ ის არავინ იცოდა, ურდოში მოსულ მთავარს რა გუნებაზე შეხვდებოდნენ უცხო მბრძანებლები. ეგარსლანს თვითონაც არ სჯეროდა მონგოლთა გულწრფელობა. თავის გადარჩენის იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდა და ამიტომ მხოლოდ ორიოდე მხლებლით აპირებდა ჩორმალონის კარზე მისვლას.

მარტო როგორ გაგიშვებთო, შეიცხადეს ახლობლებმა და თანაზრდილებმა, მთავრის სურვილს არ დამორჩილდნენ და შორეული მგზავრობისთვის სამზადისს შეუდგნენ.

– კახეთის ერისთავს ამაღაც ღირსეული უნდა ახლდეს, მეფეთა შესაფერისი. თუ სიკვდილია, შენთან ერთად მოვკვდებით, ხოლო თუ სიცოცხლე გვიწერია, შენი სამსახურის ბედნიერებით ვიცოცხლებთ, – გადაჭრით განუცხადეს მთავარს და გულაჩუყებულ ეგარსლანს ისღა დარჩენოდა, მხლებლების გამოწყობასა და ძვირფასი ძღვენის გამზადებაზე ეზრუნა.

იმ ძღვენში პატიოსანი თვლებიცა და ოქრო-ვერცხლიც ბლომად იყო, ცხენების რემაცა და საუკეთესო ღვინოც.

საქმე თუ ღვინომდე მივიდოდა, კახეთის ერისთავი დარწმუნებული იყო, რომ მონგოლ ნოინთა გულს მოინადირებდა.

მაგრამ მთავარი საზრუნავი პირველი შთაბეჭდილება იყო. ეს შთაბეჭდილება კახელებს თავიანთი გარეგნობითა და ქცევით, წარმოსადგობითა და აღკაზმულობით, მიხვრა-მოხვრითა და თავის დაჭერით უნდა მოეხდინათ.

ეგარსლანს სულ რჩეული ვაჟკაცები გაჰყვნენ, თავით ფეხამდე საგანგებოდ ჩაცმულ-დახურულნი იყვნენ და მათი შეხედვა მართლა ერთ რამედ ღირდა.

თუ პირველი შთაბეჭდილება ილბლიანი იქნებოდა და მონგოლები ცოტა ხნით მაინც ახლო მიუშვებდნენ ქართველ მთავარს, მერე კახეთის დიდებულებს არაფრისა ეფიქრებოდათ.

ბაკურციხელისათვის კაცთან ერთი შეხვედრა კმაროდა, მაშინვე გასაოცარი მომხიბლაობით მიიზიდავდა. მთელი თავისი არსებიდან გამოფრქვეულ სიტბოსა და ეშხის შუქში გახვევდა და ახლად გაცნობილისათვის ძველი მეგობარივით გულში ჩასახუტებელი ხდებოდა.

ერთი დაბრკოლება იყო ხელის შემშლელი: ეგარსლან ბაკურციხელმა მონგოლური არ იცოდა და მის «ღრმად მოუბრობას» უშუალო გავლენის ძალა ეკარგებოდა.

მაგრამ ბაკურციხელი თადარიგიანი კაცი გახლდათ, სანამ შუამავლები მონგოლ ნოინებთან მისი დამორჩილების პირობებს არკვევდნენ, ეგარსლანის კაცებმა თარჯიმნების გაცნობა, საჩუქრებით მათი ავსება და მოსყიდვა მოახერხეს და ეს გარემოება ცოტას როდი ნიშნავდა!

მზე უკვე ჩასული იყო, ქართველები რომ მონგოლთა ბანაკს მიადგნენ.

მონგოლთა უფროსი ნოინი ჩორმალონი ბოლო დროს თურმე უღონობას უჭიოდა და ადრე წვებოდა. იმ დღეს ქართველთა ხლება არ ინება და შორი გზით დაღლილებს ღამის გასათევი მიუჩინეს.

მეორე დღეს ქართველები კარგად მოსვენებულნი ადგნენ და ნოინების წინაშე წარსადგომად მომზადება მოასწრეს. ოთხივ ნოინი საჩრდილობლებქვეშ იჯდა შემადლებულზე. ეგარსლანი მათკენ წელგამართული გაემურა. წამით შედგა და იქ მყოფთ ღიმილი მიაფრქვია... მერე ეს მთასავით კაცი მუხლებზე დავარდა და მოფარდაგულზე ჩოქვით წავიდა.

უფროსი ნოინის კაბის კალთას სამგზის ემთხვია, დანარჩენ ნოინებსაც თაყვანი სცა და ჩორმალონს პატიოსანი თვლებით სავსე ლანგარი მოართვა.

ჩორმალონმა ლანგარში ხელი ჩაჰყო, ძვირფას თვლებს ხარბად დაამტერდა, მოწონების ნიშნად თავი გადააქნია და ლანგარი დანარჩენ ნოინებს გადააწოდა.

ეგარსლანმა შორიახლო მდგარ თავის მხლებლებს ანიშნა. ფარჩა და აბრეშუმი შემოიტანეს და ნოინთა ფეხებთან დაახვავეს.

– ძღვევამოსილი მულალების ცხენტა ფლოქვებმა მთელი დედამიწის ზურგი გათელეს, მაგრამ მაინც გავბედე ქართული ჯიშის ცხენტა მცირე რემა

მეახლებინა სვებედნიერი ნოინებისათვის, – წარმოსთქვა ეგარსლანმა და მინდორს გახედა...

უნიშნო თეთრი ცხენების რემამ გაიქროლა და მინდორი წამით თითქოს თოვლმა დაფარა. ცხენთა ჭიხვინზე და ფრუტუნზე ნოინები წამოიწივნენ. რემა შორიდან შეათვალიერეს. ეტყობოდათ, ცხენზე გაზრდილ მონგოლებს მოეწონათ თეთრი რაშები, ერთიმეორეს რაღაც გადაულაპარაკეს და თავადაც იმ ცხენებივით აჭიხვინდნენ.

თეთრი რემა თვალს მიეფარა და ორმა ჭაბუკმა ოქროსფერი კვიცი შემოიყვანა.

თამაშ-თამაშით მოდიოდა კავშა, დაფეთებულ თვალებს აცეცებდა და ნესტოებს ბერავდა.

ლამაზი ქალის ცქერით გაუმაძღარი კაცივით მიშტერებოდა ჩორმალონი ოქროსფერ ულაყს. თავადაც ვერ გაიგო, ფეხზე რამ წამოაყენა. კვიცთან მივიდა, აღტაცებული რაღაცას ბურდღუნებდა, თავზე და კისერზე ხელს უთათუნებდა და ალერსით ზედ ადნებოდა. დანარჩენმა ნოინებმაც უფროსს მიბაძეს, კვიცს შემოეხვივნენ, მუშტრის თვალით გაუსინჯეს ყოველი ნაკვთი, მოწონება ვერ დაფარეს და ხმამაღლა აყაყანდნენ. ჩამოქნილი ფეხები და წვრილი ტანი, წაცქვეტილი ყურები და დაბერილი ნესტოები, ჭკვიანი თვალები და გრძელი ძუა-ფაფარი ცხენზე ჭიპმოწყვეტილი ნოინების საერთო აღტაცებას იწვევდა.

ჩორმალონი ტახტისკენ დაბრუნდა, დანარჩენი სამივე ნოინიც თავთავის ადგილას დაჯდა. ორმა ვაჟკაცმა ოქროსფერი კვიცი გაიყვანა.

ნოინებმა თვალი გააყოლეს და ჩორმალონმა ხვიხვინით თქვა:

– ჯიშინი ცხენი ჰყოლია ქართველ მთავარს, მაგრამ არც ვაჟკაცებს ჰკლებიათ თვალტანადობა!

თარჯიმანმა ხმამაღლა თარგმნა ჩორმალონის ნათქვამი.

– მოახსენე მბრძანებელს, რომ ამიერიდან ჩვენი ცხენიცა და კაციც, ყველანი უკლებლად მონგოლთა სამსახურად არიან გამზადებულნი და ჩვენი ხმალიცა და ცხენიც მათი ძლევამოსილი ლაშქრის საკუთრებაა ისევე, როგორც ჩვენი სიცოცხლე და ქონება.

თარჯიმანმა თარგმნა.

ჩორმალონს ქართველი მთავრის ენაწყლიანობა ეამა და ეგარსლანს მოწყალედ გაუღიმა.

კიდევ წუთი და მინდორზე ცხენოსნები გამოვიდნენ. ჰაერში ბურთი ავარდა და კახელები ცხენდაცხენ მიეტივნენ. ხელმარჯვედ სცემდნენ ჩოგანს, ცხენიდან ხტებოდნენ, უზანგებზე ეკიდებოდნენ.

ცხენოსანთა სიკისკასით მოხიბლული მონგოლები აღტაცებით შეჰყურებდნენ მობურთალებს.

– შენც მათებრ ცხენოსანი და მობურთალი ხარ, მთავარო? – მოუბრუნდა ჩორმალონი ბაკურციხელს.

ეგარსლანი ამდენ ხანს მხოლოდ მონგოლ ნოინებს უყურებდა. მის თვალს როდი გამოჰპარვია ნოინების სახეებზე გადარბენილი ჩრდილის კვალი.



ადამიანები საერთო აღტაცების დროს მტრისადმი ზიზღისა და შურის გამოვლენას ერიდებიან, გულში ინახავენ და მხოლოდ უნებური, დაუძლეველი თავშეუკავებლობა თუ გამოსცემს ხოლმე იმ ფარული გრძნობის აფეთქებას.

მთელი ქვეყნის დაპყრობითა და თავიანთი უძლეველობით გალაღებულ მონგოლ ნოინებს ხელს არაფერი უშლიდა, გულში ფარულად აღძრული შური თუ სიძულვილი აშკარად გამოეხატათ, მაგრამ ცხენოსნობისა და ვაჟკაცობისადმი თანდაყოლილი პატივისცემა და ამპარტავნება აკავებდათ და აიძულებდათ, თვითონაც საერთო აღტაცებას შეერთებოდნენ და დაუმორჩილებელი მტრის სიკისკასით აღძრული შური საჯაროდ არ გამოემჟღავნებინათ.

ეგარსლანი მიხვდა: მონგოლების წინაშე მეტისმეტი თავგამოდება დამპყრობელთა პატივმოყვარეობას აღიზიანებდა და შეიძლებოდა ქართველებისათვის საზიანოდ შემობრუნებულიყო. ბაკურციხელს კარგად ახსოვდა მონგოლების წესისა და ზნის მცოდნეთა შეგონება და გაფრთხილება: ეცადე, არც გარეგნობით, არც ქცევით მეტისმეტად თავი არ მოაწონო, შური არ აღუძრა, თორემ ეგენი თავისზე უკეთესს ქვეყნად ვერავის იტანენ. საკმაოა, მცირედი რამ შენი შეეხარბოთ, რომ მაშინვე რისხვით აინთონ და სასიკვდილოდ გაგწირონ!.. ეგარსლანმა შეატყო, რომ მისმა მოყმეებმა თავის გამოჩენაში შორს შეტოპეს, ორად მოიხარა და ჩორმალონს შეჰბედა:

– თუ მბრძანებლები ისურვებენ, მეც ჩავერევი ბურთის თამაშში!

ჩორმალონმა თვალით ანიშნა, გადადიო და ეგარსლანი დინჯი ნაბიჯით დაეშვა მინდვრისაკენ.

შავ ძუა-ფაფრიანი ქურანი მოჰგვარეს ეგარსლანს, ამხედრდა თუ არა, მობურთალთა წრეში შეიჭრა, ჩოგანი ქარბორბალასავით დაატრიალა, ცხენოსნები მირეგვ-მორეგვა, ბურთი გაიტაცა და შორს გასტყორცნა.

ბურთს დადევნებულებს რაღაც გადასძახა, მაშინვე ერთმა მხედარმა ძირს ზღართანი მოიღო და უცებ ჩამოვარდა ყინული – უმაღვე ჩაქრა ყიჟინა და აღტყინება. ცხენიდან გადმოვარდნილს მისცვივდნენ და მინდვრიდან გაიყვანეს.

თამაში დაიშალა.

შუბლშეკრული ეგარსლანი ნოინებისკენ შემოიქცა, შემადლებულთან დაიქვეითა და ნირწამხდარი მიეახლა.

– შევრცხვით მბრძანებლების წინაშე, – სინანულით თქვა და მუხლზე დაეცა.

– არაფერია, ცხენოსნობას ფათერაკიც მუდამ თანა სდევს, – გაიღრიჭა ჩორმალონი, – ქართველ მთავარს ჩოგნისცემა კარგად სცოდნია. თუ ხმალსაც ეგრე მარჯვედ იქნევს, ჩვენგან დიდი წყალობა მოელის.

– ომში მიახლონ მბრძანებლებმა და თავად გამოსცადონ ჩემი ნიჭი და ერთგულება, – წარმოსთქვა ბაკურციხელმა და მონგოლ ნოინს იმედმოცემული თვალით შეხედა.

სუფრა მოიღეს.

ჩორმალონი სუფრის თავს დაჯდა.

ნოინები იქით-აქეთ მოუსხდნენ.

ქართველი მთავარი პირისპირ დაისვა და თარჯიმანი თავს დააყენა.

მონგოლები დამშეულებივით ეცნენ მორთმეულ ხორცს. სულმოუთქმელად გლეჯდნენ ხორცის უშველებელ ნაჭრებს, დროდადრო მათ უკან მდგარი მწდეების გულმკერდზე იწმენდდნენ გაქონილ ხელებს და გალომპრილ ძვლებს ხელუკუღმა ისროდნენ.

ეგარსლანი საერთოდ არ იყო მჭამელი კაცი. ამოდენა გოლიათი მუდამ მცირეს სჯერდებოდა, ცოტა-ცოტას ყველა კერძიდან მოიღებდა, დანაყრდებოდა და ჭამას ეხსნებოდა. კახეთის ერისთავს სუფრა ნაირნაირი უხვი საჭმლით არასოდეს იზიდავდა. უფრო კარგი ღვინის სმა და შექცევა, ზომიერი სადღეგრძელო, მოსწრებული სიტყვა-პასუხი და სმენის დამატკობელი სიმღერა უყვარდა. ერთი სიტყვით, ეგარსლანი სუფრაზე მოსალხენად ჯდებოდა და არა მუცლის ამოსავსებად.

უკვირდათ, ამოდენა მთა კაცი ასე ცოტა საზრდოს რომ სჯერდებოდა.

ერთთავად სულ ცხენზე ჯდომას, ლაშქრობასა და მობურთალობასთან ერთად ეგარსლანი ცოტამჭამელობასაც უმადლოდა, რომ ამ სიმაღლე კაცს, უკვე ხანშიშესულსა და ხცემორეულს, თუმცა წელი ძველებურად ჭიანჭველასავით გაწყვეტაზე აღარ ჰქონდა, მაგრამ მუცელი სხვებსავით არ ეტყობოდა.

ყველსა და პურს მისწვდა ეგარსლანი. ორიოდე ლუკმა გადაყლაპა. ქვემ-ქვემ გასცქეროდა მადააშვებულ ნოინებს, პირში რომ პეშვით იყრიდნენ საჭმელს და ნადირებივით ნთქავდნენ წინ დახვავებულ ხორაგს. ხვდებოდა მათი მოუპირობის მაცქერალი, რატომაც ეკიდათ ამოდენა ფაშვები ჯერ კიდევ არც ისე ხნიერ ნოინებს. მათ არც ღამის თევა და გრძელი გზის კეცვა აკლდათ, არც ხმლის ქნევა და ისრის ტყორცნა. ცხენზე ხომ არ იბადებოდნენ, თორემ მთელ სიცოცხლეს უნაგირზე ჯდომაში ლევდნენ და მაინც მუცლებს ძლივს დაათრევდნენ.

მთავარი მათი გაუმადრობა ყოფილა და ამ გაუმადრობაში თურმე მონგოლის თვალი და კუჭი ერთიმეორეს ეჯიბრებიან. მუცელს აქორებ \_ ქორია და აღორებ \_ ღორიაო, გაახსენდა ეგარსლანს ქართული ანდაზა. ის იყო, ტუჩთან ღიმილი შეეპარა, რომ ჩორმალონმა წამით კერძიდან თავისი უშველებელი თავი აიღო, კახეთის ერისთავს გახედა და გაოცდა.

\_ რატომ საჭმელს არ სჭამს ჩვენი სტუმარი? მოწამვლისა თუ ეშინია, უთხარი, მონგოლთა მტრები მხოლოდ ბრძოლის ველზე იღუპებიან და ლოგინში ჯერ ერთიც არ გამოსალმებია წუთისოფელს.

სანამ თარჯიმანი ნოინის ნათქვამს თარგმნიდა, ჩორმალონმა თავის კერძად მორთმეულ ხბოს ბეჭი ააგლიჯა და ბაკურციხელს წინ დაუდო.

\_ ჭამოს, ახალი დაკლული ხბოა, პირში ძვლიანხორციანი დნება.

ნოინთა შორის უხუცესმა მუცელს ბოძი შეუყენა, ცოტა სული მოითქვა და მწდეს შეუძახა:

– რას დგახართ, კუმისი დაასხით!

მწდეებმა მაშინვე ტიკებს თავი მოხსნეს და შუშხუნა კუმისით სასმისები აავსეს.

ეგარსლანი გაოცებული უყურებდა: მონგოლებმა არც ღმერთი ახსენეს, არც თავიანთი მბრძანებელი ხელმწიფე, სასმისები პირზე მოიყუდეს და სულმოუთქმელად დაცალეს.

ჩორმაღონმა ცარიელი სასმისი სუფრაზე ისროლა და ქართველ მთავარს მიაჩერდა.

– უძლეველი მონგოლები არც სასმელში ურევენ საწამლავს, ქართველო! დალიე, კუმისი ჯანისათვის მარგებელია და კარგ გუნებაზეც აყენებს. აბა, ქალიშვილივით ნუ ენაზები... შესვი... შესვი...

დავლევ, რაც უნდა მომივიდესო, გადაწყვიტა ეგარსლანმა და სასმისზე დაიხარა. ტუჩის შეხებაზევე გული კინალამ აერია, მაგრამ თვალი დახუჭა და ყელში ისე მიუშვა ამჟავებული რძე, პირი არ შეუყოვნებია.

როგორც იყო, დაცალა. გული არ არევია.

ეს კუმისი არც ისე ცუდი უნდა იყოს, ყველაფერი შეჩვევაზეაო, გაიფიქრა და ტუჩები მოიწმინდა.

– როგორია, ა? თქვენი ღვინო სჯობს? – იკითხა ჩალატა ნოინმა და ეშმაკური ღიმილით დაწკუპული თვალები მიანათა.

– ჩვენ უფრო ღვინოს ვართ ნაჩვევები... ნოინებს საუკეთესო ქართული ღვინო მოვართვი. თუ ინებებთ, მოვატანინებ... – თქვა ეგარსლანმა, ჩორმაღონს შეაჩერდა და ფეხზე წამოდგა.

– მოიტა... მოიტა... ვნახოთ! – თავი დაუქნია ჩორმაღონმა და თავისიანებს თვალი ჩაუკრა.

ეგარსლანმა მის უკან მოშორებით მდგარ მსახურთუხუცესს გახედა. მსახურთუხუცესი ადგილს მოსწყდა და ცოტა ხნის შემდეგ ოთხმა კახელმა ვაჟკაცმა ღვინით სავსე რუმბი შემოიტანა.

თავი მოხსნეს და რუმბის ყელიდან წითელი ღვინო სისხლივით წამოვიდა.

ირანისა და ადარბადაგანის გზებზე ნატარებმა მონგოლმა ნოინებმა შარბათის გემო უკვე იცოდნენ, მაგრამ მაინც გაშტერებულნი შეჰყურებდნენ რუმბიდან მოჩუხჩუხე უცხო სასმელს.

პირველი სასმისი ჩორმაღონს მიაართვა ბაკურციხელმა. სავსე ჯამს შუბლშეკრული დასცქეროდა ნოინი.

– კაცის სისხლია თუ საქონლის? – გულმოსულად იკითხა ჩორმაღონმა.

– ქართველები კაცისა და საქონლის სისხლს არ სვამენ, დიდებულო ნოინო! ეს ჩვენებური ვაზის ნაყოფის წვენია და შიგ წვეთი არაფრისა ურევია, სხეულში სისხლად შედის, კაცს ღონეს მატებს და დარდს ავიწყებს.

– ხი-ხი-ხი... – ჩაიხითხითა ჩორმაღონმა, ჯამი პირთან მიიტანა, ღვინის სუნმა მიიზიდა და ნდომით ნესტოები აუთამაშდა.

ის იყო, უნდა დაწაფებოდა, რომ ბიჩუ ნოინმა შესძახა:

– ჯერ ნუ დალევ, იქნებ მოწამლულია!

– ჰო-ჰო! – შესძახეს ჩაღატამ და სირმონმაც, – ჯერ თავად ქართველებმა დალიონ!

– მართალია! – გასწყრა თავის თავზე და ქართველებზე ჩორმალონი, – ჯერ შენ დალიე და ყველა შენს მხლებელსაც დააღვინე! – მკაცრად თქვა ჩორმალონმა, მერე იქ მყოფთ თვალი მოავლო და ჩაიხითხითა, – მერე ჩვენც გავსინჯავთ, არა?

– დიახ! დიახ! – დაუმოწმეს იქ მყოფებმა და თვალი ყველამ ბაკურციხელს მიაპყრო.

ეგარსლანმა თავისი ამაღა იხმო.

მთავრის ზურგს უკან რამდენიმე რიგად დადგნენ კახელი დიდებულები, ერთიმეორეზე თვალ-ტანადი, რჩეული ვაჟკაცები. ეგარსლანმა ღვინით სავსე ჯამი ასწია:

– ქართველებს ერთი ჩვეულება გვაქვს: ლხინში ღვინოს ისე არ დავლევთ, თუ სადღეგრძელო ყველას გასაგონად არ ვთქვით. პირველი სადღეგრძელო უფლისა და ხელმწიფისაა. ღმერთმა იმდენი წელიწადი მისცეს მონგოლთა მბრძანებელსა და მთელი ქვეყნის დამპყრობს, ჩვენს დიდსა და უძლეველ ყაენს, რამდენი ჯარისკაციც მის ძლევამოსილ ლაშქარში იბრძვის, რამდენი ცხენიც მის მიერ დაპყრობილი ქვეყნის მინდვრებზე ძოვს, რამდენი ფოთოლიც მის თვალუწვდენელ საბრძანებელში გადაჭიმულ ტყეებში შრიალებს, რამდენი წვეთი ღვინოც ამ ჯამსა და რუმშია, იდღეგრძელოს სწორუპოვარმა ბრძენმა და სარდალმა, ღვთივგვირგვინოსანმა ყაენმა! ვაშა! – შესძახა ბაკურციხელმა და თითქო ზეცამ იქუხაო, ერთხმად იგრილა კახელი დიდებულების ვაშამ.

ბაკურციხელმა და მისმა მხლებლებმა ჯამები სულმოუთქმელად დაცალეს და ჰაერში დააპირქვავეს.

თარჯიმანმა ეგარსლანის ნათქვამი თარგმნა. ნოინებს ეამათ.

– ყოჩაღ! ყოჩაღ, ქართველო! – მოუწონეს აქეთ-იქიდან.

ეგარსლანმა ტუჩი მოიწმინდა, სასმისი აავსო და ჩორმალონისკენ წავიდა, უფროს ნოინს მიეახლა, მუხლზე ჩაიჩოქა და ჯამი გაუწოდა.

– ინებეთ, მბრძანებელო!

– ესეც უნდა დავლიო? – იკითხა და თავის სავსე ჯამზე მიუთითა.

– არა, მბრძანებელო, მხოლოდ მოწოდებული სასმისით უნდა შესვათ, – შეჰღიმა ეგარსლანმა.

– რაკი ყველამ დალია, ჩვენც დავლიოთ, – თქვა ჩორმალონმა, ნოინებს ანიშნა და ღვინოს დაეწაფა.

ჯამში ნახევრამდე დაიყვანა ღვინო. სახე კმაყოფილებით გაეზადრა, თავი ოდნავ ასწია, ტუჩები ენით მოილოკა და აღტაცებით თქვა:

– ოო! ეს მართლა შარბათი ყოფილა! – ისევ მოიყუდა ჯამი და ახლა სვენებ-სვენებით, გემოს ჩაყოლებით განაგრძო სმა.

ჯამები დაცალეს და საჭმელს მიუბრუნდნენ.

ერთხანს ხმამაღლა, ხლაჭახლუჭით ჭამდნენ.

– კიდევ დავლიოთ? – იკითხა ჩორმალონმა და ეგარსლანს მიაჩერდა.

– მიირთვით! ღმერთმა შეგარგოთ! – დაილოცა ეგარსლანი და მწდეებს ჩორმალონის ჯამი გაუწოდა.

– ხომ არ დაგვათრობს? – იკითხა ჩალატა ნოინმა, ეშმაკურად გაიღიმა და ხმადაბლა დაუმატა, – დიდებული ჩინგიზყაენის იასა დათრობას თვლის მონგოლი ვაჟკაცისათვის ყველაფერზე სამარცხვინოდ.

თარჯიმანმა ჩალატას ნათქვამის პირველი ნაწილი თარგმნა მხოლოდ.

– რა ბრძანებაა! ჯერ რა მიირთვით, რომ დაგათროთ! თქვენისთანა ვაჟკაცებს ღვინის დაღვევა როგორ შეეტყობა! – გაამხნევა ბაკურციხელმა ნოინი.

ნოინებმა ჯამები ისევ უსიტყვოდ მოიყუდეს. დაცალეს ენის წლაკუნითა და ტუჩების ლოკვით, ერთხელ კიდევ მოიწონეს მოტკბო, საამო სასმელი.

ჩორმალონი ისევ საჭმელს მიუბრუნდა და ეგარსლანს შეუძახა:

– დალიე, დალიე, კარგად კი ლაპარაკობ, მაგრამ როცა ასეთი სასმელ-საჭმელია, ლაპარაკისთვის ვის სცალია!

ეგარსლანმა მაინც თქვა ორიოდ სიტყვა:

– ახლა თქვენ გაგიმარჯოთ, მონგოლთა უძლეველი ყაენის სახელოვან ნოინებს, ღმერთმა ძლევა და მტერზე გამარჯვება ნუ მოგიშალოთ! კეთილი ყოფილიყოს საქართველოში თქვენი მოსვლა. თქვენი ერთგული სამსახური შეგვაძლებინოს და ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი ბედნიერი ყოფილიყოს თქვენი დროშის ქვეშ!

ბაკურციხელი მიხვდა, მის ენამზეობას ყურს აღარავინ უგდებდა და ტყუილად იხარჯებოდა. ჯამი მოიყუდა, მაგრამ ბოლომდე როდი დალია. ჩორმალონს არ გამოჰარვია.

– დაცალე, მთავარო! ღვინოს იზოგავ, თუ საწამლავს ერიდები! – თავაულებლად გასძახა და მწდეს ცარიელი ჯამი გაუწოდა.

ბაკურციხელმა ჯამი ისევ მოიყუდა და ახლა ბოლომდე დაცალა.

ნოინებმა ისევ უსიტყვოდ შესვეს და მწდეებმა ისევ პირამდე აუვსეს ჯამები. ერთიმეორეს აღარავინ უყურებდა, ჯამები უწესრიგოდ, თითქმის შეუსვენებლად ივსებოდა და იცლებოდა. ნელ-ნელა ხმაურმა იმატა და ბოლოს სუფრაზე ყურისწამლები ღრიანცელი ატყდა.

სხვაზე ადრე ჩორმალონი დათვრა. ერთხანს რაღაც იყაყანა, თვალები დაებრიცა და პირზე დორბლი მოადგა. უწმაწურ ლანძღვა-გინებას მოჰყვა; დანარჩენი ნოინებიც აჰყვნენ, ერთიმეორეს დედ-მამის სულს სიცილითა და მხარზე ხელის ტყაპუნით უტრიალებდნენ და გინებას ისე ირგებდნენ, თითქო ერთმანეთისთვის ქათინაური ეთქვათ.

თარჯიმნები წითლდებოდნენ და აღარ თარგმნიდნენ. მერე ის იყო, ჩორმალონს უზარმაზარი თავი ერთბაშად მოსწყდა, სუფრაზე დასდო და დაეძინა.

დანარჩენმა ნოინებმა ერთხანს კიდევ სვეს და იხითხითეს, ეტყობოდათ, თავიანთ უფროსს დასცინოდნენ. მერე ერთიმეორეს შეუტყეს და ერთმანეთზე კინალამ საჩხუბრად მიიწიეს.

ეგარსლანი ენაჩავარდნილი შეჰყურებდა გონდაკარგულ ნოინებს, უნდოდა გაეგო, რა აჩხუბებდათ, მაგრამ მისი თარჯიმანი კარგა ხნის მიღებული ჰყავდა უფალს და ამხსნელ-მთარგმნელი აღარავინ იყო. როგორც იქნა, ჩხუბის გუნებაზე დამდგარი ნოინები დაცხრნენ და მათაც იქვე, სუფრაზე დაიძინეს.

ეგარსლანს თავითფეხამდე იარაღასხმული მონგოლი დაადგა თავს. მძინარ თარჯიმანს ხელი წამოართყა და თვალი რომ გაახელინა, მკაცრად უთხრა:

– გააგებინე ქართველ მთავარს... მე ნოინების მცველი რაზმის უფროსი ვარ, იცოდეს, რომ თუ ამ ღვინოში საწამლავი ურევია და ჩვენს მზრძანებლებს რამე ატკივდებათ, არა მარტო აქ მოსულ ქართველთაგან ვერავინ გადაურჩება სიკვდილს, მთელ საქართველოს ამოვხოცავთ და თქვენს ქვეყანაში ქვას ქვაზე აღარ დავტოვებთ!

– მაგის ფიქრი ნუ ექნება ნოინების მცველს. დღეს გულმშვიდად დაიძინოს და პასუხი ხვალ მომთხოვოს, – არხეინად განუცხადა ეგარსლანმა და სუფრიდან წამოდგა.

იმ ღამეს გვიანამდე თვალი ვერ მოხუჭა ეგარსლანმა. იმის ფიქრი არ აძინებდა, ხვალ რა გუნებაზე ადგებოდნენ ნოინები.

ყვარლის წითელი ღვინისა არ ეფიქრებოდა ბაკურციხელს, მის დამლევს ქვეყნის გაჩენის დღიდან თავიც არ წამოტკენია, მაგრამ ღვინოს შეუჩვეველმა მონგოლებმა ბევრი რომ სვეს და კიდევ უფრო მეტი ჭამეს, ვინ იცის, რომელს რა ატკივდება და, მათაც მეტი არა უნდათ რა, ეგარსლანის ღვინოს დააბრალებენ.

როგორც იყო, თვალი წაატყუა ეგარსლანმა, მაგრამ ძილი არ აცალეს, მსახურთუხუცესმა გააღვიძა, ბიჩუ ნოინი გიხმობსო.

ეგარსლანი სწრაფად წამოდგა.

თავში ათასი ფიქრი უტრიალებდა. შუალამისას ბიჩუ უბრალოდ არ დაიბარებდა. ალბათ, რაღაც არაჩვეულებრივი და ეგებ მოულოდნელი რამეც მოხდა.

მონგოლი ნუქერი კართან უცდიდა. შემფოთებულ თავისიანებს თვალი მოავლო ბაკურციხელმა.

– წაგვიტანე.. მარტო ნუ წახვალ! – შეევედრა მსახურთუხუცესი.

– რა აზრი აქვს! – ხელი აიქნია ბაკურციხელმა და ნუქერს ანიშნა, წავიდეთო.

ჩაბნელებული ქურენები უხმოდ გაიარეს, ბოლოს უთვალავ კარავს შუა ამართულ დიდ იურტასთან შეჩერდნენ. ნუქერმა კარვის კალთა გადასწია და ქართველ მთავარს განათებულ იურტაში შეუძღვა.

ბიჩუ ნოინი მხარეთემოზე იწვა, წინ პატარა ტაბლაზე ხილი და საუზმე ეწყო.

– შემოდი, მთავარო! ხომ არ გეწყინა, უდროოდ დროს რომ მოგიხმეთ.

\_ რა ბრძანებაა, დიდებულო ნოინო! თქვენი სამსახურისთვის მუდამ მზადა ვართ, \_ მიუგო გაღიმებულმა ეგარსლანმა და, ცოტა არ იყოს, შვება იგრძნო, რაკი ნოინის ნათქვამი ცუდის მომასწავებლად არ ეჩვენა.

\_ ძალიან მომეწონა თქვენი სასმელი. ბევრი ვსვი, მაგრამ ცოტა რომ წავიძინე და გამომეღვიძა, ისე ვარ, თითქოს წვეთიც არ დამელიოს, არც თავის ტკივილი მაწუხებს, არც უფუნებობა. თუ გსურს, ცოტა კიდევ დავლიოთ ერთად, ერთიმეორეს უკეთ გავიცნობთ და ქვეყნის ავკარგზეც ვისაუბრებთ.

\_ მაგას რა სჯობია, თუკი თქვენთან საუბრისა და ლხინის ღირსად გამხდით! \_ თავი დაუკრა გახარებულმა ეგარსლანმა და ღვინის მოსატანად გაქანდა.

იმ ღამეს ხვევნა-კოცნითა და ერთგულების ფიცით გაიყარნენ მონგოლი ნოინი და კახეთის ერისთავი.

მეორე დღეს, როცა კახეთის დამორჩილებისა და ეგარსლანის შეწყნარების წიგნი დაიწერა, კახეთი გაათავისუფლეს ზოგიერთი იმ გადასახადისაგან, რომლებიც ყარაყორუმს არ იგზავნებოდა. სამაგიეროდ ღვინის გადასახადი გაუდიდეს და საგანგებოდ ჩაუწერეს, თუ ყოველწლიურად, რა დროს და რამდენი უნდა მიერთმია საქართველოში დაბანაკებული მონგოლებისათვის საუკეთესო კახური ღვინო.

ბაკურციხელი გახარებული დაბრუნდა ურდოდან. ამიერიდან მისი სამკვიდრო დაშოშმინდებოდა, რბევა და სისხლის ღვრა შეწყდებოდა. მორჩილებისა და შეწყნარების პირობები მძიმე იყო, მაგრამ სხვა ქართველ მთავრებთან შედარებით მას რაღაც დაუთმეს და მცირე შეღავათი მისცეს.

უმთავრესი და უმძიმესი შეწყნარების პირობათაგან სამხედრო ბეგარა იყო: ყოველ ათ სულზე კახელებს ორი მეომარი უნდა გამოეყვანათ. მაგრამ მონგოლთა სამხედრო ბეგარა ყველასათვის ერთნაირად მძიმე და უშეღავათო იყო და ნოინებს რომ ძალიანაც სდომოდათ, ჩინგიზყაენის მიერ დაწესებულ ამ ვალდებულებას დაპყრობილ ხალხებს ვერ შეუმსუბუქებდნენ.

მონგოლთა მორჩილ მთავრებსა და მათ შორის ეგარსლანსაც ერთი ჰქონდათ სანუგეშოდ: მონგოლებს დედამიწის ზურგზე დაუპყრობელი თითქმის აღარა რჩებოდათ რა და ვისთანღა უნდა ეომათ!

მაგრამ ქვეყანა დიდი იყო და ჯერ სისხლიც ბევრი იყო დასაღვრელი!

ეგარსლან ბაკურციხელი შეწყნარების პირობებს სანიმუშოდ ასრულებდა: ხარკსა და გადასახადს თავის დროზე იხდიდა, ლაშქრად გაყვანილ კახელებს წინ თავად მიუძღოდა და ბრძოლის ველზეც ვაჟკაცურად იბრძოდა. მონგოლებისაგან შორს იყო, მაგრამ მათთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდა და ამას ისე ოსტატურად ახერხებდა, ვერც ქართველები დააყვედრებდნენ რასმე, არც მონგოლ ნოინებს აძლევდა ახირებისთვის რაიმე მიზეზს.

უცხოთა მორჩილებას შეუჩვეველ ქართველებს მალე დაუმძიმდათ მონგოლთა უღელი, ჰაერს გარდა თითქმის ყველაფერზე გადასახადს

იხდიდნენ თავიანთსავე სამკვიდროში, მაგრამ ამას კიდევ გაუძლებდნენ. გამუდმებულმა ომებმა მოღალა და გასტეხა ქართველობა.

საქართველოს საუკეთესო ახალგაზრდობა მონგოლთა მტრების მიუვალ ციხე-სიმაგრეებს აწყდებოდა ან დაუსრულებელ ალყაში სახადითა და სენით იღუპებოდა.

რუსუდან მეფე გარდაცვლილი იყო. ტახტის ორი მემკვიდრე ყარაყორუმის კარზე ეცილებოდა ერთიმეორეს ტახტსა და გვირგვინს და საქართველოს სახელმწიფო უმეფოდ იყო.

ქართველი მთავრები ერთთავად სულ მონგოლთა ლაშქარში, საქართველოდან შორს იბრძოდნენ და ქვეყანა უპატრონოდ იყო დაგდებული. მომთაბარე მეზობლები ამით სარგებლობდნენ, საქართველოს თავს ესხმოდნენ, არბევდნენ და აწიოკებდნენ.

რაკი ერთი მიზანი და ერთი გვირგვინი აღარ აერთიანებდათ, საქართველოს ცალკე სამთავროების ერთმანეთთან შეუთანხმებელ მოქმედებას ნაყოფი არ მოჰქონდა.

სამეფოს მოწინავე ადამიანები გრძნობდნენ ამ გათიშულობის დამღუპველობას და თავიანთ პასუხისმგებლობას ერისა და მომავლის წინაშე.

ქვეყანას, ხალხს დროზე უნდოდა შველა, ვიდრე სრული გადაგვარებისა და მოსპობის საფრთხე არ დადგებოდა.

«ამა შფოთთა შინა» ეზრახნეს ერთურთს სამეფოს ბედზე მზრუნველი ქართველი მთავრები, მონგოლთა წინააღმდეგ შეითქვენენ და კოხტისთავს შეიკრიბნენ იმის საბოლოოდ გადასაწყვეტად, ვის რამდენი მეომარი გამოეყვანა და როდის, სად დაეწყოთ აჯანყება.

შეთქმულება გამჟღავნდა.

ციხე ყოველთვის შიგნიდან ტყდება და შეიძლება გვეფიქრა, რომ იმ კეთილშობილ რაინდთა შორისაც აღმოჩნდა მოღალატე, რომელმაც შეთქმულება გასცა.

მაგრამ, როცა სარწმუნო საბუთი არ არსებობს, ძნელია ვისმე ღალატი დასწამო და იუდას ცოდვა აჰკიდო.

ამიტომ იჩენს სანაქებო სიფრთხილეს კოხტისთავის შეთქმულების ამბის თხრობისას ჟამთააღმწერელი.

«ვითარ ესმა თათართა ერთგან შეკრება ქართველთა, წარმოვიდეს ბიჩუ და ანგურგ და მოვიდეს კოხტასთავსა, დახვდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი».

«ესმა თათართა», ისეა ნათქვამი, თითქოს ვიდაცისგან ყური მოეკრათ, ან ჭორად გაეგონათ მონგოლებს ქართველ შეთქმულთა შეკრების ამბავი. ამ ზოგად ნათქვამში ცალკე პიროვნება არ იგულისხმება, ღალატი და გაცემა კერძოდ არავის ბრალდება და ეჭვი არავისზეა მიტანილი.

სახელმწიფო მოღვაწეთა ცხოვრებაში ხშირია ისეთი სულიერი გარდატეხები, რომლებიც სრულიად ცვლიან ამ მოღვაწეთა მიზანსა და მიმართულებას. სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანები ძნელად



ურიგდებიან მტრის მორჩილებას, ბრძოლის ველზე დამარცხებულები არაერთხელ უპირისპირდებიან დამპყრობლებს და უთანასწორო ბრძოლაში ცდილობენ მათი უღლისაგან თავის დახსნას. ბოლოს, როცა მთელი ქვეყნის მოწინავე ძალების ერთი მიზნით გაერთიანება ხდება, ერთადერთი იმედი იმასდა ემყარება, მტერზე მოტანილი ეს უკანასკნელი იერიში გამარჯვებით დაგვირგვინდეს.

მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი იცინის.

ამბოხება მარცხდება, შეთქმულნი ისჯებიან და სასჯელმოხდილი მამულიშვილები დამპყრობთა უერთგულესი მსახურნი ხდებიან.

კობისთავის შეთქმულების მარცხის შემდეგ ქართველმა მთავრებმა და მათ შორის ბაკურციხელმაც, საბოლოოდ ირწმუნეს მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლის უაზრობა და ქვეყნისა და თავის გადარჩენისათვის ახალი გზების ძებნა დაიწყეს. რაკი მტრისათვის თავის შეკვლას აზრი არ ჰქონდა, იმ მტერთან შერიგებითა და თანამშრომლობით სამშობლოსა და ხალხისათვის სარგებლის მოტანა უნდა ეცადათ და ეგარსლანი ამ გზას დაადგა.

თუ შეთქმულებამდე მონგოლ ნოინებთან ზედმეტ სიახლოვეს ეკრძალებოდა, სირცხვილისა და თავმოყვარეობის გრძნობა ნებას არ აძლევდა, მკერდში ჩაკვროდა მისი ქვეყნის დამმონებლებს, ახლა უკვე წინ აღარაფერი უდგებოდა, იმას ვერავინ იტყოდა, ცდას დააკლო და მონგოლთა წინააღმდეგ ბრძოლას მათი ერთგული სამსახური არჩიაო.

მთელმა ქვეყანამ კარგად იცოდა, როგორ მხნედ დაუხვდა შემოსეულ მტერს ეგარსლან ბაკურციხელი, როგორ ხანგრძლივად გაუწია წინააღმდეგობა მათ დამკვიდრებას კახეთში და, ბოლოს, როგორ გასწირა თავი სასიკვდილოდ უძლეველი მონგოლების ბატონობის დასამხობად შეთქმულებაში მონაწილეობით.

ხელფეხმეკრულს, შიშველ ტანზე თაფლწასმულს ბზიკები ეხვია და უდაბნოს ცხელი მზე სწვავდა.

ცოტნე დადიანს რომ არ მოესწრო და მის მოსვლას სასწაულებრივად არ ეხსნა, ეგარსლანიც, სხვა შეთქმულებთან ერთად, ხერხემალგადატეხილი, სადმე ხრამში ეგდებოდა.

სიცხისაგან კანდათუთქული და კრაზანებისაგან დაკბენილი, თავპირდასიებული ბაკურციხელი სიკვდილს გადარჩა, მაგრამ თავდახსნილს ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. კახეთში ურმით ჩამოიყვანეს მწოლიარე და სამ თვეს სასიკვდილოდ იყო გადადებული.

ქვეყნის ყველა კუთხიდან მოწვეულმა მკურნალებმა არც თავი დაზოგეს, არც ცოდნა და გამოცდილება დაიშურეს, ღამეები უთიეს და ათასგვარი მალამოთი და წამლით, შემრგო სასმელ-საჭმლითა და სათუთი მოვლით, როგორც იყო, სააქაოს მოაბრუნეს და ნელ-ნელა ფეხზე დააყენეს.

მომჯობინებული ეგარსლანი ხედავდა: ვინც მონგოლ ნოინებთან სიახლოვესა და კარგ ურთიერთობას ახერხებდა, თავადაც ხელმომთბარი იყო და მისი სამთავროც მშვიდობიანად ცხოვრობდა. ვის ჰქონდა უფლება კახეთის

ერისთავისთვის მონგოლებთან დამეგობრება ესაყვედურებინა? ვის გადახდა მასზე მეტი ჭირი და უბედურება?!

როგორც მოიკეთა და ცხენზე ჯდომა შეძლო, ნოინებს დიდი ძღვენი გაუგზავნა.

ცოტა ხნის მერე თვითონ ეახლა ბიჩუ ნოინს ძვირფასი საჩუქრებით, სანადიროდ გამოიტყუა და კახეთში ერთ კვირაზე მეტს ჰყავდა.

გააგიჟა ბაკურციხელმა მონგოლი ნოინი. მსგავსი არც ნადირობა ენახე ბიჩუს, არც მასპინძლობა. ეგარსლანი ყოველდღე ახალ-ახალ შესაქცევარს იგონებდა, ერთიმეორეზე სასიამოვნოსა და მიმზიდველს, თვალის გახელიდან ლხინი და გართობა იწყებოდა და ბიჩუ ნოინი ყოველდღე უგონო მთვრალი იძინებდა, მაგრამ ნოინს ის ათამამებდა და ახალისებდა, რომ მეორე დღეს კიდევ უფრო ღონემოჭარბებული და გუნებაგამოკეთებული დგებოდა.

სადაც უნდა შეესვენათ, ნადირობისა და მოგზაურობის დროს, მიუვალ მთებსა თუ უღრან ტყეში, ყველგან სუფრა ხვდებოდათ გაშლილი და ყველგან უხილავი ხელის მიერ მოწყობილი სახიობა, ცეკვა-თამაში და გალობა ატკბობდა სინატიფეს შეუჭრვეელი მონგოლის თვალსა და სმენას. ღვინომოკიდებული, თავადაც საცეკვაოდ მიიწევდა, დათვივით ბუქნავდა და გულისგამაწყალელებლად გაჰკიოდა ერთსა და იმავე სიმღერას, მოსაწყენსა და გაუგებარს.

კახეთიდან წასვლა აღარ უნდოდა და, ალბათ, დიდხანს არც წავიდოდა, ილხანს რომ საომრად არ დაებარებინა.

გულდაწყვეტილი აიყარა, თან ეგარსლანი და კახელი მეომრები გაიყოლა და ჰულაგუ ყაენისათვის მისართმევად კახური ღვინოც ბლომად წაიღო.

ბაკურციხელმა იმ ომში დიდი მხედრული ხელოვნება აჩვენა, არაჩვეულებრივი გმირობა გამოიჩინა, კახელ მეომრებთან ერთად პირველმა შელექა მტრის სიმაგრე, ციხეში შეიჭრა და საშინელება დაატრიალა.

ჰულაგუ ყაენი შორიდან უყურებდა ციხის იერიშს. კახელი გოლიათის კვეთებამ და თავზეხელაღებამ მოხიბლა. ციხის დაცემის შემდეგ მოიკითხა. ბიჩუ ნოინმა კახეთის ერისთავი უქო, მაგრამ მოზომილად. იცოდა, ბაკურციხელის ერთხელ შეხვედრა იკმარებდა სუფრაზე ჰულაგუ ყაენთან, რომ შემდეგ მბრძანებელს უმისოდ პური აღარ ეჭამა.

ბიჩუ ნოინს კი თავისი ანგარიში ჰქონდა, მისი საგამგეო ქვეყნიდან ყაენის კარზე ამბის მიმტანად თავისთავის მეტი სხვა არავინ უნდოდა.

– მამაცი ვაჟკაცი ჩანს. ხომ არ მოვიხმოთ და დავასაჩუქროთ? – იკითხა ყაენმა და ნოინს ქვემ-ქვემ გახედა.

– სწორედ რომ ღირსია მბრძანებლის წყალობისა, მაგრამ დაჭრილია და თქვენს ხლებას ვერ შეძლებს. ისე კი, თუ თქვენი ნება იქნება, თქვენს ბრძანებას გადავცემ, გაახარებს და წაახალისებს შემდგომი ერთგულებისათვის, – თავდახრით თქვა ბიჩუ ნოინმა.

ბიჩუ ნოინი ტყუილის თქმას ვერ გაბედავდა ყაენის წინაშე. ეგარსლანი მართლაც დაჭრილი იყო მუხლში მსუბუქად. ერისთავი თავის კარავში იწვა,

მაგრამ ისე უღონოდ როდი იყო, ყაენის ხლება ვერ შეძლებოდა. მსუბუქი კი არა, მძიმე ჭრილობაც არ გააჩერებდა, ჩიტვიტ წამოფრინდებოდა და ილხანის მოსახიბლად თავს არ დაზოგავდა, იმ თავის ჭრილობაზეც იცინებდა და მბრძანებელსაც აცინებდა, გუნებას გაუხალისებდა და საზრუნავს დაავიწყებდა, დაღევდა და დაალევინებდა და...

სწორედ ეს არ უნდოდა ბიჩუ ნოინს და ეგარსლანის მსუბუქი ჭრილობა კარგად მოიმიზეზა – დაჭრილიაო, მოახსენა ყაენს და ეს იკმარა. იცოდა, ჰულაგუს დიდად არ ედარდებოდა ქართველი მთავარი და მისი ჭრილობის რკვევისათვის თავს არ შეიწყუბებდა.

ყაენთან არ მიუშვა ბიჩუ ნოინმა ქართველი მთავარი, მაგრამ თვითონ კი გვერდიდან აღარ იშორებდა, უიმისოდ შორს აღარსად მიდიოდა, ყოველ კვირაში თავის კარზე იბარებდა და თუ თან არ ჰყავდა, მოწყენილი იყო.

საქართველოს ამბებს მხოლოდ მას ეკითხებოდა, ქვეყნის ავ-კარგზე მას ეთათბირებოდა და სხვა მთავრებს მისი რჩევითა და დასტურით უსწორდებოდა.

ბოლოს ისე შორს წავიდა, რომ მასთან საჩივლელად ან საქმის გასარიგებლად მისულ ქართველ მთავრებს თავისთან არ უშვებდა და ბაკურციხელთან გზავნიდა:

– უთხარით, რომ არ მცალია. კახეთის ერისთავს ეახლონ და რასაც ის გადაწყვეტს, ყაბულს ვიქნები, – უთვლიდა ძღვნითა და საჩივრით მოსულ მთავრებს ბიჩუ ნოინი, ძღვენს თვითონ იტოვებდა და საჩივარს ეგარსლანს უგზავნიდა.

გულზე სკდებოდნენ თავიანთი მაღალი წარმომობითა და სიმდიდრით გაამპარტავნებული მთავრები.

– ღორის ტილს ფეხზე დაისვამ, თავზე აგალოდდება! – ჩურჩულებდნენ კეთილშობილი მთავრები და გულს ასკდებოდნენ.

რა არ იღონეს შანშე ზაქარიას ძემ და ვარამ გაგელმა, ჰულაგუ ყაენთანაც კი იჩივლეს, მაგრამ ყველა არზა და საჩივარი ბიჩუ ნოინს უვარდებოდა ხელთ. ბიჩუ ეგარსლანის ძვირს ყურში არ უშვებდა და ბაკურციხელის გამკითხავი, პასუხის მომთხოვი აღარავინ იყო.

მეფე არ ერქვა ეგარსლანს, თორემ მეფესავით მართავდა ქვეყანას.

დიდგვაროვანი მთავრები თანდათან თრგუნავდნენ საკუთარ თავმოყვარეობას, თანდათან ქედს იდრეკდნენ და ცდილობდნენ, შეჩვეოდნენ ეგარსლანის ხელქვეითობას.

შეეჩვეოდნენ კიდეც, რომ...

შანშე მხარგრძელი ლოგინად იყო ჩავარდნილი. დიდი თამარის სახელოვანი მხედართმთავრის მემკვიდრე, თავად რუსუდან მეფის მანდატურთუხუცესი, ეს ერთი ხანი ავადმყოფობდა. რომ გეკითხათ, რას უჩივიო, ვერ გეტყობათ, არაფერს იტკივებდა, მაგრამ უღონობას ვერ ერეოდა, ერთთავად უგუნებოდ იყო და გარეთ გახედვა არ უნდოდა.

იწვა კედლისკენ პირმიქცეული და ფიქრობდა, საფიქრალი და საწუხარი კი ბევრი ჰქონდა გარდაცვლილი მეფის ვაზირყოფილსა და უპირველეს მთავართაგანს.

როგორ უკუღმა შებრუნდა საქართველოს ბედის ტრიალი, სამეფო, რომელიც სხვებს სცემდა შიშის ზარს და რომელიც ჯერ კიდევ გუშინ იერუსალიმის განთავისუფლებასა და ბაღდადის დაპყრობაზე ოცნების ხორცშესხმისათვის ემზადებოდა, დღეს თვითონ იყო დაპყრობილი და დამხობილი, ქედზე მონგოლთა უღელი ედგა და მაღლა საფრენი ფრთები მოკვეცილი ჰქონდა.

ახლა საქართველო თვითონ არის სხვისი მოხარკე. შანშეს მამულში უცხო დამპყრობლები დგანან და მხარგრძელთა სამკვიდრო ანისი ურდოს სამყოფელად არის ქცეული. მონგოლები, ვიდრე ფეხს კარგად მოიდგამდნენ, ქართველ მთავრებს კიდევ უწევდნენ ანგარიშს, მათი წინააღმდეგობის საბოლოოდ დათრგუნვა უნდოდათ და ერთხანს ეფერებოდნენ. მერე, როცა ქართველებმა უაზრო წინააღმდეგობაზე ხელი აიღეს და დამპყრობლებს თავიანთი ციხე-სიმაგრეები ჩააბარეს, მონგოლებმა წყალობასა და ფერებას უკლეს, ქვეყანას ისე მართავდნენ, თავიანთ საგამგეოში ქართველ მთავრებს აღარაფერს ეკითხებოდნენ, თავგასულები, როგორც სურდათ, ხალხს ისე ექცეოდნენ; კეთილშობილსა და აღმატებულ ქართველ მთავრებს ერთადერთი უფლებადა დაუტოვეს დამპყრობლებმა \_ თავთავიანთი ლაშქრის წინ გაძლოლა და მონგოლთა მტრებზე იერიშის მიტანა. ძალა აღმართსა ხნავს და დიდგვარიანი მთავრები შეეგუენ უცხო მბრძანებელთა მორჩილებას, მათ მოხარკეობასა და სამსახურს. ეს გარდუვალი იყო და რაკი ბედისწერასთან ვერც ხმლით გახდნენ ვერაფერს, ვერც თავის განწირვით, ბედის განაჩენის დამორჩილებისა აღარ რცხვენოდათ.

სამარცხვინო მხოლოდ ის იყო, რომ ბოლო დროს მონგოლებმა მხარგრძელებსა და თმოგველებს, სურამელებსა და ციხისჯვარელებს, დადიან-ბედიანებსა და ჰერეთის ერისთავებს, გაგელებსა და თორელებს, მათზე არაუგვარიანესი, კახეთის ერისთავთერისთავი დაასვეს თავზე \_ ეგარსლან ბაკურციხელი.

ამ მედროვემაც შეიფერა მონგოლების პატივი. უზომოდ გაიბერა და გათავხედდა, ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ჯერჯერობით ბაგრატიონთა ტახტზე ვერ დაჯდა და თავს მათი გვირგვინი ვერ დაიდგა, თორემ მეფობას სხვა აღარა აკლდა რა: ქვეყანას თავის ნება-სურვილზე მართავდა და იმ ქართველ მთავრებს, გუშინ რომ მხარში ამოდგომას ვერ უბედავდა, დღეს თავის კართან ალოდინებდა, ზოგჯერ მათი აჯის მოსმენასაც არ კადრულობდა და მათი ყმებისა და მამულების ბედს მათ დაუკითხავად წყვეტდა. მონგოლ ნოინთა მძლავრობა და თავგასულობა ვეღარ აიტანა შანშეს ბიძაშვილმა, საქართველოს უპირველესმა ვაზირმა ავაგ მხარგრძელმა და აკი ამიტომაც წავიდა ყარაყორუმს! ბუნებით მშვიდი, ნებიერ ცხოვრებას შეჩვეული ავაგი ესოდენ ძნელსა და საშიშ გზას არ დაადგებოდა, მაგრამ ნოინთაგან

ათვალწუნებულს, თავის ქვეყანაში აღარ ედგომებოდა. ერთადერთი იმედი წართმეული უფლების აღდგენისა ყარაყორუმს წასვლა, დიდი ყაენის ხლება და მისთვის წყალობის გამოთხოვა იყო.

ყარაყორუმს წასვლა თითქმის საიქიოს გამგზავრებად ესახებოდათ ქართველებს.

აგერ მეორე წელია ავაგ ათაბაგის აღარაფერი ისმის, მკვდარია თუ ცოცხალი კაცმა არ იცის. რამდენჯერ გაუკიცხავს შანშეს ავაგი თავის გულში: ყოფილიყო ამ თავის ქვეყანაში და ეცხოვრა ჩვენსავით. მარტო ქართველებზე ხომ არ ბატონობენ მონგოლები, სხვა ქვეყნების მეფეები და მთავრებიც ბევრნი მორჩილებენ მათ, ფიქრობდა თავისთვის შანშე მხარგრძელი და ნანობდა, რომ არ დაუშალა ბიძაშვილს ესოდენ სახიფათო გზაზე დადგომა. მაგრამ ეს შარშან იყო. მაშინ, ავაგის დროს, ეგარსლანი ჯერ კიდევ არ იყო ასე აღზევებული და თავგასული. ავაგი რომ ეგარსლანის ესოდენ გათავხედებას შესწრებოდა, ალბათ, ყარაყორუმში კი არა, ჯოჯოხეთში წასვლასაც არჩევდა საქართველოში დარჩენას და ეგარსლანის მბრძანებლობის მორჩილებას.

ნეტავ შანშესაც შეეძლოს ყარაყორუმს გამგზავრება. წასვლისას ავაგმა აღუთქვა, შენს საქმესაც გავარიგებო, და გავარიგებდა კიდევაც, თუ ცოცხალია. მაგრამ რახანია ავაგის აღარაფერი ისმის. გინდ მკვდარი, გინდ შინმოუსვლელი!

ეგარსლანმა მაშინვე მტრულად შეხედა ყარაყორუმს ავაგის გამგზავრებას. ერთხანს, ალბათ, ფიქრობდა, ვინ იცის, ეგებ მართლა დიდი ყაენისგან შეწყნარებული მობრუნდესო. ავაგის საგამგეო ქვეყანას არ აწუხებდა და შანშეს მიმართაც ძალის გამოჩენის ერიდებოდა. ბოლო დროს, როცა ავაგის დაბრუნების იმედი გადაიწყვიტეს, ეგარსლანი მის მამულებსაც მისწვდა და შანშე მხარგრძელსაც მბრძანებლობა დაუწყო.

მხარგრძელმა გაუხედნავი კვიცივით იხუა ბაკურციხელის აღვირი, მის ბრძანებებს არ დაემორჩილა და ნოინებთან უჩივლა. საჩივრითა და წინააღმდეგობით რომ ვერაფერს გახდა, საკუთარ მამულში ჩაიკეტა და შინიდან გამოსვლა აღიკვეთა. იწვა ბოლმით გასიებული, კედლისკენ გადაბრუნებული და შავი ფიქრებით აფორიაქებული საკუთარ გულს ასკდებოდა.

ფეხის ხმა ჩაესმა.

ოთახში ვიღაც შემოვიდა.

– გძინავს, მამა-ბატონო?

შანშემ გადმობრუნება არ ინდომა, ხელის გაქნევით ანიშნა, არ მძინავსო.

– მონგოლები მოდიან, სადაცაა აქ გაჩნდებიან.

– რაო? – გველნაკბენივით შეხტა შანშე, ლოგინზე წამოიწია და შვილისკენ შემობრუნდა, – რაო, თავს გვესხმიან? – იკითხა შეშფოთებულმა.

– თავდამსხმელებს არ გვანან, მცირე რაზმია. მთელი ჩვენი სამკვიდრო ისე გამოუვლიათ, არც ვინმე დაურბევიათ, არც სადმე საძარცველად შეჩერებულან. პირდაპირ აქეთ მოდიან.

– ნეტავ რა უნდათ? – ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა შანშემ და კბილი გააღრჭიალა, ტანსაცმელს მისწვდა და სწრაფად შეუდგა ჩაცმას, – გალავანი ჩავკეტოთ და ჯალაბი ციხეში შევხიზნოთ, ზაქარია! ხალხი თუ იხმე?

– ყველა ფეხზე დავაყენე. ქალებსა და ბავშვებს ახლავე ციხეში შევიყვან. თუმცა მცირე რაზმი ყოფილა და არა მგონია, ავი განზრახვით იყვნენ.

– მაგათსას ვერას გაიგებ... რაც არ გგონია, სწორედ იმას იზამენ.

შანშე ხმალ-ხანჯალს მისწვდა და ორივენი გარეთ გამოვიდნენ.

იარაღასხმული ვაჟკაცები ეზოში შეკრებილიყვნენ.

– ბიჩუ ნოინი მოუძღვით თურმე, ათიოდე კაცი ხლებია, – მოახსენა ციხისთავმა.

– დასარბევად გამოსვლას არ ჰგავს, მაგრამ ბიჩუ ნოინს რა უნდა უნდოდეს? – იკითხა შანშემ და შეკრებილთ თვალი მოავლო.

ორმოცდაათამდე რჩეული ვაჟკაცი საომრად აღჭურვილი იდგა, თავჩაჩქნიანებს ხელთ ფარშუბები ჰქონდათ დაბლუჯული და ბრძანებას ელოდნენ.

– ქალები და ბალები მაინც დახიზნე, ზაქარია, გალავნის კარს ნუ დავკეტავთ, – იძლეოდა განკარგულებას შანშე, – ციხისთავო! ეს ხალხი ციხეში დამალე. თუ გასაჭირი იქნება, გაცნობებთ.

ციხისთავმა თავი დაუკრა.

– მომყეთ! – გადასძახა იარაღასხმულებს და ციხისკენ წაუძღვა.

ქალები და ბალები ციხეში იხიზნებოდნენ, კაცები აჩუმებდნენ, მაგრამ დედაკაცები მაინც გნიასობდნენ, წყევლა-კრულვითა და ქოქოლით გარბოდნენ და თან წიწილებივით დაწიოკებული ბავშვები მისდევდათ.

– შენც ციხეში შედი, ზაქარია! – ბრძანა შანშემ.

– მე შენთან დავრჩები, მარტო ვერ დაგტოვებ, – გადაჭრით თქვა ზაქარიამ.

შვილის გაუგონრობას შეუჩვეველმა შანშემ წარბი შეიკრა.

– მე რომ გვერდით გეყოლები, მოგერიდებიან, აუგს ვერ გაკადრებენ, – დასძინა ზაქარიამ.

შანშემ აღარაფერი უთხრა.

სათვალთვალო კოშკში მდგარ გუშაგს ახედა და იკითხა:

– შორს არიან?

– ჯერ არ ჩანან, მთავარო.

– კარი მაინც დავკეტოთ, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, – ხმამაღლა შეჰბედა მამას ზაქარიამ, – ბიჩუ ნოინს არ გავუფრთხილებივართ, ვერ იტყვის რომ კარი დავუხშეთ.

შანშემ შვილს შეხედა, დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

ზაქარიამ კართან მდგარ გუშაგებს გასძახა და რკინის მძიმე კარი ნელა მიიხურა.

– მაღლა ავიდეთ, – თქვა ზაქარიამ და ციხისკენ ხელი გაიშვირა.

შანშე დაჰყაბულდა.

ციხის სათვალთვალოდან გაჰყურებდა მამა-შვილი. შორს ჯერ მტვრის სვეტი გამოჩნდა, შემდეგ იმ მტვერში თანდათან ცხენოსნები გამოიკვეთნენ.

გალავანს რომ დაუახლოვდნენ, ცხენები ნაბიჯზე გადაიყვანეს.

რაზმი მართლაც მცირე იყო, ბიჩუ ნოინს შვიდიოდე კაცი თუ ახლდა.

ნოინი დაწინაურდა, ცხენი რკინის კართან მიაგდო და მაღლა ასძახა:

\_ მასპინძელო!

ზაქარიამ ციხის სარკმელში გამოხედვა დააპირა, მაგრამ მამამ არ მიუშვა, უკან დასწია.

\_ ციხეში სამტროდ ჩაკეტილი ვეგონებით, ეგრე დახვედრა არ ივარგებს... ძირს ჩავიდეთ და კარი გავუღოთ! \_ ბრძანა შანშემ და კიბეს დაუყვა.

\_ მასპინძელო! \_ ისევ ასძახა ბიჩუ ნოინმა და კარზე შუბის ტარით დააბრაზუნა.

გუშაგები გალავნის ნაპირას წარსდგნენ.

\_ თქვენს მთავარს მოახსენეთ, სამახარობლოდ მოვსულვართ.

შანშემ მხრები აიჩეჩა, შვილს გაცეცხულმა შეხედა. მერე ნიშანი მისცა და რკინის კარი მძიმედ გაიღო.

ცხენდაცხენ შემოვიდნენ მონგოლები. მთავარი და მისი მემკვიდრე დინჯი ნაბიჯით შეეგებნენ.

შანშე არ ელოდა, შორიახლო შეაჩერა ბიჩუ ნოინმა ცხენი და დაიქვეითა.

\_ მთავარო, სამახარობლო მეკუთვნის! \_ შესძახა წინ შეგებებულ შანშეს და ხელგაშლილი წამოვიდა, \_ ათაბაგი ავაგი მშვიდობითა და ყაენის წყალობით დაბრუნდა.

შანშე ყურს არ უჯერებდა.

\_ რას ბრძანებთ, ნოინო!

\_ დიდი ყაენის მიერ შეწყნარებული და დაჯილდოებული ავაგი ახლა ჩვენს მბრძანებელთან, ჰულაგუ ყაენთანაა.

\_ ნუთუ ცოცხალია?

\_ ცოცხალია და მალე აქ იქნება. დიდ ყაენს იარლიყი მიუცია, საქართველოს სამეფოს პირველ მთავრად უცვნია და დიდებული ილხანის განკარგულებით, ჩვენც ყველამ მისი პირველობა უნდა ვაღიაროთ.

\_ შენს პირს შაქარი, ნოინო! \_ შესძახა შანშემ და თაყვანის საცემად დაჩოქება დააპირა.

\_ ნუ, თავადო... ნუ... ეგ რა საკადრისია! \_ მუხლზე დაცემა არ დაანება ბიჩუმ. \_ გილოცავ, გულით გილოცავ! \_ გაიღრიჭა და მთავარს მოეხვია. მერე ზაქარიას მოხედა, საჩხუბრად შემართული მთავრის ჭაბუკი მემკვიდრე გაცეცხული უყურებდა ბიჩუსა და შანშეს ხვევნას.

\_ შენც გილოცავ! \_ ცალყბად უთხრა ბიჩუმ გოროზად მზირალ ზაქარიას და ხელი გაუწოდა. \_ წერილიც მოგართვით, მთავარო! ავაგ ათაბაგს შენთვის წიგნი მოუწერია, \_ ბიჩუ ნოინმა უბიდან გრაგნილი ამოიღო და შანშეს გადასცა.

– ეს რა დღეს შევესწარი, ნოინო! შინ მობრძანდით, – ბავშვივით გაიხარა შანშემ, – ზაქარია, მსახურებს უხმე, სუფრა გაშალეთ.

– შინ შესვლა არ ღირს. აქ სადმე ჩრდილში დავისვენოთ, დროც ბევრი არ გვაქვს, – თქვა ბიჩუმ და უზარმაზარი კაკლის ხის ჩრდილისაკენ გაიწია.

– თქვენს სურვილზე იყოს! – დამორჩილდა შანშე.

მსახურები დატრიალდნენ, მონგოლებს ცხენები ჩამოართვეს, კაკლის ქვეშ ნოხები დაჰფინეს, თორნე გაახურეს, უშობელი დაკლეს!

სანამ სუფრა გაიწყობოდა, შანშე მხარგრძელი ცალკე განაპირდა, ავაგის წიგნს ჩაუჯდა და თვალცრემლიანი კითხულობდა ძნელი გზისა და ხიფათების, ბათოსა და მანგუ ყაენის სატახტოებში მისვლისა და ფათერაკების თითქმის დაუჯერებელ მოთხრობას.

ალბათ, ვერ წარმოიდგენთ, რა ჭირი და განსაცდელიც თავს გადამხდა, მაგრამ, ღვთით, ყოველივე კარგად დასრულდა და ყაენების დიდი წყალობით ვბრუნდებიო.

ბოლოს გადაკრულად იწერებოდა ავაგი: როგორც ჩამოვალ, კახეთში წავიდვებით, ტახზე უნდა ვინადიროთო, ამიაზე წვრილად გაკრული იყო მიწერილი: მალე შეგატყობინებთ, როდის და როგორ შემხვდეთო.

ნაქეიფარი ბიჩუ ნოინი საჩუქრებით ავსებული გაისტუმრა შანშე მხარგრძელმა.

ორი დღის შემდეგ საქართველოს მთავრები იწვია. ლიხთიმერეთიდანაც კი მოიპატიჟა. მხოლოდ ერთი აკლდა მთავართაგან – ამდენ ხანს უპირველესად წოდებული ეგარსლან ბაკურციხელი.

– ნეტავ, მისთვისაც გეხმო, სულ ერთია, გაიგებს! – ჩუმად უჩურჩულა ფრთხილმა სურამელმა შანშეს.

– გაიგებს, თორემ ყურზე ხახვი არ დამაჭრას! რაც აქამდე ვერ მიყო, აწი რაღას მიზამს! – გადაიხარხარა მხარგრძელმა და სუფრასთან შემომსხდარ მთავრებს ავაგის წერილი ხმამაღლა წაუკითხა.

ბაკურციხელს არც შანშესთან ბიჩუ ნოინის სტუმრობა გამოჰარვია, არც მთავრების შეკრების ამბავი. ხმები მოდიოდა და თვითონაც ხვდებოდა, რომ რაღაცას უმზადებდნენ უკმაყოფილო ერისთავები. მაგრამ მათი შფოთი ახალი ამბავი არ იყო. მათგან სიკეთეს არც მოელოდა და ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ კვლავაც იოლად გაუსწორდებოდა ყველა წინააღმდეგობს.

როცა ყველაფერი კარგად გამოიწვლილა, ძვირფასი ძღვენით დატვირთული ბიჩუს კარს მიადგა.

– მის მამულსა და ქონებას ხელს არ ვყოფ, სხვა მხრივ კი ავაგიც, დანარჩენი მთავრებივით მე უნდა დამემორჩილოს, – განუცხადა თავდაჯერებულმა ეგარსლანმა ბიჩუს და თვალი თვალში გაუყარა.

ვერცხლისწყალივით მოძრავი წვრილი თვალეები წამით შეჩერდნენ და დამცინავად დააცქერდნენ გაქედმაღლებულ მთავარს.

– შენ კი არა, მე აღარ დამემორჩილება ავაგ მხარგრძელი, მთავარო! ჰი-ჰი-ჰი... – ჩაიქირქილა ბიჩუმ და მუხლზე ხელი დაირტყა.



– ეგ შეუძლებელია! – იტყვიცა ეგარსლანმა.

– შეუძლებელი აღარაფერია, როცა ავგ ათაბაგს დიდი ყაენის იარლიყი ხელთა აქვს... პირველ ხანებში მაინც, სანამ დრო იმ იარლიყს არ მოაძველებს და ქედს ძველებურად არ მოვადრეკინებთ ათაბაგს. მაგრამ ეგ მე აღარ მომიწევს... ჰულაგუ ყაენი თავის კარზე მიხმობს, მალე აქედან სამუდამოდ უნდა წავიდე და მხარგრძელის მოთოკვაცა და თქვენი მორიგებაც სხვა ნოინს მოუხდება.

– ხუმრობთ, ბატონო? – გაოცებისაგან პირი დაალო ეგარსლანმა.

– რა სახუმაროა! ამ დღეებში ჩემი შემცვლელი ნოინი მოვა!..

– ეგ როგორ? შენ რატომ უნდა შეგცვალონ? ყაენს ერთგულება დააკელი თუ სამსახური?.. რა დანაშაული მიგიძღვის?

– რატომ უნდა შემცვალონო? ეგ ვინ იცის, ჩემო ეგარსლან? დანაშაულად ეგებ ისიც კმარა, რომ თქვენთან დიდხანს მოვათიე და აქაურობას შევეჩვიე, – ბიჩუ ნოინს სახე მოუღება და თვალი მოუწყლიანდა.

ეგარსლანი მიხვდა: ამიერიდან ბიჩუ ნოინს მფარველი თვითონ ჰყავდა საძებნელი და მის იმედად ქვეყნის მართვა კი არა, შინ ჯდომაც აღარ შეიძლებოდა.

სხვა რაღა გზა იყო.

ვიდრე ბიჩუს შემცვლელი ნოინი გამოჩნდებოდა და მასთან დაახლოებას მოახერხებდა, ეგარსლანს თავი ისე უნდა მოეჩვენებინა, ვითომ ავგ მხარგრძელის აღზევება და სამშობლოში დაბრუნება სხვაზე მეტად უხაროდა. ჯერ, ერთხანს ასე იქნება, მერე დრო თვითონ უკარნახებს, ვის როგორ მოექცეს ბაკურციხელი. ბიჩუ ნოინი ბუნებით ფრთხილი კაცია და იმასაც კი დასცდა: დრო მოაძველებს ავგის იარლიყსო!

როგორც კი აცნობეს, თბილისში შანშე მხარგრძელი გამოჩნდაო, მის ხლებას როდიღა დაელოდა, როგორც ნაჩვევი იყო, იქით ეწვია და გადაეხვია:

– ავგის მობრუნების ამბავი შევიტყვე და გული აღარ დამიდგა, მაშინვე შენსკენ გამოვქანდი. მომილოცავს, ცოცხალი და ყაენისაგან აღზევებული რომ ბრუნდება, – შანშეს ძმურად გადაეხვია ეგარსლანი და ხმადაბლა დაუმატა, – ყველას მოსალოცი გვაქვს, შანშე, ავგ ათაბაგი ამ პირუტყვი მონგოლების ბატონობისაგან დაგვიხსნის და მათ მძლავრობას ბოლოს მოუღებს.

შანშემ წაუყრუა უკანასკნელ სიტყვებს.

– მადლობელი ვარ, მთავარო! მჯერა, არ გეწყინებოდა დიდი ივანე ათაბაგის მემკვიდრის მშვიდობით დაბრუნება.

– მეწყინა კი არა, პარაკლისს ვახდევინებ სიონში. კარგია, რომ შენც აქა ხარ, ერთად შევწიროთ საქართველოს მფარველ ღვთისმშობელს მადლობა. მეგონა, ავგის ამბავი რომ შეიტყვე, მეც მაცნობებდი და გამახარებდი, მაგრამ შორს ვარ და არ გაგახსენდი... – ეგარსლანმა თვალი თვალში გაუყარა შანშეს.

შანშე მიხვდა, ბაკურციხელმა მასთან მთავრების საიდუმლო შეკრების ამბავი იცოდა და დამალვას აზრი აღარ ჰქონდა.

– თვითონ მოვიდნენ მოსალოცად, მე არავინ მომიწვევია, მთავარო, – იმართლა თავი მხარგრძელმა.

– კაი ამბავია, შენ არ მომიკვდე, ლიხთიმერეთში, რაჭისა და ოდიშის მთავრები გებულობენ ლორეში მოსული წერილის შინაარსს. მე აგერ თბილისში ვზივარ, საქართველოს სატახტოში, და ვერაფერს ვტყობილობ...

მხარგრძელი ხმას არ იღებდა, ბაკურციხელი ყველაფერს მიხვედრილი იყო და მიკიბ-მოკიბვას აზრი არ ჰქონდა.

– სხვა დროს ნუღარ გამომტოვებთ, შანშე, უჩემოდ ნუ შეიკრიბებით სამშობლოს ბედის გამოსარჩევად... კარგად იცით, მონგოლებზე ჯვარდაწერილი არ ვარ, სხვაზე ნაკლებ მათ წინააღმდეგ არ მიბრძოლია და კოხტისთავის შეთქმულებისთვისაც თავი არ ამირიდებია.

მხარგრძელი წამოწითლდა. კოხტისთავის შეთქმულებაში მხოლოდ მან არ მიიღო მონაწილეობა. რადგანაც აჯანყებას უაზრობად თვლიდა და სხვებსაც არწმუნებდა, მონგოლების წინააღმდეგ ვერას გავხდებით, ტყუილად გავიჟლიტებითო. მაგრამ, როცა მთავრებმა არ დაიშალეს და მაინც შეითქვენენ, ხალხში, შეთქმულების მარცხის შემდეგ, დიდხანს არ დამცხრალა მითქმა-მოთქმა შანშე მხარგრძელის განდგომაზე, სამეფოს ბედისადმი მის გულგრილობაზე.

ბაკურციხელი სწორედ ამ მტკივნეულ ადგილს შეეხო ახლა და შანშეს თავისი მამულიშვილური ღვაწლიც გაახსენა. ცოტაც და მხარგრძელი, ალბათ, იფეთქებდა, მაგრამ ეგარსლანმა გულწრფელად გაუღიმა, ერთხელ კიდევ მოეხვია და ტკბილი სიტყვით მოაღბო.

– ეგლა გვაკლია, შანშე, ერთმანეთს დავერიოთ და მტერი გავახაროთ. შენისთანა მამულიშვილი ვინ გვყავს, ან შენზე მეტს ქვეყნისთვის ვინ ზრუნავს. მე იმის თქმა მინდოდა, ნუ დამივიწყებთ-მეთქი, ლხინშიც ნუ გამომტოვებთ და ჭირშიც თქვენ სანაცვლოდ მიგულეთ.

ბაკურციხელმა ავაგის მშვიდობით დაბრუნების გამო სიონში პარაკლისი გადაახდევინა და დიდი ნადიმი მოაწყო. პარაკლისზე იმ დროს სატახტოში მყოფი ყველა მთავარი გამოცხადდა, მაგრამ ნადიმზე, შანშეს გარდა, ორიოდე ერისთავი ძლივს ეწვია.

ეგარსლანი კარგად ხედავდა, რატომაც ერიდებოდნენ ამდენ ხანს მორჩილი მთავრები.

ყოველდღე ახალ-ახალი ამბები მოჰქონდათ: შანშე მხარგრძელმა ავაგთან კაცი აფრინაო, ავაგის საიდუმლო წერილი მოვიდაო, მთავრები ფარულად იკრიბებიან და რაღაც მოლაპარაკება აქვთო. გუშინ მორჩილი მთავრები, დღეს აქეთ ამაღლიდნენ ბაკურციხელს სალამსა და მოკითხვას. ატყობდა ეგარსლანი, ბედის ჩარხი უკუღმა აპირებდა შემობრუნებას, მაგრამ რა ექნა და რა ეღონა?!

ხედავდა, რომ მოვლენები თავისთავად, უმისოდ ვითარდებოდა, რაკი დინების საწინააღმდეგო სვლა არ შეეძლო, უნდოდა თუ არა, იმ დინებას უნდა

აპყოლოდა და მარჯვე შემთხვევისათვის ეცადნა, რომ ტალღას ისევ თავზე მოქცეოდა.

ცდა და ლოდინი კი აღარ შეეძლო. უკვე ხანში შესულ მთავარს ბრძოლისა და მოქმედების ხალისი ძველებურად აღარ ჰქონდა. მუდამ დაძაბული და შემართული, მოუსვენარი და შფოთიანი ცხოვრება ადრინდებურად აღარ იზიდავდა და მჩქეფარე სიცოცხლის სურვილს მოწყენა შეპარვოდა.

ამქვეყნად უკვე ყველაფერი გამოცადა, აღზევების ფასიც კარგად იცოდა და დაცემისაც, და მთავარს ნელ-ნელა გული გაუფრილდა, ხვალინდელი დღის მიმართ განურჩევლობა მოერია, სულ ერთია, რაც მოხდება – მოხდესო, ერთხელ, სადღაც, გულისა თუ გონების რომელიღაც კუნჭულში გადაწყვიტა და ხელი ჩაიქნია.

თვითონაც ვერ გაიგო, როგორ ნელ-ნელა მოეშვა, ფარ-ხმალი დაჰყარა და მუდამ განუყრელი სიფხიზლე დაჰკარგა.

რადაც გაუგებარ უზრუნველობას მიეცა, აღარც სადმე ეჩქარებოდა, აღარც რისიმე მოლოდინი აღელვებდა.

ამ უმოქმედობისა და უძრაობისაგან შანში მხარგრძელის უსტარმაც ვერ გამოიყვანა.

ვაზირყოფილი გუშინდელ მბრძანებელს სიყვარულსა და მეგობრობას უმტკიცებდა და მთავრების გადაწყვეტილებას ატყობინებდა: ამა და ამ დღეს, ამა და ამ ადგილას შევიკრიბოთ და ავაგ ათაბაგის შესაგებებლად ერთად გავემზავროთო. თან იმასაც დასძენდა: ავაგს შემოუთვლია, დიდი ამალით არ შემხვდეთ, მონგოლებს არ ეწყინოთო.

სხვა დროს მთავრების წვევასა და პაემანსაც, ამალის რაოდენობის წინასწარ განსაზღვრასაც, ექვით შეხედავდა ფხიზელი ეგარსლანი. ახლა კი, თითქოს მას არ ეხებო, ცხოვრებამოყირჭებულივით ხელი ჩაიქნია და თავისი მტრების გადაწყვეტილების შესრულების სამზადისს შეუდგა.

პაემანზე წასვლის წინა ღამეს სიზმარი ნახა: ადიდებულ მდინარეში მიცურავდა, მხარულს ღონივრად უსვამდა და დინებას მიჰყვებოდა. უცებ მდინარემ მიმართულება იცვალა. ეგარსლანი ისევ განაგრძობდა ცურვას, მაგრამ ახლა უკვე აღმა, დინების საწინააღმდეგოდ სჭრიდა წყალს. დაიღალა ძლიერ ტალღებთან ბრძოლით, დინებას უგანა და ნაპირისკენ გასცურა. მაგრამ ნაპირი შორს იყო, წყალი სისხლივით დედდებოდა, სქელდებოდა, ლამი ეკვროდა და წინ ვეღარ მიიწევდა. ერთხანს იფართხალა იმ ღამსა და წუმპეში. ამოსვლას ცდილობდა, მაგრამ უფრო და უფრო ეფლობოდა და ძირს მიდიოდა.

თვალეზდაკუსული ბაყაყები მდინარის ნაპირას დასკუპულიყვნენ და წელზე დოინჯშემოდგმულნი სიცილით იჭაჭებოდნენ.

ღამსა და უსიამო თბილ წყალში სხეული მძიმედ ეფლობა და იძირება. ზედაპირი ნელ-ნელა იკვრება და ეგარსლანს თავიდა რჩება ღამისა და წუმპის ზემოთ. მერე ის თავიც დაბლა მიდის, თვალეზში ზეცა თანდათან ვიწროვდება და...

ბაკურციხელი უკანასკნელ ბაყაყსა ხედავს: იმ ბაყაყს კაცის სახე აქვს, ვიღაცას ჰგავს სახით ის ბაყაყი, მაგრამ ვის, ვერ იხსენებს, და ვერა! ბაყაყი ღრუბელივით იბერება, ყვითელი თვალები გადმოცვენაზე აქვს. უცებ სკუპს აკეთებს და ზედ შუბლზე ეცემა. მძიმე ლოდივით დააწვა ისედაც სიღრმისაკენ წასულ ეგარსლანს ის ყვითელ-მწვანე მაჯლაჯუნა.

წუმპემ პირი შეჰკრა ბაკურციხელის თავზე და ლამით ამოვსებულ ყურებს ძლივს მისწვდა იმ ბაყაყის ყიყინი:

– ახია! ახია! ეგ შენ! ეგ შენ!

ბაყაყის ხმა გამყივანი იყო, თავს უხვრეტდა და ტვინში ბურღივით უძვრებოდა.

უკვე ველარაფერს ხედავს ლამსა და წუმპეში დაძირული ეგარსლანი, მაგრამ გრძნობს, რომ ვიღაც უახლოვდება, ვიღაცის გახშირებული სუნთქვა ესმის.

– ახია! ახია!

თავს დამდგარი ჩასძახის ისევ ის კაც-ბაყაყი და ზემოდან წიხლს აყოლებს. ლორწოიანი ფეხის შეხება ცივი და უსიამოა. ლამში ჩაძირულ ბაკურციხელს გააჟრჟოლა და უკანასკნელად კიდევ ჩაესმა:

– ეგ შენ! ეგ შენ!

წიხლის მოხვედრამ თუ ჟრჟოლამ გამოაღვიძა. კარგად კიდევ არ იყო გონს მოსული, ტან-ფეხზე იხედებოდა და არ ჯეროდა, რომ ლამი და წუმპე მოშორებული ჰქონდა.

– ფუი, ეშმაკს! ფუი, ეშმაკს! უფალო, კარგად ამიხდინე! – იწერდა პირჯვარს ეგარსლანი და თან იმ წუმპესა და მაჯლაჯუნის გახსენებით გული ერეოდა.

იმ ღამეს თვალი ველარ მოხუჭა. დილით ადრე ადგა უძილობით დაღლილი და მოხარშულივით მოთენთილი. მეუღლემ უგუნებობა შეატყო:

– ცუდი ფერი გადევს! იქნებ, არ ინებო წაბრძანება, ხელმწიფევ! – შეევედრა ერთგული ცოლი.

სხვებზე ადრე შინაურებმა და წყალობის დამსახურებისათვის თავგამოდებულმა მლიქვნელებმა დაუწყეს ბაკურციხელს «მეფისა» და «ხელმწიფის» წოდებით მიმართვა.

ახლა, როცა ეგარსლანის მეფობას ბოლო ედებოდა, ბაკურციხელს დაცინვად უნდა მოჩვენებოდა ცოლის ნათქვამი, მაგრამ მეუღლე ძველებურად გულწრფელი იყო ქმრის სიყვარულსა და პატივისცემაში და კახეთის ერისთავმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია.

– არაფერია, წავალ, გავლა მარგებს, – თქვა და აჩქარდა.

როგორც დათქმული იყო, ორი კაცი იახლა მხოლოდ. ისნის კართან დანარჩენ მთავრებს შეუერთდა და გზას დაადგნენ.

იმ დღეს ეგარსლანის მიმართ ყველანი განსაკუთრებულ კრძალვასა და პატივს იჩენდნენ. წინ გაუშვეს და დანარჩენები უკან მიჰყვნენ.

ეგარსლანმა ჩვეულებრივად შეიფერა მთავრების წინამძღოლობა.

სხვა დროს, როცა ძალა ჰქონდა და თეთრი კბილის იქით შავ გულს ხედავდა, მათი პირფერობა აღიზიანებდა და აბრაზებდა.

ახლა, თითქოს მისთვის სულ ერთი ყოფილიყოს, ვერც მლიქვნელობის უადგილობას ხედავდა, ვერც გადაჭარბებული ქებისა და ფლიდობის აზრს სწვდებოდა.

დიდხანს იარეს.

ნაშუადღევს ტრიალ მინდორზე კორომად მდგარ მუხნარში შევიდნენ.

შანშე მხარგრძელმა მსახურებს უბრძანა:

– საგზალი გადმოიღეთ, სუფრა გაშალეთ! – მთავრებს თვალი მოავლო და ეგარსლანს მიმართა, – რას იტყვი, ეგარსლან-ბატონო, მგონია, ჰურობისთვის უკეთეს ადგილს ვერ ინატრებ!

ეგარსლანმა თვალი მოავლო ჩრდილდაფენილ მწვანეს და უხალისოდ დაუმოწმა:

– კარგია!

– ჩვენ ნულარ შევჩერდებით, მთავარო, ავგ ათაბაგი ახლო იქნება და შესახვედრად ვიჩქაროთ. მსახურნი აქ დარჩებით, – მოუბრუნდა მხლებლებს, – სუფრას გააწყობთ და ათაბაგის დახვედრის თადარიგს გასწევთ.

შანშე მხარგრძელობასა და ავგის ათაბაგობას ხაზს უსვამდა, მაგრამ ხელჩაქნეული, უზრუნველობის ბურანში წასული ეგარსლანი ვერც ამას ამჩნევდა.

დაქვეითებულმა მსახურებმა ცხენებს საპალნე მოხსნეს. ბაკურციხელის ორი მხლებელი მთავრის ბრძანებას ელოდა.

– ჩვენ როგორღა მოვიქცეთ, მემკვიდრემ და ქალბატონმა გვიბრძანა, ერთ წუთს არსად მოგშორდეთ და მარტო არ დაგტოვოთ, – ხმადაბლა ჩურჩულით უთხრა კახელმა აზნაურმა, რომ სხვას არ გაეგონა.

– თქვენც ის ჰქენით, რასაც სხვები შვრებიან, აქ დარჩით და სუფრა გააწყვეთ, – ცივად მოსჭრა ეგარსლანმა და ცხენი წინ დასძრა.

ერთხანს კიდევ იარეს.

მერე შორს მტვრის კორიანტელი გამოჩნდა.

– ათაბაგი მობრძანდება! – აღმოხდა შანშე მხარგრძელს.

ეგარსლანი სდუმდა, ტანი ცუდს უაზრებდა.

ცის დასავალზე ცხენოსნების რაზმი გამოჩნდა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ, მით უფრო ემღვრეოდა გუნება ბაკურციხელს.

რად მიდის წინ და რად უახლოვდება იმ რაღაც გაურკვეველსა და ამაფორიაქებელ მოლოდინს?

თითქოს ცხენიც გრძნობს პატრონის ყოყმანსო, ისიც ფეხს ითრევს და უხალისოდ მიაბიჯებს. რაღაც უნდა იმოქმედოს ეგარსლანმა, მაგრამ თვითონაც არ იცის, რა და რისთვის უნდა გააკეთოს.

აი, სულ ახლოს არის ავგ მხარგრძელი. ცხენზე ამპარტავნად ზის ყაენის წყალობით გალაღებული ათაბაგი, სიმსუქნე მორევია და სახეზე კმაყოფილების ღიმილი უთამაშებს. მაგრამ მოტეხილი ჩანს ავგ ივანეს ძე და ამას მარტო ერთიანად გათეთრებული თმა-წვერი კი არ ამჟღავნებს, იმ

თავმომწონე ღიმილს იქით ცხოვრებისაგან გამწარებისა და ფათერაკებით სავსე თავგადასავლების მიმღე კვალსაც ხედავს ეგარსლანი.

ბაკურციხელმა ვერც გაიგო, როგორ წამოეწიენ თანამგზავრები, ჯერ მხარი გაუსწორეს და მერე შუაში მჭიდროდ მოიქცეს.

– მშვიდობა შენს მობრძანებას, ათაბაგო! – შესძახა შანშემ, ცხენიდან გადმოხტა და ავაგს მიეგება.

ავაგმაც დაიქვეითა და ბიძაშვილს გადაეხვია.

დანარჩენებიც ჩამოხდნენ და ვიდრე თვალცრემლიანი, გულაჩუყებული ავაგი სხვებსაც გადაეხვეოდა, შანშემ ყურში რაღაც ჩასჩურჩულა, ავაგს უცებ ეცვალა ფერი და ეგარსლანს მიაჩერდა. ყველა დაქვეითებული იყო, მხოლოდ ბაკურციხელიდა დაჰყურებდათ ცხენზეიდან. ბურანში წასულმა თვითონაც არ იცოდა, რატომ მანაც სხვებივით არ დაიქვეითა. იჯდა ცხენზე და ტუჩზე სიმწრისა თუ უზრუნველობის უაზრო ღიმილი უკრთოდა. ამირსპასალარს ისე უყურებდა, თითქოს ვერც ხედავდა და არც ესმოდა, ირგვლივ რა ხდებოდა.

ავაგი აინთო.

ხელში მათრახის ტარი დაბლუჯა, ნაბიჯი წინ წადგა და... თვალი რომ თვალში გაუყარა, ეგარსლანს უსიამოდ გააჟრჟოლა. იმ გამოხედვაში წუხანდელი მაჯლაჯუნას მზერა დაიჭირა და თვალი დაუბნელდა.

ელვასავით გაიკლაკნა გრძელი მათრახი ჰაერში და ბაკურციხელის სახეს გაეწნა.

ეგარსლანმა განძრევაც ვერ მოასწრო, რამდენიმე ვაჟკაცი ეცა, ცხენიდან გადმოიღეს და ქვეშ მოიგდეს. იარაღი ააგლიჯეს, დაუზოგავად სცემდნენ პირველივე დარტყმისაგან გაბრუებულს და გონდაკარგულს.

– გამარცვეთ და ისე დააგდეთ, უპატიოდ! – ბრძანა ავაგმა და ფეხის წვერი ზიზღით წაჰკრა ცემით დაოსებულ, თითქმის უგრძნობელ ეგარსლანის სხეულს.

ტანსაცმელი შემოახიეს.

– ეგ შენ! ეგ შენ! – წიხლების ცემით ჩასძახეს, ცხენებზე ამხედრდნენ და გინებით მიატოვეს ყვავ-ყორნების კერძად დარჩენილი, ნაგვემი და ფეხქვეშ გათელილი გუშინდელი მბრძანებელი.

მემატიანე ამის შემდეგ ერთ სიტყვასაც აღარ სძრავს ეგარსლან ბაკურციხელზე და სწორადაც იქცევა: საქვეყნოდ შერცხვენილი, ლაფდასხმული და თავმოჭრილი კაცის ბოლო – ცხოვრება თუ სიკვდილი – არავისთვის აღარ არის საინტერესო.

ახალთახალი ვენეციური ხომალდებით ბრუნდებოდა ცოტნე. ქვის სატყორცნებითა და სააღყო მანქანებით აღჭურვილი ხომალდები გამოცდილ ვენეციელ მეზღვაურებს მოჰყავდათ საქართველოსკენ. უცხო ნავსადგურებში გაკვირვებულნი ხვდებოდნენ მანამდე უცნობ ქართველთა არმადას, მზირის თვალით ჩხრეკდნენ ხომალდების ავკარგს და შურით აყოლებდნენ მზერას საომარი გემების გრძელ მწკრივს.

ცოტნე ცდილობდა საქართველოს სამეფოს მტერთა ნავსადგურებისათვის აერიდებინა ხომალდების ქარავანი, გვერდს უვლიდა მათ და მხოლოდ წყლისა და საგზლის მარაგის შესავსებად ჩერდებოდა ბერძენთა და თურქთა სანაპირო ქალაქებში.

რაც უფრო უახლოვდებოდა მშობელ მხარეს, მით უფრო ემატებოდა მღელვარება. მეწინავე ხომალდის ბანიდან ხშირ-ხშირად მოხედავდა ხოლმე შავ ზღვაზე წყნარად მოქანავე იალქნების თეთრ ღრუბლებსა და ანძების ტყეს და გული სიამაყით ევსებოდა.

იმ დღეს დილიდანვე კარგი ამინდი დაიჭირა. შემოდგომის მზე თბილად იღვრებოდა ზღვისპირს იქით ამართულ საქართველოს მთაგორებზე. სუსტი სიოც კი არ ჰქროდა, ზღვა წყნარი იყო და სარკესავით სწორი წყლის ზედაპირის სიმშვიდეს არაფერი არღვევდა.

ფაზისის შესართავს უახლოვდებოდნენ.

შორიდანვე შენიშნა ცოტნემ: ზღვის პირი ხალხით იყო სავსე. ნავმისადგომზე ხელმწიფე ასულიყო.

გვერდით რუსუდანი ედგა და ირგვლივ დიდებულები ერტყნენ.

როგორც კი თვალსაწიერზე მეწინავე ხომალდი გამოჩნდა, ლამამ ხელი ამართა და სალამი შეაგება.

ჯერ იყო და ტაშმა იქუხა. მერე იმ ზღვა ხალხმა იხუვლა და ნაპირს მოაწყდა. ცხენოსანი და ქვეითი მანდატურები ძლივს აკავებდნენ მოწოლილი ხალხის ტალღას, შეჩერდითო, გაჰყვიროდნენ და თავადაც თვალი უცხო სანახაობისაკენ გაურბოდათ.

თეთრი გედივით ყელმოღერილი მოსრიალეებდა მეწინავე ხომალდი. ცოტნე კიჩოზე იდგა და ნაპირს თვალს ვერ აშორებდა.

აგერ მეფე და მისი დაი, ხელმწიფის სახელოვანი ვაზირები, მხარგრძელი და ახალციხელი, გაგელი და ციხისჯვარელი, ცოტნეს ტოლ-მეგობრები \_ ბექა და თორღვა... ხელს უქნევენ და სალამს უგზავნიან. ცოტნეს სიამაყისა თუ სიხარულისაგან თავბრუ ეხვევა. წამით თვალს ხუჭავს და ეჩვენება, რომ ზღვაზე კი არა, სადღაც მაღლა მიცურავს, ცაში, მზით განათებულ თეთრ ღრუბლებში. იმ ღრუბლებს ზემოთ, მზის ტახტზე დიდი თამარი ზის, გვერდით ცოტნეს პატარა დაიკო მოუსვამს და ერთარსებად ქცეული ორი თამარი ხელის ქნევით კიდევ უფრო მაღლა უხმობს ოდიშის ჭაბუკ მთავარს.

ცოტნეს თითქოს მძლავრი ფრთები გამოსხმოდეს, მთელ სხეულში გასაოცარ სიმსუბუქეს გრძნობს, ფეხის წვერებზე იწევს და სადაცაა, მყარს უნდა მოსწყდეს.

წამიცა და ორი მძლავრი ფრთა აიტაცებს ცოტნეს.

\_ ვაშააა! ვაშააა!

გაისმა უცებ დამხდურთა გუგუნის და ცოტნე გამოფხიზლდა.

ზღვაში შეცურებული უამრავი ნავი მიაწყდა მეწინავე ხომალდს. პირველივე ნავიდან თვითონ ხელმწიფე აბრძანდა ხომალდზე და ცოტნეს გადაეხვია.

ლაშამ სათითაოდ დაათვალიერა ხომალდები. დიდხანს ტკბებოდა მათი ცქერით, ბავშვსავით ხელს უსვამდა, ეფერებოდა ლამაზ, შემკულსა და გამართულ გემებს.

ბოლოს ირგვლივ ვენეციიდან დაბრუნებული ახალგაზრდები შემოიკრიბა და აღფრთოვანებულმა მიმართა:

– ავაშენებთ, ბიჭებო, ასეთ ხომალდებს?

– ავაშენებთ, ხელმწიფევ... ავაშენებთ!

ერთხმად იხუვლეს უცხო გემსაშენებში გაწვრთნილმა ჭაბუკებმა და მეფეს თვალში სიამაყის შუქი ჩაუდგა.

– თუ ამის აშენებას შევძლებთ, მაშინ შავი ზღვა გადამთიელი მეკობრეებისაგან მოისვენებს და ეს ზღვაც მისი იქნება, ვინც მისი უმთავრესი ნაპირის პატრონია.

– ეგრე იქნება, მეფევ, თქვენი გამარჯვებითა და დღეგრძელობით!

მეფეს გული აუჩუყდა, თვალმოწყლიანებული ჯერ ცოტნეს გადაეხვია, მერე მის ბიჭებს სათითაოდ ჩამოართვა ხელი, ყველა შეაქო და გაამხნევა.

სამ დღეს ცლიდნენ ვენეციიდან ჩამოტანილი საქონლით სავსე გემებს.

გორად დადგა საკუთრივ ქართველთა მეფისათვის დოჟისა და დიდებულების მიერ გამოგზავნილი ძვირფასი ძღვენი და მოსაკითხი.

ურმები და ჯორკიდებული დაიდრა გრძელ რიგად თბილისისაკენ.

საჩუქრებითა და საბოძვრით აავსო ოდიშის მთავარმა დამხვდურნი და შინაურნი.

საგანგებოდ შეკრიბა დარბაზი მეფემ.

ოდიშის მთავარმა წვრილად მოუთხრო დარბაზს მეფის ელჩიონის საქმიანობა ვენეციაში, დოჟთან დადებული ხელშეკრულებებისა და სხვადასხვა გარიგებათა შინაარსი.

დარბაზმა ელჩიონის საქმიანობა მოიწონა და შეთანხმებები დაამტკიცა.

საქმეს ლხინი მოჰყვა. აუღებელი სუფრა, სახიობა და შექცევა, ნადირობა და ბურთი ერთიმეორეს ცვლიდა.

– ცოტაც კიდევ მოვლონიერდეთ და იერუსალიმისკენ დავიძრებით! – დრო და დრო ეტყოდა მეფე და ცოტნე თავადაც კარგად ხედავდა, როგორ მოდიოდა დესპანი დესპანზე რომის პაპისაგან, როგორ ეხვეწებოდნენ დასავლეთის ჯვაროსნები ერთმორწმუნე ქართველთა მეფეს საღვთო ომში შეწევნასა და ხელის გამართვას.

მეფის დავალებით წარგზავნილი ვაჭრები ყაზარდოდან და ჩერქეზეთიდან ცხენის ჯოგებს მოერეკებოდნენ, ხორასნიდან ქარავნებს სამხედრო საჭურველით დატვირთული იარაღი მოჰქონდათ და თავად საქართველოში ფოლადის წრთობასა და იარაღის დამზადებაზე იყო გადასული უთვალავი ბრძმედი და სამჭედური.

მეფის ელჩებს ლეკეთსა და ჯიქეთში განუწყვეტელი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ, იქაურ მთავრებთან შორეული ლაშქრობისათვის ჯარის



დაქირავების თაობაზე გამართული მოლაპარაკება იმედის მომცემად მიმდინარეობდა და უკანასკნელი სიტყვა ქართველთა მეფეზე იყო.

მეფე კი არ ჩქარობდა, სამზადისს აძლიერებდა, თავის სარდლებთან ერთად ლაშქრობის გზებსა და პირობებს სწავლობდა და შესაფერის დროს უცდიდა ჯვაროსანთა პირისპირ მდგომი სარკინოზებისათვის ზურგში დასარტყმელად.

მდიდარი, წელგამართული ქვეყანა, ერთი შეხედვით, თითქოს უზრუნველად ცხოვრობდა და ამ უზრუნველობის პირველი მაჩვენებელი კარის ახალგაზრდობის უდარდებლობა, დაუსრულებელი დროსტარება და შექცევა იყო.

ცოტნეც ერთხანს ისევ აიყოლიეს ტოლ-მეგობრებმა.

– მოვასწროთ, ვიდრე ჩვენი მეფის მსგავსად სიყვარულის ბადეში არ გავბმულვართ და საქალეთი ერთადერთი სატრფოთი არ შემოგვზღუდვია. – უთხრა ერთხელ ნაქეიფარმა თორღვა პანკელმა.

– ეგ როგორ? ჩვენი მეფე რა სამაგალითოა?

– არ იცი, განა? თავისი აზნაურის ულამაზეს ცოლს ეტრფიალა მეფე. ის ქალი ყმას წაჰგვარა, ახლა სასახლეში ჰყავს და, მორჩა, მის პატრონს აღარც სხვა ქალისკენ გახედვა უნდა, აღარც სხვა რამ სოფლის სიკეთე და სიამოვნება.

გაუკვირდა ცოტნეს: ქალი ისეთი რა უნდა იყოს, რომ მთელი დანარჩენი საქალეთი დაგავიწყოს და გემოსმიმყოლ კაცს ქვეყნის ყველა სიკეთეზე ხელი აგაღებინოსო. გაუკვირდა, მაგრამ მალე მისი ჯერიც დადგა და საკუთარ თავზე გამოცდით იწამა ტრფიალების ძალა...

ბექა ჯაყელმა იწვია ცოტნე თავის მამულში. ქეიფითა და შექცევით განვლეს გზა და, ციხისჯვრის ჯაყელთა სასახლეში რომ შევიდნენ, მაშინ გაება ცოტნე!

ჭიშკართან გამოგებულ მასპინძლებს გადაეხვივნენ ბექას მეგობრები. ყვარყვარეს ღონიერ მკლავებში გათანგულმა ცოტნემ უცებ მოჰკრა თვალი ბექას დედის უკან მდგარ გოგონას. ყვრიმალეებისკენ მონგოლურად გაზიდული თაფლისფერი თვალები უცნაური ცეცხლით უჭუჭუნებდა გოგონას, შაქრისფერ სახეზე მოკლე, სწორი ცხვირიც მაცდუნებლად უცინოდა და ტუჩზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა.

როგორც კი ცოტნემ თვალი თვალში გაუყარა, გოგონას სახეს ალი ეცა, თავი დაღუნა და ბექას დედის ზურგს ამოეფარა.

ცოტნემ სიმხურვალე იგრძნო მთელს ტანში, საფეთქლებში სისხლი მოაწვა და მუხლებმაც კინაღამ უმტყუნეს.

ემანდ, არ წავიქცეო, გაიფიქრა და ქალიშვილს თვალი მოარიდა. სუფრაზე მოწმესავით იჯდა ოდიშის მთავარი. არაფერს ამბობდა და პირს არაფერს აკარებდა. სხვათა კითხვებზე პასუხს მოკლედ, დაუფიქრებლად აძლევდა და გონს მხოლოდ მაშინ მოდიოდა, ის გოგონა სუფრისათვის კერძის შემოსამატებლად რომ გამოჩნდებოდა. ორივე წითლდებოდა და ორივე თავს ძალას ატანდა, რომ ერთმანეთისთვის არ შეეხედათ, მაგრამ თვალები, მათი თვალები თავისთავად, მათ დაუკითხავად ეძებდნენ ერთმანეთს.

ცოტნე ღვინოს დაეძალა. შეზარხოშებულმა სარგის თმოგველს გადაულაპარაკა:

– ეს ბავშვი ვისია, სარგის? – ვითომ სხვათა შორის, ხმადაბლა იკითხა ცოტნემ.

– რაღა ბავშვია საქმარშვილოდ მოწიფული ქალი! – გაიცინა სარგისმა – ყვარყვარეს ძმისშვილია, ბექას ბიძაშვილი. მამა ადრე დაეღუპა და ყვარყვარეს სახლში იზრდება. ადრე ნახული გეყოლება, მაგრამ მაშინ პატარა იყო.

– რაო, ცოტნე, ხომ არ მოგწონს, ჰა? – თვალი ჩაუკრა თორღვა პანკელმა.

ცოტნე კიდევ უფრო წამოწითლდა, არ იცოდა, რა ექნა და სად წასულიყო.

უხერხული დაბნეულობიდან თამადის სიტყვებმა გამოიყვანა:

– ეს ღმერთმა ჩემს საყვარელ რძალსა და ძმისშვილს გაუმარჯოს, ჩემს ძვირფას ეფემიას ჯანმრთელობა და დღეგრძელობა, ჩემს შვილთაგან ჩემთვის განურჩეველ კრავაის – კარგი ბედი და კარგი მომავალი.

ეფემიამ შვილი თავისთან იხმო და ორივე თავმდაბლად უხდიდა მადლობას ოთხივ მხრიდან ფეხზე წამომდგარ ვაჟკაცებს.

ცოტნემ სასმისი ასწია და ეფემიამ რომ მშვიდი ღიმილი შეაგება, ისევ დაიბნა.

– იცოცხლეთ, ქალბატონო! – ძლივს ამოთქვა და ღელვის ჩასახშობად უმაღლვე ყანწი მოიყუდა.

ჯიხვი რომ დაცალა და დაჯდა, თვალი დედა-შვილისაკენ გააპარა.

ეფემია ისევ ცოტნეს უყურებდა, მუშტრის თვალით სინჯავდა და აკვირდებოდა. ცოტნე ისევ დაიბნა და ეფემიას სახეზე ისევ წედანდელი მშვიდი ღიმილი გაკრთა.

როგორ გაზრდილა და დაქალბებულა კრავაი! თითქოს გუშინ იყო, მუხლზე რომ უჯდა ცოტნეს და სასაცილოდ ეტიტინებოდა! ნეტავ იმ დღეს, რა არხეინად უჩლექდა ენას მაშინ ცოტნე... ახლა კი რამდენის თქმა სურს და ენა ვერ მოუბრუნებია!

მეორე დილას გვიან ამდგარი სტუმრები ხელ-პირის დასაბანად მოიწვიეს.

ცოტნეს თავი უბრუოდა. წინა დღისა არაფერი ახსოვდა იმის გარდა, რომ უზომოდ სვა და უგონოდ დათვრა.

კიბესთან კრავაი იდგა, ცალ მკლავზე პირსახოცი გადაეკიდებინა და მეორე ხელით სტუმრებს წყალს უსხამდა.

რცხვენოდა ცოტნეს გუშინდელი დათრობის გამო და თან იმის შიშიც აფორიაქებდა, ზედმეტი ხომ არაფერი ჩავიდინე და სიტყვის ან ქცევის მოუზომავობით კრავაის თვალში ხომ არ დავმცირდიო.

კრავაისკენ გახედვას ერიდებოდა, ფეხს ითრევდა და ხელ-პირის დასაბანად მისვლას არ ჩქარობდა. ყველამ რომ დაიბანა, რაღა გზა ჰქონდა, თავგალუნული კიბისკენ წავიდა.

– დილა მშვიდობისა! – თავაუწევლად თქვა და ხელები წყალს მიუშვირა.

– დილა მშვიდობისა, მთავარო! – თამამად მიესალმა ქალიშვილი.

\_ ჩემს დღეში ამდენი არ დამილევი, არ ვიცი, რა ღმერთი გამიწყრა, \_ ხელს იბანდა და ისე, ხმადაბლა თავაულებლად ამბობდა ცოტნე.

\_ მერე მაგით რა დამავდა, კარგად მოილხინეთ და ჩვენც გაგვამხიარულეთ. ცოტნემ თავი ასწია.

კრავაი გულწრფელად უდიმოდა.

\_ ბოდიში უნდა მოგიხადოთ, \_ დარცხვენილად თქვა ცოტნემ.

\_ ტყუილად ნანობთ, ძალიანაც კარგი იყავით!

\_ საერთოდ, არ ვსვამ და გუშინ დავითვერი მაინც და მაინც, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდა ფხიზლობა.

\_ გუშინ რატომ გჭირდებოდათ ყველაზე მეტად ფხიზლობა?

\_ შენ რომ მოგწონებოდი! \_ გაბედა ცოტნემ და უმაღვე ინანა, რადგან ნათქვამი, ცოტა არ იყოს, უხეშად გამოუვიდა. კრავაი გაწითლდა, წყლის დასხმა შეწყვიტა, თავდახრილმა პირსახოცი უსიტყვოდ გაუწოდა და სამზადისკენ გაიქცა.

\_ დიდი მადლობა... \_ დაადევნა ცოტნემ გაქცეულს.

ცოტნე ერთიანად აფორიაქებული იყო.

რალაც მანამდე უცნობი განცდა დაუფლებოდა, ძლიერი და მოურეველი. ის განცდა სიცოცხლის სიყვარულით ავსებდა, ღონეს მატებდა და ფრთებს ასხამდა; ამავე დროს ბავშვივით გულუბრყვილოს ხდიდა და პირველქმნილ სიწმინდეს უბრუნებდა.

იგი ხვდებოდა, რომ მის ცხოვრებას ახალი, ნათელი აზრი ეძლეოდა, მის ყოველ ნაბიჯს ამამაღლებელი და გამაკეთილშობილებელი მიზანი ემატებოდა.

კრავაი თავად იყო სიწმინდისა და მშვენიერების განსახიერება და, რაკი ერთხელ მიუახლოვდა სინათლისა და სიკეთის ამ წყაროს, გრძნობდა, უმისოდ ვეღარ გაძლებდა.

ცოტნე ხედავდა, რომ ციხისჯვარში მისი დარჩენა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ იმასაც კარგად გრძნობდა, რომ იქიდან წასვლაც არ შეეძლო.

საღამოს დერეფანში შეეჩეხა პირისპირ მარტო მიმავალ კრავაის.

\_ ხვალ მივდივართ, კრავაი.

\_ რა გეჩქარებათ, მთავარო! \_ მოიწყინა კრავაიმ და თვალი გაუსწორა.

\_ თავი შეგაწყინეთ, საქმეც ბევრი მაქვს. \_ ამოოხვრით თქვა ცოტნემ და მცირე ყოყმანის შემდეგ დასძინა, \_ ნეტავი შენც მოდიოდე თბილისს...

\_ მე?.. ვისთან უნდა წამოვიდე თბილისს?

\_ თუნდაც ჩემთან...

კრავაი წამოწითლდა.

\_ რა ბედნიერი ვიქნებოდი... შენც რა ბედნიერს გაგხდიდი...

\_ კრავაი, კრავაი! \_ გაისმა ეზოდან.

\_ დედა მეძახის, \_ უცებ გამოერკვა დაბნეული გოგონა, თავი ასწია და სიხარულის შუქით გაბრწყინებული თვალები იმედიანად მიანათა ცოტნეს.

\_ მოვდივარ, დედა! \_ გასძახა და გაიქცა.

სატახტოში დაბრუნებულმა ცოტნემ სარგისსა და თორღვას გაანდო გულისნადები. მეგობრებმა არჩევანი მოუწონეს და თვითონვე შესთავაზეს სამსახური:

- \_ დღესვე მივდივართ ბექასთან და ყვარყვარესთან.
- \_ როგორ გაიხარებენ!
- \_ სიხარულით ცას ეწევიან!
- \_ მაყრები ხომ ჩვენ ვიქნებით! ოღონდ შენ ბევრი არ გააჭიანურო, ქორწილი მალე გამართე.

მეფეთა ღირსი ქორწილი გადაიხადა ცოტნემ. ოდიშის დიდებული სასახლე პატარძლის შემოსვლამ გააცოცხლა და გააბრწყინა, ჭერი ამალდა და კედლები განზე გაიწია.

ბედნიერების მწვერვალზე ასული ცოტნე ამქვეყნიური დიდებისა და სიამაყის ყველა ხარისხს მიწვდენოდა და სიყვარულის მძლავრ ფრთებს აყოლილი ცაში დაფრინავდა.

ასე გაიარა თაფლის თვეებმა სწრაფად და უზრუნველად. მადლიერი მეფე განგებ არ ემახდა. ფაზისიდანაც იშვიათად აწუხებდნენ: გემსაშენი და ნავსადგური სწრაფად შენდებოდა, შინ და გარეთ ყველგან ბედნიერად წარიმართებოდა მთავრის საქმე.

მაგრამ განცხრომას მიცემულ ცოტნეს ერთ დღეს ცუდ გუნებაზე გაეღვიძა. აბნეულ, უამური სიზმრიდან აღელვებული შავი ზღვის მრისხანე ტალღები ედგა თვალწინ, მისკენ რომ ვეშაპებივით ხახადალებულნი მოიწევდნენ. სიზმრიდან სხვა არაფერი ახსოვდა, მაგრამ ესეც საკმაო იყო მოსვენებისა და სიმშვიდის დასაკარგავად.

მთავარმა უმადოდ ისაუზმა, ცხენზე შეჯდა და მცირე ამალით ფაზისისკენ გაემართა.

გემსაშენზე სრული წესრიგი დახვდა, სიცოცხლე დულდა და გადმოდიოდა.

მთავრის მოსვლით გახარებული ანთია ენად გაკრეფილი დაატარებდა მთავარს მშენებლობის უბნებზე.

- \_ ამისთანა ნავსადგური ვენეციასა და გენუასაც არ ექნება, მთავარო, ხოლო ამის უკეთეს ხომალდებს ახლა დედამიწის ზურგზე ვერსად ააშენებენ.

ცოტნე ანთიას უთქმელადაც ხედავდა, ზღვაოსნობის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აღჭურვილი გემსაშენი და ნავსადგური როგორ თვალის მომჭრელად იმართებოდა და იკაზმებოდა. საქართველოს საზღვაოსნო მომავლის ამ საფუძვლის ცქერით ცოტნეს გული სიამაყით ევსებოდა, ლურჯად მოლივლივე ზღვას აღტაცებული გაჰყურებდა და პალიასტომის უბეში შეფარებულ უზარმაზარი ხომალდების სწორუპოვრობაში ოცნებით სჭვრეტდა საქართველოს ხვალისდელი ძლიევამოსილების საწინდარს.

გულის ძილში ჩავარდნილი ცოტნე უჩვეულო ხმაურმა გამოაღვიძა.

სადღაც ახლო ცეცხლის ალი ტრიალებდა და სარკმლიდან დამაბრმავეელი შუქი მოდიოდა.

ჰაერი დამწვრის სუნით იყო გაჟღენთილი.

ცოტნემ ხმალს ხელი დაავლო და გარეთ გავარდა.  
გემსაშენსა და ნავსადგურში ხანძარი მძვინვარებდა.

– თავდასხმაა!

– მტერი დაგვეცა!

– ლალატია.

გაისმოდა აქა-იქ.

თავპირდაბურული ვიღაც შაოსნები ანთებული ჟინჯილებით დაჰქროდნენ და ყველაფერს ცეცხლს უკიდებდნენ.

ძილდამფრთხალი დამხვდურები გარეთ გამორბოდნენ, ხმალდახმალ ბრძოლაში ებმებოდნენ და მშველელს მოუხმობდნენ.

ხანძარი მხოლოდ ნაპირზე გამართულ შენობებს კი არ ნთქავდა, შორს გაწეულიყო და ზღვისპირას მოქუჩებულ ხომალდებსაც მოდებოდა.

გაოგნებულ ცოტნეს მოეჩვენა, რომ მარტო სანაპირო კი არა, თვითონ ზღვაც იწვოდა, ხანძარი ზღვის სიღრმეშიც შეჭრილიყო, ფაფარგაშლილი მძვინვარებდა, უზარმაზარი ტალღებით ყალყზე დგებოდა, ცამდე ადიოდა და ნაპირს აწყდებოდა.

ცოტნე ადგილს მოსწყდა და იქით გაიქცა.

როგორც იყო, ზღვისპირს მიაღწია.

აგერ ცეცხლმოდებული გემიდან გადმოხტნენ ანთებული ჟინჯილებით და იქვე მდგარი ხომალდისაკენ გაიქცნენ ცეცხლის წასაკიდებლად.

ცოტნე წინ გადაუდგა.

– შეჩერდით, რას სჩადით! – შეჰყვირა და ხმალი ამართა.

ჟინჯილიანი ხმალს წაეტანა, მაგრამ ცოტნემ აღარ აცალა, თვითონ დაასწრო და თავგაპობილი ძირს დასცა.

უცებ ბეჭში რაღაც ჩაესო. მაშინვე თვალთ დაუბნელდა, მიწაზე დაემხო და თითქოს ცა ჩამოენგრათ, დამაყრუებელ გრუხუნში ჩაიძირა.

სიკვდილს გადარჩენილ ცოტნეს, როდის-როდის შეეტყო მომჯობინება.

რაც გონს მოვიდა, ძილში სულ ცად ასულ ხანძრის სვეტებს ხედავდა, ჯოჯოხეთის მოგიზგიზე ალი აბოდებდა და ცხადში მისკენ უზარმაზარ ტალღებად წამოსული ცეცხლი ელანდებოდა.

მეფე ყოველდღე კითხულობდა ცოტნეს ამბავს. ბოლოს მოახსენეს, მთავარმა იმდენად მოიკეთა, ქვეყნისა და ოჯახის ავკარგზე წუხსო.

ხელმწიფე მარტოდმარტო შევიდა დადიანის საწოლში. სასთუმალთან დაჯდა და მიძინებული სნეულის გაღვიძებას დაელოდა.

ცოტნემ თვალი გაახილა. ერთხანს ჭერს მიშტერებოდა. მერე თავი მოაბრუნა და მეფე რომ დაინახა, გაფითრდა: ჭაბუკი მეფე გატეხილი და უჩვეულოდ გუნებადამძიმებული ეჩვენა. ყბა აუკანკალდა და თვალზე ცრემლი მოადგა.

– დავილუპეთ, ხომ მეფევ-ბატონო?

მეფემ თვალი აარიდა და თავი ჩაღუნა.

– სულ ერთიანად მოსპეს, არა?

\_ სულ ერთიანად მოსპეს, ერთი ხომალდიც არ გადარჩენილა.  
 \_ გემსაშენი და ნავსადგურიც განადგურდა?  
 \_ განადგურდა, ნაცარტუტად იქცა.  
 \_ ბარემ მეც იქ მოვმკვდარიყავი! \_ ცოტნეს ყელში ბურთი მოაწვა.  
 \_ სამ დღეს იწვოდა იქაურობა. მე რომ ჩავედი, კიდეც იდგა ბოლი.  
 \_ ვერავინ შეიპყრეს ან კვალი არ დარჩათ?  
 \_ ვინ შეიპყრობდა? იქაურობა დაჭრილ-დახოცილებით აავსეს, თქვენგან ფეხზე აღარავინ დატოვეს, ღამით მოპარულებმა ბნელი საქმე მოათავეს, ღამითვე ხომალდზე დასხდნენ და სიბნელეში გაიპარნენ.  
 \_ თითქო იტალიურად უხმობდნენ ერთმანეთს.  
 \_ მომხდურები რომ იტალიელები იქნებოდნენ, უმაგისოდაც ნათელია, ოღონდ ამოსაცნობი ის არის, რომელი იტალიელები იყვნენ,  
 \_ ასეთი თავდასხმა და ამოდენა დაცვის განადგურება მხოლოდ ვენეციელ ან გენუელ მეკობრეებს შეეძლოთ. ვენეციელებმა ხომალდები თვითონ მოგვყიდეს და გემსაშენის აგებაშიც ხელს გვიმართავდნენ... ისინი არ იზამდნენ.  
 \_ იზამდნენ, მთავარო, ისინიც იზამდნენ. ზღვაზე ერთი მეტოქე ჰყოფნით და მეორის გამოჩენა რა გულზე ეხატებათ?!  
 \_ ეგეც საფიქრებელია, მაგრამ ეს საქმე უფრო გენუელების ნაავკაცარი მგონია.  
 \_ შეიძლება აგრეც იყოს, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვი. რაც შინ და გარეთ მზირი და მსტოვარი გვყავს, ყველა ფეხზე დავაყენეთ, მაგრამ ეჭვის და ვარაუდის მეტი ჯერ ხელთ არაფერი გვაქვს.  
 \_ მაინც ასე უგრძნობლად როგორ მოგვეპარნენ. გუშაგები ბლომად გვეყენა და ჩვენც ყველას იარაღი გვქონდა.  
 \_ როგორც ჩანს, ბევრნი იყვნენ და გემებიც საუკეთესოდ გამართული ჰქონდათ. მაგრამ მთავარი მაინც, ეტყობა, ღალატი იყო.  
 \_ ღალატი? \_ წამოენთო ცოტნე.  
 \_ ჰო, ღალატი და შინა გაცემა.  
 \_ ვის უნდა ეღალატა?  
 \_ მტრის ეგრე მომზადება და სწორ გზაზე დაყენება უღალატოდ არ იქნებოდა.  
 \_ ეჭვი ვისზე გაქვთ, მეფევე?  
 \_ რაღა ეჭვი უნდა! იმ ღამესვე უგზო-უკვლოდ გაჰქრა ნიკიფორე ბერძენი, არც მკვდრებში აღმოჩნდა და არც ცოცხლებში.  
 \_ ნუთუ ნიკიფორემ გაგვყიდა?  
 \_ რა გიკვირს, მთავარო? თავისი სამშობლო გაჰყიდა და შენსას დაინდობდა?  
 \_ არა, ეგ არავის დაინდობდა... კონსტანტინოპოლიდან მაშინ გაიპარა, როცა ბერძენთა სატახტოს ყველაზე მეტად უჭირდა. ხან პიზას ემსახურებოდა და ხან გენუას, ვინც მეტს აძლევდა, იმის მზეს ფიცულობდა და ძველი ბატონის საიდუმლოსაც იმას უკაკლავდა. ჩვენც იმიტომ მოგვეყიდა, რომ სხვაზე მეტი

მივეცი, მაგრამ ან კი როგორ არ მივცემდით მაგისტანა გემთმშენებელს!  
ეგეთი ოსტატი ვენეციაშიც არ მოიძებნება!

– ოსტატებში ტოლი არა ჰყავდა, მაგრამ არც მსტოვრებში და გამცემებში  
ჰყოლია ტოლი.

– ნეტავ როდის მოასწრო გაპარვა? იმ დღეს საღამომდე ჩემთან იყო, არ  
მომშორებია...

– შეიძლება სულაც თავდამსხმელებთან ერთად გაჰქრა. მომხდურებმა  
თავიანთ დაჭრილ-დახოცილთაგან ერთიც არ დატოვეს ხმელეთზე, წასვლის  
წინ შეუგროვებიათ და გემებით წაუყვანიათ, რომ კვალი არ დარჩენოდათ!

– ეგეც გამოცდილ მეკობრეთა წესია, ბოროტების კვალს ეგრე შლიან ხოლმე.

– კარგი იყო, მცირე რამ სამხილი მაინც დარჩენოდათ! მაგრამ ჩვენი მტრად  
გადაკიდება ხელს არც ვენეციას აძლევს და არც გენუას. ეს თავდასხმა ისე  
ფრთხილად და დიდხანს მომზადებული ჩანს, მის მომწყობთ, ალბათ,  
ვერასოდეს ვერ აღმოვაჩინებ. ხელთ საბუთი არა გვაქვს და ცარიელი ეჭვით კი  
ვერც ვერაფერს დაამტკიცებ, ვერც ვერავის გაამტყუნებ! ეს კია, რომ, რაც ეს  
საქმე გახმაურდა, ვენეციისა და გენუის კარი ერთიმეორეს ასწრებს ჩვენს  
წინაშე დაბეზლებას, ერთმანეთს სწამებენ ფაზისის განადგურებას და  
ბრალდებას ანგარიშგასაწევი საბუთებით ამაგრებენ.

ორივე სდუმდა ერთხანს.

მერე, როგორც იყო, ცოტნემ გაბედა გულის ნადების გამხელა;

– ახლა რა უნდა ვქნათ, მეფევ, სულ უნდა ავიღოთ ხელი შავ ზღვაზე, სხვას  
დავუთმოთ?

– სულ არა, მაგრამ ერთხანს ვეღარ შევძლებთ ესოდენ დიდი ხარჯის  
გაღებას; იმოდენა გემსაშენისა და ნავსადგურის გამართვასაც ბევრი დრო და  
სახსარი უნდა და, ჯერჯერობით ვერც სამაგისოდ მოვიცლით. ახლა  
უმჯობესად ის მიმაჩნია, ბაღდადზე გალაშქრების სამზადისი დავაჩქაროთ. ამ  
ლაშქრობის საზღაურად ჯვაროსნებს საომარი ხომალდები გამოვართვათ,  
ხოლო როცა ხალიფას დავამარცხებთ და იმის ხომალდებსაც დავისაკუთრებთ,  
შავ ზღვაზე ბატონობის მოცილევ აღარავინ გვეყოლება და მაშინ თავიდან,  
ახალი ძალით დავიწყებთ, ერთის კი არა, რამდენიმე გემსაშენის შენებას. ხომ  
გჯერა ჩემი, ცოტნე? – მეფემ თვალი თვალში გაუყარა დადიანს. იმ თვალეებში  
ცოტნემ გამხნევების, იმედის მიცემის თხოვნა ამოიკითხა.

დადიანმა იცოდა, მეფეს ყოვლის შემძლე დიდებულებთან სამკვდრო-  
სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა. კარზე და სახელმწიფო საქმეებზე ძველებურად  
განუსაზღვრელი გავლენის შენარჩუნებისათვის მზრუნველი დიდებულები  
ყოველნაირად ცდილობდნენ ჯერ გამოუცდელი ჭაბუკი მეფისათვის ხელ-  
ფეხი შეებორკათ, მისი თამამი განზრახვებისათვის ფრთები შეეკვეცათ და  
როგორმე ლაშა მათი სურვილის მორჩილ აღმასრულებლად ექციათ. ამ  
ბრძოლაში მეფის ყოველი მარცხი და წაფორხილება მის აშკარა და ფარულ  
მტრებს ძალასა და გავლენას მატებდა.

მეფე ჯიუტობდა. თავისას არ თმობდა, მაგრამ ბედი თითქოს მის წინააღმდეგ მოქმედებდა, ყველა დიდ შემართებასა და წამოწყებაში ხელს უცარავდა, შრომას წყალში უყრიდა და განხორციელებამდე მისულ ოცნებას უღმობლად უმსხვრევდა.

საქმე იქამდე მიდიოდა, ჭაბუკ ხელმწიფეს პირადი ბედნიერებით დატკობისა და წმინდა სიყვარულით შერთულ ცოლთან სჯულიერი ქორწინების ნებასაც არ რთავდნენ.

მეფე მაინც თავისას არ იშლიდა, არც უკანონოდ გამოცხადებულ ტრფობაზე იღებდა ხელს, არც ქვეყნის მართვის ერთხელ არჩეული გზიდან გადადიოდა. ამ გზაზე მეფეს ცოტნესთანა მამულიშვილების ერთგულება და თანადგომაღა ამხნევებდა და ოდიშის მთავარი მიხვდა, რომ სწორედ ახლა სჭირდებოდა მეფეს ასეთი გამხნევება ყველაზე მეტად.

– მჯერა, მეფევ, შენი, როგორ არ მჯერა! შენი წინამძღოლობით ბაღდადსაც ავიღებთ და ათ ფაზისსაც ავაშენებთ!

– მარცხმა გული არ უნდა გაგვიტეხოს, ცოტნე, ჩვენ ახალგაზრდები ვართ და სულ წინ უნდა ვიხედებოდეთ. გამარჯვების წყურვილით ვიცხოვროთ, მარცხის წინაშე ქედს ნუ მოვიხრით და მომავალი ჩვენი იქნება – ძლიერი, ახალგაზრდა საქართველოსი!

ცოტნე მონუსხულივით უსმენდა აღზნებულ ლაშას. ჭაბუკი მეფის რწმენა, გულგაუტეხლობა და მხნეობა მასაც გადაედო და ისიც ოცნებამ გაიტაცა.

მხრებზე ისევ იმ ფრთების გამოსხმას გრძნობდა, ვენეციიდან დაბრუნებული რომ კინალამ ცაში აიტაცა. ფრთა ისევ და ისევ ზემოთ ეწეოდა და ცოტნეს სჯეროდა, რომ შორს და მაღლა გასაფრენად უნდა დაძრულიყო.

მაგრამ თურმე ოცნების იმ ფრთებს გაშლა არ ეწერა... და, აი, თითქმის სამი ათეული წლის შემდეგ ფრთებმომტვრეული და ოცნებადამსხვრეული ცოტნე, ალამუთის ალყიდან ბრუნდება სნეული და ჯან-ლონე დაკარგული, გულგატეხილი და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული.

იმ ათწლეულებს მარტო ახალგაზრდობა კი არ გაჰყოლია ცოტნესი, მომავლის რწმენა, სამშობლოს დიდებაზე ოცნებაც თან წაუღია!

როგორ არ ჰგავდა ახლანდელი ცოტნე ვენეციიდან დაბრუნებულ, მეწინავე ხომალდის კიჩოზე მდგარ ჭაბუკ ამირბარს, სიამაყითა და სიხარულით აღსავსე მეზღვაურს, ცისკენ გასაფრენად რომ იყო მზად.

საქართველოსაკენ ურმით წამოსულ, ლოგინზე დაკრულ, საღმობიერით მისუსტებულ ვაჟკაცს სხეული გაღვევია, მხრებამდე ჩამოზრდილ თმაში ჭაღარა მოძალებია და სახეზე სინათლე გასდის.

როგორ სიცოცხლესა და სიკვდილზე ოცნებობდა ცოტნე და მისი უფერულად გავლილი ცხოვრება კინალამ შორეულ ალამუთის ალყაში დასრულდა უსახელოდ, ბედის მწარე დაცინვით – მუცლის აშლილობითა და ფაღარათით.

იქ, ცხრა მთას იქით რომ ასე საცოდავად კვდებოდა, თავისი თავი კიდევ ენანებოდა ესოდენ უსახელო სიკვდილისათვის, მაგრამ, როგორც კი



სიკვდილის კლანჭებს დაუძვრა და მომჯობინება იწყო, ირგვლივ საშინელი სიცარიელე იგრძნო.

ცოტნე მიხვდა, რომ მისი დიდების ყველაზე მაღალი მწვერვალი უკვე დიდი ხნის განვლილი ის დღე იყო, როცა იგი ვენეციიდან წამოსხმულ ხომალდთა ქარავანს ფაზისის ნავსადგურში მიუძღოდა. რისთვისღა უნდა იცოცხლოს ცოტნემ ამიერიდან, თუ აქამდე განვლილ მის ცხოვრებას, სიცოცხლის საუკეთესო წლებს ვერც ერთი გაბედული ოცნება, ვერც ერთი ნატვრა და იმედი ვერ აუხდენია და განუხორციელებია. ორმოც წელს ისე გადაცილებია ოდიშის მთავარი, სიჭაბუკისა და ვაჟკაცობის ულამაზესი დრო ისე გაუღვია, თავისი ოცნების ვერც ერთ მწვერვალს ერთხელაც ვერ მიახლოებია, ვერც გმირობა რამ ჩაუდენია სხვებზე აღმატებული და ვერც ქველისა და ქვეყნისათვის თავდადებულის სახელი დაუმკვიდრებია იმ სათაყვანებელ ხალხში, რომლის დიდებისათვის სიცოცხლის გაწირვას ბავშვობიდანვე თავისი არსებობის უპირველეს გამართლებად სახავდა.

უფერულად გაიარა ცხოვრებამ.

განა გასაკვირი არ იყო, რომ სისხლისმღვრელი ომებისა და ხალხთა საშინელი შეჯახებების წლებში, მაშინ, როცა სამშობლოს ამდენი უბედურება ატყდებოდა თავს, საქართველოს ერთ-ერთმა უწარჩინებულესმა და უსათნოესმა შვილმა მოსაწყენი და უფერული ცხოვრებით იცხოვრა?!

კიდევ უფრო გასაოცარი ის იყო, რომ ცოტნე დადიანი საქართველოში დატრიალებულ საშინელებათა შუაგულში ბრუნავდა სულ მუდამ და, მაინც ვერსად და ვერაფერში ვერც ხმალმა იელვა მისმა განსაკუთრებული ელვარებით, ვერც სიტყვა და სიბრძნე გაბრწყინდა გამოსარჩევი ბრწყინვალეობით.

იქნებ, ცდასა და გარჯას დააკლო ცოტნემ, იქნებ, თავი დაზოგა და ღონე შემოინახა დღეგრძელი, უზრუნველი ცხოვრებისათვის?!

არა, ამას ვერავინ იტყვის, რადგან სიკვდილისათვის, თავი არასოდეს არ აურიდებია და სამშობლოს განსაცდელის შორით მაცქერალი, არხეინი მოწმე არასოდეს ყოფილა. ცოტნე საქართველოს გადასაბუგად დანთებული ხანძრების ცეცხლში ბრუნავდა და ეს მხრებზე დაფენილი ჭადარაც უფრო იმ ხანძრების ფერფლის და ნაცრის კვალი არი, ვიდრე დროით მოსული ხცე და სიბერით გათეთრება.

ის პირველი ხანძარი, ის ჯოჯოხეთური ცეცხლის ალი, რომელმაც ფაზისის ნავსადგურთან და გემსაშენთან ერთად ცოტნეს პირველი გაბედული ოცნებაც დაფერფლა და დანთქა, მთელ მის შემდგომ ცხოვრებას ლანდივით განუყრელად სდევდა თან, ყოველი ახალი იმედისა და ოცნების ჩასახვისთანავე ხელახლა ღვივდებოდა, ყალფზე დგებოდა და იმ იმედსა და რწმენას შეუბრალებელი უღმობლობით ფერფლავდა.

ფაზისის განადგურებიდან ორი წელიც არ იყო გასული, საქართველოს რომ მონგოლთა პირველი ტალღა მოაწყდა. ცოტნე ქართველთა ლაშქრის იმ ნაწილში იბრძოდა, რომელმაც მტერს მძლავრად შეუტია, უკუაქცია და

სილტოლვად მიქცეულს დაედევნა. მონგოლებმა, სუბუდაი სარდლის მეთაურობით, მაშინ თურმე მათთვის ჩვეული ხერხი იხმარეს, განზრახ ილტვოდნენ და ქართველები რომ კარგა შორს გაიტყუეს, მზირად ჩასაფრებულმა ძლიერმა რაზმმა მტრის დევნით გატაცებულებს ზურგში დაჰკრა ჯებე-ნოინის წინამძღოლობით. ორ ცეცხლს შუა მოქცეული ქართველები თავგამეტებით იგერიებდნენ, მაგრამ მტრის ორმხრივ შემოტევას ვერ გაუძლეს და უწესრიგოდ იწყეს უკან დახევა.

სწორედ იმ ომში დაიჭრა მძიმედ ძლიერად მებრძოლი ქართველთა მეფე. ცოტნეს გვერდით დაეცა მისი განუყრელი მეგობარი ბექა ჯაყელი – ციხისჯვარელი; ქართველთაგან ურიცხვი გაწყდა და ბევრმა სახელოვანმა ვაჟკაცმა დასდო თავი იმ დღეს ხუნანის ველზე. თვითონ ცოტნე მკერდში დაჭრილი ჩამოვარდა ცხენიდან და მხოლოდ გვიან, ქსენონში შეიტყო, რომ ომის ბედი არც ერთი მხარის სასარგებლოდ არ გადაწყვეტილიყო.

იმ ომში საკმაოდ შეთხელებულმა მონგოლთა ლაშქარმა საქართველოს დედაქალაქის დასაპყრობად წამოსვლა ვეღარ გაბედა, ღონის მოსაკრებად და დასასვენებლად მულანში გამოზამთრება არჩია.

როგორც უეცრად გამოჩნდნენ მონგოლები, ისევე მოულოდნელად გაეცალნენ საქართველოს, გაზაფხულზე საომრად მომზადებულ ქართველთა ლაშქართან, სახიფათო შებმას თავი აარიდეს, ჩვენი მიწა-წყალი უომრად გაიარეს, კავკასიონის კარი განვლეს და რუსეთის ველებზე გავიდნენ.

ცოტნე ჭრილობისაგან განიკურნა, მაგრამ იმ ომში მტერზე გამარჯვების გემო ვერ ნახა და, თუმცა არც ქართველები დამარცხებულან, მაინც გაჩიანის ბრძოლა უამურ მოგონებად დარჩა.

მონგოლების წასვლიდან წელიწადიც არ იყო გასული, რომ მეფემ და დარბაზმა შირვანშაჰისათვის რუსუდანის მიცემა გადაწყვიტეს.

ცოტნე თავად რუსუდანმა ინდომა მაყრად და მეჯვარედ, ბაგავანს მისული მეფე დის გასაკაზმავად ემზადებოდა და სწორედ მაშინ მოხდა უბედურება.

სანადიროდ გავიდნენ მეფე და მისი ამალა.

ბაგავანის ირგვლივ გადაჭიმულ ლელიანში მარტო კანჯარი და ჯეირანი როდი ეგულებოდა ლაშას. ცხელ, უდაბურ ველზე თურმე ვეფხვიც ბევრჯერ შეხვედრიათ იქაურ მონადირეებს და ლაშა იმას ნატრობდა, ეგებ, ახლაც გადავეყაროთ ჯიქსა და ვეფხვსო.

საქართველოში ფოცხვერზე არაერთხელ უნადირნია მეფეს. ჯიქსაც ბევრჯერ შებმია, მაგრამ ვეფხვი მის სამკვიდროში არსად იყო, არც მთაში და არც ბარად.

ყმადნაფიც შირვანში სტუმრობა მარტო იმისთვის ჰქონდა ოცნებად ქცეული, ვეფხვებზე ვინადირებო.

ყოველ ზაფხულს ხარკსა და ძღვენს რომ მოართმევდა ხოლმე, შირვანშაჰი გულით იწვევდა ჭაბუკ მეფეს ვეფხვებზე სანადიროდ. ლაშა რომ თავის თავს კუთვნებოდა, ერთ წუთსაც არ დაფიქრდებოდა, პირველსავე დამახილზე

სანადიროდ ამხედრდებოდა და შირვანშაჰთან ერთად უდაბნოს გადინადირებდა.

მაგრამ საქართველოს მეფის ცხოვრება ისე იყო აწყობილი, რომ საქვეყნო და პირადი საქმეები ნებას არ აძლევდა თავის სურვილზე ემოგზაურა სხვათა მიწა-წყალზე და თვეობით ტახტისა და თავის საბრძანისიდან შორს, მოწყვეტილი ყოფილიყო.

როცა შირვანშაჰზე რუსუდანის გათხოვება გადაწყვიტა და სასიძოს შესახვედრ ადგილად ბაგავანი დაუსახელეს, მეფე წუთსაც არ დაფიქრებულა, მაშინვე დასტური მისცა. ამ დასტურის მთავარი, მაგრამ გაუმხელელი საბუთი ის იყო, რომ მეფეს ბაგავანის სამხრეთით კანჯრითა და ჯეირნებით სავსე ველები ეგულებოდა და იქაურ უდაბნოს ბინადართა შორის ვეფხვიც იხსენიებოდა.

აგერ ორი დღეა ბაგავანში იშვებენ და ილხენენ მეფის დის რუსუდანის მაყრები. ლაშას საქორწილო სამზადისისაგან განზე დგომა როგორ შეეძლო. პირიქით, ყველაფერი მისი ბრძანებით კეთდებოდა და მცირე წვრილმანებშიაც თვითონ ერეოდა. მაგრამ როგორც კი საქორწინო კაზმვა აეწყო და სამზადისი თავისი წესითა და რიგით წარიმართა, ლაშამ დრო იშოვა.

მონადირეთაგან საუკეთესონი იახლა მეფემ და მრავალრიცხოვანი ამალით სანადიროდ გაემართა. გვარიანად გამომინებული და კარგ გუნებაზე გაღვიძებული ცოტნე მხნედ და გულლაღად იყო, გათენებიდან სულ ელექსებოდა, ემღერებოდა.

მინდორზე რომ გავიდნენ, ამირანის ლექსი აეკვიატა:

სანადიროდ წამოვიდნენ ამირან და  
ძმანი მისნი,  
მთას ირემი წამოუხტათ, ოქრო იყო  
რქანი მისნი...

მღეროდა გულში ცოტნე და თვალს აცეცებდა იმის მოლოდინში, რომ სადღაც ირემი არ წამოხტომოდა და შვილდზე ისრის გამართვა არ დაგვიანებოდა.

ფრინველი ბლომად ინადირეს. ნანადირევით დამძიმებას ერიდებოდნენ და ისარს ეგრე ადვილად აღარ იმეტებდნენ სატყორცნად, ხოხობი და ღურაჯი ცხვირწინ წამოუფრინდებოდათ, მაგრამ თვალსაც არ აყოლებდნენ.

მოშუადღევებული იყო, კანჯრის გეში რომ აიღეს, ბუკისა და ძაღლების ყეფის ხმაზე დამფრთხალ ჯოგს თავი დაუარეს, წინ გაიგდეს და ცხენდაცხენ დაედევნენ.

ცოტნე გვერდიდან არ მოშორებია მეფეს. ორივე დაუცდომლად ისროდა და ისრის ყოველ ტყორცნაზე გაქცეული კანჯარი ეცემოდა ძირს. ნანადირევს მისათვლელად მსახურებს უტოვებდნენ, თვითონ ისევ გულხეთქებით მიმქროლავ კანჯრების ჯოგს მისდევდნენ, მშვილდზე ისარს ხელახლა მართავდნენ და... ისევ ეცემოდა განგმირული ნადირი, ისევ ზოლად მისდევდა სისხლის კვალი უდაბნოს ცხელ ქვიშას და თხელდებოდა, მეჩხერდებოდა

დაღლილობისაგან ენაგადმოვარდნილი, თავგანწირვით მიმქროლავი ცხოველების გუნდი.

გაუთავდა ცოტნეს ისარი. ჭენებით დაწინაურებულს ისრის მიმწოდებლები უკან ჩამორჩენოდნენ და ახლო აღარავინ ჩანდა.

მოსახვევთან შეაჩერა ცხენი და უნაგირზე სანახევროდ შემოტრიალებულმა მეფეს დაუწყო ძებნა. თითქო მიწას ჩაეყლაპოს, რამდენიმე წუთის წინ მის მხარდამხარ მიმქროლავი ხელმწიფე აღარსად ჩანდა. ცოტნემ ცხენი გვერდზე მიაყენა და კანჯრის ჯოგს დადევნებულ მონადირეებს გზა მისცა. მიჰქრიან ივანე მხარგრძელი და ვარამ გაგელი, ეგარსლან ბაკურციხელი და სარგის თმოგველი, თორღვა პანკელი და ჰერეთის ერისთავი, მიჰქრიან და სტყორცნიან ისარს და ისევ ეცემა მოკლული ნადირი ცხელ ქვიშაზე, ისევ თხელდება კანჯრის ჯოგი და ბოლო არ უჩანს ნადირთ ხოცვას და დევნას. თავის წინ გაატარა ცოტნემ მეფის ყველა დიდებული, ყველა ახლობელი და მონადირე, მეფე კი არსად ჩანდა.

ალბათ, მოსწყინდა ნადირის დევნა ხელმწიფეს და სადმე შეისვენაო, გაიფიქრა ცოტნემ და ცხენი უკან შემოაბრუნა. უნაპირო ველს გახედა, კაცის ჭაჭანება არსად იყო.

ცოტა რომ გაიარა, ნანადირევით დატვირთულ მსახურებს გადაეყარა.

– ხელმწიფე ხომ არ გინახავთ? – იკითხა და თან ფერდგაგლეჯილ კანჯარს დააცქერდა.

– მეფე წინ არის, – თავდაჯერებულად თქვა მსახურთაგან უფროსმა.

– წინ იყო, მაგრამ, ვგონებ, შესვენება ინება და ჩამორჩა, აქეთ არსად ჩაუვლია?

– არა, მთავარო, აქეთ არსად უნებებია ჩავლა.

– აქეთ არსად გამოჩენილა, თორემ დავინახავდით, წინ იქნება, მეფის ლურჯას სხვათა ცხენები ვერ დაეწეოდნენ, – დაბეჯითებით მოახსენა მსახურთაგანმა და ცოტნე შეფიქრიანდა.

მართლაც და, სად უნდა წასულიყო მეფე? ცხენი რომ შეეყოვნებინა და ჩამორჩენილიყო, ამ ტრიალ მინდორზე ყველა ნახავდა, ალბათ, მართლაც წინ გაჰქროლა და რატომ ეს ვერ მოიფიქრა ცოტნემ, რომ მეფე ყველაზე შორს და ყველაზე წინ ეძებნა?!

დადიანმა ცხენი უკანვე შეატრიალა და ლაფშა მიწას გააკრა.

მიჰქრის ცოტნე, გზადაგზა ხედავს მინდორზე შეჩერებულ მონადირეებს, ნანადირევთან დაქვეითებულ მსახურებს, უკან შემობრუნებულ დიდებულებს.

აგერ, სარგის თმოგველი უქნევს ხელს მის წინ გაქროლებულ ცოტნეს, მხარგრძელთან და გაგელთან ერთად მომავალმა ბაკურციხელმა ხელით რაღაც ანიშნა ოდიშის მთავარს, მაგრამ ცოტნემ ვერაფერი გაიგო და მოლანდებასავით გაუქროლა წინ მეფის ახლობლებს.

ერთხანს ასე უკანმოუხედავად აჰენა ცხენი... მერე, ლელიანი რომ მოხშირდა და ტიტველი ველი დაილია, კანჯრების კვალიც დაიკარგა.

სანახევროდ დამშრალ ტბას გადაადგა ცოტნე და ცხენი შეაჩერა.

წინ ლელშემომდგარი უზარმაზარი ტბის მეტი არა იყო რა, მარჯვნივ სიციხისაგან გავარვარებული კლდეები აყუდებულიყვნენ, ხოლო მარცხნივ გაუვალი ლელი ამართულიყო კედლად.

წამით დაფიქრდა ცოტნე, ვერ გადაეწყვიტა, მარჯვნივ წასულიყო და კლდე-კლდე ევლო, თუ უკან გაბრუნებულიყო.

ცხენს სადავე მიუშვა და ლაფშამ თვითონ გაიკვლია გზა უზარმაზარ ლოდებსა და გორმახებში. რაკი ცხენმა თვითონ აირჩია გზა, ცოტნემ აღარ დაუშალა და ცხოველის გუმანს მიჰყვა. ერთხანს ასე იარა, ცხენსმინდობილმა, გახურებულ კლდეებში. მერე ლაფშა წყურვილმა თუ ალლომ იმ კლდეების ხვეულებიდან გამოიყვანა და ისევ ტბას გაუსწორდნენ.

წყლის დანახვაზე აჭიხვინებულმა ლაფშამ ტბისკენ აუჩქარა ნაბიჯს, ფრუტუნით დახარა თავი და დაეწაფა.

ცოტნემ სადავე მოსწია, ჭენებისაგან გაქაფული ცხენი ერთბაშად წყურვილის მოსაკლავად არ მიუშვა, წყალი სვენებ-სვენებით დააღვეინა. მერე დაიქვეითა, ლაფშას მოსართავეები მოუშვა და ლაგამი წაუყარა. ცხენმა წყლით გული იჯერა, თავი აიღო, ყური ცქვიტა და გაიღურსა. მერე ერთი თავი დაიქნია, დაიფრუტუნა, ყელი მოიღერა და შესჭიხვინა.

უკანიდან, კლდეების მხრიდან გაისმა ცხენის საპასუხო ჭიხვინი და ცოტნემ პირი იქით იბრუნა.

სადღაც, ახლო ესმოდა ცხენის ჭიხვინი, ლაფშამ თავი აიღო და იქით წავიდა. ცოტნე ცხენს მიჰყვა.

კლდეებს გასცდნენ და ლელით მოზღუდულ ტრამალს გადაადგნენ. ტრამალზე მეფის ლურჯა დაყიალობდა, აღვირს მიწაზე მიათრევდა და დრო და დრო განწირულის ჭიხვინით უხმობდა ვიღაცას.

ცოტნემ მეფის ლურჯა იცნო და ცუდად ენიშნა. კლდეებზე სირბილით დაეშვა და, ის იყო, ლურჯას შეპყრობა დააპირა, რომ წინ წასული ლაფშა ადგილზე შედგა და ტორით მიწას დაუწყო ცემა.

ცოტნეს გულმა ცუდი უგრძნო. სუნთქვაშეკრული ფეხისთრევით მიუახლოვდა ლაფშას და მოულოდნელობისაგან გაქვავდა: სისხლის გუბეში გულადმა იწვა თვალდახუჭული ლაშა.

ზარდაცემული ცოტნე გახევებული იდგა, გონდაკარგულივით დაჰყურებდა მეფეს და ახლო მისვლისა ეშინოდა. ვაითუ, ცოცხალიც აღარ არისო, ფიქრობდა სასოწარკვეთილი და არ იცოდა, რა ელონა.

როგორც იყო, ნაბიჯი გადადგა, ლაშასთან ჩაიჩოქა და ფრთხილად მისწვდა მეფის მაჯას.

მაჯა სუსტად სცემდა. მეფე ცოცხალი იყო.

ცოტნემ სისხლის გუბეს დახედა. იმ გუბიდან სისხლის კვალი ბაწარივით გაბმულიყო ცხელ ქვიშაზე და ლელიანისაკენ მიდიოდა.

მეფეს სწრაფად უნდოდა შველა, ბევრი ფიქრის დრო არ იყო.

ცხენის ფეხის ხმა მისწვდა ცოტნეს ყურს. თავი მიაბრუნა და შვებით ამოისუნთქა:

მხარგრძელი და ახალციხელი, ბაკურციხელი და თმოგველი გამოჩნდნენ. ტბასთან მიიჭრნენ, დაიქვეითეს და მეფეს თავს დაადგნენ.

ახალციხელი ლელიანისკენ წაგრძელებულ სისხლის კვალს დააკვირდა.

\_ ლელიანს ალყა შემოარტყით! \_ უბრძანა მხლებლებს.

მსახურები ბრძანების ასასრულებლად დაიდრნენ.

მეფე ხელდახელ გამართულ საკაცეზე დააწვინეს და ბაგავანისკენ წაიყვანეს.

ლელიანში დაჭრილ ვეფხს წააწყდნენ მეფის მსახურები. მუცელგამოფატრული ვეფხი სულს ლევდა და მსახურებმა მაშინვე დაასკვნეს, რომ მეფე და ვეფხი საბედისწეროდ შებმოდნენ ერთმანეთს.

ალბათ, ყველა ირწმუნებდა ამ ნათქვამს, ლელიანშივე მოკლული ასასინი რომ არ ეპოვათ. ისმაილიტს სასიკვდილო ჭრილობა ხმლით ჰქონდა მიყენებული. ამ ამბავმა სულ დააბნია ყველა: ზოგნი რომ ვეფხს თვლიდნენ მეფის მოკლულად, სხვები იმას ამტკიცებდნენ, რომ მტრებისაგან საქართველოს მეფის მოსაკლავად მიგზავნილი ასასინი მეფის ხმლით იყო მოკლული.

ლაშას გულმკერდი სწორედ იმ ადგილას იყო გაგლეჯილი, სადაც მონგოლის ისრით მიყენებული ჭრილობის ნაკვალევი აჩნდა დაღად.

კარგა ხნის წინ ძლივსძლივობით პირშეკრულმა ნაჭრევა ისევ დაალო პირი და საშველი აღარ დაადგა. სისხლის დენა არ შეწყდა და დაფლეთილი ნაიარევი არ დაცხრა.

მეფის ფარულმა მტრებმა მიზეზი იშოვეს რუსუდანისა და შირვანშაჰის ქორწინების ჩასაშლელად. რა დროს სასიძოს ლოდინია, მეფე ხელიდან გვეცლებო, აბუზღუნდნენ და სასწრაფოდ ხელმწიფის თბილისისაკენ წაყვანა მოითხოვეს. წამოიყვანდნენ კიდევაც მეფეს, მაგრამ მკურნალმა ფეხი მოიდგა და გადაჭრით განაცხადა:

\_ როგორც კი ადგილიდან დამრავთ, სისხლის დენა იმატებს და თბილისამდე სული არ ჩაყვება, თუ მეფის სიკვდილი არ გინდათ, აქ უნდა იწვეს გაუნძრევლად, ჩემს დასახმარებლად სხვა ხელოვანი მკურნალებიც იხმეთ თბილისიდან და აქ ვცდით ყველა ღონესა და წამალს.

მეფის მკურნალის ამ ნათქვამის ანგარიშგაუწევლობა ველარავინ გაბედა და ხელმწიფის სიცოცხლის სასწორზე შეგდება ვერავინ იკისრა.

მარტო თბილისიდან კი არა, შირვანიდან და ადარბადაგანიდან, ანისიდან და ტრაპიზონიდანაც კი დაიბარეს ექიმები, ყველა წამალი და ღონე სცადეს, მაგრამ მეფეს საამქვეყნო პირი აღარ ჰქონდა, მომჯობინების მაგივრად, დღითიდღე ილეოდა და სუსტდებოდა.

იმ დღეს დილიდან კარგ გუნებაზე გაიღვიძა მეფემ.

\_ ცოტნე და სარგისი სად არიან? \_ იკითხა ლაშამ, ოდნავ რომ მოიხედა.

\_ აქ გახლავან, ღამეებს ათევენ თქვენს კარავთან, \_ მოახსენეს და მეფის სახეზე კმაყოფილების ღიმილი გაკრთა.

\_ მიხმეთ! \_ ბრძანა ლაშამ და ხელით ანიშნა.

მეფის კარავში ცოტნე დადიანი და სარგის თმოგველი შემოვიდნენ გაკრძალულნი, მუხლებზე დაეცნენ და ხელმწიფე მოიკითხეს.

– დასხედით, – სელზე ანიშნა შემოსულთ ლაშამ და გაუღიმა.

გალახულებივით წამოდგნენ. სნეულის ცქერას მის საწოლთან დამხოზა ერჩიათ, რადგან მეფისაკენ თვალის გაპარებაც კი შიშითა და შფოთით ავსებდა ერთგულ მოყმეებს.

ლაშა ძვალი და ტყავილა იყო. იგი ლანდსაც აღარ ჰგავდა სიცოცხლითა და ხალისით სავსე იმ ხელმწიფისას, სულ რამდენიმე დღის წინ რომ სანადიროდ მიუძღოდათ და გაფრენილ ნადირს ისრის ერთი ტყორცნით სცემდა ძირს უსულოდ. გალეული, ფერდაკარგული მეფის დანახვისთანავე ორივემ ეს გაიფიქრა, ნეტავ სული სადღა უდგასო. მერე თანდათან შეეჩვივნენ ცოცხალმკვდარი მეფის სიახლოვეს ყოფნას და გარემოების შესაფერისად იწყეს სნეულის გამხნეება.

– მაदლი უფალს, რომ წამლებმა გარგეს და კვლავ იწყო ქართველთა ბედნიერების მზემ აღმობრწყინებად, – მაღალფარდოვნად თქვა თმოგველმა და თავს ძალა დაატანა, რომ იმედიანი ღიმილი მოეშველებინა.

ლაშამ ხელი ჩაიქნია.

– ამოება ამოებათა, და ყოველივე ამაო... საიდანაც მოვედით მუნვე მივიქცევით და არ არის მთქმელი იმისა, თუ რატომ მოვედით, ან რატომ მივდივართ, – მწარე ღიმილით თქვა ლაშამ, მერე ცოტა შეისვენა, თვალი დახუჭა და მისუსტებული ხმით ოდნავ წაიმღერა:

არას გვარგებს სიმძიმელი,  
უსარგებლო ცრემლთა დენა;  
არ გარდავა გარდუვალად,  
მომავალი საქმე ზენა...

– ეგრეა, სარგის? სწორად ვთქვი?

– ეგრეა, ხელმწიფევ, სწორად ბრძანეთ, მაგრამ რუსთველი იმასაც დასძენს:

წესი არის მამაციისა მოჭირვება, ჭირთა თმენა!

– აკი ვითმენ, სარგის... ვითმენ, მაგრამ რისთვის? – ამოიკვნესა ლაშამ და ტკივილისაგან სახე დაეღმიჭა. თმოგველს თვალზე ცრემლი მოერია, ცოტნეს გახედა – დადიანს თავი ხელებში ჩაერგო და მხრები უთრთოდა. ცოტნესაგან რომ ელოდა გულის გამაგრებას, თურმე თვითონ ის ყოფილა გასამხნეველი. შეეშინდა, მეფე თვალს გაახელს და მტირალეები არ გვნახოსო; ცრემლი მოიწმინდა და ოდიშის მთავარს მკლავზე ხელი მოუჭირა.

ცოტნემაც ცრემლი შეიმშრალა და თავი დაღუნა, რომ ნამტირალევი სახე მეფისათვის აერიდებინა.

– ალბათ, ეს იყო განგება და ბედისწერა, ჩემო ცოტნე... როგორ გამოეყო ის ერთი კანჯარი ჯოგს და როგორ გამიყოლია. ისე მიხვეულ-მოხვეული ირბინა, დამიზნება და ისრის ტყორცნა ვერ მოვასწარი. კლდეებში შემიტყუა და... ვაი!...

– ამოიგმინა უცებ ლაშამ და მკურნალი ლოგინისაკენ გაჰქანდა.

ხელმწიფე ტკივილისაგან დაიგრიხა. შუბლზე ჭირის ოფლი დაასხა, მიყუჩდა და თითქოს აღარ სუნთქავდა.

ექიმმა წამალი აყნოსა. ლაშამ ღრმად ამოისუნთქა და უცებ ძილში წასულივით მოეშვა. ფერდაკარგული ცოტნე და სარგისი ფეხაკრეფით გამოვიდნენ მეფის საწოლიდან.

იმ საღამოს მეფემ ზიარება ითხოვა. დისა და დიდებულების თანდასწრებით ანდერძი ბრძანა და განისვენა.

მეფის სიკვდილის გამო ბევრი მითქმა-მოთქმა იყო. მგოსნებმა ასასინის მახვილით მეფის მოკვლის ჭორი არაფრად ჩააგდეს, ჭაბუკი მეფისა და ვეფხის შებმის ამბავი ლექსებად გამოთქვეს. ხალხმა ის ლექსები ზეპირად ისწავლა და თაობიდან თაობას თქმულებად დარჩა ვეფხებთან მეომარი მეფის გმირობისა და ლამაზი სიკვდილის ამბავი.

ლაშას მიცვალება და რუსუდანის გამეფება, სხვას, მეფის დასთან ცოტნესავით ახლობელს, დიდად გაახარებდა, მაგრამ ოდიშის მთავარს მეხად დაატყდა სამშობლოს ეს უბედურება.

სამშობლოს ძლიერებისათვის ოცნებას კიდევ ერთი ბოძი წაექცა და ცოტნემ ფაზისის განადგურებაზე მეტად ჭაბუკი მეფის დაღუპვა განიცადა.

მაგრამ ქართველებისთვის დიდი თამარის შემდეგ ქალის გამეფება ახალი და ცუდის მომასწავებელი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. რუსუდანს ვაზირები და დიდებულები მხარში ამოუდგნენ, ქვეყნის მშვიდობიანი, ძლევამოსილი ცხოვრება გრძელდებოდა და ცოტნე ერთგულად ემსახურებოდა ტახტსა და დაზე უფრო საყვარელ გვირგვინოსანს.

ამასობაში კრავაიმ ნანატრი ქალ-ვაჟი შესძინა ოდიშის მთავარს და ისევ გაივსო სიხარულითა და ბედნიერებით ცოტნეს გული.

ეს ბედნიერება, ალბათ, დაუსრულებლად გაგრძელდებოდა, საქართველოს ბედი რომ უეცრად ჩარხუკულმა არ დატრიალებულიყო.

მოულოდნელად მონგოლებისაგან დევნილი ხვარაზმმა მოადგა საქართველოს სამეფოს საზღვრებს.

ქართველები ხვარაზმის დამპყრობ მონგოლებზე ერთხელ გამარჯვებულად თვლიდნენ თავს და ეჭვიც არავის ჰქონდა, რომ იმ მონგოლთაგან ლტოლვილ სულტანს კუდიტ ქვას ასროლინებდნენ და საქართველოსკენ ავად გამოხედვის სურვილს სამუდამოდ დაუკარგავდნენ.

მაგრამ მოხდა ის, რასაც არავინ ელოდა და ვერავინ წარმოიდგენდა: საქართველო გარნისის გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდა, ხვარაზმელებმა თბილისი აიღეს და მოაოხრეს.

და ისევ ავარდა ჯოჯოხეთური ხანძრების ალი, ფაზისი რომ მოსპო. ცოტნეს თვალწინ ახლა უკვე მარტო ოცნება კი არ დაიმსხვრა, არამედ იმ ოცნების საფუძველთ საფუძველი, ას წელიწადს ნაშენი საქართველოს დიდება და ძლიერებაც დაემხო.

რუსუდან მეფემ ლაშქარს რომ ივანე მხარგრძელი უთავა და სეფე დროშაწამდვარებული გარნისისკენ გაისტუმრა, თვითონ დღედღეზე



მოლოგინებას ელოდა. ვითარცა მკვიდრსა და ახლობელს, ცოტნეს ცრემლით შეევედრა, არ დამტოვოო და, მთავარსაც მეტი რა გზა ჰქონდა, დედოფლის კარზე დარჩა.

ახლადმოლოგინებული დედოფალი ლიხთიმერეთს ისე სწრაფად გაიხიზნა და ისე ჩქარა შემოვიდნენ დედაქალაქში ხვარაზმელები, ქართველებმა სამეფო სალაროს წაღებაც ვერ მოასწრეს და მტერს აურაცხელი ქონება ხელთ ჩაუვარდა.

თბილისისათვის ბრძოლაში დაიჭრა ცოტნე დადიანიც. საკაცეზე დაწოლილი რომ მიჰყავდათ, შორიდან ხედავდა ოდიშის მთავარი თბილისის ცაზე ატყორცნილ ხანძრის სვეტებს და გულჩამწყდარი სტიროდა სამშობლოს დიდების დაცემას.

მეორედ ეკიდა ბეწვზე ცოტნეს სიცოცხლე. ზოგჯერ გადარჩენის იმედს ჰკარგავდა და წყალწაღებულივით ხავსს მოეჭიდებოდა: დაე, მოვკვდე, სამშობლოსთვის თავდადებას ვოცნებობდი და, მადლობა ღმერთს, ასრულდა ჩემი ნატვრა და ოცნებაო. ასეთ წუთებში ივლიანე მოძღვრის ჩაგონება გაახსენდებოდა, თვალს მოხუჭავდა და გმირთა გულ-ღვიძლის მკორტნელი არწივის მოსვლას ელოდა.

მაგრამ ამირანის არწივი არ მოდიოდა და ცოტნე ხვდებოდა, რომ მის მიერ ჩადენილი ვაჟკაცობა ის გმირობა არ იყო, რომლისთვისაც არწივს უნდა მოენახულებინა და გულღვიძლის კორტნის სიამე განეცდევინებინა.

მხოლოდ ერთხელ მოესმა დაჭრილს ამირანის არწივის მძლავრი ფრთების ტყლაშუნი.

დაპყრობილი ხალხების შეუწელებელი წინააღმდეგობით გაბოროტებული ჯალალედინი ხან ხლათს აწყდებოდა, ხან თბილისს, ხან თავრეხს გარბოდა აჯანყების ჩასაქრობად, ხან შემახას. მამის სამკვიდროს დაბრუნებისა და ხვარაზმმას უნაპირო სამეფოს აღდგენის იმედი თანდათან იწურებოდა და, მონგოლთა მხედრობასთან გადამწყვეტი შეზმის ჟამი არ დგებოდა. კიდევ კარგი, მონგოლები ჯერ შორს იყვნენ, თორემ ხვარაზმის ლტოლვილ სულტანს მათთან შესაბრძოლებლად აღარც ლაშქარი ჰყავდა, აღარც ოქრო გააჩნდა, რომ ჯარი დაექირავებინა და აღექურვა.

მართალია, საქართველოს დედაქალაქის აღებამ ერთხანს წელში გამართა, მაგრამ, რომ იტყვიან, ზღვა კოვზით დაშრაო, თბილისში ხელთნაგდები ქართველთა მეფის სალაროც მალე დაცარიელდა, რადგან ყოველდღე ბლომად აკლდებოდა და შესავსებად არაფერი ემატებოდა. იმ ნადავლის დიდი ნაწილიც ისევ საქართველოში ფეხის მოსაკიდებლად იხარჯებოდა, ისევ აჯანყებულ ქართველთა დამორჩილებისათვის აღმა-დაღმა ლაშქრის გაგზავნასა და წყობას ხმარდებოდა.

საქართველოს მეფეს ქვეყნის ნახევარი კიდევ ხელთ ეპყრა და იმ ნახევრიდან ხვარაზმელთაგან დაპყრობილ მეორე ნახევარს მუდმივ მოსდიოდა ჯარი და საჭურველი. სანამ საქართველოს სამეფოს მთლიანად არ

დაიმორჩილებდა, ჯალალედინი თბილისში მოსვენებულ ჯდომაზე ვერ იოცნებებდა. ეს რომ ასე იქნებოდა, იმთავითვე მიხვდა სულტანი, მაგრამ ვერ იქნა და ლიხთიმერეთში ვერ შევიდა, ძნელად გადასასვლელ უღელტეხილებში ჩასაფრებული ქართველების სიფხიზლეს ვერ გაუსხლტა და, არაერთხელ ქუთაისის ასაღებად გალაშქრებული, უკან პირში ჩალაგამოვლებული მობრუნდა.

რაც დრო გადიოდა, შფოთი მატულობდა და ჯარის შესანახავი ოქრო ძნელი საშოვარი ხდებოდა. ხვარაზმშას ისედაც ცეცხლი ედებოდა ქუთაისს შეფარებულ ქართველთა მეფის გახსენებაზე და ახლა, როცა დაცარიელებული სალაროს შევსება უპირველეს საზრუნავად ექცა, ლიხთიმერეთს გალაშქრების მომხრეთა მუდმივი შეგონება თანდათან ერთადერთ გამოსავალად ესახებოდა.

– თბილისში ქართველთა მეფის საჭურჭლის მხოლოდ უმცირესი ნაწილი ჩაგვივარდა ხელთ, ქართველთა მთავარი განძი ქუთაისთან, მთებშია თურმე საიდუმლოდ დაცული.

– ის განძი რომ ხელთ ვიგდოთ, თუგინდა მთელ საისლამოს შეაიარაღებ და იმოდენა ჯარს დაიქირავებ, მონგოლებს ერთად წალეკავენ.

– ქუთაისის ალებით თბილისშიც ფეხს მოიმარებ, საქართველოს დედოფალს ცოლად დაისვამ და ამით ქართველობას დაიმორჩილებ. მერე თვითონ ქართველებსაც შენს ლაშქარს შეუერთებ და მონგოლების წინააღმდეგ აბრძოლებ.

მსგავსი შეგონებანი ჯალალედინს ცეცხლზე ნავთს უსხამდა, ქუთაისზე გალაშქრების წამქეზებლებს ყური მიუგდო და ლიხთიმერეთის დაპყრობაზე ფიქრით ძილი გაუტყდა.

რკინის ჯვრისა და რიკოთის უღელტეხილებზე არაერთგზის ნაგემებმა მარცხმა სულტანს სხვა, ნაკლებ ცნობილი გზების მეზნა ჩააგონა... ერთგულ ემირებთან ერთად რუკების ჩხრეკა დაიწყო. ქართველებს შორის გზების მცოდნეთა გამოკითხვას ფრთხილად შეუდგა.

– კიდევ ყოფილა მესამე გადასასვლელი, სურამის გადასასვლელზე ძნელიც არის თურმე და გრძელიც, მაგრამ იმ უღელტეხილიდან ლიხთიმერეთში მტრის ჯარი არასოდეს გადასულა, ქართველები იქიდან საფრთხეს არ ელიან და ამიტომ იქ არც ჯარი ჰყავთ, არც სიმაგრეები აქვთ ნაშენები. თუ ფრთხილად და საიდუმლოდ ვიმოქმედებთ და იმ მესამე უღელტეხილიდან გადავალთ, ლიხთიმერეთში ჩვენი გამოჩენა მტრისთვის მოულოდნელი იქნება და ფიქრიც რომ არ ექნებათ, ისე შევესევით ქუთაისს.

– მაინც რამდენად უფრო გრძელი იქნება ეგ გზაო, – იკითხა და, როცა აღმოსავლეთის უნაპირო ველების მპყრობელი ხვარაზმშას შვილს რაღაც უმნიშვნელო განსხვავება უთხრეს, იმ გზის სიგრძეზე ლაპარაკი სიცილად არ ეყო.

მეორე გაფრთხილება გზის სიძნელეზე უფრო ანგარიშგასაწევი იყო; მაგრამ ჯალალედინს გული მუდამ მეტი ხიფათისაკენ მიუწევდა და საშიშროება ახლაც არაფრად ჩააგდო.

– ქართველები ვერც იმას იფიქრებდნენ, რომ გარნისს ავიღებდით. ამ ძნელ გზასაც დავძლევთ და გულარხეინ ქართველებს ერთხელ კიდევ შევაგნებინებთ, რომ გულადი მეომრისათვის აუღებელი ციხე და გადაულახავი უღელტეხილი არ არსებობს.

რაკი ჭერეთხევით ლიხთიმერეთს გადასვლის რჩევა ჭკუაში დაუჯდა, ჯალალედინი სალაშქროდ მომზადებას შეუდგა. გადასასვლელისკენ საიდუმლოდ გაგზავნა მზვერავები და წინასწარ ხმა დაარხია, არზრუმისკენ უნდა გავილაშქრო. ნამდვილად კი ლაშქრის გაკაზმვას მორჩა თუ არა, ბორჯომის ხეობისკენ მხოლოდ ჯარის ერთი ნაწილი გაგზავნა. იმ ჯარსაც ღამით უკან შემობრუნება და გომიდან ჭერეთხევისაკენ იმ გზით სვლა უბრძანა, რომლითაც თვითონ მიდიოდა უმთავრესი ლაშქრით.

ლიხთიმერეთში ჯალალედინის განზრახვა დროზე შეიტყვეს. უკვე მეფის ვაზირად აღზევებულმა ცოტნე დადიანმა საიდუმლოდ ჯარის წვევა და კაზმვა იწყო და როცა თბილისიდან ხვარაზმელი სულტანი სალაშქროდ დაიძრა, ქართველებს უღელტეხილის ვიწროები უკვე შეკრული ჰქონდათ.

ჯალალედინის ლაშქარი მრავალრიცხოვანი იყო და რიცხვით მცირე ქართველობას მასთან ვაკეზე გამკლავების იმედი არ ჰქონდა. მაგრამ თუ მტერს ვიწროებში დაესხმოდნენ თავს, იქ დიდი ლაშქარი გაშლას ვერ შესძლებდა და ყველაფერს სისწრაფე და თავდასხმის მოულოდნელობა გადასწყვეტდა.

ქართველებმა თავიანთი მხედრული ანგარიში სწორედ ამ მოულოდნელობასა და ადგილის სიმარჯვეზე დაამყარეს.

ხეობის ორივე მხარე ხშირი ტყით იყო დაფარული. მთის მდინარეს ისე ვიწრო გზა მიჰყვებოდა, ორი აჩაჩა ურემი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლიდა. ღრმა ხეობაში ჩავარდნილი მდინარე დაკლაკნილი მიედინებოდა. გზა ხან მდინარეს მოჰყვებოდა, ხან აღმა-დაღმა ფერდობს გასდევდა და ზოგჯერ ისე მალღებოდა, ხევის ძირამდე თვალის ჩაწვდენის შეგეშინდებოდა.

ხვარაზმელთა ლაშქარმა სამხრობისას მიატანა ვიწროებს. მრავალრიცხოვანი ქვეითი და ცხენოსანი ერთხანს შეგუბდა, მერე ბაწარივით გაიჭიმა და ასე დაწვრილებული წყობით შეჰყვა ხეობას.

თავად ჯალალედინი მეწინავე რაზმს მიჰყვებოდა. თუმცა წინ გაგზავნილ მზვერავებს ჩქარ-ჩქარა მოჰქონდათ ამბავი, რომ გზა თავისუფალი იყო და ხიფათი არსაიდან ელოდა, გამოცდილი სარდალი მიხვდა, ესოდენ ვიწრო ხეობაში ამოდენა ლაშქრით შემოსვლა მეტისმეტი სითამამე იყო.

ხეობაში ბინდი წვებოდა, მთავარი აღმართები და ძნელად გასასვლელი ვიწროები ჯერ კიდევ შორს იყო. ბნელ ღამეში იმ გზების გავლა ერთიორად გაჭირდებოდა და მტრის თავდასხმის საფრთხეც გაცილებით საშიშად ეჩვენებოდა ჯალალედინს.

სარდლებს მოეთათბირა და როგორც კი ხეობაში ცოტა გაშლილ ადგილს მიაღწია, შეჩერება ბრძანა.

კარვები გამართეს და ცეცხლი დაანთეს. სულტნის კარავი მალლობზე დადგეს. შუალამემდე სუფრას უჯდა ჯალალედინი. ნაშუალამევს თავის

ტკივილმა შეაწუხა, დასაწოლად წამოდგა, გუშაგებს ჩამოუარა და ემირები სასტიკად გააფრთხილა, მორიგეობით ეფხიზლათ; მერე კარავში შევიდა, მსახურს არ უხმო გასახდელად. თაჯი და ქამარ-ხანჯალი სასთუმალთან დაიდო და ერთი პირი გაუხდელად დაწოლა დააპირა. ლოგინზე გაიშოტა და დიდხანს ამაოდ იტრიალა. ვერ იქნა და ვერ მოისვენა, ცალკე სიცხე აწუხებდა და ცალკე თავის ტკივილი. სხვა ვერაფერი მოიფიქრა და ტანსაცმელი გაიძრო. ცოტა შვება იგრძნო. ფიქრმა წაიღო და ძილი ისე მოეპარა, ვერც გაიგო.

დღისა და ღამის გაყრის საათი რომ დგებოდა, ხეობაში მძიმე სიჩუმე ჩამოწვა. ის დრო იყო, ერთ პირ ძილს რომ წყალიც იძინებს, ჩამქრალი ცეცხლი აქა-იქ კიდევ ინავლებოდა, ხეზე ფოთოლი არ ირხეოდა და მძინარეთა სუნთქვაც აღარ ისმოდა.

ძილისგან თავწართმეული გუშაგები თითქოს გაქანებული ზვავის ხმაურმა გამოაღვიძა.

ხეობის ორივე მხრიდან დამაყრუებელი შლიგინი ატყდა. სადღაც ცხენებმა დაიჭიხვინეს და ფერდობებზე უთვალავი ქვეითი და ცხენოსანი დაემშა შიშველი ხმლების ქნევით, სტვენითა და ყიჟინით.

მძინარე ლაშქარს შეესივნენ, ერთი ნაპირიდან მეორემდე ხმლის ქნევით გაიარეს და წამში ყველაფერი ერთმანეთში აირია – ქვეითი და ცხენოსანი, მძინარე და გაღვიძებული, მომხდური და დამხდური. თავდამსხმელმა ორგან შუაზე გაჰკვეთა ბანაკი, მერე ალყაში მოქცეულებს დაერივნენ და უწყალოდ დაუწყეს ჟლეტა.

ხმალამოწვდილი ემირები თავისიანებს უყვიროდნენ და ამხნეებდნენ. არეული ჯარის დაწყობას ცდილობდნენ და ხმალს გამეტებით იქნევდნენ, მაგრამ ხეირიანად გამოუფხიზლებელი ხვარაზმელები გასაქცევს ეძებდნენ და დამფრთხალი ჯოგით ხან ერთ მხარეს აწყდებოდნენ, ხან მეორეს. ბოლოს თავკვე მიეძალნენ, მიაწვნენ და ბრძოლაც შენივთდა.

ცოტნე ცხენდაცხენ იბრძოდა, ხმალს მარჯვნივ და მარცხნივ აელვებდა და ბრძოლის შუაგულისკენ მიიწევდა.

იქ, შუაგულში ჯალალედინის ემირებს წყობა შეეკრათ და თავგამეტებით იბრძოდნენ. სულტანიც ნამდვილად იქ არისო, გაუელვა ცოტნეს ფიქრმა და ცხენი იქით მიმართა. ორი თავჩალმიანი მოუხდა პირისპირ, ერთს ხმალი მოუქნია და მეორეზე ცხენი მიაგდო. ორთავეს განწირული ღრიალი აღმოხდა და ცოტნემ უკან მოხედვაც ვერ მოასწრო, რომ მახვილი აძგერეს. ეტყობოდა, ცხენიც დაჭრეს, ლაფშამ გამყივანად დაიჭიხვინა, ყალყზე შედგომა სცადა და ცხენოსნიანად ხევში გადაიჩეხა.

ცხენიდან გადმოვარდნილ ცოტნეს წამით მოეჩვენა, რომ უძირო ხრამში ჩაეშვა. ჭაში ჩაგდებულ ქვასავით მძიმედ მიექანებოდა ბნელ უფსკრულში. უსასრულო სიღრმეს ბოლო არ ჰქონდა, შეჩერება არსად შეიძლებოდა. დაქანებული ცოტნე ხელ-ფეხს ამაოდ ასავსავებდა. წყვდიადში თვალი ვერაფერს ხედავდა და დამაყრუებელი შუილის მეტი ყურში არაფერი ესმოდა. ის შუილი ზღვაურვით ხან ერთბაშად მოაწყდებოდა ყურს, ხან თითქოს უკან

იხევსო, ნელ-ნელა წყნარდებოდა და ნაზ, სმენის დამამებელ შრიალადღა აღწევდა ცოტნეს გონებამდე.

მერე სადღაც დაეშვა, მთელმა სხეულმა სისველე იგრძნო და პირველად ეს ეგონა, ზღვაში ჩავვარდიო. ის სისველე ბადაგივით სქელი და თბილი იყო. სხეულში ჟრუანტელივით გაატანა, ძვალსა და რბილში მომთენთავად გაუჯდა, ეამა და ესალბუნა.

კიდევ ცოტაც და, ყველაფერი ისე დატრიალდა, თავი ტყვიასავით დაუმძიმდა და შეგრძნებისა და შეცნობის უკანასკნელი კვალიც წაიშალა.

თვალი მეორე დღესღა გაახილა. მდიდრულად მორთულ კარავში მზერა უღონოდ შემოატარა. ყველაფერი ეუცხოვა, ალბათ, სიზმარს ვხედავო, გაიფიქრა და თვალი ისევ დახუჭა.

– გღვიძავს, მთავარო? მადლობა უფალს, რომ უკეთა ხარ და ისევ მოგვხედე!  
– ჩაესმა ნაცნობი ხმა.

ცოტნემ თვალი გაახილა: ტახტის ბოლოს, ძვირფას ნოხზე ჩაჩოქებული გუგუტა იმედჩამდგარი თვალით შეჰყურებდა და ძილად მივარდნილი პატრონის თვალის გახელას ცის გახსნასავით ელოდა.

– გუგუტა! – წაიჩურჩულა ცოტნემ და თვალი ისევ მილულა.

– აქა ვარ, მთავარო! – წამოხტა ერთგული ყმა, სასთუმალთან მიიჭრა, ჩაიჩოქა და ჩაჰკითხა:

– ხომ უკეთა ხარ, ბატონო? ექიმები ამბობენ, გადარჩენილია და აწი აღარაფერი უჭირსო.

ცოტნემ თავი უღონოდ გადააქნია.

– კი, ბატონო, ნამდვილად ასეა, ჭრილობა ღრმა არ ყოფილა, მუზარადში ძლივს გაუტანებია ურჯულოს ხმაღს. ჰაი, დედასა, რომ იქ არ ვიყავი, თორემ ხმლის დასაკრავად შენსკენ როგორ მოვუშვებდი?

გუგუტა ბატონისაგან, ალბათ, კითხვას ელოდა, სად იყავიო, და რაკი ცოტნე არ შეეკითხა, თვითონვე განაგრძო მოყოლა.

– ის იყო, ინათლა და, მზის პირველ სხივებზე ამ კარვის გუმბათიც გაბრწყინდა. მე კარვის სილამაზემ მომტაცა თვალი და როგორც კი ვიღაცამ დაიძახა, ხვარაზმმა იქ არისო, ყველაფერი დამავიწყდა, ცხენს სადავე მივუშვი და ხმაღამოღებული აქეთ გამოვქანდი. გზა სულტნის მცველებმა გადაგვიღობეს და ხელჩართული ბრძოლა გაგვიმართეს. ვიდრე იმათ გავუსწორდებოდით, შევყოვნდით. სულტანმა ცხენზე ამხედრება მოგვასწრო და გაჰქუსლა. რას ვიფიქრებდით, თუ საცვლების ამარა, უხმლოდ და უხანჯლოდ გაქცეული მოლანდება ხვარაზმმა ჯალალედინი იქნებოდა. სულტნის კარავში შემოვცვივდით, ახალ აშლილ ლოგინზე ჯალალედინი აღარ დაგვხვდა. ეს ოქროს ქამარ-ხანჯალი სასთუმალთან იდო, სამეფო თაჯი და სულტნის ძვირფასი ტანსაცმელი სკამზე ეწყო ხელუხლებლად.

სიჩქარისაგან უბედურს ვედარც ჩაცმა მოესწრო, ვედარც გვირგვინის დადგმა და იარაღის ასხმა. მარგალიტებითა და პატიოსანი თვლებით გაწყობილმა თაჯმა ყველას თვალი მოგვჭრა. ირგვლივ შემოვხევიეთ და

ბავშვებივით დავუწყეთ ხელით სინჯვა. ამასობაში ვიღაცამ დაიძახა: სულტანი გაიქცა, არ გაუშვათ, დაეწიეთო. ისევ გიჟებივით გამოვვარდით კარვიდან, ცხენებს მოვახტით და გამოვედევნეთ, მაგრამ ცამ აიტაცა თუ მიწამ ჩაყლაპა, ველარაფერი შევიტყვეთ, ველარც თვალი მოვლანდეთ და ველარც კვალი ვიპოვეთ მისი. მაინც, რა ცხენი ჰყოლია ამისთანა, რომ აგრე ჩიტივით გააფრინა. ფეხად კი გაგვასწრო იმ რჯულზე ხელაღებულმა, რომ გვემარჯვა და ერთი წუთით ადრე მოვსულიყავით, ამ კარავში მწოლარეს დავადგებოდით თავს და ნამდვილად ცოცხალს შევიპყრობდით. საწყენია, ხელიდან გაგვისხლტა, მაგრამ ისე გულგახეთქილი გაიქცა, აქეთ პირს აღარ იზამს. ახლა რამდენი ტყვე და ალაფი დაგვრჩა! მარტო ეს თაჯი რადა ღირს, ხვარაზმშაჰების გვირგვინი.

გუგუტამ თაჯი კრძალვით აიღო და ცოტნეს მიუტანა.

– არც ამოდენა ალმასები და მარგალიტები მინახავს ჩემს დღეში და არც ამოდენა ლალ-ზურმუხტები, – აღტაცებით თქვა გუგუტამ და თაჯი მალა ასწია.

ცოტნემ თვალი უხალისოდ გაახილა, თაჯს გულგრილად შეხედა, ხელი ჩაიქნია და ისევ მიხუჭა თვალი.

ნაომარ ველზე მთავარანგელოსი გამოსულა, ცეცხლოვან მახვილს იქნევს და დაღუპულთა სულებს ჰკრეფს. აგერ, ცოტნეს წუხანდელ მსხვერპლთ, შერგილისეული ხმლით განგმირულ ხვარაზმელ ჯარისკაცებს დასწვდა, სულები ამოართვა და ცოტნესკენ მოხედვაც არ ინება, ისე დააპირა გზის გაგრძელება.

ცოტნემ კრძალვით შეახო ხელი ცეცხლოვან ფრთაზე და ჩურჩულით შეევედრა:

– ძალდიდებულო მთავარანგელოსო! წამიყვანე, ჩემი დროც დადგა.

მთავარანგელოსი შეჩერდა, ოდიშის მთავარს შუბლზე დააცქერდა და უარის ნიშნად თავი გაიქნია:

– არა, შენი დრო ჯერ არ დამდგარა, შუბლზე გაწერია, რომ წინ კიდევ დიდი გზა გაქვს.

– აღარ მინდა, დავიღალე ამ გზაზე სიარულით. მადლობა ღმერთს, საქართველოს ამაოხრებელი იძლია, სამშობლოს მტერს გულმართლად შევაკვდი და სხვა ამ ქვეყნისა აღარაფერი მმართებს.

– მტრის შეკვდომაზე ადვილი რა არის? გახედე ბრძოლის ველს. შენს გარდა სხვაც რამდენი შეაკვდა მტერს! განა ასე უსახელო სიკვდილზე ოცნებობდი ამდენ ხანს? ეს იყო შენი მოწოდება?

მთავარანგელოსის ხმას ზარი და სიმკაცრე მოემატა და ცოტნე შეკრთა, ეს ხმა სადღაც ადრე გაეგონა.

– ბრძოლის ველზე ჩვეულებრივი სიკვდილით სამშობლოს წინაშე ვალის მოხდა იოლი საქმეა. შენ უფრო დიდი ვალი გაქვს მოსახდელი ღვთისა და ერის წინაშე. ეცადე, ის ვალი ბოლომდე წმინდად მოიხადო.

მარტო ხმა კი არა, ახლა ნათქვამიც ეცნაურა ცოტნეს და გაახსენდა – სწორედ ამ სიტყვებს, ამ ხმით ეუბნებოდა ვაზირყოფილი ვარდან დადიანი, როცა მონასტრიდან უკან ისტუმრებდა.

ეს ხმაცა და შეგონებაც კირიონ მოძღვრისა არის, მაგრამ მთავარანგელოსის ბაგით რატომ მეტყველებს ნავაზირალი ბიძა?!

მთავარანგელოსმა დაჭრილ ცოტნეს ჯვარი გარდასახა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და გაფრინდა. ცოტნემ თვალი გააყოლა მძლავრი ფრთების ტყლაშუნით მიმქროლავ ანგელოსს და უცებ მოეჩვენა, რომ ცაში ანგელოსი კი არა, არწივი მიფრინავდა.

– ამირანის არწივი! ამირანის არწივი!

ზედ ყურთან ჩასმახის ივლიანე მოძღვრის ნაცნობი ხმა ცოტნეს.

– ჰო, მაგრამ, როდის? როდის?! – აღმოხდა ცოტნეს სასოწარკვეთილი ძახილი, – როდის მოფრინდება ჩემი გულღვიძლის საკორტნად ეგ არწივი, მოძღვარო, მეტი ლოდინი აღარ შემიძლია... დავიღალე...

– ვიდრე გულ-ღვიძლი ქვეყნის ვარამით არ აგვესება, ვიდრე სისხლი ერის საზრუნავით არ მოგეწამლება, ის არწივი შენთან არ მოფრინდება...

– მოფრინდება კი ოდესმე?

– მოფრინდება... უთუოდ მოფრინდება! საწუთროს ხელით მოწვდილ შხამს, მშობელი ხალხის უბედურებით სავსე ფიალას როცა ბოლომდე შესვამ, მაშინ მოვა ის არწივი შენთან...

– ნუთუ კიდევ მეტი უბედურება უნდა ვნახო ჩემი ხალხისა?! მაგ სასჯელს სიკვდილი სჯობს, უფალო! აღარ მინდა, აღარ შემიძლია ჩემი ხალხის უბედურების ცქერა! – ცოტნეს გული ამოუჯდა და ცრემლები ღაპაღუპით გადმოსცვივდა.

ამირანის არწივმა ირაო შეჰკრა ცოტნეს თავზე. მერე მხარი მოიქნია, ფრთების ტყლაშუნით გასცურა და უმაღვე თვალს მიეფარა.

ეს იყო და ეს, ამის მეტად ცოტნეს აღარც ამირანის არწივი მოსჩვენებია, აღარც მისი ფრთების ტყლაშუნი და საყვარელი მოძღვრის ხმა სმენია სიზმრად.

სიზმრებიც ისეთივე ჩვეულებრივი ესიზმრებოდა ოდიშის მთავარს, როგორც ცხოვრება ჰქონდა. ეს ცხოვრება ჩვეულებრივ მოკვდავთა ყოველდღიურ ზრუნვასა და ფუსფუსს ზემოთ ვერ მაღლდებოდა და დღე დღეს ისე მისდევდა, არაფერი ღირსსახსოვარი და გამოსარჩევი არ რჩებოდა მუდამ ამადლებულსა და განსაკუთრებულზე მეოცნებე ვაჟკაცის სულს.

მონგოლები ისევ გამოჩნდნენ საქართველოს სამხრეთით. ჯალალედინი ერთხელ კიდევ დაუსხლტა ხელიდან მოსისხლე მტრებს, მაგრამ სიკვდილი ფეხდაფეხ მიჰყვა და ვიღაც უბირი ქურთის ჭერქვეშ უსახელოდ დასრულდა სულტნის სიცოცხლე.

ხვარაზმელთა წასვლის შემდეგ საქართველომ სულის მოთქმაც ვერ მოასწრო, მონგოლთა ახალი ძლიერი ტალღა დაიდრა და ჩვენ ქვეყანასაც დაუოკებელი ძალით მოაწყდა.

რუსუდან მეფემ თავის დროშის ქვეშ მთელი საქართველოს ლაშქრის მოკრება და კარზე მომდგარი მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა ვერ შესძლო, თბილისი მიატოვა და ისევ ლიხთიმერეთს მიაშურა.

სანამ მონგოლები მოვიდოდნენ, საქართველომდე მათი უძლევლობისა და შეუბრალებლობის ხმამ მოაღწია. ლტოლვილები და მზვერავები ყველას არწმუნებდნენ, რომ მონგოლებისათვის წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა, რადგანაც თვითონ უფლის მიერ იყვნენ მოვლენილნი მთელი მსოფლიოს დასაპყრობად. ამ ხმებს მონგოლთაგან მრავალი ძლიერი სამეფოს განადგურებისა და დამორჩილების მაგალითებით ამაგრებდნენ და მონგოლების მორიგ მსხვერპლს წინასწარ უნერგავდნენ მარცხის გარდუვალობას.

ქართველი მთავრების უმრავლესობა ამ ხმებს აპყვა და, საერთო ძალით მტრის მოგერიების ცდის ნაცვლად, საკუთარი თავის გადარჩენის უიმედო გზა აირჩია – მიუვალ ციხეებში ჩაიკეტა და მთელი სასოება იმ ციხეთა მიუდგომლობასა და მონგოლთათვის თავის შეწყალებაზე დაამყარა. თვითონ სამეფოს ამირსპასალარმა, ათაბაგმა ავაგ მხარგრძელმა ქვეყნის გაერთიანებული სამხედრო ძალის მეთაურობაზე და მტრისთვის ბრძოლის გამართვაზე უარი თქვა და კენის ციხეში გამაგრდა. მხოლოდ ციხისჯვარელმა და ბაკურციხელმა გამოიღეს ხელი და თავიანთ მიწა-წყალზე მონგოლები უომრად არ შეუშვეს. მაგრამ, როცა დანარჩენი საქართველო ბრძოლაზე ხელს იღებდა, მათი წინააღმდეგობაც ხანმოკლე და უნაყოფო იყო, ბოლოს და ბოლოს მათაც მორჩილება გამოუცხადეს დამპყრობლებს, ციხეების კარები გაუღეს და თავს მათი მოხარკეობა იღვეს.

როცა ერთიანი ბრძოლისაკენ ცოტნეს მოწოდებას არავინ გამოეხმაურა და ჯარით ციხისჯვარელის მიშველებამაც შედეგი ვერ მოიტანა, ოდიშის მთავარმა მთელი ძალ-ღონე ლიხთიმერეთში გადასასვლელი გზების გამაგრებას მოახმარა.

მონგოლების არაერთ ცდას, ლიხთიმერეთშიც გადასულიყვნენ და დასავლეთ საქართველოც დაეპყროთ, მარცხზე მარცხი მოჰყვა.

დამპყრობლებმა, რაკი ძალით ვერაფერი გააწყვეს, საქართველოს მეფის ვაზირთან, ცოტნე დადიანთან მოლაპარაკება გამართეს და ლიხთიმერეთს ხელუხლებლობის საფასურად ყოველწლიური მძიმე ხარკის გაღება დააკისრეს.

ლიხის მთის გადაღმა მონგოლი არ ჭაჭანებდა და ეს დიდი სიკეთე იყო. ამ სიკეთისათვის მეფე და ხალხი ცოტნეს უმადლოდა, მაგრამ თვითონ ოდიშის მთავარი დიდად სწუხდა სამშობლოს ესოდენ დაქვეითებისა და შეჭირვების გამო.



მძიმე ხარკი აუტანელ ტვირთად აწვა მოსახლეობას, ხალხის მიერ შექმნილი დოვლათი მონგოლთა გადასახადს ვერ აუდიოდა, ქვეყანა ღარიბდებოდა და უკან-უკან მიდიოდა. მაგრამ მეურნეობის მოშლა და ხარკი იმდენად არ ამწარებდა ხალხს, როგორც მონგოლთაგან დაწესებული სამხედრო ბეგარა. ყოველ ათ სულზე ორი სული მეომარი უნდა გამოეყვანა საქართველოს. მონგოლები საქართველოში ბეგარით შეკრებილ ჯარს უცხო ქვეყნებში ერეკებოდნენ საომრად და, გაწყდა ქვეყანა წელში. სამხედრო ბეგარა განსაკუთრებით დაუმძიმდათ ქართველებს უკანასკნელ წლებში, მას შემდეგ, რაც ისმაილიტების მიუვალი სიმაგრის ალამუთის ასაღებად დაიწყეს ომი მონგოლებმა. ქართველებს ციხე-სიმაგრის იერიშზე წინ ერეკებოდნენ და სულაც არ აწუხებდათ მათი გაჟლეტა. ამ დიდ მსხვერპლს კიდევ ჰაერის გაუსაძლისობითა და სასძელი წყლის უვარგისობით გაჩენილი სალმობა ერთვოდა. მუცლის აშლილობა და მრავალი სხვა სნეულება ბუზებივით ხოცავდა ქართველებს და ალამუთის ალყიდან შინ ნახევარიც ვეღარ ბრუნდებოდა.

უმეფო, ცალკე სამთავროებად დაქსაქსულ ქვეყანას მოსვენება არ ჰქონდა. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა საქართველოს აწიოკებდა, მონგოლებს დაპყრობილი ქვეყნის დაცვა არ ენაღვლებოდათ და ყველა კუთხე მხოლოდ თავისი თავის იმედით უმკლავდებოდა მოსეულ მტრებს.

მონგოლებმა ქვეყნის ცალკე სამთავროების მართვა ისევ ძველ მთავრებს მიანდეს, ქვეყანა სამხედრო ვალდებული მოსახლეობის რიცხვის მიხედვით დუმნებად ან ათ-ათიათასებად დაჰყვეს და დუმნების მეთაურ მთავრებს დუმნისთავები უწოდეს. ამრიგად, საქართველოს სამეფოს ამაყი მთავრები უცხო დამპყრობთა მოხარკეები შეიქნენ და მათზე დამოკიდებული მსახურების ხარისხამდე ჩამოქვეითდნენ. გარეგნულად ისევ ძველებური პატივი შეინარჩუნეს, მაგრამ მონგოლები თავს ისე წამოასხდნენ, მათ საგამგეო ქვეყანაშიც თითქმის აღარაფერს ეკითხებოდნენ. ვისაც ქვეყნის ჭირ-ვარამზე გული არ შესტკიოდა, მას არც ეს თავმოყვარეობის შელახვა აწუხებდა. ცოტნესავით პატიოსან მამულიშვილებს კი სიცოცხლე მობეზრებული ჰქონდათ და სიკვდილი ენატრებოდათ.

ალამუთის ლაშქრობიდან ბრუნდებოდა დასნეულებული ცოტნე. მისთვის უკვე სულერთი იყო, სალმობას გადარჩებოდა თუ არა, რადგან წინ, მომავალში აღარავითარ სიხარულს აღარ ელოდა, სამშობლოს ბედნიერებაზე ხელი ჩაქნეული ჰქონდა და ამ გარემომცველ წყვილადში რომ ერთადერთ ნათლად საყვარელი ცოლ-შვილი აღარ ჰყოლოდა, ალბათ, სნეულებას თავს დაუდებდა და ამ ქვეყანასთან ანგარიშს გაასწორებდა.

ცოტნეს ურემს, ერთ მხარეს, ცხენდაცხენ მოჰყვებოდა ციხისჯვარელი. უკვე მიმხცოვნებულ ნავაზირალს, დაღლილი ქურანისათვის სადავე ნებაზე მიეშვა და თავჩაღუნული ცხენზე თვლემდა.

მეორე მხარეს სარგის თმოგველი მოჰყვებოდა ურემს, ისიც ცხენდაცხენ, მოწყენილი და გალახულივით მხრებჩამოყრილი.

მათ კვალზე შორიახლო მოდიოდნენ ომითა და გრძელი გზით, უჭმელობითა და უძილობით გასავათებული მოლაშქრეები. ქვეითები და ცხენოსნები, ერთნაირად შებერტყილები და ქანცგაწყვეტილები მოლასლასებდნენ ამტვერებულ გზაზე.

რამდენიმე ურემზე დაჭრილები იწვნენ, ქვეშ თივა ან ჩალა ეგოთ და ზემოდან ნაბდის ძველები ეხურათ.

თავგალუნული მოლაშქრეები დროდადრო დუმილს არღვევდნენ, ხმას უწევდნენ და ყაყანს სტებდნენ. მერე ისევ დაცხრებოდნენ, თავთავიანთ ფიქრს მიეცემოდნენ და გაუთავებელ გზის დასალევად ერთხელ კიდევ ცდილობდნენ ფეხის აჩქარებას.

– აღარ დაილია ეს ტიალი გზაი! – ამოიკვნესა გულზე ხელდაკიდებულმა ვაჟკაცმა, წამით შეჩერდა, შუბლზე ოფლი მოიწმინდა და გრძელ გზას გახედა.

– უმაღლესი ჩვენ დავილევი, ვიდრე ეს გზა დაილეოდა! – წაიბურღლუნა მეორემ.

– დალეულნი არა ვართ? მეტს რაღას დავილევი?! იქით რამდენი წავედით და აქეთ რამდენილა ვბრუნდებით, – სინანულით თქვა მესამემ და ამხანაგებს თვალი მოავლო.

– ნახევარი აღარა ვართ, – დაასკვნა პირველმა.

– ჩვენი სოფლიდან ოცნი ვიყავით და ხუთნილა ვბრუნდებით.

– მეც ეგ მიკლავს გულს და შინ დაბრუნება აღარ მიხარია. რა უნდა ვუთხრა ჩემს მშობლებს, ან ბიძაშვილებს და სახლიკაცებს, თვრამეტი ბიჭიდან შვიდნილა ვბრუნდებით. ექვს მეზობელთან ერთად ორი ალალი ბიძაშვილი და ერთი ღვიძლი ძმაც იქ დავტოვე.

– ასე უნდა ვიჟლიტოთ ყოველ წელიწადს? როდის გათავდება ეგ ალამუთის ომი, ან რა გვესაქმება ქართველებს ისმაილიტების ციხეს რომ ვაწყდებით!

მოლაშქრეებმა ერთხანს კიდევ იყაყანეს, ალამუთის ომის მომგონებასა და ქართველების იქ გამრეკავებს წყევლა-კრულვა გაუგზავნეს, მათი გინებით ცოტა გული მოიოხეს და ნელ-ნელა ჩაწყნარდნენ.

– გესმოდა, სარგის? – მისუსტებული ხმით შეეკითხა ცოტნე და ბალიშზე წამოიწია.

– მესმოდა... გუნებაში, ალბათ, ჩვენც გვწყევლიან და გვაგინებენ...

– განა არა, გვეკუთვნის! ახიც არი, კარგად თუ გვიკურთხებენ.

– იქნებ მართლაც ახი იყოს, – გამოფხიზლდა ციხისჯვარელი, – ეგებ კიდევაც გვემართლებიან, მაგრამ ჩვენ რა ღონე გვაქვს და რა შველა შეგვიძლია!

– ჩვენ მათი პატრონები ვართ, ვაზირო, მათ ბედზე ზრუნვაც ჩვენ გვმართებს.

– ნამდვილად გვმართებს, მაგრამ ღონე რომ არ შეგვწევს?

– იქნებ ღონეც გამოინახოს, ჯერ ხომ არ გვიფიქრია!

\_ რაც უნდა იფიქრო, თავს ზევით ვერ ახტები და მონგოლების უღელს ვერ მოიცილებ.

\_ უნდა მოვიცილოთ, ყვარყვარე-ბატონო! \_ ხმადაბლა თქვა ცოტნემ და ლოგინზე კვნესით წამოიწია, \_ უნდა მოვიცილოთ და ქვეყნის ერთიანობა აღვადგინოთ, ხომ ხედავთ, ვისაც არ ეზარება, ყველა ჩვენ გვაწიოკებს, ასე დაქსაქსულებს რომ გვხედავენ.

ყვარყვარემ და სარგისმა ერთიმეორეს გადახედეს, მერე მათ უკან მომავლებს მოჰხედეს, ხომ არ გაუგონიათო. მოლაშქრეები საკმაოდ მოშორებით მოდიოდნენ და ისევ ერთმანეთში ყაყანებდნენ.

\_ მონგოლთან ხუმრობა არ გაგვივა, მთავარო, ნებით ეგენი არ დაგვეხსნებიან და ძალა კიდევ ჩვენ არა გვაქვს, \_ თითქმის ჩურჩულით თქვა ყვარყვარემ.

\_ ხომ მაინც ვწყდებით და ვიხოცებით...

\_ კი, ვწყდებით და ვიხოცებით.

\_ ბარემ, მაგ მონგოლებს შევაწყდეთ, თუ შეწყდომაა, ალამუთთან რა გვესაქმება!

\_ მთლადერთიანად გინდა, რომ მოვისპოთ და გადავშენდეთ?

\_ მაინც ნელ-ნელა გადაშენება არ აგვცდება და ხელი რომ გამოვილოთ, ერთიმეორეს რომ მხარი მივცეთ, იქნებ ვერც ეგრე ადვილად მოგვსპონ.

\_ ვინ იცის, შეიძლება ეგრეც მოხდეს. საქმეს მოფიქრება, აწონდაწონა უნდა, \_ გაჟეჟილად მისცა მხარი სარგის თმოგველმა.

\_ თქვენ ჯერ კიდევ ახალგაზრდები ხართ და სისხლი გიდუღთ. მე მონგოლებთან თქვენზე მეტი სისხლი მიღვრია და თქვენზე უკეთ ვიცნობ მაგათ. მაგათი მომრევი ახლა ქვეყნად აღარავინ არი!

\_ ცდა ბედის მონახევრეა...

\_ თუ ღმერთიც შეგვეწვევა!..

\_ რას ამბობთ, მთელი ქვეყნისა და ხალხის ბედის ცდაზე შეგდება როგორ იქნება... ამის უფლება არა გვაქვს.

\_ მაშ, ასე გულხელდაკრეფილნი ვიყოთ და მოწმეებივით ვუყუროთ, როგორ ნელ-ნელა ვნადგურდებით?!

გზაზე გლეხები გამოჩნდნენ და მთავრებმა საუბარი შეწყვიტეს.

წინ ბაღლები მორბოდნენ.

მთელი სოფელი გამოსულიყო ომიდან დაბრუნებულთა შესახვედრად.

ურმები და ცხენები შეჩერდნენ.

ჯერ ბავშვები შემოეხვივნენ ლაშქრიდან მობრუნებულებს, მერე ქალები მოაწყდნენ და შეიქნა ხვევნა-კოცნა, ერთიმეორის მოკითხვა, ცრემლის ღვრა და გადაძახილი.

ცოტა კიდევ და, ვილაცამ შეიცხადა, ვილაცამ კვილი გააბა და ვილაც გულწასული დაეცა მიწაზე.

– ჩემი შალია რა იქნა, ბიჭო? – მოთქვამდა სახედახოკილი დედაკაცი და დამნაშავესავით თავდახრილ, დიაცივით ასლუკუნებულ მოლაშქრეს ანჯღრევდა.

– ვაი, ჩემს მოსწრებას, შვილებო... – გოდებდა მეორე და აფშლუკუნებული ბერიკაცები ქუდებით იწმენდდნენ დაპაღუპით წამოსულ ცრემლს.

– ჩემი ამირანა სად დასტოვე, შინ რა პირით მოდიოდი...

ყვარყვარემ ცრემლმომდგარი თვალით მოხედა ცოტნესა და სარგისს.

– ლამის მეც ამომიჯდეს გული მაგათი საცოდაობით... წავიდეთ, – თქვა და ცხენი დასძრა.

ურმები და ცხენები ნელა დაიდრნენ.

– ეგ არის შენი პასუხი, ხელმწიფის კაცო? – დაადევნა ტირილით ხმაჩახლეჩილმა დედაკაცმა.

– ყენივით რომ ცხენით დაბრძანდები, ჩვენი შვილების სასაკლაოზე წარეკვისათვის კი იზრუნე, მაგრამ რატომ უკან დაბრუნებისთვის არაფერი გააკეთე!

– თვითონ საღ-სალამათნი მიუვლენ თავიანთ ცოლ-შვილს და სხვისა რა ენაღვლებათ!

მიწა გახეთქოდათ და შიგ ჩავარდნილიყვნენ, ის ერჩიათ მთავრებს ამის გაგონებას. შეურაცხყოფილებმა, გულჩაწყვეტილებმა თავი ჩალუნეს და ცხენებს ფეხი აუჩქარეს, რომ იქაურობას სწრაფად გაცლოდნენ.

დაბრუნებულთა გრძელი რიგი თანდათან მოკლდებოდა და თხელდებოდა, მოლაშქრეები თავ-თავიანთ სოფლებში რჩებოდნენ, გზის გამგრძელებლებს დაქვრივებულთა და დაობლებულთა ზუზუნის მოაცილებდა, ისედაც დაღლილ-დაქანცულებსა და გულგატეხილებს ის ზუზუნის გუნებას კიდევ უფრო უმღვრევდა, შინ მისვლა აღარავის ახარებდა და ისე ფეხისთრევით მისდევდნენ დაუსრულებელ გზას, თითქოს მონატრებულ სახლ-კარში მისვლა კი არა, საშინელ სამსჯავროს წინაშე წარდგომა ელოდათ.

თმოგვის გზის გადასახვევთან გამოეთხოვათ სარგისი.

– როგორც გითხარი, თავადო, ცოტნე ჩემსას დარჩება, ვიდრე მოიკეთებდეს. ცოლ-შვილსაც აქ მოვგვრით და შენ იცი, თუ ხშირ-ხშირად მოინახულებ.

– მოვინახულებ, როგორც კი მამულისა და ოჯახის საზრუნავს მოვრჩები ამდენი ხნის დაკარგული კაცი, მაშინვე ციხისჯვარს გეწვევით.

– აბა, გზა მშვიდობისა!

– მშვიდობით მენახოთ!

ერთმანეთს გადაეხვივნენ, სარგისი თავის ხალხს გაუძღვა და თმოგვის გზას დაადგა.

ცოტაც გაიარეს, ცოტნემ გადახრილ მზეს შეხედა.

– ციხისჯვარს, ალბათ, კარგა დაღამებამდე მივატანთ.

– მეც ეგ მინდა, იმიტომ არ ვჩქარობ. ღამის სიბნელეში ჩუმად დაბინავდებიან და შინმოუსვლელთა ოჯახების აწიოკებას არ ვნახავთ.

– ხვალ ხომ გათენდება... ხვალ სად წავუვალთ იმათ მოთქმასა და ყვედრებას...

– ვერსად ვერ წავუვალთ... უნდა გავუძლოთ და მოვუთმინოთ.

– როდემდის? ვაზირო, როდემდის...

– ალბათ, სიკვდილამდის, მთავარო, ვაჟკაცი იმისთვის ყოფილა გაჩენილი, რომ განსაცდელს გაუძლოს და აიტანოს!

მთავრის მშვიდობით დაბრუნების მახარობლად გუგუტა გაჩნდა დადიანთა სასახლეში.

კრავაი სიხარულით ცას ეწია, მახარობელი უხვად დააჯილდოვა და ლხინი გადაიხადა.

მეორე დღეს შინმოუსვლელ ალამუთელ მოლაშქრეთა ოჯახები თავისი ფეხით დაიარა, ქვრივ-ობლებს მიუსამძიმრა, ნუგეში სცა და საბოძვარი უბოძა.

ციხისჯვარელის სახლში ქმრის შეყოვნებას არ გაუკვირვებია, მაგრამ მეორე დღეს რომ გუგუტას ცოტნეს შეუძლებლობაზე სიტყვა დასცდა, კრავაი შეშფოთდა. ხატზე აფიცა გუგუტა, მაგრამ მეტი ვერაფერი ათქმევინა. რაკი ერთხელ აფორიაქდა, ვეღარ დაწყნარდა, საყოლში სასწრაფოდ გამგზავრება გადაწყვიტა და თადარიგს შეუდგა. საგზალი და ძღვენი გაამზადებინა და თვითონაც წასასვლელად გაიკაზმა. გზებზე გახშირებული მეკობრეებით დაშინებულმა, თან რჩეული ვაჟკაცების რაზმი იახლა და მამლის ყივილამდე სამცხისაკენ გაემართა.

გრძელი გზით დაქანცულებმა რკინის ჯვარი გადაიარეს და ჩავაკებამდე გზის პირად გამართულ ფუნდუკში შეისვენეს.

კრავაის ცხენს ნალი აძრობოდა. იქვე სამჭედურში მჭედელს მიგვარეს, დანარჩენ ცხენებს საპალნე მოხსნეს, მოსართავები მიუმშვეს და ლაგამწაყრილებს ბალახი მიანებეს.

ქალბატონმა მწვანეზე სუფრის გაშლა ბრძანა. ბალახზე ლურჯი სუფრა გაფინეს, საჭმელ-სასმელი ჩამოარიგეს და კრავაი მიიპატიჟეს.

ის იყო, მთავრის მეუღლე ბალიშზე დაბრძანდა, პირჯვარი გადაიწერა და პური გასტეხა, რომ დაბლიდან ჩორთით მხედრები ამოიჭრნენ, სამჭედურთან დაიქვეითეს და ყაყანი შეჰქმნეს.

– მონგოლთა რაზმია! – ლუკმა ყელში გაუჩერდა გუგუტას.

– მარბიელები არიან თუ?.. – იკითხა ფერწასულმა კრავაიმ, – მე გაგეცლებით, ეცადეთ, დროზე წავიდეთ. – ბრძანა ქალბატონმა, კალთა დაიფერთხა და ფუნდუკისკენ წავიდა.

მხლებლებს პურს რაღა აჭმევდათ. ისინიც წამოდგნენ და სუფრის ალაგებას შეუდგნენ.

– თქვენ, ჰეი! – შორიდან გამოსძახა ხელმათრახიანმა მონგოლმა.

ოდიშელებმა მონგოლებისკენ იბრუნეს პირი.

მონგოლთა ასისთავი მათრახის ქნევით წამოვიდა, ფეხზე წამომლილ ქართველებს მიუახლოვდა და დოინჯით გამოეჭიმა.

– კარგ დროს მოვსულვართ, დილას აქეთ პირში ხემსი არ ჩაგვსვლია! რაო, გეწყინათ ჩვენი მოსვლა?

– რასა ბრძანებთ! – მოუქცია მათებურად მონგოლურის მცოდნე ოდიშარმა.

– თუ არ გეწყინათ, ჩვენთან ერთად დასხედით და შეექცეით, – თქვა ასისტავმა, ქალბატონის ბალიშზე მოირთხა და დანარჩენებს გასძახა, მოდითო.

მონგოლები ძუნძულით მოვიდნენ, ბალახზე დასხდნენ და საჭმელს მშვიერი სვავებივით მიეტივნენ.

– ღვინო დაასხით! – თავაუღებლად ბრძანა საჭმლით პირგამოტენილმა ასისტავმა.

გუგუტამ ანიშნა და ოდიშარმა ყმაწვილმა სასმისები შეავსო.

ასისტავმა გაქონილი ტუჩები სახელოთი მოიწმინდა, სასმისი თვალდახუჭულმა მოიყუდა, შეუსვენებლივ დაცალა, ერთხანს ყელში გადასული ღვინის გემოთი ტკბებოდა. სახეზე კმაყოფილების ღიმილი უთამაშებდა. ტუჩები ხმამაღლა გააწკლაპუნა, თვალი გაახილა და ცარიელი სასმისი სუფრაზე ისროლა.

– თქვენ არც სჭამთ, არც სვამთ? – შეუბღვირა გუგუტას.

– როგორ არა! – გამოსცრა გუგუტამ და სასმისი ასწია.

ერთხანს თავწახრილებმა სვეს და ჭამეს. მონგოლები სასმისს სასმისზე კლიდნენ და ღვინო მალე მოეკიდათ.

– ის ლამაზი ქალი ვინ არი? – იკითხა კარგად დანაყრებულმა და უკვე შეზარხოშებულმა ასისტავმა.

გუგუტამ წაუყრუა.

– არ იტყვი, ის ქალი ვინ არი? – შეუყვირა გაბრაზებულმა მონგოლმა.

– დუმნისთავის, ცოტნე დადიანის მეუღლეა, – აღირსა პასუხი გუგუტამ და სასმისი შეუვსო.

მონგოლმა მაშინვე დაცალა, ისედაც გაწვრილებული თვალები მთლად მიწურა და გუგუტას მაცდური ღიმილით მიაჩერდა.

– ეგ ქალი ჩვენთან სუფრაზე არ მოვა?

გუგუტამ ისევ წაიყრუა, სასმისი შეუვსო და მონგოლს კერძი მიუწია.

ასისტავმა სასმისი ასწია და თან პირში ლუკმა იგდო; რაღაცის თქმას აპირებდა, ლუკმა სასულეში გადასცდა და ხველა აუვარდა.

– ძუკუ, – ჩუმად უთხრა გუგუტამ მწდედ მდგარ ყმაწვილს, – მიდი, ქალბატონს უთხარი, ახლავე ცხენზე შებრძანდეს და გაიპაროს.

ძუკუმ თავი დაუქნია.

– შენც გაყევი... ჩვენ გზაზე დაგეწევით, თუ მშვიდობა იქნა.

ასისტავს ხველა არ ეხსნებოდა, გადაბჟირებული თვალთაგან ცრემლებს ჰყრიდა და სულს ვერ ითქვამდა.

– დალიე! ღვინო გადაიტანს, – უთხრა გუგუტამ და სავსე სასმისი მიაწოდა.

მონგოლმა დალია, წამით სული მოითქვა, მაგრამ ხველა ისევ აუვარდა და ლამის ჯიგარი ამოაყოლა.

ქარხალივით წამოწითლებულ ასისთავს ჭირის ოფლს ასხამდა. სხვა ვერაფერი იღონა და ისევ სასმისს წაატანა ხელი.

დალია, ერთი ღრმად ამოისუნთქა და შვება იგრძნო.

– ლუკმა დამამადლა ვიღაცამ! – წაიბურდღუნა, სახელოთი ოფლი მოიწმინდა და ისევ ჭამა განაგრძო.

ისევ დაუსხა გუგუტამ და მონგოლმა ისევ დალია... გვარიანად შემთვრალი მონგოლები ყურის წამლებად ყაყანებდნენ და ერთმანეთს სიტყვის თქმას არ აცლიდნენ.

გუგუტა ეკლებზე იჯდა. ცალი თვალი გზისკენ ეჭირა.

– მაშ არ მოვა ჩვენთან ის ქალი? – იკითხა ასისთავმა და სასმისი ასწია.

– შეუძლოდ არი, ვერ მოვა, – უპასუხა გუგუტამ და უცებ სანახევროდ გზისკენ იბრუნა პირი: თავდადმართზე ცხენოსნებმა გაიელვეს. გუგუტამ კრავაის ფაშატს მოლანდა თვალი და შუბლი გაეხსნა.

– მიირთვი, კარგი ღვინოა! – გაუღიმა ასისთავს და სასმისი გაუწოდა.

ასისთავს წაქეზება აღარ უნდოდა, ღვინო მაშინვე გადაჰკრა და ზეზე წამოდგა.

– როგორ ამბობენ მუსულმანები? თუ მაჰმადი არ მივა მთასთან, მთა უნდა მივიდეს მაჰმადთანო, არა?!

– დიახ, ეგრე ამბობენ.

– ჰოდა, რაკი თქვენი ქალბატონი არ კადრულობს აქ მოსვლას, ჩვენ თავად ვეახლოთ, – ენის ბორძიკით თქვა მთვრალმა ასისთავმა, გუგუტას მხარს დაეყრდნო და ფეხის ბანდალით ფუნდუკისკენ წავიდა.

გუგუტამ თავისიანებს ანიშნა, მზად იყავითო. ასისთავი სასვენიაში შეიყვანა. ნახევრადგონდაკარგული მონგოლი საწოლზე დაეშვა.

– სად არი ქალი? – ამოიბურდღუნა და ლოგინზე გაიშოტა.

– ახლავე მოვიყვან! – თქვა გუგუტამ, ოთახიდან გავიდა და კარი ურდულით გადაჰკეტა.

დანარჩენი მონგოლები ისევ ღრეობდნენ. კრავაის მხლებლები ცხენზე ამხედრდნენ და ერთიმეორის მიყოლებით ჩუმიად გაშორდნენ იქაურობას.

ცხენხეთქებით მოვიდა კრავაი მამის სამკვიდროში. დაქვეითებულმა სადავე მსახურს მიუგდო და შემოგებებული შინაურებისკენ ბარბაცით წავიდა. შიშით გულამოვარდნილს ისედაც ეტირებოდა, ხვევნა-კოცნამ და მოალერსებამ გული კიდევ უფრო აუჩუყა, ელდითა და დაღლილობით ღონემიხდილს მუხლმა უსუსტა და ზღურბლზე ჩაიკეცა.

როგორც იყო, გონს მოეგო. ბიძას თავგადანახდომი უამბო და ციხისჯვარელთა სასახლე ფეხზე დადგა.

ყვარყვარემ ცხენების შეკაზმვა და კრავაის მხლებელთა მისაშველებლად გამზადება ბრძანა, წელზე ხმალი მოირტყა და ის იყო ქურანს უნდა მოხტომოდა, რომ ჭიშკარს გუგუტა და მისი ოდიშარები მოადგნენ.

– სულ ჭენებით მოვქროდით, მაგრამ ქალბატონს ვერ დავეწიეთ, ამდენ ხანს უკვე ფუნდუკში გამომწყვდეული ასისთავიც უკან გამოგვიდგებოდა და,

სადაცაა აქ გაჩნდებიან... ჩვენი აქ დარჩენა არ ივარგებს, ვაზირო, უსიამოვნებას შეგამთხვევით, დაღლილი ცხენები გამოგვიცვალეთ და ახლავე ოდიშის გზას გავუდგებით, \_ სულმოუთქმელად, სხაპასხუპით ლაპარაკობდა გუგუტა და შუბლზე ოფლს იწმენდა.

\_ რას ამბობ, ამ უკუნეთ ღამეში როგორ გაგიშვებთ! \_ იწყინა ციხისჯვარელმა.

\_ დადევნებული მონგოლები მოვლენ და ჩვენ რომ გვნახავენ...

\_ მოვლენ და მეც აქ დავხვდები! პირველად როდი მოდიან! \_ შუბლი შეიკრა ყვარყვარემ და მსახურთუხუცესს გასძახა:

\_ ავახშმე და მოასვენე ოდიშელი სტუმრები.

ციხისჯვარელის მთელი სახლობა ფეხზე იდგა, შუაღამე გადასული იყო, მაგრამ არ წვებოდნენ, ყოველ წამს მონგოლების გამოჩენას ელოდნენ.

კრავაი ტანგაუხდელი იჯდა ცოტნეს სასთუმალთან, მონატრებულ ქმარს ბავშვივით ეტიტინებოდა, მთისა და ბარის ამბებს უყვებოდა და ღმერთს მერამდენედ სწირავდა მადლობას ცოტნეს გადარჩენისათვის.

\_ ეგ სწეულება არაფერია, რაკი ომს გადურჩი, მოგივლით და მალე დაგაყენებთ ფეხზე.

\_ ომში იმდენი ქართველი არ დაღუპულა, რამდენიც სალმობიერმა იმსხვერპლა, მოწამლული წყალია იმ დასაქცევში, დალევა და კუჭის აშლა ერთია! სხვაზე მეტი ქართველები იხოცებოდნენ, ხაშმმა და წყალმა გაგვავლო მუსრი.

\_ მადლობა უფალს, ცოცხალი დაბრუნდი... გაისად, ალბათ, დაგეხსნებიან და მოვრჩებით ამ შიშსა და გულისტრიალს.

\_ ვინ დაგეხსნება, კრავა! სანამ მონგოლთა უღელი გვადგას, ჩვენი საშველი არ იქნება. ალამუთის ომი გათავდება, სხვა ახალი ხოცვა-ჟლეტა დაიწყება. ეგენი ომით ცხოვრობენ და სხვა არაფერზე ფიქრობენ.

ეზოდან ხმაური მოისმა.

ძაღვები აყეფდნენ და სასახლეში ფაციფუცი შეიქნა.

კრავაი სარკმელთან მიდგა.

\_ შინ შემოდით, ქალებო! \_ ხმადაბლა იძლეოდა განკარგულებას ციხისჯვარელი, \_ კარი არ გაუღოთ და თუ შემომამტვრევენ, მაშინ მივეტივნეთ.

ფერწასულმა კრავაიმ ცოტნეს მოხედა.

იდაყვებზე დაყრდნობილ მთავარს მიწისფერი დადებოდა და მთელი სხეულით ცახცახებდა.

\_ დაწევი, მთავარო, დამშვიდდი, შენი ჭირიმე \_ მიუალერსა კრავაიმ.

\_ რაღა ცხოვრებაა, ადამიანს გზაზე მშვიდობიანად ვეღარ გაუვლია და ღამეს თავის ჭერქვეშ თვალი ვეღარ მოუხუჭავს.

ალაყაფის კარზე რახარუხი ატყდა.

მერე ყვირილი გაისმა, ეტყობოდა, ჭიშკრის გაღებას თხოულობდნენ.

გახელებული ძაღვები თავგადაკლული ჰყეფდნენ და გალავნის მაღალ კედელს ახტებოდნენ.



დიდხანს იყვირეს და ურტყეს რკინის კარს. მერე თანდათან ჩაწყნარდნენ, ჭიშკარსაც დაეხსნენ და ყვირილიც შეწყვიტეს.

ერთხანს კიდევ იყაყანეს, მერე ცხენების ფეხის ხმა გაისმა და ძაღლებიც რომ დაცხრნენ, ციხისჯვრის აფორიაქებულ სასახლეში ისევ სიმშვიდე გამეფდა.

ცოტნეს საწოლში ყვარყვარე შემოვიდა, შეშფოთებული და ფერდაკარგული.

– მობრძანდი, ვაზირო! – ნაძალადევი ღიმილი მიაგება ცოტნემ.

კრავაიმ სელი დაუდგა ბიძას. ერთიანად აშლილ ციხისჯვარელს, ეტყობოდა, ცოტნესთან მარტო საუბრით უნდოდა გულის მოოხება, იქაურობას თვალი გალახულივით მოავლო და კრავაის დამნაშავესავით შეხედა.

– თქვენ დაბრძანდით და ისაუბრეთ, ბიძავ-ბატონო, მე დედასთან გავალ, – მიუხვდა კრავაი მარტო დარჩენის სურვილს, ქმარს ლოგინი გაუსწორა და ოთახიდან გავიდა.

– აღარც დღე არი მოსვენება ამ ყაჩაღთაგან და აღარც ღამე. აღარც შინ გვასვენებენ და აღარც გზაზე გვაჭაჭანებენ. ჯავრით გულს ვასკდები და ვერაფერი ღონე მიპოვია. ეს ღამეები კი ისედაც არ მძინავს, ხან ერთი უბნიდან მესმის გოდება, ხან მეორიდან... შინმოუსვლელებს გლოვობენ უბედურები.

– მე კი ვერაფერს ვგებულობ, ამდენი ხნის ნამგზავრსა და სალმობით დასუსტებულს დაბანგულივით მძინავს.

– გუშინწინებზე მონგოლთა ასისტავი ყოფილა და ხარკი მოუთხოვია. შენი სიდედრი ცრემლით შეხვეწნია, ნუ დაგვარბევთ, სადაცაა ვაზირი გამოჩნდება და ყველაფერს თავად მოაგვარებსო. ერთი კვირის ვადა მოუცია, ხვალ-ზეგ ისევ კარს მოგვადგებიან და აღარ ვიცი, რა წყალში ჩავვარდე, ისედაც აწიოკებულ და გაძვალტყავებულ ხალხს რაღა ხარკი უნდა გამოვართვა.

– ნებით, ალბათ, არც აღარას მოგვცემენ, გაწყდა წელში გლახობა, სარჩოს მომყვანი მიწის მუშა ალამუთში იჟლიტება, შინ დარჩენილებს პირში ლუკმას ვაცლით და მონგოლებთან მიგვაქვს.

– მორიგ ბეგარაზე მოლაშქრეებსაც ვედარ შევავროვებთ, ტყეებში გარბიან ყაჩაღად, თუ სიკვდილია, ბარემ აქ მოვკვდეთ და ორიოდე მონგოლს მაინც ჩავაძაღლებთო.

– გაისადაც ხომ იმდენივე მეომარი უნდა შევკრიბოთ, რამდენსაც ყოველწლიურად ვკრებთ.

– შეწერილი ეგრეა და სად წაუხვალ.

– მერედა იმ გამწარებულ ხალხს რომ ერთი გადავძახოთ, ჩვენი სისხლის მსმელი მონგოლები გავრეკოთო, ხომ ქუდზე კაცი გამოვა და თავგამოდებითაც იომებს!

– იომებენ, თავს გადადებენ, მონგოლთა განდევნისა და საქართველოს გაერთიანებისათვის.

– ჩვენც ავდგეთ და ამ გზას დავადგეთ... დავსხდეთ და ვიანგარიშოთ, მონგოლთა ჯარი რამდენია ჩვენში და თითოეულ ჩვენგანს რამდენი მეომრის გამოყვანა შეუძლია.

– ვითომ ყველა მოგვეხმარება?! – ჩურჩულით იკითხა ყვარყვარემ.

– მოგვეხმარებაო? აბა, სხვა რა გზა აქვთ, ჩვენი არ იყოს! სურამელსა და ბაკურციხელს სული კბილით უჭირავთ, გულის ნადები გავანდე თუ არა, ახლავე შევუდგეთო! მაგათაც ჩვენსავით აწუხებთ უმეფობა და ქვეყნის დაქსაქსულობა, მონგოლთა უღელი და გარეშე მტერთაგან რბევა.

– მხარგრძელები? მხარგრძელები ძნელად დასაყოლიებელი ხალხია, სიფრთხილეს არჩევენ და უტკივარ თავს არ აიტკივებენ.

– მაგათ მე მოველაპარაკები, ლიხს იქეთა საქართველოს მომხრობაც ჩემზე იყოს.

– ვთქვათ, ყველაფერი ეგრე წაღმა წარიმართოს, საქართველოს ციხეებში ჩაყენებული მონგოლთა ჯარი დავამარცხოთ და გავანადგუროთ, მერე რაღას ვიზამთ, ჰულაგუ ყაენი რომ უთვალავი ლაშქრით მოგვადგება, მარტო ჩვენ აღვუდგებით წინ იმოდენა მხედრობას?

– მარტო რად ვიქნებით, სხვებიც ჩვენსავით აჯანყდებიან და მხარს მოგვცემენ.

– ჰოდა, ჯერ იმ სხვათაგან უნდა გვეკონდეს აჯანყების პირობა.

– შირვანელებსა და ადარბადაგანს, ხლათსა და იკონიას, ყველას უნდა შევუთანხმდეთ და ერთად უნდა დავკრათ.

– ეგრე რომ აეწყობოდეს, მაგას რაღა აჯობებს.

– უნდა ავაწყოთ, ვაზირო, ჩვენვე უნდა ვითავოთ შეთქმულების აწყობა.

– სხვებსაც ვკითხოთ რჩევა, სამწელო საქმეს ვკიდებთ ხელს და აჩქარება არას გვარგებს.

– არც უნდა ავჩქარდეთ... მთავარია, ჩვენ ვირწმუნოთ და სხვებიც დავარწმუნოთ, რომ ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა ეს არი, როცა ამ რწმენით ვიმოქმედებთ, მერე აღარც მტრის ძლიერებისა შეგვეშინდება, აღარც თავის განწირვის.

– განა ჩემი თავი მაფიქრებს, ცოტნე!

– ვიცი, რაც გაფიქრებს... ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ, ავი და კარგი ერთად ვიანგარიშოთ და ფრთხილად შევუდგეთ ქვეყნის გადარჩენის საქმეს.

ცოტნემ მარჯვენა გაუწოდა.

ციხისჯვარელმა ხელი ჩამოართვა.

პირჯვარი უსიტყვოდ გადაიწერეს და თვალაცრემლებულები ერთმანეთს მოეხვივნენ.

ხანგამომშვებით დაიწყეს ციხისჯვრისკენ დენა ერისთავებმა და ერისთავთერისთავებმა. ოდიშის ავადმყოფი მთავრის მონახულების საბაბით, მოდიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მეთაურები, ძღვენი და მოსაკითხი მოჰქონდათ. მცირე ამაღის თანხლებით ღამდამობით შემოდიოდნენ ციხისჯვარს, ცოტნესა და ყვარყვარესთან საიდუმლოდ ჩაკეტილნი, ჯერ მონგოლთა უღლის აუტანლობაზე იწყებდნენ, მერე აჯანყების აუცილებლობაზე გადაწყვეტილებას ღებულობდნენ, მტრისა და

საკუთარ ძალებს ითვლიდნენ, სავარაუდო მოკავშირეების შესაძლებელ დახმარებასაც ანგარიშობდნენ და ღამითვე, გათენებამდე ისევე უჩუმრად მიდიოდნენ, როგორც მოვიდნენ.

მონგოლებს ყური და თვალი ყველგან ფხიზლად ჰქონდათ და თვალთა ეს მსვლელობაც არ გამოპარვიათ, რამდენჯერმე ხარკისა და ბეგარის საბაზით მოაკითხეს ციხისჯვარელს, სხვათა შორის, ისიც იკითხეს, ამდენ ხანს რატომ ვერ გამოიჯანმრთელდა ოდიშის მთავარიო.

ცოტნე უკვე გამომჯობინებული იყო და სიძეცა და სიმამრიც გრძნობდნენ, რომ მონგოლებს გეში აღებული ჰქონდათ და მთავართა და ერისთავთა ციხისჯვარს მოსვლა საშიში ხდებოდა.

– რამე უნდა მოვიგონოთ, რომ საქართველოს მთავართა მოსვლა საეჭვოდ არ ეჩვენოთ მონგოლებს, – გაანდო თავისი შიში ყვარყვარემ ცოტნეს.

– რაც მე კარგადა ვარ, ჩემი მონახულების სურვილი ვედარაფერი საბაზია მთავართა აქ მოსასვლელად.

– შენი ავადმყოფობით აღარავინ მოტყუვდება. ვიფიქრე, ვიფიქრე და ეს მოვიფიქრე: ხარკის შეკრებას ამ ორ დღეში მოვრჩები და გადავწყვიტე, მონგოლებს თვითონ მივართვა.

– მერე რა, რომ ხარკს მიართმევ?

– ცოტა კიდევ მოვისესხებ და მომავალი წლის ანგარიშშიაც მივუთვლი ხარკის ნაწილს.

– ეგ რისთვის?

– სარწმუნოდ ვიცი, სხვა საერისთაოებს ჯერ ამ წლის გადასახადიც არ გადაუხდიათ, ნოინებს ვეტყვი, თუ საქართველოში ხარკის დროზე შეკრება სურთ, ეგ საქმე მე მომანდონ და ვადაზე ადრე ჩაბარებას უზრუნველვეყოფ.

– მერე მოგანდობენ?

– რატომაც არა! თუკი ვინმე ჩვენგანი ამგვარ უნამუსობას იკისრებს, ჯილდოსაც არ დაპირდებიან? თუ ეს საქმე მომანდეს, მერე ჩემთან მთავრების შეკრება ბუნებრივი იქნება და მონგოლებს საეჭვოდ აღარ მოეჩვენებათ.

– სცადე, ვაზირო, ღმერთმა ქნას, გენდონ და გერწმუნონ. მეც, რაც ოქრო თანა მაქვს, შენი ჭირის სანაცვლო იყოს, – გაამხნევა ცოტნემ ციხისჯვარელი, – მაინც როდის აპირებ ანისს წასვლას?

– ორ-სამ დღეში, როგორც გადასახადის აკრეფას მოვრჩები.

– ჰოდა, შენ რომ ანისს წახვალ, მე ოდიშის გზას დავადგები, ჩემს აქ დარჩენას სარგებელი აღარა აქვს, ლიხსაქეთა მთავართაგან, ვინც მომსვლელი იყო, უკვე მოვიდა და შეგვითანხმდა.

– მხარგრძელები?

– მხარგრძელები ამპარტავნები არიან და აქ არ გვეახლებიან. იქნებ შენ მიაკითხო იქით, თუ არადა, მე მოვინახულებ ცოტა ხნის შემდეგ. მანამდე ლიხთიმერელ ერისთავებს გადმოვიბირებ და ეგებ ფული და სხვა სახსარიც ვიშოვო, ხომ იცი, იარაღი საშოვნელი გვაქვს და სხვაც ბევრი ხარჯი გვექნება.

– ფული საჭიროა, – დაუმოწმა ციხისჯვარელმა, – ურის ვალი უნდა ავიღოთ და სამზადისს არაფერი დავაკლოთ.

– ჰოდა, მეც დრო მინდა, ლიხთიმერელ ერისთავებსაც ეგრე ადვილად ვერ დავიყოლიებ, ისინი მაინც თავთავისთვის არიან, ხარკსა და ბეგარას იხდიან და მონგოლთაგან სხვა შეჭირვება არ იციან. ამიტომ დახანება აღარ ივარგებს, ოდიშის გზას გავუდგები.

– შენი ნებაა, სიძე-ბატონო, როგორც ქვეყნისა და შენი საქმისათვის იყოს უმჯობესი, ისე მოიქეცი, – დაეთანხმა ციხისჯვარელი.

– როცა ლიხთიმერელ ერისთავებს მოვიმხრობ, შეთქმულების ერთად თავის მოყრაც აუცილებელი იქნება და, ეგებ, არაერთხელაც.

– აუცილებლად უნდა შევიყარნეთ, აჯანყების დრო და ადგილი უნდა დავთქვათ და ყველა პირობაზე საბოლოოდ შევთანხმდეთ. თუ ჩემმა სიტყვამ და ხერხმა გასჭრა, ხარკის შეგროვების საბაზით, უფლება მექნება საქართველოს მთავრები ერთად შევკრიბო ხოლმე და მაშინ ვინ დაგვიშლის საიდუმლო მოლაპარაკებას.

ლიხთიმერეთს დაბრუნებული ცოტნე ერთხანს მამულისა და სამთავროს საქმეებით გაერთო, გურია და აჭარა მოიარა და იქაურობა რომ განაგო, სასახლეში ჩაიკეტა. ერთთავად სულ შინ იყო ოდიშის მთავარი, სანადიროდ და სტუმრადაც აღარ მიდიოდა. სამაგიეროდ მასთან იწყეს მოსვლა ლიხთიმერეთის ერისთავებმა.

სამ დღეს დაჰყო სტუმრად მოსულმა რაჭის ერისთავმა დადიანების სასახლეში: იმ სამი დღის განმავლობაში არც სანადიროდ გასულან, არც ბურთითა და ცხენოსნობით შექცეულან. ისხდნენ მარტოდმარტონი გამოკეტილ ოთახში და, კაცმა არ იცოდა, რას ლაპარაკობდნენ ასე დაუსრულებლად და მოუწყინრად. მესამე დღეს კარის მოძღვარს პარაკლისი გადაახდევინეს. ნაშუადღევს ერისთავი ხვევნა-კოცნით გამოეთხოვა მასპინძელს და რაჭისკენ გაუდგა გზას.

ორი დღის შემდეგ აფხაზეთის მთავარი ეწვია დადიანს უამალოდ, ორიოდე მხლებლით.

– გზად მოვდიოდი, მთავარო, ქუთაისიდან და შენი უნახავი ვეღარ წავედი. აქამდისაც უნდა მენახე სალმობიერი, მაგრამ ხომ იცი ჩვენი უცალობის ამბავი, – მოიბოდიშა აფხაზმა მთავარმა.

ნავახშმევს, როცა სტუმარმა გული გადმოუშალა და მონგოლთაგან უკიდურესი შეჭირვების გამო ცრემლიც გადმოღვარა, ცოტნემ შეთქმულების განზრახვაზე სიტყვა შეაპარა.

– ნეტავი მაგ დღეს მოვესწრებოდე და მთელ აფხაზეთს გამოვიყვან, ქუდზე კაცს.

– შენი იმედი ყოველთვის მქონდა, მთავარო, ვიცოდი, საქართველოს ერთიანობისა და თავისუფლებისათვის თავს არ დაიზოგავდი. თქვენგან, აფხაზეთიდან დაიწყო ბაგრატივანთა გვირგვინქვეშ სრულიად საქართველოს

გაერთიანება ლეონ აფხაზთა მეფის დროს და, ახლაც, აფხაზების შეწევნა და მონაწილეობა გადამწყვეტი უნდა იყოს მონგოლთა შემუსვრასა და განდევნაში.

– აკი მოგახსენე, მთავარო, ქუდზე კაცი გამოვა-მეთქი.

– ეგ ხომ მჯერა, რომ აგრე იქნება, მაგრამ შენი იმედი კიდევ სხვაფრივაცა გვაქვს, ჯიქებიც უნდა მოგვაშველო.

– ჯიქები ბათო ყაენის ყმები არიან, მოგეხსენებათ. იქ ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება!

– იქაურ მთავრებს ოქრო მივცეთ და ჯარი დაგვიქირავონ.

– ეგ შეუძლებელია, ბათოს ნოინების უნებართვოდ, ჯიქეთში საომრად კი არა, ქორწილსა და აღაპში ვერ ბედავენ შეკრებას.

– ბათო ყაენის კარზედაც ვფიქრობთ საიდუმლო მოლაპარაკებას, ამბობენ, ჩრდილოეთის ულუსი შურით შესცქერის სამხრეთის ურდოს გაძლიერებასო.

– ეგ აგრეა, მაგრამ ბათო ყაენი ფრთხილია და ჰულაგუც ვერ ბედავს ჯერჯერობით მისი უზენაესობის უგულუბელყოფას...

– მაინც უნდა ვცადოთ. ოქროს ურდოს დახმარებას არა ვთხოვთ, მაგრამ ილხანთა ბატონობიდან ჩვენს თავდახსნას რომ კარგი თვალით შეხედოს, ჩვენთვის ესეც დიდი მხარდაჭერა იქნება.

– ეს კი ვიცი ჯიქი მთავრებისგან, რომ ჩრდილო ულუსელებს აფხაზეთსა და მთელ ლიხთიმერეთზე თვალი უჭირავთ... – სრულიად საქართველოზედაც არ იტყვიან უარს, მაგრამ ჩვენთვის რა ბედენაა ერთი ბატონით მეორის შეცვლა. ჯერჯერობით ჩვენი გულისთვის ბათო და ჰულაგუ არ წაიკიდებიან, მაგრამ თუ ჩვენი აჯანყება გაიმარჯვებს და საქართველოდან მონგოლებს გავრეკავთ, ეგებ ბათომ ილხანთაგან ჩვენი მიწა-წყლის ხელახლა დაპყრობა აღარ ინდომოს.

– არ ინდომებს, თუ ჰულაგუსთან ომს აპირებს.

– სწორედ იმისთვის გვინდა გავმართოთ საიდუმლო მოლაპარაკება ბათოს კართან, რომ ოქროს ურდოსაგან ჩვენი შეთქმულების ხელის შეწყობის თუ არა, წახალისების იმედი მაინც გვქონდეს.

– დიდი სიფრთხილე უნდა მაგვარ მოლაპარაკებას, ბათო ეჭვიანი და ცბიერია თურმე და ძნელად ვისმე გაანდობს ილხანთან თავისი მომავალი დამოკიდებულების გეგმებს.

– ვიცი, მთავარო, ბათო ყაენთან ამგვარი მოლაპარაკება ცეცხლთან თამაშია, მეც ადვილად ვერავის ვანდობ ამ საქმეს და, თუ როგორმე ჩვენი ნოინებისგან საიდუმლოდ ოქროს ურდოს წასვლა მომიხერხდა, თვითონ ვიკისრებ შეთქმულთა დესპანობას.

კრავაი შეშფოთებული უყურებდა მთავართა და ერისთავთა გახშირებულ მისვლა-მოსვლას. სასურველ სტუმრებს სიხარულით ხვდებოდა, გულუხვად მასპინძლობდა და ზრუნვას არ აკლებდა. მაგრამ მისი მონაწილეობა ამით იწყებოდა და მთავრდებოდა იმ ფარულ მოლაპარაკებაში, რომელიც ცოტნესა და მის საპატიო სტუმრებს ჰქონდათ.

სულ ფიქრში წასულსა და შუბლგაუხსნელ ქმარს რომ ხედავდა, თავადაც საგონებელში ვარდებოდა. ეჭვით რაღაცას ხვდებოდა, გრძნობდა, რომ ლიხთიმერელი დიდებულების საიდუმლო მოლაპარაკებაზე ქვეყნისა და მისი ოჯახის ბედი დიდად უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. ქალური ალლოთი და უტყუარი გუმანით ხვდებოდა, რომ ახლო ხანში დიდი მოვლენები უნდა დატრიალებულიყო. რამდენადაც იმ მოვლენის შუაგულში მისი ქმარი იდგა, იმდენად, ოდიშის მთავრის ოჯახის ბედი და მომავალიც იმ ამბებში ჩათრეულად ეჩვენებოდა და კრავაის მოსვენება ეკარგებოდა.

ცოტნე ფრთხილობდა, საგანგებოდ, ყველას გასაგონად ხუმრობდა, კარგად რომ გავხდი, ახლა შეწუხდნენ ჩვენი ერისთავები ჩემი სწეულებითო. ეს მოგონილი არხეინობა კიდევ უფრო არწმუნებდა კრავაის, რომ მისი ქმრის მიერ წამოწყებულ საქმეს დიდი საქვეყნო მნიშვნელობა ჰქონდა. ქმრისადმი უსაზღვროდ ერთგულს გული წყდებოდა, რომ ცოტნე მისთვის საიდუმლოს განდობას არ ჩქარობდა, ჩვეულებრივად რჩევას არ ეკითხებოდა და მისგან შველასა და ხელის შეწყობას არ თხოულობდა. მერე მრავალგზის გამოცდილი მაინც არ ჰყოლოდა ცოტნეს თავისი ერთგული თანამეცხედრე, რომელსაც შეეძლო საიდუმლოს შენახვაც და კეთილი, გონივრული რჩევის მიცემაც. რამდენჯერ ყოფილა კრავაი ცოტნესა და მის მტრებს შორის მშვიდობის ჩამომგდები მოციქული! მის იშვიათ ქალურობასა და გამჭრიახობას, კეთილ გულსა და გარეგნულ მომხიბლაობას რამდენჯერ მოუნადირებია ცოტნეს მოპირდაპირეთა გული და ძნელად მოსაგვარებელი საქმე რამდენჯერ უმტკივნეულოდ მოუგვარებია.

ახლა კი, როცა რაღაც დიდი საზრუნავით შეპყრობილი ცოტნე მოსვენებას ვერ პოულობს, დღისით მღელვარებას ვერ ერევა და ღამეებს თეთრად ათენებს: ახლა, როცა ყველაზე მეტად სჭირდება გამგები და ერთგული მესაიდუმლე, ცოტნე ისე იქცევა, თითქოს კრავაი მის გვერდით არ იყოს და ქმრის ბედნიერებისათვის ყოველგვარი მსხვერპლის გასაღებად თავი გადადებული არ ჰქონდეს!

დაკვირვებული მეუღლე იმასაც ატყობდა, რომ ქმარსაც აწუხებდა ცოლისათვის საიდუმლოს გაუნდობლობა. ორჯერ თუ სამჯერ ცოლთან მარტო დარჩენილმა, რაღაც გადაკრული ლაპარაკი წამოიწყო, ეტყობოდა, წინასწარ ფიცის ჩამორთმევაც უნდოდა კრავაისათვის, მაგრამ თითქოს გონს მოეგოო, უცებვე გადაიფიქრა. სიტყვა ბანზე ააგდო და საუბრის საგანი შეცვალა.

ნამდვილად ხატზე აქვს დაფიცებული საიდუმლოს გაუმხელად შენახვას, დაასკვნა საბოლოოდ კრავაიმ და ამით ცოტა დამშვიდებულს ქმრის წყენა გაუნელდა.

სომეხი დიდვაჭარი მარტიროსი პირდაპირ დაბარებულივით მოადგა კარს საგონებელში ჩავარდნილ ცოტნეს.

ღმერთს ნამდვილად ჩვენი საქმის კეთილად წარმართვა სურს, იმან გამომიგზავნა სწორედ საჭიროების დროსო, დაასკვნა ოდიშის მთავარმა და დიდვაჭარს გაეგება.

– მარტიროსს ვახლავართ, მარტიროსს! რა ხანია ლიხთიმერეთი არ მოგინახულებია, მობრძანდი, ჩემო მარტიროს!

– ჩემი მდაბალი სალამი ოდიშის მთავარსა და ქართველთა მეფის ვაზირს! – ძველებურად მიესალმა მარტიროსი.

– ალბათ, ჩემი სნეულობის ამბავი შეიტყვე და საიქიოს შენს მევალებთან წერილის გატანება გადასწყვიტე!

– არა, მთავარო, ეგეთ საქმეზე თქვენისთანა სახელოვან დიდებულს როგორ შევაწუხებდი, ქარავანს მოვუძღვი ფაზისიდან, ტმუტარაკანიდან მოვდივარ. ზოგი რამ უცხო საქონელი ბარემ გზაზევე მინდა გავასალო შენს კარზე და ხომ იცი, შენი ამდენი ხნის უნახავობაც მაწუხებდა. მცირე ძღვენიც მოგართვით, მთავარო, თქვენ და თქვენს ქალბატონს. მადლობა ღმერთს, რომ სალ-სალამათადა ხართ ჩვენს სასიხარულოდ და მტრების თვალის დასავსებად!

– გმადლობთ, ჩემო მარტიროს! ახლა აღარა მიშავს რა, მგონია, მოვრჩი... მობრძანდი, – სასახლისკენ გაუძღვა ცოტნე.

მარტიროსის ბიჭებმა ძღვენი მოართვეს. მთავარმა და ქალბატონმა მოსაკითხი მოიწონეს, დიდვაჭარს მადლობის სიტყვები უთხრეს და მარტიროსის პატივსაცემად უხვი სუფრა მოაღებინეს.

– ერთი კვირაა, ზღვა-ზღვა, გემით მოვდივარ. ღელვა დაგვედარა და კინალამ თევზებს დარჩათ ჩვენი მონაგარიცა და ბებერი სხეულიც, – ჰყვებოდა ენაწყლიანი მარტიროსი, – ძლივს შემოვასწართ თქვენს ფაზისში, მაგრამ გავწვალდით, ნავის მისადგომის პოვნა გაჭირდა, აფსუს, მთავარო! მე მახსოვს, მანდ რა ნავსადგურს აშენებდით.

ცოტნეს მტკივან ადგილზე დააჭირა მარტიროსმა და მთავარს მიწის ფერმა გადაჰკრა.

– მაშინ შენც ბეწვზე გადარჩი სიკვდილს, არა?

– ჰო, ეგრე იყო! – ხელი ჩაიქნია ცოტნემ.

– ვინ ჩაიდინა ეგ ბოროტება, მგონი, დღესაც არ იცით!

– ძველი ამბავია, მაგაზე ლაპარაკი აღარ ღირს!

– როგორ არა ღირს, მთავარო, ეგ ბოროტება რომ არ მომხდარიყო, საქართველო ახალი ვენეცია იქნებოდა და ზღვაზე თქვენი ბატონობით, ჩვენც სარგებელი გვექნებოდა.

– რაღა დროს მაგის გახსენებაა, მარტიროს, – მწარედ გაელიმა ცოტნეს, სასმისი ასწია და სტუმრის ბედნიერ ფეხზე მოსვლა დალოცა.

– გძინავს, კრავა? – იკითხა ძილგატეხილმა ცოტნემ.

– არა, ბატონო, როცა შენ არ გძინავს, მე რა დამაძინებს!

– ერთი რჩევა მინდა გკითხო.

– მიბრძანე, ბატონო, – სმენად იქცა კრავაი.

– ფული მჭირდება და საკმაოდ ბლომდაც, რატომ და რისთვის, ნუ მკითხავ. საქვეყნო საქმეა და ხატზე მაქვს დაფიცებული, არ გავთქვა. ჭკვიანი ქალი ხარ და არ მიწყენ.

– წყენას ვინ გიბედავს, – ამოხვრით თქვა კრავაიმი.

– ეს დიდვაჭარი უფალმა ჩემს ბედად მოიყვანა, ფულის სესხებაზე, მგონი, უარს არ მკადრებს, მაგრამ სულ ცარიელი სიტყვებითაც არ მენდობა.

– ჩემი სამკაულები მივცეთ, – გულწრფელად, შეუყოყმანებლად თქვა კრავაიმი.

– შენ თუ გაიმეტებ... მე მიძნელდებოდა თქმა.

– გავიმეტებო? აბა რაღა დღისთვის მინდა, თუ შენ არ მოგახმარ და საქვეყნო საქმისათვის არ გავწირავ.

– არა, სულ გაწირულიც არ იქნება, დავუგირავებთ და უკანვე გამოვიხსნი, როგორც კი მამულს ან სხვა ქონებას გავყიდი.

– შენ მაგისა ნუ გეფიქრება, მთავარო, ის ჩემი განძი შენი ნაბომებია და ღმერთმა შენვე მოგახმაროს სასიკეთოდ.

– გმადლობ, ჩემო კრავაი, ვიცოდი, რომ აგრე მეტყოდი, – მოეხვია ცოტნე.

– ჩემი განძი კი არა, სიცოცხლევ შენი სანაცვლოა, როცა დაგჭირდეს, ისიც ასე კეთილი გულით მიიღე და შეიწირე, – ეჩურჩულებოდა კრავაი და ცრემლმომდგარი თვალებს უკოცნიდა.

მეორე დღეს, კარგად რომ დანაყრდა, სომეხი დიდვაჭარი მთავრის წვევით ცალკე ოთახში განმარტოვდა ცოტნესთან ერთად.

– სწორედ კარგ დროს მომინახულე, მარტიროს-ბატონო. აქ რომ არ მოსულიყავი, იქ უნდა გხლებოდი, ანისს.

მარტიროსმა ყური ცქვიტა, მიხვდა, რაც უნდა მოჰყოლოდა ამ ჩვეულებრივ შესავალს.

– განა რისთვის დაგჭირდა ჩემი ბებერი თავი, მთავარო?

– ოო, ძალიან დამჭირდი, მარტიროს, შენს იქით გზა არა მაქვს და შენ იცი, თუ არ გამაწბილებ. სხვა დროსაც გაგიმართავს ხელი ჩემთვის და ვალი ყოველთვის ვადაზე დამიბრუნებია.

– რამდენი გჭირდება? – პირდაპირ მოუჭრა დიდვაჭარმა.

ცოტნემ მისთვის საჭირო თანხა დაუსახელა.

მარტიროსი მოულოდნელობისაგან შეხტა, ყურს არ დაუჯერა.

– ეგ რა ამბავია? ლაშქარი უნდა დაიქირავო? – გულთმისანივით აღმოხდა მარტიროსს.

– რაც მონგოლი ყაენი გვყავს მფარველად, უფალი იყოს მისი შემწე, ქართველებს ლაშქრის დაქირავება კი არა, საკუთარი ჯარის გამოყვანაც აღარ სჭირდება. ხარკი მაქვს გადასახდელი და, შენ რას დაგიმაღავ, ქალიშვილს ვა-თხოვებ.

– ჰოო, ეგ კარგი საქმეა, მოსალოცი... მაგრამ ამდენი არ დაგჭირდება.



\_ მჭირდება, მარტიროს. დანა და ყელი ერთადა მაქვს. არ იფიქრო, ცარიელი სიტყვის იმედად ვიღებდე ამ ვალს, ჩემი ცოლის განძეულობას მოგართმევ გირაოდ... კრავაი! \_ გასძახა ცოტნემ.

კარი გაიღო და კრავაი შემოვიდა. კი არ შემოვიდა, შემობრწყინდა სახიერი და მოხდენილი მთავრის მეუღლე. სტუმარს თავი დაუკრა და რომ გაუღიმა, კინალამ დადნა ბევრისმნახველი დიდვაჭარი.

კრავაი მაგიდასთან მივიდა, ცოტნეს გატენილი ქისა გაუწოდა და გაბრუნება რომ დააპირა, მარტიროსს ისევ მომხიბლავი ღიმილი მიაფრქვია, თავი ოდნავ დახარა და ოთახიდან გავიდა.

გამოცდილმა დიდვაჭარმა იმ წამშივე დასდო ფასი კრავაის ძვირფას ტანსაცმელსა და მოკაზმულობას, მის წარმტაც გარეგნობასა და იშვიათ მომხიბლავობას.

ამის პატრონს რა ფული ეყოფაო, გაიფიქრა და უკვე გულმომბალმა ღიმილით მიმართა ცოტნეს:

\_ რა ვადით იღებ ამოდენა ვალს, მთავარო?

\_ ერთი წლით, წლისთავზე დაგიბრუნებ.

ცოტნემ ქისა დააპირქვა და მაგიდაზე პატიოსანი თვლები, ოქროს ბეჭდები და სამაჯურები, ყელსაბამები და საყურეები დახვავდა.

\_ ეს განძი მაგ ფულზე მეტი უნდა ღირდეს, გირაოდ გამძლე.

\_ გირაო არ მინდა, ქალბატონის სამკაულს გირაოდ როგორ მივითვლი! \_ ხელით მისწია საუნჯე მარტიროსმა, \_ აქედან მხოლოდ ამ ერთ ალმასს ავიღებ.

\_ მარტიროსმა დიდრონი ალმასი დაიდო ხელის გულზე, \_ ამასაც უკან დაგიბრუნებთ, როცა გავსწორდებით... ახლა, თან მაგდენი არა მაქვს, ნახევარს მოგართმევ. ნახევარს ანისს რომ იქნებით, ნოინებთან, მაშინ მოგიტოვლი.

ცოტნემ შეატყო, დიდვაჭრისაგან ახლა მეტს ველარაფერს მიიღებდა, ხელწერილი დაუწერა და სესხის ნახევარი მიითვალა.

ბათო ყაენის კარს წასვლა ვერ გაბედა ცოტნემ. ბათო განგებ აყოვნებდა ოქროს ურდოში საქმის გასარიგებლად ჩასულ მეფეებსა და მთავრებს, ზოგჯერ წლამდე აჩერებდა თავის კარზე და, მაინც საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ყარაყორუმს გზავნიდა მთავარ ყაენტან.

ოდიშის მთავარმა კათალიკოზი და არგვეთის ერისთავი წარავლინა ოქროს ურდოს დიდი ძღვენითა და საიდუმლო დავალებით.

აგერ ნახევარი წელი მიიწურა, ელჩები ველარც შინ ბრუნდებოდნენ, ვერც საიმედოს რასმე იტყობინებოდნენ. ამასობაში მარტიროსისაგან აღებული ოქრო დატრიალდა და ოდიშისაკენ ზღვითა და ხმელეთით დაიძრა ფარულად შეძენილი იარაღი. თავის მხრივ, ციხისჯვარელის ხერხმაც გასჭრა და ყვარყვარეს ხარკის შეკრების ზედამხედველობა მიანდეს. ნავაზირალმა ქართველი მთავრების ციხისჯვარს მოხმობა გაახშირა.

საქმე თითქოს კეთილად წარიმართებოდა.

მონგოლები ალამუთის ომით იყვნენ გართულნი და საქართველოსთვის იმდენად აღარ ეცალათ. ქართველი მთავრები იკონიისა და ხლათის

სულთნებთან, შირვანელებთან და ადარბადაგანელებთან შეთქმულების ძაფს აბამდნენ და ილხანთაგან დაპყრობილი ყველა ხალხი ერთიანად იმსჭვალებოდა ერთობლივი აჯანყების ფიქრით.

ასპასიას მოსწრებაში კოხტისთავს იმდენი სტუმარი არასოდეს ჰყოლია.

უკვე მიმცოვნიებული ციხისჯვარელი თვითონ ამოვიდა კოხტის ციხეში, თან ფრინველი და ოთხფეხი, ფქვილი და ღვინო მოჰყვა ურმებითა და ჯორკიდებულთ.

სამცხის ერისთავმა მოსვლისთანავე ყველას გასაგონად გამოუცხადა ციხისთავს:

– ხვალ მთავრები და ერისთავები გვესტუმრებიან, აბიათარ, მონგოლთათვის ხარკის შეგროვება უნდა გავარიგოთ და მთელ დღეს ჩვენი სტუმრები იქნებიან. მასპინძლობის თადარიგი შენ და შენმა ცოლმა დაიჭირეთ. დილიდანვე გუშაგები დავაყენოთ, რომ უცხო და გარეშე არავინ მოვიდეს და მონგოლთა წინაშე ჩვენი ვალდებულების შესრულებას ხელი არ შეუშალოს.

მსახურები ცოტა ეახლებინათ. ისინიც ციხის უკანა მხარეს – სამზადსა და სახაბაზოში დააყენეს და მაშინვე თვითეულს იმდენი საქმე მიუჩინეს, გარეთ გასახედად კი არა, თავის მოსაფხანად ვერ მოიცლიდნენ.

დილიდან კანტიკუნტად იწყეს მოზრძანება მთავრებმა, თან ამაღად თითო-ოროლა მხლებელი მოსდევდათ მხოლოდ იმათაც მაშინვე მსახურებთან გზავნიდნენ, ციხის შიგნით. თავად ციხის ეკლესიაში შედიოდნენ და საყდრის კართან დადგენილი შუბოსანი გუშაგები კარს უმაღვე ჰკეტავდნენ.

ასპასია თითოეულის გამოჩენაზე გამორბოდა, შორიახლო დონჯშემოყრილი დგებოდა, მომსვლელ-დამხვდურთ თვალს გაფაციცებით ადევნებდა და თან ცდილობდა, მათი ნათქვამიდან არაფერი გამოჰპარვოდა.

ყველაზე ადრე სარგის თმოგველი მოვიდა. ასპასიას ბევრჯერ ჰყავდა ნახული ციხისჯვარელთა სახლში ყვარყვარეს ენაწყლიანი ნათესავი.

ნავაზირალი ძმურად გადაეხვია მისი დაღუპული შვილის კბილა თმოგველს, ერთიმეორე შინაურულად მოიკითხეს და ეკლესიისკენ წავიდნენ.

სარგისი დამხვდურებს ცნობდა, ყველას თავს უკრავდა და ესალმებოდა.

ასპასიას რომ გაუსწორდა, ახლობელსავით გაუღიმა და ოდნავი თავდახრით მიესალმა.

კარგა ხნის შემდეგ ხცემორეული წვეროსანი მოზრძანდა. მხცოვანის ვინაობა ასპასიამ იმით გაიგო, რომ სტუმრის შესაგებებლად გამოსულმა აბიათარმა საყდართან მდგარ გუშაგს გასძახა:

– ქართლის ერისთავი მოზრძანდა, ბატონს აცნობეთ.

ეგარსლან ბაკურციხელი და შოთა ჰერეთის ერისთავი, თორღვა პანკელი და ვარამ გაგელი, თითქმის ერთიმეორის მიყოლებით მოვიდნენ. სხვაზე გვიან რაჭის ერისთავი გამოჩნდა.

მოსულთაგან ზოგს სცნობდა ასპასია, ზოგის ვინაობას თავის გულმართალ ქმარს ეკითხებოდა და აბიათარიც სიტყვას არ იშურებდა საქართველოს

სახელოვან მთავართა მამულისა და ყმის სიმრავლეზე, მეფის წინაშე დამსახურებასა და სამშობლოს ერთგულებაზე.

შუადღე კიდეც არ იყო, აღმართზე რომ ამოაგელვა ცხენი ოდიშის მთავარმა.

– ცოტნე, შვილო! უკვე აღარ გელოდი! – გულში ჩაიკრა ციხისჯვარელმა ცხენიდან ჩამომხდარი სიძე.

ოდიშის მთავარი ორმოც წელს გადაცილებული ძლივს იქნებოდა, მაგრამ უფრო ხნიერად გამოიყურებოდა – საფეთქლებთან ჭაღარა მორეოდა, წერწეტი წელი, ადრე რომ გადაწყვეტაზე ჰქონდა, გავსებოდა, ფართო მხარბეჭი ოდნავ მოხროდა და ნაბიჯი დამძიმებოდა.

– მაინც ძველებურად გონების წამღებია, – დაასკვნა თავის გულში ცოტნეს მიშტერებულმა ასპასიამ და მთავრის მოახლოებაზე იგრძნო, რომ მუხლები აუკანკალდა.

– ნეტავ, თულა მიცნობს?.. ნეტავ, თუ მიცნობს? – მკითხაობდა თავის გულში ასპასია და გული ბაგაბუგით უცემდა. რატომღაც, უნებურად, ტანზე და ხელფეხზე დაიხედა, ახალგაზრდობა გაიხსენა და გული ჩაწყდა, რომ ადრინდელის ლანდიც აღარ იყო, დაბერებული და დაუშნობელი დედაკაცი.

ნეტავ, არ მიცნოსო, ინატრა და წამით თვალებზე თავსაფრის ჩამოფარება დააპირა. უმაღლე გადაიფიქრა და ჩამოსაფარებლად წაღებული ხელით თავსაფარი კიდეც უფრო გადაიწია, შუბლი და თვალწარბი კიდეც უფრო მეტად გამოაჩინა.

ცოტნემ უეცრად ოქროს ჯვარს მოჰკრა თვალი დოინჯშემოდგემული ქალის ჩავარდნილ გულმკერდზე.

ასპასიამ დანაშაულზე წასწრებულივით იტაცა ხელი ოქროს ჯვარზე და უბეში ჩაიციურა.

ცოტნემ ვერც მოასწრო წამიერი მოლანდებისათვის მნიშვნელობის მიცემა, გზა დინჯი ნაბიჯით განაგრძო და ასპასიას გვერდით ისე გაუარა, ზედაც არ შეუხედავს. ასპასია იქვე ჩაიკეცა, იგი მიხვდა, რომ მონგოლებს დათქმულ ნიშანს ვეღარ მისცემდა, ცოტნეს ვერ დალუპავდა.

ციხის ეკლესიაში პატარა მრგვალ მაგიდას უსხდნენ შეთქმულნი. ბჭობას მონგოლთა წინააღმდეგ შფოთის პირველი წამომწყები და აჯანყების თესლის პირველი ჩამგდები ყვარყვარე ციხისჯვარელი წარმართავდა. ეს პატივი მას მარტო მასპინძლის უფლებით კი არ რგებია. იგი სხვა შეთქმულებს ხანითაც აღემატებოდა და მონგოლების წინააღმდეგ ბრძოლებშიაც სხვაზე მეტი გამოცდილება და დამსახურებაც ჰქონდა.

– საქართველოს მთავართაგან უმთავრესნი და უწარჩინებულესნი აქა ვართ შემოკრებილნი. მონგოლთა უღლის სიმძიმემ და სამშობლოს უბედურებამ ყველანი ერთ აზრზე და გადაწყვეტილებაზე დაგვაყენა – უნდა ავჯანყდეთ, დამპყრობლები ჩვენი ქვეყნიდან გავდევნოთ და საქართველოს ძველი დიდება აღვადგინოთ. საქართველოს ყველა მთავარი და ერისთავი, აზნაური თუ ეკლესიის მსახური, ვაჭარი თუ მიწის მოქმედი ერთი ოცნებითაა შეპყრობილი – დროზე გავრეკოთ მონგოლები და ვიხსნათ ჩვენი ხალხი მოსპობისა და

გადაგვარებისაგან. გავლენიან მთავართაგან მხოლოდ ორი გვაკლია დღეს – საქართველოს სამეფოს ამირსპასალარყოფილი ავაგი და შანშე მხარგრძელი. ავაგი ყარაყორუმის გზას გაუდგა დიდი ხანია და მისი ასავალ-დასავალი არავინ იცის.

– წასვლამდის გავანდეთ ჩვენი განზრახვა და არა ერთგზის ვცადეთ მისი გადმობირება, მაგრამ ყველას მოგეხსენებათ, როგორ შორს დაიჭირა. გაგონებაც არ ისურვა მონგოლთა წინააღმდეგ შფოთისა და ამბოხის. ამ საქმის წამომწყებთ გიჟები და წინდაუხედავები, ხალხისა და ქვეყნის დამღუპველები გვიწოდა, – შეაშველა სიტყვა ცოტნემ.

– ავაგისაგან ჩაგონებული, შანშეც შორს გაგვიდგა. ვერ იქნა და ვერ გავტეხე, აჯანყების აუცილებლობა ვერ შევასმინე, – ხელი გაასავსავა ვარამ გაგელმა.

– აქ მოსვლამდე მეც საგანგებოდ ვეწვიე შანშეს. დიდხანს ვუმტკიცე, რომ თუ დროზე არ მოვიშორებთ მონგოლთა უღელს, ქვეყანა დაილუპება. წელში გამწყვეტი გადასახადი და ამაოხრებელი ბეგარა, შორეულ ლაშქრობაში საქართველოს შვილთა დაუსრულებელი ჟლეტა, მალე სრულიად გაანადგურებს ჩვენს ხალხს და, რაც დრო გავა, არათუ აჯანყების თავი აღარ გვექნება, ჩვენი არსებობაც სათუო გახდება-თქო. ამას იყო ჩემი მტკიცება და შეგონება და, არც მიკვირს, თუკი თავის საყვარელ ბიძას ქვეყნისა და ტახტის წინაშე ესოდენ დამსახურებულ ვარამ ბატონს არ ერწმუნა, მე რას დამიჯერებდა შანშე მხარგრძელი! – ხელი ჩაიქნია ოდიშის მთავარმა.

– ერთთავად სულ ავაგის ნათქვამს იმეორებს შანშე: როცა ერთი გვირგვინი გვაერთიანებდა, მთელი საქართველო ერთ მეფესა და დროშას ემსახურებოდა, მაშინ ვერა გავაწყვეთ რა მონგოლთა წინააღმდეგ. ახლა, როცა ცალ-ცალკე სამთავროებად დავიქსაქსეთ, ერთი წინამძღოლი აღარა გვყავს და ჩვენს მთავარ ციხეებში მონგოლთა ჯარი დგას. ჩვენი ყოველი შფოთი და შეთქმა წინასწარ არის დასამარცხებლად განწირული.

– ეგ ბრალი და დანაშაული თვითონ ამირსპასალარის კისრად რჩება, ვარამ ბატონო! იმის მაგივრად, რომ ავაგი, ვითარცა სამეფოს ამირსპასალარი, თვითონ გაძლოლოდა მტერზე სრულიად საქართველოს ერთიან ლაშქარს, თავის ციხესა და მამულში ჩაიკეტა და მონგოლებთან ვაჟკაცურ ომს ქედის მოხრა არჩია. თქვენც კარგად იცით და გახსენება არ მინდა იმისა, თუ რა ძვირად დაუჯდა ჩვენს ქვეყანასაც და თვითონ ავაგსაც დანარჩენი საქართველოსაგან განცალკევება და მტრისადმი დამორჩილება, – შეკავებული მრისხანებით თქვა ციხისჯვარელმა.

– უგუნურებმა არც მე დამიჯერეს, აღმოსავლეთის დასაპყრობად მოსულ ურიცხვ ლაშქარს ტყუილად შეაწყვიტეს ხალხი და თავთავიანთი ქვეყანა ააოხრებინეს, – დაუმატა გაგელმა.

– შანშეც ავაგივით მხდალია და გაუბედავი, – აღშფოთება ველარ დაფარა ციხისჯვარელმა.

– მაწყენინა კიდეც შანშემ, – განაგრძო ცოტნემ, – მონგოლთაგან ჩვენ ვართ ესოდენ გამწარებულნი, ლიხს აქეთ მთავრები, მაგრამ ჩვენ ბედს აგრე იოლად

მაც არ ვაგდებთ სასწორზეო. თქვენ, ლიხსიქითელ მთავრებს მონგოლები თავზე არ გასხედან და მაც არ ისვენებთ, ჩვენს მაგივრად რა თავს იღებთო?!

– ეგ როგორ გაკადრა?

– საქართველო რამ გაჰყო, ყველას ერთი ჭირი გვჭირს და ერთიმეორის სატკივარი გვტკივა.

– ბარაქალა შენს მოთმინებას, ეგ როგორ აპატიე?!

ერთპირად აღშფოთდნენ მთავრები.

– თავი ძლივს შევიკავე. სიტყვა აღარ გავაგრძელე და წამოსვლისას ეს ვუთხარი, ხელს მაც ნუ შეგვიშლი, თუ ჩვენთან არ იქნები-მეთქი.

– თქვენ შანშეს ხასიათი არ იცით, – მშვიდად თქვა ვარამ გაგელმა, – ჩვენს სამტროდ არაფერს გააკეთებს, მაგრამ როგორც კი ჩვენს გამარჯვებას დაინახავს, მაშინვე ჩვენს მხარეზე დადგება და ჩვენთან ერთად იბრძოლებს.

– ღმერთმა ჰქნას, ეგრე იყოს, მანამდე კი სიფრთხილე გვმართებს, ნურც სხვა საიდუმლოს გავანდობთ. ნურც შეთქმულების გეგმას, – დაასკვნა ცოტნემ.

– რაკი ყველანი ერთ აზრზე და გადაწყვეტილებაზე ვდგავართ და აჯანყება ყველას ერთადერთ ხსნად მიგვაჩნია, დროა შეთქმულების დამამთავრებელი გეგმა განვბრჭოთ და ყოველი წვრილმანი გავითვალისწინოთ, – განაცხადა ციხისჯვარელმა და მაგიდაზე დიდი რუკა გაშალა.

კარგა ხანს ანგარიშობდნენ. მონგოლთა ჯარებისა და შეთქმულთა ხელქვეით მყოფ ქართველთა რაოდენობის ნამდვილსა და სავარაუდო გამოთვლას რომ მორჩნენ, დათქვეს – ვინ სად გამოსულიყო და, საერთო აჯანყების დღედ იმ დღის სწორი დანიშნეს.

ბჭობის დასასრულისათვის სუფრა უკვე გაშლილი იყო.

ინახად მსხდომთ მწდეებად მსახურები ადგნენ თავს. ყველანი ასპასიას მისჩერებოდნენ თვალ-წარბში, კერძი მისი განკარგულებით მოჰქონდათ, თეფშებს მისი ბრძანებით ცვლიდნენ.

– ასპასია! ასპასია! – ესმოდა აქეთ-იქიდან ცოტნეს და გაოცებული მთავარი თვალს ვერ ამორებდა წლებისა და სიბერისაგან მოღუნულს, მაგრამ მაც ციბრუტივით მბრუნავს, ერთიანად გათეთრებულ ქალს.

– ეს ქალი ვინ არი, ყვარყვარე ბატონო? – ხმადაბლა ჰკითხა გვერდით მჯდომ ციხისჯვარელს დადიანმა და ასპასიაზე ანიშნა.

– ციხისთავის ცოლია, აბიათარის.

– ქართველია?

– არა. კაცმა არ იცის მაგის ფესვი და ძირი. მამა, მგონი, ბერძენი ჰყოლია და სახელიც ბერძნული ჰქვია – ასპასია.

– დიდი ხანია აბიათარსა ჰყავს?

– არა, ახლახან შეირთო. აქ, კოხტისთავს სახლობენ და ჩემსას იმიტომ არ გინახავს. ადრე თბილისელი ტურფა ყოფილა და ძალიან ლამაზსაც ამბობდნენ. შენ ხომ არ გეცნობა, ჰა? – თვალი ჩაუკრა და გაუღიმა ციხისჯვარელმა.

ასპასიამ, ალბათ, იგრძნო მისკენ მიპყრობილი მზერა, პირი მთავრებისკენ იბრუნა და ქვემ-ქვემ გამოხედვით ცოტნეს თვალი თვალში გაუყარა.

იმ თვლებში ოდნავ კიდევ ბჟუტავდა ძველი ეშხი და ფერფლწაყრილი ცეცხლი. ცოტნეს გულში რაღაც ჩაწყდა და ეტკინა. ასპასიას მწუხარე მზერას ველარ გაუძლო და დამნაშავესავით თავი ჩაჰკიდა.

– ღმერთო ჩემო, როგორ დაბერებულა და გამოცვლილა, – წაილო ფიქრმა ცოტნე, – მართლაც რომ ლანდი აღარ არის იმ ასპასიასი! ანკი როგორღა იქნება, ჩემზე უფროსს კი არა, ჩემი ხნის ქალს ველარ შეხედავს კაცი ნდობითა და სურვილით და, ასპასია ხომ ჩემზე უფროსი იყო! ასე მიდის და იცვლება ყველაფერი, ცხოვრება თვალსა და ხელს შუა თავდება და აღარავინ იქნება მოწმე და მომთხრობი იმისა, რომ ჩვენც ოდესღაც ლამაზები ვიყავით და ლამაზად ვიცხოვრეთ.

– მაგრამ ვიცხოვრეთ კი ლამაზად? – ეკითხება თავის თავს ცოტნე და პასუხად მის მიერვე განვლილ გზას ავლებს თვალს. იმ გრძელ გზაზე ბევრი რამ იყო ლამაზი და მიმზიდველი, მაგრამ ღირსსახსოვარი და მნიშვნელოვანი, წარუვალი და არდასავიწყებელი.

კაცი მაინც კაცია და მისი სახელი გარეგნობისა და მოხდენილობის გამო კი არ მოიხსენება, კაცს გმირობა და ქვეყნისათვის თავდადება, უფლისა და ხალხის სამსახური ამშვენებს და უკვდავყოფს და, თუ აქამდე ეს ვერ შესძლო, ვინ იცის, ეგებ კიდევ ღირს ჰყოს ცოტნე განგებამ უკვდავი საქმის ქმნად, სამშობლოსა და ქრისტეს სჯულისათვის თავგანწირვად! ვინ იცის! ვინ იცის! ღმერთმა ჰქმნას, – პირჯვარს იწერს ფიქრში ცოტნე და თავს გაუბედავად სწევს.

ასპასიას მკერდზე ოქროს გრძელი ძეწკვი ბრწყინავს და გარდასული მშვენიერების საცოდავი ლანდი ხელით აწვალავს ცოტნესაგან ოდესღაც დაუფიქრებლად ნაჩუქარ ჯვარს.

ციხისჯვარელმა რომ ხარკის შეგროვების ზედამხედველობა იკისრა და ამაზე ნოინების თანხმობა მიიღო, ეგონა, მონგოლები მოატყუა.

მაგრამ ნოინები აგრე გულუბრყვილოები როდი იყვნენ! ქართველთა მეფის მოუსვენარი ნავაზირალი ნებაზე მიუშვეს და მზირები მიუჩინეს. ჯერ კიდევ შეთქმულების დაწყებამდე ბევრად ადრე შეგზავნეს ასპასია ციხისჯვარელის კარზე ყვარყვარეს მეუღლის მოახლედ. ასპასიას ციხისჯვარელისა და მასთან მიმსვლელ-მომსვლელი მთავრებისათვის თვალყურის დევნება დაავალეს და, უპატრონო დედაკაცი ერთგულად ასრულებდა ბატონების ამ დავალებას.

მერე, ის იყო, ციხისჯვარელის ხანში შესული მსახური მოხიბლა, მეორედ დაქვრივებულ აბიათარს გადაეკიდა და თავი ცოლად შეართვევინა.

შეთქმულება რომ აეწყო, ციხისჯვარელმა აბიათარი, როგორც ერთგული და მისანდოთაგანი, კოხტის ციხისთავად დაადგინა და ასპასიას შემგზავნებლსაც ეს უნდოდათ; კოხტისთავზე ციხისჯვარელისა და სხვა ქართველი ერისთავების ყოველ გამოჩენას უმაღვე ტყობილობდნენ და მათი ყოველი ნაბიჯი იცოდნენ.

ახლაც, შეთქმულთა ამ შეკრების განზრახვა წინასწარ ჰქონდათ ასპასიასაგან შეტყობილი მონგოლებს.

მონგოლებისათვის დადამებამდე უნდა ეცნობებინა მსტოვარს მთავართა შეკრების ამბავი, თორემ, ვინ იცის, ეგებ დაშლილიყვნენ და თავიანთ სახლებისკენ წასულიყვნენ ასე ერთად და სრულად შეკრებილი შეთქმულები. მონგოლები ამბის უცნობლობას არ აპატიებდნენ უბედურ მზირს, ცხენის ძუაზე გამოაბამდნენ და არაადამიანური წამებით მოჰკლავდნენ.

ასპასიას თივა და ჩალა ციხის ქონგურზე ატანილი ჰქონდა, ცეცხლს ერთ წამში დაანთებდა და მონგოლებს დათქმულ ნიშანს მისცემდა კოხტისთავისკენ წამოსასვლელად.

ამას ისე ჩუმად და ოსტატურად გააკეთებდა, ვერც გუშაგად დაყენებული ციხისჯვარელის კაცები შეამჩნევდნენ, ვერც ციხის ეკლესიაში საიდუმლოდ შეკრებილი შეთქმულები შეიტყობდნენ რასმე. ბოლოს, იქნებ, შეეტყოთ კიდეც, მაგრამ უკვე გვიან იქნებოდა, ხმელი თივა და ჩალა უცებ აბრიალდებოდა და უცებვე დაიწვოდა.

ციხისთავის ცოლს ყოველივე კარგა ხნის მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი ჰქონდა, ქონგურზე ცეცხლის დანთებასა და მონგოლთათვის ნიშნის მიცემას აქამდეც ყველასათვის უგრძობლად მორჩებოდა, მაგრამ ცოტნეს იქ ყოფნა აჩერებდა ასპასიას. ცეცხლის დანთება და მონგოლ ცხენოსანთა მოვარდნა ერთი იქნებოდა, შეთქმულები მტრის ხელთ ჩაცვივდებოდნენ და თათართა სისასტიკის ამბავი რომ იცოდა, მთავართაგან ცოცხალი, ალბათ, ვერავინ გადარჩებოდა. სიყრმიდანვე ცხოვრებისაგან განაწამებს, გზააბნეულსა და გამწარებულ ასპასიას გული არავისზე აუჩვილდებოდა, მაგრამ მისთვის ოდესღაც საოცნებო ხატად დასახულ ცოტნეს დასაღუპად ვერ იმეტებდა, მისდამი ადრინდელი ტრფიალების ცეცხლს გულის მივიწყებულ კუნჭულში კიდეც ეძინა და თუმცა ასაკსა და გამომხდარ ხანს იმ ცეცხლის ხელახლა ანთების ხალისი გაექრო და დაეკარგა, ასპასია მაინც საკუთარ თავს უფრო ადრე გასწირავდა, ვიდრე ცოტნეს გაიმეტებდა დასაღუპად.

დრო გარბოდა, შეთქმულთა სერობა არ თავდებოდა, ასპასია შფოთავდა და წრიალებდა.

ასპასიას მოფიქრებული ჰქონდა, რა უნდა ეთქვა ცოტნესათვის, რომ მთავარს დიდხანს დარჩენა აღარ ესურვებინა, აჩქარებულიყო და ოდიშისთვის მიეშურებინა.

მაგრამ მარტო მოფიქრება რას შველოდა! მთავარი თქმა იყო და, თუ სათქმელად ვერ დაიმარტოხლებდა, რა უნდა ელონა!

უცებ ცოტნე წამოდგა და ასპასიას გული გაუნათდა. ოდიშის მთავარმა, ალბათ, მოსანამუსებლად, გვერდით გაუხვია და ცოტა ხნის შემდეგ უკან რომ დაბრუნდა, თვალცრემლიანი ასპასია მიეჭრა:

– მაპატიე, მთავარო! მერჩივნა, ენა გამხმობოდა ცუდი ამბის შეტყობინებას.

ცოტნე გაფითრდა.

– რა მოხდა? მონგოლები ხომ არ გამოჩნდნენ?

\_ არა, მაგის შიში ნუ გაქვთ, \_ დაამშვიდა ასპასიამ, \_ თქვენს სახლში რაღაც ცუდი ამბავია, გზად ოდიშელმა მეჯოგეებმა გამოიარეს და შეწუხებულებმა თქვეს, თქვენი სასახლიდან მოთქმა ისმოდაო.

\_ რას ამბობ? ნუთუ... მაგრამ რატომ მე არ შემატყობინეს?.. ის მეჯოგეები როდინდელი წამოსულები იყვნენ?

\_ გუშინ წამოსულან, ცხენოსნები გახლდნენ. ალბათ, ამბის მცნობელიც მალე მოვა, მაგრამ თქვენ არ შეშინდეთ... თუ შინ ყველა კარგად დატოვეთ, ასე უცებ რა უნდა მომხდარიყო, \_ ვითომ ანუგეშა ასპასიამ.

\_ შვილი დავტოვე ავადმყოფი, \_ თქვა ცოტნემ და თვალზე ცრემლი მოადგა. \_ გმადლობ, ასპასია, ამბის ცნობისათვის! \_ თავი დაუქნია ცოტნემ და სუფრისკენ შებრუნდა.

ერთიანად აფორიაქებულმა ცოტნემ ნაბადი მხარზე მოიგდო და ციხისჯვარელს მიუახლოვდა.

\_ უნდა წავიდე, ყვარყვარე ბატონო, შინიდან ცუდი ამბავი მოსულა... ეგეც არ იყოს, ათიათასი მეომრის შეკრებას და მომზადებას დრო უნდა, \_ თვალზე ცრემლმომდგარმა უთხრა მასპინძელს და გამოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა.

\_ ცუდი რა ამბავია? \_ იკითხა გოცებულმა ყვარყვარემ.

\_ არ ვიცი, \_ ცოტნემ ხელი გაასავსავა და წასასვლელად კარისკენ დაიძრა.

\_ მეც მოვდივარ, მთავარო, \_ წამოეწია რაჭის ერისთავი კახაბერი, \_ მეც შენსავით შორი გზა და მცირე დრო მაქვს ჯარის შესაკრებად.

\_ მოითმინეთ, ფიცვერცხლი ვჭამოთ, ერთმანეთს შეთქმულების ერთგულება და პირის სიმტკიცე შევფიცოთ, \_ დაიძახა თორღვა პანკელმა.

ცოტნე შეჩერდა.

\_ ფიცი მივიღოთ და ისე წავიდეთ, \_ გადაულაპარაკა რაჭის ერისთავს და უკან მობრუნდა.

თორღვა პანკელმა ბარძიმში ხანჯლით ვერცხლი ჩათალა და იქ მყოფები იხმო. თითოეულ მათგანს საჩვენებელი თითი უსერა. შეთქმულებმა გასერილი თითები ერთიმეორეს მიადეს და წამოსულ სისხლს ბარძიმი შეუშვირეს.

სისხლის დენა რომ შესწყდა, თორღვამ თავი აიღო და ფიცი თქვა.

მისი სიტყვები ერთხმად გაიმეორეს, პირჯვარი გადაიწერეს და რიგრიგობით თასს დაეწაფნენ.

ფიცის დადებას მორჩნენ. ცოტნე და კახაბერი იქ მყოფთ დაემშვიდობნენ.

ცხენებზე ამხედრებულ მთავრებს პურ-ღვინო მოართვეს, მხლებლებმა ცხენებს საგზლით გატენილი ხურჯინები აჰკიდეს და გზის დასალოცავად გამცილებლებმა სასმისები ასწიეს:

\_ გზა მშვიდობისა! თქვენს წასვლას და ჩვენს დარჩენას!

\_ გზა კეთილი და ფეხი ბედნიერი.

\_ ჩვენს საქმეს გაუმარჯოს!

\_ საქართველოს გამარჯვებისა იყოს! წმინდა გიორგიმ უწინამძღვროს ჩვენს საქმეს! \_ ერთიმეორეს იმედიანი ღიმილით შეხედეს და სასმისები დაცალეს.



ცოტა ხნის შემდეგ ოდიშის მთავარი და რაჭის ერისთავი თავიანთი მხლებლებით თავქვე დაემშენენ.

დარჩენილები ისევ სუფრას მიუსხდნენ.

ასპასიას გულზე მოეშვა. დათქმული ნიშნის მიცემაზე რომ ხელი აიღო, იმის შიში არ ასვენებდა, ვაითუ, სხვა ვინმესგან შეიტყონ მონგოლებმა მთავართა შეკრების დრო და ადგილი და მოულოდნელად დაგვესხან თავსო.

იმდენად თავისი თავი არ აფიქრებდა, არც მისგან უკვე გაყიდული მთავრები ენადვლებოდა. ერთადერთი ის ადარდებდა, მისთვის ერთ დროს საოცნებო ცოტნე არ ჩავარდნოდა მტერს ხელში.

მონგოლთათვის შეთქმულთა შეკრების შეტყობინებაზე რომ უარი თქვა, იცოდა, რა რისხვაც მოელოდა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება ცოტნეს გამოჩენისთანავე უყოყმანოდ მიიღო. ოდიშის მთავრისათვის სამაგიერო სიკეთის გადახდის საშუალება ეძლეოდა და ეს ნაბიჯი სიცოცხლის ფასადაც რომ დასჯდომოდა, უკან ვერ დაიხევდა.

ოდიშისა და რაჭის პატრონები კარგა შორს იქნებოდნენ, ასპასიამ უკვე ღვინომოკიდებული მთავრების სუფრა რომ დასტოვა შეუმჩნევლად.

ციხის ქონგურზე ცეცხლი აბრიალდა.

სანამ წათვლემილი გუშაგები ცეცხლის დანთებას გაიგებდნენ, კარგა ხანმა გაიარა.

აბრიალებულ კოცონს ჩასაქრობად რომ მიცვივდნენ, უკვე გვიან იყო. მონგოლთა ჯარები კოხტისთავისკენ მოჰქროდნენ.

## თორღვა პანკელი

კოხტისთავის შეთქმულთა შორის მემატთანე თორღვასაც ასახელებს: «კუპრი შოთა, თორღვაი, ჰერ-კახნი...»

თუმცა მემატთანე ამ შეთქმულს გვართა და სადაურობით არ გვაცნობს და მხოლოდ სახელით იხსენიებს, უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მონგოლთა დროინდელი ერისთავი თორღვა პანკელია, რომელიც ულუ დავითის კარზე მესტუმრე ჯიქურის აღზევების ჟამს გახდა მეფის მალემრწმენობისა და მისი მესტუმრის დაუნდობლობის მსხვერპლი.

ამას არა მხოლოდ შეთქმულთა ჩამოთვლის რიგი გვაფიქრებინებს (თორღვა დასახელებულია ჰერეთისა და კახეთის ერისთავებთან ერთად), არამედ თვითონ სახელი თორღვაც.

თორღვა საგვარეულო სახელი იყო პანკისის ერისთავებისა და იგი პანკელთა არაერთ თაობაში მეორდებოდა.

შთამომავლობისათვის ამ სახელის გადმომცემი სულ პირველი თორღვა მითიური გმირი ყოფილა. მისი ლეგენდარული თავგადასავალი დღემდე შემოუნახავს თუმ-ფშავ-ხევსურთა შორის გავრცელებულ ხალხურ ლექსს.

ობლობაში გაზრდილი თორღვა სანადიროდ ყოფილა. ერთგან ყინული ჩატეხია და ვეშაპთან ჩავარდნილა. ვეშაპს შეცოდებია, დამტვრეულისთვის

მოუვლია, ფეხზე დაუყენებია და დაძმობილებია. გამოთხოვებისას ვეშაპს ჯაჭვი უჩუქნია.

იმ ჯაჭვს საოცარი თვისება ჰქონია: სადაც დაარტყამდნენ, თურმე სულ იქ მიიხვეტებოდა და ხმალი და ისარი შიგ ვერ ატანდა.

ჯადოსნური ჯაჭვის იმედით გალაღებულ თორღვას თურმე ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად.

თორღვას ხელმწიფის შთამომავლობაც დაუჩემებია, რადგან ჯერ კიდევ ყრმას:

«დიდებულობა დაუთქვეს, ბიჭებს უნახეს ჯვარიო,  
მარჯვნივ მზე წერებულიყვა, მარცხნისკე მთვარის ნალიო».

გაამაყებელი თორღვა ფშავ-ხევსურთ არ დახსნია, მათთვის მძიმე ბეგარა შეუწერია:

«ფშავლებ უმატეთ ბეგარსა, თითო ტარიგი ცხვარიო,  
თითო ნაცრიან ტომარა, მთაზე დავყარა მშრალიო,  
საკარგყმოდ შამიკრიფიდიტ ლალის არწივის მხარიო». შეწუხებული  
ფშაველები ხვეწნით რომ ვერას გამხდარან, დამუქრებიან:

«ვინაც შენ მოგცეს ბეგარი, მამა წაუწყდეს მკვდარიო!»

ერთხელ, ნასვამ თორღვას მდინარეში ბანაობა მოსურვებია, ტანთ გაუხდია და ჯაჭვის პერანგი წყლის პირას დაუგდია. სანამ თორღვა ბანაობდა, მდინარის ტალღას ჯაჭვი წაუღია. თორღვა და მისი მხლებლები ჯაჭვს დასდევნებიან, მაგრამ ამაოდ.

ატირებული თორღვა სწორედ იმ დროს გადაჰყრია ფშაველ მონადირეებს. რაკი მფარველი ჯაჭვი აღარ ჰქონია; ფშაველებს ბევრი აღარ დაუცლიათ, ნაბიჭვარ ჩოთლას მიზანში ამოუღია და უძლეველი გმირი ჭვარტლიანი ისრით მოუკლავს.

იმ ზღაპრულ თორღვას ჩამომავალი, ულუ დავითისაგან გამდგარი თორღვა პანკელი ახლა მთის მიუვალ ციხეში იყო გამაგრებული.

სამშობლოს დიდებისათვის დაულალავ მოღვაწეს, ლაშასა და რუსუდანის დროინდელ ბრძოლებში სახელოვნად ნაომარსა და მონგოლებთან ბოლომდე შეურიგებელ კოხტისთავის შეთქმულს გვირგვინოსან ბაგრატიონთან სამტრო რა უნდა ჰქონოდა, მაგრამ მიმნდობი კაცი რომ ანგარი და უსინდისო ადამიანის გარემოცვაში მოხვდება, იმაზე საბრალო არავინ არის ან, თავისდაუნებურად, სხვის ცოდვაში ჩაადგმევინებენ ფეხს, ან ისეთ ბადეში გაახვევენ, სიკვდილს სანატრელს გაუხდიან.

ტახტისაგან გამდგარ პანკელს მოციქული მოციქულზე მოუდიოდა, მეფე თბილისში იბარებდა, უვნებლობის ფიცს უთვლიდა და პატიებასა და წყალობას აღუთქვამდა.

თორღვამ იცოდა ულუ დავითის ხასიათი: თავად უმანკო იყო და უემშაკო; დასმენას ვინც მოასწრებდა, იმას დაუჯერებდა, მყისვე რისხვით აენთებოდა;

საქმეში ჩარევასა და გამოძიებას არ დაიწყებდა, შესმენილს ახლოს აღარ მიიკარებდა და ან სულ მოიკვეთავდა, ან მაშინვე სასტიკად გაუსწორებოდა.

მუდამ სხვისი ნებითა და ჩამახილით მოქმედ ულუს ერთი ჩვეულება ჰქონდა, დროდადრო ვინმე რომ ამოეჩემებინა, ქვეყნისა და საკუთარი გულის სადავეები ხელთ უნდა მიეცა და სულით ხორცამდე მის სიტყვასა და საქმეს უნდა მინდობოდა. მერე, ხანი რომ გამოხდებოდა, ამნაირ რჩეულსაც, როგორც ადვილად შეიყვარებდა, ისევე უცებ შეიძულებდა ხოლმე და, მოსისხლე მტერსავით ახლოს აღარ გაიკარებდა.

შესმენილ-დაბეზღებულთ მეფის ამ ხასიათის იმედი ჰქონდათ. მალემრწმენი ხელმწიფის გულის მოზრუნებაც ისევე სწრაფად შეიძლებოდა, როგორც სამტროდ აღვზნება, მაგრამ საამისოდ ჯერ შესმენის ორგულობა უნდა ერწმუნებინა ულუ დავითს, კარზე ახალი ძლიერი მედროვე უნდა გამოჩენილიყო, რომელიც თვითონ ჩაიგდებდა ხელთ სხვათა ნების აღმასრულებელ ულუს, მის მიერვე განდიდებულ ქვეყნის გამგებელზე მეფეს გულს აუყრიდა და მასაც ისევე დაამხოზდა, როგორც მისი წინამორბედები ამხოზდნენ ერთიმეორეს.

იმჟამად კი ულუ დავითი გონიერსა და ცბიერს, მაგრამ საქვეყნო საქმისათვის თავდადებულ ვაზირს – მესტუმრე ჯიქურს ჰყავდა მონუსხული. ჯიქურზე ბავშვივით შეყვარებული და მის ნებას მთლიანად მინდობილი მეფე მესტუმრის სიტყვას ვერ გადავიდოდა, მის მიერვე შესმენილ თორღვას ტახტისაგან განდგომას არ აპატიებდა და, თუ ხელთ იგდებდა, განუკითხავი სასჯელი არ აცდებოდა.

კოხტისთავის შეთქმულების გაცემამ რომ გული გაუტეხა და ადამიანთა მიმართ ნდობა დაუკარგა, იმედგაცრუებულმა და რწმენადაკარგულმა თორღვამ მეგობართა და ამხანგთ ზურგი აქცია, თავის მამულში განაპირდა და ჩაიკეტა. ამასობაში პირველი ცოლი დაჰკარგა.

როგორც კი უშვილო თანამეცხედრე გამოიგლოვა და თვალში გამოიხედა, ალავერდობაზე ხორნაბუჯელთა ახალგაზრდა ასულს გადაეყარა, ტრფობით აღეგზნო და ოცი წლით უმცროსი ულამაზესი ქალი ცოლად მოიყვანა.

ომში გულმხეცი და კლდესავით მაგარი ბუმბერაზი, ყველა მთიელივით ცოტა ტლანქი და მოუხეშავი თორღვა, სიყვარულის თილისმამ შეკრა, მოალბო და მოათვინიერა, იმ ხნის კაცი თავისი ახალგაზრდა ცოლის აჩრდილად იქცა და იმის იქით ქვეყანა მოიკვეთა.

მშვენებააღმატებულ ცოლს საალერსოდ ციცნას ეძახდა. მთელ ქვეყანას ერჩია, ცივ ნიავს არ აკარებდა და დედოფალსავით ინახავდა.

პანკელის ულამაზეს ცოლს თავის გამოჩენაც უყვარდა, მოხდენილი ჩაცმა-დახურვა იცოდა და რაგინდ დიდსა და მდიდრულ შეკრებილობაში ყოფილიყო, ყველას ის უნდა შეემჩნია, ათას ქალში ის უნდა გამოერჩიათ და მერე თვალი ველარ უნდა მოეწყვიტათ.

ციცნას დამაბრმავეებელმა სიტურფემ და ღირსეულმა თავდაჭერამ მეფის კარზე პირველი გამოჩენისთანავე მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება.

ტახტზე მორჭმით მსხდომ ხელმწიფესა და დედოფალს მუხლმოყრით რომ ეთაყვანა და გვირგვინოსნებმა მოწყალე, ტკბილი სიტყვით ფეხზე წამოაყენეს, ციციამ იგრძნო დედოფლის გულის ტკენა: თავად მშვენივლით სწორუპოვარი მონგოლთა ასული შურით სავსე თვალთ უყურებდა ერისთავის ნორჩ მეუღლეს და, თუმცა გაღიმებას ცდილობდა, მისი აღმატებული სიტურფის გამო, წყენას ვერ მალავდა.

ამაყმა ციციამ, იმის მაგივრად, რომ თავი მოესაწყლებინა და დედოფლის მონა-მორჩილებისათვის მზადყოფნა ეჩვენებინა, გამოწვევა მიიღო და დედოფალს თვალი თვალში მედიდურად გაუყარა.

ორი ულამაზესი ქალის ჩუმი, უსიტყვო პაექრობა დიდხანს გაგრძელდებოდა, ერთი მათგანი გონს რომ არ მოსულიყო და თავისი მდგომარეობის შესაფერისად არ ეთქვა:

– ჩვენს ერთგულ ყმას, პანკელს, ფრიად ქმნული კეთილი ცოლი ჰყოლია. მისი სიახლოვე დიდად გვეამება და ამიერიდან ჩვენს კარზე ყოფნისას მისი ადგილი ჩვენს ფერხთით მორთმეულ ბალიშზე იქნება.

დედოფალმა ნამალადევად გაიღიმა და ერისთავის ახალგაზრდა თანამეცხედრეს თავი დამადლებულად დაუკრა.

ციცნას ცეცხლი მოეკიდა, მაგრამ ბრაზი დაიოკა, წყენა არ შეიმჩნია და ბალიშზე დაეშვა.

გვირგვინოსნის ფერხთით რომ ჯდებოდა, დედოფალს ერთი კიდევ შეხედა, მწარე დამცინავი ღიმილი ესროლა და სათქმელი უთქმელად მიახვედრა:

– ბედს რა ვუთხრა, თორემ შენც თვითონ ხედავ, ვის უფრო დამშვენდებოდა ტახტზე ჯდომა და ვის კიდევ ფერხთით მორთხმაო!

მესტუმრე ჯიქურის ძალა და ხელისუფლება დედოფლის კეთილგანწყობილებაზე იყო დამოკიდებული. ჯიქურისადმი მეფის ბრძაღ მინდობის გზა დედოფლის გულსა და გონებაზე გადიოდა და მესტუმრეს მანამ შეეძლო ხელმწიფის უსაზღვრო ნდობით სარგებლობა და ქვეყნის მართვა, სანამ სამეფოს პირველ ვაზირს დედოფალი მფარველობდა.

ამიტომ დედოფლის ყოველი სურვილი უმალვე სრულდებოდა და ჯიქური სულ იმის ცდაში იყო, მბრძანებლის გულისნადებს მისწვდომოდა, მისი გაუმხელელი ფიქრი და ზრახვა მისსავე თვალეში ამოეკითხა.

ჯიქური მიხვდა, რომ პანკელის ცოლის იმ მედიდურმა ცქერამ იმწამსვე გადასწყვიტა მაცქერალისა და მისი გულუბრყვილო ქმრის ბედი. მხოლოდ ორი ადამიანი ვერ ჩასწვდა ლამაზი ქალების უსიტყვო ბრძოლის ფარულ აზრს – ულუ დავითი და მისი ერთგული ყმა – თორღვა პანკელი. პირველს უზომო მინდობილობა და უემშაკობა უბრძანებდა თვალს, მეორეს – უსაზღვრო სიყვარული და იმ სიყვარულის წინაშე უღონობა.

დარბაზობის შემდეგ დედოფალმა მესტუმრე ჯიქური იხმო.

– მშვენიერი ცოლი ჰყოლია პანკისის ერისთავს, თანაც ახალგაზრდა.

– არც ისე ახალგაზრდა, დედოფალო, თქვენზე უმცროსობა არ ეთქმის, – აამა ჯიქურმა.

– ალბათ, უზომოდ მდიდარია პანკელი, რომ მისი ცოლი ესოდენ ძვირფასი სამკაულებით მოუკაზმავს!

– არც პანკელზე ითქმის მდიდარი, დედოფალო, ქონება იმდენი არა აბადია რა, მაგრამ, ამბობენ, ზოგჯერ ქარავნებს ესხმის თავს და მეკობრეობით შოულობსო.

– მერე შენ სადა ხარ? განა ქარავნების ძარცვა და მეკობრეობა დიდი ჩინგიზის იასით არ ისჯება?

– ისჯება, დედოფალო, და ამიერიდან პირველივე ქარავნის გაძარცვა პანკელს მოეკითხება.

დედოფალმა თავის დახრით დაუდასტურა მესტუმრეს გადაწყვეტილების სისწორე.

– შვილი რამდენი ჰყავს პანკელს, – იკითხა ცოტა ხნის შემდეგ დედოფალმა.

– უშვილოა, მბრძანებელი, – ფრთხილად თქვა ჯიქურმა, რომ თავად ბერწსა და უშვილობით გამწარებულ დედოფალს არ წყენოდა.

– აგერ ხუთი წლის გათხოვილია, რა ღონე არ სცადეს, რა სალოცავი არ მოულოცეს, მაგრამ არ იქნა და, შვილი არ გაუჩნდათ!

უშვილო დედოფალს ჭირივით ეჯავრებოდა ყველა ბერწი და უშვილო ქალი და, უმისოდაც პანკელის ცოლის სიძულვილით აღძრულს, ესლა უნდოდა?!

– ურჩიოს მეფემ უშვილძირო ცოლის გაშვება თავადს, სანამ დროა, უძეოდ გადაგებასა და სამკვიდროს დაკარგვას, ალბათ, ლამაზი ცოლის დაკარგვას ამჯობინებს პანკელი.

– ალბათ, ეგეც უნდა ვცადოთ, დედოფალო, – დაუმოწმა მბრძანებლის გულისწადილს მიწვდენილმა ჯიქურმა.

მესტუმრე ჯიქური ხვდებოდა დედოფლის გულისნადებს, უნდოდა, შურით აღძრული მბრძანებლის ერთგულება ერთხელ კიდევ დაემტკიცებინა, მაგრამ პანკელის საგამგეო ქვეყანაში, თითქოს ჯიბრზე, მეკობრეობა სულ მოისპო, ვაჭართა ქარავნებს არავინ აწუხებდა და, თორღვასთვის შარის მოსადები მიზეზი არ ჩნდებოდა. ვერც დედოფლის მეორე რჩევის შესაბამისად მოქმედება აღმოჩნდა ადვილი აღსასრულებელი. ახალგაზრდა ცოლის სიყვარულით გონდაკარგული პანკელი, ქვეყნის დაქცევას უფრო იოლად აპატიებდა კაცს, ვიდრე მისთვის სათაყვანებელი ცოლის აუგად ხსენებას. უშვილობა კი არა, ყველაზე დიდი ცოდვაც რომ შეეწამებინათ, თორღვა დამსმენს ენას ამოგლეჯდა, ან ზედ შეაკვდებოდა.

ჰკვიანი ჯიქური მაინც არ კარგავდა ქალბატონის საწადელის ასრულების იმედს, არ ჩქარობდა და შესაფერის შემთხვევას უცდიდა.

ამასობაში კი ციცნასა და დედოფალს შორის ჩამოვარდნილი გაუცხადებელი მტრობა და ქიშპი მატულობდა და ღრმავდებოდა: პანკელის მეუღლე მეფის დარბაზობაზე ძველებურად მეტად და საჩინოდ მორთულ-მოკაზმული ცხადდებოდა, თავი გამომწვევად ეჭირა და დედოფალს წონასწორობის დაკარგვამდე აღიზიანებდა.

ასე, ალბათ, დიდხანს გაგრძელდებოდა, გათამამებული ციცნას ერთ წინდაუხედავ ნაბიჯს რომ არ აევსო დედოფლის მოთმინების ფიალა.

კარის მოძღვარი ხშირად უკითხავდა ქრისტეს სჯულზე მოქცეულ მონგოლ დედოფალს ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს. თავისი უშვილობით დანაღვლიანებული დედოფალი სულ იმის ფიქრში იყო, რა ღონითა და წამლით ეშველა სიბერწისათვის, რომ გვირგვინოსან თანამეცხედრეს გვარის გამგრძელებელი და ტახტის მემკვიდრე ღირსებოდა. ძველი აღთქმის წიგნის კითხვისას დედოფლის ყურადღება იაკობისა და მისი ცოლების უცნაურმა ურთიერთობამ მიიპყრო. კარის მოძღვარი აუღელვებლად კითხულობდა: «ხოლო იხილა რაქილ, რამეთუ არა უშვა ძე იაკობს და, ეშურვა რაქილ ლიას, დასა თვისსა და ჰრქვა იაკობს: მომცენ შვილნი, თუ არა, აღვესრულო მე. ხოლო განურისხნა იაკობ რაქილს, და ჰრქვა მას: ნუ ნაცვალი ღვთისა ვარ მე, რომელმან დაგაკლო შენ ნაყოფსა მუცლისასა? და ჰრქვა რაქილ იაკობს: აჰა, მხევალი ჩემი ვალლა, შევედ მისა მიმართ: და შობდეს მუხლთა ჩემთა ზედა, და შვილ ვისხნე მე მის მიერ. და მისცა მას ვალლა მხევალი თვისი ცოლად მას და შევიდა მისსა იაკობ და მიუდგა ვალლა მხევალი რაქილისი და უშვა იაკობს ძე. და თქვა რაქილ, მისაჯა მე ღმერთმან და შეისმინა ხმისა ჩემისა და მომცა მე ძე, ამისთვის უწოდა სახელი მისი დან. და მიუდგა მერმე ვალლა მხევალი რაქილისა და უშვა ძე მეორე იაკობს და რქვა რაქილ: თანაშემეწია მე ღმერთი, თანასწორ ვექმენ დასა ჩემსა და რა ძალ ვიდევ და უწოდა სახელი მისი ნეფთალიმ.

ხოლო იხილა რა ლია, რამეთუ დადგა შობისაგან, მოიყვანა ზელფა მხევალი თვისი და მისცა იაკობს ცოლად, და შევიდა მისსა მიმართ იაკობ და, მიუდგა ზელფა მხევალი ლიასი და უშვა იაკობს ძე...»

ძველი აღთქმის ეს მაგალითი ქრისტეს სჯულის აღმსარებელმა მონგოლმა დედოფალმა ღვთისათვის სათნოდ და შეწყნარებულად ჩათვალა, საყვარელ ქმარს ცრემლით შესთხოვა, მემკვიდრე ძის შესაძენად მოეყვანა მხევალი ვინმე.

ულუ დავითმა ფრიად გაიხარა, რადგანაც ისიც დიდად შეწუხებული იყო უშვილობით. დედოფალს მადლი გადაუხადა და ხატზე ფიცით აღუთქვა, რომ, როგორც კი მემკვიდრე მიეცემოდა, მხევალს განუტევებდა.

ამის შემდეგ მეფემ მოიყვანა ოსის მშვენიერი ასული და წლისთავზე ვაჟი შეეძინა.

ტახტის მემკვიდრეს პაპის სახელი – გიორგი უწოდეს. მთელი სამეფო დღესასწაულობდა უფლისწულის დაბადებას. ერთ კვირას განუწყვეტელი ლხინი იყო და მეფე უხვად გასცემდა საბოძვარსა და წყალობას.

ვაზირები და დიდებულები, მთავრები და ერისთავები ხელმწიფის კარზე მისვლასა და მილოცვას ერთიმეორეს ასწრებდნენ. მილოცვასა და ძღვენს მეფე და დედოფალი ღებულობდნენ და ტახტის მემკვიდრის ნამდვილ დედას არავინ კითხულობდა.

სწორედ აქ მოიქცა ყველასაგან გამორჩეულად პანკელის მეუღლე და ქმარიცა და თავისი თავიც დასალუპად გასწირა.

ხელმწიფესა და დედოფალს რომ ეთაყვანნენ და შესაფერისი ძღვენიც მიართვეს, ციცნამ, ყველას გასაგონად, უფლისწულის მშობელი დედა მოიკითხა, გულზე პატიოსანი თვლებით შემკული ჯვარი დაჰკიდა, გადაჰკოცნა, ტახტის მემკვიდრის შეძენა მიულოცა და მასაც და მის ძესაც ხანგრძლივი ბედნიერება და მეფესთან ერთად დღეგრძელობა უსურვა.

შეურაცხყოფილი დედოფალი ცდილობდა, რისხვა დაეოკებინა, მაგრამ თავს მაინც ვერ მოერია, ტირილი წასკდა და დარბაზიდან გავარდა.

თორღვა და მისი ცოლი მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როცა დიდებულებმა ზურგი აქციეს და მათგან უფრო ახლობლებმა სასახლის დაუყოვნებლივ დატოვება ურჩიეს.

ალბათ, პანკელისა და მისი მეუღლის ბედი იმ დღესვე გადაწყდებოდა, მეფეს ბათო ყაენისაგან რომ ელჩი არ მოსვლოდა.

ბათო სასწრაფოდ იბარებდა ქართველთა მეფეს ოქროს ურდოში.

ულუსა და მის თანამეცხედრეს იმ დღეს იმდენი საზრუნავი გაუჩნდათ, პანკელისა და მისი თავხედი ცოლისათვის აღარ ეცალათ.

ამასობაში, თორღვასა და მის მეუღლეს გულშემატკივარმა კარისკაცებმა და ახლობლებმა თავის გარიდება ურჩიეს.

მეფე და დედოფალი ბათო ყაენის ელჩთან გვიანამდე ისხდნენ ნადიმად.

ლხინი რომ დაიშალა და სტუმარ-მასპინძლები გაიყარნენ, მეფემ მესტუმრე ჯიქურს პანკელისა და მისი ცოლის მოყვანა უბრძანა.

ჯიქურმა პანკელის სამყოფელს ალყა შემოარტყა, მაგრამ უკვე გვიან იყო, ერისთავი და მისი ცოლი კარგა ხნის წინ გაპარულიყვნენ.

გაქცეულებს ველარც მდევარი დაეწია.

ოქროს ურდოს გამგზავრებულმა მეფემ მესტუმრე ჯიქურს ბრძანება დაუტოვა, რადაც უნდა დასჯდომოდა, პანკელი ერისთავი და მისი ცოლი ხელთ ეგდო.

მას აქეთ, არც მესტუმრე ჯიქურს მოუსვენია და, არც თორღვა პანკელს. ჯიქური ახალ-ახალი საბაბით ცდილობდა პანკელის მიტყუებას, თორღვა ახალსა და ახალ მიზეზს პოულობდა, რომ თბილისში, მეფეს არ ხლებოდა.

შემდეგ, როცა მეფე დაბრუნდა ურდოდან და ყველა ქართველი მთავარი და ერისთავი ეახლა მისალოცად, თორღვა იყო ერთადერთი დიდებულთაგანი, რომელმაც ულუ დავითის დაბრუნებას ყური წაუყრუა, არც თვითონ ეახლა და არც ძღვენი და მოსაკითხი გაუგზავნა.

მესტუმრე ჯიქურის უმოქმედობით განაწყენებული დედოფალი მეფეს დღედაღამ ჩურჩნიდა, პანკელის განდგომას ათასგვარად აზვიადებდა და ულუ დავითს სულ იმას ჩასძახოდა, მოლალატე ერისთავს დროზე გასწორებოდა.

ბათოს მიერ წყალობითა და ნიჭით აღვსილი, თავის სამკვიდროში სვებედნიერად შემოქცეული დავითი პირველ დღიდანვე გაორგულებული თავადის შემოსარიგებლად მოციქულს მოციქულზე გზავნიდა, პანკელს უვნებლობასა და პატივით ამაღლებასაც კი ჰპირდებოდა, მაგრამ, თავის მხრივ, თორღვაც თავისი გააღმასებული ცოლის ჩაგონებით მოქმედებდა, მეფის მინდობას ვერ ბედავდა და ათასგვარი შესაწყნარებელი, თუ არც ისე საპატიო მიზეზით, მეფის კარზე გამოცხადებას თავს არიდებდა.

ასე მანამ გაგრძელდებოდა, სანამ პანკელი მეფისა და მესტუმრის მოგზავნილ მშვიდობის მოციქულებსა და მოსყიდული მკვლელების მოგერიებას შეძლებდა, მაგრამ მოხდა ის, რასაც არც მეფის კარი ელოდა, არც თავად პანკელი. იმის ნაცვლად, რომ თორღვას გასწყდომოდა მოთმინების ძაფი და მეფესთან შერიგების უკეთესი გზა ეძებნა, მის ახალგაზრდა ცოლს აღარ ეყო მოთმინება. მიუვალ მთებში მიუდგომელ ციხეებში გამომწყვდეული ცხოვრება თავიდანვე არ იზიდავდა ციცნას და ახლა, როცა ქვეყნისაგან განდგომა ასე გახანგრძლივდა, ერისთავის ახალგაზრდა მეუღლე ჯერ მოწყენამ შეიპყრო, მერე მოუთმენლობამ. რა ოხრად უნდოდა ციცნას თავისი ახალგაზრდობა და უბადლო მშვენიერება, სიმდიდრე და მორთულ-მოკაზმულობა, თუ ღირსეული დამფასებელი არ ეყოლებოდა და იმ უმაღლეს წრეებში ვერ გამოჩნდებოდა, რომლის აზრი და მოწონება ყველა ქალისათვის სავალდებულო იყო! ნუთუ, იმისათვის გახდა ჯერ კიდევ ნორჩი ციცნა მამისტოლა კაცის ცოლი, რომ მისი იგავმიუწვდომელი მშვენიერება ამ გაუთლელი მთიელების მეტს ვერავის დაენახა და, უცხო დესპანებით თუ შინაური დიდებულებით სავსე სამეფო კარის მაგივრად, ერთთავად ციხეში გამომწყვდეულს თვალსა და ხელს შუა გაჰპარვოდა თავისი ახალგაზრდობა.

არა, ამას ვერ შეურიგდებოდა ციცნა. იგი იმიტომ არჩევდა იშვიათ სამკაულსა და ლამაზ ტანსაცმელს, რომ მისი სიტურფე სხვათა მოსაწონად და შურის აღმძვრელად გამოჩენილიყო, თორემ მთის მიუვალ ციხეში გამომწყვდეულს, ან მშვენიერება ვისთვის უნდოდა, ან ძვირფასი მოკაზმულობა და ჩაცმა-დახურვა.

რაკი ერთხელ მოერია მოწყენა, რაკი სასახლის მაღალი წრის ნატვრა თანდათან განუქარვებელ სევდად ექცა, ვერ იქნა და, ველარ მოისვენა.

დედოფლისა და მესტუმრე ჯიქურისა რომ არ შინებოდა, ამდენ ხანს არ დააყოვნებდა, ქმარს წინ გაუძღვებოდა და მეფეს ძვირფასი ძღვენითა და ცრემლით გულს მოუღებოდა. მაგრამ მეფეს საკუთარი აზრი არ ჰქონდა და, მხოლოდ დედოფლის ან მესტუმრის ჩაგონებით მოქმედებდა. დედოფალი კი, არამც და არამც, ციცნას აღმატებულ სილამაზესა და ქედმოუდრეკელობას არ აპატიებდა. განა დედოფალმა არ იცოდა, რომ პანკელს მეფის ორგულობა აზრადაც არ მოსვლია?



დედოფალს პანკელის მეუღლის მშვენიერება აღიზიანებდა და უფრო, ალბათ, მის დაღუპვას ესწრაფვოდა, ვიდრე თორღვასთან ანგარიშის გასწორებას. ქალური ალღოთი მიხვედრილ ციციანს სჯეროდა, რომ დედოფალი შურს მასზე იძიებდა. ამიტომ ვერ ბედავდა მეფის კარზე ხლებასა და პატიების თხოვნას.

მაგრამ აღარც მთაში გამდგარს შეეძლო ცხოვრება და საგონებელში ჩავარდნილი ციციანა დღედაღამ იმის ფიქრში იყო, რა ელონა მალემრწმენი მეფისა და შურით აღძრული დედოფლის მრისხანების დასაცხრობად.

ნადირობიდან დაბრუნებულმა თორღვა პანკელმა ციხეში შესვლისთანავე ცოლი მოიკითხა. უგუნებოდ არისო, მოახსენეს და შემფოთებული ერისთავი ხელ-პირ დაუბანელი და ტანსაცმელგამოუცვლელი შევიდა თანამეცხედრის საწოლში.

ციციანა ნამტირალევი დახვდა და ერისთავს გულზე ცეცხლი მოეკიდა.

– შენს თვალზე ცრემლს რა უნდა, შენი წყენა ხომ არავინ გაბედა, რომ ახლავე ასწილად მივაგო სამაგიერო? – იკითხა თვალეზამღვრეულმა, გულწრფელად შეწუხებულმა პანკელმა და ცოლს მოეხვია.

ციციანამ ლამაზი თავი ფართო მკერდზე მიადო, გული ამოისკვნა და ატირდა.

მიამიტი ვაჟკაცი ლამის ერთიანად დაიშალა, თავადაც გული აუჩუყდა და საცრისოდენა თვალეზზე ცრემლი მოეძალა.

– ვაიმე, რა ვქნა! – აბურდღუნდა ერისთავი, – არ მეტყვი, ანგელოზო, ვინ გაბედა შენი წყენა?..

– აღარ შემიძლია, თორღვა, აღარ შემიძლია... – აქვითინდა ციციანა და ერთიანად მიეკრა ბავშვივით ალაღად შეწუხებულ ბუმბერაზს.

– რაო, რა აღარ შემიძლიაო?! – სმენად იქცა ერისთავი.

– აქ ყოფნა, ციხეში გამომწყვდეული ცხოვრება აღარ შემიძლია, თორღვა... ნუთუ ვერ ხვდები, რა ძნელია პატიმარვით ციხეში ჩაკეტვა და ქვეყნისაგან მოწყვეტა... თბილისში მინდა, თორღვა, იქ ყოფნა მინდა, სადაც ყველა არი...

ყველაფერს ელოდა პანკელი, მაგრამ ცოლისაგან თუ თბილისს წასვლის სურვილის განცხადებას მოესწრებოდა, ეს კი არ ეგონა.

დედოფლისა და სამეფო კარის ხსენებაზე პირიდან ლანძღვა-გინებისა და წყევლა-კრულვის მეტი არა ამოსდიოდა რა და, რას იფიქრებდა, თუ უცებ იმ კარზე გამოჩენის ნატვრა აატირებდა!

– თუნდაც დღესვე წავიდოდით თბილისს, მე ჩემი თავი არ მენადვლება, მაგრამ შენ რომ ვინმემ აუგი რამ გაკადროს, ხომ იცი, ზედ შევაკვდები, – გაცხარდა თორღვა და ხმლის ვადას ხელი წაატანა.

– შევურიგდეთ მეფეს, თორღვა, უვნებლობის ფიცს მოგვცემს და მივენდოთ.

– მე დედოფლისა მეშინია, შენ რამე ხიფათს არ გადაგვიდოს, თორემ ჩემი თავი წყალსაც წაუღია.

– ეგ მე მომანდე, თორღვა, მე ვიშოვი იმისთანა თავდებს, რომ არც მეფემ გვაკადროს აუგი და არც დედოფალმა.

– მაგას რა აჯობებს, საყვარელო! გონიერი ქალი ხარ და ისა ჰქენი, რაც ჭკუამ გაგიჭრას, – მოეხვია გულდაარხეინებული თორღვა.

საყვარელი ცოლის ალერსმა ერთ წამში დაავიწყა ბუმბერაზს ამ ქვეყნის ყველა დარდი და საზრუნავი.

ცოლის საწოლიდან გამოსულ თორღვას ხორნაბუჯელი თავადის მოსვლა მოხსენდა.

მეფემ და მისმა მესტუმრემ ვისი მიგზავნა არ სცადეს პანკელთან. თორღვას ყველა ახლობელი და მისანდო კაცი მოილიეს. პანკელმა მათი მოციქულობა არ შეიწყნარა, მათი ფიცი და თავდებობა არ ირწმუნა და მეფის შესარიგებლად თბილისს წასვლაზე ყველა ცივი უარით გაისტუმრა. ნათესავთაგან მხოლოდ ციცნას ალალი ბიძაშვილი შალვა ხორნაბუჯელი არ ცდილა მეფისა და პანკელის შერიგებას. შალვას ციცნა ღვიძლ დაზე მეტად უყვარდა და არ უნდოდა, მისი უბედურების მონაწილე გამხდარიყო. მამით ობოლი ციცნა სანახევროდ ხორნაბუჯელთა სახლში იზრდებოდა და, როცა მის დაუკითხავად მამიდაშვილმა პანკელის ცოლობა გადაწყვიტა, შალვას ისე ეწყინა, თითქოს მისი სიკვდილის ამბავი გაეგოს.

პანკელსა და ხორნაბუჯელს ერთიმეორის მომიჯნავე მამულებზე ეჭირათ თვალი და მუდამ დავა და უსიამოვნება ჰქონდათ.

თორღვას უშვილობა ხორნაბუჯელს იმ მამულების ხელში ჩაგდების იმედს უნერგავდა და ახლა, ციცნა რომ მამისტოლა პანკელს ცოლად მიჰყვებოდა, შალვას არა მარტო დასავით საყვარელი მამიდაშვილი ეკარგებოდა, არამედ თორღვას უშვილობაზე დამყარებული იმედებიც ემსხვრეოდა.

ერთი გაწევა გაიწია, ციცნასა და თორღვას ქორწინების ჩაშლა სცადა, მაგრამ არაფერი გაუვიდა, თავის ნათქვამა ციცნა გაკერპდა და ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ხელი ვერავინ ააღებინა.

შალვამ, როგორც იყო, მამიდაშვილის ქორწილი მოითავა და მერე პანკისისაკენ პირი აღარ უქნია. თავისზე ბევრად უფროს სიძეს არც თვითონ პატიჟებდა და არც იქით აწუხებდა სტუმრობით; მეფის კარზე ან მხედრობასა და საქვეყნო საქმეში როცა ხვდებოდა, თორღვასთვის დამადლებული სალმის მეტს არაფერს იმეტებდა და უზაკველ პანკელს ალალ-მართალი ღიმილი პირზე აცივდებოდა.

ხანი რომ გამოხდა და ციცნას შვილი არ ეყოლა, ხორნაბუჯელს ისევ დაუბრუნდა პანკელის უძეოდ გადაგებისა და მისი მამულების დაპატრონების იმედი.

მეფესა და ერისთავს შორის ჩამოვარდნილმა შფოთმა ეს იმედი კიდევ უფრო განუმტკიცა.

შალვა შორიდან ადევნებდა თვალს მესტუმრე ჯიქურის მცდელობას, თავად პანკელის ცოდვაში ჩადგომა არ ინდომა და მოთმინებით ელოდა თორღვას

დამხობას, რომ შემდეგ, უახლოესი ნათესავისა და ციცნას მეურვის უფლებით, უშვილძირო ერისთავის ქონება და მამული ხელთ ეგდო.

მესტუმრე ჯიქურის მიერ რამდენჯერ შემოთავაზებული მოციქულობა უარყო და ბოლომდე არ ფიქრობდა კარისგან გამდგარი სიძის საქმეში ჩარევას. მაგრამ სწორედ ორი დღის წინ ციცნას წერილი მიიღო. ციცნა ძველ სიყვარულსა და ერთგულებას აფიცებდა, სასწრაფოდ მოენახულებინა განსაცდელში ჩავარდნილი მამიდაშვილი.

ხორნაბუჯელს ციცნასადმი სულ როდი ჰქონდა განელეებული ნათესაური სიყვარული, როცა პანკელის დამხობას ოცნებობდა, მისი მეუღლის დახსნის ფიქრიც არ სტოვებდა და, ახლა ციცნას წერილი რომ მიიღო, გულწრფელად შეწუხდა.

არ წასვლა არ შეეძლო, მაგრამ მეფისაგან გამდგარ ერისთავთან სტუმრობაც სახიფათოდ ეჩვენა და, რომ არც მწვადი დაწვოდა და არც შამფური, მესტუმრე ჯიქურს ეახლა, მამიდაშვილის ბარათი აჩვენა და რჩევა ჰკითხა.

ჯიქურსაც ეს უნდოდა, ხორნაბუჯელს მეფის მოციქულობა და პანკელის თბილისში ჩამოყვანა დააკისრა.

შალვამ მოციქულობა კი იკისრა, მაგრამ გულში გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ თვითონ ერისთავი და მისი მეუღლე არ შეეხვეწებოდნენ მეფესთან შერიგებას, როგორც სხვა ადრინდელი შუამავლები, ისიც ხელცარიელი გამობრუნებულიყო.

მაგრამ თუ ციცნა და თორღვა მეფის წინაშე შუამდგომლობას სთხოვდნენ, ხორნაბუჯელს ამ შემთხვევისთვისაც ჰქონდა შესაფერისი ნაბიჯი მოფიქრებული: დამორჩილებულ ერისთავს მეფესა და მესტუმრე ჯიქურს მიჰგვრიდა, ხოლო თავის მამიდაშვილს ხორნაბუჯის ციხეში განარიდებდა, რადგან ციცნას სიცოცხლე ისევე საჭირო იყო შალვას მიზნის მისაღწევად, როგორც თორღვას სიკვდილი.

პანკისის ერისთავი დიდად გაახარა ხორნაბუჯელის სტუმრობამ. ცოლის ეს უახლოესი ნათესავი თავისი სტუმრობითა და ყურადღებით არასოდეს ანებივრებდა და მისი გამოჩენა მეფისაგან გამდგარი ერისთავის ციხესიმაგრეში ახლა კიდევ უფრო დასაფასებლად ეჩვენა, როცა ჯიქურის შიშით დამფრთხალი თავადები პანკელის ამბავსაც აღარ კითხულობდნენ.

ერთიმეორისა და შინაურების მოკითხვას რომ მორჩნენ, თორღვა სუფრის თადარიგს შეუდგა, ხოლო სტუმარი თავის მამიდაშვილთან ჩაიკეტა და საიდუმლო საუბრისთვის განმარტოვდა.

სანამ პურობად დასხდებოდნენ, ციცნამ მეუღლე იხმო:

– მეფისა და ჩვენი ოჯახის ერთნაირად ერთგული ჩემი ბიძაშვილი კისრულობს ხელმწიფის წინაშე თავდებობას. თუმცა შალვას საკუთარ თავზე მეტად ვენდობი, მაინც პირობა ჩამოვართვი, ხორნაბუჯელთა და პანკელთა საერთო სალოცავზე – ალავერდის წმინდა გიორგის ხატზე შემოგვფიცოს უვნებლობა.

– მარტო ალავერდისა კი არა, რომელ ხატზედაც გინდათ, იმაზე დავიფიცებ, რომ მეფის კარზე თქვენი თმის ერთი ბეწვიც არ ჩამოვარდება და, თუ ერისთავი ხელმწიფის წინაშე გულწრფელად მოინანიებს განდგომას, მეფე წყალობასა და ნიჭსაც ბევრს მოგაგებთ, – მტკიცედ თქვა ხორნაბუჯელმა.

– რას იტყვი, ერისთავო? – შეჰღიმა ციცნამ.

– მე რაღა მეთქმის, – ღიმილით დაიფრქვა მიმნდომი პანკელი, – კარგად განგიზრახავთ და მე, როგორც ყოველთვის, ახლაც შენი რჩევისა და ნების ამსრულებელი ვარ. თუნდაც ხვალვე წავიდეთ ალავერდს, შალვა ბატონმა ფიცი მოგვცეს და მეფის კარს წავგიძღვეს.

პანკელმა და მისმა მეუღლემ მეფე-დედოფლისათვის ძვირფასი ძღვენი გაამზადეს და მესამე დღეს ალავერდისაკენ დაიძრნენ.

თორღვა და მისი სახლობა ალავერდის მთავარმოწამის სამოსლის ფესვს გამოებნენ, ხორნაბუჯელმა ფიცი თქვა და სიძე-მამიდაშვილი ფესვისაგან გამოხსნა.

ამის შემდეგ ცოლ-ქმარი გულდაარხეინებულნი გაუდგნენ გზას.

შალვამ თორღვა და ციცნა დაარწმუნა, მეფე ჯერ მხოლოდ ერისთავს იზარებსო.

ციცნას მაინც გულში ჰქონდა მონგოლი დედოფლის შიში და იოლად დაჰყვა ბიძაშვილის შეგონებას, თორღვასაც თავის თავზე მეტად ცოლისა ეფიქრებოდა.

ციცნა ხორნაბუჯს დატოვეს და მეფის შუამავალი და მისი მიმხცოვნიებული სიძე მარტონი გაემართნენ სატახტოსაკენ.

მესტუმრე ჯიქურს ასი თვალი და ყური ჰქონდა, ხორნაბუჯელისა და პანკელის ყოველი ნაბიჯი იცოდა.

მეფე თბილისში არ იყო და ჯიქურმა ხორნაბუჯელი ნაჭარმაგევს გაგზავნა ხელმწიფის მოსანახულებლად.

ხორნაბუჯელის წასვლა და პანკელის შეპყრობა ერთი იყო.

მონგოლი დედოფალი ტაბახმელას განისვენებდა და ჯიქურმა იქ მიჰგვარა შეპყრობილი ერისთავი.

დედოფალს თორღვასკენ არც გაუხედია.

– ერისთავის უჭკუო ცოლი არ მოუყვანიათ? – იკითხა დედოფალმა.

– უკვე შეიპყრეს და სადაცაა გაახლებენ, – მოახსენა ჯიქურმა.

– ჰოდა, რაკი ქალის ჰკუაზე დადის ეგ ვაჟბატონი, თავის ცოლს მიაყოლეთ უკან! – ბრძანა განრისხებულმა დედოფალმა.

დაბნეულმა თორღვამ გონს მოსვლა ვერ მოასწრო, შუბოსნებმა უპატიოდ გაათრიეს დარბაზიდან.

იმ ღამესვე კლდეკარს წაიყვანეს პანკელი.

ციცნა რომ იქ დაუხვდა, ყველაფერს მიხვდა.

მუხლი მოიყარა და ფიცის გამტეხ ხორნაბუჯელს წყევლა შეუთვალა:

– რა იგი ჰყო ჩემზედა, წმინდამან გიორგიმ გიყოს შენ, რამეთუ მარტო ვარ და სიკვდილითა ჩემითა უმკვიდრო იქნების მამული ჩემი, აგრეთვე უმკვიდრო ჰყოს წმინდამან მთავარმოწამემან სახლი შენი!

ციცნა პირველი გადააგდეს მაღალი კლდიდან.

თორღვას დედოფლის განაჩენის აღმასრულებელთა გარჯა აღარ დასჭირდა, თვითონ გაიჭრა იმ კლდის თავისკენ და უფსკრულში გაფრენილ საყვარელ ცოლს მიჰყვა უკან.

აფხაზ მოლაშქრეთა გარდა ათიათას მეომარს მოუძლოდა ცოტნე დადიანი. გზად რაჭა-ლეჩხუმის ხალხი მოერთო რაჭის ერისთავის კახაბერის ძის მეთაურობით და გაიხარა ოდიშის მთავარმა, მოეწონა ერისთავის ჭაბუკი მემკვიდრე.

– დავაჟკაცებულხარ და დამშვენებულხარ, ნამდვილად გასწევ მამის მაგივრობას, – გადაეხვია ცოტნე.

– ჩემი დიდებული მამის მაგივრობას, ალბათ, ვერასოდეს ვერ შევძლებ, მთავარო, მაგრამ ერისთავის ავადმყოფობამ მაიძულა მის მაგივრად წამოვძლოდი ჯარს.

– მართლა, როგორ არის რაჭის ერისთავი? ფრიად შემაწუხა მისი ამბის გაგებამ.

– კოხტისთავიდან მობრუნებულს, რიონის ხეობაში ცხენი წაქცევია და ფეხი უღრმვია. გაუმიზებდა ნაღრმობი, რუმბივით აქვს ფეხი გასივებული. ძალიან მოინდომა, მაგრამ ფეხზე ვერ დადგა და სხვა რა ღონე იყო, მე გამომატანა ლაშქარი.

– საწყენია უმისობა ამისთანა საძნელო საქმეში, მაგრამ არა მგონია, შვილმა მამა არ ასახელოს, მით უფრო, რომ სამშობლოს თავისუფლებისათვის კეთილშობილ ბრძოლაში უხდება მამის შეცვლა. – შეაქო და გაამხნევა ცოტნემ ერისთავის ჭაბუკი მემკვიდრე. მერე შემოერთებულ ლაშქარს ჩამოუარა, ჯარის ჩაცმულობა და აღკაზმულობა გასინჯა, მოეწონა.

– რამდენი კაცია?

– ხუთი ათასი რჩეული ვაჟკაცია რაჭა-ლეჩხუმიდან და არგვეთიდან.

– ცხენოსანი რამდენია?

– ათას ხუთასი... ესეც გაჭირვებით შეგროვდა, მთავარმა უკეთ იცის, ცხენს აღარ გვიტოვებენ წყეული მონგოლები.

– ვიცი, თავადო! არც ცხენს გვიტოვებენ და აღარც კაცს. დიდი ხანია, მოთმინების ფიალა აივსო და მადლობა უფალს, დადგა სამაგიეროს გადახდის დრო, – ცოტნემ ქუდი მოიხადა და ხელი ცისკენ აღაპყრო, – ღმერთო, მოგვხედე, წმინდა გიორგი, ძალდიდებულო, შენ მიეც ძლევა ქართველ მხედრობას, დაუბრუნე ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას თავისუფალი ცხოვრება და ადრინდელი დიდება.

ლაშქარი გაფრთხილებული იყო, რაც გაეწყობოდათ, ჩუმად უნდა ევლოთ.

– უღელტეხილამდე საშიში არაფერია, მონგოლებს ლიხს აქეთ ხელი არ მოუწვდებათ, არა, მთავარო? – იკითხა რაჭის ერისთავის ძემ.

– ეგრე ნუ იტყვი! მონგოლებს გაუჭირდათ ლიხს აქეთ გადმოსვლა და იმიტომ დაგვჯერდნენ ხარკის ძლევის. პირობის თანახმად, ლიხს აქეთ მონგოლი არ უნდა გაჭაჭანებულყო, მაგრამ ეგენი ხელშეკრულებასა და პირობას დიდად არ დაგიდევენ, დრო და დრო ლიხს აქეთაც გამოჩნდებიან ხოლმე, მცირე რაზმებით მოითარეშებენ აქაურობას და უკანვე ისე ბრუნდებიან, ვითომც არაფერი. აქედან მაგათ მიერ დაპყრობილ საქართველომდე კარგა მანძილია, მაგრამ სულ იმას ვმიშობ, მონგოლთა მოთარეშე რაზმს არსად გადავეყაროთ. წინ ცხენოსანი მზვერავები მყავს გაგზავნილი, თუ სადმე მონგოლს წააწყდებიან, იქვე უნდა მოსპონ, რომ ჩვენი გალაშქრების ამბავი თბილისსა და ანისს არ ჩაიტანონ.

– ჩვენ სად მოგვიწევს ბრძოლა, მთავარო?

– ჩვენ გაგელთან, ციხისჯვარელებთან და თორელებთან ერთად ანისს უნდა დავეცეთ, იქ მყოფი მონგოლთა ჯარი უნდა გავწყვიტოთ და მთავარი ნოინი ცოცხალი ან მკვდარი უნდა ვიგდოთ ხელთ.

– ანისში დიდი ჯარი ეყოლებათ წყეულებს.

– კი, ბევრნი არიან, მაგრამ იქიდან რომ ვარამ გაგელი შემოგვიერთდება, ჩვენც არ ვიქნებით ცოტანი.

– მხარგრძელები? თავიანთი მამულის გამოსახსნელად მაინც არ იბრძოლებენ?

– მხარგრძელებს გაგონებაც არ უნდათ მონგოლებთან ომის, ალბათ, გეცოდინება მამაშენისგან, თავჯარიანებს და ქვეყნის დამღუპველებს გვეძახიან ყველას, ვინც მონგოლთა წინააღმდეგ აჯანყებასა და საქართველოდან მათ გარეკვას ფიქრობს.

– მთელი ქვეყანა რომ აღსდგება, არც მაშინ გამოიღებენ ხელს?

– თუ წარმატება გვექნება და გავიმარჯვებთ, მაშინ სხვა რაღა გზა რჩებათ, ეგენიც მხარში ამოგვიდგებიან.

– მზა-მზარეულ სუფრაზე დაბრძანდებიან, არა?

– ალბათ. მაგრამ ვნახოთ. ღმერთმა ჰქნას, ყველაფერი კარგად დამთავრდეს.

– ღმერთმა ჰქნას! – ამოოხვრით თქვა ჭაბუკმა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დაუმატა, – ნეტავი თბილისის გამოხსნისათვის ბრძოლა გვრგებოდა წილად!

– თბილისს ქართლ-კახელები და არაგვის ხეობისანი აიღებენ. სატახტოსთან ისინი უფრო ახლოს არიან.

ღამე ხეობაში დაიბანაკეს და დილა ბინდ-ბუნდზე შეუდგნენ აღმართს. აღმართის ნახევარიც არ ექნებოდათ ავლილი, რომ თავქვე მომავალი ორი მგზავრი გამოჩნდა. მგზავრებს სამი ცხენოსანი მოჰყვებოდა ცოტნეს მზვერავთა რაზმიდან.

ქვეითნი და ცხენოსნები მოახლოვდნენ და ოდიშის მთავარმა იცნო აბიათარისა და ასპასიას შემფოთებული სახეები.

\_ მადლობა უფალს, რომ დროზე მოგისწარით, მთავარო, \_ ქუდმოხდილი მიესალმა შორიდანვე აბიათარი.

ცხენოსნებმა დაიქვეითეს.

\_ მადლობა უფალს, რომ არ აგცდით, \_ ჩურჩულებდა ასპასია და პირჯვარს იწერდა.

\_ რა ამბავია, აბიათარ? \_ შეშფოთებული მივარდა ცოტნე.

\_ დავილუპეთ, მთავარო, ჩვენი პატრონი შეიპყრეს.

\_ რას ამბობ, აბიათარ?! \_ გაფითრდა ცოტნე.

\_ თქვენ რომ აქეთ წამობრძანება ინებეთ, იმ ღამესვე სუფრაზე მსხდომნი შეიპყრეს ყველანი.

\_ შეიპყრეს? ყველანი?

\_ ყველანი, თქვენსა და რაჭის ერისთავს გარდა, კობტისთავს მყოფი ყველა შეთქმული შეიპყრეს.

\_ მოულოდნელად? მტრის მოსვლა ვერ გაიგეს?

\_ მოულოდნელად... ვინ იფიქრებდა შუალამისას მონგოლთა თავდასხმას. კიდევ კარგი, თქვენ მაინც გადარჩით!

ცოტნეს გველნაკბენივით დაელმიჭა სახე და წარბი შეიკრა.

\_ ლალატიაო, მთავარო, დიდი და პატარა გაიძახის შეთქმულება გასცესო.

\_ იუდა ვინ არისო? მოღალატეს არ ასახელებენ? \_ ჩაერია ბრაზით წამონთებული კახაბერი.

\_ ვერ ამბობენ. ოდიშის მთავრისა და რაჭის ერისთავს გარდა, ყველა შეპყრობილია და მოღალატე ვინღა რჩება?

\_ მამაჩემი ფეხნაღრძობი წევს ლოგინში, თორემ ახლა ისიც აქ იქნებოდა, \_ გამოესარჩლა საკუთარ მამას მის უბრალოებაში გულწრფელად დარწმუნებული შვილი.

\_ მაშ, აჯანყება ჩაშლილი ყოფილა და ბრძოლა დაუწყებლად წაგებული, \_ თქვა დამმარებულმა ცოტნემ.

\_ ჩაშლილია, მთავარო! შეთქმულთა მამულებში მონგოლთა ჯარები დგანან, გზები შეკრეს და ყველგან დამპყრობთა რაზმები დაშლიდნობენ.

\_ ჩვენს შორის ერთი, ალბათ, იუდა იყო, \_ ზიზღით გამოსცრა ცოტნემ. მაგრამ ვაი, მას «რომლისა მიერ ბეკაცისა მიეცეს, მისთვის უმჯობეს იყო, არა შობილიყო».

\_ თუ ესოდენ კეთილშობილ მთავართა შორისაც შეიძლება იუდა იყოს, მაშინ საქართველო ღირსი არ ყოფილა თავისუფალი ცხოვრებისა და, სულაც რომ აღგვფხვრან მონგოლებმა, ჩვენს მოდგმაზე ახი იქნება!

\_ ქრისტეს მოწაფეებზე კეთილშობილი და წმინდა ქვეყნად არავინ ყოფილა, კახაბერ, და იქაც, მათ შორისაც კი გამოჩნდა ერთი გამყიდველი. აკი უთხრა ქრისტემ თავის მოწაფეებს: «თქვენც წმინდა ხართ, მაგრამ არა ყოველნი». ჩანს, ჩვენს შორისაც ყოფილა ერთი არაწმინდა და ვაი, მას, «რამეთუ სანატრელ ექნეს შიშთვილ»!

– შუადამისას შეიპყრეს მთავრები. გონს რომ მოვედით, მაშინდა გაგვახსენდა ჩვენი პატრონის დავალება, მომხდარი უბედურება შენთვის შეგვეტყობინებინა. კიდევ კარგ დროს მოგისწარით, თორემ უღელტეხილი რომ გადაგვევლოთ, მერე გვიან იქნებოდა. მონგოლთა ჯარი დაგხვდებოდათ და ერთიანად გაგჟლეტდათ.

– გმადლობთ, აბიათარო! დროზე რომ არ მოგესწრო, იქნებ, მართლა მტერს გადავყროდით და ეს ხალხი უბრალოდ დამლუპვოდა.

– ახლა, რაკი აჯანყება ჩაშლილია, გზის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს, მთავარო.

– რა თქმა უნდა. გზის გაგრძელებას აზრი აღარა აქვს.

– დაყოვნებასაც ის ჯობს, რაც მალე გაბრუნდება უკან ლაშქარი.

– კი, ლაშქრის დროზე გაბრუნება სჯობს. ცოტა შეისვენონ და ახლავე გავაბრუნებ.

– შენც უნდა დაბრუნდე, მთავარო. უღელტეხილზე გადასული რომ გნახონ, მაშინვე შეგიპყრობენ, ან იქვე მოგკლავენ, ან დანარჩენი შეთქმულების გზას გაგიყენებენ.

– ერთიც სჯობს უკან ლაჩრულად გაბრუნებას და მეორეც, – გადაწყვეტილად თქვა ცოტნემ.

– უი, რას ბრძანებ, მთავარო, ეგ ღმერთმა ნუ გაფიქრებინოს, – იტყვიცა გაფითრებულმა ასპასიამ.

ცოტნეს მწარედ გაელიმა, ასპასიას მხარზე ხელი დაადო.

– მადლობელი ვარ შენი და აბიათარის, ჩემი გულისთვის თავი სასიკვდილო საფრთხეში ჩაიგდეთ. ეს ხალხი რომ გადამირჩინეთ, მარტო მაგისთვის გეკუთვნიტ ჩვენგან დიდი ჯილდო.

– მთავარო, გემუდარები, უკან გაბრუნდე, – ასპასია მუხლებზე დაეცა და ფეხებზე მოეხვია, – რაც შენი ვალი მადევს, უფალს სულ იმას ვევედრებოდი, რითიმე სამაგიერო გადამეხადა, რამეში ჩემი თავი დაგჭირვებოდა და გამოგდგომოდი. ძლივს მომეცა შემთხვევა, თავი გადავდე და სამი დღე-ღამე ტყე-ტყე, უგზო გზებით ვიარე, რომ მომხდარი უბედურება მეცნობებინა და სიკვდილისაგან გადამერჩინე. როგორც იქნა, განზრახვა ავისრულე და გევედრები, ნუ ჩამიყრი წყალში ამდენ შრომას, ნუ მომიხპობ ამდენი ხნის ნატვრის ასრულების ამ ერთადერთ შესაძლებლობას.

– კარგი... კარგი, ასპასია, ადექი... არსადაც არ წავალ, – ცოტნემ მკლავებში ხელი მოჰკიდა და თვალცრემლიანი ქალი ფეხზე წამოაყენა, – არა გრცხვენია, რომ სტირი. აბა, სატირალი რა გაქვს... თქვენ ახლავე უკანვე წადით, შენ და აბიათარი, მაგრამ ჯერ ცოტა დანაყრდით, მშვივრები იქნებით.

ცოტნემ ჯარის მეთაურები იხმო. უბრძანა, ლაშქარმა პური სჭამოს და ცოტა შეისვენოსო.

მერე მინდორზე სუფრა მოაღებინა. რაჭის ერისთავის ძე, ასპასია და აბიათარი დასვა და თავადაც ფეხმორთხმით დაჯდა.



დამშეული ცოლ-ქმარი მაშინვე მიეტანა საჭმელს. ცოტნემ ხელი არაფერს ახლო. ღვინით სავსე სასმისი ასწია და მასავით პირგაუხსნელი კახაბერის სასმისს უსიტყვოდ მიუჯახუნა. უხმოდ დალიეს.

ცოტა ხანს ისევე პირაკრულნი ისხდნენ, არც ლუკმა აულიათ, არც სიტყვა დაუძრავთ.

ცოტნემ კიდევ ასწია სასმისი და ისევ უსიტყვოდ დაცალეს.

აბიათარმა მუცელს რომ ბოძი შეუყენა, ცოტა სული მოითქვა, თავი აიღო და მთავარს საქციელწამხდარი შეაჩერდა.

– თქვენ სულ არაფერი მიირთვით, მთავარო, არა? ჩვენ კი დამშეულები მივსივით საჭმელს. პირუტყვია ადამიანი, მა რა არი, ამისთანა განსაცდელის დროს ჭამის თავი უნდა ჰქონდეს კაცს?!

ცოლ-ქმარმა კალთები დაიფერთხა. მთავარს მადლობა გადაუხადეს და წამოდგნენ.

– ცოტა რამ საგზადაც წაიღეთ და წადით, აბიათარ, ასპასია. თქვენისთანა კეთილი და ერთგული ხალხი ღმერთმა ნუ გამოუღიოს ნურც თქვენს პატრონს და ნურც ჩვენს ქვეყანას, – ცრემლმომძალეებული თვალებით ჩააცქერდა ცოტნე ერთ დროს მაცდუნებლად მოჟუჟუნე ასპასიას ლურჯი თვალების გაუფერულებულ აჩრდილს, მერე სათითაოდ გადაეხვია ცოლსა და ქმარს.

დაღონებული გაჰყურებდა აღმართზე მიმავალთ ოდიშის მთავარი. ცოლ-ქმარი ხმადაბლა რაღაცას დაობდა. მერე უცებ აბიათარი შემობრუნდა:

– კრავაის დედას, დიდ ქალბატონს რა ვუთხრა, მთავარო, შენი გადარჩენა რომ შემომავედრა. ფიცით რომ ვარწმუნო, უკან გაბრუნდა-თქო, ხომ მართალი ვიქნები ღვთისა და თქვენს წინაშე.

– მართალი იქნები, აბიათარო, უთხარი, ბედს დამორჩილდა და შეთქმულების ჩაშლას შეურიგდა-თქო, – მწარე ღიმილით დაუმოწმა ცოტნემ.

აბიათარმა ქუდი მოიხადა, ერთხელ კიდევ დაუკრა თავი ოდიშის მთავარსა და გზას გაუდგა.

ასპასიას და აბიათარს რომ დაემშვიდობა, დადიანს უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, არამც და არამც უკან არ გაბრუნებულიყო და, ლაშქრის გასტუმრებისთანავე, თვითონაც უღელტეხილის აღმართს შედგომოდა.

ცოტნემ ვერც გაიგო, როდის და როგორ მიიღო ეს გადაწყვეტილება, მაგრამ გადაწყვეტილი რომ მტკიცედ ჰქონდა გზის გაგრძელება და შეთქმულთა კვალზე დადგომა, ეს უკვე მისთვის სადავო აღარ იყო.

ხშირად ხდება ასე: ნაბიჯს, რომელსაც შემდგომ უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა, ისე გადადგამენ ხოლმე დიდი ადამიანები, არც ფიქრობენ მომავლისათვის მის მნიშვნელობაზე.

იმ წუთებში, როცა ოდიშის მთავრის გულსა და გონებაში ეს გადაწყვეტილება ისახებოდა და ყალიბდებოდა, ცოტნეს სულაც არ უფიქრია, თუ რა მნიშვნელობა მიეცემოდა მას ქართველი ხალხის შემდგომ ცხოვრებაში.

თუმცა ამ ნაბიჯის გადადგმა სულ რამდენიმე წამში უკარნახა ოდიშის მთავარს შინაგანმა ხმამ, იგი ცოტნეს მთელი განვლილი ცხოვრების აზრითა და გამოცდილებით იყო ჩაგონებული და შემზადებული.

ამიტომ დაემორჩილა თავის ამ შინაგან ხმას ასე უყოყმანოდ ცოტნე, დაემორჩილა და უმაღვე სულიერად დამშვიდდა.

ასპასია და აზიათარი აღმართზე მიდიოდნენ.

ცოტნე ქვაზე დაჯდა და გზას გახედა. ის გზა უცბად ორად გაიყო: ერთი სიკვდილისკენ მიდიოდა და სიკვდილის იმ გზას სიმართლისა და დიდსულოვნების შუქი ანათებდა. მეორე გზა არარაობისაკენ მიემართებოდა. და ეს იყო ერთფეროვანი, მოსაწყენი ცხოვრებისაკენ, დღეგრძელი, ნაყოფიანი არსებობისაკენ მიმავალი გზა. ეს გზა სიმბდალისა და სულმოკლეობის მღვრიე ნისლით იყო დანისლული.

ცოტნეს უკვე არჩეული ჰქონდა სიკვდილისაკენ მიმავალი გზა.

ოდიშის მთავარმა რაჭის ერისთავის ძე მოიხმო.

– ლაშქარი უკან გაბრუნდეს და შენ წარუძღვები, კახაბერ.

– შენა, მთავარო?

– მე მათთან უნდა წავიდე, \_ ხელი უღელტეხილისაკენ გაიშვირა ცოტნემ.

– თუ წასვლაა, მეც შენთან წამოვალ, მთავარო.

– არა, მე მარტო უნდა წავიდე, რაჭის ერისთავს შენს მეტი არავინ ჰყავს და შენს ცოდვაში ვერ ჩავდგები.

– რა პირით მივიდე მამაჩემთან, გულში ხომ მაინც იტყვის, უღირსი შვილი მყოლიაო.

– არ იტყვის, შენ ვალდებული არა ხარ, ფიცი არ მიგიცია შეთქმულებისათვის.

– მამაჩემმა ხომ შეჰფიცა!

– მამაშენი წევს, სნეულია.

– მერე ვინ ირწმუნებს მამაჩემის ავადმყოფობას. სასჯელს გადარჩენილი ერთადერთი შეთქმულთაგანი რაჭის ერისთავი იქნება და ხალხი მას მონათლავს იუდას სახელით.

– შენ ეგ ნუ გადარდებს. სიმართლე არასოდეს დაკარგულა და ხალხი რაჭის ერისთავის უდანაშაულობასაც მალე გაიგებს.

– მაშინ, თუ ეგ არ არის სადარდებელი, ნურც შენ წახვალ, მთავარო, ნურც შენ ჩაუვარდები ხელთ იმ სისხლის მსმელებს.

– მე არ შემიძლია წაუსვლელობა, კახაბერ... მე ვალდებული ვარ მათთან ერთად ვიყო, რადგან მე ვიყავი შეთქმულების პირველი წამომწყები და თაოსანი. ბევრი მათგანი მე დავაყენე ამ სახიფათო გზაზე. თუ შეპყრობილ შეთქმულებს სიკვდილი უწერიათ, არ მინდა თვალი ისე დახუჭონ, მე შორს, სამშვიდობოს ვეგულეობდე. წადი, კახაბერ, გეხვეწები და გიბრძანებ: ჯარს

უკანვე გაუძეხი და მშვიდობით დააბინავე. მე თუ ცოცხალი დავბრუნდი, სიკეთეს როგორმე გადაგიხდი... \_ ცოტნემ მკლავები გაშალა.

კახაბერი მოეხვია და მთავრის მკერდზე ასლუკუნდა.

\_ გამხნევდი, ვაჟკაცი ხარ და ცრემლი არ შეგშვენის... ჩემი სახლობაც გაამხნევე, იმედი მიეცი და განსაცდელი გაუიოლე... აბა, შენ იცი, მშვიდობით იარე... რაჭის ერისთავი ძმურად დამიკოცნე, \_ კახაბერმა ნამტირალევი თვალები მოიწმინდა, ხელები უღონოდ გაასავსავა და ჯარისკენ წავიდა.

ცოტა ხანში ლაშქარი დაეწყო და უკან მიიქცა.

ჯარი რომ თავის წინ გაატარა, კახაბერი ცოტნესკენ მობრუნდა:

\_ მსახურთაგან ან თანზრდილთაგან ვის იახლებ, მთავარო?

\_ გუგუტა გამომყვება, სხვა არავინ მინდა... გუგუტა სადა ხარ?

\_ აქ გახლავარ, ბატონო! ცხენები მზად მყავს.

\_ მშვიდობით, კახაბერ!

\_ მშვიდობა და გამარჯვება ნუ მოგიშალოს უფალმა! \_ ქუდი მოიხადა კახაბერმა, ცას ვედრებით ახედა და ცხენი ადგილს მოსწყვიტა.

ადამიანი მუდამ ესაუბრება ვისმე. თუ თანამოსაუბრე არა ჰყავს, თავისთავს ებაახება, ჩუმიად ედავება და ეკამათება, ან კვერს უკრავს და რაღაცას უწონებს, უდასტურებს, კაცი რომ განმარტოვდება და ფიქრობს, თავის თავს ისეთ რამეზე ესაუბრება, სხვას რომ ადვილად ვერ გაანდობს.

მაგრამ სავალდებულო როდია, ასეთ დროს ადამიანი მაინცდამაინც სხვისთვის გაუმხელელ საიდუმლოებაზე ელაპარაკებოდეს თავისთავს.

კაცს ყოველ ფეხის გადადგმაზე სჭირდება მრჩეველი, ნაბიჯის გადადგმის დამშლელი ან წამახალისებელი. თუ მრჩეველი არა ჰყავს, თავის თავს ეკითხება ხოლმე რჩევას, საკუთარ თავთან დავაში ჩხრეკს თავისივე ან სხვისი მოქმედების ავ-კარგს და ჩვენ ამას ფიქრს ვეძახით.

მიდის ცოტნე აღმართზე და ფიქრობს:

\_ ეს გზაც გაილევა, გათავდება და ოდიშის მთავრის სიცოცხლეს დასრულდება. სიცოცხლის როგორ ბოლოზე ოცნებობდა ცოტნე და ბედმა როგორი არგუნა! ბავშვობიდანვე სულ იმას ნატრობდა, რაიმე გმირობა ჩაედინა, თავი საქვეყნო საქმისათვის გაეწირა და სახელოვანი სიკვდილის ღირსი გამხდარიყო. სად არ იქნია ხმალი ცოტნემ, რამდენჯერ გადადო თავი სასიკვდილოდ, მაგრამ სიკვდილმა გვერდი აუარა და, რომ არც აველო, დიდ სახელს მაინც ვერ დატოვებდა \_ მოკვდებოდა სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში, როგორც ჩვეულებრივი მამულიშვილები კვდებიან, მოკვდებოდა ისე, როგორც ყველა კვდება. ცოტნეს კი სიცოცხლეს არაჩვეულებრივი უნდოდა და სიკვდილიც სხვებისთვის მაგალითად დაეტოვებინა. შეეძლო, მაგრამ კაცი ბჭობს და ღმერთი იცინის! ბევრი რამ თვითონ ადამიანზე არ არის დამოკიდებული. რაგინდ კეთილშობილი და დიდბუნებოვანიც არ უნდა იყოს კაცი, ცხოვრების ჩარხი თუ უკულმა დაბრუნდა, წაღმა ვეღარ შეატრიალებს.

სიჩჩოებითვე წმინდა ცხოვრებისთვის ემზადებოდა ოდიშის მთავრის მემკვიდრე. ბერად შედგომა არ დაანებეს, მაგრამ თავისი დღე ისე სპეტაკად გალია, მის სულს ბიწი არ მიჰკარებია, პატიოსნება არსად შელახვია და ქრისტეს რჯულისადმი რწმენა არ შერყევია; არც სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში დაუხევია უკან და არც საქართველოს მტერს შერიგებია არასოდეს. ვიდრე საქართველოს სამეფო სვებედნიერად ცხოვრობდა და თავისი დიდების მწვერვალზე იყო, ცოტნე იმისთვის ზრუნავდა, საყვარელი სამშობლო კიდევ უფრო გაძლიერებულიყო და განდიდებულიყო.

როცა საქართველოს ძლევამოსილება დაემხო, მის აღსადგენად პირველი ნაპერწკალი მან დაჰკვესა და შეთქმულების ცეცხლიც მან დაანთო.

მაგრამ თურმე ყველაფერს ბედი უნდა! ბედი კი ბრმა არის და ღირსეულსა და უღირსს ვერ არჩევს; ყოველი ნიჭითა და სიკეთით შემკულს, სულითა და გონებით აღმატებულს ხშირად ფსკერზე მოიგდებს და ცოცხლად დამარხავს. მაშინ, როცა ყოველგვარი სამამაცო ზნესმოკლებულსა და ბიწიერებით სავსე ბოროტმოქმედს ლაფიდან ამოატივტივებს, ხელში ქვეყნის საჭეს მისცემს და სხვათა ცხოვრების გამრიგედ გახდის.

ამიტომ ჰყავდათ წარმოდგენილი ძველ ბერძნებს ორთავ თვალით ბრმად ბედნიერება.

– ჰო, მაგრამ შენ ხომ ამ მხრივ ბედს ვერ დაემდურები, ცოტნე! ცხოვრების ფსკერზე არასოდეს გდებულხარ, ყოველგვარი ნიჭითა და ქონებით სავსე იყავი და ქვეყნის საჭესთანაც ახლოს იდექი!

– მართალია, მაგრამ მარტო ბედიც არ კმარა თურმე. დრომაც უნდა შეგიწყოს ხელი და ბედნიერი ის ყოფილა, ვისაც კარგ დროში უცხოვრია, მამაჩემი შერგილი, უბედური რომ მეგონა, ბედნიერი ყოფილა, – ძლიერი საქართველოს ხელმწიფეს ერთგულად ემსახურა და ისე წავიდა სამზეოდან, პირადი უიღბლობის მეტი საწუხარი არა ჰქონია რა. საკუთარი უიღბლობა კი სამშობლოსა და მთელი ერის უბედურებასთან რა მოსატანია! ამ მხრივ ბიძაჩემი ვარდან ვაზირყოფილიც ჩემზე ბედნიერი აღმოჩნდა: უფლისა და ტახტის წინაშე თავისი დანაშაული მოინანია და სამშობლოს სვესვიანობის ცქერით დამტკბარი წავიდა ამქვეყნიდან. მე კი პირადი ბედნიერებით განებივრებულმა, ისე უნდა გავლიო ჩემი დღე და წუთისოფელი, სამშობლოს უბედურებით მოკლული გული ვერ უნდა გავიხარო. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ცუდ დროში მომიხდა ცხოვრება.

– ცუდი და კარგი დრო არ არსებობს. დრო ისეთი დგება, როგორის ღირსიც ცხოვრების სარბიელზე გამოსული ადამიანები არიან. კარგი მამულიშვილები სამშობლოს კარგ დღეს უთენებენ, ცუდი თუ უხეირო მოღვაწეები – შავ დღეს!

– რას იზამ, როცა კაცს ცდა და შრომა არ გაუმართლებს, უხეიროდაც ჩათვლიან და ბედოვლათადაც. მთელი სიცოცხლე ტახტისა და სარწმუნოების ერთგული დამცველი ვიყავი, შინ და გარეთ მტერს და მოყვარეს ღირსეულ პასუხს ვცემდი, ბრძოლის ველზე შიში არ ვიცოდი და სამშობლოს სადიდებლად სიკვდილი რომ მღირსებოდა – ლხინად ჩავთვლიდი.

– ეგრე იყო, მაგრამ ბოლომდე, მთელი ძალ-ღონით, მთელი შესაძლებლობით, ალბათ, ვერც ქვეყნის შიგნით დაიხარჯე და ვერც გარეთ, ვერც მოყვარეს შეუმსუბუქე ტვირთი უკეთესი მომავლის გზაზე, ვერც მტერთან ბრძოლაში გასწირე თავი სხვათა სამაგალითოდ. და ასე მარტო შენ კი არ ცხოვრობდი, შენს ირგვლივ ყველა დუნედ და თავგამოუდებლად ირჯებოდა სამშობლოს ბედნიერებისათვის. განა ძლიერ საქართველოს ხვარაზმელთა მოგერიება და უკუქცევა არ შეეძლო?! განა მონგოლებისათვის აგრე სამარცხვინოდ, უომრად უნდა დაგეთმოდ თქვენი მიწა-წყალი? ახლა იტყვი, ხვარაზმელებთან ომში მონაწილეობა არ მიმიღიაო, გარნისთან ღალატმა გასტეხა ქართველთა ძლიერებაო. კარგი, გარნისის ომში, ვთქვათ, შენგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, ვერ იბრძოლე. მერე მაინც თუ რამ იღონე იმისთვის, რომ გარნისის მარცხის მიზეზები გაერკვიათ და შინაგამცემები სამაგალითოდ დაესაჯათ?!

– წამხდარ საქმეს რაღას ვუშველიდით, მაგრამ დამარცხებამ არ გაგვტეხა, ხმალი ქარქაშში არ ჩავაგეთ და სულტან ჯალალედინს მორჩილება არ გამოვუცხადეთ. ის კი არა, რამდენჯერმე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შევებით და ბოლოს, ჭერეთხევთან, ისე სამარცხვინოდ გავაქციეთ, რომ თავისი ხმლისა და სამეფო გვირგვინის წაღებაც ვერ მოასწრო.

– რაც იყო, იყო. წასულ საქმეს აღარაფერი ეშველება. მაგრამ ეს შეთქმულება ისე როგორ მოაწყვეთ, რომ აჯანყების წინა დღეს გამჟღავნდა და დარტყმა მტერმა დაგასწროთ?

– მონგოლებს კარი გაუღეთო, მე არ მეთქმის ეგ საყვედური. როგორ არ ვეცადე, მტერს საერთო ძალით დავხვედროდიო, მაგრამ ვინ მომცა მხარი?! საქართველოს მთავრები შეშინებულნი თავ-თავის ციხეებში ჩაიკეტნენ და იმ ციხეების მიუდგომლობის იმედზე დამყარებულებმა ერთი დროშის ქვეშ გამოსვლა არ ინებეს. სხვა რომ ვერა გავაწყვე რა, ციხისჯვარელს მივეშველე ჩემი ხალხით და ერთხანს მასთან ერთად ვებრძოდი რიცხვით აღმატებულ მტერს. მერე, როცა მესხეთის წინააღმდეგობა გასტეხეს, მონგოლებთან, დიდის ცდით, ლიხთიმერეთში გადმოუსვლელობის პირობა შევკარი და ნახევარი საქართველო ხარკით გადავარჩინე დაპყრობასა და აოხრებას. თუმცა ლიხთიმერეთი შედარებით მოსვენებულად ცხოვრობდა, მტრისგან დაპყრობილი დანარჩენი საქართველოსათვის ზრუნვა არასოდეს დამიგდია. როგორც კი ხელსაყრელი პირობები შეიქნა, აჯანყების ცეცხლის გაღვივებას შევუდექი. შეთქმულების სულის ჩამდგმელები მხოლოდ და მხოლოდ სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილები, მონგოლთა უღლისაგან გამწარებული და სიცოცხლემომულებული ერისმთავრები ვიყავით. ფიცი გვქონდა დადებული, ერთმანეთს არ ვულალატებდით და ცოცხალი თავით შეთქმულებას არ გავცემდით. საიდუმლოს მტკიცედ ვიცავდით და აჯანყების საქმეს ბოლომდე მივიყვანდით. მაგრამ წელანაც ვთქვი, წმინდა მოციქულთა შორისაც კი აღმოჩნდა ერთი გამცემი და ჩვენისთანა მოკვდავთა შორის რომ სულმდაბალი მოღალატე გამოჩენილიყო, რა გასაკვირი იქნებოდა!

– ეჰ, ცოტნე... ცოტნე! ერთხელ თუ მაინც ჩაუფიქრდი იმას, თუ მონგოლებთან რისთვის მიდიხარ: ხომ იცი, სიკვდილი არ აგცდება. სხვა შენს ადგილზე მონგოლებს რომ ხელთ ჩავარდნოდა, ქრთამითა და სასყიდლით შეეცდებოდა თავის გადარჩენას. შენ მონგოლთათვის ხელმიუწვდომელი საქართველოს უპირველესი მთავარი ხარ, დუმნის თავადაც იწოდები. დაგეცადა, ცოტნე, შორიდან გეყურებინა, შეპყრობილ შეთქმულებს რა განაჩენს გამოუტანდნენ და, იმის კვალობაზე გემოქმედა.

– რა გულმა უნდა გამიძლოს, როგორ შემიძლია წმინდა ფიცით ჩემთან შეკრულ შეთქმულთა წამებისა და დაღუპვის შორიდან ყურება. რა სინდისით უნდა ვიცხოვრო, შეთქმულებაში ჩემს მიერვე ჩაბმული ჩემი მეგობრები თუ სიკვდილით დაისჯებიან. სადაც გავივლი, თითოთ საჩვენებელი უნდა ვიყო, კაცს ვერ უნდა შეეჩვივლო და ღმერთს! ცხოვრება მაშინაც სჭირს, როცა შენი უმწიკვლო პატიოსნების იმედით თავაწეული დადიხარ. ისეთ სიცოცხლეს რაღა თავში ვიხლი, როცა ყველგან და ყველას წინაშე თავის მართლება დაგჭირდება, იუდა და ქვეყნის მოღალატე არა ვარო.

– მაინც დაფიქრდი, მთავარო, იქნებ შენი სიცოცხლე იმისთვისაც იყოს საჭირო, რომ შეთქმულების გამცემის ვინაობა შეიტყო. ეგებ ისა სჯობდეს, შორიდან უთვალთვალო, ჩუმად გამოიძიო, ვინ გაჰყიდა საიღუმლო, დრო შეურჩიო და ერის მოღალატეს ყველას მაგივრად შენ გაუსწორდე. როცა შენი დაღუპული მოძმეების შურს იძიებ, თუნდაც იმ დღესვე ჩაბარდი მონგოლებს. მაგვარ სიკვდილს შნოც ექნება და გამართლებაც. რატომ ჩქარობ, უაზროდ თავს რად ილუპავ? ფული ბევრი გაქვს და ქონება. მტრისთვის ლიხთიმერეთში მაინც მიუწვდომელი ხარ. მონგოლი ნოინების სიხარბე რომ იცი, არც ისე ძვირი დაგიჯდება მათი მოქრთამვა და შეთქმულებაში შენი მონაწილეობის კვალის წაშლა.

– ქრთამით ქვეყნის გარყვნას რომ ვუყურებ, სირცხვილით ვიწვი. ეგლა აკლია საქართველოს, ჩვენც, მისი საუკეთესო შვილები გარყვნილების ამ გზას დავადგეთ, ხალხს ქრთამით კანონისა და სამართლის სყიდვის მაგალითი მივცეთ. ეს ერის ერთიანი გათახსირების დაჩქარება იქნება და ამ სამარცხინო ნაბიჯის გადადგმას, სიკვდილი მირჩევნია. სიცოცხლის შენარჩუნება გაცილებით იოლი საქმეა, ვიდრე ზნეობრივი დაცემის თავიდან აშორება. რატომ ჩქარობო, რომ მეკითხები, ნუთუ ამ აჩქარების მიზეზი არ იცი?! შეთქმულებს როგორმე ცოცხლებს უნდა მივუსწრო, ან მათთან ერთად უნდა ვიმართლო თავი, ან მათთან ერთად უნდა დავიღუპო. დათქმული გვქონდა, თუ ჩვენი შეკრების ამბავს გაიგებდნენ, ან პირდაპირ ბჭობის ადგილას შეგვიპყრობდნენ, თავი იმით უნდა გვემართლებინა, რომ ხარკის შესაკრებად ვიყავით თავშეყრილნი. მონგოლებმა იციან, მე თუ შეთქმული ვარ, მათ სასიკვდილოდ ჩემი ნებით ხელთ არ ჩავუვარდები, ფეხს ლიხთიმერეთში მოვიდგამ და სასჯელს გადავრჩები. მაგრამ თუ ჩემი ფეხით ურდოს მივადგები და მეც დანარჩენ შეთქმულთა ჩვენებას გავიმეორებ, ვფიქრობ, ნოინები დაასკვნიან, მართალი რომ არ იყოს, აქ მოსვლას როგორ გაბედავდაო.

მონგოლები გულუბრყვილონი არ არიან, მაგრამ ქვეყნად შეუძლებელი არაფერია და ხომ შეიძლება, ამ უმცირესმა იმედმა გამიმართლოს! ჩემს დროზე მისვლას კიდევ ერთი აზრი აქვს, თუ შეთქმულებს დალუპვა უწერიათ, ნახავენ, რომ მეც მათთან ერთად ვარ შეპყრობილი და სასიკვდილოდ განწირული. თვალს ჩემი წყევლითა და აუგად ხსენებით არ დახუჭავენ და იმ ქვეყნად თან ჩემი გამცემობის ეჭვი არ წაჰყვებათ. როცა შეთქმულების ყველა მონაწილე ჩემსა და რაჭის ერისთავს გარდა შეპყრობილია, ჩვენს იქით გამცემის ძებნა უაზრობაა. რაჭის ერისთავის უბრალოებას ისეც დავიჯერებდი, მაგრამ ერთადერთი მემკვიდრე ვაჟის ჯარით გამოგზავნამ კიდევ უფრო დამარწმუნა მის ალალ-მართლობაში – შეთქმულება რომ მას გაეცა, ჯარს რატომღა შეჰყრიდა და შვილს დასაღუპად როგორ გამოიმეტებდა. ასეა თუ ისე, ჩემი გადაწყვეტილება საბოლოოა და, თუმცა ახლა მის სისწორესა და აუცილებლობაზე ვმსჯელობ, ეს მხოლოდ უკვე მომხდარი ამბის, გადადგმული ნაბიჯის საბუთებით გამტკიცების ცდა უფროა, ვიდრე ამ ნაბიჯის სისწორეში ეჭვის შეტანა.

წელან, როცა ურდოში გამგზავრების გადაწყვეტილება თითქმის დაუფიქრებლად მივიღე, მაშინვე ვიცოდი, სიკვდილის მეტი ამ გადაწყვეტილებაზე ხელს ვერაფერი ამაღლებინებდა.

დანდობილად მიმავალი, სადავემიშვებული ცხენი უცებ დაფრთხა და შეხტა. ცოტნე ფიქრისაგან გამოერკვა, უნაგირის ტახტაზე ხელის წატანება მოასწრო და გადმოვარდნისაგან თავი ძლივს შეიმაგრა.

ბუჩქებიდან ასპასია და აბიათარი გამოძვრნენ.

– ხომ გეუბნებოდი, აბიათარო, ოდიშის მთავარი იქნება-თქო. ვიცოდი, უკან არ გაბრუნდებოდა.

– აქ რას აკეთებთ? – გაოცდა ცოტნე.

– შენ გელოდებოდით, მთავარო.

– აქედან გიყურებდით, ჯარი რომ უკან გააბრუნე, ასპასიამ დაიჟინა, იმისთანა გუმანი მაქვს, ოდიშის მთავარი ერთხელ ნათქვამს არ გადაათქვამს და შეთქმულთა გზას დაადგებო, დაიჩემა, სანამ არ დავრწმუნდები, რომ გაბრუნდა, აქედან ფეხს არ მოვიცვლიო. მე, მთავარო, შენი ფიცისა მჯეროდა და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ოდიშის გზას დაადგებოდი. მაგრამ მართალი ეს ქალი გამოდგა. ჯარის გაბრუნების შემდეგ აღმართს რომ ორი ცხენოსანი ამოჰყვა, დაიჟინა, ერთი ოდიშის მთავარიო და, აგრე ყოველი სიკეთე აგხდენოდეს, მაგას ეგ აუხდა!

– სულ დარწმუნებული მაინც არ ვიყავი და ბუჩქებს იმიტომ ვეფარებოდი, უცხოთ არავის გადავყროდი.

– მაინც არ დაიშალე, მთავარო, არა?!

– ვერა, აბიათარ, ვერ დავიშლი.

– მაშინ ჩვენც თან გამოგყვებით, გზა კარგად ვიცით, ისე გატარებთ, ანისამდე მტერს არსად გადაეყრებით.

– ან ჩვენ წაგვიყვანე და გვიმსახურე, ან ორივე აქვე დაგვხოცე, მთავარო, – ცოტნეს ცხენის ალვირს დაეკიდა ასპასია და ატირდა.

– ჰო, ჩემო ბატონო! ან წაგვიყვანე და ან აქვე დაგვხოცე, – გაიმეორა ცოლის ნათქვამი აზიათარმა, ქუდი მოიხადა და მიწას დაახეთქა.

ოდიშის მთავარი მიხვდა, ცოლ-ქმარს გადაწყვეტილებაზე ხელს ვერ ააღებინებდა.

სადავე აკრიფა, ცხენი დასძრა და გულაჩუყებულმა ხმის კანკალით თქვა:

– წამოდით, რაკი არ იშლით!..

გულზე ოქროს პაიცა დაიკიდა ოდიშის მთავარმა.

დუმნისთავს ოქროს ამ პაიცით ყველგან პატივით ატარებდნენ ხოლმე და ახლაც ამის იმედად იყო ცოტნე.

მთავარ გზას ერიდებოდნენ, ტყე-ტყე და ხევ-ხევ სიარულით მანძილს იმოკლებდნენ.

ერთი-ორჯერ მონგოლ ყარაულებს გადაეყარნენ.

ოქროს პაიცის ძალამ გასჭრა, ანისს მიმავალი მთავარი შეუყოვნებლად გაატარეს.

დაღლილებმა ტყის პირას შეისვენეს. შებინდებისას ცხენებს უნაგირები მოხადეს, საგზალი გადმოიღეს და წყლის პირას გაშალეს სუფრა.

– ღამე ბარემ აქ გავათიოთ და დილას ადრე გავუდგეთ გზას, – ბრძანა ოდიშის მთავარმა.

ხელ-პირი დაიბანეს და სუფრას მიუსხდნენ.

გრძელი, ძნელი გზით დაქანცულებს მადიანად ჭამის თავიც აღარ ჰქონდათ. უგემურად ლოღნიდნენ და ხმას არ იღებდნენ, თითქოს სულ ერთი ყოფილიყოს, ჭამდნენ თუ არა და, საერთოდ, გააგრძელებდნენ თუ არა ცხოვრებას.

მხოლოდ ასპასია იყო წინანდებურად აფორიაქებული და შფოთდაუმცხრალი, შიშჩამდგარი თვალებით მთავარს აშტერდებოდა და ყოველ წამს ფერფური მისდიოდა.

ძალღუმადურად დანაყრებულებმა ნაბდები გაშალეს და თავი უნაგირებზე მისდეს.

მთის მდინარე მთვარის შუქზე ხმალივით ელავდა და საამო, დამამშვიდებელი ჩხრიალით მიედინებოდა. ცოტნეს მშობლიურ ნანინასავით ჩაესმოდა მდინარის ჩხრიალი. წამით აკვანში გაღვიძებულივით აიხედა მაღლა და ვარსკვლავებით მოჭედულ უნაპირო ცას რომ შეხედა, უცებ ბავშვივით იმ ვარსკვლავების ხელის წატანება მოუნდა.

სადღაც ბაყაყმა დაიყიყინა. მაშინვე მეორე აჰყვა და მთელმა გუნდმა რომ ნაცნობი სიმღერა გააბა, ცოტნეს უცებ ცრემლი მოადგა თვალს: წამით ხობის ნაპირი წარმოიდგინა, გულადმა გაწოლილს თავი გადიას კალთაში ედო და გამდელის ნათქვამ ლექსს ხმამაღლა ასძახოდა ურიცხვი მნათობებით მოჭიკჭიკებულ ცას:



ბუა დია ჩქიმი,  
თუთა მუმა ჩქიმი,  
ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი  
და დო ჯიმა ჩქიმი.

მაშინ თვითონაც ხვიჩა მორუცხს ჰგავდა პატარა ცოტნე. სჯეროდა, რომ იმ ვარსკვლავებს მარტო ხმას კი არა, ხელსაც მიაწვდენდა და სოფლის ზრუნვისაგან შორს მდგარი, სამყაროს მთლიანობაში გათქვეფილი ყრმა უდარდელად იძინებდა უდუ გადიას თბილ კალთაში.

მაინც კარგია ეს სიცოცხლე, თუნდაც იმიტომ, რომ ყრმობის იმ განცდის გახსენება და ოცნებით ბავშვობაში გადასვლა შეუძლია ადამიანს!

ნეტავ სულ იმ ოცნებით ცხოვრება შეიძლებოდა ამ ქვეყნად, იმ წმინდა გულით იყოს დაკავშირებული გარესამყაროსთან ადამიანი, უმანკო გულით, რამაც არც სიკვდილის არსებობა იცის, არც ღალატი და არც ასაკში შესულთა ურთიერთობის სხვა რამ ჭუჭყი.

რას იფიქრებდა ხობის პირას მეოცნებე პატარა ცოტნე, რომ ოდიშის მზისა და მთვარის შვილს, მოციმციმე ვარსკვლავების უმცროს ძმას, ოდესღაც ამქვეყნიური ჭუჭყი ზღვასავით მოადგებოდა და თავისი ფეხით სასაკლაოზე წასვლას აიძულებდა. შეებრაღა თავისი თავი, უდანაშაულოდ გაწირული ცოლ-შვილი და იმ დიდ ჭუჭყში დამხობილი სამშობლო, რომელიც თვითონ ცოტნეც იყო, ის ვარსკვლავებიანი ღამეც და ამქვეყნად განცდილი ყველა სიამეც. წამით, მთელ სხეულში რაღაც მომთენთავი სითბო და სილბო იგრძნო ვაჟკაცმა და ყელში ბურთი მოაწვა.

– არა გძინავს, მთავარო? – გაკრძალულად, ხმადაბლა იკითხა აბიათარმა.

– არა, არ მძინავს, – გაეპასუხა ფიქრიდან უცებ გამორკვეული ცოტნე.

– ზღაპარს ან იგავს რაიმეს გაიმბობთ ჩემი მეუღლე, თუ ინებებთ. წელან მოვითათბირეთ და განვიზრახეთ, რიგ-რიგობით მოგიტხროთ ხოლმე დარდის უკუსაყრელად ან ფიქრთ გასართველად არაკი და იგავი; არა გუნების დასამძიმებლად, არამედ ნაღვლის გასაქარვებლად გეტყოდეთ არაკთა, რამეთუ სიბრძნეცა სიცრუისა სარგებელ იყო გულისხმაყოფად კაცთა.

– იყოს ნება თქვენი, – დაეთანხმა ცოტნე და ნაბადზე წამომჯდარმა ასპასიამ დაიწყო:

– ისმინე, მთავარო, და ცხონდი უკუნითი უკუნისამდე! ალბათ, გახსოვს ჩემი პატრონი ფაკირი, მთავარო. გრძნეული იყო ინდოელი ფაკირი, ფეხშიშველა გავარვარებულ ნაკვერცხლებზე დადიოდა და მუსიკობით გველი ხვრელიდან გამოჰყავდა. ცარიელი ძვალი და ტყავი იყო და თითქოს კუნთიც არ ჰქონდა, მაგრამ რომ დაიძაბებოდა, მთელი სხეული ერთ რკინის ძარღვად გადაექცეოდა ხოლმე. მაშინ გულზე საპალნით დატვირთული ურმის გადავლას უძლებდა და მნახველებს ეს ჩვეულებრივი იოგი სასწაულთმოქმედ ჯადოქრად ეჩვენებოდათ. ადრეც მითქვამს, პაწაწინა გოგო ვიყავი, ფაკირმა რომ მიყიდა. ჩემი ახალი პატრონისა ყველაფერი მაცოცხლებდა, მაგრამ ყველაზე

დიდ საკვირველებად ის ზღაპრები და არაკები მეჩვენებოდა, რომელთაც იშვიათი შთაგონებით მიაშობდა ხოლმე ძილის წინ დედის ალერსს მონატრებულ ბავშვს. იმ იგავთაგან ჩემს მეხსიერებას ბევრი შემორჩა და მინდა ერთი გიამბო.

თქვა ასპასიამ არაკი:

**მტრის მინდობისა და თავის გაუფრთხილებლობისათვის.**

თქმულა: პატრონსა ერთსა ცხვრის ფარა ჰყავდა მრავალრიცხოვანი. ცხვრის ფარის წინამძღოლი ვაცი იყო ელქაჯი, ახოვანი, რქამაღალი, ბეწვგრძელი და უნიშნოდ თეთრი, ვითარცა სპეტაკი თოვლი.

ელქაჯი იგი ძლიერი იყო და უხორცოსავით უშიშარი, არა თუ ვაცი არსად იპოვებოდა მისი მომრევი, მგლებიც კი მასთან პირისპირ შებმას უფრთხოდნენ და მისი წვეტიანი რქების შიშით ფარებს ახლოს არ ეკარებოდნენ.

გონებადმატებული ვაცი დღედაღამ ფარის უკლებლობისათვის ზრუნავდა, გზებზე წინ ფრთხილად უძლოდა და ბალახითა და მწვანით ნაყოფიერ საძოვარს ურჩევდა, ცხვარს ერთ წუთსაც თვალს არ აცილებდა, მწყემსთა და ნაგაზთაგან შორს არ უშვებდა, ღამით ძილფხიზლად ეძინა და მცირე ჩქამიც კი არსაიდან გამოეპარებოდა.

რა არ იღონეს მგლებმა, მაგრამ ვერც ძალითა და ვერც ეშმაკობით ხერხიან ვაცთან ვერა გააწყვეს რა.

დაიმშა და შეწუხდა მგლის ხროვა. შეჭირვებულნი თავიანთ ხელმწიფესთან შემოკრბნენ და შველა სთხოვეს:

– ხელმწიფევ ჩვენო, მაღალო და გამგებიანო, უფალო ტოტია! ხორცის უჭმელად მგლის დარჩენა დღემდე არ თქმულა. რაც ეგ ელქაჯი ცხვრის ფარის წინამძღოლია, ბატკნის გემო გვენატრება. საკუთარ სიფხიზლესა და მწყემსების ძალას მინდობილი, ცხვარს თვალს არ აშორებს და ცივ ნიავს არ აკარებს. შენი მაღალი გონებითა და ძალით ეგ ვაცი მოგვაშორე და ჩვენ ძველებურად ერთგულ სამსახურს არ მოგაკლებთ, არც შენ გამოგიღევთ თიკნის ჩვილ ხორცს და ჩვენც მაძღარნი ვიქნებით!..

ტოტია თავადაც საგონებელში იყო ჩავარდნილი, იმ ვაცს წყევლიდა და დღეღამ იმის ხერხისა და ღონის ძიებაში იყო, ის უძლეველი ვაცი თავიდან როგორ მოეცილებინა. ტოტიამ თავის ქვეშევრდომთ მეფურად აღუთქვა დახმარება და თვითონ შინ ჩაიკეტა, ბუნაგში.

ორ დღეს არც გარეთ, სამზეოზე გამოსულა, არც ბუნაგში შეუშვია ვინმე.

მესამე დღეს გამობრძანდა, თან არავინ იახლა, ცხვრის გეში აიღო და ფარას უკან აედევნა.

ძალეები რომ თეოზე წამოწვენ და მწყემსები პურისჭამად დასხდნენ, ტოტია ფარას მიუახლოვდა, ბუჩქებს ამოეფარა და ვაცს დამტკბარი ხმით დაუწყო ხვეწნა:

– გონებითა და ძალით ყოველთა სულდგმულთა აღმატებულო, ბეწინავ! დიდი ხანია შენს ქცევასა და ცხოვრების რიგს ვაკვირდები და ვერც შენს მოქმედებას, ვერც სიტყვა-პასუხს და თავის დაჭერას ზადი ან ნაკლი ვერ მოვუძებნე. აწ მგელთა მოდგმა დიდ განსაცდელს ჩავარდა და შენს მეტს ჩვენი შველა არავის ძალუმს. გევედრები, დაივიწყე ჩვენი ძველი მტრობა, ვითარცა კეთილად განმბრჭობმა და დიდბუნებოვანმა, დახმარების ხელი გამოგვიწოდე და სრულ მოსპობას გადაგვარჩინე. ალბათ, დააკვირდებოდი, რა ხანია, შენი ფარიდან ჩემს ქვეშევრდომთ ერთი ბატკანიც არ მოუტაცნიათ. არ იკითხავ, რატომ?

– რატომ? – დამცინავად დაიკიკინა ბეწინამ და თვალი ამაყად მოავლო მწვანე გორაკზე შეფენილ ურიცხვ ფარას.

– რატომ და სიზმარი ვნახე ექვსი თვის წინათ. უფალი გამომეცხადა და მიბრძანა: არც შენ, არც სხვამ შენმა ხელქვეითმა ხორცის გემო აღარ გასინჯოს, რადგან მე ასე გადავწყვიტე, ცოცხალი ოთხფეხის კვლა და მათი ხორცის ჭამა დიდი ცოდვა არის და ვინც ამიერიდან სულდგმულის ხორცს საჭმელად გაეკარება, ჩემგან დაწყევლილი იქნება ორსავ სოფლის სააქაო და საიქიო ცხოვრებაშიო. შეშინებულმა უფალს ამის კითხვა გავუბედე: ჩვენი ჯიში დასაბამიდან ხორციით იკვებებოდა და აწ თუ ამას გვიკრძალავთ, თავი რით ვირჩინოთ-მეთქი. მათ, ვინც უკვე ხორცის გემო იცის და აქამომდე ამით უცხოვრიათ, არ მოვაშივებ, უჭმელად შევინახავ ისე, რომ მათი დღის დასასრულამდე მადლარი იყვნენო, ხოლო თქვენს ლეკვებს ფოთლისა და ბალახის ჭამას ვუწესებ კანონად ამიერიდანო. ეს იცოდე და სხვებსაც სავალდებულოდ გაუხადე, მგლის ლეკვი რომ გაჩნდება, ბალახისა და ნეკერის ჭამას შეაჩვიეთ და ხორცს ახლო არ გააკაროთო. უფლის ეს ბრძანება სამგლეთს კანონად დავუწესე და მას აქეთ, შენც ხედავ, მგელი ცხვარს აღარ იტაცებს, მაგრამ, ღვთის წყალობით, არც მშიერია და აღარც ხორცის ჭამის სურვილი აქვს. მგლებს კი ეშველათ, მაგრამ ახლად დაბადებულ ლეკვებს ვერაფერი მოვუხერხეთ, ბალახის ძოვა და ნეკერის კიკნა ვერ ვასწავლეთ: ღვთის ამ ბრძანების შეუსრულებლობამ შემაშინა და ძილში უფალი რომ ხელახლა გამომეცხადა, ჩემი გაჭირვება მოვახსენე. ღმერთმა ასე მითხრა: მგელი თავის ლეკვს ნეკერის ჭამას როგორ ასწავლიდაო. ერთი ვაცი არი. დიდი ფარის ელქაჯი, რომლის ქება ჩვენამდისაც დიდი ხნის მოღწეულიაო, გონებით აღმატებულ ვაცს ბეწინა ჰქვია და შენი შვილების აღმზრდელად ის მოიწვიე, მისებრ სხვა მგლის ლეკვს ნეკერის ჭამას ვერავინ ასწავლის და მისი გაკვეთილი სხვებისთვისაც სამაგალითო იქნებაო.

– ეგ საკენკი შენს მგლებს დაუყარე! – გასძახა ბეწინამ და ერთი გაბმით დაიკიკინა.

– ბეწინავ, ღვთის ბრძანების შეუსრულებლობას ნუ იკადრებ, უფალი მოწმეა, მის სიტყვას სრულად და სწორად მოგახსენებ, ჩვენი ვედრება ისმინე, ჩვენს ბაღებს ფოთლითა და ბალახით თავის გატანა ასწავლე, ისინიც გადაგვირჩინე და შენც ღვთის რისხვა აიცილე თავიდან.

– როგორც წყალი და ცეცხლი ვერ თვისობს ერთიმეორეს, აგრეთვე თხა და მგელი ერთად ვერ მოძოვს. ტყუილად ირჯები, ტოტიავ, ბრიყვი ნუ გგონივარ, დამეხსენი, თორემ მწყემსებსა და ნაგაზებს მოვიხმობ და აქედან ცოცხალი ვეღარ გაასწრებ, – მოუჭრა ბეწინამ.

სხვა რა გზა ჰქონდა და, ტოტია მეორე დღესაც მივიდა. ბუჩქს ამოფარებულმა გუშინდელი თხოვნა გაუმეორა და ესეც დასძინა:

– ვიცი, ბეწინავ, ფრთხილი ხარ და მგლის სიტყვას არ ენდობი. ჩვენი მუხთლობის შიში რომ არ გქონდეს, თან ცხვრის ყარაული ნაგაზები წამოიყვანე, ვიდრე ჩვენს შვილებს მწვანის ძოვას ასწავლი, ის ძაღლები იქ გაყავდეს და თვალს ნუ მოგაშორებენ. თუ ამასაც არ დაჯერდები, ჩემს მემკვიდრე ლეკვს მოგიყვან მძევლად, ამ ბუჩქთან დავტოვებ და თქვენებს დაუბარე, შენ თუ ჩვენგან მცირე წყენა რამე მოგადგება, ის ლეკვი ასო-ასო დაგლიჯონ და ჩემი ტახტი უმემკვიდროდ დასტოვონ.

ბეწინამ წამით ნეკერის კიკნა შეწყვიტა და ცალი თვალით უნდოდ გახედა ტოტიას.

– ჰოი, გონებითა და სიბრძნით ამაღლებულო! მოაპყარ სასმენელი ჩემს ვედრებას, ირწმუნე ჩემი უზაკველი მეგობრობა. იყოს მშვიდობა და სიყვარული ჩვენს შორის, დაეხმარე ჩვენს შვილებს ღვთის ბრძანების ასრულებაში, ასწავლე მათ ბალახის ძოვა და გადაარჩინე ჩვენი მოდგმა შიმშილით ამოწყვეტას.

ბეწინამ წარბი შეიკრა, უარის ნიშნად თავი გააქნია, წვერი გულმოსულმა ააცანცარა და ფარა უფრო ახლოს მისწია მწყემსებისაკენ.

მესამე დღესაც აპირებდა ტოტია თხოვნითა და ვედრებით ბეწინასთან მისვლას.

მაგრამ სწორედ იმ დღეს, ელქაჯს მარცხი შეემთხვა, დაგორებულმა ქვამ ფეხი ატკინა და ვაცი ფარას ჩამორჩა.

ვიდრე ბეწინას მკურნალობდნენ, მგლებმა დრო იშოვეს, უმეთაუროდ დარჩენილი ფარა დაიმარტოხელეს, თავს დაესხნენ და ცხვარი თითო-თითოდ დაიტაცეს.

ბეწინა რომ მორჩა და ფეხზე დადგა, მომხდარი უბედურება შეიტყო. წვერი დაიგლიჯა და ცხარე ცრემლი ჰყარა. მერე ბაკში ჩაიკეტა და იმის საგონებელს მიეცა, თუ გატაცებული ცხვრებისათვის როგორ ეშველა. დიდმა ჯავრმა და განსაცდელმა, ეტყობა, გონება დაუბნელა და სიბრძნის ნათელი დაუშრიტა. ბევრი ფიქრის შემდეგ, ტოტიას ნათქვამი გაიხსენა და წყალწალღებულებით ამ ხავსს მოეჭიდა:

– ჩემი ბრალია, მგელთა ხელმწიფის ხვეწნას ყური არ ვათხოვე, მგლის ლეკვების აღზრდაზე უარი რომ არ მეთქვა და მათთვის ფოთლისა და ბალახის

ჭამა მესწავლებინა, ამ დღეში არ ჩავვარდებოდი! – გულში მჯილის ცემით მოსთქვამდა ბეწინა,

– ეგ რა თქვი, ბრძენო და განგებიანო, თხა და ცხვარი მგლის აღმზრდელი როდის ყოფილაო, – მოახსენეს ბეწინას ნათქვამით გაცეზულმა თხებმა.

– თქვენ არ იცით, ეს ერთი ხანია, მგლებს ღმერთმა ხორცის ჭამა აღუკვეთა და კანონად დაუწესა, ამიერიდან თავიანთი ლეკვები ბალახითა და ფოთლით ჰკვებონ, – აუხსნა ბეწინამ და თხებს ტოტიას ნათქვამი წვლილად უამბო.

თხებმა ერთმანეთს გადახედეს და კრძალვით შეჰბედეს:

– მგლის ფიცი თხებისთვის სარწმუნო როდის ყოფილა, ბეწინა, ალბათ, ხუმრობს, რომ ჯავრი შეგვიმსუბუქოსო.

– რა მეხუმრება, გულ-ღვიძლში ცეცხლი მიკივია! – გაწყრა ბეწინა, – როგორ ვერ შეიგნეთ, მგლები ღვთის ბრძანებას ვერ გადავიდოდნენ, ხორცს ვერ შეჭამდნენ და თუ შვილებს ბალახის ძოვას არ ასწავლიდნენ, ლეკვები როგორ უნდა ერჩინათ?

დავიღუპეთ, ჯავრისაგან შეშლილა ჩვენი წინამძღოლიო, გაიფიქრეს თხებმა და ხან ხუმრობით, ხან გონივრული რჩევით, ცდილობდნენ, ბეწინასათვის ტოტიასთან წასვლის უაზრობა ჩაეგონებინათ.

– თქვენი ჩლუნგი გონება ჩემი გადაწყვეტილების სიბრძნეს ვერ ჩაწვდება. ერთ კვირაში მოვრჩები ტოტიას ლეკვების წვრთნასა და ფარასაც უკლებლივ დავიბრუნებ. თქვენი რჩევა და შეგონება მე არ მჭირდება და ამის მეტი ამ საქმეზე აღარა მითხრათ რაო, – მოსჭრა ბეწინამ.

– რაკი ჩვენი არ გჯერა და მგლებთან წასვლას არ იშლი, წადი, მაგრამ შენს თავს დააბრალე, შენც რომ ჭიანჭველების მამასახლისივით დაგემართოსო, – უთხრეს თხებმა.

– ეგ როგორ ყოფილაო, – იკითხა ბეწინამ.

– მაგ არაკს მე მოგახსენებ, – ჩამოართვა ცოლს სიტყვა აბიათარმა.

– კარგი, დანარჩენი შენ თქვიო, – დაუთმო ქმარს ასპასიამ.

თქვა აბიათარმა არაკი:

– უთქვამთ, ქვეყანასა შირვანისასა, ერთ ტყეში უღვაშიანი ჭიანჭველები ცხოვრობდნენ. მათ მამასახლისს სხვაზე გრძელი უღვაში ჰქონდა და ამიტომ უღვაშას ემახდნენ.

უღვაშა ბრძენი და გონიერი, მტერთაგან უძლეველი და მოურეველი ვაჟკაცი ყოფილა. დღედაღამ თურმე იმას ზრუნავდა, თავისი სამფლობელო გაემლიერებინა და თავისი ქვეშევრდომნი გაემრავლებინა. მისი შიშით მტაცებელი ახლო ვერსად ჭაჭანებდა და ჭიანჭველებს სიმშვიდეს ვერავინ ურღვევდა.

ერთხელ უღვაშა, რამდენიმე ჭიანჭველის თანხლებით, აღზევანს წავიდა მარილის მოსატანად. ქვეშევრდომნი დაარიგა, მის დაბრუნებამდე შორს არსად წასულიყვნენ, ქალაქის გალავანი გაემაგრებინათ და კარი არავისთვის გაეღოთ.

ჭიანჭველები მტკიცედ იცავდნენ მამასახლისისათვის მიცემულ სიტყვას, გალავნიდან გარეთ არ გადიოდნენ და შიგ უცხოთაგან არავის უშვებდნენ.

ერთ დღეს ტყეში ხანძარი გაჩნდა. ცეცხლის ალი ირგვლივ შემოერთყა ჭიანჭველების ქალაქს, აღარც არსად გასაქცევი იყო, აღარც დასამალავი. ცეცხლმა მიწის ზედაპირიც კი ნახშირად აქცია. სიმხურვალემ ღრმად ჩააღწია ჭიანჭველების ბუდეში და ყველა, ვინც ქალაქიდან შორს არ იყო, ერთიანად დაიღუპა.

აღზევნიდან მობრუნებულ ულვაშასა და მის მხლებლებს აღარც ტყე დახვდათ და აღარც თავიანთი საყვარელი ქალაქი. ფერფლისა და ნაცრის სქელი ფენა გადაფარებოდა მათ კერასა და ნაშრომ-ნაღვაწს.

აღზევნიდან ვაივაგლახით ჩამოტანილ მარილს რაღა თავში იხლიდნენ, დასხდნენ დანაცრებულ ნაქალაქარზე და ცხარე ცრემლით იტირეს.

ულვაშამ, მოთქმითა და გოდებით გული რომ იჯერა, დაიჟინა, ცეცხლის მეფესთან უნდა წავიდე, ხანძრის სისასტიკე უნდა ვიჩივლო, ქალაქის აღდგენა და ჭიანჭველების გაცოცხლება უნდა შევავედრო.

– ცეცხლისაგან დანახშირებულის აღდგენა და ფერფლად ქცეულის გაცოცხლება სად გინახავსო, – შეჰბედეს ხელქვეითებმა.

– თქვენ რა იცით, ცხრა მთას იქით ცეცხლთაყვანისმცემელთა სალოცავია, მიწიდან ალი ამოდის და ის არის ცეცხლთა უფალი. ბევრჯერ მინახავს, იმ ალთან მორწმუნე ადამიანები მიდიან, ლოცულობენ და რასაც შესთხოვენ, ცეცხლის უფალი მყისვე უსრულებსო, – დამაჯერებლად თქვა თავის სიმართლეში დარწმუნებულმა ულვაშამ.

– ვაითუ, ვერც დაღუპულებს უშველო და შენი თავიც წააგო, – უთხრეს ჭიანჭველებმა, მაგრამ მამასახლისმა ნათქვამი აღარ გადათქვა და ცხრამთას იქით წასვლა არ დაიშალა.

საგზალი გაუმზადეს და ორი ერთგული ჭიანჭველის თანხლებით ულვაშა შორეულ გზას გაუდგა.

როდის-როდის, ცხრამთა გადაიარეს და ცეცხლის უფალთან მივიდნენ.

მიწიდან გუგუნით ამოდიოდა ალის მაღალი სვეტი. ირგვლივ მსხვერპლად შეწირული ხვადაგის ხორცი ეყარა და თაყვანსაცემად დამხობილი მლოცველები ვედრებას აღავლენდნენ.

ულვაშამ თავი შორიდან დაუკრა და ცეცხლის უფალს საჩივარ-სათხოვარი მოახსენა.

– ახლო მოიწი და ხმამაღლა მითხარი, ამ გუგუნში არ მესმისო, – უთხრა ცეცხლის უფალმა.

ჭიანჭველა ალისკენ წავიდა და თუმცა მოახლოებული ცეცხლის სიმხურვალისაგან საფეთქლები ასკდებოდა, სათხოვარ-საჩივარი ხმამაღლა გაიმეორა.

– ცოტა კიდევ მოიწი, რომ უკეთ გავიგონოო, – უბრძანა ცეცხლის უფალმა.

ულვაშა ალისკენ დაიძრა, სიცხისაგან გაოგნებული თვალით ველარაფერს ხედავდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ბარბაცით მაინც რამდენიმე ნაბიჯი წინ გადადგა.

უცებ, თითქოს ქარმა დაუბერაო, ალის სვეტი წამოიხარა, ულვაშა აიტაცა და შთანთქა.

მტრის მიმნდობსა და თავის გაუფრთხილებელს მუდამ ეგრე მოსვლია, ბეწინავ. როგორც იმ ჭიანჭველამ ვერ უშველა თავის დამწვარ სამწყსოს და თვითონაც დაიღუპა, შენც ეგ ბედი მოგელის, თუ მგლებთან წასვლას არ დაიშლიო, \_ უთხრეს თხებმა ბეწინას და თავი დაუკრეს.

ბეწინამ თხების შეგონება არაფრად ჩააგდო, საგზალი გაიმზადა და გზას გაუდგა.

მგლების ბუნაგს სადღესასწაულოდ გამოწყობილი ისე მიადგა, არც მწყემსები წაიყვანა, არც ნაგაზები იახლა.

ტოტიას ბუნაგის წინ შეჩერდა, ერთი გრძლად დაიკვირნა და წვერი დააცანცარა.

თხის კვიკინზე შიმშილით მისუსტებულ ტოტიას გაეღვიძა და ბნელი ბუნაგიდან ცეცხლოვანი თვალებით გამოანათა.

\_ უძლეველო ხელმწიფევ! \_ თავი მდაბლად დაუკრა ბეწინამ, \_ ვწუხვარ, რომ აქამდე არ ვიღე ყურად თქვენი ბრძნული რჩევა. შეცდომა მოვინანიე და მოვედი მეფის ძეთა აღსაზრდელად. სიტყვას გაძლევ, მსგეფსზე შენს მემკვიდრეებს უკვე ეცოდინებათ ნეკერისა და ბალახის ჭამა და ვინძლო, აქ გამორეკილი ჩემი ფარა უკლებლად დამიბრუნო.

მსუქანი ვაცის დანახვით მადააღძრულ ტოტიას პირს ნერწყვი მოსდგომოდა.

\_ ახლო მოიწი, ბეწინავ, ლეკვები აქ არიან და შენ თვითონ წაასხი სასწავლებლად, \_ გასძახა ტოტიამ ბუნაგიდან.

ვაცი უშიშრად წავიდა ბუნაგისაკენ. ის იყო, ბნელში თავი შეჰყო და... ტოტია ეცა. დაყვირებაც ვერ მოასწრო უბედურმა, ისე დააგდო ყელგამოღადრული მგელთა მეუფემ.

მთავარო, ამ არაკის სიბრძნე ის არის, ჭკვიანი ვაცი თავს გაუფრთხილდეს, მტერს არ მიენდოს და დაუფიქრებლად თავი სასიკვდილოდ არ გასწიროს.

\_ მიხვდი, აბიათარ, მაგ იგავის აზრს, ბევრ სხვასაც მიხვედრილი ვარ, მაგრამ ჩემი უკან გაბრუნება არ შეიძლება, ერთხელ მიღებული გადაწყვეტილება უნდა აღვასრულო და კოხტისთავის შეთქმულებთან ერთად უნდა ვაგო პასუხი ნოინების წინაშე. \_ მშრალად მოსჭრა ცოტნემ.

\_ იყოს ნება შენი, \_ წაიდუდუნა აბიათარმა.

\_ ძილი ნებისა, მთავარო!

\_ ძილი ნებისა!

გულის ძილში წასულმა ცოტნემ ზმანება ნახა.

სიზმრად სადღაც ძნელი და გრძელი გზით მიდიოდა. გზაჯვარედინს მიაღწა და შეჩერდა.

გზის გასაყართან უზარმაზარი ლოდი იყო. ლოდზე დიდი ასოებით ეწერა:

მარცხნივ წახვალ \_ ინანებ...

მარჯვნივ წახვალ \_ ინანებ...

ჯერ მარცხნივ გახედა, მერე მარჯვნივ: არც ერთ მხარეს გრძელი, უსასრულო გზის მეტი არაფერი ჩანდა.

აქეთაც დააპირა წასვლა, იქითაც, მაგრამ ყოყმანი ვერ დაძლია და ორთაგან ვერც ერთ გზაზე დადგომა ვერ გახედა, რაკი სიკეთეს არც ერთი არ პირდებოდა.

საგონებელში ჩავარდნილი ლოდზე ჩამოჯდა.

ზის და ფიქრობს ცოტნე, საით წავიდეს, რომელი გზა სჯობს.

ფიქრში წასულს თავს ვარდან ყოფილი \_ კირიონ წინამძღვარი დაადგა. ნავაზირალი ბრწყინვალედ იყო შემოსილი, სწორედ ისე, დასაფლავებისას კუბოში მწოლარე რომ ნახა.

ცოტნემ ბიძას ახედა და გაუკვირდა, აქ რა უნდა, ან საიდან გაჩნდა ვარდან დადიანიო.

საზეიმოდ გამოწყობილ ვაზირყოფილს, ალბათ, ისევ მეფის ძალაუფლებასა და სულის უკვდავებაზე სურს საუბარი ძმისწულთან, მაგრამ ახლა ცოტნეს ამისთვის სადა სცალია, გზაჯვარედინზე დიდხანს არ გააჩერებენ და ორთაგან ერთი გზა დროზე უნდა აირჩიოს. ცოტნემ ისევ თავი ჩაჰკიდა და თავისსავე საგონებელს დაუბრუნდა:

მარცხნივ წახვალ \_ ინანებ!

მარჯვნივ წახვალ \_ ინანებ!

მესამე გზა არ არის და ორი საფრთხისაგან რომელი აირჩიოს ცოტნემ?!

უიმედო, დაუსრულებელი ყოყმანითა და ბჭობით გაბეზრებულ ცოტნეს ვარდან-კირიონის ხმა ჩაესმა და სმენად იქცა. ზარიანი ხმით მეტყველებდა წინამძღვარი და ცოტნეს ზეციდან მთავარანგელოსის ძახილად ეჩვენა მისი ნათქვამი:

\_ ცხოვრებაში დგება ხოლმე გადამწყვეტი, საბედისწერო წამი. იმ წამს მიღებულ გადაწყვეტილებაზე ხშირად არა მარტო ერთი კაცის ბედია დამოკიდებული, არამედ მთელი ერის ღირსება-მომავალიც. პიროვნებისა და მთელი ერისათვის ამგვარი საბედისწერო წამი მხოლოდ რჩეულთა ცხოვრებაში დგება. ყველაფრით გეტყობა, ღვთისაგან რჩეული ხარ. ამიტომ კარგად დაიხსომე: იმ წამისთვის ერთადერთი სწორი პასუხის გაცემა მეტწილად მსხვერპლს, თავგანწირვას მოითხოვს. მსხვერპლის გაუღებლად საშვილიშვილო საქმე არასოდეს გაკეთებულა და უკვდავის სახელი არავის დაუმკვიდრებია. ღმერთმა ჰქნას, ერის ცხოვრების ამ საბედისწერო წამს სწორი გადაწყვეტილება მიგელოს და შენს მიერ გადადგმული ნაბიჯი ღვთისა და ხალხისათვის მოსაწონი და საქებური ყოფილიყოს!



– ეგ ყოველივე უკვე მითხარი ერთხელ, წინამძღვარო. შენ ახლა ის მირჩიე, ორთაგან რომელ გზას დავადგე და საით წავიდე.

– მე ვერ გირჩევ, ცოტნე, ვერც სხვა ვინმე მოკვდავთაგანი მიგანიშნებს არჩევანს. მიჰყევი შენი გულისა და სინდისის კარნახს – შენს შინაგან ხმასა და ზეგარდმო შთაგონებას. ის მიგაღებინებს ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას და შენი ეს ნაბიჯი შემდგომ თაობებს საამაყოდ და თავმოსაწონებლად ექნება.

ცოტნემ დამცინავად გაიღიმა. უნდოდა ბიძისათვის საყვედური ეთქვა, ჩემი ბედისა და მომავლის გამორჩევაში წილს არ იღებ, პილატესავით იბან ხელს და პირდაპირ პასუხს თავს არიდებო.

თავი ასწია და გაოცდა: ვარდან დადიანი აღარსად იყო.

გონს მოსვლა ვერ მოასწრო, რომ მაღლა ღრუბლებში რაღაც მძიმედ დაირხა, მერე დაბლა დაეშვა და ფრთაგაშლილი არწივი ცაში ცოტნეს სწორა გაჩერდა.

ცოტნეს უმაღლვე დაავიწყდა ბიძაცა და მისი შეგონებაც.

– არწივი! – აღტაცებით აღმოხდა ოდიშის მთავარს.

– ამირანის არწივი! – აღმოხდა იქვე ვიღაცას და ცოტნეს ხმა ეცნაურა.

არწივმა ირაო შეჰკრა, ფრთა ღონივრად მოიქნია და ფრენით იმ მხარეს გასცურა, საითაც მარცხნივ მიმართული სამხრეთის გზა მიდიოდა.

– ამირანის არწივია! მიჯაჭვული გმირის გულ-ღვიძლის საკორტნად მიფრინავს! – ჩაესმა ისევ და ცოტნემ ივლიანე-მოდღვრის ხმა იცნო.

აღმზრდელის სიახლოვით გახარებულმა ცოტნემ თვალი მოავლო იქაურობას, მაგრამ ამაოდ, ივლიანე მოძღვარი არსად ჩანდა.

არწივი ნელ-ნელა, დინჯად მიფრინავდა მარცხნივ, სამხრეთისაკენ მიმავალი გზის სწორა, ზოგჯერ შეჩერდებოდა, თითქოს ვინმეს უცდიდა, მერე ისევ გაჰკრავდა მხარს და მძლავრი ფრთების ქნევით თითქოს ვიღაცას ეძახდა თავისკენ.

ცოტნე მიხვდა, არწივი მას უხმობდა.

თითქოს მიწას მოსწყდაო, ფრთაშესხმულივით დაიდრა არწივის მიერ ნაჩვენები გზით სამხრეთისაკენ და...

ეშველა საგონებელში ჩავარდნილ მთავარს – სული ამაღლდა და სხეულმა შვება იგრძნო, გული გახალისდა და გონება განათდა.

მერე ყველაფერი აირია: სიცხე იყო და ცოტნე ფეხშიშველა მიაბიჯებდა უღელტეხილის აღმართზე. უზარმაზარ ხის ჯვარს დიდი ვაივაგლახით მიათრევდა, ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და წყურვილით პირი უშრებოდა.

ვიღაც ჭაბუკი და დედაკაცი შორიახლო მოსდევდა.

ქალს ჩამოხეულ კაბიდან მაცდუნებლად მაღალი მკერდი მოუჩანდა, ოხრავდა და ჩუმად მოსტიროდა.

ქალი ასპასიას ჰგავდა და აჩრდილივით ადევნებული ჭაბუკიც იცნო ცოტნემ – ის ჭაბუკი გუგუტა იყო.

დაფეთებული მოსდევდა, მძიმე ჯვრის ზიდვაში უნდოდა შეშველებოდა, მაგრამ ოდიშის მთავარს შუბოსნები ერტყნენ გარს და, მათი შიშით, ახლოს ვერ მიდიოდა.

როგორც იყო, აღმართი მოთავდა.

შუბოსნებმა ჯვარი მიწაზე დააგდებინეს, ზედ ცოტნე დააწვინეს და თოკით მაგრად დააკრეს.

დაუზოგავად მაგრად, მჭიდროდ უჭერდნენ თოკს.

ეტკინა ცოტნეს. ჯვარზე გამკვრელ შუბოსნებს ახედა, თავგადაპარსული, ვიწრო ყვრიმალეებიანი ველურები იყვნენ, მიწურვილი, გაზიდული თვალებიდან გამჭვალავად იხედებოდნენ და ხარხარებდნენ.

ჯვარი მაღლა აღმართეს და ცოტნემ ახლა გარკვევით დაინახა: იმ ჯვარზე მაცხოვარი იყო გაკრული, თავს ეკლის გვირგვინი ედგა და სამსჭვალეებით მიკრული ხელებიდან წმინდა სისხლი მოწვეთავდა.

ნამდვილად ქრისტეა ჯვარზე, მაგრამ წედან რამ მოაღანდა თავისი თავი მაცხოვრის ადგილას? ან რკინისჯვრის უღელტეხილის აღმართს რა უნდოდა გოლგოთასთან, ან გუგუტასა და ასპასიას სახეებად რამ მოაჩვენა იოანესა და მაგდალინელის სახეები.

მადლი უფალს, ეს მკრეხელური მოღანდება მალე გაჰქრა და ცოტნე გარკვევით ხედავს ჯვარცმულ ქრისტეს. მაგრად შემოჭერილ სხეულში ჩაჭდული თოკებისაგან დახეთქილი კანიდან სისხლი სდის ქრისტეს, მაგრამ გასაოცარი ეგ არის, რომ ის თოკი ცოტნეს სხეულს უჭერს, უჭერს და უწყალოდ სტკივა.

წედან რომ სიცხისაგან პირი უშრებოდა, ახლა მთლად გაუხმა სასა ცოტნეს, გავარვარებული მზე უღმობლად აჭერს, სხეულს უხვრეტს და ცეცხლი ძვლებამდე ატანს.

იწვის კაცი. ჯოჯოხეთური ტკივილისა და სიცხისაგან ლამის თვალები წამოსცვივდეს და თავის ქალა გაუსკდეს.

პირის გასასველებელი წყალი და სულისმოსათქმელი ჩრდილი ერთ სიცოცხლედ უღირს, მაგრამ წყალი და ჩრდილი სახსენებლადაც გამწყდარა და არსად არის, თითქოს სამყარო უწყალოდ და უჩრდილოდ გაჩენილიყოს.

უცებ მაცხოვარს ჩრდილი დაეცა და ქრისტემ მაღლა აიხედა: ჯვარცმულის სწორა, ცაში ფრთაგაშლილი არწივი ტრიალებდა. მერე ყველაფერს უცებ ნისლი მიეფარა და მხოლოდ არწივიღა ჩანდა მზით განათებულ ღრუბლებში.

ფრთოსანმა მხარი მძლავრად მოიქნია და ფრთების მედიდური რხევით სამხრეთისაკენ გასცურა...

ცხენის ფეხის ხმაზე გაედვიძა ცოტნეს. თავი წამოსწია: ვიღაც მიწაზე გაკრულ თეთრ ბედაურს სამხრეთისკენ მიაჭენებდა.

კარგ ნიშნად ეჩვენა. პირჯვარი გადაიწერა და იესო სიზმართამხდენს ზმანების კეთილად ახდენას შეევედრა.

სუფრა გააწყვეს.

მთავარი კარგ გუნებაზე იყო, სასმისი ასწია და უძილობისაგან თვალდაწითლებულ ასპასიას გაეხუმრა:

– ძილი გაგიტყდებოდა, ასპასია, ის საშინელი არაკი თუ ჩაგყვა გულში.

– მთელი ღამე თეთრად გავათენე, მთავარო, ჯავრით თვალზე ძილი არ მომეკარა.

– მე კი დაბანგულივით მეძინა და წელან, გაღვიძების წინ, ისეთი სიზმარი ვნახე, შენი იგავის შეგონება სულ დამავიწყდა.

– ღმერთმა კეთილად აგიხდინოს სიზმარი. – ხელაპყრობით თქვა ასპასიამ.  
მთავარმა ცოტა ღვინოც მიირთვა, ჯავრისაგან დამძარებულ აბიათარსა და გუგუტასაც გადააკვრევინა. სუფრა აშალეს და გზა განაგრძეს.

ბინდდებოდა, ანისს რომ მიაღწიეს.  
დაბინავდნენ თუ არა, ცოტნე დიდვაჭარ მარტიროსის ქარვასლისკენ გაეშურა.

სომეხი ვაჭარი შინ არ დაუხვდა.  
ღვინს წავიდა და ორ დღეში დაბრუნდებო, მოახსენეს.  
ცოტნე შეწუხდა. შეთქმულთა ამბის გაგებასა და გზაზე დაყენებას სომეხი ვაჭრისაგან ელოდა და ახლა ის რომ წასული დახვდა, აღარ იცოდა, ვისთვის მიემართა.

შინ დაღონებული დაბრუნდა.  
– შენ ნუ გახვალ გარეთ მარტიროსის გამოჩენამდე, არ გიცნონ, – შეჰბედა გუგუტამ, – ქალაქს ჩვენ დავივლით, შეთქმულთა ამბავს გამოვიკითხავთ, აქაური ქართველებისა და სომეხებისაგან მათ სამყოფელს შევიტყობთ და მერე, როგორც გვიბრძანებთ, ისე მოვიქცევით.  
ცოტნეს სხვა გზა არ ჰქონდა, თავად შინ ჩაიკეტა და შეთქმულთა ამბის გასაგებად ერთგული მხლებლები გაუშვა.

დადიანთა სასახლეში ცუდი ამბის მაცნე შუალამისას გაჩნდა. ქალბატონი გააღვიძეს. კრავის შეთქმულთა შეპყრობა და ურდოსკენ ცოტნეს წასვლა მოხსენდა; მთავრის მეუღლეს ელდისაგან გული შეუღონდა და სასახლეში ერთი წივილ-კივილი ატყდა.

როგორც იქნა, კრავი გონს მოვიდა.  
– ახლავე ცხენები შეჰკაზმეთ, მთავარს უკან უნდა გავუდგე, ან დავაბრუნებ და ან მეც მასთან ერთად დავიღუპები! – გადაჭრით თქვა კრავაიმ და ვერ იქნა, ამ გადაწყვეტილებაზე ხელი ვერ ააღებინეს.

– ვერც ქმარს უშველი და თავსაც ტყუილად დაიღუპავ!  
– შენი თავი თუ არ გებრალემა, შვილები მაინც შეიცოდენ...  
ვევდრებოდნენ და აშინებდნენ, მაგრამ კრავაიმ ერთხელ ნათქვამი აღარ გადათქვა. ბოლოს იმაზე დაიყოლიეს, გზას ბნელ ღამეში არ დადგომოდა და გათენებამდე დაეცადა.

საგზალი გაუმზადეს, ბარგი შეკრეს და ქალბატონი დილაადრიან გამოეთხოვა შვილებსა და ნათესავ-ახლობლებს.

ცრემლითა და მოთქმით გამოემშვიდობნენ ქმრისათვის სულის დამდებს, სიკვდილის გზაზე დამდგარ კრავაის.

სანამ ცხენზე შეჯდებოდა, თავს კიდევ იმაგრებდა, მაგრამ, როგორც კი ცხენი დასძრა და იქაურობას თვალი მოავლო, ამდენ ხანს შეკავებული ცრემლი უცებ წასკდა და ქალბატონი გულმოკლული აქვითინდა.

ურდოსკენ მიმავალ კრავაის თავში ათასგვარი საშინელება უტრიალებდა.

ამ ერთი თვის წინათ გზად გამოვლილი რუსი ვაჭრების ნაამბობი გაახსენდა. ის, რაც მაშინ დაუჯერებლად ეჩვენა, ახლა ცოცხლად წარმოიდგინა და, იმის ფიქრით, რომ მონგოლთა სისასტიკე საკუთარ თავზე უნდა გამოეცადა, შეძრწუნდა.

– კაცის კვლაზე თურმე თვალსაც არ დაახამხამებენ, თავს ლოდზე დაადებინებენ და ქვით უჭექყავენ; ხერხემლის გადატეხა და წიხლით გულ-ღვიძლის ჩაქცევა, ან ქვის ხერხით კისრის გადახერხვა კაცის კვლის ჩეულებრივ ხერხად მიაჩნიათ თურმე. მაგრამ ამაზე უარესი ის ყოფილა, რომ ქალი თუ ჩაუვარდათ ხელთ, ენით უთქმელ ბოროტების ჩადენას აიძულებენ თურმე. რუსეთის რომელიღაც მთავარი შეუსმენიათ ბათოსთან, – მოჰყვნიენ რუსი ვაჭრები, – მთავარი ყაენს სიკვდილით დაუსჯია. მოკლულის ძმა და ქვრივი ბათოს ხლებია და შევედრებიან, მამულს ნუ წაგვართმევო. ბათოს მთხოვნელისთვის უბრძანებია, ჩვენი წესით, შენი ძმის ქვრივი უნდა შეირთოო. ქვრივს უპასუხია, მიჩვენია, ახლავე მომკლათ, ვიდრე ქრისტიანული წესი დავარღვიო და მაზღს შევუღლდეო. ბათოს ბრძანებით, მაზლი და რძალი ძალით დაუწვენიათ ერთად და იძულებული გაუხდიათ ერთმანეთს შეერთებოდნენ.

კრავაის ტანში გააზრიალა და თვალთაგან ცრემლი ღაპალუპით წამოუვიდა. სად მიდის და რად იღუპავს თავს?!

ვინ იცის, ცოტნეს ეგებ ცოცხალსაც ვერ ჩაუსწროს და, თავი სულ ტყუილად ჩაუგდოს ხელთ იმ პირუტყვ მონგოლებს.

მაგრამ ხომ შეიძლება, ქმარი იხსნას და თვითონაც უვნებელი გადარჩეს?!

ღვთისმშობელი დედა იქნება კრავაის შემწედ, ის გადააფარებს თავის კალთას და როგორც ამდენ ხანს დაიცვა ოდიშის მთავრის ოჯახი ყოველგვარი ბოროტებისაგან, ახლაც ის დაიხსნის თავისი სიწმინდის ძალით მის მავედრებლებსა და მის სარწმუნოებას მინდობილთ...

კრავაიმ ირწმუნა, რომ ამიერიდან ქმრისა და მისი ბედი მისსავე ნებისყოფის სიმტკიცესა და საზრიანობაზე იყო დამოკიდებული. უკან დასახევი გზა აღარ იყო და გულში მტკიცედ გადაწყვიტა, ყველა ხერხი და ღონე ეხმარა მონგოლთა გულის მონადირებისა და ურდოდან ქმართან ერთად უვნებლად დაბრუნებისათვის.

დიდვაჭარს ოდიშის მთავრის მისვლა რომ მოხსენდა, ფერი დაკარგა და კინალამ გული შეუღონდა.

სულ რამდენიმე დღის წინ კოხტისთავის შეთქმულთა შეპყრობისა და სასიკვდილოდ ანისს ჩამოყვანის ამბის შეტყობაზე ელდა ეცა, მაგრამ მალე

დამშვიდდა \_ შეპყრობილთა შორის მისი მთავარი მოვალე ცოტნე დადიანი არ იყო. ვალის დაბრუნების იმედი მოეცა და გული დაიარხინა.

ახლა ოდიშის მთავრის უეცარი მოსვლა რომ აცნობეს, კინაღამ დამბლა დაეცა: შეპყრობას გადარჩენილი დადიანი თავისი ფეხით მოდიოდა სასიკვდილოდ და თავს თვითონვე ჰყოფდა ყულფში, რომელიც გუმინ მისგან ასე შორს იყო.

ცოტნემ კიბე აიარა და მეორე სართულზე ავიდა. კარი გაუღეს და ვრცელ დარბაზში შეიყვანეს.

\_ პატრონი ახლავე გეახლებათ, დაბრძანდით, \_ უთხრა მსახურმა და სავარძელი მიუჩოჩა.

ცოტნე რბილ სავარძელში ჩაესვენა. თვალი მშვიდად მოავლო იქაურობას: ოთახი ოქროცურვილი ვერცხლით მოჭედული ავეჯით იყო გაწყობილი, ირანული ნოხები, ფარჩა და აბრეშუმი, ჩინ-მაჩინისა და მაშრიყ-მალრიბის უცხო-უცხო საქონელი გორებად ეწყო იატაკზე და მაგიდეებზე, ახდილ სკივრებსა და ყუთებში.

ცოტნემ იცოდა: სომეხი დიდვაჭრის ქარავნები ქვეყნიერების ოთხივე მხარეს სერავდნენ და დედამიწის ერთი კუთხიდან მეორეში ათასგვარი საქონელი დაჰქონდათ.

ისიც სმენოდა: გორელი სომხისა და დიდვაჭრისათვის ყველა მეფის კარი ღია რომ იყო. მარტო ოდიშის მთავარს კი არ ემართა მარტიროსის ვალი, მრავალი გვირგვინოსანი თუ უგვირგვინო მეფე მისი ხელის შემყურე იყო და ხელმწიფეებს ზოგჯერ თავის ნება-სურვილს კარნახობდა.

ცოტნეს ხელგაშლილი ცხოვრება არასოდეს იზიდავდა. თავად მცირესაც სჯერდებოდა და ფუფუნებისათვის ვალს არასოდეს აიღებდა. სომეხი ვაჭრის ვალში ოდიშის მთავარი საქვეყნო საქმემ ჩააგდო და ფული სამშობლოსათვის ზრუნვამ ასესხებინა.

ერთხელ ადებულ ვალს მეორე დაემატა, თავნს სარგებელი მოჰყვა და ოდიშის მთავარი სომეხი დიდვაჭრის კლანჭებში აღმოჩნდა. იმ კლანჭებს ნელ-ნელა უჭერდა მარტიროსი და ვალის გადახდას არც ისე აჩქარებდა. ცოტნე ვერცხლს ვერცხლზე ადებდა, ვალისაგან თავის დახსნას ცდილობდა, მაგრამ მონგოლთა ხარკსა და გადასახადს რა უნდა მორჩენოდა, სარგებელი სარგებელს ემატებოდა და ვალი ყოველდღე იზრდებოდა.

დარბაზში მარტიროსი შემოვიდა.

სომეხ დიდვაჭარს მკვდრის ფერი ედო. მვირფასი სპარსული ხალათი შილიფად ეცვა და ოქრომკედით მოქარგულ ფოსტლებს ნათხოვარივით მოაფრატუნებდა.

\_ აქ რამ მოგიყვანა, მთავარო? \_ კარის ზღურბლიდანვე იკითხა გაფითრებულმა ვაჭარმა.

\_ მოვალეობამ და სინდისმა, \_ აუღელვებლად მიუგო დადიანმა და ფეხზე წამოდგა.

ერთიმეორეს ხელი გაუწოდეს.

ცოტნე სავარძელში ჩაჯდა. მარტიროსი საბუთებით, ანგარიშებითა და ათასგვარი ქალღმერთით სავსე მაგიდისკენ წავიდა და სელზე მოცელილივით დაეშვა.

– რა დროს სინდის-ნამუსზე ლაპარაკია, – ენის ბორძიკით ამომარცვლა დიდვაჭარმა, – შენი აქ გამოჩენა და სიკვდილი ერთია! – ნათქვამი ცოტა არ იყოს, ხმამაღლა გამოუვიდა დიდვაჭარს, შეეშინდა, ხომ არავინ გაიგონაო და თვალი ერთხელ კიდევ მოავლო იქაურობას.

– ვიცი, მარტიროს! – არხეინად თქვა დადიანმა.

– მერე თავს რად ილუპავ, ან ცოლ-შვილს რას ემართლები?! – უკვე ჩურჩულით ამოიკვნესა დიდვაჭარმა. ან მე რას მიპირებო; ეს მთავარი სათქმელიც კინაღამ თქვა მარტიროსმა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა და ხელები უღონოდ გაასავსავა.

– ყური დამიგდე, მარტიროს! ჭკვიანი კაცი ხარ და გამიგებ. შენ მონგოლ ნოინებთან შინაურად ხარ, მათთან ადვილად მიგესვლება.

– არსადაც არ მიმესვლება, – აფეთქდა მარტიროსი, – მე ნოინებთან იშვიათად ვარ და, მაშინაც, მხოლოდ მათი წვევითა და მოწოდებით. თან ძღვენი და ძვირფასი საჩუქრები მიმაქვს და, მარტო აღებმციემისა და ვაჭრობის საქმეებზე ველაპარაკები. თუ პატიების სათხოვნელად ჩემს გაგზავნას ფიქრობ, იცოდე, შეუძლებელია. ეგ კი არა, შენი აქ მოსვლა რომ შეიტყონ...

– ნუ ცხარობ და ნუ გეშინია, მარტიროს! მე შენთან იმისთვის მოვედი, რომ შენ მიმცე ნოინებს ხელთ!..

– მე რა გამცემი მნახე, ან შენს საქმესთან რა საერთო მაქვს, – კიდევ უფრო გაცხარდა მარტიროსი.

– შენ უნდა მიმცე ნოინებს ხელთ, – დინჯადვე გაიმეორა ცოტნემ.

– რას ამბობ, მთავარო?! მე რას მახვევ თავს შენსა და შენი ცოლ-შვილის ცოდვას?!

– ჩემი და დანარჩენი შეპყრობილების ბედი შენს ხელთ არის ახლა, მარტიროს.

– მე შეთქმულებთან საქმე არა მაქვს! ნუ მხვევთ თქვენს დანაშაულში, – უკვე აღშფოთებით იყვირა ვაჭარმა.

– დაწყნარდი, მარტიროს! დანაშაულში შენ არავინ გხვევს, არც შეთქმულებთან გაქვს საქმე. შენ მხოლოდ შენს სარგებელზე ზრუნვა გმართებს... – ცოტნემ თვალი თვალში გაუყარა შეშინებულ დიდვაჭარს, – ჩემს გარდა, მგონი, სხვა შეთქმულებსაც ბლომად აქვთ შენი ვალი.

– ჯანდაბას ვალიცა და სარგებელიც. ჩემი თავი ყველაფერზე მეტად მიღირს და მაგ ცეცხლში არაფრის გულისთვის არ გავეხვევი.

– იქნებ, არც ცეცხლში გაეხვიო და ჩვენც გადაგვარჩინო.

– ეგ შეუძლებელია! შეთქმულებს სიკვდილი არ აცდებათ და მონგოლებთან მათ დასაცავად კრინტსაც ვერავინ დაძრავს.

– მე და ტყვედ შეპყრობილ ქართველ მთავრებს არც ისე ცოტა ვალი გვმართებს შენი, რომ იმ ვალის დაბრუნების შესაძლებლობა აგრე იოლად

გაუშვა ხელიდან. კარგად აწონ-დაწონე, მარტიროს, ჭკვიანი, ანგარიშიანი კაცი ხარ.

– სულ ტყუილად ირჯები, მთავარო. მე მაგ საქმეს ახლოს არ გავეკარები, – ცივად მოჭრა დიდვაჭარმა.

– მისმინე! მე შენი საფრთხეში ჩაგდება როდი მინდა. ხვალ დილით ნოინები ნახე და ჩემი ფეხით აქ მოსვლა აცნობე.

გაოგნებული დიდვაჭარი პირდაღებული უსმენდა სიკვდილთან მოთამაშე, თავზეხელაღებულ მთავარს.

– უთხარი, რომ... ლიხთიმერეთიდან ჩემი ნებით მოვედი და შეპყრობილი არავის მოვუყვანივარ.

– მერე?..

– მათ იციან, რომ ჩემს მამულში სამშვიდობოს ვიყავი, იქ მონგოლებს ჩემი შეპყრობა არ შეეძლოთ და შეთქმულებაში ჩემი მონაწილეობისთვის პასუხს არავინ მომთხოვდა.

– მეც ეგ არ მიკვირს? რა გრჯიდა, აქ რომ მოდიოდი, – ჩურჩულით თქვა მარტიროსმა.

– სიმართლემ მომიყვანა, მე რომ ალალ-მართალი და უდანაშაულო არ ვყოფილიყავი, აქ როგორ გამოვჩნდებოდი?!

– თქვენს უდანაშაულობას ვერავინ დაამტკიცებს.

– მე ვამტკიცებ, მარტიროს! ჩემი ეს ნაბიჯი ამტკიცებს. მონგოლებს უნდა შეაგნებინო: მე რომ შეთქმული ვყოფილიყავი, აქ ჩემი ფეხით არ მოვიდოდი და თავს სასიკვდილოდ არ დავდებდი. დაარწმუნე ნოინები, რომ კობტისთავს ხარკის გასარიგებლად ვიყავით შეკრებილნი და მათ წინააღმდეგ შეთქმა აზრად არ მოგვსვლია.

– მაგას ყოველდღე თუთიყუშებივით იმეორებენ შეპყრობილი შეთქმულებიც, მაგრამ მონგოლები გულუბრყვილო ბალები როდი არიან, ეგ ზღაპრები დაიჯერონ.

– დაიჯერებენ, მარტიროს! ჩემი მაგალითით დაიჯერებენ, შენ თუ კარგად აუხსნი და განუმარტავ ლიხთიმერეთიდან ჩემი მოსვლის აზრს. ხვალ დილას ჩემი აქ ყოფნა მოახსენე და ეცადე, რაცა ვთქვი კარგად განუმარტო და შეაგნებინო. თუ დაგიჯერებენ, ხომ კარგი, თუ არადა, შენც რას კარგავ, მტრის ხელთ მიმცემ და მადლობასაც გეტყვიან.

მარტიროსი კარგა ხანს თავჩაღუნული ფიქრობდა. ბოლოს თავისივე თავთან შინაგანი ბრძოლა დაასრულა, ცოტნეს თვალი თვალში გაუყარა და გატეხილმა თქვა:

– ამ ცეცხლში არ ჩაგეგდე, კარგი იყო, მაგრამ რა ვქნა! შენი აქ მოსვლაც კმარა, რომ მონგოლებმა ჩემზე ეჭვი აიღონ და თავს რისხვა დამატებონ. სხვა გზა მაინც აღარა მაქვს, ვეცდები, შენი თხოვნა შევასრულო. ნოინთა მთავარს ვეახლები და ვნახოთ, ცდა ბედის მონახევრეა!..

ბინაში დაბრუნებულ ცოტნეს შინ არავინ დახვდა. დაქანცული ტახტზე გაუხდელად წამოწვა და მაშინვე ძილი მოერია.

კარის ჭრიალზე გაეღვიძა.

– მანდ რომელი ხარ? – გასძახა და წამოიწია.

– ჩვენ გახლავართ, მთავარო, – თავი შემოჰყვეს აბიათარმა და გუგუტამ.

– შემოდით! – ანიშნა ცოტნემ, ფეხები დაბლა ჩამოუშვა და თვალის ფშვნიტით ტახტზე დაჯდა.

– ხომ არაფერი შეგიტყვიათ? – იკითხა ცოტნემ.

– მთელი ქალაქი ლაპარაკობს, ხვალ მზე რომ საშუადღეოზე იქნება, ქართველ შეთქმულებს ქალაქის მოედანზე მოიყვანენ საწამებლადო, – მოახსენა გუგუტამ.

– რას ამბობ? სარწმუნოთაგან შეიტყვე? – შემფოთდა ცოტნე.

– სარწმუნოთაგან, თვითონ მონგოლთაგან.

– ის მოედანი ნახე? სახრჩობელა, თავსაკვეთი ან კოცონის ასაგზნები გამზადებულია?

– მოედანი მე ვნახე, მთავარო, მაგრამ იქ არავითარი სამზადისი არ ჩანს. მერე, ოქრომჭედლების უბანში გავიარე და რაც იქ შევიტყვე, უფრო სარწმუნოსა ჰგავს: მთავარი ნოინის სასახლის ეზოში უნდა აწამონ თურმე ქართველი შეთქმულები. ამას რას შევესწართ, მთავარო! – გულში მჯილის ცემით თქვა აბიათარმა.

– ეგ უფრო დასაჯერებელია, აბიათარო! თუ გამოსატეხად აწამებენ, ქალაქის მოედანზე არ გამოიყვანენ. – ცოტნე წამით დაფიქრდა, მერე ისევ აბიათარს მიაპყრო თვალი და ხმადაბლა იკითხა, – იმ სასახლის ეზო-კარის ასავალ-დასავლის მცოდნეს ვერავის იპოვით?

– ნაპოვნი მყავს, სასახლის გუშაგთა ასისტავია. ჩვენში ჩაღატა-ნოინს ახლდა და კარგად ვიცნობ. აქ მყოფმა ქართველებმა მითხრეს, იმ სასახლეში შესვლა და გამოსვლა მის ხელთ არისო, – უპასუხა აბიათარმა.

– ამაღამვე უნდა ნახო უსიკვდილოდ ის ასისტავი, – ცოტნემ ქისა ამოიღო და აბიათარს გაუწოდა, – როგორმე იმ ეზოში შემაპაროს და სადმე დამმალოს. უთხარი, ვინცა ვარ და დაარწმუნე, რომ ჩემი იქ შეტყუებით და შეთქმულებთან შეპყრობით, ნოინებისაგან ჯილდოს დაიმსახურებს. ფული არ დაიშურო და ესეც უთხარი, უიარალოდ შევა, რომ ფიქრი არაფრისა გქონდეს-თქო.

აბიათარმა ქისა ჩამოართვა.

– წადი, აბიათარ. მთელ იმედს შენს ჭკუასა და მოხერხებაზე ვამყარებ და შენ იცი, როგორ გამიმართლებ, – მხარზე ხელი დაჰკრა ცოტნემ და კარამდის მიჰყვა.

აბიათარმა ქისა ჩამოართვა და ასპასიას შეხედა.

– ნუთუ, იქ მისვლას აპირებ, მთავარო? იქიდან ცოცხალი როგორღა გამოხვალ.



– რაღა დროის მაგაზე ლაპარაკია, – ხელი ჩაიქნია ცოტნემ, – წადი, აბიათარ, წადი!

– როგორ მინდოდა შენთვის სიკეთის გადახდა, მთავარო, და არ ინებე, არ იქნა და ჩემთვის ეგ ბედნიერება არ გამოიმეტე. რას გაჩუმებულხართ და არაფერს ეტყვით, – შეუძახა გუგუტასა და აბიათარს, – გაისარჯეთ და უშველეთ, მთავარი აქედან განარიდეთ. სანამ მისი აქ მოსვლა არავინ იცის.

– უკვე იციან, ასპასია, და, მე აქედან უკან ველარავინ გამაბრუნებს. წადი, აბიათარ, წადი და შენ იცი, როგორ მარჯვედ ამისრულებ სათხოვარს, – შეეხვეწა ცოტნე, კარი გააღო და თითქმის ძალით გაისტუმრა თავგზააბნეული აბიათარი.

– ღმერთმა ჰქნას, გუგუტა, ცოცხლები დაბრუნდეთ შენ და აბიათარი. მაგრამ თუ მთავარი დაიღუპა, მეც თავს არ ვიცოცხლებ და ჩემი ცოდვა შენი და აბიათარის კისრად იქნება, რადგან მთავარს სასიკვდილოდ წასვლა არ დაუშალებ.

– ჩვენ რა შეგვეძლო, ასპასია? – ხმის კანკალით თქვა გულჩამკვდარმა გუგუტამ.

– შეგეძლოთ და ვერ შესძელით. თუ მთავარი დაიღუპა, ცოცხალი არც მე დაგხვდებით და რაკი ჩემი შეგონება არ ისმინეთ, ჩემი სიკვდილი იმ მწირსავით სანანურად გექნებათ, ერთგული კვერნა რომ მოკლა.

– ეგ როგორღა იყო, მიაძბე შენს ქალობას, ძილს მაინც არ ვაპირებ და, ვინძლო, დრო მოვკლათ, – დაუყვავა ცოტნემ.

თქვა ასპასიამ არაკი

**საქმის გაშვებისა და ბოლოს ზიანი მისი.**

ერთი მწირი ყოფილა. ცოლის შერთვა დაგვიანებია. ბოლოს, სხვათა რჩევითა და გულის ნდომით, ცოლად ერთი დიდებულის ასული მოუყვანია. ცოლ-ქმარი ტკბილად ცხოვრობდა, მაგრამ ხანი რომ გამოხდა და შვილი არ ეყოლათ, საზრუნავი გაუჩნდათ. დღედაღამ ღმერთს შვილის მოცემას ევედრებოდნენ და ათასგვარ აღთქმას სდებდნენ. ბოლოს უფალმა ისმინა მათი ვედრება და ვაჟი შეეძინათ. გახარებულ მწირს სხვა აღარა ახსოვდა რა, ერთთავად აკვანს უჯდა და ყრმის ცქერითა და ალერსით ტკბებოდა.

ერთ დღეს ცოლი აბანოს წავიდა და შვილი მამის იმედად დატოვა. მწირსაც მეტი რა უნდოდა, აკვანს მიუჯდა, არწევდა და დამღეროდა. ცოტა ხანს უკან მწირს ხელმწიფის კაცი მოუვიდა, მეფე სასწრაფო საქმეზე იბარებდა სასახლეში. ხელმწიფის კაცმა ბევრი არ ადროვა და მწირი იძულებული იყო, თან გაჰყოლოდა. ცოლ-ქმარს სახლში ერთი კვერნა ჰყავდა, მძრომთა და ქვეწარმავალთ ეზო-ყურეში არ აჭაჭანებდა. მწირმა აკვანში ჩაკრული ჩვილი იმ კვერნის იმედად დატოვა, კარი გაიხურა და ხელმწიფის მოწოდებით წავიდა. უცებ სახლში გველი შეძვრა და აკვნისკენ გასრიალდა. კვერნამ ჩვილის საკბენად შემართული გველი რომ დაინახა, ისკუპა, ყია შეუპყრა და მოჰკლა.

ყრმა სიკვდილს გადაარჩინა და გველის სისხლით მოთხვრილი გარეთ გამოვიდა.

ამასობაში მწირი მობრუნდა. კვერნას პატრონისთვის ერთგული ნამსახურობა უნდოდა დაენახვებინა და წინ სისხლით მოსვრილი შეეგება.

მამას ეგონა, კვერნამ შვილი მომიკლა და მისი სისხლით არის შესვრილიო. გულს ცეცხლი მოედო. გონება დაუბნელდა და ბევრი აღარ გამოიძია. კვერნას არგანი სცა და მოჰკლა. შინ რომ შევიდა, ყრმა სალ-სალამათი დახვდა. აკვანთან მოკლული გველი ეგდო. მწირი მიხვდა, რაც მომხდარიყო. განუსჯელობითა და აჩქარებით ჩადენილი უგვანო საქციელი ინანა, მაგრამ ცრემლით და სინანულით კვერნას რალა გააცოცხლებდა!

– ეგ არაკი ტყუილად გამახსენე, ასპასია! ასე დინჯად და აუჩქარებლად, როგორც აქ მოსვლა გადავწყვიტე, ჩემს დღეში არაფერი გადამიწყვეტია: სიკვდილს შერიგებული ვარ და თუ სიცოცხლეს პატიოსნად დავასრულებ, სანანურიც არაფერი მექნება. რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ არ შემიძლია, ჩემთან ფიცით შეკრულ შეთქმულებთან არ ვიყო. ეს ჩემი ვალდებულება კი არ არის მხოლოდ, ჩემი შინაგანი მოთხოვნაა და მე უღონო ვარ, ეს არ აღვასრულო!

– შენს ხანში აქვს გემო სიცოცხლეს, მთავარო, წინ ჯერ კიდევ დიდი გზა გიდევს და ბევრი სიამე და სიხარული მოგელის შენს ბედნიერ ცოლ-შვილში.

– მე თუ მოღალატის სახელი დამერქმევა, ჩემი შვილები ბედნიერები ვეღარ იქნებიან, ხალხში სირცხვილით ვეღარ გამოჩნდებიან და ჩემი დანაშაულით დასმულ დაღს სიკვდილამდე ვერ მოიშორებენ.

– მე ერთი უჭკუო ქალი ვარ, მთავარო, და მეც კი ვხედავ და ვხვდები, რომ ქვეყანას შენისთანა ერთგული ხალხი ცოტა ჰყავს და, საქართველოს სხვისაზე მეტად შენი სამსახური სჭირია.

– შენ სამშობლო არ გაქვს, ასპასია, და ჩემს გულის ტკივილსაც ვერ გაიგებ. სულ იმის ნატვრით ვცოცხლობდი, სამშობლოსათვის თავი დამედო და ჩემი შრომითა და ბრძოლით საქართველოს დიდება ამემალეებინა. ჩვენი სამეფოს ძლიერების დროს რომ არ გამიმართლა, დაცემული საქართველოს აღდგენისთვის გადავდე თავი და, სიცოცხლის ერთადერთ აზრად სამშობლოს გათავისუფლება დავისახე. ახლა ეს იმედიც რომ გამიქარწყლდა, სიცოცხლემ ჩემთვის უკანასკნელი აზრიც დაკარგა. რაკი სამშობლოსა და ჩემი მომავალი ბნელით მოცულია, ძალღუმადური ცხოვრების გაგრძელებას, პატიოსანი სიკვდილი ათასჯერ მიჯობს.

– მე ასე გამიგონია ჩემი აღმზრდელი ინდოელი დერვიშისაგან, მთავარო, სიცოცხლე ღმერთმა იმისთვის მოგვცა, დავიცვათ და შევინარჩუნოთ მანამდის, სანამ უფალი არ მოგვიწოდებს. სულს უფალი უდგამს ადამიანს და, სულის ამოხდის უფლებაც მხოლოდ ღმერთსა აქვს. უფლის განაჩენის საწინააღმდეგოდ საკუთარი სიკვდილის დაჩქარება ისეთივე ცოდვაა, როგორც უდანაშაულოდ სხვისი მოკვლა.

– უფლის მოწოდებას ვხედავ ჩემს ამ ნაბიჯში, ასპასია, ღვთის ჩაგონებით ვდებ თავს მოყვასთათვის და მჯერა, სათნოდ მიითვლის ჩემს პატიოსან სიკვდილს ქვეყნის გამრიგე იესო ქრისტე, რომელმაც თვით გვიჩვენა კაცთა მოდგმის ცოდვათა გამოსასყიდლად თავგანწირვის უმაღლესი მაგალითი.

– თუ არ დაიშლი, ეს იცოდე, მთავარო, – ცრემლმორეულმა დაიწყო ასპასიამ, – როგორც შენ აქედან გახვალ, თავს მოვიკლავ...

– გაგიჟდი, ქალო? – შეუწყრა ცოტნე.

– გიჟი მაშინ ვიყავი, როცა ცოდვაში ვდგამდი ფეხს. ღმერთმა იცის, შენი დაღუპვა არ მინდოდა. შენს გადასარჩენად ყველაფერი ვიღონე, მაგრამ ჩემს მახეში თვითონ გავები და ახლა შენ რომ აქედან გახვალ, მეც თავს მოვიკლავ!..

ცოტნე ასპასიას ნათქვამს ვერ ჩასწვდა. მისმა ესოდენმა ერთგულებამ გული აუჩუყა, თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა და დაუყვავა:

– სისულელეს ნუ ამბობ, ასპასია, დამშვიდდი, დაწყნარდი და ილოცე ჩემი სულისთვის.

ასპასიამ ერთხელ კიდევ მოიკრიბა ღონე. გონებაში რაღაც კიდევ გაუნათდა, დაფაცურდა. უბეში ხელი ჩაიყო, სავსე ქისა ამოიღო და ცოტნეს წინ ოქროს გროვა დაყარა.

– ჩემი დღე და წუთისოფელი ვაგროვებდი ამ ოქროს და შენს გადასარჩენად თუ მოვიხმარ, ბედნიერი ვიქნები. გავიდეთ აქედან, ცოტა კიდევ დაფიქრდი, მთავარო, იქნებ უფალმა ხვალ სხვა გონიერი ნაბიჯი ჩაგაგონოს!..

ცოტნემ დამცინავად გამოხედა ოქროს.

– ისეთ ადგილას სად უნდა წავიდეთ, სადაც სიკვდილი არ იქნება?! ან სიცოცხლის რომელი სიკეთით უნდა მაცდუნო, როცა ცხოვრებაზე ხელი უკვე აღებული მაქვს?

– ზიარება მაინც არ გინდა, ადამიანო, ქრისტიანი არა ხარ? – ქალური ეშმაკობით ნაკარნახევ უკანასკნელ იმედს ჩაებლაუჭა ასპასია.

ცოტნე შეტოკდა, დაიბნა და სასოწარკვეთით ხელები გაასავსავა.

– მერე ვინ მაზიარებს... ამ შუალამეში მღვდელი სად ვიპოვო...

კარი დაუკაკუნებლად გაიღო. აბიათარი და გუგუტა შემოვიდნენ.

– მთავარო, გელოდები, – ამოისლუკუნა აბიათარმა და მუშტებით ცრემლით სავსე თვალები მოისრისა.

– ვინ ელოდება? ზიარებაც აღარ გინდათ აცალოთ?! – შეუტია ასპასიამ.

– ზიარებას, თუ ღმერთი ინებებს, კიდევ გამომიგზავნის, ახლა კი წავალ, არ დამიცდის, – ხმის ცახცახით თქვა ცოტნემ და კარისკენ გაიწია.

– ნუ წახვალ, მთავარო, გონს მოდი! – შეჰკვივლა ასპასიამ და ცოტნეს ფერხთ ჩაუვარდა.

გუგუტა და აბიათარიც დაემხნენ, მუხლებზე მოეხვივნენ და გულისშემალღონებლად აზმუვლდნენ.

ცოტნეს სახე ჯერ მწარე ღიმილმა მოუქცია, მერე ცრემლი მოეძალა. მუხლებში სისუსტე იგრძნო. ემანდ, არ წავხდე, მეც არ ავტირდებო, გაიფიქრა,

სამივეს მოეხვია და დაკოცნა. მერე მათი მკლავებიდან თავი ძალით დაიხსნა, პირჯვარი გადაიწერა და კარში გავარდა.

გვიან დაბრუნებული გუგუტა და აბიათარი კარის ზღურბლზე გაქვავდნენ.

თავხეს გამოხმულ თოკზე ჩამომხრჩვალნი ასპასია ეკიდა.

იმ დღეს ნოინების კარი მთხოვნელებისა და მომჩივნებისათვის იყო ღია.

მარტიროსი რომ დილიდან მათთან მისასვლელად ეშაბებოდა, ფეხები უკან რჩებოდა.

მთელი ღამე იმის საგონებელში იყო, ისე როგორ გაემხილა მონგოლებისათვის შეთქმულების სულის ჩამდგმელის, ოდიშის მთავრის ანისის მოსვლა, რომ თავს მათი რისხვა არ დასტყდომოდა და მბრძანებლები დადიანის სიმართლეში დაერწმუნებინა.

გეგმა დაწყობილი ჰქონდა და სათქმელი მოფიქრებული, მაგრამ მონგოლთა ზნესა და ხასიათს რომ იცნობდა, მაინც ეშინოდა, თავი არ წავაგო და თავნი და სარგებელი ერთად არ დავეკარგო.

გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ ნოინები კარგ გუნებაზე არ დახვდებოდნენ და ძღვენიც და საჩუქრებით გულს ვერ მოუღობოდა, ქართველი შეთქმულები სულაც არ ეხსენებინა. ქართველი მოვალეების დაღუპვასთან ერთად, მათზე გავალებული დიდძალი ოქროც ეკარგებოდა მარტიროსს, მაგრამ ოქრო სხვაც ბევრი ჰქონდა და ისიც ოხრად დარჩებოდა, თუ მონგოლთა რისხვის მსხვერპლი გახდებოდა.

ამ ფიქრითა და გადაწყვეტილებით მიადგა ნოინთა ხარგას.

ფარდაზე დამხობილმა მბრძანებელთა სადიდებელი და სალამი თქვა და მხლებლებს ძღვენი მოაღებინა.

ძღვენის სიმრავლემ და სიმდიდრემ ნოინები კარგ გუნებაზე დააყენა.

მთავარმა ნოინმა დიდვაჭარს დაუყვავა:

– მადლობა ღმერთს, რომ კარგად ხარ, მარტიროს. ამდენ ხანს რატომ არ მოგვინახულე?

– ქარავნად ვიყავ წასული, მბრძანებელო, ჩრდილო ქვეყანაში. რუსეთი და ყირიმი მოვიარე და შემავიანდა.

– ჰოო! მაშ იქაური ამბები გეცოდინება, – უფროსმა ნოინმა დანარჩენებს რაღაც გადაულაპარაკა, – მათ გაიცინეს და თავი დაუკრეს, – ცოტა დაიცადე, – მიმართა ისევ მარტიროსს, – მთხოვნელ-მომჩივნებს გავისტუმრებთ, მერე პურისჭამად დავსხდეთ და ჩრდილოეთის ქვეყნების ამბავი მოგვითხრე.

მარტიროსმა მდაბლად თავი დაუკრა. მისი მორთმეული ძღვენი ნუქერებმა წაიღეს და დიდვაჭარი მოშორებით, სტუმრებს შორის დააყენეს.

ნოინები კარგ გუნებაზე იყვნენ. მარტიროსს შეთქმულებზე გაცემული ვალის გადარჩენის იმედი დაუბრუნდა და ცოტა დამშვიდდა.

რიგრიგობით შემოდიან მონგოლთაგან დაპყრობილი ქვეყნების მეფეები და მელიქები, მთავრები და ამირები. ნოინების ფეხქვეშ ეცემიან, ძვირფას ძღვენს ძღვნობენ და თავიანთ სათხოვარს თუ საჩივარს ემუდარებიან.

ყველას ცნობს მარტიროსი, ბევრ მათგანს მისი ბლომდაც მართებს და ახლა იმის მიხედვით წონის მათ გადამხდელუნარიანობას, თუ როგორ ხვდებიან მათ მონგოლი ნოინები – აგდებულად და ქედმაღლურად, თუ პატივითა და თავაზით.

აგერ შირვანშა შემობრძანდა. ნოინების წინაშე ძვირფასი ძღვენი დახვავდა და კეთილშობილი აღსართანების შთამომავალი მუხლმოდრეკილი რაღაცას ევედრება ნოინებს.

უფროსმა ნოინმა ძღვენს თვალი მოავლო, მერე შირვანშას მხარზე ხელი პატარა ბიჭსავით დაარტყა, რაღაცას შეჰპირდა და ფეხზე წამოაყენა.

მოდინ მელიქები და სულთნები, მთავრები და ამირები, მოაქვთ ხარკი და ძღვენი. ნოინები ზოგს უყვავებენ და უცინიან, ზოგს უწყრებიან და ურისხდებიან.

სანახაობა ერთფეროვანი ხდება და მარტიროსსაც მოსწყინდა ცქერა; თანაც ფეხზე დგომით დაიღალა და ნატრობს, რომ დროზე გათავდეს. დიდვაჭარს დაამთქნარა და, უცებ გაოცებისაგან კინაღამ იყვირა.

კარავში კრავაი შემოვიდა. დედოფლურად გამოწყობილი ოდიშის მთავრის მეუღლე ტანის ოდნავი რხევით წამოვიდა, მარჯვნივ და მარცხნივ ღიმილი დააფრქვია და იქაურობა საოცარი შუქით გააბრწყინა.

ამაყად თავაწეული, დედოფლური დიდებით მომავალი კრავაი ლაღად, აუღელვებლად მოაბიჯებდა, დიდრონი, შუქჩამდგარი თვალებით სიმშვიდესა და ალერსს მოათოვდა.

მარტიროსი ხედვად იქცა და კისერმოქცეული ფეხის წვერებზე შედგა.

არნახული მშვენიერებით დაბრმავებული ნოინები პირდაღებულნი შეჰყურებდნენ, ლიხთიმერელი დუმნისთავის მეუღლეს.

კრავაი ნოინებს მიუახლოვდა, თავი მდაბლად დაუკრა და მუხლზე დაცემა რომ დააპირა, უფროსი ნოინი ზეწამოიჭრა, მკლავში ხელი მოჰკიდა და ჩაჩოქება არ დაანება.

ეს ამოდენა ბუმბერაზი, პირუტყვივით ტლანქი და მოუხეშავი ვაჟკაცი ერთიანად მოლბა, თითქო დაიშალა და გალხვა, ღიმილად იქცა და, არ იცოდა, რით გამოეხატა თავისი უჩვეულო აღტაცება.

ნოინი ტახტისკენ წაუძღვა კრავაის. ოდიშის მთავრის თანამეცხედრე ნოინის გვერდით მორთმეულ ტახტზე დაბრძანდა და იქაურობას რომ მბრძანებლის თვალთ გადმოხედა, მარტიროსი მიხვდა: მის ვალს დაკარგვა არ ეწერა.

შუადღე იყო.

გალავანშემორტყმულ ეზოში ხელგაბაწრული შეთქმულები შემოიყვანეს.

თმაწვერმოშვებული, ფერდაკარგული პატიმრები თავჩალუნულნი მოაბიჯებდნენ.

ბორკილგაყრილები შუა ეზოში შეაჩერეს.

– დასხედით! – ბრძანა ათისთავმა და დილეგში გდებისაგან დახუთულმა ტუსაღებმა მიწაზე ჩაიკეცეს. ხელისგულივით ტიტველ ეზოში ბალახის დასახიც არსად ჩანდა და მზისგან გახურებული მიწა კეცივით ცხელი იყო.

ასისთავმა ნუქერებს ანიშნა. ისინი შეპყრობილებს მისცვივდნენ და ტანსაცმლის გამრობა დაუწყეს. პატიმრები ჯერ გაოცებულნი მიაჩერდნენ ტანისამოსის გამხდელებს, მერე, რაკი წინააღმდეგობის გაწევა მაინც არ შეეძლოთ, ქედი მიუპყრეს და მათ ნებას დაჰყვნენ.

წელს ზემოთ გააშიშვლეს.

თაფლით სავსე ქვაბი მოიტანეს და შუაში დადგეს. თაფლი სათითაოდ წაუსვს ყველას შიშველ ტანსა და თავპირზე. ამ საქმეს მორჩნენ და საცოდავად დაყრილებს ზურგი აქციეს.

– მზეზე შესაწვავად და კრაზანების საკბენად გტოვებთ, ვიდრე არ გატყდებით. თუ რომელიმე თქვენგანი ჭკუას იხმარს და სიმართლის თქმას დააპირებს, ჩვენ, აქვე, ჩარდახში ვიქნებით. გვიხმეთ და წამებას შეგიწყვეტთ. – გამოუცხადა ასისთავმა და ჩარდახისკენ წავიდა. პატიმრები მართონი დარჩნენ.

ბუზით, ფუტკრით და კრაზანით ერთ წამს აივსო იქაურობა; ჰაერში ირეოდნენ და გაშიშვლებულ შეთქმულებს თაფლწასმულ ტანსა და თავპირზე ასხდებოდნენ.

სარდაფიდან ცოტნე ამოვიდა, შეპყრობილებს მიუახლოვდა. წელს ზევით ტანთ გაიძრო და თაფლის წასმას შეუდგა. შეთქმულები გაოცებულნი მიაშტერდნენ.

– ცოტნე ხარ თუ მეჩვენება? – იკითხა ციხისჯვარელმა.

– ცოტნე ვარ, ყვარყვარე ბატონო! დილა მშვიდობისა.

– დილა მშვიდობის, მთავარო! – გაისმა კანტიკუნტად.

– შენც შეგიპყრეს, ლიხთიმერეთშიაც მოგწვდნენ?

– არა, მე თვითონ მოვედი, ჩემი ფეხით.

– გაგიჟდი, ცოტნე? – შეიცხადა თორღვა პანკელმა.

– სასიკვდილოდ როგორ მოდიოდი, ღვთივ გადარჩენილი... ან თავს რად წირავდი, ან ცოლ-შვილს რატომ ღუპავ?! – ამოიოხრა ციხისჯვარელმა.

– თქვენთან ფიცით ვიყავი შეკრული და სასჯელი რომ თქვენთან ერთად არ გამეზიარებინა, ან თქვენ რას იტყოდით, ან ხალხი და ქვეყანა! – აუღელვებლად თქვა ცოტნემ, თაფლის წასმას მორჩა და ხელ-ფეხის შეკვრას შეუდგა.

– საქართველოში რა ამბავია, ხალხი ხომ არ აუწიოკებიათ? – კითხულობს ეგარსლანი.

– არ ვიცი, როგორც თქვენი შეპყრობის ამბავი შევიტყვე, მაშინვე ლაშქარი უკან გავაბრუნე და აქეთ გამოვეშურე.

ჩარდახში მსხდომი მონგოლები შეჩოჩქოლდნენ.

– ვიღაც ზედმეტი მოემატათ. – იყვირა ათისთავმა.

– ზედმეტი ვინ მოემატებოდათ, მიწიდან ხომ არავინ ამოძვრებოდა საწამებლად, – დასცინა ასისთავმა.

– ნამდვილად ზედმეტია, ვერ ხედავთ? თაფლს თვითონ ისვამს!

\_ სიცხეა და გეჩვენება! \_ ხელი ჩაიქნია ასისთავმა.

\_ ჩემი თვალით უნდა ვნახო, \_ გადაწყვიტა ათისთავმა და ეზოსკენ დაეშვა. ცოტნეს ფეხები უკვე გაეზაწრა და ახლა ხელების შეკვრაზე წვალობდა. ათისთავი თავს დაადგა.

\_ შენ ვინა ხარ?

\_ დუმნისთავი ცოტნე დადიანი, \_ დინჯად მიუგო ოდიშის მთავარმა და გულზე დაკიდებულ ოქროს პაიცაზე ანიშნა.

ათისთავი პაიცას დააკვირდა.

\_ შენ აქ არ იყავი და, როგორ გაჩნდი?

\_ მეც მათთან ერთადა ვარ.

ათისთავმა პატიმრების თვლა დაიწყო, ცალი ხელის საჩვენებელ თითს რომ თითოეულისკენ გაიშვერდა, მეორე ხელის თითს მოკეცავდა. როგორც იყო, დათვალა.

\_ ზედმეტი ხარ, შენ აქ არ იყავი! \_ თავდაჯერებით თქვა ათისთავმა.

\_ ნოინებს მოახსენე, რომ ჩემი ნებით მოვედი უდანაშაულოდ შეპყრობილ ქართველ მთავრებთან ერთად თავის სამართლებლად.

\_ შენი ნებით საწამებლად მოხვედი? \_ გაიკვირვა მონგოლმა.

\_ ჩემი ნებით, რამეთუ მეც მათსავით მართალი ვარ და უდანაშაულო. მოახსენე ნოინებს, რომ ხარკის შესაკრებად შეყრილ ქართველ მთავრებთან ერთად მეც ვიყავი კობტისთავს. ჩვენ მონგოლთა წინააღმდეგობის განსაზღვრა არ გვქონია და თუ ტყუილუბრალოდ სჯიან ქართველ მთავრებს, დე, მეც მათთან ერთად დავისაჯო.

ათისთავმა ერთხელ კიდევ ახედ-დახედა უცნობ ქართველს, მერე ისევ ოქროს პაიცას დააშტერდა და შეჭოქმანებულმა იკითხა:

\_ ნამდვილად დუმნისთავი ხარ?

\_ ნამდვილად. მოახსენე ნოინებს \_ დუმნისთავი, ქართველთა მეფის ვაჭირი ცოტნე დადიანია-თქო.

გაოცებისგან თვალებდაჭყეტილმა ათისთავმა ერთი კიდევ შეხედა მთავარს, მერე ადგილს მოსწყდა და ჩარდახისკენ გაიქცა.

ხელებგაზაწრული ცოტნე განაპირას დაჯდა ფეხმორთხმით. წამებულთა ცქერით არ შევდრკევო, თავი ჩალუნა და თვალი დახუჭა.

\_ ოჰო, ჰო, ჰო! \_ გრძლად ამოიოხრა რომელიღაცამ და ცოტნემ თვალი ოდნავ გაახილა: უთვალავი ნესტრის ჩხვლეტისა და გამაოგნებელი სიცხისაგან გახელებული, სიგიჟემდე მისული ეგარსლან ბაკურციხელი წაქცეულიყო და გახურებულ მიწაზე ზურგით ჭყლეტდა შიშველ სხეულზე დახვეულ ფუტკარს.

შედრწუნებულმა ცოტნემ პირი იბრუნა და თვალი მარცხნივ გააპარა: შორიახლო ჩაჩოქებული სარგის თმოგველის ტანი და კისერი ერთიანად ფუტკარს და ბუზს დაეფარა, მხრებზე გრძლად მოშვებული თაფლისფერი თმა დაჰფენოდა და ერთი შეხედვით შავ-ყვითლად შემოსილ უცნაურ ბუჩქს ჰგავდა.

იმ ბუჩქიდან ორი ჩასისხლიანებული თვალი უცქერდა ცოტნეს.

გრძელი თმა და შუაზე გაყოფილი ნიკაპი რომ არა, ალბათ, ვერც იცნობდა მეგობარ ფილოსოფოსსა და რიტორს.

ცოტნემ სარგისთან გამოსალაპარაკებლად პირის გაღებაც ვერ მოასწრო, რომ ისარივით პირდაპირ, ზუზუნით წამოვიდა ფუტკრის გუნდი.

თვალი უმაღვე დახუჭა, რომ შიგ არ სცემოდნენ და, საშინელების მოლოდინში სუნთქვა შეეკრა. მწერები არც იმდენი ყოფილან. ცოტნეს ზურგსა, გულმკერდსა და მკლავებზე გაიბნენ და დასხდომისთანავე ურიცხვი ნესტრის ჩხვლეტას რომ ელოდა, არც უფიქრიათ!

ვითომც ცოცხალი კაცისა არც იყოს ეს შიშველი სხეული, დალოდავენ არხეინად და არც დაგიდეენ, აწუხებს ვისმე, თუ არა მათი ეს უზრუნველი სეირნობა.

მაგრამ მწერთა ეს უწყინარი ღოდიალი ყოფილა, რაც ყოფილა!

ელიტინება და ეფხანება ცოტნეს. აუტანელი ქავილი და ღიტინი ძვლებამდე ატანს და ტვინამდე სწვდება. შიშველ გულ-მკერდსა და ზურგზე ფუტკრის ეს არხეინი სეირნობა ნესტრის ჩარჭობაზე უფრო შემაწუხებელი და ამაფორიაქებელი ყოფილა.

აქავებულ ადგილზე ხელის ერთი მოსმა, ერთი მოფხანა მთელ სიცოცხლედ უღირს ახლა ცოტნეს, მაგრამ რა ჰქნას, რომ ხელები მაგრად აქვს გაკრული!

ტანს გრეხს და მხრებს არხევს, რომ უწყალოდ დახვეული ბუზი და ფუტკარი დააფრთხოს და მოიშოროს.

მწერთაგან უფრო ფრთხილნი ზუზუნით წამოფრინდნენ, მაგრამ უმაღვე ზედ დააცხრნენ და ახლა უკვე თმენის წამრთმევ ღიტინთან ერთად ზედიზედ რამდენიმე ჩხვლეტა იგრძნო ცოტნემ. იგრძნო და ემწარა.

სახე დაედმიჭა და შუბლზე სიმწრის ოფლი დაასხა.

ეს რა სატანჯველი მოუგონიათ წყეულ მონგოლებს! შანთით დაწვა და ასოთა მოკვეთა ამ წამებასთან შედარებით, ალბათ, ნაკლებ გამამწარებელი იქნება, ასოს ერთ წამში მოგკვეთენ და გათავდება, შანთითაც ერთ ადგილს ამოგწვავენ და მორჩებიან.

ეს კი, ფუტკრის ეს აუტანელი ღიტინი და ნესტრის ჩხვლეტა არა თუ თავდება, უფრო გამახელებლად მატულობს და გამაგიჟებელი ხდება.

ყოველი კუთხიდან მოფრინავენ და ასხდებიან. ახლა უკვე ცოტნეს შიშველი სხეულიც მთლად მწერებითაა დაფარული.

ამდენ ჭირსა და განსაცდელს ზედ კიდევ ერთი ახალი ჭირი დაერთო, ხელებზე და მკლავებზე მაგრად დახვეული თოკი სიცხისაგან ანთებულ, გასიებულ ხორცს უწყალოდ ჩასჭედია. ბაწარშემოჭერილ მარღვეებს სისხლი აწვება და საფეთქლებში თითქოს გახურებულ უროს სცემენ.

ომში თუ სხვა განსაცდელში უხორცოსავით უშიშარ ვაჟკაცს თვალებში სიმწრის ცრემლი მოაწვა და ღაპა-ღუპით გადმოსცვივდა. ცრემლის ორიოდე წვეთი სიცხისგან გამხმარ ტუჩებსაც მისწვდა. გამშრალი ენით ტუჩი მოილოკა და თუმცა ემლაშა, მაინც ესალბუნა.



თავისი ფეხით მოვიდა ცოტნე შეთქმულთა ხვედრის გასაზიარებლად, ტანი თვითონ გაიშიშვლა, თაფლი თავად წაისვა და ხელებიც თვითონ გაიბაწრა. აქეთ რომ მოდიოდა, ეგონა, სიკვდილს თვალში პირდაპირ შეხედავდა და მონგოლთა არავითარ სასჯელს არ შეუშინდებოდა. ყოველგვარ სატანჯველს ელოდა და სჯეროდა, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ გასტეხდა, ყოველგვარი წამებისათვის მზად იყო, მაგრამ, აბა, ამას როგორ წარმოიდგენდა, რომ უღონო მწერთა გუნდი მოერეოდა, დიაცივიტ ცრემლს აღვრევინებდა და სიკვდილს მოანატრებდა.

არა, მართლაც ჯოჯოხეთური, არაადამიანური სატანჯველი ყოფილა თაფლწასმულ სხეულზე ფუტკრის დახვევა, თორემ ცოტნეზე ნაკლები ვაჟკაცები როდი არიან ვარამ გაგელი და ეგარსლან ბაკურციხელი, შოთა კუპრი და თორღვა პანკელი, ყვარყვარე ციხისჯვარელი და სარგის თმოგველი და სხვები და სხვები, ახლა რომ მის გვერდით ხელგაბაწრულნი დაყრილან და დასაკლავი ხარებივით ზმუიან!

არა, უნდა გაუძლოს ცოტნემ ტკივილსა და არნახულ განსაცდელს, უნდა გაიხსენოს გასამხნეველად თავისი და სხვების მაგალითი, სანამ გონება კიდევ მუშაობს და გული არ შეჰკლუნებია.

გულის შეღონების გაფიქრებამ ოტია მეჯინიბის წამება და ბავშვობაში თავისი პირველი გულის წასვლა გაახსენა. დამწვარი ხორცის სუნი იმ სიმორიდან მისწვდა და თვალწინ დაუდგა შეუპოვარი გლეხის კერპი სახე, თვალებიდან რომ სიმწრის ნაპერწკლები სცვიოდა და საკუთარი ხორცის დაწვას უგრძნობელივით უძლებდა.

რა ძალა ჰქონია სიყვარულსა და რაინდულ თავმოყვარეობას! როგორ აიტანა ის სატანჯველი ოტიამ, რომ ერთიც არ დაიკვნესა და შებრალება არ ითხოვა!

არა, ოტიას მართო სული კი არ დგმია უმტკიცესი და გაუტეხელი, ხორციც, სხეულიც უგრძნობელი ჰქონია, თორემ მაშინ ვინღა აიძულა, მთაში რომ მეფუტკრესთან პაპანაქება სიცხეში მინდორზე იწვა და ცალმხარგაშიშვლებულს, ხეიბარ ხელმკლავზე თაფლწასმულს ურიცხვი ფუტკარი ეხვია. ის ფუტკრები ხომ ოტიასაც ისევე უწყალოდ კბენდნენ და უღიბინებდნენ, ჩხვლეტდნენ და გონების წამრთმევად ახელებდნენ, როგორც ახლა ტანჯავენ კოხტისთავის უიღბლო შეთქმულებს.

იწვა და უძლებდა ოტია, არ გმინავდა და თვალზე ცრემლს არ უშვებდა.

უბირ გლეხკაცს – ოტიას არც რაიმე მაღალი მიზანი, არც ვისმე წინაშე მოვალეობა ჩააგონებდა მაშინ იმ ჯოჯოხეთური წამების გაძლებას და ატანას. კოხტისთავის შეთქმულების მიზანი კი ცოტნესათვის მიუწვდომლად მაღალია და წმინდა, მოვალეობაც დიდი და კეთილშობილური, მოვალეობა ერისა და სამშობლოს წინაშე!

– ვაი, დედა! – მწარედ ამოიკვნესა ვილაცამ და დედის ხსენებამ ცოტნეს ხალხში გავრცელებული ბრძნული ნათქვამი მოაგონა: ხელის გულზე რომ ერბო-კვერცხი მოიწვა, დედის ამაგს მაინც ვერ გადიხდით. ალბათ, ვილაცას

მართლა მოუწევას ხელის გულზე ერბო-კვერცხი, რომ ხალხში ეს შემთხვევა ანდაზად გადასულა.

იქნებ არც არავინ იყო ამის ჩამდენი და ხალხმა უმადლესი, შეუძლებელი სატანჯველი დაუსახა შვილებს დედის ამავის გადასახდელად, დაუსახა და თან ეს დასძინა: ასეთი წამებაც არ კმარა, რომ დედის ვალი გადაიხადო.

და თუ დედის ვალი ასე დიდი და გადაუხდელია, სამშობლოს წინაშე მოვალეობა ხომ კიდევ უფრო მაღალი და წმინდაა, სამშობლო ხომ ჩვენი დედის დედაც არის და მისი ვალის მოხდა კიდევ სხვა მრავალ ვალთან ერთად დედის ვალის გადახდასაც გულისხმობს.

ტკივილისაგან ლამის ტუჩები დაიჭამოს ცოტნემ. დაკბენილ ბაგეზე სისხლი სდის და იმის თავიც აღარ აქვს, რომ პირში ჩასული სისხლი გადააფურთხოს.

– მუციუს სცევოლა! მუციუს სცევოლა! – გაახსენდა უცებ ივლიანე მოძღვრის შემახილი და თვალწინ დაუდგა ცეცხლზე დასაწვავად ხელგაწვდილი, სამშობლოსათვის თავდადებული რომაელი ჭაბუკი.

– იმას ცეცხლისთვის გაუძლია და მე ბუხს როგორ ვერ უნდა გაგუძლო! – ფიქრობს ცოტნე და ტკივილისაგან იკლაკნება. – აკი ქვეყნისა და მშობელი ხალხის სიყვარულით ყოველგვარ წამებასა და ტკივილს გაუძლებს კაციო! და განა ცოტნეზე მეტად ვინმეს ეყვარება თავისი ხალხი და ქვეყანა?!

რა არ გადახდომია ცოტნეს თავს, რამდენჯერ ომშიც დაჭრილა, მაგრამ ასეთი სიმწარე და გამაწამებელი ტკივილი არსად და არასოდეს განუცდია...

თუმცა განვლილი ტკივილი და მოშუშებული ჭრილობა ვის გახსენებია!

თითი რომ თითია, იმის მოჭრაც იმ წუთებში ისეთივე მტკივნეულია, როგორც მკერდში ან თავში დაჭრა და ტკივილის ზომას ის როდი განსაზღვრავს, რისგან გტკივა, ან სხეულის რა ნაწილი გტკივა!

რამდენჯერ უნახავს ცოტნეს კბილატკივებული ვაჟკაცები თავში რომ განწირულებივით იცემენ მუშტს და დიაცებივით ღვრიან ცრემლს! ეტყობა, ტკივილსაც რაღაც უმადლესი ზღვარი ჰქონია, რომლის იქით მერე სულ ერთია, განცდა ერთნაირია და ადამიანი უგრძნობელი ხდება ტკენის მეტნაკლებობის წინაშე.

თავი უსკდება ცოტნეს და ფიქრის თავიც აღარა აქვს, ცალკე ტვინამდე მისული ტკივილისა და ცალკე პაპანაქება სიცხისაგან.

შუადღის მზე პირდაპირ კისერში ჩაჯდომია და თავი თითქო სივდება, ბრუვდება და მძიმდება.

ისეთი სიცხეა, კვერცხი რომ დადო მზეზე, წუთში შეიწვება.

გავარვარებული მზე უთვალავი ცეცხლოვანი ისრით ჩხვლეთს ტანშიშველს და ცოტნემ აღარ იცის, მზე უფრო მწარედ იკბინება თუ ფუტკარი.

მთელი სხეული გახურდა და წამოენთო. სახეზე და შიშველ ტანზე ყველგან ცეცხლი უკიდია და ცოტნე გრძნობს, რომ ალაგ-ალაგ კანი სკდება. თვალეები გადმოცვენაზე აქვს და თავი გახეთქვაზე.

ალბათ, ბედმა ეს განსაცდელი არ აკმარა და ამდენ ტკივილს ყველა ტკივილზე შემაწუხებელი წყურვილიც დაურთო.

პირი გაუშრა და სასა უხმება. ნერწყვი გაუქრა და ცრემლიც გაუწყდა, რომ ერთხელ კიდევ მაინც გახურებული ტუჩები ოდნავ გაუგრილოს.

მთელი სხეული იწვის და ცოტნე ვედარ არჩევს ერთიმეორისაგან დაუსრულებელ ტკივილსა და დაუამებელ, მოუკლავი წყურვილის უღმობლობას.

ცოტა კიდევ და, ან თავის ქალა აეხდება ტკივილისა და სიმხურვალისაგან, ან ხორცს ავარდება ალი და დაიწვება კაცი ასე ცოცხლად.

მაგრამ მანამდე, ალბათ, გულიც ვერ გაუძლებს. ბურანში წასული ცოტნე გრძნობს, როგორ მიიპარება სადღაც ფეხის ფრჩხილებში უკანასკნელი ძალ-ლონე.

თვალს ახელს, მაგრამ უკვე გარკვევით ვედარაფერს ხედავს, ყველაფერი მღვრიე ნისლშია გახვეული და ჩაძირული. ყურშიაც აღარაფერი ესმის გარედან, აღარც წამებულ შეთქმულთა ზმუილი და კვნესა, აღარც ფუტკრის ზუზუნი. ალბათ, უკვე დაიხოცნენ და იმიტომ აღარ სწვდება ცოტნეს ყურს შეთქმულთა გმინვა, თორემ სმენა ჯერ კიდევ არ უნდა ჰქონდეს დაკარგული, აკი კარგად ესმის შიგნიდან მომდინარე გუგუნის და გახურებული საფეთქლების ფეთქვის ხმა!

ნუთუ ყველანი დაიხოცნენ? ან რა გასაკვირია! ისინი ხომ ცოტნეზე ადრე, ალბათ, კარგა ხნით იტანდნენ საშინელ წამებას და როდემდე შეუძლია ადამიანს უკიდურესი ტანჯვის ატანა?!

ქრისტე რომ ქრისტე იყო, იმანაც ვერ გაუძლო საშინელ წამებას – წყურვილსა და პაპანაქებას, ლურსმნების ჩხვლეტასა და ლერწმით ცემას.

ქრისტემ წინასწარმეტყველურად იცოდა, რომ ჯვარცმული მოკვდებოდა და სულს საშინელ ტანჯვაში დაღვედა. ისიც მტკიცედ სწამდა, რომ თავისი ტანჯვით მთელ კაცობრიობას იხსნიდა და ამ რწმენის კაცმა, კაცმა კი არა, ღმერთმა, ვერ გაუძლო წამებას და ბოლოს მაინც დასცდა უფლის მიმართ საყვედური: ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მეო.

ნუთუ, ცოტნეს აღმოაჩნდება იმდენი ძალა, რომ ბოლომდე გაუძლებს წამებას და შველას არ ითხოვს? მაგრამ რა თხოვნა უნდა ოდიშის მთავარს, ის აქ შეპყრობილი არავის მოუყვანია, ადგეს და წავიდეს, როგორც მოსულა...

სახე მწარედ დაეღრიჯა.

ეს, ალბათ, უკანასკნელი გამოხატვა იყო ზიზღისა თუ დაცინვისა საკუთარი თავის მიმართ, დიდი ხნის დათრგუნვილ და მივიწყებულ, მაგრამ გონების რომელიღაც კუნჭულში ჩარჩენილი ადამიანური სულმოკლეობის მიმართ.

და აი, უკანასკნელი ძალა შეუძმნევლად სადღაც მიდის, წვეთ-წვეთად მიიპარება.

წყურვილისა და ტკივილის შეგრძნება ქრება და წამით მთელი სხეული უამდება ცოტნეს, რაღაც თბილი და საამო ჩაეღვარა ძვალსა და ლბილში და ერთბაშად შვება, მოსვენება იგრძნო.

ყურებში შუილი ჩაესმა, სმენად იქცა, გაიტრუნა.

ფიქრისა და წარმოდგენის მცირე უნარი და ღონე კიდევ შერჩენია და ხვდება: ეს შუილი არწივის ფრთების შრიალია.

აჰა, მოდის მისკენ, ფრთების ტყლაშუნით მოფრინავს ამირანის გულ-ღვიძლის მკორტნელი არწივი.

რამდენჯერ მოფრენილა ბავშვობაში ცოტნესთან სიზმრად ამირანის არწივი გულ-ღვიძლის საჭმელად და სისხლის სასმელად!

მაშინ ცოტნემ არ იცოდა, რა ტანჯვის ფასად მოფრინდებოდა ის არწივი ცხადში, რა დიდი ტკივილის შემდეგ დაეუფლებოდა ის სიამე, რომელიც ახლა ასე უხვად ეღვრება სულსა და ხორცში.

საოცარი იყო. ასაკში შესულ ცოტნეს ერთხელაც აღარ გაჰკარებია ბავშვობის ეს ზმანება. რა გმირობა არ ჩაუდენია, რამდენჯერ გდებულა დაჭრილი ბრძოლის ველზე, მაგრამ გმირი და ბრძოლაში დაჭრილი სხვაც ბევრი იყო და ამირანის არწივს მის საკორტნად სად ეცალა?!

დაივიწყა, აღარ ახსოვდა არწივს ცოტნე.

რამდენი წელი გასულა მას შემდეგ, რაც უკანასკნელად მოინახულა ყრმობის სიზმარში ამირანის არწივმა! რამდენი უოცნებია დავაჟაკებულ ცოტნეს, რამდენჯერ უნატრია დიდი საქვეყნო საქმისთვის თავგანწირვის ჯილდოდ ამირანის არწივის მოფრენა და ყრმობის ზმანებაში დაბრუნება.

მაგრამ ამოდ! ბავშვობის ტკბილი სიზმარი არ ახლდებოდა!

ნუთუ, ახლა გახადა ბედმა თუ განგებამ იმ ზმანების დაბრუნების ღირსი, ახლა, როცა სული და ხორცი ერთიმეორის გასაყრელად არიან მზად და ცოტნეს ამ ქვეყნისა თითქმის აღარაფერი ესმის?!

ნუთუ, ამ ერთმა რაინდულმა ნაბიჯმა \_ მრისხანე მტერთან თავისი ნებით გამოცხადებამ და მოძმე შეთქმულებთან ერთად სასიკვდილოდ თავგანწირვამ აღამაღლა ცოტნე მის მიერ ჩადენილ ყველა გმირობაზე მეტად, ნუთუ, პატიოსნების ამ გამოვლინებამ, სამშობლოსა და მოყვასთათვის ამ თავდადებამ გახადა ცოტნე იმის ღირსი, რომ ოცნებად ქცეული ამირანის არწივი მოფრინდეს მასთან, გულ-ღვიძლი დაუკორტნოს და უგრძნობლობამდე მისული ღონის დაკარგვით დაუამოს ტკივილი?!

ცოტნე ვეღარ ერკვევა, ძინავს თუ ღვიძავს, სიზმარშია თუ ცხადში.

ხელებზე და მკლავებზე მჭიდროდ მოხვეული თოკი, ცოტა ხნის წინ რომ უჭერდა და ხორცს სჭრიდა, თითქოს მოეშვა, მოლბა და მისივე სხეულის ნაწილად იქცა; ამირანის სხეულზე შეხორცებული ჯაჭვის მსგავსად, ცოტნეს თოკიც ძარღვივით გამთბარა და გაცოცხლებულა; ხელებშეკრულ ვაჟკაცს ეჩვენება, რომ იმ თოკშია მისი გახურებული სისხლი მოძრაობს, საამოდ, მომთენთავად და გამაბრუებლად, თავის დამავიწყებლად და დამათრობლად.

დიდი ხნის ნანატრ სიზმარს ცოტნე მთელი არსებით ეძლევა და არწივის ფრთების მოახლოებული შრიალი კიდევ უფრო მატულობს.

ზეცამ გრიალი მოიღო, არწივი მოფრინდა და ცოტნეს მკერდზე დაეცა.

სიხარულით ფრთაშესხმული ცოტნე მხოლოდ ერთხელ შეკრთა, არწივის ნისკარტის პირველ მოხვედრაზე.

მერე, გაუმადლარმა ფრთოსანმა რომ სისხლის სმა დაიწყო, იმ სისხლთან ერთად ცოტნეს სხეულიდან ერთბაშად დაიძრა და წაიღვარა ყველა ტკივილი და საწუხარი.

ცოტნეს სიამის მომგვრელი სისუსტე ერევა ნელ-ნელა და თანდათან ეკარგება აღქმის უნარი. ტკივილის განცდა ქრება და ყველაფრის დამავიწყებელი თრობა თუ გაბრუება ეუფლება.

სული და სხეული აავსო საამო სითბომ და ნეტარმა სიმშვიდემ.

თბილი, ტკბილი ჟრჟოლა დამთენთავად მოედო და ბურანმა იმ არწივის ფრთებივით დაარწია და თვალმიუწვდომელი სიმაღლისკენ დასძრა ცხელ მიწასა და საკუთარ სხეულს მოცილებული, ზმანებაში წასული, თუ უკვე გონდაკარგული ვაჟკაცი.

## დასასრული

P.S.

მემატიანემ ცოტნეს თავგადასავლის თხრობა იქ შეწყვიტა, როცა იგი თავისი ცხოვრების ყველაზე ლამაზ და ღირსსახსოვარ საფეხურზე შედგა, როცა თავისი კეთილშობილებითა და გმირობით ამალღებულმა დაცემული ქართველობაც აამალლა და უკვდავებასაც აზიარა.

ჟამთააღმწერელმა ცოტნეს ცხოვრების ყველაზე ლამაზ წუთს დასვა წერტილი და სწორადაც მოიქცა, რადგან ყოველი გმირის ნატვრა ის არის, მოიგონონ იგი, არა სიცოცხლის თავდაღმართზე დაქანებული, არამედ იმ ულამაზესი წუთებით, როცა მან თავისი ცხოვრებისა და მოწოდების აზრის განხორციელებისათვის სწრაფვაში უმაღლესსა და უმშვენიერეს მწვერვალს მიაღწია.

ჟამთააღმწერლის ამ გადაწყვეტილებამ ჩვენც მოგვხიბლა, მაგრამ მემატიანის მეორე გადაწყვეტილებაც არა ნაკლებ საფუძვლიანი გვეჩვენა: იგი გმირობისა და მაღალი ზნეობის მაგალითით შემოიფარგლა. დანაშაულს აღარ ჩაეძია და შეთქმულების გამცემი მოღალატის რკვევას არ შეუდგა. ჟამთააღმწერელმა მოღალატეს სასჯელად მის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება აკმარა და შთამომავლობისათვის მისი სახელის შემოსანახავად არ იზრუნა.

მემატიანის ამ გადაწყვეტილების ღრმა აზრი ჩვენც გავიზიარეთ და აქ დავსვით ჩვენი თხრობის დამამთავრებელი წერტილი.

## ბოლოსიტყვა

მწერლობაში ფეხის შედგმიდან საქართველოს ისტორიაც იყო ჩემი შთაგონების წყარო.

ისტორია ჩემთვის მოთხოვნილებაზე მეტს ნიშნავს, იგი ჩემში ცხოვრობდა და მე მაშინაც ვწერდი ლექსებსა და პოემებს ისტორიულ თემაზე, როცა საქართველოს წარსული ჩვენში არც ისე დიდი პატივით სარგებლობდა.

პირველი პროზაული ნაწარმოები «ლაშარელა» საქართველოს ისტორიამ შთამაგონა. «ლაშარელას» მოჰყვა «დიდი ღამე» და აი, წარსულში ჩემი მოგზაურობა ჯერჯერობით მთავრდება მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკის უკანასკნელი, მესამე წიგნით, რომელსაც «ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება» ვუწოდებ.

თითქმის ოცი წელიწადი ვცხოვრობდი მეცამეტე საუკუნის საქართველოს ცხოვრებით. ჩემს სამუშაო მაგიდას ამ ხნის განმავლობაში არ მოშორებია რაშიდ ადინისა და იბნ ალ ასირის, ნესევისა და ჯუვეინის, ვასაფისა და კირაკოსის და სხვათა და სხვათა მატიაწეები, მაგრამ უმთავრესი მაინც ჩემთვის «ქართლის ცხოვრება» იყო.

ისევ და ისევ დაუკმაყოფილებელი წყურვილით ვუბრუნდებოდი მის ცალკეულ მოთხრობებს, სულ ახლისა და ახლის აღმოჩენას მოველოდი მის ყოველ ახალ გადაფურცვლაზე, ვცდილობდი, სტრიქონთა შორის ნაგულისხმევი, დაფარული აზრი ამომეკითხა და უცხოთა მოწმობასთან შეჯერებით, ჩემთვის საინტერესო ეპოქის სურათში სინათლე შემეტანა.

უცხო წყაროთა შესწავლამ და მრავალი გამოკვლევის გაცნობამ კიდევ უფრო განმიმტკიცა ნდობა «ქართლის ცხოვრების» ღირსებებისადმი.

ახლა, როცა ჩემი «ქრონიკის» უკანასკნელი წიგნიც დასრულდა და მკითხველთან გასაუბრება მომინდა იმის გამო, თუ როგორ და რა ხელმძღვანელი პრინციპებით ვმუშაობდი ისტორიულ მასალაზე, ჩემდაუნებურად, ისევ «ქართლის ცხოვრების» ტყვეობაში აღმოვჩნდი და ეს ბოლოსიტყვაც, უმთავრესად, ჩვენი ეროვნული კულტურის ამ უდიდესი ძეგლის (უკეთ, მისი ერთ-ერთი ნაწილის – «ჟამთააღწერის») ქებათა-ქებას მიეძღვნა.

\* \*

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის წიგნი ათასერთი ღამის ზღაპარსა ჰგავს.

როგორც შეჰერეზადას ძირითადი სიუჟეტი ვითარდება უამრავი ახალ-ახალი განტოტებით – დამოუკიდებელი სიუჟეტების მქონე იგავებით, ისე «ქართლის ცხოვრებაც» სავსეა ცალკე ადამიანების ამბებითა და თავგადასავლებით, რომელთაც თავისთავადი დამოუკიდებელი

ღირებულებაც აქვთ და, ამავე დროს, ერთი დიდი მთელის განუყოფელ ნაწილებსაც შეადგენენ.

საქართველოს ისტორიის ხეს უთვალავი ტოტი აქვს და ყოველი მათგანი ნაყოფითაა დახუნძლული. ამ ნაყოფთაგან ბევრი ტკბილია და სურნელოვანი, მაგრამ უფრო მეტი მწარე და ცრემლის დამდენია.

ჩვენი ერის მიერ განვლილ გრძელ გზას ბავშვობიდან ვაყოლებდი თვალს: იგი თითქმის პრეისტორიაში იწყებოდა და აგერ, ჩვენს დღევანდელ დღემდე მოდიოდა. ქართველი ერის ნაკვალევს კაცობრიობის ცხოვრების თავდაპირველ სათავეებამდე მივყავდი და მერე, იმ სათავეებიდან აქეთ რომ გამოვიხედავდი, ჩემი ხალხის სიცოცხლისუნარიანობა, მისი საარსებო ძალის ამოუწურავობა მარცხდა და სიამაყით მავსებდა.

ასურ-ბაბილონი და ეგვიპტე, ფინიკიელები და ხეთები, ძველი ბერძნები და მიდიელები დიდი ხნის წინათ დაეცნენ ამ ძნელსა და გრძელ გზაზე.

გამანადგურებელი ომებისა და ხალხთა დიდი მოძრაობების მღელვარე ზღვაში მოქცეულმა ქართველმა ხალხმა კი, რაკი ერთხელვე მოაბჯინა ქედი კავკასიონს, აქედან ფეხი აღარ მოიცვალა, ფესვი მაგრად გაიდგა და ჩვენს დრომდე სიცოცხლის შეუნელებელი წყურვილით მოვიდა.

რამ აცოცხლა ამდენ ხანს, რა უდგამდა ხელახლა სულს ათასჯერ სასიკვდილოდ დაცემულ ქართველ ერს?

ამ კითხვაზე უნებურად დაფიქრებულა ყველა, ვისაც დრამატიზმით აღსავსე საქართველოს ისტორიისათვის თვალი გადაუვლია. გრიგოლ ორბელიანმა ჩვენი ერი მითიურ ფრინველს – ფენიქსს შეადარა. ფენიქსი ცეცხლში იწვის, იფერფლება და შემდეგ იმ ფერფლიდანვე აღმდგარი, განახლებული გვევლინება. რამდენჯერ დაქცეულა და დაფერფლილა საქართველო, ქვა-ქვაზე აღარ დარჩენილა და მისი აღორძინების იმედი აღარავის ჰქონია, მაგრამ იგი მაინც აღმდგარა ფერფლიდან და ფრთები მძლავრად გაუშლია ახალი ცხოვრების დასაწყებად.

ზოგჯერ საქართველოს დაცემაში მისსავე შვილებსაც მიუძღოდათ ხოლმე წვლილი და ქართლის ცხოვრების ფურცლებზე არა ერთი ძლიერი ადამიანი გვხვდება, რომელსაც პირადი ბედნიერებისათვის სამშობლოს კეთილდღეობა უნაცვლებია. მაგრამ ეს ხომ მარტო ქართველთა უბედურება არ იყო. განა ინგლისური ქრონიკები სავსე არ არის ტახტის მიმტაცებელ მამათა და ძმათა მკვლელების სახელებით, რომელთაც არაფრად უღირთ მტრის ჯარების შემოძღოლა და სამშობლოს ძლიერების დამხობა, ოღონდ კი თავიანთი პატივმოყვარეობის ჭია ახარონ ცოტა ხნით მაინც. განა ამ ქრონიკებმა არ მისცეს საზრდო ყველა დროის უპირველეს გენიოსს შექსპირს უკვდავი, ზოგადსაკაცობრიო სახეების დასახატავად!

მსოფლიოსა და მშობლიურ ისტორიაზე დაკვირვებამ ათქმევინა ვოლტერს ესოდენ სასოწარკვეთილი სიტყვები: «კიდევ და კიდევ გვიხდება იმის აღიარება, რომ ისტორია არის ჯაჭვი დანაშაულობისა, სიგიჟისა და უბედურებისა, რომელთა შორის უდაბნოში აქა-იქ გაბნეული ოაზისებივით

იშვიათად თუ შეხვდებით კეთილის მოქმედ ადამიანს ან ბედნიერ ეპოქას. სხვა ხალხებიც არ იყვნენ უფრო გონიერები, მაგრამ არც ერთ ერს თავი ისე არ შეურცხვენია მკვლევლობებით და ბოროტმოქმედებით, როგორც საფრანგეთმა შეირცხვინა».

ასე იყო ყველგან, ასე იყო ჩვენშიც, რადგან თავად ბუნებაშიც ასე, ერთიმეორის გვერდით არსებობს ნათელი და ბნელი, იფქლი და ღვარძლი, ღალატი და ერთგულება.

მაგრამ ძველი ქართული ქრონიკების ფასი ძალიან ჩვეულებრივი იქნებოდა, რომ მათ ზნეობრივი სიწმინდისა და რაინდული კეთილშობილების ისეთი ამაღლებული მაგალითები არ შემოენახათ, რომელთა ბადალი მსოფლიოს ბევრი ხალხის ისტორიაში სანთლით საძებნელია.

«ქართლის ცხოვრების» ყველაზე დიდი დამსახურება ჩვენი ხალხის ისტორიაში სწორედ ის არის, რომ ფაქიზი ზნეობის, ერისა და მოყვასისათვის თავდადების უჭკნობი გაკვეთილები გადმოგვცა და ამით შთამომავლობის სულზე სამუდამოდ აღბეჭდა მორალური სრულყოფისაგან დაუოკებელი სწრაფვის სურვილი.

ისტორია რომ შთამომავლობისათვის გაკვეთილია, ეს საყოველთაოდ აღიარებულ ჭეშმარიტებად ითვლება, მაგრამ ჩვენს დროში, ძველი სამყაროს მზის ჩასვლას ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა საერთო გულის გატეხვასთან ერთად, ისტორიის მიმართაც შეიქმნა ურწმუნოებისა და უარყოფილობის ატმოსფერო.

«ისტორია ინტელექტის ქიმის მიერ გამომუშავებული ყველაზე საშიში პროდუქტია, \_ წერს ჩვენი დროის ფრანგი პოეტი და მოაზროვნე პოლ ვალერი, \_ მისი თვისებები კარგადაა ცნობილი. იგი აღძრავს ოცნებას, აბრუებს ხალხებს, ჰკვებავს მათ ცრუმოგონებებით, უმძაფრებს რეფლექსებს, უმწვავებს ძველ წყლულებს, ურღვევს მოსვენებას. აავადებს განდიდების ან დევნილების მანიით, ერებს ხდის გამწარებულ, მედიდურ, აუტანელ და ამაოდ მოფუსფუსე ორგანიზმებად... ისტორია ამართლებს ყოველგვარ სურვილს, იგი არაფერს გვასწავლის, რადგანაც ყველაფერს შეიცავს და ყველაფრის მაგალითს იძლევა... ისტორიიდან არავითარი გაკვეთილის გამოტანა არ შეიძლება».

ვალერის ამ მსჯელობაში გონებამახვილ დაკვირვებასთან ერთად მკაფიოდ მოჩანს უზრუნველობა ისტორიული ბედისაგან განებვირებული დიდი ერის შვილისა, რომლის წინაშე არ დგას არც მშობელი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი, არც ისტორიის გაკვეთილის მოშველიების საჭიროება დაცემული სამშობლოს აღსადგენად და გასამხნეველად.

ადამიანთა მოდგმის ყოველი ახალი თაობა თვითონ იკვლევს გზას ცხოვრებაში. როგორც თითოეული ინდივიდუმის, ისე თითოეული თაობის წინაშე წამოჭრილი ყოველი ახალი სიძნელე მისგან მეტწილად ახლებურ გადაწყვეტას თხოულობს და მსგავს სიტუაციაშიც კი წინაპრის გამოცდილება ყოველთვის ვერ ასრულებს გზის მაჩვენებელი კომპასის როლს.



ადამიანების უმრავლესობა თავისი დროის ყოველდღიურობით ცხოვრობს და არაფერი ისე არ ახდენს ჩვენზე გავლენას, როგორც ჩვენს დროს მომხდარი რაიმე მოვლენა ან ფაქტი.

ამ ჭეშმარიტებას სახოვნად გამოხატავს არაბული ანდაზა: «ადამიანები თავიანთ მამებზე მეტად თავიანთ დროს გვანანო».

დიახ, ეს ასეა, მაგრამ დროსა და ბუნებაში არიან ძალები, რომელთა ზემოქმედება მარტო მათი სიშორით ან სიახლოვით როდი განიზომება.

ჩვენს დროში, ჩვენს გვერდით ხდება უამრავი მოვლენა, რომლებიც ჩვენზე არავითარ გავლენას არ ახდენენ. ასევე, ჩვენს გვერდით არიან უამრავი ადამიანები, რომელთა არსებობას ჩვენი ცხოვრებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ისინი არც ცუდად მოქმედებენ ჩვენზე, არც კარგად.

მაგრამ თითოეული ერის წარსულში იყო მოვლენები და იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მიუხედავად იმისა, რომ ჩვენგან შორს არიან, დღესაც შესწევთ ძალა, გავლენა მოახდინონ ჩვენზე.

ის ძალა, რომელიც, სიშორის მიუხედავად, მაგნიტივით მოქმედებს ჩვენზე, ხალხისათვის თავდადებისა და კეთილშობილი რაინდობის, სპეტაკი ზნეობისა და სულიერი ვაჟკაცობის მაგალითებია. ეს მაგალითები მწვერვალელებით დგანან ერის მიერ განვლილი გზის გრეხილზე და სამუდამოდ რჩებიან შთამომავლობისათვის საზომად.

ადამიანები ვერასოდეს ვერ შეიცნობენ თავის თავს და ვერასოდეს შეაფასებენ თავის ან სხვის მოქმედებას, თუ მათ ეს საზომი \_ მაღალი ზნეობის მაგალითი არა აქვთ.

წარსულს მეორე მაგალითიცა აქვს; ეს არის სულიერი სიმდაბლის, დაცემისა და გათახსირების მაგალითი. წარსულმა შექმნა მოლაღატისა და გამყიდველის ზოგადი, შემკრები სახე \_ იუდა. ყველა ერსა ჰყავს თავისი იუდა და მათი მაგალითიც სპეტაკი ზნეობის მაგალითების გვერდითაა ამართული ერის მიერ განვლილ გრძელ გზაზე. ოღონდ განსხვავება ისაა, რომ იგი არ ბრწყინავს, არავის არ იზიდავს შორიდან და არავინ არ ცდილობს თავისი მოქმედება მას შეუფარდოს და, პირიქით, შთამომავლები ივიწყებენ და გამორიცხავენ მას თავიანთი მოქმედებისათვის გეზის მიცემისას.

მაგრამ იუდა მაინც არსებობს ადამიანის ცხოვრების ყველა ეტაპზე. იგი თავს არ გვახსენებს და შესაფერის დროს უცდის, რათა გამოჩნდეს და ერთხელ კიდევ დაასვას სამარცხვინო დალი ამა თუ იმ თაობას.

ისტორიის, როგორც გამოცდილებისა და გაკვეთილის უარმყოფლები რატომღაც არ ითვალისწინებენ თავისუფლებისათვის მებრძოლი დამონებული ხალხების, მეცხრამეტე საუკუნის რუსეთისა და ავსტროუნგრეთის იმპერიებში შემავალი ერების მაგალითს. ქართველმა და სომეხმა, პოლონელმა და ბულგარელმა, სერბმა და ჩეხმა ხალხებმა, სწორედ ისტორიის გაცოცხლებით, წარსულის მაგალითების მოშველიებით ჩაიდგეს ის მებრძოლი სული, რომელმაც მათ საბოლოოდ მოუტანა ნანატრი თავისუფლება.

დღემდე ცოცხალი თაობის თვალწინ «ქართლის ცხოვრებამ» ჩვენი ქვეყნის განვითარებაში უაღრესად აქტიური როლი შეასრულა და ერის სულიერ განახლებაში ცხოველმყოფელი მონაწილეობა მიიღო.

მეცხრამეტე საუკუნის დიდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშეთა შთაგონებას «ქართლის ცხოვრების» ის ფურცლები ჰკვებავდა, რომლებიც ცოტნე დადიანისა და დიმიტრი თავდადებულის, ბახტრიონის გამირებისა და თევდორე მღვდლის თავგანწირვაზე მოგვითხრობენ.

ილიას «დიმიტრი თავდადებულმა», აკაკის «ნათელამ» და «ბაში-აჩუკმა», ვაჟას «ბახტრიონმა» ცოცხლად დაუხატეს სამშობლოსათვის თავდადებული გამირის იდეალი ქართველ ხალხს და შეუქმნეს თავისუფალი ცხოვრებისათვის მებრძოლ თაობებს მაღალი ზნეობისა და სამშობლოსათვის თავგანწირვის მისაბაძი ნიმუშები:

გმირნო მამულის მადიდნო,  
თქვენა ხართ ჩვენი დიდება!  
თქვენთა სახელთა ამაყად  
წარმოსთქვამს შთამომავლობა!  
თქვენთა საქმეთა მოთხრობით  
მოხუცს ცრემლ მოედინება,  
მხნეობით აღტაცებული  
ჭაბუკი ხმალსა მისწვდება!

წერდა გრიგოლ ორბელიანი, ხოლო ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს ამ გამირების აღზრდასა და ჩაგონებაში, ბრძოლის ველისკენ მათ მოწოდებაში შემოადამდათ ცხოვრების ძნელ გზაზე.

ქართველი ერის გამოფხიზლებისა და თავისუფალი ცხოვრებისთვის მისი მომზადების იდეით შეპყრობილთა ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი ერის გამირული წარსულის გაცოცხლება იყო და როცა ილიას, აკაკის, ვაჟასა და იაკობ გოგებაშვილის ფასდაუდებელ ღვაწლს აღვნიშნავთ, იქვე მაღლიერებით ვიხსენიებთ «ქართლის ცხოვრებასაც», რომელიც იყო მათი შთაგონების უპირველესი წყარო და, ამდენად, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისათვის, ახალი აღორძინებისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილე. ეს მაგალითი საუკეთესოა ისტორიასთან ცოცხალი ადამიანების დამოკიდებულების გასარკვევად, ისტორიული გამოცდილების გამოყენებისა და დღევანდელობის სამსახურში ისტორიის ჩაყენების საილუსტრაციოდ.

მაგრამ ისტორიის მოხმობის, წარსულის გმირთა თავდადებით დღევანდელი მებრძოლების აღფრთოვანების კიდევ უფრო ახლო მაგალითი ჩვენ ჯერ კიდევ თვალწინ გვაქვს: ფაშისტური გერმანიის მოსკოვზე შეტევის დროს, ყველაზე კრიტიკულ დღეებში საბჭოთა ხალხმა დედაქალაქის გადასარჩენად ფრონტისაკენ მიმავალი ლაშქარი წარსულის მაგალითებით

გამხნევა და, გარდასულ დროთა სარდლების გმირობის გახსენებით, მათი დროშების დიდების ძალითა და მადლით დალოცა.

\* \*

საქართველო ცივილიზებულ ერთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც მშობლიურ ენაზე დაწერილი საკუთარი დიდი ისტორია ძველთაგანვე გააჩნია.

ეს ისტორია საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა, ერთ გაბმულ თხრობად გრძელდებოდა და ერის კულტუროსნობის ერთ-ერთ უპირველეს მოწმობად ყალიბდებოდა.

თავის ამ პასპორტს ჩვენმა წინაპრებმა «ქართლის ცხოვრება» უწოდეს და ჩვენი ხალხის გრძელ გზაზე არაფერში ისე არ ასახულა «ქართული სული», ქართველი ხალხის ჭირი და ლხინი, მისი შემოქმედი ძალა, როგორც ამ წიგნში.

«ქართლის ცხოვრება» ქართული კულტურის მონუმენტური ძეგლია, რომელიც თავისი მნიშვნელობით უსწორდება ჩვენი ხალხის გენიით შექმნილ წარსულის ყველაზე დიდ ქმნილებებს. უფრო მეტიც, იგი არის მსოფლიო ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ძეგლი, რომელსაც ყოველგვარი შეღავათის გარეშე ეკუთვნის თავისი ღირსეული ადგილი მსოფლიოს ხალხთა საუკეთესო მატრიანეების გვერდით.

«ქართლის ცხოვრების» წიგნი რამდენიმე დიდებული მატრიანისაგან შედგება.

მათ შორის მე სწორუპოვრად მე-13 საუკუნის საქართველოს ისტორია მეჩვენება და ჩემს ამ რწმენას «ჟამთააღმწერლის» მატრიანესთან მრავალი წლის განუყრელობამ და მეგობრობამ, თხზულებაზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ და სხვა წყაროებთან შედარებამ შეუქმნეს საფუძველი.

მეცამეტე საუკუნის დასაწყისის საქართველოზე ჩვენ მეორე მოწმობაცა გვაქვს. ეს არის ე. წ. «ლაშასდროინდელი მატრიანე» – მოკლე და მშრალი მოთხრობა კარის ოფიციალურ ისტორიკოს-პანეგირისტისა. ამალღებული ტონით მოთხრობილი ეს ისტორია თითქმის არაფერს ცოცხალსა და ცხოვრებისეულს არ შეიცავს და თუმცა რომანისტისათვის მისი ცოდნაც სავალდებულოა, მაინც შთაგონების ფრთების შესასხმელად იგი ძალზე მწირ მასალას იძლევა.

სულ სხვაა «ჟამთა აღწერა»!

მე ამ მატრიანის ავ-კარგზე, მისი უცნობი ავტორის პიროვნებაზე, მამულიშვილობასა და მეცნიერულ-მწერლურ ინტერესებზე ბევრი მიფიქრია და ამიტომ ჩემს თავს ნებას მივცემ, ცოტა ვრცლად შევჩერდე საქართველოს ისტორიის ამ შესანიშნავ წიგნზე.

\* \*

ქართველი მემატრიანე, რომელსაც ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში «ჟამთააღმწერელი» შეერქვა, გაბმით მოგვითხრობს მშობელი ქვეყნის ასწლოვან თავადასავალს XIII საუკუნის დასაწყისიდან XIV საუკუნის დასაწყისამდე.

ეს საუკუნე უაღრესად ტრაგიკული იყო არა მარტო საქართველოსათვის. მონგოლების მოულოდნელი გამოჩენის, მათი გამანადგურებელი შემოსევის შედეგად, ეკონომიურად და კულტურულად აყვავებული ბევრი ქვეყანა დაეცა, დამპყრობთა მძიმე უღელქვეშ მოექცა და დიდი ხნით დაეხშო წინსვლისა და განვითარების გზა.

მონგოლებმა არნახული უღმობლობითა და გაუგონარი სისასტიკით გასტეხეს წინააღმდეგობა ძალა. ბევრად ადრე, ვიდრე დაუჭედელ ცხენებზე ამხედრებული ჩინგიზხანის ურდოები გამოჩნდებოდნენ, მათ წინააღმდეგ ბრძოლის უაზრობისა და მათი უძლევლობის ხმა ელვისებური სისწრაფით ვრცელდებოდა, მათ მორიგ მსხვერპლს შიშის ზარს სცემდა, ნებისყოფას ართმევდა და ბრძოლის ველზე გასვლამდე იარაღს ჰყრიდა. ასე დაიპყრეს მონგოლებმა უზარმაზარი ტერიტორია და შექმნეს უნაპირო იმპერია, რომელშიაც «მზე არასოდეს ჩადიოდა».

პირველი ზარისა და გავრცობისაგან გამორკვეული ხალხები უკვე მომხდარი, უდიდესი მნიშვნელობის მოვლენებს ღრმად ჩაუკვირდნენ, მათი ახსნა სცადეს და მიზეზებსა და შედეგებს შორის კანონზომიერების ძებნა იწყეს. ქრისტესა და მაჰმადის რელიგიებზე აღზრდილ, განათლებულ, მაგრამ ბრმად მორწმუნე ადამიანებს ძალთა ჩვეულებრივ დაპირისპირებაში შეუძლებლად ეჩვენებოდათ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგარ, შედარებით მცირერიცხოვან მონგოლთა ურდოების მიერ სიმდიდრითა და ძლიერებით აღმატებული სახელმწიფოების განადგურება, მათი მრავალრიცხოვანი არმიების დალეწვა, ფორტიფიკაციის უახლოესი მიღწევებით გამაგრებული ქალაქების მიწასთან გასწორება, მორჭმული და ამაღლებული ხელმწიფეების დამხობა; ასიათასობით უდანაშაულო ადამიანის მოსპობას, აურაცხელ მსხვერპლსა და თავსდამტყდარ საშინელებას მათ შეგნებაში სხვა ახსნა არ უდგებოდა, იგი განგების მიერ მოვლენილ სასჯელად ესახებოდათ და ჩინგიზხანი იმ დროის ადამიანთა «ცოდვათა და უსჯულოებათათვის» გამოგზავნილ ღვთის რისხვად ცხადდებოდა.

ეს კონცეფცია გაიზიარა და სავალდებულოდ მიიღო მთელმა იმ ისტორიულმა ლიტერატურამ, რომელიც XIII-XIV საუკუნეებში შეიქმნა.

ამ უმდიდრეს ლიტერატურაში პატიოსანი თვლებივით ბრწყინავენ იბნ ალ ასირისა და ნესევის, რაშიდ ადინისა და ჯუვეინის, კირაკოს განმაკვეცისა და ჩვენი ჟამთააღმწერლის თხზულებები.

ქართველი ჟამთააღმწერლის თხზულება თავისი მაღალპატრიოტული იდეოლოგიით, ისტორიული სიმართლის ერთგულებით და თხრობის სტილის მხატვრული თავისებურებით, ყოველგვარი შეღავათის გარეშე იმსახურებს ღირსეულ ადგილს იმ პირველხარისხოვან წყაროებს შორის, რომლებიც

დღესაც იწვევენ ბერძენი და რომაელი ავტორებით განებივრებული ევროპელი მეცნიერების ალტაცებას.

ჟამთააღმწერელი გიორგი ბრწყინვალის თანამედროვე, XIV საუკუნის დასაწყისის მოღვაწედ ითვლება.

XIII საუკუნე, ძლიერი და აყვავებული საქართველოს დაცემის დასაწყისი, მისთვის უკვე წარსულია და იგი შთამომავლის მიუდგომლობით უყურებს წინაპრების მოქმედებასა და იმ საზოგადოებრივ მოვლენებს, რომელთაც განსაზღვრეს დავით აღმაშენებლისა და თამარისდროინდელი დიდებული საქართველოს ჩამოქვეითება მონგოლთა მოხარკე ქვეყნად. მისი შეხედულება საზოგადოების რომელიმე კერძო ჯგუფის შეხედულება როდია. მისი ინტერესი ფართო საზოგადოებრივია და მისი თვალსაზრისი საერთო ეროვნული თვალსაზრისია. მისი მსჯავრი უკვე მომხდარ ფაქტებზე დამყარებული მომავალი თაობის მსჯავრია, ქვეყნის ბედზე ღრმად დაფიქრებული იმ პატრიოტის თვალსაზრისია, რომელსაც ხელს აღარაფერი უშლის, ობიექტური იყოს და ხანგრძლივი დაკვირვებიდან სწორი დასკვნები გამოიტანოს.

წარსულის მოღვაწეთაგან მას გამორჩეულად არც ვინმე უყვარს, არც ვინმე სძულს. მის სიმპათიასა და ანთიპათიას წინაპართა საქმეები განსაზღვრავენ, მათ ავ-კარგს იგი მხოლოდ მათივე მოქმედების შედეგებით წონის და აფასებს. ის კი არა, ერთსა და იმავე პიროვნებასაც კი სხვადასხვაგვარად გვიხასიათებს, იმისდა მიხედვით, თუ რა სარგებელი ან ვნება მოჰქონდა მის მოქმედებას ქვეყნისათვის სხვადასხვა დროს.

მაგალითად, მეფე დიმიტრი თავდადებულის მოღვაწეობის დასაწყისს იგი დაწვრილებით ლაპარაკობს მეფის მიმზიდველ გარეგნობასა და კეთილ ხასიათზე, იმდენად დაწვრილებით, რომ იმასაც არ ივიწყებს, თუ რამდენჯერ იჩოქებდა ჭაბუკი მეფე ლოცვის დროს (ათასხუთასი მუხლი მოაგდის მდაბლად მიწასა ზედა»).

მაგრამ შემდეგ, როცა «სისრულისაგან მცირედ მიდრკა და აღერია წარმართთა და ისწავა საქმენი მათნი, უძლებებისა და სიძვისა», მემატიანე არ ერიდება ხელმწიფის ავტორიტეტს და მას ბოროტსა და უწესოს უწოდებს. მემატიანე მეფის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში აშკარად მის მოპირდაპირეთა მხარეს არის და სიტყვას არ იშურებს მათი სიწმინდისა და სიმართლის ხაზგასასმელად.

მაგრამ, შემდგომ, როცა ამავე მეფემ ერისათვის თავი გასწირა, მემატიანე დიდი მხატვრული ძალითა და გულისტკივილით გადმოგვცემს ერისათვის მეფის თავდადებას: «მრავალმელვარე არს საწუთრო ესე, დაუდგრომელ და წარმავალ, დღენი ჩვენნი სიზმრებრ და აჩრდილებრ წარვლენ და უნებელ და მსწრაფლ თანაგვაც წასვლა სოფლისა ამისაგან. რა სარგებელ არს ცხოვრება ჩემი, უკეთუ ჩემთვის მრავალი სული მოკვდეს და მე ტვირთმძიმე ცოდვათა განვიდოდე სოფლისა ამისაგან... მეწყალვის უბრალო ერი, ვითარცა ცხოვარნი... მე დავსდებ სულსა ჩემსა ერისათვის ჩემისა...» ავტორი სრულიად

ივიწყებს მეფის ბოროტებასა და უწყესობას. მისი მოწამებრივი აღსასრულით შეძრწუნებული და იმავე დროს მისი კეთილშობილი თავდადებით აღფრთოვანებული, ამადლებული თხრობით გადმოგვცემს დიმიტრის მოკვლის მძიმე სურათს.

ასევე ცვალებადია ჟამთააღმწერლის დამოკიდებულება ლაშა-გიორგისადმი. თამარის შემდეგ ლაშას ტახტზე ასვლასა და მისი მეფობის დასაწყისის ქვეყნის კეთილდღეობას იგი ამ სიტყვებით ახასიათებს: «მას ჟამსა იშვებდა, იხარებდა და ყოველგნით იყო შვება და მხიარულება»...

მაგრამ, როგორც კი ჩვენი ერის ბედი ჩარხუკულმა დატრიალდა და საქართველოს ცაზე პირველი ღრუბლები გამოჩნდა, ჟამთააღმწერელმა ღვთის განრისხების ერთ-ერთი მიზეზი სახელმწიფოს მეთაურის ქცევაში დაინახა და «ღვთივგვირგვინოსანი მეფე» მეტისმეტად მკაცრი ეპითეტებით შეამკო.

ჩვენი მემკვიდრე ყველაფერზე მაღლა სამშობლოსა და ერის ინტერესებს აყენებს და თუ ვისმეს ბრალს მშობელი ხალხის უბედურებაში ხედავს, მოურიდებლად ჰგმობს და ჰკიცხავს მათ. ასეთ შემთხვევაში მისთვის არ არსებობს ავტორიტეტი, რადგან სამშობლო ყველაზე მაღლა დგას, თვით მეფეებზე და ღვთისმსახურებზეც კი.

ჟამთააღმწერლის განაჩენი მკაცრი და პირუთვნელია, მაგრამ თან გულისტკივილიც სდევს იმის გამო, რომ იძულებულია «ღვთისგან ცხებულნი» ამხილოს. მემკვიდრეს უმძიმს მწარე სიმართლის მოთხრობა: «სირცხვილ მიჩნს კადრებად და კვალად ვერ მიძლავს დუმილად, რამეთუ უპატიო ჰყო თავი თვისი ბოროტითა ამით, რომელ აღადგინა ძმისწულსა თვისსა ზედა». – წერს ლაშას ძის დავითის მიმართ რუსუდან დედოფლის მიერ ჩადენილი ბოროტების გამო და ამ აზრს კიდევ უფრო აღრმავებს: «კვალად აქაცა ვინებე დუმილი, ვინათგან მეგულების განსაკრთომელისა მოთხრობისა, დაღათუ არა საკადრებელ არს თხრობა მეფეთათვის უშვერსა რასმე, რამეთუ იტყვის მოსე, მხილველი ღმრთისა, ვითარმედ: «მთავარსა ერისა შენისასა არა ჰრქვა ბოროტი».

მაგრამ ამ სტრიქონების ავტორმა ისიც იცის, რომ ერის ისტორიის წიგნი «შუამდებარე არს კეთილისმოქმედთა და ბოროტის მოქმედთა» და რომ შთამომავალთაგან შენდობილ იქნება მისი სიმართლე და პირუთვნელობა, რადგან «ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არა თვალახმა ვისთვისმე».

ამ შეგნებით ხელმძღვანელობს ჟამთააღმწერელი, როცა მხოლოდ რამდენიმე მოკრძალებული ფრაზით მიგვანიშნებს სამეფო კარის ყოფის ეპიზოდზე. ეს ეპიზოდები ზოგიერთ უცხო წყაროში (მაგ. იბნ ალ ასირი) ვრცლად და გაშიშვლებული თხრობითაა დადასტურებული.

ეს ფაქტი ქართული წყაროს სარწმუნოებაზე და მისი ავტორის ეროვნულ თავმოყვარეობაზე ლაპარაკობს.

ქართველი ჟამთააღმწერელი მთლიანად იზიარებს მონგოლთა ეპოქის ისტორიკოსების ისტორიულ-პოლიტიკურ კონცეფციას: ქვეყნის მმართველთა

უდარდელიობამ და ზნეობრივმა დაცემამ, სარწმუნოების შერყევამ, ურთიერთქიშპმა და მტრობამ იმდენად დაასუსტა ძლიერი სახელმწიფო, რომ, ცოდვათა და ბოროტათათვის ღვთის მიერ სასჯელად მოვლენილი მონგოლები როცა გამოჩნდნენ, იგი უძლური იყო, გამკლავებოდა და უკუექცია მათი ურდოები.

რაკი მონგოლთაგან ძლევა თვით განგების მიერ წინასწარ იყო გადაწყვეტილი, მემატთანეს ისლა რჩება, ხშირ-ხშირად შეგვახსენოს ღვთის ეს განაჩენი და სასოწარკვეთილმა არაერთგზის გაიმეოროს ეკლესიასტეს სიტყვები: «ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო არს»...

«და გაგრძელდა ოხრება და მოსპოლვა ქვეყნისა სიმრავლისათვის უსჯულოებათა ჩვენთასა, რამეთუ განრყვნა ყოველმან ასაკმან ქვეყანა», - იმეორებს არაერთხელ გამოთქმულ თავის ამ აზრს ჩვენი ისტორიკოსი. მან კარგად იცის, რომ ეს უბედურება მარტო საქართველოს როდი დაატყდა თავს: «დაღათუ საქართველო, არამედ სპარსეთი, ბაბილოვანი და საბერძნეთი, რამეთუ მიეცემოდეს მწარესა ტყვეობასა და უწყალოთა სიკვდილთა, რომელ არა იყო წყალობა, საგსე იყვნეს მოკლულთა მიერ ქალაქნი და სოფელნი, ველნი, ტყენი, მთანი და ხეენი...»

ჟამთააღმწერლის წიგნი «ქართლის ცხოვრების» ყველაზე შავზნელსა და მძიმე ხანას მოიცავს და იგი სავსეა სურათებით, რომლებიც თავისი საშინელებით გვზარავენ. მემატთანე არსად არ ცდილობს ფაქტების შერბილებას, პირიქით, აშიშვლებს სინამდვილეს და ამუქებს კიდევაც ფერებს, რომ მისი მონათხრობი ღრმად შთამბეჭდავი და დამაფიქრებელი იყოს: «ჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თვალნი წარსცვიდიან და რომელსამე ტვინი დაეთხიის. და უკანის დედანი მოიკვლოდიან. ბევრნი უწყალოდ ფოლოცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვოდეს, ჭაბუკნი დაეკვეთებოდეს, სისხლისა მდინარენი დიოდეს. ტვინი კაცთა, დედათა, ბერთა, ჩჩვილთა თმა და სისხლი, თავი მხართაგან განშორებული, ნაწლევნი ცხენთა მიერ დათრგუნვილნი ურთიერთას აღრეულ იყო».

მატიანის ფურცლებზე იშვიათი როდია მსგავსი აღწერები, რომლებიც აპოკალიპსის სურათებს არ ჩამოუვარდებიან თავიანთი შემზარაობით. სიმძაფრე თხრობის დრამატიზმისა სწორედ რომ შესაფერისია და კარგად გადმოგვცემს თხზულებაში აღწერილ საშინელებათა არსსა და მნიშვნელობას. ჟამთააღწერაში ქვეყნის ასწლოვანი ისტორია იშლება, როგორც ეპოპეა. თხრობის დრამატიზმი, როგორც მთლიანად, ისე ცალკე ეპიზოდებში, არის თხზულების სტილის, ავტორის ხელოვნების უპირველესი ნიშანი.

ამაღლებული პათეტიკა და უიმედო სასოწარკვეთილი ტონი ოსტატურად ენაცვლებიან ერთიმეორეს ჟამთააღმწერლის თხრობაში. მათი სრული თანხმობა ქმნის სტილის იმ თავისებურებას, თხრობის იმ არტიზტიზმს, რომლითაც ასე ხიბლავს მკითხველს მონგოლთა დროის ქართული მატთანე. ნაწარმოების კომპოზიცია განსაზღვრავს მის სტილს. მემატთანის წინაშე იდგა

რთული ამოცანა: განსაზღვრული ზომის ერთ წიგნში გადმოეცა მთელი საუკუნის მანძილზე დატრიალებული ამბები, ერის ცხოვრებისათვის უდიდესი მნიშვნელობის მქონე მოვლენები. დიდძალი მასალიდან მას უნდა შეერჩია ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი, ყველაზე უმთავრესი და აუცილებელი. დავითისა და თამარის ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, მას ერთი ხელმწიფის ცხოვრების მოთხრობა კი არ ევალებოდა. ჟამთააღმწერელს შფოთითა და ვაებით სავსე ასწლოვანი ისტორია უნდა გადმოეცა მშობელი ერისა. ეს ასი წელი მეფეთა რამდენიმე თაობის ცხოვრებას მოიცავდა და მერე როგორ ცხოვრებას! მარტო მეფეებისა კი არა, მთელი ერის სიცოცხლე და არსებობა სულ ბეწვზე რომ ეკიდა და, დაღუპვის მუდმივი საფრთხის წინაშე იდგა!

მხატვრისათვის ასეთი ეპოქა უფრო საინტერესო იქნებოდა, ვიდრე ბრძენი გვირგვინოსნის ხელმწიფობით დაწყობილი ქვეყნის მოსვენებული ცხოვრება: თვითმპყრობელი ხელმწიფეების ერთმმართველობის დროს, სხვა, ცალკე ადამიანთა თაოსნობა ჩახშობილია, ქვეყანაში ერთი ნება ბატონობს და ძლიერი ხასიათების გამოსავლინებლად ასპარეზი შეზღუდულია, ან სულ აღარ არის. ცენტრალური ხელისუფლების მოშლის ან დასუსტების ჟამს ცალკე მოღვაწეთა თაოსნობას გასაქანი ეძლევა და ძლიერი ადამიანების წინაშე ნებისყოფისა და ხასიათის გამოსაჩენად ფართო ასპარეზი იშლება ხოლმე.

ქართველმა ჟამთააღმწერელმა მხატვრისა და ისტორიკოსის ინტერესები შეაერთა, უამრავი მასალიდან მხოლოდ ერის ცხოვრებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტები შეარჩია და მკითხველის მოთხოვნილება დააკმაყოფილა ნაწარმოების მაღალ მხატვრულობაზეც. ქვეყნის საუკუნოვანი თავგადასავლის გადმოცემა ასეთი მოცულობის წიგნში სექმატიზმის საფრთხის წინაშე დააყენებდა სხვა ავტორს, მაგრამ ჟამთააღმწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ვრცელი ამბების მოკლედ და შეკუმშულად გადმოცემის, მოვლენების არსის დაჭერის ოსტატია. ასეთ შეზღუდულ ფართობზე მას თითქოს ადგილი აღარ უნდა დარჩენოდა იმ წვრილმანებზე შესაჩერებლად, რომლებიც ზოგჯერ გაცილებით უკეთ გვიხატავენ ისტორიულ გმირთა ბუნებასა და ეპოქის ხასიათს. მაგრამ ჩვენი მემკვიდრე უმთავრესი მასალის სწორად შერჩევითა და დალაგებით, მეორეხარისხოვანი მოვლენების ძუნწად გადმოცემითა და თხრობის ლაკონურობით აღწევს თითქმის შეუძლებელს: ცხოვრებისეული დეტალების დამოწმებით ახერხებს გმირის ცხოვრების გაცოცხლებასა და ხასიათის გახსნას და საიმისო ადგილსაც პოულობს, რომ ზოგი რამ არსებითი ფართოდ განავრცოს და თავისი მნიშვნელოვანი მოსაზრებები არაერთგზის განმეორებით მოგვაწოდოს.

ამ მხრივ იგი სონეტების იმ დიდ ოსტატ-პოეტებს ჰგავს, რომლებიც ლექსის ამ ფორმის მკაცრ არტახეზში (როცა ყოველი სიტყვის ადგილი გამოზომილია), არათუ აზრის ლაღად და მწყობრად გადმოცემას, არამედ ტავტოლოგიით, სიტყვათა განმეორებით სათქმელის ხაზგასმას კიდევ უფრო მეტად ახერხებენ.



ჟამთააღმწერელი ერთგან ჰულაგუ ყაენის და ბათოს ძმის ბერქას (რომელსაც შეცდომით «ბათოს შვილს» უწოდებს) ლაშქართა შებმას აგვიწერს. ამ ომში სარგის ჯაყელი ჰულაგუმ თურმე «თვით წინ დაიყენა». ომამდე ცოტა ხნით ადრე, სარგისი ულუ დავითთან ერთად ურდოში იყო დაბარებული, სადაც ქართველთა მეფის განდგომის გამო პასუხისმგებლობა თვითონ იკისრა: «მეფე უბრალო არს; მე ვარ, რომელმან განვაყენე მეფე კარისაგან თქვენისაო». თავის ამ ნაბიჯით სარგისი მეფეს გადაარჩენდა, მაგრამ თვითონ უთუოდ დაიღუპებოდა, ბერქას ლაშქარი რომ არ გამოსულიყო და ჰულაგუ ყაენი სასწრაფოდ საომრად არ დაძრულიყო. როგორი იქნებოდა სარგის ჯაყელის სულიერი განწყობილება, როცა საომრად გამზადებულმა ჰულაგუ ყაენმა იგი თავის წინ დაიყენა! სხვა, ალბათ, მის ადგილზე მღელვარებას ვერ დაფარავდა და წონასწორობას ვერ შეინარჩუნებდა. სარგისს კი იშვიათი სიმშვიდე და ნებისყოფის სიმტკიცე გამოუჩენია და ისეთი წვრილმანისთვის მოუცლია, რომელსაც მის ბედში მყოფი სხვა ვინმე, ალბათ, ვერც შეამჩნევდა: – «ხოლო იქმნა ესეცა, – გვიამბობს მემატთანე, – რომელ რაზმთა შინა გახლტა შველი, სადა იგი სარგის ჯაყელმან, აბჯარცმულმან მოკლა. მცირედ წარვლეს, და მელი მოკლა, იგიცა სარგის ისრითა და წაიარეს და ყურდგელი მოკლა».

მასზე განრისხებული ყაენის წინ ისე არხეინად უჭირავს თავი სასიკვდილოდ განწირულ ჯაყელს, თითქოს იმ დღეებში მელისა და ყურდგლის მოკვლის მეტი სადარდელი არაფერი ჰქონოდა!

მემატთანეს შაბურანის დიდი ომის აღწერისას დრო და ადგილი არ უნდა ჰქონოდა შვლის, მელისა და კურდღლის შემთხვევით გამოხტომისა და სარგისის ისრით მათი მოკვლის უმნიშვნელო ამბის მოსათხრობად. მაგრამ ჩვენი ავტორი შესანიშნავი ფსიქოლოგია და მან იცის, რომ სწორედ, ერთი შეხედვით, ამ უმნიშვნელო ეპიზოდმა გადასწყვიტა სარგის ჯაყელის ბედი; მისმა სულიერმა სიმშვიდემ და ნებისყოფის შეურყევლობამ მოხიბლა ჰულაგუ და ომის შემდგომ მსვლელობაში, მას კიდევაც რომ არ ეხსნა სიკვდილისაგან ყაენი, იგი მაინც შეწყნარებული იქნებოდა ჰულაგუსაგან.

\* \* \*

ჟამთააღმწერელი მომხდარი ამბების უბრალო მთხრობელი როდია. იგი ცდილობს, ჩასწვდეს ისტორიის კანონებსაც და იმ ისტორიის შემოქმედი ადამიანების სულსაც.

იგი აშიშვლებს ადამიანის ბუნებაში ორი საწყისის ერთდროულ არსებობას, გვაჩვენებს, როგორ მჟღავნდება ერთი და იმავე პიროვნების ქცევაში კეთილი და ბოროტი, მაღალი სული და მდაბალი უზნეობა. მემატთანე არ სჯერდება გმირების მოქმედების მშრალ მოთხრობას. იგი ცდილობს მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების, მათი ქცევისა და მოქმედების მოტივების ახსნას, მათი სულის მღელვარების გადმოცემას. იგი ხშირად იმის წარმოჩენასაც კი ცდილობს, რასაც გმირები ერთმანეთსა და ზოგჯერ თავისთავსაც კი არ

უმხელენ, ლაპარაკობს შესაძლო მიზეზებზე და გამოთქვამს საკუთარ ვარაუდს. ადამიანის სულის ჟამთააღმწერლისეული წვდომა, ფსიქოლოგიური სიღრმე იშვიათად როდი გვაგონებს დიდი მხატვრის ხედვასა და წვდომას: იგი გმირის სულში ღრმად იხედება და პიროვნულ თვისებებს უკან ხედავს ზოგად საკაცობრიოს, რომელიც საერთოა წარსულის, აწმყოსა და მომავლისათვის.

ჟამთააღმწერელი, როგორც ისტორიკოსი და მორალისტი, ასე თუ ისე, შესწავლილია, მაგრამ როგორც მხატვარი და ფსიქოლოგი, იგი ცალკე შესწავლას იმსახურებს.

იგი ძალიან ხშირად, კი არ ყვება, არამედ ხატავს, პლასტიკურად აღადგენს დიდი ხნის წინათ მომხდარ ამბავს და ისე აცოცხლებს სურათს, თითქოს იგი ჩვენს თვალწინ, ახლა ხდებოდეს.

«ჯალალედინმა, \_ წერს ჩვენი მემატთანე, \_ იკადრა და ხელყო სიონისა გუმბადსა შემუსვრად და ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებად, რომელ იგი ხიდითა მალლითა და გრძელითა განზიდა აღსვლად. და ესეცა შესძინა, რამეთუ ხატი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ყოვლადწმინდა ღმრთისშობელისა, რომელ სიონს მკვიდრ იყო, ბრძანა მოყვანებად და ხიდისა შესავალსა დადებად პირადმათ, და ბრძანა ყოველთა მათ პყრობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგუნვა პატიოსანთა ხატთა...»

ან, ნახეთ როგორი ოსტატობით ხატავს მემატთანე სატანჯველიდან გამოსულ ულუ დავითის შესახედაობას: «გამოიყვანეს დავით, კნინლა სულიერ მყოფი, რამეთუ უსულოდ რადმე, განყინულად ანუ მკვდრად, უძრავად საგონებელ იყო მხილველთა მიერ. და უცხო იყო სახილველად, რამეთუ ფერი პირისა მისისა დაყვითლებულ იყო, და თმანი ვიდრე სხვილბარკლამდე შთასრულ, და ფრჩხილნი ფრიად გრძელ»...

მონგოლთა გარეგნობის აღწერას იმ დროის ყველა ისტორიკოსი დიდ ადგილს უთმობს თავის თხზულებაში, მაგრამ ჟამთააღმწერლის მიერ დახატული მისი გარეგნობა მართლაც რომ კლასიკურად შეიძლება ჩაითვალოს. იგი გვაოცებს თითქმის ფოტოგრაფიული სიზუსტით, ნაკვეთებისა და ასოთა აღწერილობის ზედმიწევნილობით: «იყვნეს ტანითა სრულ, გვამითა ახოვან და ძლიერ ფერხითა, შვენიერ და სპეტაკ ხორცითა, თვალითა მცირე ჭვრიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო; თავითა დიდ, თმითა შავ და ხშირ, შუბლბრტყელ, ცხვირითა მდაბალ ესოდენ, რომელი ღაწვნი უმაღლეს იყვნინან ცხვირთა და მცირედნი ოდენ ნესტვნი ჩნდიან ცხვირთა; ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ, ყოვლად უწვერულ»...

საერთოდ, პორტრეტის ხატვას ცოტა ადგილს როდი უთმობს ჟამთააღმწერელი თავის თხზულებაში. თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პიროვნების (ქართველი მეფეები, ჩინგიზ ყანი, ილხანები, ქართველი დიდებულები) პორტრეტს ხატავს იგი და თითქმის ყველას ერთგვარი სქემის მიხედვით. თუმცა ეს გარეგნობა მხოლოდ საერთო ნიშნებითაა გადმოცემული, ისინი პოლიციის პორტრეტულ აღწერილობას მაინც არ გვანან; რადგან,

უმთავრესი გარეგნული ნიშნების გადმოცემასთან ერთად, ხასიათსაც გვაცნობენ: «იყო ესე დიმიტრი ტანითა ახოვან, ფერთა ჰაეროვან, შესახედავად ტურფა, თმითა და წვერითა მწყაზარ და შვენიერ, თვალითა გრემან, ბექბრტყელ და შეწყობილ სამხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული, უხვი, მოწყალე და მდაბალი»...

პორტრეტული აღწერა ულუ დავითისა და დავით ნარინის გარეგნობისა იქვე შეიცავს მათი ხასიათისა და ბუნების გადმოცემასაც:

«ხოლო იყო ესე ლაშასძე დავით ტანითა დიდ და ახოვან და სხვილ და მოისარი მაგრითა მშვილდითა, უმანკო, წრფელი, და მალე-მრწმენ, და შემნდობელ ბოროტის მყოფთა. და რუსუდანის ძე დავით იყო ტანითა ზომიერ და თხელ, ფერთა ჰაეროვან და შვენიერ და თმითა თხელ, ფერხითა მალი, მონადირე რჩეული და კეთილად მსროლელი ნადირთა. ენატკბილ და სიტყვიერ, უხვ და მდაბალ, ცხენსა ზედა მხნე და ლაშქრობასა გამგონე და სამართლის მომქმედ»..

ამ ერთ აბზაცში ლაკონურადაა დახატული ორი მეფის (ბიძაშვილ-მამიდაშვილის) არა მარტო გარეგნული პორტრეტი, არამედ ხასიათის ის თვისებები, რომლებიც მათ შემდგომ მოღვაწეობაში არაერთხელ იჩენს თავს.

რაკი ჟამთააღმწერლის რწმენით მეფის ხასიათი განსაზღვრავს პოლიტიკას, ამიტომ მემატიანე ხასიათის ამ თვისებებს გამოჰყოფს (ლალი, ამაყი, თვითბუნება, მალემრწმენი, კეთილი, შემნდობი, მოწყალე), რომლებიც გავლენას ახდენდნენ მეფეების მოღვაწეობაზე და მთელი ქვეყნის ბედზე. იგი უმთავრეს ყურადღებას აქცევს სარწმუნოებასთან მეფის დამოკიდებულებას და ეს ბუნებრივიც არის, რადგანაც, მემატიანის რწმენით, სახელმწიფოს სიმტკიცის საფუძველი სჯულის სიმტკიცეა.

\* \* \*

ჩვენში ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი რიტორიკის ის ხერხები, რომლებითაც ტრადიციულად ხელმძღვანელობდა ქართული ისტორიოგრაფია. «ქართლის ცხოვრების» ცალკე მატთანების ურთიერთდამოკიდებულება, მათი საერთო ადგილები ჯერ კიდევ არ გამხდარა შედარების საგნად.

ეს საერთო ადგილები კი თვალის ერთი გადავლებითაც კარგად ჩანს: თითქმის ყველგან ღვთისმოსავი და გლახაკთა გამკითხავი მეფეების ერთნაირი დახასიათება, მათი მხედრული ღირსებების ჩამოთვლა, ქვეყნის თავზე დამტყდარი უბედურების ცოდვათა ჩვენთა გამო ღვთის განრისხებით ახსნა, მიწისძვრისა თუ ბუნების სხვა საოცარი მოვლენების ერთნაირი აღწერა და განმარტება.

ჟამთააღმწერელი თავის ისტორიას ლაშა გიორგის გამეფებიდან იწყებს და ბოლომდე მიჰყვება ამბების თანამიმდევრობას. მაგრამ მის მატთანეში ხშირად ვხვდებით წიაღსვლებს, გვიან მომხდარი ამბების წინ გადმოტანას, ან ადრე

მომხდარის გვიან გახსენებას. კლასიკური ხანის ავტორების მსგავსად, ისიც ხშირად იყენებს ასეთი შემთხვევისათვის მიღებულ ფრაზას: «ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა აღვიდეთ», «ხოლო ჩვენ პირველივე სიტყვა მოვიხსენოთ» და სხვ.

\* \* \*

«ჟამთააღმწერლის» თხზულების შესწავლას საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა დიდმა ქართველმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა. ნაწარმოების დეტალური ანალიზით იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ «ჩვენი ჟამთააღმწერელი საზოგადოდ განვითარებული ადამიანი ყოფილა, მისი მსჯელობა ჩვეულებრივ სწორე და ფხიზელია, ამასთანავე თავისუფალი». მატიანის ტექსტის შესწავლამ სახელოვანი მეცნიერი დაარწმუნა, რომ მისმა ავტორმა რამდენიმე ენა (ბერძნული, მონგოლური, უიღურული, სპარსული) იცოდა, იგი კარგად იცნობდა ბერძნულ, რომაულ და სპარსულ საისტორიო ლიტერატურას.

ჟამთააღმწერა აჭრელებულია მონგოლური და სპარსული ციტატებით, ანტიკური ავტორების დამოწმებით, ძველი და ახალი აღთქმის ადგილების არაერთგზის მოშველიებით.

ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული დაკვირვება ცხადად გვიჩვენებს, რომ ჟამთააღმწერელს უსარგებლია მრავალი არაქართული, უცხო წყაროთი. მას ხელთ ჰქონია ქართული წყაროებიც, რომლებსაც ხშირად ასახელებს და იმოწმებს, ეთანხმება ან უარყოფს მათ ჩვენებას. იგი ბრმად როდი სარგებლობს ამ წყაროთა მოწმობით, ერთიმეორეს ადარებს მათ და თავისი დასკვნა ისე გამოაქვს. «ისტორიულ სიმართლეს იგი დედან-საბუთების ცნობების მიხედვით არკვევს. ხოლო ეს უკვე საისტორიო კრიტიკის მეთოდის ჩანასახია და ქართულ მწერლობაში ეს კრიტიკული მეთოდის პირველი ცდა არის», – ავტორიტეტულად აცხადებს ი. ჯავახიშვილი.

ნაწარმოების დაკვირვებულმა ანალიზმა ჩვენს დიდ მეცნიერს საბოლოოდ ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველი მისცა: «ქართველი ჟამთააღმწერლის ღირსებას მისი მიუდგომლობა და პირუთვნელობა შეადგენს».

«ჩვენი ჟამთააღმწერლის თხზულება, როგორც ირკვევა, სანდო საისტორიო წყაროდ უნდა ჩაითვალოს».

ერთადერთი დაეჭვება, რომელსაც ი. ჯავახიშვილი ჟამთააღმწერლის თხზულების მიმართ იჩენს, ეხება იმ დაუჯერებელ, ზღაპრულ ელემენტებს, რომლებიც ბლომადაა გაბნეული ჩვენი ავტორის მატიანეში. «...პირდაპირ გასაოცარია, – წერს ი. ჯავახიშვილი, – როგორ მოხდა და როგორ შეიტანა მან თავის თხზულებაში ის მართლაც და «ზღაპარნი», რომელიც მოთხრობილია ლაშა-გიორგის ძისადმი ხაროში მყოფ გველების სიყვარულის შესახებ, ან სამფეხა ცხენზე სამი დღე და ღამე ჭენება, ან კიდევ ადამიანთა ძალღერყევისაგან გარემოცულ ქალაქის ზღუდეების ორგან განრღვევა და დაცემა». ი.ჯავახიშვილის ამ დაეჭვებას ჩაებღაუჭნენ ზოგიერთნი, ვისაც საკუთარი,

დაუსაბუთებელი მოსაზრების გასამაგრებლად ჟამთააღმწერლის თხზულების არასანდო წყაროდ გამოცხადება სჭირდებოდა. მაგრამ ასეთი მაგალითებით ისტორიული წყაროს სანდოობა თუ საექვოობა რომ არ დადგინდება, ამის საილუსტრაციოდ გამოდგება წარსულის ყველა ისტორიკოსი და არა მარტო მონგოლთა დროის ისტორიკოსები: თუკიდიდე და პლუტარქე, ტიტუს ლიბიუსი და ტაციტუსი, სალიუსტი და სვეტონიუსი, იბნ ალ ასირი და რაშიდ ადინი და მრავალი სხვა.

ისტორიული მწერლობის არც ერთი კლასიკოსი ათეისტი-მარქსისტი არ ყოფილა. ისინი თუ წარმართები არ იყვნენ, ქრისტეს ან მაჰმადს აღიარებდნენ. მათ თავიანთი რელიგია ღრმად სწამდათ და სასწაულებისა ისევე სჯეროდათ, როგორც რეალური ფაქტებისა, ეს ჭეშმარიტება კარგად ჰქონდათ შეგნებული წარსულის მოაზროვნეებსაც. აი, რას წერს შესანიშნავი ფრანგი ფილოსოფოსი მონტენი: «მისი ცნობა, – ლაპარაკია ტაციტუსზე, – ზოგჯერ მეტისმეტად გაბედულად გვეჩვენება, როგორც, მაგალითად, ჯარისკაცის ამბავი, რომელსაც შეშის კონა მოჰქონდა: ჯარისკაცს თურმე ისე გაეთომა სიცივისაგან თითები, რომ ძვლები შეშას მიეყინა, ხელებს მოცილდა და შეშას შერჩა. მე ჩვეულებად მაქვს, ასეთ შემთხვევაში ვენდო ავტორიტეტულ მოწმობას. ასეთივე ხასიათისაა მისი ნაამბობი იმის თაობაზე, რომ ღვთაება სერაპისის შეწევნით, ვესპასიანემ ბრმას თვალი აუხილა საკუთარ ნერწყვში დასველებული თითის ამოსმით. იგი სხვა სასწაულებსაც გვიამბობს, მაგრამ ამას იგი აკეთებს ყველა კეთილსინდისიერი ისტორიკოსის მაგალითისა და მოვალეობის გათვალისწინებით: ისინი ხომ ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის მომთხრობნი არიან და ადამიანების მითქმა-მოთქმა და შეხედულებებიც ხომ საზოგადოებაში მომხდარ მოვლენებს ეხება და განეკუთვნება» (იხ. მ. მონტენი, ტ. III, 204. რუსულ ენაზე).

ამ მხრივ რომ ჩვენი ჟამთააღმწერელი ორიგინალური და ერთადერთი არ არის წარსულის ისტორიკოსებს შორის, ამის ილუსტრაციად ყველა მისი დროისა თუ წინამორბედი ისტორიკოსის თხზულებიდან შეიძლება უხვად მოგვეტანა მასალა, რომლებიც გაცილებით უფრო დაუჯერებელი იქნებოდა, ვიდრე ჟამთააღმწერლის მოკრძალებული სასწაულები.

მაგრამ იმის გამო, რომ პლუტარქე, ტაციტუსი, სვეტონიუსი ან იბნ ალ ასირი სასწაულებსაც უთმობენ ადგილს თავიანთ თხზულებებში, განა მეცნიერებას ოდესმე ეჭვი მიუტანია მათ მიერ მოთხრობილის ჭეშმარიტებაზე?!

მსგავსი ამბების გამო, კარგად დაასკვნის ჩვენი დროის ფრანგი ისტორიკოსი მ. ბლოკი: «თუ სამყაროს ის სურათი, რომელიც დღეს არის ჩვენს თვალწინ, გაწმენდილია მრავალი თაობის მიერ დამოწმებული ყველა მოსაჩვენარი სასწაულისაგან, ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ, უწინარეს ყოვლისა, ურყევი კანონებით ნაკარნახევ მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობის შესახებ თანდათან გამომუშავებულ ცოდნას. მაგრამ მტკიცედ ჩამოყალიბება ამ ცოდნისა და მისი უარყოფელი დაკვირვების უკუგდება შეიძლება

მომხდარიყო მხოლოდ იმ დიდი მუშაობის შედეგად, რომლის ექსპერიმენტის ობიექტი იყო ადამიანი – მოწმე. ამიერიდან ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, აღმოვაჩინოთ ხარვეზები ამ მოწმობისა. ჩვენ მოვიპოვეთ უფლება, ყოველთვის როდი დავუჯეროთ მოწმობას, ჩვენ ახლა ადრინდელზე უკეთ ვიცით, როდის და რატომ არ უნდა ვერწმუნოთ მას. ასე შესძლო მეცნიერებამ გათავისუფლებულიყო ბევრი ცრუ პრობლემის მკვდარი ტვირთისაგან» (მ. ბლოკი, ისტორიის აპოლოგია, 74. 1973 წ. რუს. ენაზე).

ი. ჯავახიშვილს კარგად ესმოდა საქმის ეს არსი, მაგრამ ჟამთააღმწერელი იმდენად უტყუარ, განათლებულ და საღად მოაზროვნე ავტორად მიაჩნდა, რომ მის მიმართ მაინც ზედმეტი მეცნიერული სიფრთხილე გამოუჩენია და სულსწრაფ ხელმყოფელთა თავდასხმისაგან მის დასაცავად საბოლოოდ ასეთი მოსაზრება ჩამოუყალიბებია: «უნებლიედ ეჭვი ებადება მკვლევარს, მერმინდელ გადამწერის ჩამატებული ხომ არ არის ეს ადგილები?».

\* \* \*

ჟამთააღმწერლის მოთხრობა ხშირად ჰგავს იერემიას გოდებას და მარტო იმის გამო კი არა, რომ ისიც დიდებული სამშობლოს ნანგრევებს დასტირის.

თავად ტონიც, უსაზღვრო ნალველითა და სასოწარმკვეთი მწუხარებით აღსავსე ტონი მისი თხრობისა, უაღრესად პოეტური და გულშიჩამწვდომია.

მას ბედმა XII საუკუნის ძლევამოსილი საქართველოს გამოტირება არგუნა. მისი ისტორიის უდიდესი ნაწილი დამცირებისა და დაცემის, შეურაცხყოფისა და გულისგატეხვის მწარე მოთხრობაა, მთელი საუკუნის მანძილზე გაგრძელებული ბნელი ღამის სურათია, რომლის შავ ფონზე დროდადრო ელავენ კეთილშობილი გამირობისა და ვაჟკაცობის, მაღალი ზნეობისა და იშვიათი ადამიანობის მაგალითები.

«ჟამთააღმწერას» თავი და ბოლო აკლია და, თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ავტორი მონგოლთა უღლისაგან სამშობლოს გათავისუფლების ნანატრ დროს მოსწრებია, გიორგი ბრწყინვალის დღეებამდე მოსული მისი თხრობა უეცრად წყდება კიდევ ახალი საშინელი ამბის დასაწყისის პირველსავე სტრიქონებზე: «და იწყო მთიებმან აღმოჭვირვებად, ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელის თქმად»... უნებლიედ გაწყვეტილი თხრობის ასეთი მოულოდნელი ბოლო, დიახაც, რომ ეთანხმება და შეჰფერის ჟამთააღმწერის მთელ შინაარსსა და სულს, თვითონ მემატეიანის უიღბლო ბედს – იყოს საშინელებათა და უბედურებათა მომთხრობი, ცრემლითა და ტკივილით მეტყველი.

ჟამთააღმწერლის ისტორიულ-პოლიტიკური კონცეფცია უაღრესად პატრიოტული და ეროვნულია. მან იცის, რომ ისტორია, ერის ცხოვრება გრძელდება და ბოროტება შეიძლება განმეორდეს მომავლის ადამიანთა ურთიერთობაში. ამიტომ უნდა დარჩეთ სიკეთისა და მანკიერების მაგალითები ყველა დროის ადამიანებს გაკვეთილად, გეზის მიმცემად და გზის მაჩვენებლად.

აქედან გამომდინარე, იგი ბიბლიური წინასწარმეტყველივით ამხნევებს და აფრთხილებს შთამომავლობას ზნეობრივი მაგალითებით, რომლებსაც უნდა მიზამონ ან ერიდონ.

წინაპართაგან მისთვის სიკეთისა და სრულყოფის ნიმუშებია დავითი და თამარი, ხოლო ბოროტებისა და სიმდაბლის – ბაღვაშ-კახაბერის ძენი.

ამ ისტორიულ ნიშანსვეტებთან მიმართებაში ახდენს იგი მონგოლთა დროინდელ მოღვაწეთა საქმიანობის შეფასებას, საზომებად დარჩენილ წინაპართა მოქმედებას უდარებს მათ ყოველ მნიშვნელოვან ნაბიჯს და საბოლოო მსჯავრი მხოლოდ შედეგების მიხედვით გამოაქვს.

რაკი დაცემის ხანის საქართველოს ცხოვრებას მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი, ბუნებრივი იქნებოდა ერის საერთო დაშლისა და საზოგადოების გახრწნის სურათი ცალკე ადამიანთა გადაგვარებისა და ზნეობრივი გათახსირების უამრავი მაგალითით წარმოედგინა.

თხზულებაში კი საქმე სულ სხვაგვარადაა.

«ქართლის ცხოვრების» არც ერთ მატრიანეში ზნეობრივი სისპეტაკისა და კეთილშობილების, ერისა და მოყვასისათვის თავის დადების ამდენი მაგალითი არა გვაქვს. ჟამთააღმწერლის მიერ მოთხრობილ გმირობასა და ზნეობრივი სიწმინდის მრავალი მაგალითიდან აქ მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ:

1. ალამუთის ალყის დროს, როცა ჩაღატა ნოინი მოჰკლეს და მკვლელობაში ეჭვიმტანილი ქართველი მხედრობა მთლიანად მოსპობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, გრიგოლ სურამელის რჩევით, ქართველი მხედართმთავრები თვითონ გამოეცხადნენ განრისხებულ მონგოლებს: სასიკვდილოდ თავი გადადეს და ამით ლაშქარი გაჟუჟვისაგან იხსნეს.

2. მონგოლთა ურდოში დაბარებულმა დიმიტრი მეფემ დანამდვილებით იცოდა, რომ სიკვდილი ელოდა, ახლობლები და დიდებულები ერთხმად უშლიდნენ წასვლას, მაგრამ მან მთელი ერის დარბევას, უდანაშაულო ხალხის გაწყვეტას, ყაენის ხლება და სასიკვდილოდ თავგანწირვა არჩია.

3. მორჩილებისაგან გამდგარი ულუ-დავითი და სარგის ჯაყელი ბოლოს და ბოლოს ყაენს ეახლნენ. ყაენის რისხვა რომ მეფისათვის აემორებინა, სარგისმა თვით გადასდო თავი სასიკვდილოდ, მეფის დანაშაული თვითონ დაიბრალა და ხელმწიფე განსაცდელისაგან იხსნა.

4. ბათოსთან ჩასულ ავაგ მხარგრძელსა და მის ამაღას იმდენი აქვთ გაგონილი მონგოლთა მრისხანებაზე და განუკითხაობაზე, რომ ეშინიათ, ნახვისთანავე არ მოჰკლას ბათომ ავაგი. მხარგრძელის ეჯიბი, ივანე ახალციხელის ძე დავითი მთავრის ტანსაცმელს ჩაიცვამს და ეჯიბის ტანსაცმელში გამოწყობილ ავაგს ასე ამხნევებს: «უკეთუ ენებოს მოკვდინება შენი, მე მოვიკლა და არა შენ...» ეჯიბი მოხიბლავს ბათო ყაენს ქცევითა და სიტყვა-პასუხით და ტრაგიკომიკური ეპიზოდი ბედნიერი დასასრულით ბოლოვდება.

5. ბარახა ყაენთან საომრად დაძრულმა ჰულაგუმ მზვერავებად ქართველთა ჯარი გაგზავნა მონგოლებთან ერთად. მზვერავები ბარახას მთავარ ლაშქარს გადაეყარნენ. მონგოლმა სარდალმა სიქადურმა უკან მობრუნება გადაწყვიტა, ქართველ მეფეს ფეხი მოუდგამს და მტკიცედ განუცხადებია: «არა არს წესი ჩვენ ქართველთა, უკეთუ ვიხილოთ მტერი ჩვენ კერძოდ მომავალი, შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკვდილი». მეფემ ერთხელ ნათქვამი რომ აღარ გადათქვა, სიქადურს შეშინებია და ყაენთან კაცი უფრენია. ჰულაგუ დავითს განრისხებია. მეფეს ისევ გაუმეორებია, წესად არ გვაქვს ქართველებს მტრისთვის ზურგის შექცევაო, თავი სასიკვდილოდ გადაუდევს და არაჩვეულებრივი გამირობა უჩვენებია.

და, დასასრულ, მშვენება და დიდება მარტო ჟამთააღმწერლის მატიანისა კი არა, მთელი «ქართლის ცხოვრებისა» \_ ამბავი კოხტისთავის შეთქმულებისა და ცოტნე დადიანის არაჩვეულებრივი გამირობისა.

როგორც ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, სამშობლოსა და ერისათვის თავდადების ყველა ეს უჭკნობი მაგალითი იმ დროს ეკუთვნის, როცა «ყოველი ასაკი ბერთა და ყრმათა, მეფეთა და მთავართა, დიდთა და მცირედთა მიდრკა სიბოროტეთა, რამეთუ დაუტევეს სიმართლე და ჭეშმარიტება, ვინათგან თვით მღვდელთა მიერ იხილვებოდა არაწმინდა, ვინათგან ყოველი ერი იქმოდეს სიბილწესა».

ასეთი საყოველთაო დაცემისა და გათახსირების დროს ქართველ ერს იშვიათი გამირობის, კეთილშობილებისა და შეულახველი ზნეობის ესოდენ მრავალრიცხოვანი მაგალითით სულიერი მობილიზების უდიდესი უნარი უჩვენებია.

საერთო დაქვეითებისა და ზნეობრივი გარყვნის ჟამს ცუდისა და დასაგმობის მაგალითი ხომ ბევრად მეტი იქნებოდა. ამგვარი მაგალითები, ალბათ, ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდა მემატიანეს, მაგრამ იგი შეგნებულად უყრუებდა ყურს ერის შემარცხვენელ საქმეებს. თავის თხზულებაში მხოლოდ აუცილებლობის გამო შეჰქონდა ისინი და ერის ცხოვრებაში მომხდარ ისეთ ფაქტებს აძლევდა უპირატესობას ისტორიაში შესატანად, რომლებიც შთამომავლობის სულიერ განსპეტაკებასა და ზნეობრივ ამაღლებას შეუწყობდნენ ხელს.

ჟამთააღმწერის ეს დიდი სიკეთეც, ალბათ, მისი ავტორის მაღალი ეროვნული შეგნებით და სწორი ისტორიული კონცეფციით უნდა აიხსნას.

მაგრამ მთავარი მაინც მწერლის დიდი ნიჭი და ალღო უნდა ყოფილიყო, თორემ გამირობისა და კეთილშობილების, პატიოსნებისა და სპეტაკი ზნეობის მაგალითები ქართლის ცხოვრების სხვა ეპოქაშიაც ბლომად იქნებოდა.

და თუ ეს მაგალითები სხვა მემატიანეებმა ჟამთააღმწერლის მსგავსად ვერ უკვდავყვეს, ამის ახსნა ეგებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ დამოწმებულ ალექსანდრე მაკედონელის სიტყვებში ვიპოვოთ: «არა დიდ იყავ აქილევსი, არამედ დიდსა მიემთხვიე მაქებელსა უმიროსს».



\* \* \*

კაცობრიობის ისტორიაში ბევრი ერი ისე გამქრალა, არავითარი კვალი არ დარჩენია.

იყვნენ ერები, რომლებმაც სხვათა რბევითა და ნგრევით იცხოვრეს და შთამომავლობას მხოლოდ გრძელი სიები დაუტოვეს იმისა, თუ სად რამდენი ქალაქი და სოფელი აღგავეს მიწის პირისაგან, რამდენი სული უდანაშაულო ადამიანი მოსპეს და რამდენი კიდევ მონად წაასხეს. ასეთი ერების სახსენებელი მათ არსებობასთან ერთად ქრებოდა და მათი სახელი დღეს მხოლოდ სპეციალისტ მკვლევარებსღა ახსოვთ.

მაგრამ იყვნენ ერები, რომლებიც ქმნიდნენ და კაცობრიობის სულიერ საგანძურში თავიანთი საკუთარი წვლილი შეჰქონდათ. ამ ერებმა თავიანთი არსებობა სამუდამოდ უკვდავყვეს შთამომავლობის ხსოვნაში ხელოვნებისა და ლიტერატურის იმ დიდებული ძეგლებით, რომლებითაც დღესაც, მათი შემოქმედი ხალხების გაქრობიდან დიდი ხნის შემდეგაც, ამაყობს კაცობრიობა.

მაგრამ იმ გარდასულ ხალხთა ცხოვრებას ხელოვნების ხელთუქმნელ ძეგლებზე ნაკლებად როდი ამშვენებს ზნეობისა და კეთილშობილი რაინდობის ის განუმეორებელი მაგალითები, რომლებითაც ისინი ასე მაღლა დგანან თავიანთ თანამედროვეებთან შედარებით და, რომლებიც მათ ისტორიას შემოუნახავს შთამომავლობისათვის.

საქართველო ერთა ამ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნის. ჩვენმა ერმა თავისი არსებობის გრძელ გზაზე სულიერი შემოქმედების მრავალი ისეთი ძეგლი შექმნა, რომელთა მნიშვნელობა არასოდეს შემოიფარგლებოდა დროითა და ადგილით.

მსოფლიოს ხალხთა შორის ცოტას თუ დავასახელებთ ქართველების გვერდით, რომელთა ისტორიას ფაქიზი ზნეობისა და მაღალი ადამიანობის, კეთილშობილი რაინდობისა და გამირული თავდადების ამდენი და ესოდენ დიდებული მაგალითი ამშვენებდეს!

ამ მაგალითთაგან ყველაზე ნათელი და მიმზიდველი, ყველაზე ღრმაადამიანური და ამაღლებული ცოტნე დადიანის თავდადებისა და რაინდობის ამბავია.

ერს რომ ვაჟკაცობისა და კეთილშობილების ასეთი მაგალითი არ ჰქონოდა, იგი უნდა გამოეგონა.

მაგრამ მსგავსი მაგალითის შექმნას ან გამოგონებასაც ისეთივე ნოყიერი ნიადაგი უნდა, როგორც საქართველოს ისტორია იყო. ერის არსებობისა და მთელი მისი ისტორიის გამართლებად კმარა ზნეობრივი გამირობის ერთი ასეთი მაგალითის შექმნაც!

ქართველმა ერმა იმითაც უკვდავყო თავისი არსებობა, რომ მცხეთის ჯვრისა და «ვეფხისტყაოსნის» გვერდით შექმნა ცოტნე დადიანის გამირობის მაგალითი და თავისი სულიერი სილამაზის ამ შესანიშნავი მოწმობით მსოფლიო ისტორიაში განუმეორებელი სიტყვა თქვა.

ჟამთააღმწერლის მოთხოვნაში კოხტისთავის შეთქმულებისა და ცოტნე დადიანის გმირობის ამბავი მოკლე რეპორტაჟს უფრო ჰგავს, ვიდრე ერის ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდის დინჯ გადმოცემას. ასეთი ლაკონურობა მნიშვნელოვანი ამბის მოყოლისას გაუგებარია და მიუტევებელი, თვით ისეთი სიტყვაძუნწი ავტორისთვისაც კი, როგორც ჩვენი ჟამთააღმწერელია.

რაკი ეს ეპიზოდი არც ერთ სხვა წყაროს არ შემოუნახავს (არც ქართულს და არც უცხოვს), ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა, ისევ და ისევ ჟამთააღმწერლის კონსპექტურ ჩანაწერს ჩავკვირვებოდით, მისგან შესაძლებელი მაქსიმუმი მიგველო და არსებული სიცარიელე ეპოქის საერთო ცოდნითა და ფანტაზიით შეგვევსო. თუ მამხილებელი საბუთების ნაკლებობა სასამართლო გამოძიებისათვის დიდი დაბრკოლებაა, მხატვრისა და შემოქმედისათვის ფაქტიური მასალის სიღარიბე, ცოდნის განსაზღვრულობა, ზოგჯერ საუკეთესო პირობაა ფანტაზიის გაშლისა და სიუჟეტის თავისუფალი განვითარებისათვის.

მაგრამ ცოტნე დადიანი უბრალო პიროვნება როდია, იგი ქართველი ხალხის ეროვნული გმირია და მისი ბიოგრაფიის შექმნისას ეს ფაქტი რომანისტიკისათვის უაღრესად ანგარიშგასაწევია.

\* \* \*

ქართული ისტორიული მეცნიერება ჯერჯერობით ფაქტების დაგროვებასა და მათი სარწმუნოების დადგენას აგრძელებს დღემდე.

შესამოწმებელი და დასადგენი მასალა კი, მართლაც რომ, თავსაყრელია და მათი უცხო წყაროებთან თუ არქეოლოგიურ მონაპოვრებთან შეჯერება სწორედ საშური და გადაუდებელი ამოცანაა.

მაგრამ ისტორია მარტოოდენ წარსულში მომხდარი ყოველგვარი ფაქტის დაგროვება როდია!

ისტორია, უპირველეს ყოვლისა, არის მეცნიერება ადამიანთა საზოგადოებაზე. ამ თვალსაზრისით იგი ჯერ კიდევ პირველ ნაბიჯებს დგამს თურმე ისეთ ქვეყნებშიაც კი, სადაც მეცნიერების ამ დარგს დიდი და სახელოვანი ტრადიციები აქვს.

რა საყვედური ეთქმის ქართულ ისტორიულ მეცნიერებას, თუ, იმავე მარკ ბლოკის სიტყვებით, თანამედროვე დასავლეთში «როგორც სერიოზული ანალიტიკური დარგი, ისტორია ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდაა» და «თავისი მეთოდის რიგ მნიშვნელოვან პრობლემებში იგი მხოლოდ ახლა იწყებს ნიადაგის მოსინჯვას».

ქართული ისტორიით დაინტერესებულ მკითხველსა თუ საგანგებოდ ამ ისტორიის შესწავლით გატაცებულ მხატვარს პრობლემების ანალიზში ჯერჯერობით თავისი საკუთარი თავისა და ბეჯითი შრომის მეტი ვერავინ დაეხმარება, რადგან ჩვენში, არა მარტო ცალკე მნიშვნელოვანი პრობლემებია შეუსწავლელი ჩვენი ისტორიისა, არამედ ბოლომდე და სრულად დღემდე ჯერ

კიდევ გამოცემულიც არა გვაქვს საქართველოს ისტორიის ყველა წყარო,<sup>1</sup> შეუსწავლელი და ზოგჯერ მიუკვლევებელ-ადმოუჩენელია ბევრი უცხოური წყარო, რომელიც ჩვენი ერის წარსულს ეხება.

ასეთ პირობებში საქართველოს ისტორიის თემაზე მომუშავე მწერალს ხშირად თვითონ უხდება ფაქტების კვლევა და ჭეშმარიტების დადგენა. რაოდენ რთული და ძნელია ამ სამუშაოს შესრულება, როცა ბევრი ორიგინალური წყარო ზოგჯერ არქივებსა და მუზეუმებშია საძებნელი, ხოლო უცხო წყაროთა შესაბამისი ბიბლიოგრაფიაც კი საოცნებო ფუფუნებად რჩება დღემდე.

მწერალს, მხატვარს ისტორიული მასალა, ფაქტები კი არ უნდა ჰქონდეს საკვლევი. მისი კვლევის საგანი ისტორიული გმირების მოქმედების ამხსნელი შინაგანი მოტივები, მათი სულის მღელვარება და მოძრაობა უნდა იყოს, იგი დადგენილ, ეჭვმიუტანელ ჭეშმარიტებათა მიმართ თავისი მსჯავრისა და დამოკიდებულების უკეთ ჩამოყალიბებისათვის უნდა ზრუნავდეს მხოლოდ, და ამის საშუალებას უკვე მეცნიერულად შესწავლილი მასალა უნდა აძლევდეს მას.

\* \* \*

წარსული თავისებური თეატრია, ასპარეზია, სადაც შთამომავლობის მრავალი თაობის წინაშე გამოსული წინაპრები მოქმედებენ, იბრძვიან, შრომობენ და მრავლდებიან, უხარიათ და სწუხან, უყვართ და სძულთ...

რაკი წარსულშიაც ჩვენსავით ადამიანები ცხოვრობდნენ, უნდა ვიფიქროთ, რომ მათთვისაც, როგორც ჩვენთვის, არაფერი ადამიანური უცხო არ უნდა ყოფილიყო.

მარქსის მიერ აღმოჩენილი კანონის თანახმად, ისტორიულ პროცესს საფუძვლად სოციალურ-ეკონომიური წყობის ცვლილება უდევს.

ადამიანი გარკვეულ სოციალურ წრეს ეკუთვნის და მის შეგნებას საზოგადოებრივი წყობა განსაზღვრავს. ეს წყობა და წრე აყალიბებენ მის შეგნებას და წარმართავენ მის მოქმედებას.

დღეს ჩვენ ვეღარ გავიზიარებთ მაკიაველის გონებამახვილ მოსაზრებას, თითქოს «დროთა ვითარებაში ერთი რამ რჩება უცვლელი – ადამიანი». სოციალური ფსიქოლოგიის შესწავლამ ნათლად წარმოაჩინა ადამიანზე სოციალური გარემოს გავლენა: იცვლება ეს გარემო და ცვლილებას განიცდის ადამიანის ფსიქიკაც, შეგნებაც, გემოვნებაც, საგნებთან და მოვლენებთან ადამიანის დამოკიდებულებაც. მაგრამ ახალი ისტორიული მეცნიერება მაინც ცნობს და აღიარებს, რომ ადამიანის ბუნებაში, ადამიანთა საზოგადოებაში არსებობს რაღაც მუდმივი ფონდი, რომელიც ყველა დროსა და გარემოში უცვლელი რჩება. ეს «ფონდი» რომ არ არსებობდეს, ჩვენ ვერ გავიგებდით არა მარტო ანტიკური და შუასაუკუნეების ადამიანთა ქცევასა და ხასიათს, არამედ

ჩვენი მამებისა და უახლოესი წინაპრების ფიქრსა და ზრახვებს, მათ გრძნობებსა და განცდებს.

ისტორიული მეცნიერების მიერ დადგენილ ამ ჭეშმარიტებას მხატვრები დიდი ხნით ადრე, ინტუიტიურად ხვდებოდნენ და ისტორიული პიროვნების ხატვისას კარგი შემოქმედი მუდამ ცდილობდა, თავისი გმირი, რაც შეიძლებოდა, მეტად აღეჭურვა იმ «ფონდიდან» წამოღებული მასალით, რომელიც ყველა დროის ადამიანს უცვლელად თანა სდევს და, რის გამოც ერთი დროის ადამიანს მეორე დროის ადამიანისა ესმის.

თუ ხელოვანი იმ ძირითად ფონდს არ ჩაუღრმავდა, რომელიც საერთო აქვს ანტიკური ხანის ფეხშიშველა მწყემსს, პოლოტიკით მთლიანად შეჭურვილ შუა საუკუნეების რაინდსა და ჩვენი დროის კოსმონავტს, შემოქმედის მიერ გამოძერწილი სახე უსიცოცხლო იქნება, ვერავითარ ემოციას ვერ აღძრავს და ჩვენი ინტერესის გარეთ დარჩება.

მხატვრის ნიჭის ძალა და ცხოველმყოფელობა იმით კი არ განიზომება, თუ რამდენად ზუსტად აღადგინა მან გარკვეული ისტორიული დროის გარეგანი მხარე (ეს ყველა საშუალო ნიჭის მქონე პედანტს შეუძლია, რადგან ასეთი სამუშაოს შესრულება მასალის კეთილსინდისიერ შესწავლას და ზედმიწევნით გადმოღებას მოითხოვს მხოლოდ).

ნამდვილი შემოქმედება მაშინ იწყება, როცა მხატვარი ისტორიული გმირის წარმოსახვისას იმ «უცვლელს» უღრმავდება, რომელიც საერთოა ყველა დროის ადამიანისათვის.

ოფიციალურ მატრიანებში წარსულის ჩვენება სცენაზე გამოსული გმირების მოქმედების გადმოცემით შემოიფარგლება. ისტორიულ მასალაზე მომუშავე მხატვარს კი უფლება აქვს იმაზედაც მოგვითხროს, რაც ამ სცენის მიღმა ხდება, მას ნება აქვს გვირგვინოსანთა საწოლშიც კი შეიხედოს და ზოგჯერ იქ დატრიალებული დრამა გვიჩვენოს.

ისტორიკოსისაგან განსხვავებით, მხატვარი არა მარტო უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიცაა, ისტორიული გმირის სულში ღრმად ჩაიხედოს, მისი მღელვარება თუ დაეჭვება გადმოგვცეს და მისი ვნებების სიმძაფრე განგვაცდევინოს.

ჩვენს დროში ვერავითარ მოწონებას ვერ დაიმსახურებს ის მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც გმირთა ხასიათების ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი – ცოცხალი, ცხოვრებისეული დეტალები, სისხლსავსე ადამიანური ვნებები, დამაფიქრებელი მსჯელობები და ჩვეულებრივი თვალისათვის შეუმჩნეველი სულის შინაგანი მოძრაობა არ იქნება მოცემული.

მაგრამ ისტორიულ ნაწარმოებს ჩვენ რატომღაც ვაპატიებთ ხოლმე უამისობას. რაკი ისტორიული პიროვნებები მეტწილად ქვეყნის მეთაურები, ან გამოჩენილი მოღვაწეები არიან, ისინი ჩვენს წარმოდგენაში ნაწილობრივ ზებუნებრიობის ნათელში არიან გახვეულნი და ჩვენ ვურიგდებით ასე დახატული მათი სახეებიდან მომქროლავ სიცივესა და მოსაწყენობას.

სადაო არაა, რომ გარეგნული ნიშნების, აქსესუარების (ტანსაცმელი, იარაღი, სამკაული, ავეჯი და სხვ.) აღდგენას გარკვეული მნიშვნელობა აქვს ისტორიულ თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებში, იგი ქმნის სურნელსა და განწყობილებას. თუმცა ზოგჯერ ამ აქსესუარების ჭარბად დახვავება ჩვენთვის შეუმჩნეველად სტოვებს ამ საგნების შემქმნელ და მომხმარებელ ადამიანებს.

მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება: პოლიტიკურ-სოციალურმა და მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციებმა ეპოქები ერთიმეორეს დააშორა და დიდად გაზარდა მანძილი სხვადასხვა დროის თაობათა შორის.

ამიტომ, როცა «უცვლელ ფონდზე» ვლაპარაკობთ, მისი საზღვრები იმთავითვე უნდა შემოვფარგლოთ და იქამდე არ უნდა გავაფართოვოთ, რომ დაუშვებელ ანაქრონიზმში ჩავვარდეთ და წარსულის გმირებს მივაწეროთ მათთვის უცხო, ჩვენი თანამედროვეების ემოციები და ქცევის ნორმები.

ამ ჭეშმარიტებათა დადგენა კიდევ ერთი პრობლემის გადაწყვეტას გვკარნახობს: რა ზომით უნდა იხმაროს აღებული ისტორიული ეპოქის გმირთა სამეტყველო ენა მწერალმა?

დღესდღეობით მსოფლიოში არსებულ ერთაგან, მეტნაკლებად ყველა ხალხის ენა განიცდიდა ცვლილებას. ზოგთა ენა არსებითად გამოიცვალა, ზოგის ორ ისტორიულ პერიოდად, ორ ნაკვეთად გაიყო და გაჩნდა ამა თუ იმ ხალხის ძველი და ახალი ენა (მაგალითად, ძველი და ახალი ფრანგული, ძველი და ახალი სომხური და სხვა).

ახლა რომ ფრანგმა მწერალმა პროვანსელი ტრუბადურის ცხოვრების რომანი დაწეროს, არავის გაუკვირდება, მაგრამ ეს რომანი რომ ძველი ფრანგულით დაიწეროს, მას არავითარი გამართლება არ ექნება და არც მკითხველი ეყოლება.

ენის როლი და მნიშვნელობა ლიტერატურაში განუსაზღვრელია და დიდი მწერლის უპირველესი ნიშანი ენის სიმდიდრეა. კლასიკოსის უმთავრესი და აუცილებელი თვისება ენის დახვეწილობა და ნატიფი სტილისტობაა.

მაგრამ უკვე მკვდარ, ხმარებიდან გამოსულ (ან ნაკლებად მოსახმარ) ენაზე ჯერ არც ერთ კლასიკოსს არ უწერია და თუ ვინმეს მსგავსი რამ უცდია, მხოლოდ სპორტული ინტერესით. პირიქით, დიდი მწერლების ენა ყოველთვის ხალხურ მეტყველებასთან იყო ახლო და მათ მიერ მოხდენილი რეფორმა სამწერლო ენის ცოცხალ, ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებასაც გულისხმობდა.

ძველ ან მკვდარ ენაზე წერა რომ ისტორიული რომანის ავტორისათვის სავალდებულო ყოფილიყო, როგორ დაეწერა თავის ენაზე ფლობერს კართაგენელი გმირის ცხოვრება, ან ჰენრიხ მანს საფრანგეთის მეფის ჰანრი მეოთხის რომანი, ან თუნდაც თომას მანს ბიბლიური პატრიარქის იოსების ეპოპეა?

ისტორიული რომანის წერისას აღებული ეპოქის ენობრივი ფორმებით მეტისმეტი გატაცება რომ ფუნქციას მოკლებულია, ეს ნაწარმოების უცხო ენაზე

თარგმნისას უპირველესად გეცემა თვალში. მთარგმნელი იძულებულია, ძველი ენით დაწერილი პასაჟები, ჩვეულებრივ თანამედროვე ენაზე გადმოიტანოს და ცოცხალი სამეტყველო ენით თარგმნოს. ქართულ ენას ამ მხრივ განსაკუთრებული მდგომარეობა აქვს და ისტორიული ნაწარმოების შექმნისას ქართველ რომანისტს ცოტა შეღავათი ეძლევა. ამ შეღავათს ის სასწაული განაპირობებს, რომ ძველი ქართული ჩვენთვის ჯერ კიდევ მისაწვდომია და რუსთაველის ენა დღემდე მეტნაკლებად ყველა ქართველი მკითხველისათვის გასაგებია.

მაგრამ ხომ ყოვლად გაუმართლებელი ანაქრონიზმი იქნებოდა, დღეს რომ ვისმეს ცურტაველის ან მერჩულესა და, თუნდაც, რუსთაველის ენით რომანები ეწერა?

\* \* \*

ამ ბოლოსიტყვაში მე ვცადე გამეზიარებინა მკითხველისათვის ისტორიული მასალებისადმი ჩემი დამოკიდებულება, ის ძირითადი პრინციპები, რომლებითაც «მეცამეტე საუკუნის ქართული ქრონიკის» სამ წიგნზე მუშაობისას ვხელმძღვანელობდი.

ისტორიული კონცეფციის შემუშავებისას მე, რა თქმა უნდა, არ შემეძლო მონგოლთა ეპოქის მემატიალების რწმენის გაზიარება ჩინგიზხანის გამარჯვების ფატალურ გარდუვალობაზე, არც მონგოლთაგან დაპყრობილი ქვეყნების დამარცხების ახსნა მათი უსჯულოებისათვის მოვლენილი ღვთის რისხვით, ან ამ ქვეყნების მეთაურთა პირადი თვისებებით.

განვიხილავდი რა დიდძალ ფაქტობრივ მასალას ისტორიული მეცნიერების დღევანდელ დონეზე, მხატვრის თვალით ვკითხულობდი ჩვენი ერის ცხოვრების უაღრესად ტრაგიკულ სურათს და ვცდილობდი, ღრმად ჩამეხედა იმ მოვლენებში, რომლებიც განაპირობებს და წარმოქმნეს რთულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ურთიერთობებმა.

ისტორიულ რომანებში მე მინდოდა მეჩვენებინა ხალხი, როგორც ისტორიის შემოქმედი ძალა და ამით ერთგვარად შემევესო მატიალების ის დიდი ხარვეზი, რომელიც ერთნაირად აწუხებდა ფრანგ ვოლტერსა და ქართველ ილია ჭავჭავაძეს.

აწ უკვე განსრულებულ ტრილოგიაში მე ვცდილობდი, ჟამთააღმწერლის მსგავსად, «სიმართლის მეტყველი» ვყოფილიყავი. ისტორიული გმირები სამშობლოს სიყვარულის სიმაღლიდან დამენახა და მსჯავრი იმის მიხედვით გამომეტანა, თუ რა სიკეთე ან ვნება მოუტანა საქართველოს მათმა მოქმედებამ.

ქართლის ცხოვრების ამ უძნელეს უღელტეხილზე ცოტნეს გმირობა ქართველი ერის ისტორიის აპოთეოზად მესახებოდა და მის თავდადებაში მარტო ერთი თაობის გაწმენდას კი არა, მთელი დაცემული საქართველოს სულიერ ამაღლებას, ფენიქსებრ აღდგენასა და გამარჯვებას ვხედავდი.

ცოტნეს თავდადება კეთილშობილი რაინდობისა და დიდსულოვნების განუმეორებელი ნიმუშია. ზნეობრივ მაგალითს შთამომავლობაზე ყოველთვის ჰქონდა ცხოველმყოფელი გავლენა და ცოტნეს გაკვეთილის მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის განსაკუთრებით დიდი უნდა იყოს დღეს, როცა ქართველი ხალხი ასეთი ერთსულოვნებით იბრძვის ზნეობრივი განწმენდისათვის, მაღალი მორალისა და შეულახავი პატიოსნების დამკვიდრებისათვის.